მაყვალა ნათმელაძე, ალექსანდრე დაუშვილი,

მაია ჯაფარიძე, კობა წენგუაშვილი

საქართველოში ტოტალიტარული რეჟიმის დამკვიდრებისა და განმტკიცების თავისებურებანი XX საუკუნის 20-იან წლებში

*(ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერების ფონდის მიერ დაფინანსებული გრანტით – „**საქართველოში ტოტალიტარული რეჟიმის დამკვიდრებისა და განმტკიცების თავისებურებანი XX საუკუნის 20–იან წლებში**“ (№014-08) შესრულებული ნაშრომი)*

თბილისი
2008

UDC (უაკ) 321.64 (479.22)
ნ-19

ნაშრომში თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურის, უცნობი საარქივო მასალის, პერიოდული პრესისა და ახალი მეთოდოლოგიური პრინციპების საფუძველზე კომპლექსურად შესწავლილია საქართველოში ტოტალიტარული რეჟიმის დამკვიდრებისა და განმტკიცების თავისებურებანი, გარკვეულია საქართველოს მოსახლეობის სხვადასხვა ფენის (ინტელიგენციის, ბურჟუაზიის, მუშების, გლეხობის, ახალგაზრდობის) ახალი რეჟიმისადმი დამოკიდებულების ხასიათი.

ნაშრომი განკუთვნილია სპეციალისტების, საქართველოს უახლესი ისტორიით დაინტერესებული მკითხველებისათვის.

რედაქტორი: ისტორიის მეცნიერებათა
დოქტორი **ელვერ კუპატაძე**

რეცენზენტი: ისტორიის მეცნიერებათა
დოქტორი **ლერი ნანიკაშვილი**

წიგნის გარეკანზე განთავსებულია მეცნიერისა და ფერმწერის, **გოგი ხუციშვილის** ნახატის – „ასეთი ნეტარი ცხოვრება...“ რეპროდუქცია. ამ უფლებისათვის წიგნის ავტორები გ. ხუციშვილის ოჯახს უდიდეს მადლობას ვწირავთ.

მონოგრაფია გამოსაცემად მომზადდა ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო ცენტრის საგამომცემლო ჯგუფში „მემატიანე“

კომპიუტერული უზრუნველყოფა: **ანა რუაძე**

© მ. ნათმელაძე, ა. დაუშვილი, მ. ჯაფარიძე, ჯ. ნენგუაშვილი, 2008

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2008

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-12-302-3

შესავალი

XX საუკუნე – ტოტალიტარული რეჟიმების ჩასახვის, განმტკიცების, განვითარებისა და კვდომის საუკუნეა. ტოტალიტარიზმი თავიდანვე მკვეთრად დაუპირისპირდა მმართველობის დასავლურ, დემოკრატიულ მოდელს როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიკურ და სულიერ სფეროში. მაგრამ თუ დავაკვირდებით, ტოტალიტარიზმში არაფერია უცხო, რაც სხვადასხვა ფორმით, ადრეულ ეპოქებში, კაცობრიობის ისტორიულ განვითარებას არ ახასიათებდა. XX საუკუნემ ეს ყველაფერი შეკრიბა და ახალი თვისებრიობის სახით ჩამოაყალიბა იმ ქვეყნებში, სადაც ამისათვის უფრო შემზადებული იყო ისტორიული პირობები. ტოტალიტარიზმში ყველა ეპოქიდან შემორჩენილია: ცოტა მონათმფლობელობის, ცოტა აბსოლუტიზმის, ცოტა ინკვიზიციის, ცოტა ენთუზიაზმის, ცოტა ფანატიზმის და ამის სინთეზი სხვადასხვა ქვეყანაში მოგვევლინა ხან სტალინიზმის, ხან ფაშიზმის, ხან მაოიზმის, ხანაც სადამ ჰუსეინის უღიმღამო რეჟიმის სახით.

ეს ახალი თვისებრიობა, ძველ ნიშნებთან ერთად, ბევრ ახალსაც იძენს, რასაც ისტორიკოსისათვის გამორჩეული მნიშვნელობა ენიჭება და მას ამ საზოგადოებრივ-პოლიტიკური წარმონაქმნის ღრმად შესასწავლად განაწყობს – ტოტალიტარიზმი ხომ გარკვეული შინაგანი მახასიათებლებით გაჯერებული საზოგადოებაა, რომელსაც აქვს დასაწყისი, განვითარების ეტაპები და აქვს დასასრული. ეს ფენომენი ყოფილი რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე 1917 წლის ოქტომბრიდან ჩამოყალიბდა და თანდათან ამ იმპერიაში შემავალი ყველა ხალხი მოიცვა. მან შექმნა ზესახელმწიფო – საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირი, რომლის შემადგენელი ჩვენი მრავალტანჯული ქვეყანა – საბჭოთა საქართველოც იყო. თითქმის 80 წლის მანძილზე საბჭოთა სახელმწიფო „ნათელი მომავლის“ პერსპექტივებით კვებავდა ჯერ საკუთარ, ხოლო შემდეგ მსოფლიოს თითქმის ნახევარ მოსახლეობას. მან შექმნა „რწმენის ახალი სიმბოლოები“ და ააგო „ახალი რწმენის დიადი ტაძრები“, აღზარდა კომუნისტური იდეალებისათვის მებრძოლი ახალი „გმირები“, მან ჩამოაყალიბა სახელმწიფოებრივი ყოფიერებისა და საზოგადოებრივი ცნობიერების მრავალი მსგავსი ან ოდნავ განსხვავებული ფორმა, შექმნა, განსაზღვრულ პერიოდში, პოლიტიკურად და ეკონომიკურად ისეთი მძლავრი სისტემა, რომელმაც გაუძლო ისტორიულ გამოცდას (მეორე მსოფლიო ომს) და გარკვეულ შედეგებსაც მიაღწია, მაგრამ სამარცხვინოდ გარდაიცვალა თავისი იდე-

ოლოგებისა და პოლიტიკანებისაგან მიგდებულ-მივიწყებული. ასეთია შედეგი ყველა ტოტალიტარული, ან ნეოტოტალიტარული რეჟიმის...

საქართველოს კომუნისტური რეჟიმი თავს მოახვიეს და აიძულეს ათეული წლები ეცხოვრა და ეშრომა ამ სისტემის პირობებში, განევითარებინა თავისი ეკონომიკა, მეცნიერება და კულტურა. ეს წლები, ერთი მხრივ, იყო დიდი აღმშენებლობის, ხელოვნებასა და კულტურაში უდიდესი მიღწევების, ქალაქებისა და სოფლების, ფაბრიკებისა და ქარხნების მშენებლობის პერიოდი და, მეორე მხრივ, იყო პიროვნების უფლებების ტოტალურად შელახვის, ტრადიციული ცნობიერების რღვევის, ათეიზმის ბატონობის მძიმე პერიოდი. მაგრამ ეს ყველაფერი – ჩვენი ისტორიაა – შუქ-ჩრდილებით გაჯერებული ჩვენი დედა-ისტორია, სადაც კარგიც – ჩინებულია და ტრაგიკულიც – ღირებული... ისტორიკოსის დახმარებით საზოგადოებამ ყველაფერი ეს უნდა გაისიგრძეგანოს, რომ აღარ გავიმეოროთ ერთხელ დაშვებული შეცდომები, რომ საბოლოოდ წერტილი დავუსვათ ძალადობას, ადამიანის უფლებების ფეხქვეშ გათელვას, სიცრუეს, უღირსი ადამიანების ზეობას...

XX საუკუნის 20-იანი წლები საქართველოში ტოტალიტარიზმის დამკვიდრებისა და განმტკიცების წლებია. საბჭოთა საზოგადოების ფუძემდებლები და იდეოლოგები მას „სოციალისტურ სახელმწიფოდ“ მოიხსენიებდნენ და მიაჩნდათ, რომ ეს იყო ახალი ტიპის საზოგადოება, სადაც ყველა თანასწორი და ბედნიერი უნდა ყოფილიყო. ეს სახელმწიფო არ უნდა დამსგავსებოდა სახელმწიფოების დასავლურ მოდელს, სადაც კაპიტალიზმის „ლპობის“ პირობებში ყველა და ყველაფერი ინგრევა, ნადგურდება, კვდება, ხოლო საბჭოთა სახელმწიფოში მხოლოდ შენებაა, ზეაღმავალი განვითარებაა, ბედნიერებაა... ეს მართლაც „გამორჩეული“ სახელმწიფო იყო...

საბჭოთა კავშირი რომ „გამორჩეული“ სახელმწიფო იყო, ეს მალე შეამჩნიეს დასავლეთის პოლიტიკოსებმა და იდეოლოგებმა: უ. ჩერჩილი, ჰ. ტრუმენი, კ. ეტლი, ჰ. არენდტი, რ. პაიპსი, რ. ტაკერი, ზ. ბჟეზინსკი და სხვები ღრმად და ყოველმხრივ სწავლობდნენ საბჭოთა პოლიტიკურ სისტემას და მას ხაზგასმით ტოტალიტარულს უწოდებდნენ.

ამავე პერიოდს სწავლობდნენ მარქსისტულ-ლენინურ-სტალინური მეთოდოლოგიით აღჭურვილი საბჭოთა ისტორიკოსები, რომლებიც საბჭოთა ქვეყანაში ხედავდნენ მხოლოდ შენებას, მხოლოდ გამარჯვებებს, მხოლოდ წარმატებებს...

XX საუკუნის 20-90-იან წლებში ბევრი, ძალიან ბევრი წიგნი დაიწერა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების, ახალი რეჟიმის განმტკიცებისა და განვითარების შესახებ, სადაც ცალკეული უმნიშვნელო კრიტიკის ფონზე, გრანდიოზულ მიღწევებზეა საუბარი. ამ ნაშრომებს დღესაც არ დაუკარგავთ ისტორიოგრაფიული ღირებულება. განსაკუთრებით აღსანიშნავია ი. კაჭარავას[1], ვ. მერკვილაძის[2], ფ. ლომაშვილის[3], უ. სიდამონიძის[4], ვ. ესაიაშვილის[5], გ. ჟვანიას[6], რ. კოჭლამაზაშვილის[7], ა. კოჭლავაშვილის[8] და სხვათა მონოგრაფიები და გამოკვლევები.

მაგრამ მხოლოდ 1990 წლიდან დაიწყო საქართველოს ისტორიის, განსაკუთრებით XIX-XX საუკუნეების ისტორიის ობიექტური კვლევა (თუმცა არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ გაჩნდა მეორე უკიდურესობა – საბჭოთა ეპოქის მიღწევების ტოტალური იგნორირება, საბჭოთა ეპოქაში ქართველი ხალხის აღმშენებლობითი შრომის მიღწევების დაკნინების ტენდენცია).

დრომ მოიტანა და გაიხსნა ადრე დალუქული არქივები... დღის სინათლე ნახეს წიგნთსაცავებში ჩაკეტილმა „აკრძალულმა წიგნებმა“... ხელმისაწვდომი გახდა ქართული ემიგრანტული ლიტერატურა... გამოვლინდა ბევრი უცნობი ისტორიული ფაქტი და მოვლენა...

და მაინც, გამორჩეულ ინტერესს კვლავ XX საუკუნის 20-იანი წლები იწვევს – სწორედ ამ წლებში ჩაეყარა საფუძველი საქართველოში ტოტალიტარიზმს, სწორედ ამ წლებში დაიწყო ახალი ტიპის სახელმწიფოს მშენებლობა, ქართველი ხალხის ახალი განმათავისუფლებელი მოძრაობა...

ქართველმა ისტორიკოსებმა ხელი მოჰკიდეს ადრე ტაბუდადებულ თემებს. 1924 წლის აჯანყება გამორჩეული ისტორიული ფაქტია, რომელიც საბჭოთა სისტემის დამხობის შემდეგ ისტორიკოსთა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. ნესტან კირთაძის მონოგრაფია – „1924 წლის აჯანყება საქართველოში“ ადრე გასაიდუმლოებულ საარქივო დოკუმენტურ წყაროებს ეფუძნება. ნაშრომში განხილულია საქართველოს პოლიტიკური პარტიებისა და ქართული ემიგრაციის, „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“, „სამხედრო ცენტრის“ საქმიანობა აჯანყების მოსამზადებლად, ტოტალიტარული რეჟიმის სისხლიანი რეპრესიები აჯანყებამდე და მისი დამარცხების შემდეგ, დამოწმებულია მონაცემები ამ ტრაგედიის მსხვერპლის შესახებ. მაგრამ ჩვენი აზრით ნაშრომში არ ჩანს გამოკვეთილად თავადაზნაურობის, ბურჟუაზიის, მუშების დამოკიდებულება აჯანყების იდეისა და მისი განხორციელების ფორმებისა და მეთოდებისად-

მი. ავტორისეული თეზისი – აჯანყების საერთო-სახალხო ხასიათის შესახებ, ჩვენი აზრით, დამატებით დასაბუთებას მოითხოვს[9].

1924 წლის აჯანყების შეფასება უფრო სრულად მოცემულია ნ. კირთაძის მეორე ნაშრომში – „რა მოხდა?!" ამ ნაშრომში არის მცდელობა პასუხი გაეცეს კითხვას – იყო თუ არა აჯანყება ისტორიული აუცილებლობით ნაკარნახევი და რამ განაპირობა მისი მარცხი. ლაიტმოტივი აღნიშნული ნაშრომისა არის აჯანყების მარცხისათვის პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხი[10].

1924 წლის აჯანყების სხვადასხვა ასპექტია გაანალიზებული რ. გრძელიძის[11], ვ. ბენიძის[12], გ. ციციშვილის[13], დ. შველიძის, ნ. ჯავახიშვილის, ბ. კუპატაძის[14] და სხვების გამოკვლევებსა და მონოგრაფიებში. ამ ავტორების მიერ გამოითქვა მრავალი ახალი ვარაუდი და გაკეთდა ახალი შეფასება.

გარკვეული მუშაობა ჩატარდა საქართველოში საბჭოთა სისტემის დამკვიდრების პირველი ეტაპის მეცნიერული შესწავლის საქმეში. ამ მხრივ გამორჩეულია ლ. თოიძის საყურადღებო მონოგრაფია, რომელშიც დასაბუთებულია, რომ XX საუკუნის 20-იან წლებში საქართველო ფორმალურად მაინც ინარჩუნებდა იურიდიულ დამოუკიდებლობას. საქართველოს, ისევე როგორც სხვა საბჭოთა რესპუბლიკების მართვა-გამგეობა, საშინაო და საგარეო პოლიტიკა წარიმართებოდა საბჭოთა რუსეთის ანალოგიით. საქართველოში დემოკრატიულ-პარლამენტური რესპუბლიკის ნაცვლად დამყარდა რუსული მოდელის პროლეტარიატის დიქტატურა. საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტი, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე წარმოადგენდა რესპუბლიკის ხელმძღვანელ ორგანოს, შეადგენდა რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბ) განუყოფელ ნაწილს. ამიტომ იგი რეალურად დამოუკიდებელი ვერ იქნებოდა. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ მონოგრაფიაში არაფერია ნათქვამი საბჭოთა სისტემის დამკვიდრებისადმი საზოგადოების სხვადასხვა სოციალური ფენის, მათ შორის თავადაზნაურობის, ბურჟუაზიის და სხვათა დამოკიდებულების შესახებ[15].

საქართველოს 20-იანი წლების ისტორიის სხვადასხვა ასპექტი გაშუქებულია შ. ვადაჭკორიას[16], ე. კუპატაძის[17], ნ. ჯორჯიკიას[18], ო. ჯანელიძის[19] საყურადღებო გამოკვლევებსა და მონოგრაფიებში.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ის, რომ ახალი ქართული ისტორიოგრაფია დიდ ყურადღებას უთმობს საქართველოში საეროვნებათაშორისო ურთიერთობების პრობლემების შესწავლას.

ეს განსაკუთრებით ფასეულია გარეშე ძალების მიერ საქართველოში ასე ოსტატურად ინსპირირებული პოლიტიკური დაპირისპირებების ფონზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია გ. გასვიანის[20], ა. სონღულაშვილის[21] და სხვების გამოკვლევები თუ პუბლიკაციები.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ა. სონღულაშვილის მონოგრაფია „ქართული კულტურა და ინტელიგენცია 1917-1937", რომელშიც მოტანილია ბევრი ახალი საყურადღებო ფაქტი, გაკეთებულია საინტერესო დასკვნები ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში ინტიელიგენციის ისტორიული განვითარების აქტუალური პრობლემების შესახებ.

ახალი ქართული ისტორიოგრაფია დიდ ყურადღებას უთმობს ათეისტური სახელმწიფოს პირობებში საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორიის პრობლემას. ამ სფეროში გამორჩეულია ს. ვარდოსანიძის[22], ქ. პავლიაშვილის[23], ი. არაბიძის[24] და სხვათა ნაშრომები.

საქართველოს XX საუკუნის ისტორიის ობიექტური შესწავლის საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა და დღესაც აქვს დოკუმენტებისა და მასალების პუბლიკაციებს. XX საუკუნის 20-იანი წლების ისტორიის თემატიკაზე დოკუმენტებისა და მასალების გამოქვეყნებას საბჭოურ ხანაში მნიშვნელოვანი ყურადღება ექცეოდა. ამის დასტურია რამდენიმე დიდი მოცულობის კრებულის პუბლიკაცია. დღეს აღნიშნული გამოცემები, მიუხედავად დოკუმენტებისა და მასალების შერჩევის ცალმხრივობისა, რაც გაბატონებული იდეოლოგიის მოთხოვნებს პასუხობდა, მაინც იმსახურებენ ყურადღებას, რადგან ზოგიერთი დოკუმენტი იძლევა მინიშნებას ტოტალიტარული რეჟიმის ამა თუ იმ მხარეზე.

დოკუმენტებისა და მასალების კრებულებში: «Революционные комитеты Грузии», Сухуми, 1963; Революционные комитеты Абхазии (февраль 1921- февраль 1922)», Сухуми, 1961; «Революционные комитеты Аджарии (март 1921-январь 1922)», Батуми 1963, გამოქვეყნებული ფაქტები ასახავენ საბჭოთა მმართველობის სტრუქტურის ჩამოყალიბების, სახალხო კომისარიატების, მილიციის, საგანგებო დამსჯელი ორგანოს, საბჭოთა სასამართლოს შექმნის, სამეურნეო მართვის, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ორგანიზაციის დარგში განხორციელებულ ღონისძიებებს და ა. შ.

დოკუმენტებისა და მასალების კრებულში – «Борьба за упрочение советской власти в Грузии (1921-25 гг.)» (Тб., 1959) მოტანილია დოკუმენტები საბჭოთა ხელისუფლების ორგანოების ჩამოყალიბების, კონტრრევოლუციასთან და საბოტაჟთან ბრძოლის, სოციალ-დემოკრატიული და სხვა ანტისაბჭოთა პარტიების მუშაობის აღსაკვეთად საგანგებო ორგანოს შექმნის, ამ ორგანოს საქმიანობის შესახებ. დოკუმენტები ეხებიან ამიერკავკასიის ფედერაციული გაერთიანების შესაქმნელად განხორციელებულ ღონისძიებებს, „ნაციონალ-უკლონისტთა" დამოკიდებულებას ამიერკავკასიის ფედერაციის და საბჭოთა რესპუბლიკების საკავშირო სახელმწიფოს შექმნის იდეისადმი. საკავშირო სახელმწიფოს შექმნამ საფუძველი ჩაუყარა დიდი ტოტალიტარული სახელმწიფოს ჩამოყალიბებას, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ კრებულში გამოქვეყნებული დოკუმენტები და მასალები სრულად ვერ წარმოაჩენენ ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნისადმი ქართული საზოგადოებრიობის, განსაკუთრებით კი სხვადასხვა სოციალური ფენის დამოკიდებულების ობიექტურ სურათს.

დოკუმენტებისა და მასალების კრებულში – «История индустриализации Грузинской ССР (1926-1941 гг.)» (Тб., 1968) გამოქვეყნებული ფაქტები ასახავენ 20-იანი წლების მეორე ნახევარში საქართველოს სამრეწველო განვითარების ახალ – ინდუსტრიალიზაციის ეტაპს, ახალი სამრეწველო დარგების შექმნას, მძიმე ინდუსტრიის მშენებლობის მიმართულებით ჩატარებულ ღონისძიებებს.

დოკუმენტებისა და მასალების კრებულში – «История коллективизации сельского хозяйства Грузинской ССР» (Тб., 1970) გამოქვეყნებული დოკუმენტები ასახავენ იმ ძირითად სახელისუფლებო გადაწყვეტილებებს, რომელთა რეალიზაცია სავალდებულო იყო მთლიანად საბჭოთა ქვეყნის, მათ შორის საქართველოსათვის. მაგრამ გამოქვეყნებული მასალები არ იძლევიან კოლექტივიზაციისადმი ქართველი გლეხობის წინააღმდეგობრივი დამოკიდებულების, საკოლმეურნეო მშენებლობის სიმახინჯეების, კულაკობის მიმართ გამოყენებული ბრძოლის ფორმების და მეთოდების ობიექტურ დახასიათებას.

ახალ ისტორიულ ვითარებაში, საბჭოთა სისტემის დამხობის შემდეგ, მოიხსნა ყველა შეზღუდვა და ისტორიკოსს შესაძლებლობა მიეცა არა მარტო გაეცნოს, არამედ გამოაქვეყნოს ახალი დოკუმენტური მასალა და მის საფუძველზე განახორციე-

ლოს კომპლექსური კვლევა. ამ მხრივ საქართველოში ინტენსიური მუშაობა სწარმოებს. 90-იანი წლების ბოლოს ნ. კირთაძემ გამოაქვეყნა დოკუმენტებისა და მასალების კრებული – „კაენ სად არის ძმა შენი?! ქართველთა ისტორიის სისხლიანი ფურცლები (1921-1930)" (თბ., 1998). კრებულში პირველად გამოქვეყნდა საბჭოთა რეჟიმის მიერ XX ს-ის 20-იან წლებში განხორციელებული რეპრესიების ამსახველი მასალები, საიდუმლო დოკუმენტები სახელმწიფო უშიშროების არქივიდან, რომლის ნაწილი განადგურდა 1991-1992 წლების თბილისში საომარი მოქმედებების დროს.

ბოლო წლებში კიდევ უფრო განმტკიცდა XX საუკუნის 20-იანი წლების ისტორიოგრაფიის წყაროთმცოდნეობითი ბაზა, დაიბეჭდა ახალი საარქივო მასალა, გამოქვეყნდა არა ერთი საყურადღებო კრებული. აღსანიშნავია ამ მიმართულებით ვ. გურულის, აპ. სილაგაძის, მ. ვაჩნაძის და სხვების ნაყოფიერი წყაროთმცოდნეობითი მოღვაწეობა, რაც ამდიდრებს ჩვენს წარმოდგენებს საკვლევი პრობლემის სოციალურ-ეკონომიკური თავისებურებების შესახებ[25].

ყველაფერმა ამან შექმნა გარკვეული წინაპირობა, რომ ახალი მეთოდოლოგიური პრინციპების საფუძველზე განხორციელებულიყო საქართველოს XX საუკუნის 20-იანი წლების კომპლექსური კვლევა. სასიამოვნოა იმის კონსტატაცია, რომ ახლადშექმნილმა საქართველოს ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა მხარი დაუჭირა ქართველი ისტორიკოსების ჯგუფს, რომლებმაც ითხოვეს დაფინანსებულიყო პროექტი: „საქართველოში ტოტალიტარული რეჟიმის დამკვიდრებისა და განმტკიცების თავისებურებანი XX საუკუნის 20-იან წლებში".

ორწლიანი მუშაობა დასრულდა....

მას საფუძვლად უდევს საკვლევი პრობლემის გარშემო არსებული ისტორიოგრაფიული მიღწევების შემოქმედებითი ათვისება და კრიტიკული გააზრება, ავტორთა მიერ გამოვლენილი ახალი საარქივო მასალები. კერძოდ, საქართველოს პრეზიდენტის არქივში დამუშავდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის (ფ. №14) და რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის (ფ. №13) ფონდები, საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში დამუშავდა საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს (ფ. №600), სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს (ფ. № 303), საქართველოს უზენაესი საბჭოს (ფ. №284), სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის (ფ. №307), შინაგან საქმე-

თა სახალხო კომისარიატის (ფ. №285), განათლების სახალხო კომისარიატის (ფ. №300) ფონდებში დაცული მასალები, რამაც დაგვანახა საქართველოს რევკომების მუშაობის უცნობი მხარეები, კავკასიის ცალკე არმიის მებრძოლებისა და ოფიცრების შოვინისტური, ანტიქართული გამოხდომები, ქაქუცა ჩოლოყაშვილის მოღვაწეობის ახალი ფაქტები, 1924 წლის აგვისტოს აჯანყების დღემდე უცნობი პერიპეტიები, აჯანყების შესახებ არსებული სხვადასხვა მოსაზრება, ხელისუფლების მიერ ცალკეული სოციალური ჯგუფის მიმართ ჩატარებული რეპრესიული მექანიზმის თავისებურება, გაშუქებულია ტოტალიტალური რეჟიმის შეღწევის მცდელობის წინააღმდეგობრივი პროცესი საქართველოს მეცნიერებაში, კულტურაში და ა.შ.

ნაშრომში გამოყენებულია აგრეთვე 2004-2005 წლებში საქართველოს საპატრიარქოს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ერთობლივი სამეცნიერო მივლინების შედეგები. ამ მივლინების დროს, რუსეთის სოციალ-ეკონომიკური ისტორიის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში (ГАСПИ РФ, ყოფილი მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის პარტიულ არქივში), ი. სტალინის (ფ. № 558), ფ. ძერჟინსკის (ფ. №5), ლ. ტროცკის (ფ. №325), გ. ორჯონიკიძის (ფ. №85) ფონდებში, რკპ (ბ) ცკ პოლიტბიუროს (ფ. №17), რკპ (ბ) ცკ კავბიუროს (ფ. №64) ფონდებში დაცული მასალების შესწავლის საფუძველზე პირველად დამუშავდა პრობლემები: საქართველოში ტოტალიტარული რეჟიმის დამკვიდრება და განმტკიცება, საქართველოს ინტელიგენციისა და ტოტალიტარული რეჟიმის ურთიერთობის თავისებურებები, წარმოჩენილია ტოტალიტარიზმის ეკონომიკური საფუძვლების მომზადების, ეკლესიისა და ტოტალიტარული სახელმწიფოს ურთიერთობის ევოლუციის, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა პოლიტიკური სტრუქტურების მშენებლობის, ახალგაზრდობისა და გენდერული ურთიერთობების რიგი საკითხი და ა.შ.

ნაშრომში სათანადოდ არის გამოყენებული რესპუბლიკური პრესის: „კომუნისტის", „ზარია ვოსტოკას", „მუშის" პუბლიკაციები, რაც დაგვეხმარა ეპოქის კოლორიტის აღდგენაში.

ორწლიანი მუშაობის შედეგი უკვე სახეზეა....

ყველა არგუმენტირებულ შენიშვნას ავტორები მადლიერებით მიიღებენ.

თავი I. ტოტალიტარიზმი მსოფლიო ისტორიულ განვითარებაში

ისტორიული გამოცდილება-ექსკურსი

ადამიანებმა სოციალურ თანასწორობაზე ფიქრი საზოგადოებაში სოციალური დიფერენციაციის გაჩენისთანავე დაიწყეს. მდიდრებსა და ღარიბებს შორის არსებული წინააღმდეგობიდან გამომდინარე საზოგადოების გათიშვამ და კონფრონტაციამ, დაბადა იდეა ჰარმონიული საზოგადოების შესახებ, სადაც ადამიანები სოციალურად თანასწორები იქნებოდნენ. ყველა დროსა და ყველა ხალხში ჩვენ ვხვდებით მოაზროვნეებს, რომლებიც თავის თხზულებებში ხატავდნენ სოციალური თანასწორობით, ბედნიერებითა და საზოგადოებრივი ჰარმონიით გაჯერებულ სახელმწიფოს, სადაც „ხორციელდებოდა დიადი სამართლიანობის პრინციპები და ზეცის ქვეშ ყველაფერი საერთო იყო. ირჩევდნენ ბრძენთა და ნიჭიერთა, იქცეოდნენ კეთილსინდისიერად და მხარს უჭერდნენ თანხმობას და მშვიდობას. ადამიანები ნათესაურად ექცეოდნენ არა მარტო თავის ნათესავებს, მამაშვილურად – არა მარტო საკუთარ შვილებს. ამიტომაც ჰქონდათ მოხუცებს თავშესაფარი. მცირეწლოვანთ დიდი ამაგით ზრდიდნენ, უვლიდნენ ყველას – ქვრივ მამაკაცებს და ქალებს, ობლებს, უშვილო მოხუცებს, უძლურებს... პროდუქტების დაყრა ადგილზე არ შეიძლებოდა, მაგრამ არ არსებობდა მათი საკუთარ სახლში შენახვის აუცილებლობაც. ისინი შრომისათვის თავის არიდებას სამარცხვინოდ თვლიდნენ, მაგრამ შრომობდნენ არა საკუთარი თავისთვის. აი, რატომ არ ხორციელდებოდა ბოროტი ზრახვები, არ არსებობდა მოტყუება, არ იყო ქურდობა და ყაჩაღობა, ამიტომ არ კეტავდნენ შემოსასვლელ კარს. ყოველივე ამას დიდი ერთობა ეწოდებოდა“.[1]

ეს მოსაზრება დიდ ჩინელ ფილოსოფოსს კონ-ფუ-ცის ეკუთვნის. მსგავსი აზრი სხვა ხალხების მოაზროვნეთა შეხედულებებშიც აისახა. იდეალური სახელმწიფოს მოდელი შექმნა ბერძენმა ფილოსოფოსმა პლატონმაც. მან თავის შეხედულებები კონკრეტულად ჩამოაყალიბა პოპულარულ დიალოგში „სახელმწიფო“. ასეთი სახელმწიფოს მოწყობა პლატონს მხოლოდ სოლიდარობის, ერთიანობის, თანასწორობისა და კოლექტივიზმის პრინციპების რეალიზაციის საფუძველზე წარმოედგინა[2]. მართალია, პლატონის იდეალური სახელმწიფო არ გულისხმობდა კლასების მოსპობას, მაგრამ სახელმწიფოს მისეულ მოდელ-

ში ჩვენ ვხვდებით კომუნისტურ პრინციპებს – საზოგადოების გარკვეული ფენისათვის საერთო ცოლებისა და შვილების არსებობა, ბავშვთა აღზრდა სახელმწიფოს ხარჯზე და ა.შ. პლატონი ზღვარგადასული ქონებრივი დიფერენციაციის წინააღმდეგაც ილაშქრებდა და მიუთითებდა თუ რა დამღუპველი გავლენის მოტანა შეეძლო მას სახელმწიფოს მოქალაქეთა ერთიანობისათვის.

ღარიბებისათვის შვების მიმცემი, საზოგადოებაში ჰარმონიული ურთიერთობის შესაქმნელად მოწოდებული ფილოსოფიურ-ეთიკური მოძღვრებაა ქრისტიანული რელიგიაც, რომლის მთელი არსი მდიდრებისადმი უაღრესად კრიტიკული დამოკიდებულება და უპოვართათვის სულიერი შვების და ამქვეყნიური გადარჩენის რეალური გზის ჩვენებაა. ქრისტიანულმა რელიგიამ წარმოშვა კიდეც პოლიტიკური მოძრაობა – ქრისტიანული სოციალიზმი, მოძღვრება საზოგადოების ისეთი განვითარებისა, რომელიც მაქსიმალურად შეეცდებოდა ქრისტიანული ეთიკისა და მორალის პრინციპების გამარჯვების პირობებში საზოგადოების ანტაგონიზმის შესუსტებას, სოციალური თანასწორობის ელემენტების დამკვიდრებას.

შემთხვევითი არ არის, რომ პირველ უტოპისტ-სოციალისტებს შორის ძალიან ბევრია სასულიერო წოდების წარმომადგენელი: თომას მორი, თომაზო კამპანელა, აბატი მაბლი და სხვ. საქართველოში სოციალ-დემოკრატიული აზროვნების განვითარების მაგალითიც კარგად მიუთითებს, რომ სოციალიზმის იდეალები ნაყოფიერ ნიადაგს პოულობდნენ იმ ქართველ მოაზროვნეებს შორის, რომელთაც რელიგიური განათლება ჰქონდათ მიღებული საეკლესიო სკოლებსა და სემინარიაში (ლ. კეცხოველი, ი. ჯუგაშვილი, მ. ცხაკაია და სხვ.)

ინგლისელმა თომას მორმა (XVI ს.) ჩამოაყალიბა თავისი კონცეფცია სოციალურად თანასწორი საზოგადოებისა, რომელსაც რეალურ ცხოვრებაში ადგილი ვერ მოუნახა და ამ სახელმწიფოს მოქალაქეები დაასახლა გამოგონილ კუნძულ უტოპიაზე. ამ საზოგადოებაში არ იყო ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, არ იყო კერძო საკუთრება – ავტორის აზრით- ყველა ბოროტების საფუძველი. აქ იყო ბავშვთა საზოგადოებრივი აღზრდა, მოხეცებულთა ერთობლივი პატრონაჟი, იყო ორგანიზაციები, რომლებიც თავისი არსით კოლექტიურ მეურნეობებს ჰგავდნენ, იყო „სოციალისტური შეჯიბრებაც“ კი.

თომას მორმა დასაბამი მისცა „უტოპიურ სოციალიზმს“, რომლის წარმომადგენელები (თ. კამპანელა, სენ-სიმონი , მაბლი

და სხვები) ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ იდეალური საზოგადოების თეორიული კონტურების მოხაზვის საქმეში. ერთ-ერთმა მათგანმა – ინგლისელმა ოუენმა სცადა ცხოვრებაში განეხორციელებინა კიდეც თავისი იდეა და შექმნა კომუნა – ადამიანთა თანასწორობაზე, საერთო საკუთრებაზე დამყარებული ეკონომიკური ორგანიზმი, რომელსაც ბურჟუაზიულ საზოგადოებრივ ყოფიერებაში მეტად ხანმოკლე სიცოცხლე ჰქონდა.

საზოგადოებათმცოდნეები ხაზგასმით მიუთითებენ, რომ დასავლეთ ევროპაში არსებული ქრისტიანობის ყველა ერესი (ბოგომილობა ბულგარეთში, კატარების მოძრაობა საფრანგეთში, თაბორიტებისა – ჩეხეთში, თომას მიუნცერის გლეხთა მოძრაობა გერმანიაში) უხვად შეიცავდნენ სოციალიზმის ელემენტებს.

ყველა ამ მოძრაობის არსის შესწავლის შემდეგ, მეცნიერები მივიდნენ დასკვნამდე, რომ მათთვის დამახასიათებელი იყო:

1. მოლოდინი ძირეული, რადიკალური გარდატეხისა, რომელიც დაანგრევდა ძველს, დრომოჭმულს და შექმნიდა ახალ მსოფლიო წესრიგს. ეს იყო ხსნის, განთავისუფლების, მესიანისტური კონცეფცია.

2. კერძო საკუთრების ლიკვიდაცია .

3. ოჯახის ტრადიციული ფორმის დანგრევა, საერთო ცოლები, შვილები.

4. ტრადიციული რელიგიური შეხედულებების წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლა, ახალი რწმენა-ნარმოდგენების ფორმირება.

5. მცირერიცხოვანი ჯგუფი, სექტა ხელმძღვანელებისა, რომლებიც ღრმად ფლობენ ახალ მოძღვრებას და მათ გვერდზე – ენთუზიაზმითა და ფანატიზმის შეპყრობილი „მასა“ მომხრეებისა და მხარდამჭერებისა, რომლებიც ახალი მოძრაობის მხოლოდ ზოგიერთ პრინციპს თუ იცნობდნენ.

6. შეუბრალებლობა, ტერორიც კი, სხვაგვარად მოაზროვნე ჯგუფების მიმართ,

7. პიროვნება-ქარიზმატული ლიდერი. ფილოსოფოსი – მოაზროვნე, რომელიც აიყოლიებდა „მასას“ და გარკვეული პერიოდის განმავლობაში „მასის“საშუალებით ახდენდა თავისი შეხედულებების რეალიზაციას[3].

სოციალიზმის შესახებ არსებული ფილოსოფიურ-ეთიკური შეხედულებები XIX საუკუნის შუა ხანებში ჩამოყალიბდა მწყობრი სისტემის სახით, რომელსაც მეცნიერული სოციალიზმი დაერქვა და მიზნად ისახავდა მსოფლიოს გადარჩენას სოცია-

ლური უსამართლობისა და კაპიტალიზმის ბატონობისაგან, რომელმაც ამ პერიოდში მაინც საოცრად მახინჯი ფორმები მიიღო.

ამ მოძღვრების ფუძემდებლები კ. მარქსი და ფ. ენგელსი, მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერების თანამედროვე მიღწევების საფუძველზე აყალიბებდნენ საკუთარი, ფილოსოფიურ-საზოგადოებრივი შეხედულებების სისტემას, მომავალი კომუნისტური საზოგადოების კონტურების მოხაზვის დროს დიდად არ განსხვავდებოდნენ თავისი წინამორბედებისაგან. თავის საპროგრამო დოკუმენტებში: „კომუნისტური პარტიის მანიფესტი", „კომუნიზმის პრინციპები" და უამრავ სხვა ნაშრომში. მათ მიერ ჩამოყალიბებული იდეალური საზოგადოების მთავარი მახასიათებლებია:

1 კერძო საკუთრების მოსპობა წარმოების საშუალებებზე („ამ აზრით კომუნისტებს შეუძლიათ თავიანთი თეორია ერთი დებულებით გამოსახონ: კერძო საკუთრების მოსპობა") [4];

2. ოჯახის არსებული სისტემის დამსხვრევა, ბავშვთა აღზრდის სოციალიზაცია („კომუნისტებს არ ჭირდებათ საზიარო ცოლების შემოღება, იგი თითქმის მუდამ არსებობდა"[5], „იმ მომენტიდან დაწყებული, როდესაც ბავშვს შეუძლია დედის მოვლის გარეშე დარჩენა, ყველა ბავშვის აღზრდა სახელმწიფო დაწესებულებებში და სახელმწიფოს ხარჯზე")[6].

3. რელიგიის არსებული ფორმების წინააღმდეგ მიმართული უკომპრომისო ბრძოლა („რელიგიის, როგორც ხალხის ილუზორული ბედნიერების ამოძირკვა, არის მისი ჭეშმარიტი ბედნიერების მიღწევის მოთხოვნა")[7].

მართალია, კ. მარქსი და ფ. ენგელსი თავის შეხედულებებში ადგილს არ ტოვებენ ქარიზმატული ლიდერისათვის და მათთვის უცხოა „პიროვნების კულტი", მაგრამ მსოფლიო გამოცდილება ადასტურებს, რომ ყველგან, სადაც კი მარქსისტული შეხედულებები, თუნდაც მოდერნიზებული, ეროვნულ ნიადაგზე დაფუძნებული, რევოლუციური მეთოდებით დამყარდა – „პიროვნების კულტი" უპირობოდ ჩამოყალიბდა.

მარქსიზმის კლასიკოსების მთავარი დამსახურებაა იმ ძალის შემჩნევა და მისი პოლიტიკური როლის დასაბუთება, რომელიც ისტორიულად იყო მოწოდებული მათი პოლიტიკური შეხედულებები რეალობად ექცია – ეს იყო პროლეტარიატი, სოციალური ძალა, რომელიც თავისუფლებისათვის უკომპრომისო ბრძოლაში „არაფერს არ კარგავდა, გარდა ბორკილებისა და მოიპოვებდა მთელ ქვეყანას".

XX საუკუნეში კ. მარქსისა და ფ. ენგელსის შეხედულებების რეალიზაცია მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანაში მოხდა- განხორციელდა კერძო საკუთრების ლიკვიდაცია წარმოების საშუალებებზე, პროლეტარიატმა (მისმა ავანგარდმა – პოლიტიკურმა პარტიამ) დაიპყრო პოლიტიკური ძალაუფლება, განხორციელდა რადიკალური ეკონომიკური და სოციალური გარდაქმნები, ზოგი ქვეყანა წარმატებით, ზოგიც წარუმატებლად ახორციელებდა სოციალისტურ-კომუნისტურ მიზანდასახულობებს, ზოგი მათგანი უკვე აღარ არსებობს, ზოგიც განაგრძობს არსებობას. ოპონენტი სოციოლოგები და პოლიტოლოგები ყველა მათგანს ახასიათებენ ასე – ეს არის ტოტალიტარული სახელმწიფო.

რა არის ტოტალიტარული სახელმწიფო? პოლიტიკური მონყობის ეს ფორმა შემთხვევითობაა თუ გარდაუვალი აუცილებლობა? ისტორიის განვითარების პროდუქტია თუ ქარიზმატული ლიდერის ახირებული ნების რეალიზაცია? რა ნიშნებით ხასიათდება და რითი განსხვევდება სხვა – მასზე ადრე არსებული პოლიტიკური სისტემებისაგან? უარყოფითი თუ დადებითი მოვლენაა? და ა.შ. ჩვენ ქვემოთ შევეცდებით მსოფლიოს ისტორიული გამოცდილების, საზოგადოებათმცოდნეებისა და პოლიტოლოგების მოსაზრებების გათვალისწინებით ზოგად შტრიხებში დავახასიათოთ ამ ისტორიული მოვლენის იმანენტური ბუნება, მისი ადგილი და როლი მსოფლიო ისტორიულ განვითარებაში.

დავიწყებთ იმით, რომ გავიზიარებთ შეხედულებას – „XX საუკუნე ისტორიაში შევიდა როგორც ტოტალიტარიზმის რეალიზაციის საუკუნე“[8].

ამრიგად, მსოფლიო ისტორიული განვითარების ის პოტენცია, რაც ვლინდებოდა სხვადასხვა საუკუნეებში ახალი, რადიკალურად განსხვავებული შინაარსისა და პრინციპების სახელმწიფოს იდეის რეალიზაციის დროს, თავისი დასრულებული სახით მხოლოდ XX საუკუნეში გაცხადდა სრულად. დასავლეთის პოლიტოლოგები ტოტალიტარული სახელმწიფოების რიგებში ათავსებენ სხვადასხვა პოლიტიკური მიზანდასახულობის, სხვადასხვა ცივილიზაციის მქონე სახელმწიფოებს: საბჭოთა კავშირს, ფაშისტურ გერმანიას, იტალიას და ესპანეთს, ჩინეთს, კუბას, ჩრ. კორეას, ვიეტნამს, აღმოსავლეთ ევროპისა და მახლობელი აღმოსავლეთის რიგ სახელმწიფოს, რომლებიც ჩამოყალიბდნენ XX საუკუნის 20-60-იან წლებში. ამ სახელმწიფოებიდან ზოგიერთმა დიდხანს იარსება (საბჭოთა კავშირი, ესპანეთი),ზოგმა რამდენიმე წელს ვერ გაუძლო (გერმანია, რუმინეთი, უნგრეთი), ზო-

გიერთმა რამდენიმე ათეულ წელს თუ გაძლო (იტალია, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები), ზოგიერთი დღესაც არსებობს (ჩინეთი, ვიეტნამი, კუბა და ა.შ.).

საზოგადოებათმცოდნეებმა დასავლეთში (ხანა არენდტი, კარლ ფრიდრიხი, ზბიგნევ ბჟეზინსკი და სხვ.) ადვილად შეამჩნიეს, რომ მიუხედავად იმისა, რომ არსებობს განსხვავება კომუნიზმსა და ფაშიზმს შორის, იძებნება დიდი მსგავსება, რაც შემდეგში ვლინდება:

1. ერთიანი ყოვლისმომცველი იდეოლოგია, რომელსაც ემყარება საზოგადოების პოლიტიკური სისტემა;

2. ერთი პარტია, როგორც წესი, დიქტატორით სათავეში, რომელიც ერწყმის სახელმწიფო აპარატს;

3. სახელმწიფო აპარატის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი. სახელმწიფოს კონტროლი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარეზე;

4. არ არსებობს პლურალიზმი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში;

5. სახელმწიფოში პროპაგანდის მნიშვნელოვანი როლი, მოსახლეობის საზოგადოებრივ ცნობიერებაზე აქტიური მანიპულირება;

6. ტრადიციების უარყოფა; ტრადიციული მორალის უარყოფა, დასახულ მიზნებთან არჩეული საშუალებების სრული დაქვემდებარება („ახალი საზოგადოების" იდეის პროპაგანდა);

7. მასობრივი რეპრესიები და ტერორი ძალოვანი სტრუქტურების მხრიდან;

8. მოქალაქის ინდივიდუალური უფლებებისა და თავისუფლებების სრული ლიკვიდაცია;

9. ცენტრალიზებული, გეგმური ეკონომიკა;

10. მმართველი პარტიის სრული კონტროლი შეიარაღებაზე[9].

დღეს საზოგადოებათმცოდნეები ყურადღებას მიაპყრობენ იმ გარემოებას, რომ ამ თვალსაზრისის ავტორები (კ.ფრიდრიხი და ზ. ბჟეზინსკი) ეყრდნობიან ფაშიზმის და კომუნიზმის ანალიზის დროს მოვლენებისადმი „ემპირიულ მიდგომას", რაც ყოველთვის ობიექტურ შედეგს არ იძლევა[10]. ფაქტების გარეგნული მსგავსება ამ ორ ისტორიულ მოვლენას შორის ასევე აიძულებს მკვლევარს დაფიქრდეს – ხომ არ არის ეს მსგავსება მიზეზი რაღაც უფრო სიღრმისეულის, წინარე არსებულის?

ძალაუნებურად მოდის მსგავსება ცეზარო-პაპიზმის პოლიტიკურ სტრუქტურებთან: მაშინაც ხომ ასე იყო – ერთი განმ-

საზღვრელი იდეოლოგია (ქრისტიანობის დასავლეთ ევროპული განშტოება), ერთი პოლიტიკური ცენტრი, მმართველი რელიგიური ცენტრის სრული შერწყმა საერო მმართველობასთან, წრეგადასული რეპერესიები სხვაგვარად მოაზროვნეთა მიმართ (ინკვიზიცია), ტოტალური სურვილი განსაზღვროს თითოეული მოქალაქის ნებისყოფა, მისი აზრები, როცა რეგლამენტირებულია ადამიანის მთელი ცხოვრება- დაბადებიდან გარდაცვალებამდე.

კომუნიზმს, ფაშიზმსა და პოლიტიკურ კათოლიციზმს შორის გარკვეულ მსგავსებას (არა საყოველთაოს) ამჩნევდა ცნობილი ინგლისელი მოაზროვნე ჯორჯ ორუელიც[11].

ჩვენ მიგვაჩნია, რომ კაცობრიობას ყოველთვის არა აქვს უნარი გამოიგონოს ახალი ორგანიზაციული ფორმა, თუკი მის ისტორიულ განვითარებაში უკვე იყო მსგავსი ან მასთან მიახლოებული („ახალი, კარგად დავიწყებული ძველია!"). ცეზაროპაპიზმის პოლიტიკური, იდეოლოგიური და ორგანიზაციული შეხედულებები მიზნად ისახავდა ქრისტიანული დოგმატიკის საფუძველზე მთელი დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების გაერთიანებას (რომის საღვთო იმპერია), რაც უდავოდ მოითხოვდა მართვის ტოტალურ მეთოდებს, წრეგადასულ სიმკაცრეს, ინდივიდის ნების მაქსიმალურ დამორჩილებას. ეს არ ეფუძნებოდა ქრისტიანობის ჭეშმარიტ არსს, მასში ის შეიტანეს გარედან, პოლიტიკური ამოცანების გამო, როცა რომის პაპებს მოუნდათ შეუძლებელი, არა ობიექტური პირობებით ნაკარნახევი, ახალი ვითარების შექმნა.

XX საუკუნის დასაწყისში ადამიანთა წინაშე, როგორც ჯორჯ ორუელი სამართლიანად აღნიშნავს, დადგა ამოცანა, რომ მათი ყოველდღიური ცხოვრებიდან განდევნილიყო „უცოდინრობა, ომები, სიღატაკე, ჭუჭყი, იმედგაცრუება, შიმშილი, შიში, მძიმე შრომა, ბნელეთის მოციქულობა".[12]

მაგრამ რამ შექმნა ყოველივე ეს? XX საუკუნეში ამის მიზეზი იყო კაპიტალისტური განვითარების ერთ-ერთი შედეგი – პირველი მსოფლიო ომი. არავის მიუქცევია ყურადღება, რომ შუასაუკუნოვანი ტოტალიტარიზმის აღორძინება ევროპაში და საერთოდ მსოფლიოში სწორედ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ხდება, როცა შეიქმნა ნაყოფიერი ნიადაგი „უცოდინრობის, ომების, სიღატაკის, ჭუჭყის, იმედგაცრუების, შიმშილის, შიშის, მძიმე შრომის, ბნელეთის მოციქულობისათვის".

სწორედ ამ ვითარებამ დაბადა აუცილებლობა, რომ ჯერ მხოლოდ თეორიაში არსებული ნიჰილიზმი ტრადიციული სახელმწიფო ფორმებისა და იდეოლოგიური პოსტულატების მი-

მართ,ბურჟუაზიული დემოკრატიის მიმართ, ტრადიციული ზნეობისა და მორალის მიმართ გარდაქმნილიყო ახალ ფორმებში, ახალ პოსტულატებში, ახალ მოთხოვნებში. სიახლის შეგრძნება, რადიკალური გარდაქმნა, ახალი სახელმწიფოებრივი ფორმების ძიება საზოგადოების მთავარი მოთხოვნა გახდა.

ჯერ კიდევ XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში მარქსიზმის პარალელურად გამოჩნდნენ მოაზროვნეები, რომლებისთვისაც მიუღებელი იყო მარქსისტული ილუზორული თანასწორობა და პროლეტარიატის ისტორიული როლის ჰიპერტროფიული შეფასება. მაგრამ მათთვის არც არსებული ბურჟუაზიული ყოფიერება იყო მისაღები, ყოვლისგანმსაზღვრელი „ფულის კულტი" და აქედან გამომდინარე საზოგადოების განვითარებაზე ზემოქმედი უარყოფითი, ნეგატიური ფაქტორები. მათში ძლიერი იყო საპარლამენტო დემოკრატიისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულება. ეს ადამიანები საფუძველშივე უარყოფდნენ სოციალისტურ შეხედულებებს სახელმწიფოს მოწყობაზე, შრომის საზოგადოებრივი დანაწილების პრინციპებზე და სხვა მარქსისტულ ნოვაციებზე. მაგალითად, ფრანგი მოაზროვნე შარლ მორასი ჩინებულად ხედავდა კაპიტალისტური საზოგადოების ხილულ თუ უხილავ წყლულებს, თავის პუბლიცისტიკაში ენერგიულად აკრიტიკებდა მათ, მაგრამ მიაჩნდა – სოციალისტები უკვე სერიოზულად ცდებოდნენ იმით, რომ საზოგადოებას სთავაზობდნენ მეშახტე შახტის პატრონი გამხდარიყო, მწერალი – სტამბის მესაკუთრეც ყოფილიყო, მუშას პოეტობაც შეეთავსებინა, რადგან მტკიცედ სჯეროდა – შრომის საზოგადოებრივი დანაწილება ეს შეცდომა კი არა, არამედ საზოგადოების, პიროვნების ფსიქოლოგიური განვითარების ლოგიკური შედეგიც იყო და მისი ხელაღებით მოსპობა მხოლოდ სერიოზულად გაართულებდა საქმეს.[13]

შარლ მორასისა და მისი თანამგრძნობების მთავარი კრიტიკის ობიექტი იყო ბურჟუაზიული საზოგადოების საფუძველი „ფულის კულტი" და მისი უარყოფითი შედეგები საზოგადოებაზე. „არ არის ფული – არ არის არჩევნები, არ არის ფული – არ არის პრესა, არ არის ფული – არ არის საზოგადოებრივი აზრი". შ. მორასის ეს სიტყვები კარგად მიუთითებს, რომ ბურჟუაზიული დემოკრატიის დროს არა ობიექტური მოსაზრებები და სახელმწიფო ინტერესები, არამედ ფულით მანიპულიერება საზოგადოებრივ ცნობიერებაზე მთლიანად გამორიცხავს ჭეშმარიტ დემოკრატიას და პიროვნების ნების რეალიზაციას.[14]

იტალიელი მწერლისა და მოაზროვნესათვის, გაბრიელე დანუნციოსათვის იმდენად მიუღებელი იყო ბურჟუაზიული დემოკრატიის ნეგატიური მხარეები, რომ მან იტალიაში შექმნა ანტიდემოკრატიული მიმართულების ჟურნალი და თეორიული ნიადაგი მოუმზადა იტალიაში ფაშისტურ რეჟიმს, არც თანამშრომლობას თაკილობდა – იგი მუსოლინის დროს სამეფო აკადემიის პრეზიდენტიც კი იყო.

ბურჟუაზიული დემოკრატიის მიმართ ნიჰილისტური დამოკიდებულება დაიბადა გერმანიაშიც, სადაც ნიცშეს „ზე-კაცის" იდეით გაჟღენთილ ნაციონალისტურად განწყობილი ინტელიგენციის ნაწილში თანდათან გავრცელდა შოვინისტური განწყობილებები, რასაც პირველ მსოფლიო ომში გერმანიის წარუმატებლობის და ანტანტის მხრიდან მასზე განხორციელებული ბარბაროსული ძალადობის შემდეგ რევანშისტული იდეალებიც უზრუნველყოფდა. და აქაც მთავარი გახდა ბურჟუაზიული დემოკრატიის მიმართ ნიჰილიზმი : „ინდივიდუმთა ავტორიტეტის უარყოფის და მასზე მასის გაბატონების პარლამენტური სისტემა ძირს უთხრის ბუნებაში არსებულ არისტოკრატიზმის პრინციპს... მასა ვერასოდეს ვერ შეცვლის ადამიანს! მასა ყოველთვის საბრიყვისა და სილაჩრისკენაა მიმართული... პირდაპირი, პატიოსანი ადამიანი, რომელიც მზადაა იკისროს უმძიმესი პასუხისმგებლობა, არასოდეს არ წავა სალაყბო პარლამენტში, სადაც პასუხისმგებლობის გრძნობას მოკლებული ხალხი მშვენივრად ატარებს დროს. ამრიგად, ნამდვილ დემოკრატიას პარლამენტი არ ჭირდება... პარლამენტის სისტემისაგან სრულიად განსხვავებულია გერმანული დემოკრატია, სადაც ტარდება ბელადის თავისუფალი არჩევნები და ბელადი მზად არის სიცოცხლე შესწიროს ნაციონალურ საქმეს".[15]

ეს მოსაზრებები იმდენად ხიბლავდა მასას, რომ როგორც კი ამის პირობები შეიქმნა – ტოტალიტარული რეჟიმებიც ჩამოყალიბდა. არ შეიძლება არ დავინახოთ მსგავსება ტოტალიტარული რეჟიმების დამკვიდრების წინაპირობებშიც: პირველი და მეორე მსოფლიო ომებისაგან საშინლად გაჩანაგებული ქვეყნები, ეკონომიკური კოლაფსი, ძველი სახელმწიფო სტრუქტურების ანაქრონიზმი, შიმშილი, მოსახლეობის პაუპერიზაცია, მცირეთა უდიდესი სიმდიდრე და უმრავლესობის სიღატაკე აძლიერებს ტრადიციულისაგან რადიკალურად განსხვავებულ და თანაც ახალი, ჯერ არარსებული მმართველობის სტრუქტურებისადმი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის ლოიალობას, მოლოდინს, იმედს.

არ შეიძლება არ დავინახოთ მსგავსება ახალი, მმართველი ელიტის მცდელობაში, რაც ერის წინაშე მდგომი ამოცანების სწრაფად და ეფექტიანად გადაწყვეტის სურვილში გამოიხატება. ეს კი, ზოგ შემთხვევაში, ისტორიულ პროცესებზე აუცილებლად ძალადობას გულისხმობდა (მაგალითად, „10 წელიწადში დავეწიოთ მოწინავე ინდუსტრიულ ქვეყნებს, თუ არა და დავიღუპებით" (სტალინი), „ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმის გაუვლელად სოციალიზმისაკენ"(სტალინი) .„გერმანელი ხალხისათვის ახალი სასიცოცხლო სივრცეების დაპყრობა"(ჰიტლერი). „პირველი მსოფლიო ომის შედეგების გადასინჯვა"(ჰიტლერი), „ავაშენოთ კომუნიზმი ჩინური სპეციფიკით" (მაო ძე დუნი) და ა.შ.).

ყველა ტოტალიტარული სახელმწიფოსათვის დამახასიათებელია „ნახტომი" – იმედი იმისა, რომ დაიძლევა არნახული წინააღმდეგობა, ჩამორჩენა სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში სულ რაღაც რამდენიმე წელში და მიიღწევა „ნათელი მომავალი", რაც, რგორც ეს საბჭოთა კავშირის მაგალითზე კარგად გამოჩნდა, რაც დრო გადიოდა, სულ უფრო და უფრო ილუზორული ხდებოდა.

თუმცა არ იქნებოდა სამართლიანი, თუ არ შევნიშნავდით ტოტალიტარული საზოგადოების „დადებით" მახასიათებლებსაც – ერის (ხალხების) კონსოლიდაციას არსებული სიძნელეების დაძლევის გზაზე, სხვის დაუხმარებლად რთულ, ისტორიულ ამოცანებთან შეჭიდების სურვილს და გარკვეული წარმატებების მიღწევას, ზოგ შემთხვევაში საკუთარი სახელმწიფოს როლისა და მნიშვნელობის ზრდას რეგიონში იმაზე მეტად, ვიდრე ჩვეულებრივ პირობებში ეს სახელმწიფო ამას დაიმსახურებდა, „დიდგულობას" დიდსა და ძლიერ სახელმწიფოებთან მიმართებაში. დასტურდება, რომ ისეთი ტოტალიტარული ქვეყნები როგორიცაა ლიბია, ერაყი, ჩრ, კორეა გამოირჩეოდნენ წრეგადასული პრეტენზიებით, თავისი შესაძლებლობების გაუთვალისწინებლად ქმნიდნენ დაძაბულობის კერებს, მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების მსჯელობის საგანი ხდებოდნენ, საჭიროებდნენ მუდმივ „კურირებას", რომ არ გამოეწვიათ სერიოზული დაძაბულობა მსოფლიოში, იძულებულს ხდიდნენ მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოებს გამოეყოთ კოლოსალური სახსრები, რომ მომხდარიყო ამ „ჯუჯა" ტოტალიტარული ქვეყნების სამხედრო თუ პოლიტიკური ამბიციების ნეიტრალიზება (მაგალითად, ერაყი).

ტოტალიტარული სახელმწიფოს განვითარება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ლიდერზე – ბელადზე, მის ქარიზმატიულ თვისებებზე. მათ შორისაც ბევრი განსხვავებაა – არიან

იდეისათვის ფანატიკურად ერთგული პიროვნებები (სტალინი, მაო ძე დუნი, ჰიტლერი), არიან ჰედონიზმის ჭაობში ჩაფლულნიც, რომელთაც საკუთარი და საკუთარი ოჯახის ბედნიერება ყველა ფასეულობაზე ძვირფასია (კადაფი, დუვალიე, ფერდინანდ მარკოსი და სხვ.)

ტოტალიტარული ლიდერის პირად თვისებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ხშირ შემთხვევაში მისი პოლიტიკური არენიდან წასვლის, გარდაცვალების შემდეგ, ქვეყანაში რადიკალურად იცვლება პოლიტიკური სიტუაცია, იქმნება რადიკალურად განსხვავებული სოციალურ-ეკონომიკური და მორალურ-ფსიქოლოგიური პირობები. მის გარეშე ეს კონკრეტული ქვეყანა ან ახერხებს უფრო პროგრესული საზოგადოებრივი ცხოვრების შეთვისებას, ან ანარქიისა და უბედურების ხანგძლივი ეტაპის გზას ადგება.

რამდენადაც ტოტალიტარიზმი – როგორც სოციალურ-პოლიტიკური, მორალურ-ფსიქოლოგიური და ეკონომიკური სისტემა მთელ XX საუკუნეს განმსჭვალავს, მისი განვითარების, მისი ევოლუციის შესახებ საზოგადოებათმცოდნეებს გარკვეული მასალა დაუგროვდათ. რა თქმა უნდა ყველაზე დიდ ინტერეს ორი ფენომენი – გერმანული ფაშიზმი და რუსული კომუნიზმი იწვევს.

გერმანული ფაშიზმი, რომელიც მნიშვნელოვანწილად პირველ მსოფლიო ომში დამარცხებული გერმანიის მიმართ გამარჯვებული ქვეყნების მიერ განხორციელებულმა ბარბაროსულმა ქმედებებმა გამოიწვიეს, ერთადერთი ტოტალიტარული რეჟიმია, რომელიც ხელისუფლებაში დემოკრატიული არჩევნების გზით მივიდა. ჰიტლერისა და მისი პარტიის მიერ განხორციელებული გარდაქმნების სოციალური და საერთაშორისო პოლიტიკური შედეგები მეტად თვალში საცემია: 1938 წლისათვის – ხელისუფლებაში მოსვლის 5 წლისთავზე, ჰიტლერმა შეუძელებელი შეძლო- ქვეყანა ყველა პარამეტრით დაწინაურდა, განხორციელდა გერმანელების ყველაზე ფარული ოცნებებიც კი – შეიქმნა „გერმანელი ერის საღვთო რომის იმპერიის" „ახალი გამოცემა" – „მესამე რეიხი", ახალმა სახელმწიფომ შეიერთა თვით ავსტრიაც კი, რომლის დამოუკიდებლობის გარანტი თითქმის მთელი დასავლეთ ევროპა იყო. და კულმინაცია – ქვეყანამ, რომელიც ერთა ლიგაში წლების განმავლობაში იხვეწებოდა საკუთარი შეიარაღებული კონტინგენტის რიცხვი 300 000 კაცამდე გაეზარდა, 1940 წელს წარმატებით განახორციელა დიუნკერკის

სამხედრო ოპერაცია და იმჟამინდელი მსოფლიოს ორი სუპერ-სახელმწიფო – ინგლისი და საფრანგეთი სასტიკად დაამარცხა.

დიუნკერკი – ეს მნიშვნელოვანი ისტორიული გაფრთხილებაა. ეს სიგნალია. მატერიალური რესურსებით მუდამ შეჭირვებულმა, „სუპერსახელმწიფოების" მიერ მარწუხებში მოქცეულმა გერმანიამ მოახერხა ისეთი სახელმწიფოების დამარცხება, რომლებიც იმჟამინდელი მსოფლიოს თითქმის ნახევარს აკონტროლებდნენ, უზარმაზარი მატერიალური შესაძლებლობები ჰქონდათ, ფლობდნენ განუსაზღვრელ ადამიანურ და სამხედრო რესურსებს და ეს საბედისწერო ბრძოლა მაინც წააგეს.

დიუნკერკი მიგვანიშნებს, რომ ისტორიაში არის მდგომარეობა, როცა ეკონომიკურად ძლიერი დემოკრატიული რეჟიმი შეიძლება იყოს სუსტი, სათანადოდ ვერ გამოიყენოს საკუთარი შესაძლებლობები, ფუჭად დაკარგოს დრო, ერის სულიერი თუ მატერიალური პოტენციალი, ვერ გადაჭრას ერის წინაშე მდგომი ვერცერთი საკითხი. მაგრამ ამის მიზეზი დემოკრატია, როგორც სახელმწიფო ფორმა კი არ არის, არამედ დემოკრატიული პოლიტიკური სტრუქტურების უმწიფრობა, პოლიტიკური ელიტის უუნარობაა. ასეთ ხელისუფლებას არ შესწევს ძალა მაქსიმალური დახმარების პირობებში მინიმალურ წარმატებას მაინც მიაღწიოს (ამის ტიპიური მაგალითია საქართველოს III რესპუბლიკა და მისი დემოკრატიული ხელისუფლება).

ნიშანდობლივია, რომ ტოტალიტარიზმის თეორიისა და პრაქტიკის მეცნიერული შესწავლა დასავლეთში დაიწყეს. დღეს ამ მეცნიერებს შეუერთდნენ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში მოღვაწე მეცნიერი-ისტორიკოსები, პოლიტოლოგები, რომლებიც ცდილობენ საკუთარი ქვეყნის უახლესი ისტორიის ღრმად შესწავლის საფუძველზე წარმოაჩინონ ტოტალიტარიზმის ადგილობრივი თავისებურებები, რისი გათვალისწინებაც ყოველთვის არ ხერხდებოდა დასავლეთელი პოლიტოლოგების მიერ. ამასთან, არის საკითხები, რომლებიც დამატებით შესწავლას მოითხოვს – მაგალითად, დასავლეთის სოვეტოლოგების მტკიცება, რომ ტოტალიტარიზმი თვითკმარი, დახურული სისტემაა და მას არ შეუძლია განვითარება, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ეკონომიკურმა ზრდამ გააბათილა და ნათელყო, რომ გარკვეულ პირობებში ეს ზრდა საკმაოდ შთამბეჭდავია.[16]

ასევე, დაფიქრებას და კვლევას საჭიროებს ის გარემოება, რომ ისტორიული გარდატეხის დროს, დასავლეთის დემოკრატიულმა ქვეყნებმა მოკავშირედ აირჩიეს არა ჰიტლერული გერმანია, არამედ სტალინური საბჭოთა კავშირი და საჯაროდ ამტკი-

ცებდნენ, რომ ისინი ერთად იცავენ კაცობრიობის დემოკრატიულ ღირებულებებს. ამიტომაც ტოტალიტარიზმის თეორიასა და პრაქტიკაში ჯერ კიდევ ბევრი საკითხია შესასწავლი.

ტოტალიტარულ რეჟიმებს შორის ყველაზე კლასიკური, ალბათ, რუსული მოდელია, რომელმაც არა მარტო შეძლო მრავალი ათეული წელი ეარსება, არამედ დედამიწის სხვადასხვა ნაწილში შექმნა თანამოაზრეთა მნიშვნელოვანი გუნდი და XX საუკუნის მეორე ნახევარში გახდა მსოფლიოში ორიდან ერთი სუპერსახელმწიფო. ქვემოთ ჩვენ სწორედ ამ ფენომენს შევეხებით.

ტოტალიტარიზმის რუსული მოდელი

როცა პოლიტოლოგები რუსული ტოტალიტარული სახელმწიფოს მოდელზე მსჯელობენ, ყურადღებას მიაპყრობენ რუსეთის გამოუცნობ ისტორიულ წარსულს, მის მართლაც გამოუცნობ „გენეტიკურ კოდს“, რომელიც პერიოდულად მუდამ შეახსენებდა თავს მსოფლიოს ხან საშინლად სისხლიანი გლეხური ბუნტებით (ს.რაზინი, ე. პუგაჩოვი), ხან რევოლუციების კასკადით, ან იმით, რომ ვერანაირად ვერ ირგებდა და მუდამ „პატარა და ვიწრო ჰქონდა ევროპული ხაფთანი“- ეს ნანატრი დემოკრატია.

ბოლშევიკური რევოლუცია რუსეთში გენეტიკური იყო და არა თავსმოხვეული თუ შემთხვევითი? სამართლიანად მიუთითებს რუსი მოაზროვნე ნ. ბერდიაევი: „რევოლუციურობა ეს არის ტოტალიტარობა, მთლიანობა ცხოვრების ყველა აქტის მიმართ... და უნდა გამომუშავებულიყო რუსული მარქსიზმი, რომელიც მთლიანად შეეხამებოდა ამას... ტოტალიტარულ ინსტინქტს. ეს კი – ლენინი და ბოლშევიკებია...არა რევოლუციურმა ხალხოსნობამ, არამედ სწორედ ტოტალიტარულმა მარქსიზმა შეძლო განეხორციელებინა რევოლუცია, რომელმაც რუსეთს მისცა შესაძლებლობა გადამხტარიყო კაპიტალისტური განვითარების სტადიაზე, რაც პირველ რუს მარქსისტებს აუცილებლად მიაჩნდათ. და ეს აღმოჩნდა თანხვედრი რუსულ ტრადიციებთან და ხალხის ინსტინქტებთან (ხაზგასმა ჩვენია-ა.დ.) ამ დროს მითი გლეხი-ხალხის შესახებ დაიმსხვრა... საჭირო გახდა ახალი რევოლუციური მითი და იდეა ხალხის შესახებ შეიცვალა მითით პროლეტარიატზე. **ბოლშევიკები უფრო მეტად ტრადიციულები არიან** (ხაზგასმა ჩვენია-ა.დ.) , ვიდრე ფიქრობენ ზოგიერთები, ის ეთანაწყობა რუსეთის ისტორიული პროცესის თა-

ვისებურებებს. მოხდა მარქსიზმის რუსიფიკაცია (ე.ი. აღმოსავლეთის კულტურულ ტრადიციებთან შეთანაწყობა)".[1]

რა სპეციფიკურ ისტორიულ ტრადიციებზე მიგვანიშნებს ჩინებული მოაზროვნე? სად იყო ჩამარხული რუსეთის ისტორიულ განვითარებაში ტოტალიტარიზმის ის ბაცილა, რომელმაც XX საუკუნეში ასეთი ნაყოფიერი ნიადაგი ჰპოვა და მისცა შესაძლებლობა რუსეთს თითქმის ნახევარ მსოფლიოში გაევრცელებინა და ბოლოს გადაღლილმა და გაკოტრებულმა ასე უპატრონოდ მიაგდო, დაივიწყა (დაივიწყა კი?) ისე, რომ ბოდიშიც კი არ მოუხდია იმ ხალხებისათვის, ვისაც ცხოვრება აურია, ისტორიის ტრადიციული გზა გაუმრუდა, ცხოვრება დაუმახინჯა...

რუსეთის ისტორიაში მართლაც არის რაღაც იდუმალი... ვერასოდეს ვერ ხერხდებოდა ქვეყნის ნორმალური, შინაგანი სოციალურ-ეკონომიკური განვითარება – მუდამ მოდუნებული საწარმოო ძალები, მდორე ეკონომიკური განვითარება, არქაიზმებით გაჯერებული ყოფიერება, უზარმაზარი მატერიალური შესაძლებლობები და სევდისმომგვრელი ყოველდღიურობა. ა. რადიშჩევიდან მოყოლებული რუსეთის მოწინავე ინტელიგენცია ცდილობდა დაერწმუნებინა ქვეყნის მესვეურები, რომ საჭირო იყო რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრების რადიკალური შეცვლა. ჯერ ამას ცდილობდნენ პროპაგანდით, შემდეგ შეეცადნენ ძალის გამოყენებით (დეკაბრისტების აჯანყება). უშედეგოდ – ჯერ კიდევ ძლიერი იყო რუსეთის სახელმწიფო მანაქანა და მისი მთავარი ატრიბუტი – არმია- რუსეთის სახელმწიფოს ძლიერებისა და ქვეყნის სტაბილურობის მუდმივი გარანტი ყველა ეპოქაში.

ტრადიციულად რუსეთში ვერ ხერხდებოდა საზოგადოებრივი ცხოვრების ევოლუცია, მას მუდამ სჭირდებოდა ძლიერი ბიძგი, რომ საბოლოოდ არ „ჩასძინებოდა". რუსეთის საზოგადოების ტრადიციულ ინერტულობას ზოგი მკვლევარი ქვეყნის მკაცრს კლიმატურ პირობებს უკავშირებდა, ზოგი – „იდუმალებით მოცულ რუსულ სულში" ეძებდა, ზოგიც რუსეთის ისტორიის განვითარების ლოგიკაში ხედავდა.

ისტორიის ლოგიკა კი გვასწავლის, რომ რუსეთის საზოგადოებრივი ყოფიერება მუდამ სხვისი მიბაძვით, სხვისი გავლენით ვითარდებოდა: სახელმწიფოებრიობა ნორმანებმა დანერგეს, რელიგია – ბერძნებმა უწყალობეს, სისასტიკე – მონღოლებისაგან შეითვისეს, ევროპული პროგრესის ანაბანას – გერმანელებს დაესესხნენ და ყველაფერი ეს დაკავშირებული იყო უდიდეს სისხლისღვრებთან, სიახლე რუსეთს მუდამ მეტად ძვირი უჯდებოდა. მაგრამ კარგი შრომა – ვერავიგან ისწავლეს, რად-

გან შრომით ტრადიციებს ძლიერი „გენეტიკური კოდი“ ჭირდება და მისი ძალით კულტივირება ვერ ხერხდება, ამიტომაც მუდამ იყო შინ თუ გარეთ მოარული შეხედულება „რუსი კაცის ბუნებრივი სიზარმაცის“ შესახებ.

რუსეთის ისტორიული განვითარების ბოლო სამი საუკუნე მიგვანიშნებს, რომ ევროპა – რუსეთის საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების მაგალითი და ძირითადი სტიმულიც კი იყო, მაგრამ ვერ მოხერხდა ევროპული სახელმწიფოების შინაგანი კანონზომიერების, „მისტიკური კოდის“ გადმოღება-შეთვისება, რაც საზოგადოების შინაგან ზეაღმავალ განვითარებას უზრუნველყოფდა. ყველა ევროპული „ნოუ-ჰაუ“ რუსეთში ზოზინით, ნელ-ნელა ინერგებოდა. შეიძლება ამ შემთხვევაში მართალია მაქს ვებერი, რომელიც მიუთითებს, რომ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრესის მუდამ აღმძრავი მუხტი პროტესტანტიზმშია, რაც ძალუმად არის დამახასიათებელი მხოლოდ ანგლო-საქსური გენის მატარებელი ხალხებისათვის და მთლიანად გამორიცხავს აქ ორთოდოქსალური ქრისტიანობის მატარებელ ხალხს, რომლებსაც უჭირთ სიახლის აღქმა, რადიკალური ცვლილებების რეალიზაცია.

ცივილიზაციებს შორის რადიკალურ გენეტიკურ განსხვავებას ასაბუთებს ინგლისელი ა. ტოინბი და უპირატესობას დასავლეთის, მარადგანახლებად სტიმულების მატარებელ ხალხებს უკავშირებს. კათოლიციზმი და მართლმადიდებლობა ორი, ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებული რელიგიური მსოფლმხედველობა აპირობებდა მათი მიმდევარი ხალხების რადიკალურად განსხვავებულ ცხოვრების წესს. კათოლიციზმმა წარმოშვა ცეზარო-პაპიზმი – სასულიერო ხელისუფლების შეუზღუდველი ბატონობა საეროზე (ასეთი რამ რუსეთის ისტორიაში მხოლოდ XVII საუკუნეში, პატრიარქ ნიკონის პერიოდში მოხდა და ის მარცხით დასრულდა), რამაც სტიმული მისცა პროტესტანტიზმის იდეოლოგიას, ამან კი პიროვნების თავისუფლებისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება ჩამოაყალიბა. ამ ქვეყნებში გლეხი პიროვნულად განთავისუფლდა შუა საუკუნეებში, როცა რუსეთში ეს დიდი ძალისხმევის შედეგად მხოლოდ 1861 წელს მოხდა და მისი გადმონაშთები კიდევ დიდხანს იყო შემორჩენილი.

რუსეთის საზოგადობის მოწინავე ნაწილი მუდამ მტკივნეულად განიცდიდა სამშობლოს უღიმღამო ყოველდღიურობას. რუსი მოაზროვნეები ა. გერცენი, ე. ჩერნიშევსკი. ნ. დობროლუბოვი და სხვები უდიდეს ძალისხმევას ახმარდნენ თავისი ქვეყნის

მოსახლეობის გამოღვიძების, ქვეყანაში პროგრესის განხორციელების საქმეს. ისინი ობიექტურად ხედავდნენ არსებულ სინამდვილეს და გულწრფელად ებრალებოდათ საკუთარი თვინიერი, ინერტული, დაბეჩავებული და დათრგუნული ერი. ბ. ბელინსკი ძალიან მკაცრი იყო შეფასებებში, როცა რუსებს „საუკუნეების მანძილზე სიბინძურესა და ნეხვში ჩაკარგული ხალხი“ უწოდა, ხოლო ნ. ჩერნიშევსკი, რუსეთის მოსახლეობის ინერტულობით შეწუხებული, მიუთითებდა: „მონების ერი, თითოეული მათგანი მონაა!“

რუსეთის მრავალმილიონიანი მოსახლეობის საღათას ძილიდან გამოღვიძებას ძლიერი სოციალური კატაკლიზმები და ძლიერი ორგანიზაციული საფუძვლები ჭირდებოდა. რუსმა განმანათლებლებმა თეორიულად მოამზადეს და პირველი პრაქტიკული ნაბიჯებიც გადადგეს რუსეთში ნიჰილისტური მოძრაობის გასავითარებლად.

მათ მხარში დაუდგნენ რუსი ნაროდნიკები, რომლებმაც უდიდესი როლი შეასრულეს რუსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობაში. მათ ხელი ჩასჭიდეს ა. გერცენის მიერ რუსეთის სოციალურ ბედნიერებად მიჩნეულ თეზას – რუსული თემის სოციალისტური ბუნების შესახებ და სცადეს მის ნიადაგზე შეექმნათ ახალი რევოლუციური თეორია. ა. გერცენი ხაზგასმით მიუთითებდა: „რა ბედნიერებაა რუსეთისათვის, რომ რუსული თემი არ დაილუპა, რომ კერძო საკუთრებამ არ დააქუცმაცა საკუთრება თემობრივი; რა ბედნიერებაა რუსი ხალხისათვის, რომ ის დარჩა ყველა პოლიტიკური მოძრაობისაგან განზე, ევროპული ცივილიზაციისაგან განზე, რაც უეჭველად ააფეთქებდა თემს“ .[2]

რუსული ცხოვრების ატავიზმი – თემურ-გვაროვნული წყობილებისაგან შემორჩენილი მინის თემობრივი საკუთრება სოფლად: კოლექტიური სარგებლობა საძოვრებისა და სავარგულების, კოლექტიური შრომა, კოლექტიური პასუხისმგებლობა რუს მოაზროვნეებს რუსეთის ისტორიის ერთ-ერთ მთავარ მონაპოვრად მიაჩნდათ. რამდენადაც ისინი სოციალური თანასწორობის მიღწევას ცდილობდნენ, მათ გულუბრყვილოდ ეგონათ, რომ რუსული თემი ამაში დაეხმარებოდა თავისი კოლექტივისტური (თემური) სულისკვეთებით, კოლექტივისტური (თემური) პასუხისმგებლობით, კოლექტივისტური (თემური) შრომით, კოლექტივისტური(თემური) ორგანიზაციით (იქნებ კოლექტიური მეურნეობაც სწორედ ამ ოცნების გვიანდელი ტრანსფორმაციაა?!).

ისტორიული ატავიზმი ერის ღირსებად ჩაითვალა. ამ მოსაზრებამ აიყოლია რუსეთის ახალგაზრდობის ერთი ნაწილი და ისინი „ხალხში გავიდნენ“ და „რუსული სოციალიზმის“ პროპაგანდა დაიწყეს. მაგრამ აშკარად წააწყდნენ რუსი გლეხის სიბნელეს, მის ცარისტულ შეხედულებებს, გულგრილობას, ზოგჯერ აშკარად უარყოფით რეაქციასაც კი.

რუსი გლეხის ინერტულობამ რევოლუციონერებს თვითკმარი, მკაცრად გასაიდუმლოებული, კონსპირაციული ორგანიზაციების ჩამოყალიბებისაკენ უბიძგა. მათ რუსეთში რევოლუციური სიტუაციის მომწიფება და რევოლუციის პროვოცირება სცადეს ტერორისტული მეთოდების გამოყენებით, მაღალჩინოსანი ბიუროკრატიისა და სამეფო ოჯახის წარმომადგენლების მკვლელობების სერიით. ტერორი – მათი რევოლუციური მუშაობის მთავარი იარაღი გახდა. სოფიო პეროვსკაიას ჯგუფის საქმიანობა ნეჩაევშჩინაში გადაიზარდა – რუსეთის იმპერია რევოლუციონერ-ტერორისტების ძალადობამ წალეკა. ასეთი მკაცრი, რევოლუციური მეთოდები ორგანულად ჯდებოდა რუსი განმანათლებლების რადიკალურ შეხედულებებში. ბ. ბელინსკი მიუთითებდა: „...ღმერთის ათასწლოვანი მეუფება დედამიწაზე დამყარდება არა ჟირონდას ტკბილი და აღფრთოვანებული სიტყვებით, არამედ ტერორისტებით – ორლესული ხმლით და საქმით რობესპიერებისა და სენ-ჟუსტების...“ [3]

მეტად წინაწარმეტყველურად ჟღერს ა. გერცენის შემდეგი სიტყვებიც: „კომუნიზმი ჩაიქროლებს მღელვარედ, საშინლად, სისხლით, უსამართლობით, სწრაფად. ჭექაქუხილს შორის, ალმოდებული სასახლეების ფონზე, ფაბრიკებისა და წარმომადგენლობითი ადგილების ნანგრევებზე – წარმოჩნდებიან ახალი აღთქმანი, რწმენის ახალი სიმბოლოების მსხვილად მოხაზული კონტურები“. [4]

მაგრამ, რუს მოაზროვნეთა შორის იყვნენ სხვებიც – რომლებიც შიშით და ძრწოლით უყურებდნენ რუსეთში მიმდინარე რევოლუციურ პროცესებს და სერიოზულად უფრთხოდნენ მას. მათ აკრთობდათ ახალგაზრდების რადიკალიზმი, შეუბრალებლობა, მოჭარბებული ნიჰილიზმი. გენიალურმა თ. დოსტოევსკიმ ჩინებულად აჩვენა რუსი ჭეშმარიტი ინტელიგენტის შიში ასეთი „რევოლუციურად შემართული პირების“ მიმართ, როცა ერთ-ერთ თავის პერსონაჟს, რევოლუციონერს ათქმევინა შემდეგი: „გამიგონეთ, ჩვენ გადავატრიალებთ ქვეყანას. გიჟივით ბუტბუტებდა ვერხოვენსკი, არ გჯერათ? ისე გადავატრიალებთ, ყველაფერი თავდაყირა დადგეს... ჩვენ ჩავკლავთ ამ სურვილს:

ქვეყნად გავამეფებთ ლოთობას, ჭორებს, ჯაშუშობას, გაუგონარ გარყვნილებას. ჩანასახშივე მოვაშთობთ ყოველ გენიოსს. საყოველთაო მნიშვნელი სრული თანასწორობა იქნება..." [5]

თანასწორობა... რუსეთის რიგითი მოქალაქისათვის მაგიური სიტყვა თავისუფლების ნაცვლად. რუსი ყოველთვის უფრო ადვილად ურიგდება თავისუფლების შეზღუდვას, მაგრამ განსაკუთრებით მტკივნეულად განიცდის უთანასწორობას, თუნდაც ეს გამომდინარეობდეს განსხვავებული ნიჭიერების, განსხვავებული შრომისმოყვარეობის, განსხვავებული გონებრივი წყობისაგან. ა. გერცენი სამართლიანად მიუთითებდა: „ანგლოსაქსურმა ხალხებმა გაათავისუფლეს პიროვნება, უარყვეს რა საზოგადოებრივი საწყისი, განაცალკევეს რა ადამიანი. რუსმა ხალხმა კი შეინარჩუნა საზოგადოებრივი საწყისი, უარყო რა პიროვნება, ჩაყლაპა რა ადამიანი". [6]

სწორედ ამიტომ არის მეტად ფასეული ნ. ბერდიაევის ზემოთ მოტანილი მეტად ზუსტი და ამომწურავი დახასიათება რუსეთში შექმნილი ვითარებისა, რომ რუსული რევოლუციური აზროვნების თაურსახე, კვინტესენცია საოცრად ერთგულად და თანმიმდევრულად აიტაცეს რუსმა ბოლშევიკებმა და მათი ძალა სწორედ იმაში იყო, რომ შეძლეს ყველა იმ ნაოცნებარის ცხოვრებაში გადმოტანა, რითიც მდიდარი იყო რუსეთის წინაბოლშევიკური რევოლუციური ლიტერატურა გერცენიდან დაწყებული ჩერნიშევსკით დამთავრებული. ბოლშევიზმი – ეს პოლიტიკურ ცხოვრებაში რუსული რადიკალიზმის გენეტიკური გაგრძელებაა.

ამ კონტექსტში მეტად საინტერესოდ ჩანს ის დაკვირვება, რაც დასავლეთ ევროპაში (განსაკუთრებით შვეიცარიაში) გადახვენილი რუსი ემიგრანტების- რევოლუციურად განწყობილი სტუდენტების საქმიანობის შესახებ გაკეთდა სპეციალურ ლიტერატურაში: „რუსები იყვნენ გულუბრყვილონი, მაგრამ სრულიად სხვა გაგებით. ისინი სწავლას განიხილავდნენ როგორც მოსამზადებელ საფეხურს მომავალი რევოლუციისათვის. ისინი არ ესწრაფვოდნენ პროფესიონალური განათლების მიღებას, არც აპირებდნენ გამხდარიყვნენ დაწინაურებული, მდიდარი ადამიანები... მათი უმეტესობა ცხოვრობდა უკიდურეს გაჭირვებაში...მათ არ ჰქონდათ იმედი ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისა; და თუ კი ასეთი რამ მაინც შეიმჩნეოდა მათში, ის იყო მეორეხარისხოვანი და მოსაწყენი იმ მთავარ საქმესთან (იგულისხმება რევოლუცია – ა.დ.) შედარებით. რუსი სტუდენტები, დაკავებულნი იყვნენ უფრო მნიშვნელოვანი პრობლემებით. ისინი ეწეოდნენ გაუთავებელ, ერთმანეთთან დაუკავშირებელ სა-

უბრებს მსოფლიოს მომავალზე, ამ მომავალში რუსეთის როლზე, მისი განვითარების შესახებ. შვეიცარიის საუნივერსიტეტო ქალაქების მანსარდები გადაიქცნენ ინკუბატორებად მომავალი რევოლუციონერი ლიდერებისათვის, რომლებმაც ასე დაარღვიეს ბურჟუაზიული საზოგადოების მყუდროება". [7]

საოცრად ზუსტი დახასიათებაა. სწორედ ასეთ მანსარდებში, ასეთ ერთმანეთთან დაუკავშირებულ, განყენებულ პოლიტიკურ საუბრებში ყალიბდებოდა ბოლშევიზმის ლიდერების, მათ შორის ვლადიმერ ულიანოვ - ლენინის მსოფლმხედველობაც, რაც სულ უფრო სცილდებოდა ორთოდოქსალურ მარქსიზმს. სწორედ აქ, შვეიცარიაში ჩამოუყალიბდა მას შეხედულება, რომ იმპერიალიზმი არის კაპიტალიზმის უკანასკნელი სტადია, რომ კაპიტალიზმმა ამოწურა თავისი შესაძლებლობები და უკვე შეიქმნა ყველა პირობა სოციალისტური რევოლუციისათვის. სწორედ ასეთ ერთმანეთთან დაუკავშირებელ საუბრებში, შვეიცარიის საუნივერსიტეტო ქალაქების მანსარდებში ჩამოყალიბდა მოსაზრება კომუნიზმის გარდუვალობის შესახებ. სამშობლოსგან დიდი ხნით მოწყვეტილ პარტიულ ლიდერებში დაიბადა ილუზია, რომ ყველა ამ პროექტისათვის რუსეთში ყველა პირობა შექმნილია და საჭირო იყო მხოლოდ ძლევამოსილი რევოლუცია, რომ „ნათელი მიზანი" რეალობად გადაქცეულიყო.

რევოლუციის „ბებიაქალის" როლი, როგორც უკვე აღინიშნა, მსოფლიო იმპერიალისტურმა ომმა შეასრულა, როცა უკიდურესად დაიძაბა სოციალური ვითარება ყველა ქვეყანაში, განსაკუთრებით რუსეთში და მართლაც შექმნა რევოლუციური სიტუაცია. მაგრამ არა კომუნისტური რევოლუციისათვის, განსაკუთრებით კი რუსეთში, რომლის მოსახლეობის დიდი უმეტესობა გლეხობა იყო და ეკონომიკაც არ შეესაბამებოდა მარქსიზმის თეორიით ნაგულისხმევი ეკონომიკური განვითარების დონეს.

მაგრამ ლენინის, ტროცკის და სხვა ბოლშევიკი ლიდერების გენიალობა სწორედ ის არის, რომ შეძლეს საკუთარი და საკუთარი პარტიის ისეთი მობილიზაცია, რომ წარმატებით გაართვეს თავი პოლიტიკურ კონკურენციას და ძალის გამოყენებით ხელში დიდი ხნით ჩაიგდეს ძალაუფლება.

მეტად საგულისხმოა, რომ ბოლშევიკები, რომლებიც სოციალ-დემოკრატების მემარცხენე, რადიკალურ ფრთას წარმოადგენდნენ, რომლებიც თანმიმდევრულად ამხელდნენ და ებრძოდნენ რუსეთის მეფის დესპოტიას, პიროვნული თავისუფლებების უგულვებყელყოფას, მოითხოვდნენ სიტყვის, პრესის და

კავშირების თავისუფლებებს, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ რადიკალურად შეიცვალნენ. რაშია ამის მიზეზი?

ჩვენი აზრით, ამის მიზეზია აპრიორი – ბოლშევიკები პროლეტარიატისა და უღარიბესი გლეხობის ინტერესების ყველაზე საუკეთესო დამცველნი და გამტარებელნი არიან, რომ ყველაფერი, რასაც ისინი აკეთებენ, არის სწორი, სამართლიანი, მიმართული კომუნიზმის „საუკუნოვანი სუფევის" დასამკვიდრებლად, ამიტომაც ყველა, ვინც ნებით თუ უნებლიეთ ამის მოწინააღმდეგეა – არის შეურიგებელი მტერი, ხალხის ინტერესების გამყიდველი, ამიტომაც ექვემდებარება განადგურებას, ლიკვიდაციას .

სპეციალურ ლიტერატურაში სამართლიანად არის შემჩნეული, რომ ბოლშევიზმისათვის ტერორი – აუცილებლობაა, რადგან კომუნისტური იდეოლოგიის რეალიზება აუცილებლად დაკავშირებულია საზოგადოების იმ ფენების ფიზიკურ განადგურებასთან, რომლისთვის თეორიულადაც კი მიუღებელია კომუნისტური პრინციპები, აქედან გამომდინარე საზოგადოებრივი ურთიერთობები. ამიტომ საჭიროა საზოგადოებაში სწრაფად და რადიკალურად შეიცვალოს მათი ხვედრითი წილი – მოხდეს მათი ფიზიკური ან სულიერი განადგურება, რაც ხელს აღარ შეუშლის კომუნისტურ საზოგადოებას და მათი მაგალითით დაამკვიდრებს „შიშის მარაგს" ათნლეულობის მანძილზე. [6]

კომუნიზმის უტოპიური იდეების რეალიზაცია მხოლოდ „პროლეტარიატის დიქტატურის" საფუძველზე იყო შესაძლებელი, რამაც თავიდანვე გამორიცხა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ფასეულობები, ისინიც კი, რომლებსაც რამდენიმე წლის წინ თვითონ ბოლშევიკები პოლიტიკურ ლოზუნგებად აყენებდნენ და მათი რეალიზაციისათვის ცარიზმის წინააღმდეგ იბრძოდნენ.

ვ.ი. ლენინს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ფასეულობებისადმი ნიჰილიზმი დასავლეთ ევროპაში ყოფნამ გაუძლიერა. მისთვის მიუღებელი გახდა საპარლამენტო დემოკრატია და ეს აისახა კიდეც მის საპროგრამო ნაშრომში „სახელმწიფო და რევოლუცია", რომელიც სწორედ იმისთვის დაწერა, რომ თეორიულად გაემართლებინა და მარქსიზმის ფუძემდებლურ პრინციპებთან მჭიდროდ დაეკავშირებინა პროლეტარიატის დიქტატურის ის რადიკალური საშუალებები, რამაც შესაძლებლობა მისცა არა მარტო დაეპყრო ხელისუფლება, არამედ შეენარჩუნებინა კიდეც. საპარალამენტო დემოკრატიის მთავარ მიზანს ლენინი იმაში ხედავდა, რომ მას რამდენიმე წელიწადში ერთხელ გადაეწყვეტა ის, „თუ გაბატონებული კლასის რომელმა წევრმა უნდა

დათრგუნოს, ჩაახშოს ხალხი პარლამენტში... აი, რაშია ნამდვილი არსი ბურჟუაზიული პარლამენტარიზმის". აქვეა ტოტალიტარიზმის ერთ-ერთი მთავარი თავისებურების – საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების განუყოფლობის იდეის დასაბუთება. ლენინის მიერ პარლამენტური დემოკრატიის კრიტიკა კიდევ უფრო შორს მიდის: „ნამდვილ „სახელმწიფო" მუშაობას კულუარებში ეწევიან და ასრულებენ დეპარტამენტებში, კანცელარიებში,. შტაბებში. პარლამენტში უბრალოდ ლაყბობენ იმ სპეციალური მიზნით, რომ ატყუონ „უბრალო ხალხი" .[9]

ლენინის აზრით პროლეტარული სახელმწიფოს მმართველი აპარატი „არა პარლამენტური, არამედ მომუშავე დაწესებულება უნდა ყოფილიყო, რომელიც გარდამავალ დროს კანონმდებელიც იქნებოდა და კანონის აღმსრულებელიც".[10] რევოლუციურ ბრძოლებში, სამოქალაქო ომსა და ინტერვენციის დროს რუსი ბრლშევიკები სულ უფრო აქტიურად იყენებდნენ სამხედრო მეთოდებს. პარტია თანდათან დაემსგავსა სამხედრო ორგანიაზაციას. ეს მას ეხმარებოდა ძალაუფლების შენარჩუნებაში. ეს აისახა პარტიის წესდებაშიც კი: „უსასტიკესი პარტიული დისციპლინა წარმოადგენს პარტიიის წევრისა და ყველა პარტიული ორგანიზაციის უპირველეს მოვალეობას. პარტიული ცენტრების დადგენილებანი უნდა სრულდებოდეს სწრაფად და ზუსტად." [11] „შეუბრალებლად უნდა აღიკვეთოს „კომუნისტთა"- სახელმწიფო თუ სამეურნეო ხელმძღვანელთა, პირადი გამორჩენის ცდები, " „შეუბრალებლად უნდა აღიკვეთოს კინკლაობა და დაჯგუფებანი", რომლებიც ალაგ-ალაგ იწვევენ პარტმუშაობის მოშლას".[12]

„შეუბრალებლად გავანადგუროთ", „შევმუსროთ", „დავთრგუნოთ" „გავტეხოთ მათი წინააღმდეგობა" – ეს მოწოდებები ფუჭი სიტყვები არ იყო და ის საოცრად სკრუპულოზურად სრულდებოდა რეალური თუ ილუზორული მტრების წინააღმდეგ. მაგალითს თვითონ პარტიის ბელადები იძლეოდნენ, რომლებიც სასტიკად ულმობელნი იყვნენ როგორც საკუთარი თავის, ისე სხვების მიმართ და საოცრად ადვილად აგზავნიდნენ გილიოტინაზე იმათ, ვინც წინა დღეს დიდების კვარცხლბეკზე აიყვანეს.

ძალმომრეობა – ბოლშევიკების პირველშობილი ცოდვა და დიდი, მოუშორებელი ლაქა იყო.

მეორე დიდი ცოდვა – ეს უტოპიური იდეის „კომუნიზმის" და მისი ძალმომრეობით დამკვიდრებისათვის გაწეული არნახული ძალისხმევა იყო. პირველი კომუნები, მცდელობა კომუნალუ-

რი სახლების შექმნისა და დამკვიდრების, ოჯახის არსებული სისტემის ნგრევა, ბავშვის აღზრდის სოციალიზაციის მცდელობა, კერძო საკუთრების სრული ლიკვიდაცია, ტრადიციული რელიგიური შეხედულებების ტოტალური განადგურება, მებრძოლი ათეიზმი და მათ ნანგრევებზე „რწენის ახალი სიმბოლოების“ მშენებლობა – მხოლოდ ტადიციულ საზოგადოებაზე, რიგითი ადამიანის შეგნებაზე ძალადობის პერმანენტული პროცესის განხორციელებით იყო შესაძლებელი და ეს საოცრად ერთგულად იქნა შესრულებული.

მესამე დიდი ცოდვა – ეს იყო მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის გარდუვალობის რწმენა, განსაკურებით ოქტომბრის რევოლუციის შემდგომ პირველ ხანებში, ლენინის გარდაცვალებამდე. ეს კი გულისხმობდა რევოლუციის ექსპორტს, საკუთარი პოლიტიკური სისტემის, იდეალებისა და მიზნების სხვა ხალხებზე ძალით თავსმოხვევას. ლენინი არც მალავდა, რომ „ინტერნაციონალიზმი საქმით ერთია და მხოლოდ ერთი: თავდადებული მუშაობა საკუთარ ქვეყანაში რევოლუციური მოძრაობის, რევოლუციური ბრძოლის გასაძლიერებლად, მხარდაჭერა (პროპაგანდით, თანაგრძნობით, მატერიალურად) ასეთივე ბრძოლისა, ასეთივე ხაზისა და მარტოდმარტო მისი ყველა ქვეყანაში გამოუკლებლივ“ .[13]

1917-1921 წლების პერიოდში ბოლშევიკურმა რუსეთმა წარმატებას მხოლოდ სამოქალაქო ომის ფრონტებზე მიაღწია და ისიც მკაცრი სამხედრო წესების, დემაგოგიისა და ე.წ. „ნათელი მომავლისადმი“ უკვე დანთებული კელაპტრის საშუალებით. მაგრამ ამ პერიოდშივე ჩამოყალიბდა ტოტალიტარიზმის ძირითადი პრინციპები, რომლებიც შემდეგ, უკვე სტალინის მმართველობის ხანაში დასრულებულ სახეს მიიღებს. ეს არის პარტიის უზენაესობა პარტიის მიერ ძალაუფლების უზურპაცია, პარტიული ხელისუფლების ბატონობა საბჭოთა პოლიტიკურ სისტემაზე (ცეზარო-პაპიზმის რუსული მოდელი) ძლიერი დამსჯელი აპარატი და მობილური ძალოვანი სტრუქტურები, რომლებსაც მთლიანად აკონტროლებდა კომუნისტური პარტია, მებრძოლი ათეიზმი და ახალი იდეოლოგიის ძალისმიერი დამკვიდრება, კოლექტივისტური ცნობიერების პროპაგანდა და ინდივიდუალიზმის წინააღმდეგ შეურიგებლობა, მონოპოლია ჭეშმარიტებაზე, ოპოზიციური შეხედულებებისა და ოპოზიციური მოძრაობის მიუღებლობა, განათლების სოციალიზაცია, პიროვნების კომუნისტური აღზრდის დასაწყისი და ა.შ.

ამრიგად, რუსეთის ბოლშევიკურმა რევოლუციამ მსოფლიოს სხვადასხვა ხალხში, სხვადასხვა დროს სოციალური თანასწორობის მიზნით განხორციელებული ტოტალიტარული მეთოდების გარკვეული სინთეზი მოახდინა და მას კლასიკური სახე მისცა. ევროპის, აზიის, ლათინური ამერიკის მთელ რიგ ქვეყნებში, სადაც კი მოხდა კომუნისტური თუ პროკომუნისტური გადატრიალება, სახელმწიფოს ფორმა ან ზუსტად იმეორებდა ან ძალიან უახლოვდებოდა ტოტალიტარიზმის საბჭოურ (რუსულ) მოდელს.

1921 წელს ბოლშევიკურმა რუსეთმა პოლიტიკური და ეკონომიკური მოსაზრებებით მოახდინა საქართველოს ოკუპაცია და აქ კომუნისტური რეჟიმი დაამყარა, რომელსაც სათავეში თავისი ქართველი სატელიტები ჩაუყენა. როგორ, რა ფორმებით განხორციელდა საქართველოში კომუნისტური დიქტატურა, რითი ჰგავდა და რით განსხვავდებოდა ბოლშევიკური გადატრიალების „ქართული შედეგი" რუსულისაგან – არის სწორედ წინამდებარე გამოკვლევის ძირითადი შინაარსი.

თავი II. საქართველოს ოკუპაცია რუსეთის მიერ და ტოტალიტარული რეჟიმის დამკვიდრება

საქართველო ტოტალიტარული რეჟიმის წინ

XX საუკუნის დამდეგიდან რუსეთის იმპერიაში მეფის თვითმპყრობელობის დასამხობად გაშლილ რევოლუციურ მოძრაობას შეერწყა ქართველი ხალხის ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლა, ასევე საზღვარგარეთ ქართველ მოღვაწეთა ძალისხმევა საქართველოს ავტონომიისათვის და დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის.

ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში მონაწილეობდა სამღვდელოებაც, რომლის მიზანი საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა იყო. ქართველმა ავტოკეფალისტურმა საზოგადოებამ ისარგებლა 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შედეგად ცარიზმის დამხობით და 1917 წლის 12 მარტს აღადგინა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია. რუსეთის დროებითი მთავრობა იძულებული იყო ეცნო საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენა და შეაფასა იგი როგორც „ქართული ეკლესიის თვითგამორკვევის აქტი“[1].

ცარიზმის დამხობის შემდეგ ამიერკავკასია ჩამოსცილდა რუსეთს და მისი მართვა-გამგეობისათვის შეიქმნა ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი („ოზაკომი“). საქართველოს პოლიტიკურმა პარტიებმა გააძლიერეს ბრძოლა საქართველოს პოლიტიკური ავტონომია-ფედერაციისათვის. 1917 წლის ივნისში „ოზაკომმა“ შექმნა ეროვნებათა საბჭოები, მაგრამ აქ თავი იჩინა წინააღმდეგობებმა.

რუსეთში 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ, ქართველმა, სომეხმა და აზერბაიჯანელმა პოლიტიკურმა პარტიებმა ჩათვალეს, რომ შეიქმნა ხელსაყრელი მომენტი ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის. 15 ნოემბერს თბილისში ჩატარებული თათბირის გადაწყვეტილების საფუძველზე შეიქმნა ამიერკავკასიის დროებითი მთავრობა-კომისარიატი. მაგრამ წარმოიშვა აზრთა სხვადასხვაობა ამიერკავკასიის სახელმწიფოებრივ-ტერიტორიული მოწყობის ფორმის საკითხზე. ზოგიერთი ქართული პოლიტიკური პარტია ზედმეტად თვლიდა ცალკეული ეროვნული ჯგუფებისათვის ავტონომიის სტატუსის მინიჭებას და მოითხოვდა ამიერკავკასიის მხოლოდ სამი ძირითადი ერისათვის ავტონომიური სახელმწიფოს ჩამოყალიბებას

და მათ გაერთიანებას ფედერაციაში, რაც მათი აზრით, მოამზადებდა პირობებს საქართველოს სრული დამოუკიდებლობისათვის. 1917 წლის 18 ნოემბერს მოიწვიეს საქართველოს ეროვნული ყრილობა. ყრილობამ 21 ნოემბერს პარიტეტულ საფუძველზე აირჩია ეროვნული საბჭო, რომელსაც უნდა შეესრულებინა პარლამენტის ფუნქცია.

1918 წლის იანვარში გამოცხადდა ამიერკავკასიის სეიმის – საკანონმდებლო ორგანოს შექმნა, მისი ფრაქციებისაგან კი შეიქმნა დროებითი მთავრობა აკ. ჩხენკელის თავმჯდომარეობით. 10 მარტს სეიმმა დაამტკიცა აგრარული კანონი, რომელიც ითვალისწინებდა მსხვილი მემამულური მიწების კონფისკაციას. მაგრამ აღნიშნული კანონი ვერ განხორციელდა.

მძიმე საშინაო მდგომარეობას თან ერთვოდა საგარეო გართულება. 1918 წლის თებერვალ-მარტში თურქეთმა მოითხოვა ბათუმისა და ყარსის ოლქების ტერიტორიების გადაცემა. ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულებამ (1918 წლის 3 მარტი) აღნიშნული ტერიტორიები დაუთმო თურქეთს. ამიერკავკასიის დროებითმა მთავრობამ თურქეთს შესთავაზა ზავი 1914 წლის საზღვრების უცვლელად შენარჩუნების პირობით. მაგრამ ამას არა თუ შედეგი არ მოჰყოლია, არამედ, პირიქით, თურქეთის ჯარმა მარტ-აპრილში დაიკავა ყარსის ოლქი, ერევნის გუბერნიის დიდი ნაწილი, ბათუმის ოლქი, ახალციხე-ახალქალაქის მაზრების და ოზურგეთის მაზრის ნაწილის ტერიტორია[2]. საქართველოს და სომხეთის ჯარებმა ვერ შეძლეს თურქთა შემოსევის შეჩერება.

ამიერკავკასიის სეიმის მიერ 1918 წლის 22 აპრილს გამოცხადებული ამიერკავკასიის დამოუკიდებლობისა და ფედერაციული რესპუბლიკის შექმნის შემდეგ განახლდა მოლაპარაკება თურქეთთან. მაგრამ იგი კვლავ აყენებდა აღნიშნული ტერიტორიების ოკუპაციის აღიარებას და, ამის გარდა, მოითხოვდა ამიერკავკასიის რკინიგზაზე საკუთარ კონტროლს. ამიერკავკასიის მესვეურებს ამ მოთხოვნების დაკმაყოფილება არ შეეძლოთ და დახმარების იმედი საქართველოს ეროვნულმა საბჭომ დაამყარა გერმანიაზე.

1918 წლის 15 მაისს აკ. ჩხენკელმა, რომელიც მონაწილეობდა ბათუმის საზავო მოლაპარაკებებში, ნ. ჟორდანიას საიდუმლოდ შეატყობინა, რომ მოლაპარაკება თურქეთთან ამიერკავკასიის სახელით ჩიხში მოექცა და მან ქართულ ეროვნულ საბჭოს და ნ. ჟორდანიას შესთავაზა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება. მისი აზრით დამოუკიდებლობის გა-

მოცხადება იყო ერთადერთი გამოსავალი შექმნილი მდგომარეობიდან. აკ. ჩხენკელი თავის წინადადებასთან ერთად ეროვნულ საბჭოს კარნახობდა კონკრეტულ ღონისძიებებსაც.

1918 წლის 26 მაისს 3 საათზე ამიერკავკასიის სეიმმა მიიღო რეზოლუცია ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის დაშლის, თვითლიკვიდაციის თაობაზე. იმავე დღის 5 საათზე კი გაიხსნა საქართველოს ეროვნული საბჭოს სხდომა, რომლის დავალებით ნ. ჟორდანიამ ქართულ საზოგადოებას და უცხოელ სტუმრებს გამოუცხადა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი.

ამრიგად, საქართველოში მეფის რუსეთის 117 წლიანი კოლონიზატორული ბატონობის შემდეგ აღსდგა საქართველოს ეროვნული სახელმწიფოებრიობა, შეიქმნა დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკა.

საქართველოს ეროვნულმა საბჭომ იმავე დღეს აირჩია ეროვნული მთავრობა და გამოაცხადა, რომ ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა; რომ დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმა დემოკრატიული რესპუბლიკაა; რომ საერთაშორისო ორგანიზაციაში საქართველო ნეიტრალური სახელმწიფო იქნება და ა.შ.[3];

1918 წლის 26 მაისს მიღებული საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის შესაბამისად ეროვნულ საბჭოში შევიდნენ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები აფხაზების, ოსების, რუსების, სომხების, აზერბაიჯანელების, ებრაელების და სხვა ეროვნების წარმომადგენლებიც. დემოკრატიული ფრაქციის წინადადებით ეროვნულ საბჭოს ეწოდა პარლამენტი.

საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი იყო 1918 წლის მაისში გერმანიასთან ხელმოწერილი „დროებითი შეთანხმება საქართველოსა და გერმანიას შორის წინასწარი ურთიერთდამოკიდებულების დამყარების შესახებ" და სხვა დოკუმენტები.

საქართველოს მთავრობის მიერ გერმანიაზე აღებულ ორიენტაციის კურსს მხარს უჭერდა ყველა საპარლამენტო ფრაქცია. მაგრამ მწვავე დავის საგანი იყო ქვეყნის საშინაო პოლიტიკა. სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებში „მიმდინარეობდა ძირითადად მსოფლმხედველობითი დაპირისპირება, პრინციპების ბრძოლა, რომელიც ზოგჯერ ხელისუფლებისათვის ბრძოლის პრინციპით იმოსებოდა".[4]

მალე კოალიციური მთავრობა შეცვალა სოციალ-დემოკრატიული პარტიის მთავრობამ, რომელმაც მოიპოვა საზოგადო-

ების საგრძნობი ნაწილის ნდობა, მთავრობის თავმჯდომარე გახდა ნ, ჟორდანია.

რუსეთის 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის შემდეგ დასაბამი მიეცა საქართველოს ქალაქების თავითმმართველობების დემოკრატიზაციას, გაფართოვდა თვითმმართველობის ორგანოების უფლება-მოვალეობანი. მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა სამართალწარმოებაში, მოხდა მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტის რეორგანიზაცია, შემოიღეს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი, მოგვიანებით შეიქმნა უზენაესი საკასაციო და კანონდამცველი ორგანო – სენატი.

ამ პერიოდში შექმნეს სოციალ-დემოკრატებმა „წითელი გვარდია“, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ გადაიქცა სახალხო გვარდიად – ქართული სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალად.

იმავე, 1918 წლის 20 აგვისტოს მიიღეს სპეციალური კანონი „საქართველოს რესპუბლიკის რეგულარული არმიის ორგანიზაციის შესახებ“. საქართველოს საზღვრების დასაცავად შეიქმნა ე. წ. სანაპირო ჯარი, ცოტა უფრო გვიან ჩამოყალიბდა ლაგოდეხის რაზმი, რომელიც მიზნად ისახავდა ზაქათალის ოლქთან საქართველოს საზღვრის დაცვას. „ზაქათალის ოლქის აღმოსავლეთ ნაწილში ინგილოები ცხოვრობდნენ, რომელთაც – წერს გ. კვინიტაძე – საქართველოსთან შემოერთება სურდათო“. ეს ამაგრებს ჩვენს აზრს იმის თაობაზე, რომ ზაქათალა-საინგილო საერთოდ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხანაში საქართველოსგან ფაქტობრივად ჩამოშორებული იყო“.

საქართველოს რეგულარული არმიის შექმნის თაობაზე მიღებული კანონის საფუძველზე შეიქმნა „იუნკერთა მოსამზადებელი სასწავლებელი“.

საქართველოს ხელისუფლება ცდილობდა ურთიერთობის დარეგულირებას აფხაზეთთან. 1917 წლის ნოემბერში ჩატარებულმა ყრილობამ აირჩია ეროვნული საბჭო. 1918 წლის 9 თებერვალს ამ საბჭოს წარმომადგენლებმა ა. შერვაშიძემ, ა. ემხვარმა და სხვებმა თბილისში საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასკომის წევრებთან შეხვედრისას დასვეს აფხაზეთის დამოუკიდებელი ერთეულის შექმნის საკითხი. საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრებმა არ დაუჭირეს მხარი ამ სეპარატისტულ განცხადებას და მოითხოვეს აფხაზეთის დარჩენა საქართველოს შემადგენლობაში ავტონომიური ერთეულის სახით.

აფხაზეთში მომუშავე ბოლშევიკებმა კი ამ დროს შექმნეს რევკომი, წითელი რაზმით აიღეს სოხუმი, სადაც გამოაცხადეს

საბჭოთა ხელისუფლება და დახმარებისათვის მიმართეს ყუბანის რესპუბლიკას. მან აფხაზეთში შეიყვანა ყუბანელ კაზაკთა 2 ათასიანი რაზმი. ამ რაზმმა დაამარცხა გუდაუთასთან მდგარი ქართული ბატალიონი და დაიკავა სოხუმი. საქართველოს მთავრობამ შინაგანი წესრიგის და ხელისუფლების განმტკიცების მიზნით აფხაზეთში გაგზავნა სახალხო გვარდიის შენაერთები.

1918 წლის 7-8 ივნისს გაიმართა მოლაპარაკება აფხაზეთის სახალხო საბჭოს რწმუნებულებთან. აფხაზეთის სახალხო საბჭოს უნდა დაკისრებოდა შინაგანი მმართველობის ფუნქცია, სოციალური რეფორმების გატარება, სახალხო ყრილობის მოწვევა, რომელიც განსაზღვრავდა აფხაზეთის სახელმწიფოებრივ-საზოგადოებრივი წყობილების ფორმას[6]. მაგრამ მოლაპარაკება ამაო აღმოჩნდა, მაშინ საქართველოს სამხედრო გვარდია შეტევაზე გადავიდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების მიზნით. აფხაზთა რაზმები და მათი დამხმარე ყუბანელი წითელარმიელები დამარცხდნენ. გენერალ გ. მაზნიაშვილის სარდლობით 1918 წლის 22 ივნისს საქართველოს ჯარის ნაწილებმა აიღეს გაგრა, 2 ივლისს ადლერი, ხოლო 6 ივლისს სოჭი, 26 ივლისს ტუაფსე.

1918 წლის 25 სექტემბერს შედგა საქართველოს, ყუბანის სამხარეო მთავრობის და „მოხალისეთა" არმიის გენერალიტეტის თათბირი. თათბირს ესწრებოდნენ გენ. ალექსეევი, დენიკინი, რომანოვსკი და სხვ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლები – ევ. გეგეჭკორი და გენ. მაზნიევი (მაზნიაშვილი).

„მოხალისეთა არმიის" გენერლები აღნიშნავდნენ, რომ არავითარ ღონეს არ იხმარდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ და სცნობდნენ მას. ყუბანის მთავრობის წარმომადგენელი მიუთითებდა, რომ მთელი შავიზღვისპირეთის გუბერნია 1915 წლამდე იყო ყუბანის ნაწილი. ამიტომ ეს მიწები უნდა შესულიყო ყუბანის ტერიტორიაში[7].

ტერიტორიულ საკითხს შეეხო თათბირზე გენ. გ. მაზნიაშვილი, რომელმაც აღნიშნა, რომ როდესაც ბოლშევიკები გამოჩნდნენ კოდორს იქით, საქართველოს სახელმწიფოს ინტერესები მოითხოვდნენ მათ განდევნას. საქართველოს მთავრობის განკარგულებით მან გადაისროლა ჯარი ამ მიმართულებით და დაიწყო მოძრაობა შავი ზღვის სანაპიროზე, წმენდდა ამ ტერიტორიას ბოლშევიკებისაგან.

თათბირზე ყუბანის მთავრობის წარმომადგენელმა ვორობიოვმა დააყენა გაგრის ოკრუგის საკითხი. მისი თქმით, 1917

წელს, გაგრის ოკრუგის მოწყობის შემდეგ, ამიერკავკასიასთან მისი კავშირის საჭიროება მოიხსნა. აკ. ჩხენკელმა გაგრაში ჩასვლისას 1918 წლის 15 ივნისს მოიწვია[8] მცხოვრებთა კრება, რომელზეც გამოუცხადებიათ გაგრის ოკრუგის შეერთება ამიერკავკასიასთან. სწორედ ამ დროიდან ითვლება გაგრის ოკრუგი შავიზღვისპირეთის გუბერნიისაგან მოწყვეტილად.

მაგრამ რუსეთის „მოხალისეთა არმიისა" და თურქეთის აქტიური ჩარევით აფხაზთა ჯგუფმა მოახდინა ადგილობრივი შეიარაღებული ძალების მობილიზაცია და ალყაში მოაქცია სახალხო საბჭო, მაგრამ რამდენადაც საბჭო არ ყოფილა მოსახლეობის მიერ არჩეული, საქართველოს მთავრობამ 1918 წლის 10 ოქტომბერს იგი დაშლილად გამოაცხადა.

1919 წლის გაზაფხულზე ჩატარდა ახალი სახალხო საბჭოს არჩევნები აფხაზეთში. ახალმა საბჭომ შეიმუშავა „აფხაზეთის ავტონომიის აქტი", რომლის ძალით აფხაზეთი შედიოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში ავტონომიური ერთეულის სახით. 1919 წლის 12 მარტს საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ დაამტკიცა „აფხაზეთის ავტონომიის აქტი". შერეულ კომისიას უნდა შეემუშავებინა აფხაზეთის კონსტიტუცია, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის ნაწილი გახდებოდა.

შემაშფოთებელი მოვლენები მოხდა მდ. ლიახვის ხეობაში, საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყებულმა ოსმა გლეხებმა აიღეს ცხინვალი და გამოაცხადეს საბჭოთა ხელისუფლება. ეს მოვლენა, ისევე როგორც სოხუმში განვითარებული მოვლენები ბოლშევიკების მიერ იყო ინსპირირებული. ქართულმა ჯარმა კონფლიქტი აღკვეთა, თუმცა ოსთა ანტიქართული მოძრაობა გრძელდებოდა.

1918 წლის ივნის-ივლისში ადგილი ჰქონდა ანტისამთავრობო გამოსვლას არაგვის ხეობაში, მაგრამ დუშეთის აჯანყება სწრაფად იქნა ლიკვიდირებული.

როგორც კი შესაძლებლობა მიეცა, საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ დაიწყო დემოკრატიული სტრუქტურების მშენებლობა. 1918 წლის 26 მაისს მიღებული საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი ითვალისწინებდა დამფუძნებელი კრების მოწვევას. მაგრამ ეს საკანონმდებლო ორგანო არ იყო შექმნილი საყოველთაო და თანასწორი არჩევნების გზით. 1918 წლის 22 ნოემბერს რესპუბლიკის პარლამენტმა დაამტკიცა დებულება „დამფუძნებელი კრების არჩევნების შესახებ".

საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნები გაიმართა 1919 წლის 14-16 თებერვალს. მასში სხვადასხვა მიზეზის გამო მონაწილეობა არ მიუღიათ ბათუმის ოლქის, ახალციხე–ახალქალაქის მაზრების, ხევსურეთისა და სვანეთის მოსახლეობას.

დამფუძნებელი კრება გაიხსნა 1919 წლის 1 მარტს. მან უარყო განსაკუთრებული უფლებებით აღჭურვილი პრეზიდენტის, სახელმწიფოს მეთაურის არჩევის საჭიროება, მაგრამ მიზანშეწონილად მიიჩნია მთავრობის თავმჯდომარის უფლებამოვალეობის საგრძნობი გაფართოება. 21 მარტს დამფუძნებელმა კრებამ მიიღო მთავრობის დეკლარაცია, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ დამფუძნებელი კრება მონოდებულია შეიმუშაოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია.

კონსტიტუციაზე მუშაობას ერთი წელი დასჭირდა. 1919 წლის მაისში დამფუძნებელმა კრებამ დაამტკიცა კანონპროექტი საქართველოს მოაქალაქეობის შესახებ. საკონსტიტუციო მუშაობა მიმდინარეობდა აფხაზეთში. 1920 წლის 16 ოქტომბერს აფხაზეთის სახალხო საბჭომ განიხილა აფხაზეთის კონსტიტუციის პროექტი, რომლის მიხედვით აფხაზეთი შედიოდა დემოკრატიული საქართველოს შემადგენლობაში ავტონომიური ერთეულის სახით.

საქართველოს კონსტიტუციის პროექტის განხილვა 1920 წლის ბოლოს დასრულდა. მისი ბევრი მუხლი შეიცვალა, ზოგი კი საერთოდ მოიხსნა. 1921 წლის 21 იანვარს დამტკიცდა საქართველოს კონსტიტუცია.

ამიერკავკასიის ფედერაციული ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რესპუბლიკის დაშლის შემდეგ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლება შეუდგა საქალაქო თვითმმართველობის ორგანოების რეორგანიზაციას და სოფლად საერობო რეფორმის გატარებას, რადგან მეფის რუსეთმა თავის დროზე საერობო თვითმმართველობის ორგანოების შექმნა საქართველოში არ დაუშვა. 1917 წლის 26 ნოემბერს საქართველოს ეროვნულმა ყრილობამ მიიღო დადგენილება ერობის სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობის ორგანოდ გადაქცევის შესახებ.

1918 წლის აგვისტოსათვის დაინიშნა საერობო კრებების ხმოსანთა არჩევნები, რომლის დროს მუშათა კლასი და გლეხობის მნიშვნელოვანი ნაწილი ერობის არჩევნების მიღმა დარჩა. მაგრამ მიუხედავად ამისა, 1919 წლის დამდეგს საქართველოს თითქმის ყველა მაზრაში მოქმედებდა საერობო თვითმმართველობა. გართულებული მდგომარეობის გამო საერობო რეფორმა

არ გატარებულა აჭარაში, ხოლო ახალციხის და ბორჩალოს მაზრებში იგი დაგვიანებით გატარდა. დაიწყო ერობის დაწვრილერთეულება – სათემო ერობების შექმნა თელავის, გორის, თიანეთის, დუშეთის, ქუთაისის, ოზურგეთის, რაჭის, ლეჩხუმის, ზუგდიდის მაზრებში და ა. შ.[9]

ამრიგად, 1919-1920 წლებში საქართველოში ჩამოყალიბდა ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემა.

საქართველოს პარლამენტმა მოქალაქეობის შესახებ კანონის მიღების შემდეგ შეიმუშავა საქალაქო არჩევნების ახალი წესი. თბილისის საქალაქო არჩევნები ჩატარდა 1919 წლის 2 თებერვალს. არჩევნებში გაიმარჯვეს სოციალ-დემოკრატებმა.

დამოუკიდებლობის ხანაში საქართველოში მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა შეიქმნა, მიუხედავად იმისა, რომ XX საუკუნის დამდეგიდან საქართველოს მრეწველობის ზოგიერთმა დარგმა, კერძოდ, სამთამადნო მრეწველობამ საგრძნობ განვითარებას მიაღწია. საქართველოს სამრეწველო განვითარების დონე მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა მის შესაძლებლობებს.

საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე მეფის რუსეთის ეკონომიკური ცხოვრების ორბიტაში ჩაბმული საქართველო ძალუმად განიცდიდა მისი პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების გავლენას. 1917 წლის რუსეთის რევოლუციების შემდეგ შეწყდა რუსული კაპიტალის მონაწილეობა საქართველოს ეკონომიკაში. დაიხურა რუსეთის ბაზარი, რამაც გავლენა მოახდინა საქართველოს მრეწველობის და სოფლის მეურნეობის მდგომარეობაზე.

1919 წ. 28 იანვარს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა ახალი აგრარული კანონი, რომლის ძალით გლეხების საკუთრებად გამოცხადდა მათი სანადელო მიწები, ამასთან გათვალისწინებული იქნა უმიწაწყლო და მცირემიწიანი გლეხების უფლება მემამულეებისაგან ჩამორთმეულ მიწებზე. მაგრამ მთავრობას ხელი არ აუღია მიწის მუნიციპალიზაციის კურსზე. მიწის ნაკვეთები დაისაკუთრეს საერობო და საქალაქო თვითმმართველობებმა, საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა. სახელმწიფო მეურნეობებად გარდაიქმნა საუფლისწულო მამულები, აიკრძალა მიწის ყიდვა-გაყიდვა.

დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენის უმალვე შეიქმნა საქართველოში სახალხო განათლების სამინისტრო, რომელიც შეუდგა „ოზაკომის“ მიერ დამტკიცებული დებულების – კავკასიის სასკოლო ოლქში სასწავლო დაწესებულებათა ნაციონალიზაციის რეალიზაციას. 1918 წლის 1 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი ქართული ენის სახელ-

მწიფო ენად გამოცხადების შესახებ. ამავე დროს არაქართველ დეპუტატებს მიეცათ უფლება სიტყვა პარლამენტის სხდომებზე წარმოეთქვათ რუსულ ენაზე.

ყალიბდებოდა დაწყებითი და საშუალო სკოლების სისტემა. მოხდა გიმნაზიების რეორგანიზაცია, ჩამოყალიბდა ცალკე ქართულის გარდა რუსული, სომხური ქალთა და ვაჟთა გიმნაზიები. არსებობდა კერძო გიმნაზიები, რეალური და კომერციული სასწავლებლები, საოსტატო სემინარიები, მაგრამ სკოლების რიცხვის ზრდას ჩამორჩებოდა მასწავლებელთა მომზადების ტემპი. ამიტომ ზრდიდნენ ამ კონტინგენტს არსებულ პედაგოგიურ ინსტიტუტსა და საოსტატო სემინარიებში.

საქართველოში უმაღლესი სასწავლებლის დაარსებისათვის ქართული დემოკრატიული საზოგადოება იბრძოდა ჯერ კიდევ XIX საუკუნის განმავლობაში. XX საუკუნის დამდეგს თბილისის თვითმმართველობამ შეიძინა მიწის ნაკვეთი, შექმნა ფულადი ფონდი, მაგრამ ნებართვა უმაღლესი სასწავლებლის გახსნისათვის მაინც ვერ მიიღო. 1917 წლის თებერვალ-მარტში ცარიზმის დამხობის შემდეგ გაფართოვდა ქართველი ინტელიგენციის მოძრაობა უმაღლესი სკოლის გახსნისათვის. ივ. ჯავახიშვილის მიერ შედგენილი საუნივერსიტეტო ძირითადი დებულება და სათანადო თხოვნა გაეგზავნა რუსეთის დროებითი მთავრობის განათლების სამინისტროს. შემდეგ შეგროვდა თანხაც. ქართული უნივერსიტეტის გახსნის დღედ დაინიშნა 1918 წლის 26 იანვარი – დავით აღმაშენებლის ხსენების დღე. უნივერსიტეტი გაიხსნა ქართული გიმნაზიის შენობაში და იგი აკურთხა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა კირიონმა. უნივერსიტეტის პირველ რექტორად აირჩიეს პ. მელიქიშვილი. პირველი ლექცია უნივერსიტეტში წაიკითხა ივ. ჯავახიშვილმა 1918 წლის 30 იანვარს.

1918 წლის 3 სექტემბერს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კანონი ქართული უნივერსიტეტის სახელმწიფო უნივერსიტეტად გამოცხადების შესახებ.

უნივერსიტეტის გახსნამდე 1917 წ. თბილისში დაარსდა ამიერკავკასიის რუსული უმაღლესი სასწავლებელი – პოლიტექნიკური ინსტიტუტი.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის ხანაში ქართულ პოეზიასა და პროზაში არაერთი მწერალი მოღვაწეობდა. კერძოდ: ალ. აბაშელი, პ. იაშვილი, გალაქტიონ და ტიციან ტაბიძეები, ი. გრიშაშვილი, პროზაიკოსები: დ. კლდიაშვილი, ვ. ბარნოვი, ნ. ლორთქიფანიძე, ს. შანშიაშვილი, ლ. ქიაჩელი და სხვები. ჯერ კიდევ 1916 წელს ქუთაისში შეიქმნა ქართველ

სიმბოლისტთა გაერთიანება „ცისფერი ყანწები“, რომელშიც შეიდნენ პ. იაშვილი, ტ. ტაბიძე, ვ. გაფრინდაშვილი, კ. ნადირაძე, რომლებმაც სხვა პოეტებთან ერთად შექმნეს პოეზიის საუკეთესო ნაწარმოებები. ასევე აგრძელებდა მუშაობას ქართული თეატრი.

საქართველოს ფარგლებს გარეთ მოღვაწე მუსიკოსების – დ. არაყიშვილის, ნ. სულხანიშვილის, ზ. ფალიაშვილის, კ. ფოცხვერაშვილის და სხვათა ინიციატივით ჩამოყალიბდა სამუსიკო საზოგადოება, რომელმაც მიზნად დაისახა საქართველოში სამუსიკო კულტურის გავრცელება. 1919 წ. თბილისში დაარსდა კონსერვატორია, მიმდინარეობდა მუშაობა საქართველოს ეროვნული ჰიმნის შესაქმნელად. საამისოდ გამართულ კონკურსში აღიარება მოიპოვა კ. ფოცხვერაშვილის ჰიმნმა – „დიდებამ“.

საოპერო სპექტაკლები იმართებოდა თბილისის რუსულ სახაზინო თეატრშიც. ქართველთა რიცხვი მცირე იყო საოპერო და საბალეტო დასებში, ორკესტრში. 1918 წელს დაიდგა რ. გოგინაშვილის პირველი ქართული ოპერა „ქრისტინე“. 1919 წლის 5 თებერვალს – დ. არაყიშვილის „თქმულება შოთა რუსთაველზე“, 20 თებერვალს კი – ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“.

კონსერვატორიასთან გაიხსნა საბალეტო სკოლა. 1919 წლის 26 თებერვალს დაიდგა პირველი ქართული ბალეტი, თ. ვახვახიშვილის „ვაკსის დღესასწაული“.

ქართველ მხატვართა ახალმა თაობამ ჯერ კიდევ 1916 წელს ჩამოაყალიბა „ქართველ ხელოვანთა საზოგადოება“, რომლის მიზანი იყო მხატვართა გაერთიანება, ხელოვნების ნიმუშების შეგროვება-დაცვა და შესწავლა. ამ საზოგადოების ინიციატივით და ხელშეწყობით საქართველოს მთავრობამ 1919 წ. სახელმწიფო სტიპენდიით საფრანგეთში მიავლინა დ. კაკაბაძე, ლ. გუდიაშვილი და შ. ქიქოძე. მათ საფრანგეთში ყოფნისას სრულყვეს თავიანთი ხელოვნება, ეწყობოდა მცირე გამოფენები.

დამოუკიდებლობის აღდგენას მოჰყვა ქართული კინემატოგრაფიული საზოგადოების შექმნა. 1918 წელს გ. გოგიტიძემ გადაიღო პირველი მხატვრული ფილმი „ქრისტინე“. ეს უკვე გარკვეული წარმატებები იყო.

ქართველი სოციალ-დემოკრატები კი II ინტერნაციონალის ერთადერთი წევრები იყვნენ, რომლებიც ხელისუფლების სათავეში მოექცნენ. ამ უნიკალური ფაქტის აღსანიშნავად და ქართველი სოციალ-დემოკრატების გასამხნევებლად, 1920 წლის შემოდგომაზე, ევროპიდან საქართველოში II ინტერნაციონალის ლიდერების შთამბეჭდავი დელეგაცია ჩამოვიდა, რომელშიც შე-

დიოდნენ: რ. მაკდონალდი, კ. კაუცკი, ე. სნოუდენი, ე. ვანდერველდე და სხვ. საქართველოს მოსახლეობასთან შეხვედრის დროს მათ აღნიშნეს: „საქართველოს დემოკრატიამ, რომელმაც ბრძოლა გამოუცხადა ყველა იმპერიალისტს, ისეთებსაც კი, რომლებსაც რევოლუციური ნიღაბი ჰქონდათ ამოფარებული, შეძლო ძლიერი და მტკიცე მარჯვენით თავისუფლების შენარჩუნება და ინტერნაციონალიზმის ავანგარდში ჩადგომა. ამ დამოუკიდელობასა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში მას შეუძლია იქონიოს მსოფლიო პროლეტარიატის სრული თანხმობისა და თანადგომის იმედი“.

თუმცა უცხოელთა მახვილ თვალს არ გამოჰპარვია, რომ საქართველოს ეკონომიკა კატასტროფის პირას იდგა და საკუთარი ძალებით ეკონომიკური ცხოვრების გაჯანსაღება საქართველოს არ შეეძლო. ხოლო კ. კაუცკიმ ვერ დაფარა და აღიარა, რომ სოციალ-დემოკრატიული საქართველო საბჭოთა ხელისუფლებისაკენ მიექანებოდა.[10]

II ინტერნაციონალის ლიდერების სტუმრობამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლება საბოლოოდ დაადგა დასავლეთ ევროპასთან ყოველმხრივი დაახლოების გზას, რამაც ბოლშევიკური რუსეთის სახელმწიფო მესვეურების გაღიზიანება გამოიწვია და ისინი აქტიურად ჩაებნენ ამიერკავკასიაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში. მათი წაქეზებით დაძაბული ვითარება შეიქმნა სომხეთთან და აზერბაიჯანთან. ამიერკავკასიის ფედერაციის არსებობის დროს და განსაკუთრებით საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენის შემდეგ, საქართველოს სომხეთი ედავებოდა ბორჩალოს მაზრის სამხრეთ ნაწილს, ხოლო აზერბაიჯანი ზაქათალის ოლქს.

პირველ მსოფლიო ომში გერმანიის დამარცხების შემდეგ მისი ადგილი მსოფლიოს მთელ რიგ რეგიონებში დაიკავეს ანტანტის ჯარებმა. ამიერკავკასია მოექცა დიდი ბრიტანეთის გავლენის სფეროში[11]. ამიერკავკასიას ინგლისი ანტისაბჭოთა პლაცდარმის როლს აკუთვნებდა, გერმანიის მოკავშირე თურქეთმა ომში დამარცხების შემდეგ ინგლისთან 1918 წლის 30 ოქტომბერს გაფორმებული მუდროსის ზავის პირობებით დატოვა ამიერკავკასიაში მის მიერ ოკუპირებული ტერიტორიები, რაც სომხეთის დაშნაკურმა მთავრობამ და პოლიტიკურმა წრეებმა მიიჩნიეს ხელსაყრელ მომენტად საკუთარი ტერიტორიის გასაფართოებლად. ისინი იმედოვნებდნენ, რომ ინგლისისა და რუსეთის დახმარებას მოჰყვებოდა „დიდი სომხეთის“ აღდგენა.[12]

1918 წ. სტამბოლში დაიბეჭდა სომხეთის, ვითომც ისტორიული, ფანტასტიკური რუკა, ამ რუკაზე სომხეთი შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე იყო გადაჭიმული და სამსუნის აღმოსავლეთით შავ ზღვაზე მდებარე ადგილთაგან ხმელთაშუაზღვამდე აღწევდა და სელევკიის ჩრდილოეთით მდებარე ადგილთაგან ქ. არდაველს ოდნავ ჩრდილოეთით მიმავალი ხაზით ამ სრულიად სომხეთის საზღვარი კასპიის ზღვასთან თავდებოდა. ბათუმი, ახალციხე, თვით მცხეთა და თბილისიც კი ამ რუკაზე სომხეთში იყო მოქცეული და საქართველოს პატარა ვიწრო კი ზოლი-ღა ჰქონდა მიკუთვნებული[13].

1918 წლის 18 ოქტომბერს სომხეთის შეიარაღებულმა ძალებმა ომის გამოუცხადებლად გადმოლახეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვარი და მოახდინეს გარკვეული ტერიტორიის ოკუპაცია. საქართველო ამ მოულოდნელი ომისათვის სრულიად მოუმზადებელი აღმოჩნდა.

დემოკრატიული პრინციპებიდან გამომდინარე საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მთავრობა, რომელსაც გამოცხადებული ჰქონდა საგარეო ნეიტრალიტეტი, არ თვლიდა საჭიროდ სამხედრო დოქტრინის შემუშავებას, მას არ გააჩნდა წინასწარ მომზადებული ოპერატიული გეგმა.[14]

სომხური მხარე მოსახლეობის ეთნიკურ პრინციპზე დაყრდნობით ახალქალაქის მაზრას მთლიანად, ბორჩალოს მაზრის სამხრეთ ნაწილს თავის კუთვნილებად თვლიდა, ხოლო სადავოდ მდ. ხრამის ჩრდილოეთ ტერიტორიას.

ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის დაშლის შემდეგ დამოუკიდებელ სახელმწიფოებად, საქართველოს სომხეთთან უშუალო საზღვარი არ გააჩნდა და იგი სომხეთისაგან იმ ზოლით იყო გამოყოფილი, რომელიც თურქეთის მიერ იყო ოკუპირებული. პირველ მსოფლიო ომში დამარცხების შემდეგ თურქეთმა დაიწყო ამ ტერიტორიების დაცლა. სომხურმა ნაწილებმა მაშინვე 1918 წლის 18 ოქტომბერს დაიკავეს გარკვეული ტერიტორია, საქართველოს შეცდომა იყო ის, რომ თვითონ არ დაიკავა ისტორიული ლორე. ოქტომბრის შეტაკებები ქართული ჯარის მიერ აღკვეთილ იქნა. საქართველოს მთავრობა ნოემბრის თვეში მიმართავდა დიპლომატიურ ღონისძიებებს კონფლიქტის გადაჭრისთვის, მაგრამ 6 დეკემბრიდან სომხეთის საჯარისო შენაერთებმა წამოიწყეს სრულმასშტაბიანი საომარი მოქმედება ახალქალაქის მაზრიდან, ხოლო 9 დეკემბრიდან ბორჩალოს მაზრაში. მაგრამ ეს იყო ახალქალაქის მაზრის ოკუპაციის უშედეგო მცდელობა. ქართულმა შეიარაღებულმა ძალებმა გენ. გ. მაზნი-

აშვილის სარდლობით წარმატებით განახორციელა რამდენიმე სტრატეგიული ოპერაცია. ბრძოლები მიმდინარეობდა 31 დეკემბრამდე, სანამ სომხეთის მიერ ოკუპირებული იყო ბორჩალოს მაზრის ნაწილი და ქართული შეიარაღებული ძალები იმყოფებოდნენ კრიტიკულ მდგომარეობაში, საქართველოს მთავრობამ მიიღო ინგლისელთა სამშვიდობო ინიციატივა საზავო მოლაპარაკების დაწყების თაობაზე. 1919 წლის 17 იანვარს ხელი მოეწერა ხელშეკრულებას, რომლის ძალით ბორჩალოს მაზრის სამხრეთი ნაწილი – ლორე გამოცხადდა „ნეიტრალურ ზონად". ამ ომში საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა მიაღწიეს საბრძოლო წარმატებებს, მაგრამ იგი მაინც დამარცხებული გამოვიდა, რადგან დასთმო თავისი ტერიტორიის ნაწილი.

ქართული ემიგრანტული ლიტერატურა ხაზს უსვამდა რუსეთის მონაწილეობას სომხეთ-საქართველოს ომის ინსპირირებაში. საქართველოს და სომხეთს მრავალსაუკუნოვანი თანაცხოვრების მანძილზე არ ჰქონიათ ურთიერთშორის ომი. ამჯერად კი იარაღით შეებნენ ერთმანეთს. „ეს ომი იყო ერთი უპირობო და კოლოსალური პროვოკაცია, მიმართული იქითკენ, რათა რუსეთს ამიერკავკასია დაებრუნებინა თავისი მფარველობის ქვეშ. საქმე იმაშია, რომ იმხანად ანტანტის და ინგლისის მთავრობა და სარდლობა მოწადინებულნი იყვნენ, რათა რუსეთი აღედგინათ დენიკინის არმიის საშუალებით. ამგვარად, დღის წესრიგში იდგა ამიერკავკასიის რუსეთზე მიკვრა, ხოლო ამისათვის, პირველ ყოვლისა, საჭირო იყო საქართველოს დამოუკიდებლობის მოსპობა"[15].

ამასობაში მუდროსის საზავო მოლაპარაკების პირობებით 1918 წლის 22 დეკემბერს ინგლისელთა 15-20-ათასიანმა კორპუსმა მოახდინა ბათუმის ოლქის ოკუპაცია. ამან გაართულა მდგომარეობა სამცხე-ჯავახეთშიც. თურქეთმა ისარგებლა ახალციხის მაზრაში მდგომი ჯარის ნაწილის შემცირებით დემობილიზაციის გამო და ხელთ იგდო ახალციხე, ფოცხოვი და სხვა დასახლებული პუნქტები, მაგრამ საქართველოს ჯარმა ორი კვირის განმავლობაში განმინდა ახალციხის მაზრა თურქებისაგან.

1919 წლის მარტში საქართველოს წარმომადგენლობამ ვრცელი ნოტა წარუდგინა პარიზის საზავო კონფერენციას. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ითხოვდა დასავლეთის სახელმწიფოების მიერ საქართველოს „დე-ფაქტოდ" და „დე-იურედ" ცნობას. მაგრამ ანტანტის სახელმწიფოები თავს იკავებდნენ ამისაგან, რადგან ამ საკითხს იხილავდნენ რუსეთის ინტერესების გათვალისწინებით.

1919 წლის 23 მაისს ინგლისელთა ინიციატივით განახლდა 1918 წლის 25 სექტემბრის ქართველ, ინგლისელ და „მოხალისეთა არმიის“ წარმომადგენელთა მოლაპარაკება თბილისში. საქართველოს მთავრობა იძულებული გახდა წასულიყო დათმობაზე. 1919 წლის 11 ივნისს შეიქმნა სადემარკაციო ხაზი, რომელიც მიჯნავდა დენიკინის რეჟიმს საქართველოს რესპუბლიკისაგან. მაგრამ ამ დროს საბჭოთა რუსეთის არმიამ გაანადგურა დენიკინის ჯარები. გაგრის რაიონი რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებით საქართველოს ტერიტორიის ნაწილად იქნა აღიარებული. ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც თურქეთის ჯარმა მოახდინა ბათუმის ოლქის და ახალციხე-ახალქალაქის მაზრების ტერიტორიის ოკუპაცია, ქართველ საზოგადო მოღვაწეთა ინიციატივით თბილისში ჩამოყალიბდა „მუსლიმანური საქართველოს განსაკუთრებული კომიტეტი“, რომელშიც წამყვან როლს ასრულებდნენ მემედ, ჰაიდარ და ზია აბაშიძეები, ყაიდარ შერვაშიძე, ხასან თხილაიშვილი და სხვები. „კომიტეტმა“ დააყენა ამ ტერიტორიაზე ავტონომიური ერთეულის შექმნის საკითხი. 1919 წლის 31 აგვისტოს ინგლისელთა ოკუპაციის პირობებში ბათუმში შედგა მუსულმანი მოსახლეობის ყრილობა, რომელმაც აირჩია მეჯლისი და მიიღო გადაწყვეტილება: „ამიერიდან და სამარადისოდ ბათუმი და მისი ოლქი შეერთებოდა თავის ბუნებრივ სამშობლოს – საქართველოს რესპუბლიკას სამუსულმანო საქართველოს ფართო ავტონომიის ნიადაგზე“.

1920 წლის აპრილის ბოლოს რუსეთის წითელი არმია შეიჭრა აზერბაიჯანში, მოახდინა მისი ოკუპაცია და დაამყარა საბჭოთა ხელისუფლება. საქართველოს მთავრობამ ამ საფრთხის თავიდან აცილების მიზნით რუსეთის მთავრობის წინაშე დასვა სამშვიდობო ხელშეკრულების დადების წინადადება. 1920 წლის 7 მაისს გაფორმდა საქართველო-რუსეთის სამშვიდობო ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულების ძალით საბჭოთა რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკა სცნობდა საქართველოს დამოუკიდებლობას და უარს ამბობდა საქართველოს მიმართ ყოველგვარ სუვერენულ უფლებაზე; რუსეთი არ ჩაერეოდა საქართველოს საშინაო საქმეებში და ა.შ.

აღნიშნული ხელშეკრულების დადება ერთადერთი გამოსავალი იყო შექმნილი სიტუაციიდან. მან „საქართველოს რესპუბლიკას დაუდასტურა მთელი მესხეთი არდაგანისა და ოლთისის გამოკლებით. თავისთავად ტერიტორიულ საკითხში აღნიშნული ხელშეკრულება ფრიად მნიშვნელოვანი და დადებითი იყო.“ მან საქართველოს მოუტანა რუსეთისაგან საქართველოს

სახელმწიფოს „დე იურედ" აღიარება და მისი ტერიტორიების დიპლომატიური წესებით შემოსაზღვრა.. მაგრამ, ამასთანავე 7 მაისის ხელშეკრულება იყო რუსეთისათვის ხელის გახსნა საქართველოს რესპუბლიკის განადგურების მიზნით". ინგლისის ჯარებისაგან საქართველოს ტერიტორიების დატოვების შემდეგ, 1920 წლის 4 ივლისს „დაიხურა საქართველოს ევროპული ორიენტაცია და ფაქტიურად უკვე საქართველო მოემწყვდა საბჭოთა რუსეთის გავლენის ფარგლებში"[16].

1920 წლის ნოემბრის ბოლოს, სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, საქართველო რჩებოდა ამიერკავკასიაში „კუნძულად" ბოლშევიკურ სივრცეში.

1920 წლის მიწურულს თითქოს შეიქმნა საქართველოში პირობები გასაბჭოებისათვის. მაგრამ ვ. ლენინი იმ დროს თავს იკავებდა აგრესიისაგან საქართველოს წინააღმდეგ. ი. სტალინმა 1921 წლის 24 იანვარს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის წინაშე დააყენა საქართველოს საქმეებში სამხედრო ჩარევის საკითხი. 26 იანვარს კი ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა გადაწყვიტა საქართველოს ოკუპაცია. საჭირო იყო საბაბი.

სომხეთის რესპუბლიკამ ეს საბაბი გამოძებნა – მან გასაბჭოების უმალვე მიმართა საქართველოს მთავრობას ლორეს ნეიტრალური ზონიდან ქართული ჯარის ნაწილების გაყვანის მოთხოვნით. რკპ(ბ) კავბიურომ ლორეში მდგარი ქართული ბატალიონი გამოაცხადა ოკუპანტად. 1921 წლის 11-12 თებერვალს გამოვიდა ლორეს რაიონის სომხური მოსახლეობა. იმავდროულად საომარ მოქმედებაში ჩაებნენ აზერბაიჯანის მხრიდან წამოსული წითელი არმიის ნაწილები. სომხეთიდან გამოსულმა წითელარმიელებმა ხელთ იგდეს სადახლოს რაიონი და გეზი თბილისისკენ აიღეს. საბჭოთა რუსეთის ჯარებმა საქართველოს შემოუტიეს სოჭიდან, მამისონისა და დარიალის უღელტეხილებიდან. 13 თებერვალს წითელი არმიის ნაწილები დაეუფლნენ წითელ ხიდს, დაიკავეს თითქმის მთელი კახეთი და თბილისს ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან მიუახლოვდნენ. 14 თებერვალს საქართველოს მთავრობამ მთავარსარდლის პოსტი დაატოვებინა გენ. ი. ოდიშელიძეს და მის ნაცვლად დანიშნა გენ. გ. კვინიტაძე. მან მთელი ყურადღება გადაიტანა თბილისის დაცვაზე და ჯარი კოჯრის და ტაბახმელას მიდამოებში განალაგა. ქართველი ჯარისკაცები, გვარდიელები და იუნკრები გმირულად ებრძოდნენ რუსეთის ჯარს.

მაგრამ წითელარმიელებმა მაინც შეძლეს გაჭრილიყვნენ ავჭალა-მცხეთის მიმართულებით და თბილისის ჯარს ზურგში

მოექცნენ. მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება თბილისის დატოვების თაობაზე და თვითონ ქუთაისში გადავიდა. საომარი მოქმედება გრძელდებოდა.

ბრძოლები მოხდა გორის მიდამოებში, სურამის ქედზე, იმერეთის ხეობებში.

რუსეთ-საქართველოს ომის დროს თურქეთმა ჯარი შემოიყვანა აჭარაში, რაც მთლად საქართველოს მთავრობის თანხმობის გარეშე არ მომხდარა, რადგან რუსეთის ჯარის წინააღმდეგ დახმარების იმედი ჰქონდათ. მაგრამ თურქეთის დაპირება არ გამართლდა, უფრო მეტიც, შეიქმნა ბათუმის ოლქის კვლავ თურქეთის შემადგენლობაში მოქცევის საფრთხე. ამიტომ ნ. ჟორდანიას მთავრობამ 1921 წლის 18 მარტს დაიწყო მოლაპარაკება საქართველოს რევკომთან. ხელი მოეწერა შეთანხმებას საომარი მოქმედების შეწყვეტის, საბჭოთა ჯარის საწინააღმდეგო ფრონტის ლიკვიდაციის, ბათუმის ოლქის თურქთა შემოსევისაგან დაცვის და საჯავახოდან ბათუმამდე რევკომის ჯარის შესვლის შესახებ. რუსეთ-საქართველოს ჯარმა განდევნა თურქები აჭარიდან, თუმცა ბათუმის ოლქის სამხრეთი ნაწილი კოლა-არტაანი, შავშეთი, იმერხევი, თურქეთის ხელში დარჩა. „მაშინ შექმნილ საერთაშორისო ვითარებაში, საქართველო-რუსეთის 7 მაისის ხელშეკრულებით განმარტოებული საქართველო გახდა მსხვერპლი ოსმალეთ-რუსეთის მეგობრობისა.“[17]

გრ. ლორთქიფანიძე სამართლიანად შენიშნავდა: „მართალია, საქართველო ურყევად ატარებდა საერთაშორისო ნეიტრალიტეტის პოლიტიკას, მისი ეგრეთნოდებული ორიენტაცია იყო თავის თავზე და საკუთარ ძალებზე.... მთელი მისი პოლიტიკური სიმპათია, მისი კულტურული და ცივილიზებული ორიენტაცია მტკიცედ იყო მიმართული ევროპისკენ. ეს პოლიტიკა ქართველი ხალხის ისტორიული სწრაფვაა... აზიური საქართველოს ევროპული სული მუდამ დასავლეთისაკენ ისწრაფოდა და იქიდან ეძებდა ხსნას.“[18]

სწორედ ამიტომაც, საქართველოს კანონიერმა ხელისუფლებამ, თავისი მომხრეების დიდ ჯგუფთან ერთად, დატოვა ბათუმი და თავი საფრანგეთს შეაფარა.

თბილისში რუსეთის XI არმიის ქვედანაყოფები და საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელები შევიდნენ...

საბჭოთა სახელმწიფო სტრუქტურების მნიშვნელობა ტოტალიტარული რეჟიმის დამკვიდრების საქმეში

მენშევიკების მიერ ნაჩქარევად დაცლილ კავკასიის მეფისნაცვლის ყოფილ სასახლეში საქართველოს რევკომი განლაგდა. რევკომში შედიოდნენ: მ. ორახელაშვილი, შ. ელიავა, ა. გეგეჭკორი, ბ. კვირკელია, ან. ნაზარეტიანი და სხვ. ფ. მახარაძე მოსკოვში იმყოფებოდა და მოგვიანებით შეუერთდა რევკომის შემადგენლობას, ასევე ბაქოში იმყოფებოდა და თბილისში 25 თებერვლის შემდეგ ჩამოვიდა ს. ორჯონიკიძე. მათ ჩამოსვლამდე პირველ საბჭოთა დეკრეტებს ხელს აწერდა მ. ორახელაშვილი.

პირველ რიგში სასწრაფოდ უნდა გაფორმებულიყო საერთაშორისო ხელშეკრულება ამნექსირებელსა და ანექსირებულს შორის, რომლებიც კომუნისტური იდეოლოგიით და ფრაზეოლოგიითაც ითვლებოდნენ თანასწორ, სუვერენულ სოციალისტურ სახელმწიფოებად. უკვე 1921 წლის 21 მაისს დაიდო სამოკავშირეო მუშურ-გლეხური ხელშეკრულება საქართველოსა და რსფსრ-ს შორის, რომლის ძალით საქართველო რუსეთთან სამხედრო და სამეურნეო კავშირში შევიდა. ხელშეკრულების მეორე მუხლით უნდა დადებულიყო სპეციალური ხელშეკრულება სამხედრო ორგანიზაციათა და სამხედრო ხელმძღვანელობის, ასევე სამეურნეო ორგანოების გაერთიანების შესახებ. ამ გაერთიანებული ორგანოების ხელმძღვანელობა უნდა განხორციელებულიყო სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მეშვეობით, სადაც საქართველოს შეეძლო გაეგზავნა თავისი წარმომადგენელი. ფაქტობრივად, უკვე ამ ხელშეკრულებით, ამიერკავკასიის ფედერაციისა და სსრკ-ს შექმნამდე, საქართველომ თავისი სუვერენიტეტის მნიშვნელოვანი ატრიბუტები დაკარგა.

ახალმა კომუნისტურმა ხელისუფლებამ დაიწყო საბჭოთა სტრუქტურების დაფუძნება. ადგილებზე იქმნებოდა რევკომები, რადგან საბჭოები – მართვის რუსული ფორმა, რომელიც მცირე ხნის განმავლობაში დემოკრატიულ საქართველოშიც ფუნქციონირებდა, 1921 წლისათვის აღარ არსებობდა და მათ შექმნას გარკვეული დრო ჭირდებოდა. დიდი ხნის განმავლობაში საბჭოთა ისტორიოგრაფიაში იყო დავა საქართველოში რევკომების, როგორც პოლიტიკური ორგანოების არსის შესახებ. თვლიდნენ, რომ რევკომები იყო პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივი ფორმა[1], ზოგს მიაჩნდა ის არატიპიურ, საგანგებო ფორმად, რომლის აუცილებლობა შექმნა გარკვეულმა ვითარე-

ბამ[2]. ეს საგანგებო ორგანოები კომუნისტური პარტიის მიერ ინიშნებოდა. მათ ხელთ ეპყრათ სამოქალაქო და სამხედრო ძალაუფლება და მოწოდებულნი იყვნენ დაეთრგუნათ კომუნისტური რეჟიმის ყველა მონინააღმდეგე, განემტკიცებინათ კომუნისტური დიქტატურა, შეექმნათ პირობები საქართველოში საბჭოთა რეჟიმის სრულად დამკვიდრებისათვის. დღეს ქართულ ისტორიოგრაფიაში აშკარად მიუთითებენ, რომ რევკომები რუსეთის კომუნისტური სახელმწიფოს ნეოკოლონიალიზმის განსაკუთრებული ფორმა იყო[3].

საქართველოს რევკომმა შექმნა საბჭოთა საქართველოს პირველი მთავრობა – სახალხო კომისართა საბჭო. მას ხელმძღვანელობდა ფილიპე მახარაძე. საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი იყო მ. ორახელაშვილი, განათლების სახალხო კომისარი ა. სვანიძე, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს ხელმძღვანელობდა ბ. კვირკელია, სამხედრო-საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარი იყო შ. ელიავა. სულ არსებობდა 15 სახალხო კომისარიატი.

პირველი, რაც გააკეთა საბჭოთა ხელისუფლებამ – გააუქმა დემოკრატიული საქართველოს ყველა მონაპოვარი – დამფუძნებელი კრება დაშლილად გამოცხადდა, გააუქმა სასამართლოს არსებული სისტემა – სენატი და სხვა სამართალდამცავი ორგანოები.

პარალელურად შეიქმნა საბჭოთა პოლიტიკური სტრუქტურები, პირველ რიგში – რევოლუციური კომიტეტები. როგორც დასტურდება, რევკომების მთავარი მახასიათებელი ძალადობა იყო. ეს არ იყო არჩევითი ორგანო. რევკომები ინიშნებოდნენ თბილისიდან. კადრების მწვავე დეფიციტის გამო რევკომების შემადგენლობაში ბევრგან შემთხვევითი პირი აღმოჩნდა. აი როგორ ახასიათებს ზემო სვანეთის რევკომს და მის თავმჯდომარეს სვანეთის აჯანყების ერთ-ერთი მეთაური ილია ფალიანი: „მუშტი-კრივში განთქმული, ამპარტავანი, სრულიად განუვითარებელი". ხეირიანად მას არც სვანური, არც რუსული და არც ქართული არა სცოდნია, „სრულიად უცოდინარი არა თუ მარქსიზმში, არამედ თვით უბრალო ზერელე კომუნისტურ პროგრამაში".[4]

დუშეთის მაზრის ყაზბეგის რევკომის მდივანი დაიჭირეს ყაჩაღობაში თანამონაწილეობის გამო.[5] სენაკის მაზრის სოფ. კიწიის რევკომის 6 კაციანმა შემადგენლობამ ჯგუფურად გააუპატიურა კომუნისტი ქალი, რომელიც მაზრის კომუნისტურმა ორგანიზაციამ საბჭოთა აღმშენებლობის გასაძლიერებლად, და-

სახმარებლად მიავლინა სოფელში. რევკომის ყველა წევრი დაა-პატიმრეს.

ბევრ შემთხვევაში თბილისის ცენტრალური ხელისუფლება იძულებული ხდებოდა გამოესწორებინა თავისი ადგილობრივი ორგანოების უხეში მუშაობის შედეგები: თანამდებობის ბოროტად გამოყენება, ძალაუფლების გადამეტება. მაგალითად, ხონის მაზრაში ჭკუშურის რევკომს მიწა ჩამოურთმევია გერასიმე ჭავჭავაძისათვის, რაც მისი ოჯახის არსებობის ერთადერთ წყაროს წარმოადგენდა.[6] გამოგონილი მიზეზით („რევოლუციის საჭიროებისათვის", „ხალხის ბედნიერებისათვის") ხდებოდა სხვადასხვა უკანონო რეკვიზიციები – გამწევი საქონლის, სახლების, საოჯახო ინვენტარის ჩამორთმევა. 1921 წლის აპრილში შინსახკომის ბ. კვირკელიას ბრძანებით დაისაჯა ბორჩალოს რევკომი იმიტომ, რომ „რევკომი ახდენს ცხენების და სხვა საქონლის რეკვიზიციას სრულიად უსაფუძვლოდ, რაც იწვევს უკმაყოფილებას".[7]

გორის მაზრის ქვიშხეთელი გლეხი დავით ნემსაძე სწუხდა, რომ ქვიშხეთის რევკომმა მას ჩამოართვა „სახლის ავეჯი, 75 ფ. პური, 60 ფ. სიმინდი, 70 ფ. ღვინო. საქონელი – ერთი მაკე და ერთი ხარი".[8] უბრალო გლეხი კი არა, გერმანიის მოქალაქე, დიდი მემამულე ბარონი ფონ კუჩენბახი ჩიოდა: „საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე მთელი ჩემი ქონება: სოფლის მეურნეობის პროდუქტები, როგორც ადრეული, ისე წლევანდელი, მთელი საქონელი, ცხენები, ღორები. მთელი ინვენტარი ამინერეს და გამომართვეს შესანახად. ცხენები დაიტოვეს, იყენებენ და მიბრუნებენ ქანცგაწყვეტილს. პროდუქტი ფუჭდება, ხორცი აყროლდა, კარაქი გაფუჭდა, მუშებს ვეღარ ვკვებავ..."[9]

გასაბჭოებისთანავე ძალადობის მსხვერპლი აღმოჩნდა ქართული მართლმადიდებლური ეკლესია, მისი მსახურები, მისი კუთვნილი ქონება. მაგალითად, მცხეთის წმ. ნინოს სახელობის მონასტრის წინამძღვარი ილუმენია ნინო ჩიოდა, რომ სოფ. ძეგვში მონასტრის კუთვნილი მიწები წაართვეს (5 დესეტინა მინა), დაარბიეს სამონასტრო სახლი, გაიტაცეს წიგნები და ავეჯი.[10]

ძალადობის სამიზნე აღმოჩნდა კათოლიკური ეკლესიის კუთვნილი ქონებაც. ამის თავიდან ასაცილებლად, კათოლიკურმა სამრევლოებმა სცადეს თბილისში ჯერ კიდევ არსებული იტალიის საელჩოსათვის გადაეცათ თავისი კუთვნილი ქონება, რომ გადაერჩინათ ძარცვისაგან, თუმცა უშედეგოდ.[11]

ძალადობაში რევკომებს არ ჩამოუვარდებოდნენ რუსეთის კავკასიის ცალკე არმიის ჯარისკაცები და ოფიცრები. რუსეთის

ყოფილი XI არმიის საჯარისო შენაერთები დიდი ხნით დარჩნენ საქართველოში – ამას საქართველოს კომუნისტური ხელმძღვანელობისაგან, პირველ რიგში გ.კ. ორჯონიკიძისაგან მოითხოვდა ვ. ი. ლენინი: „სრულიად შეუძლებელია მეთერთმეტე არმიის დაბრუნება დამშეულ და გაძარცულ აზერბაიჯანში. მიიღეთ უაღრესად ენერგიული ზომები, რათა ეს არმია დატოვებულ იქნეს საქართველოში...“[12]

რუსეთის კავკასიის არმიის ჯარისკაცები და ოფიცრები უაღრესად დიდ პრობლემებს უქმნიდნენ საქართველოს ახალ კომუნისტურ რეჟიმს. რუსეთი, რომელიც თავისი ისტორიის მანძილზე ყველაზე უფრო მწვავე სასურსათო კრიზისს განიცდიდა, ვერ ახერხებდა კავკასიის არმიის ნორმალურ მომარაგებას. ამიტომაც 1921 წლის 16 ნოემბრის გადაწყვეტილებით ამიერკავკასიის რესპუბლიკებს დაეკისრათ არმიის შენახვის ყველა ხარჯი.[13]

საქართველოს კანონიერ ხელისუფლებას დადევნებულმა რუსეთის სამხედრო ძალებმა მეტეორივით გადაუქროლეს საქართველოს ქალაქებსა და სოფლებს: ქარელში გადაიბუგა ანასტასია ჯანდიერის, ნინო ქიქოძისა და როდამ ბაგრატიონ-დავითაშვილის მამულები.[14] დიდ ჯიხაიშში არ დაინდეს ნიკო ნიკოლაძის სახლ-კარი.[15]

უღირსად იქცეოდა საქართველოში ზოგიერთი რუსი ოფიცერი, რომელიც არ ეპუებოდა, ფორმალურად მაინც, დამოუკიდებელი საბჭოთა საქართველოს კანონებს და თავს აძლევდა იმის უფლებას, რომ ელემენტარულ სამხედრო სუბორდინაციას არ იცავდა, ქედმაღლობდა, ტეხდა აყალ-მაყალს[16]. ზოგიერთი კი აშკარად ავლენდა ქართველებისადმი სიძულვილს.[17]

ანტიქართული შეხედულებები და გეგმები ჰქონდა რუსეთის ფედერაციის სამხედრო ატაშეს საქართველოში გენერალ სიტინს. მან 1921 წელს მოსკოვში გააგზავნა მოხსენება, რომლშიც ის დეტალურად აყალიბებდა საქართველოს დანაწილების საკუთარ გეგმას, უკვე მაშინ აფხაზეთის საქართველოდან გამოყოფას ის თვლიდა რუსეთის გეოსტრატეგიული ინტერესების გატარების მნიშვნელოვან საშუალებად.[18]

თავზეხელაღებული რუსი ჯარისკაცების დანაშაულებრივი ქმედება ზოგჯერ თვით ახალი კომუნისტური რეჟიმის ხელმძღვანელებსაც აღაშფოთებდა. არის ჯარისკაცების ბოროტმოქმედების გამო მათი სამხედრო ტრიბუნალში გადაცემის და დასჯის ფაქტები.[19]

ვითარება გარკვეულად დაიძაბა საქართველოში განლაგებული რუსეთის საარმიო ნაწილების ხელმძღვანელობასა და სა-

ქართველოს კომუნისტური რეჟიმის მიერ შექმნილი სამხედრო სტრუქტურების ადგილობრივ ხელმძღვანელებს შორის. სწორედ ამაზე მიუთითებდა და ამ დაძაბულობის მოხსნას ისახავდა მიზნად რუსეთის ცალკე კავკასიის არმიის სარდლის ჰეკერის 1922 წლის 22 ივლისის №307 ბრძანება, რომლიც აღიარებს, რომ „ბოლო ხანს გახშირდა დაევები არმიის ნაწილებსა და ადგილობრივ ტერიტორიულ სამხედრო კომისარიატებს შორის“.[20]

რა თქმა უნდა, ასეთ ვითარებაში საჭირო იყო ბრძოლისუნარიანი, ქართული სამხედრო შენაერთების ფორმირება, საქართველოს წითელი არმიის შექმნა. ქართულ ისტორიოგრაფიაში მიჩნეულია, რომ კომუნისტურ საქართველოში ეროვნული სამხედრო შენაერთები, ვ. ი. ლენინის მითითების თანახმად, გასაბჭოებისთანავე შეიქმნა. მართლაც, ვ. ი. ლენინი 1921 წლის 3 მარტს ესაუბრა ტელეფონით ს. ორჯონიკიძეს, მ. ორახელაშვილს და შ. ელიავას. საუბრის დროს ლენინმა ქართული წითელი არმიის მშენებლობის საკითხიც დააყენა: „საჭიროა შევაიარაღოთ მუშები და უღარიბესი გლეხები და ამრიგად შევქმნათ საქართველოს მტკიცე წითელი არმია“.[21]

ისტორიკოსები მიუთითებენ, რომ 1921 წლის 1 აპრილისათვის ქართული წითელი არმიის ნაწილები (ერთი ქვეითი ბრიგადა, ერთი საარტილერიო დივიზიონი და ორი ცხენოსანი ლეგიონი) უკვე ჩამოყალიბებული იყო: არსებობდა ქვეითი ბრიგადის შტაბი, ცხენოსანი ბრიგადის შტაბი, პირველი და მეორე ცხენოსანი ლეგიონი 620 მებრძოლით, იყო საარტილერიო დივიზიონი ორი სამთო და ერთი საველე ბატარეით. იმასაც მიუთითებენ, რომ 1921 წლის ივნისში ქართულ წითელ დივიზიონში 17 ათასი მებრძოლი ირიცხებოდა.[22]

ამ მოსაზრების ავტორი ე. კუპატაძე იმასაც აღნიშნავს, რომ „ქართველი ნაციონალ-უკლონისტები ბრალს სდებდნენ გ. კ. ორჯონიკიძეს და მის მომხრეებს, რომ მათ არ მოინდომეს ნამდვილი წითელი არმიის შექმნა“.[23] მას მოჰყავს საქართველოს სამხედრო-საზღვაო საქმეთა კომისრის პ. აღნიაშვილის 1921 წლის დეკემბრის განცხადება ფ. ე. ძერჟინსკის კომისიის სხდომაზე, სადაც აღნიშნულია: „ჩვენ ნებას არ გვრთავდნენ ჩამოგვეყალიბებინა არმია“.

ამ მხრივ მეტად საყურადღებოდ მიგვაჩნია ფ. მახარაძის 1921 წლის დეკემბრით დათარიღებული წერილი, რომელიც მან ვ. ი. ლენინს გაუგზავნა. აქ ერთ ადგილას ის მიუთითებდა: „ელიავამ (შ. ელიავა – საქართველოს სამხედრო-საზღვაო საქმეთა პირველი სახალხო კომისარი – ა. დაუშვილი) ყოველი საშუალე-

ბით თავის ხელში თავი მოუყარა ყველაფერს, რაც კი ღირსეული იყო საქართველოში, დახარჯა ათეული და ასეული მილიარდები, ნაცვლად წითელი არმიისა, შეკრიბა მენშევიკური კონტრრევოლუციური ოფიცრები ყოფილ თავადთა და აზნაურთაგან, შექმნა ბანდიტებისა და სპეკულიანტების ნამდვილი ბანდა, რომელთაც ახლა ამხ. აღნიევი ათეულობით და ასეულობით იჭერს და ხვრეტს".[24]

ამრიგად, საქართველოს რევკომის პირველი თავმჯდომარის აზრით საქართველოს წითელი არმია 1921 წლის დეკემბრისათვის „ბანდიტებისა და სპეკულიანეტების ნამდვილი ბანდა" იყო, ე. ი. საქართველოს წითელი არმია რეალურად არ არსებობდა.

სამაგიეროდ ფ. ე. ძერჟინსკის კომისიამ, რომელმაც 1921 წლის დეკემბერში შეისწავლა საქართველოს კომპარტიაში შექმნილი რთული ვითარება, მწვავე დაპირისპირება საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტსა და კავბიუროს ხელმძღვანელობას (გ. კ. ორჯონიკიძეს) შორის, ასევე დაადასტურა, რომ საქართველოს წითელი არმიის მშენებლობის პროცესში დაშვებული იყო სერიოზული შეცდომები, რამაც მისი დაშლა გამოიწვია,[25] თუმცა კომისია ადასტურებს, რომ თანამედროვე პირობებში (ე. ი. 1921 წ. დეკემბერში) საქართველოს წითელ არმიაში 5948 კაცია, ფეხოსანია – 2878, არტილერისტია- 375, ზურგის შემადგენლობაში ირიცხება 2152 კაცი და ა.შ.

ამრიგად, ფ. ე. ძერჟინსკის კომისიაც მიანიშნებს, რომ 1921 წლის განმავლობაში ქართული ეროვნული საჯარისო ფორმირებების ჩამოყალიბების პროცესი არასწორედ მიმდინარეობდა, თუმცა დასკვნა მაინც შემრიგებლურია – რაღაც მუშაობა მაინც ჩატარებულა.

ამ პრობლემის კვლევის დროს ჩვენი ყურადღება მიიპყრო ი. ბ. სტალინისა და ლ. დ. ტროცკის პოლემიკამ რკპ (ბ) XII ყრილობის ეროვნული საკითხთა სექციის სხდომაზე. ი. ბ. სტალინს ქართველი „ნაციონალ-უკლონისტები" აკრიტიკებდნენ „ველიკოდერჟავული" დამოკიდებულების გამო ეროვნული რესპუბლიკების პოლიტიკური მოწყობის საკითხებთან დაკავშირებით. მათ მხარი ყრილობის ზოგიერთმა დელეგატმაც აუბა, რომლებიც, გულმიცემულნი ვ. ი. ლენინის ანტისტალინური სტატიით: „ეროვნებათა საკითხისათვის ანუ „ავტონომიზაციის შესახებ," ყრილობაზე შეეცადნენ სტალინის დისკრედიტაციას, რამაც სტალინი სერიოზულად გააღიზიანა და პირში მიახალა თავის ოპონენტებს ის, რასაც ფიქრობდა: „დიახ, პოლონელს არ შეიძ-

ლება ვუწოდოთ „პოლიაჩიშკა“, ხოლო პოლონეთის ქექვა ხიშტით შეიძლება?... როგორც ჩანს ეროვნული თვითგამორკვევის თვალსაზრისით ამის გაკეთება შეიძლება. არ შეიძლება თურქესტანელს ვუწოდოთ „ტატარსკაია ლაპატა“, ძალიან კარგი, მაგრამ იქ რუსეთის ჯარის დატოვება შეიძლება?“[26] ამრიგად, სტალინმა ხაზგასმით მიანიშნა, რომ არ შეიძლება ეროვნულ სუვერენიტეტზე საუბარი მაშინ, როცა ერთი ქვეყნის ჯარები მეორე ქვეყნის ტერიტორიაზე არიან განლაგებულნი.

მაგრამ ი. ბ. სტალინმა აქვე აღნიშნა ამის მიზეზი: „ჩვენ ზოგჯერ იძულებულნი ვართ წავიდეთ ეროვნული თვითგამორკვევის, მათი ინტერესების წინააღმდეგაც კი, რათა მუშებმა შეინარჩუნონ თავისი ძალაუფლება“.[27]

და სწორედ ამ კონტექსტში დააყენა ი. ბ. სტალინმა ეროვნული საჯარისო ფორმირებების ჩამოყალიბების საკითხი. მან სექციის სხდომის ტრიბუნიდან მიმართა ლ. დ. ტროცკის – რევოლუციური სამხედრო საბჭოს თავმჯდომარეს – „დაიწყოს ეროვნული ფორმირებების ჩამოყალიბება – ქართულის, სომხურის, აზერბაიჯანულის, უკრაინულის“.[28]

ი. ბ. სტალინის ამ რეპლიკას კომუნისტური რუსეთის ფაქტობრივი „თავდაცვის მინისტრი“ ასე გამოეხმაურა: „რაც შეეხება დამატებას, რაც ამხ. სტალინმა ჩემს წინადადებას დაურთო – მე მას ვიღებ... არმიის უკრაინიზაცია, ქართიზაცია – ეს არის ჩვენი სიმტკიცის საკითხი სოფლად. საჭიროა დრო, რომ მომზადდეს მეთაურთა, პოლიტმუშაკთა შემადგენლობა “.[29]

რკპ (ბ) XII ყრილობა 1923 წლის მარტში შედგა. რკპ (ბ) ცეკას გენერალური მდივანი და რევოლუციური სამხედრო საბჭოს თავმჯდომარე (ფაქტობრივი თავდაცვის მინისტრი) რა თქმა უნდა, ჩინებულად იყვნენ ინფორმირებული, თუ რეალურად რა ვითარება იყო ეროვნული სამხედრო ფორმირებების ჩამოყალიბების საქმეში („დაიწყოს ეროვნული ფორმირებების ჩამოყალიბება“ – ეს ფრაზა სწორედ იმას გულისხმობს, რომ ასეთი ფორმირებები არ არსებობს და მათი შექმნა მხოლოდ მომავალში იგეგმება).

როგორ ყალიბდებოდა საქართველოს წითელი არმიის სამხედრო ქვედანაყოფები? როგორი იყო მათი სტრუქტურა? რა როლი შეასრულა საქართველოს წითელმა არმიამ საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში საქართველოში ტოტალიტარული რეჟიმის განმტკიცების საქმეში?.

საქართველოს ოკუპაციის შემდეგ საბჭოთა რუსეთის ერთგულმა რევკომმა 1921 წლის 26 თებერვალს სპეციალური დეკ-

რეტით დაშლილად გამოაცხადა მენშევიკური საქართველოს არმია და სახალხო გვარდია. საქართველოს სამხედრო-საზღვაო საქმეთა კომისრად დაინიშნა ცნობილი რევოლუციონერი შ. ელიავა, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოში რუსეთის მეორედ შემობრუნების საქმეში.

თვითონ შ. ელიავას არავითარი სამხედრო განათლება არა ჰქონდა და ის მხოლოდ საერთო ხელმძღვანელობას თუ შეძლებდა. ამიტომაც გადაწყდა ნითელი არმიის სამხედრო ფორმირების გეგმა პროფესიონალისათვის დაევალებინათ. საქართველოს რევკომის №13 ბრძანებულებით სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის სამხედრო ნაწილების შტაბის უფროსად დაინიშნა ალექსანდრე გიორგის ძე გაბაშვილი – პროფესიონალი სამხედრო. კომისარიატს დაევალა „მოკლე დროში წარედგინა რევკომისათვის საქართველოს წითელი ლაშქრისა და სათანადო სამხედრო დაწესებულებების მოწყობის მწყობრი გეგმა“.[30]

პირველ რიგში ჩამოყალიბდა სამხედრო-საზღვაო კომისარიატი. განისაზღვრა ქართული ქვეითი (მსროლელი) ლეგიონის შტაბიც, რომელშიც უნდა შესულიყო სამი ასეული. ამ სამხედრო ქვედანაყოფის სტრუქტურა ასეთი იყო – ლეგიონის უფროსი, მისი თანაშემწე, ლეგიონის კომისარი, მისი თანაშემწე, სამწყობრო ნაწილი (ლეგიონის ადიუტანტი, მისი თანაშემწე, პოლიტიკური ხელმძღვანელი, უფროსი გადამწერი და ა.შ.). ათასეული შემადგენლობა ასეთი იყო: არსებობდა სამი გუნდი – გუნდის უფროსი, მისი თანაშემწე, პოლიტხელი, ზემდეგი, მსროლელები, მზვერავები და ა.შ. ათასეულში შედიოდა 465 მებრძოლი. სამი ათასეული აერთიანებდა 1395 კაცს. ამის გარდა იყო სატყვიამფრქვევო გუნდი, რომელიც აღჭურვილი იყო 4 ტყვიამფრქვევით „მაქსიმი“ და 12 ტყვიამფრქვევით „ლუისი“. იყო, აგრეთვე, ცხენოსანი და სატვირთო ტყვიამფრქვევების ნახევარგუნდი, მეკავშირეთა, სანიტართა, საბინაო გუნდები, კლუბი და სინემატოგრაფი.[31]

განისაზღვრა ბრიგადაში იარაღის რაოდენობაც: შაშხანა – 1253 ერთეული, კარაბინი – 161, ტყვიამფრქვევი „მაქსიმი“ – 4, ტყვიამფრქვევი „ლუისი“ – 12, ხმლები – 75 ერთეული და ა.შ.[32]

შეიქმნა ცხენოსანი ბრიგადის სამმართველო – ბრიგადის უფროსი, სამხედრო კომისარი, ბრიგადის შტაბი – მისი უფროსი, სამხედრო კომისარი, ოპერატიული ნაწილის გამგე, მეკავშირეთა გუნდი, საკომენდანტო გუნდი, საინტენდანტო ნაწილი, მომარაგების ნაწილი, საბეითლო, სამეურნეო ნაწილი. სულ ბრიგადაში 154 კაცი იყო, სულ დივიზიონში – 368.[33]

საქართველოს სამხედრო-საზღვაო კომისრის შ. ელიავას 1921 წ. 9 ივლისის ბრძანებით განხორციელდა საქართველოს საჯარისო ნაწილების ხელახალი რეორგანიზაცია და ჩამოყალიბდა შემდეგი სტრუქტურა: 1. ქართული ფეხსოსანთა ბრიგადა; 2. ფეხოსანთა პოლკი; 3. ქართული საარტილერიო დივიზიონი; 4. ფეხოსანთა ბრიგადის მატერიალური საწყობი; 5. ფეხოსანთა ბრიგადის სასურსათო მაღაზია, 6. ფეხოსანთა ბრიგადის სასურსათო ტრანსპორტის ჯგუფი.

ეს ყველაფერი, როგორც ჩანს, ქაღალდზე არსებული გეგმა იყო, რომელიც საქმის მცოდნე კადრებს უნდა განეხორციელებინათ, პირველ რიგში სამხედრო და საზღვაო საქმეთა კომისარიატს და მის დაქვემდებარებაში მყოფ უწყებებს.

რა კადრებით, რა საშუალებებით ხორციელდებოდა ქართული წითელი არმიის ფორმირების პროცესი, ვის იყენებდნენ და რა სიძნელეებს აწყდებოდნენ ჯარის ჩამოყალიბების პროცესში?

უნდა აღინიშნოს, რომ ახალი, კომუნისტური ხელისუფლება საკუთარი ერთგული ჯარის მშენებლობის პროცესში დაეყრდნო თავადაზნაურ ოფიცრობას, მეფის გენერალიტეტს. ეს ერთი შეხედვით თითქოს ნონსენსია – მაგრამ ფაქტია: დოკუმენტურად დასტურდება, რომ ყოფილი თავადები – „ამხანაგი" ანდრონიკაშვილი, „ამხანაგი" ჩოლოყაშვილი, „ამხანაგი" დადიანი, „ამხანაგი" წერეთელი, „ამხანაგი" ბაგრატიონ-დავითაშვილი და სხვები და სხვები ქმნიდნენ საბჭოთა საქართველოს წითელ ჯარს.

ჩვენი მონაცემებით 1921 წელს საქართველოს სამხედრო-საზღვაო კომისარიატის შემადგენლობაში (98 კაცი) – 13 თავადაზნაური იყო. მათ შორის იყვნენ ციციშვილი, წერეთელი, ავალიშვილი და სხვ.

არსებობს ცნობა, რომ წითელი არმიის წმენდის, შ. ელიავას თანამდებობიდან გადაყენების და არმიაში სხვა ადმინისტრაციული ზომების განხორციელების შემდეგაც კი 1923 წლის დეკემბერში საქართველოს წითელი არმიის შემადგენლობაში 11% თავადაზნაურთა და სასულიერო წოდების წარმომადგენლი იყო. ამ დროს საბჭოთა ქართულ ჯარში მსახურობდა მეფის არმიის 4 გენერალი, 13 პოლკოვნიკი, 15 ვიცე-პოლკოვნიკი.[34]

ეს საკითხი მოითხოვს განსჯას – თანამედროვე სოვეტოლოგიაში მიუთითებენ, რომ ბოლშევიზმი, როგორც პოლიტიკური და იდეოლოგიური მიმდინარეობა, მუდამ კლასობრივი სეგრეგაციის ერთგული იყო და ყველაზე უფრო სწორედ თავადაზ-

ნაურობის მიმართ იყო აგრესიული, რადგან, ჯერ ერთი, ის დროგოჭმული (ფეოდალური) ეპოქის რუდიმენტად მიაჩნდა, რომლის ადგილი აღარ იყო უკვე კაპიტალისტურ საზოგადოებაში და, მეორე, მათთან არავითარი კომპრომისის მიღწევა თეორიულადაც კი არ შეიძლებოდა, რადგან ისინი (ე.ი. თავადაზნაურობა როგორც კლასი) მუდამ კომუნისტური იდეოლოგიის პრინციპული მოწინააღმდეგენი იქნებოდნენ.[35]

თავადაზნაურობის მიმართ ასეთი იდეოლოგიური აპრიორის არსებობის ფონზე დაავალო მათ შექმნან კომუნისტური რეჟიმის ინტერესების დამცველი სამხედრო სტრუქტურა, რომლის მიზანი, როგორც ამას ი. კაჭარავა მიუთითებდა: ქვეყნის შიგნით დამარცხებული ბურჟუაზიისა და მემამულე-თავადაზნაურობის ექსპროპრიაცია იყო, ან დიდი გულუბრყვილობაა, ან შორს გამიზნული ვერაგული გეგმა. ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ქართველი თავადაზნაურთა აქტიური მიზიდვა წითელი არმიის მშენებლობის პროცესში გარკვეული ფარული აზრის მატარებელი უნდა ყოფილიყო.

XX საუკუნის 20-იან წლების დასაწყისში საქართველოში დაახლოებით 7 000 ძველი არმიის კადრის ოფიცერი ცხოვრობდა. ესენი I მსოფლიო ომის ფრონტებზე გამოცდილებამიღებული, თავისი დროის სამხედრო ხელოვნებას დაუფლებული ადამიანები იყვნენ. რა თქმა უნდა, საჭირო იყო მათი ნეიტრალიზება, რადგან ისინი საბჭოთა ხელისუფლებისათვის საშიშროებას წარმოადგენდნენ. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება სამოქალაქო ომის გარეშე დამყარდა, რამაც გამორიცხა მათი ფიზიკური განადგურება სამოქალაქო ომის ფრონტებზე, როგორც ეს მოხდა რუსეთში. საბჭოთა ხელისუფლებას არ შეეძლო მათი განადგურება მიზეზისა და საბაბის გარეშე, მაგრამ მათი ნეიტრალიზება კი საჭირო იყო. გამოსავალი გამოინახა – ისინი მიიზიდეს საბჭოთა არმიის მშენებლობაში. ამით საბჭოთა ხელისუფლება ორ კურდღელს იჭერდა – შეჰქონდა დეზორგანიზაცია საქართველოს ძველი ოფიცრების რიგებში – (ხომ იყვნენ მტკიცე, პრინციპული ადამიანები, რომლებიც გამორიცხავდნენ ყოველგვარ თანამშრომლობას მოძალადე ხელისუფლებასთან?!), და მეორე, ყოველი პატარა გადაცდომისათვის საბჭოთა ხელისუფლებას შესაძლებლობა ეძლეოდა სამხედრო ტრიბუნალზე გადაეცა „ამხ. წერეთელი“, „ამხ. ბაგრატიონ-დავითაშვილი“, „ამხ. დადიანი“ და ახლა უკვე კანონიერად (მათ ხომ ერთგულების სამხედრო ფიცი ჰქონდათ დადებული) ფიზიკურად გასწორებოდნენ თავიანთ „პოტენციურ კლასობრივ მტერს“. ამ ვარა-

უდის გამოთქმის საშუალებას გვაძლევს ძალიან ბევრი ფაქტი, რაც მოხდა საქართველოში 1921-1924 წლებში და რასაც შეეწირა კიდეც მრავალი თვალსაჩინო ქართველი კადრის ოფიცერი.

ახალ ქართულ ისტორიოგრაფიაში არის მოსაზრება, რომ თვითონ ქართველი კადრის ოფიცრების საიდუმლო მოლაპარაკების შედეგად გადაწყდა ფორმალურად ეთანამშრომლათ ახალ რეჟიმთან, რომ შეენარჩუნებინათ ჯერ ფიზიკური არსებობა, და რაც მთავარია, კი არ გაეძლიერებინათ, არამედ შიგნიდან აეფეთქებინათ „ქართული წითელი არმია" და საჭიროების შემთხვევაში ებრძოლათ საქართველოს შელახული დამოუკიდებლობის აღსადგენად.[36] მათ ამისკენ ზოგიერთი ანტისაბჭოთა პარტიის ხელმძღვანელიც აგულიანებდა.

საკითხის განხილვა დავიწყოთ იქიდან, რომ საქართველოს წითელი ჯარის პირველი მთავარსარდალი იყო ლეგენდარული გენერალი გიორგი მაზნიაშვილი, გენერალური შტაბის უფროსი საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე იყო გენერალი გედევანიშვილი (რომელიც იღებდა აქტიურ მონაწილეობას 1918 წელს დუშეთის გლეხობის პროკომუნისტური აჯანყების წინააღმდეგ მიმართულ დამსჯელ ოპერაციებში). 1921 წლის 6 ივლისის ბრძანებით მუშურ-გლეხური წითელი არმიის მსროლელი დივიზიის შტაბის უფროსი როსტომ ივანეს ძე მუსხელოვი (მუსხელიშვილი) დაინიშნა სახალხო კომისარიატის შტაბის ოპერატიულ-სამობილიზაციო განყოფილების უფროსად.[37]

1921 წლის 22 ივლისს სახალხო კომისრის შ. ელიავას ბრძანებით ალექსანდრე სიმონის ძე ანდრონიკაშვილი დაინიშნა საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკის ჯარების სარდლად[38].

პირველი ცხენოსანი პოლკის უფროსი იყო ფრიდონ წულუკიძე[39], ხოლო იასე კონსტანტინეს ძე ვაჩნაძე ხელმძღვანელობდა თბილისის მაზრის სამხედრო უწყებას. ზაქარია ილიას ძე მაყაშვილი 1921 წლის 22 აგვისტოს ბრძანებით ხელმძღვანელობდა ქართული არმიის განსაკუთრებულ განყოფილებას. გიორგი პეტრეს ძე ციციშვილი კი მომარაგების სამმართველოს სამხედრო-სამნეო განყოფილების უფროსი იყო. შაქრო ჩოლოყაშვილი 1921 წლის 20 აპრილს დაინიშნა თიანეთის მაზრის სამხედრო ხელმძღვანელად.[40] საყურადღებოა, რომ 1921 წლის 28 მარტს სახალხო კომისარიატის მარქაფში ჩარიცხეს, ხოლო 31 მარტს უკვე თიანეთში მივლინებით გაგზავნეს დავით რევაზის ძე ჩელოკაევი (ასეა დოკუმენტში – ა.დაუშვილი), ალბათ ჩოლოყაშვილი.[41] ამ სიის გაგრძელება კიდევ შეიძლება.

აშკარაა, როს საქართველოს წითელი ჯარის ფორმირების საქმეში ქართველი თავადაზნაურობა ძალიან აქტიურად მონაწილეობდა. რა იყო ეს? – კომპრომისი, კონფორმიზმი თუ რაიმე სხვა ჩანაფიქრი?

ჩვენ ზემოთ უკვე შევეხეთ ამ საკითხთან დაკავშირებულ ბოლშევიკურ პოზიციას. ახლა შეიძლება გამოვთქვათ ვარაუდი თავადაზნაური ოფიცრობის პოზიციებიდან: 1. სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება; 2. გარკვეული სურვილი – არ მოწყდნენ სამხედრო საქმეს, შეინარჩუნონ კვალიფიკაცია და, საჭიროების შემთხვევაში, გამოადგნენ სამშობლოს შესაძლებელი ფართომასშტაბიანი, ანტიკომუნისტური აჯანყების დროს, რაც განსაკუთრებით გაადვილდებოდა თუ კი ისინი კომუნისტური ჯარების ხელმძღვანელ პოსტებზე იქნებოდნენ; 3. ზოგიერთი ანტიკომუნისტური პარტია საქართველოში ავალებდა და ახალისებდა თავიანთ წევრებს, სამხედრო ოფიცრებს შესულიყვნენ წითელი არმიის შემადგენლობაში მისი შიგნიდან აფეთქების მიზნით; 4. ალბათ იყვნენ კონფორმისტებიც.

უმძიმესი სოციალური პირობების ვითარებაში ყოფითი პრობლემების მოწესრიგება ბევრს დასჭირდებოდა. არსებული სიძნელეების მიუხედავად, ქართულ წითელ ჯარში პოლკოვნიკი თვეში იღებდა 44175 მანეთს, მაიორი – 42315 მანეთს, კაპიტანი – 40145 მანეთს, ლეიტენანტი – 38285 მანეთს.[42]

ამის გარდა, ოფიცრებს ეძლეოდათ აუცილებელი, მაშინ მწვავედ დეფიციტური საქონელი – საპონი, ფეხსაცმელი, წინდები, პერანგი და ა.შ. ამასთან, იმდროინდელი საქართველოს ხელისუფლება თავს იწონებდა იმით, რომ ქართულ ჯარში ანაზღაურება უახლოვდებოდა პოლონეთის არმიის საშტატო განაკვეთებს და ეს განსაკუთრებულ მიღწევად ითვლებოდა.

თავადაზნაური ოფიცრობის მოქმედებებს, მათ შეხედულებებს, გუნება-განწყობილებას ფარულად თუ აშკარად თვალს ადევნებდნენ პოლიტიკური კომისრები, საქართველოს საგანგებო კომისიის აგენტები და თანამშრომლები. ვთვლით და ეს დაადასტურა მოვლენების შემდგომმა განვითარებამ, რომ გულუბრყვილო იყო აზრი – საბჭოთა ხელისუფლება მოტყუვდებოდა და ვერ გამოიცნობდა მათ ჭეშმარიტ გუნება-განწყობილებას, რომ ისინი „ჭკუით აჯობებდნენ“ საბჭოთა ხელისუფლებას და შეუნარჩუნებდნენ საკუთარ თავს და თავის სამხედრო გამოცდილებას მომავალ დამოუკიდებელ საქართველოს. პირიქით, ამ „თანამშრომლობამ“ საბჭოთა ხელისუფლებას მისცა კანონიერი საშუალება მათ ფიზიკურად გასნორებოდა – რადგან სამხედრო

ფიცის დარღვევა, იმ ხელისუფლების ღალატი, რომელიც ხელფასს გიხდის, გაცმევს, გაჭმევს – ყოველ ეპოქაში მკაცრად ისჯება. უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი შეხედულებები დამახასიათებელი იყო საქართველოს იმჟამინდელი ინტელიგენციის ცალკეული წარმომადგენლებისათვის, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ „ჭკუით აჯობებდნენ საბჭოთა ხელისუფლებას“, შეძლებდნენ მათი ყურადღების მოდუნებას, გარეგნულად ლოიალურნი ბოლომდე იქნებოდნენ დამოუკიდებელი საქართველოს ერთგულნი, მაგრამ მათაც ასეთი ქმედება ძვირად დაუჯდათ.

რეპრესიები ქართულ ჯარში 1921 წელსვე დაიწყო. პირველი სერიოზული სასჯელი კონტრრევოლუციური საქმიანობისათვის განიცადა გიორგი თაყაიშვილმა – ის დახვრიტეს, ქონება ჩამოართვეს. მექრთამეობისა და შანტაჟის ბრალდებით დახვრიტეს ანდრია ხუნდაძე.

მეტად საინტერესო ფაქტს აღწერს თ. ენდელაძე: 1922 წლის გაზაფხულზე, გენუის კონფერენციის წინ, ქართველი ოფიცრობის მიერ (ვ. წულუკიძე, რ. მუსხელიშვილი, ა. ანდრონიკაშვილი, გ. ხიმშიაშვილი, ი. თუხარელი, ნ. გედევანიშვილი და სხვ.). შეიქმნა საქართველოს ანტიკომუნისტურ პარტიებთან მტკიცედ დაკავშირებული „სამხედრო ცენტრი“, რომლის მიზანი იყო საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა. მათ 8 აპრილს აპატიმრებს „ზაკჩეკა“.[43] დაკითხვის შემდეგ მათ ათავისუფლებენ. ისინი კვლავ განაგრძობენ სამსახურს წითელ ჯარში, აგრძელებენ აჯანყებისათვის მზადებას, მათ კვლავ ხელი მიუწვდებათ საიდუმლო დოკუმენტებზე, სარგებლობენ ნდობით. ე. ნარიმანიძე აქვეყნებს ერთ დოკუმენტს, სადაც საუბარია 1922 წლის ივნისის ბოლოს დ. ვაჩნაძის ბინაში პოლკოვნიკ რ. მუსხელიშვილის სტუმრობაზე. საუბარი შეეხო ქაქუცა ჩოლოყაშვილის პარტიზანულ რაზმს. დ. ვაჩნაძემ დეტალური ინფორმაცია მიაწოდა ქ. ჩოლოყაშვილის რაზმის შესახებ სტუმარს, რომელმაც დაუდასტურა, რომ „ასეთივე ცნობები მოსდიოდა კავკასიის წითელი ჯარის შტაბს“.[44]

ამრიგად, საქმე გვაქვს მეტად უცნაურ მოვლენასთან – „ზაკჩეკას“ მიერ დაპატიმრებული, ანუ ეჭვის ქვეშ მყოფი სამხედრო ჩინოსანი კვლავ ნდობით სარგებლობს, იცნობს „კავკასიის წითელი ჯარის შტაბის“ ინფორმაციას, გადაადგილების თავისუფლებით სარგებლობს.

უფრო მეტიც – რ. მუსხელიშვილი დაინიშნა ქაქუცა ჩოლოყაშვილის მიერ ორგანიზებული აჯანყების ჩასაქრობად ხევსურეთში გაგზავნილი სამხედრო შენაერთის ხელმძღვანელად.

ამრიგად, საბჭოთა ხელისუფლებამ მეფის ოფიცრებს უკვე 1922 წელს სერიოზული გამოცდა მოუწყო – ისინი საკუთარი ხალხის დამსჯელი ექსპედიციების ხელმძღვანელებად დანიშნა. რ. მუსხელიშვილი, რომელიც თავის ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენაზე ოცნებობდა, ასეთ გამოცდას ვერ გაუძლებდა და ხევსურეთში დამსჯელი ექსპედიცია გარკვეულ ეტაპზე წარუმატებლად წარიმართა, რისთვისაც პასუხისმგებლობა, რა თქმა უნდა, მას დააკისრეს. 1923 წლის 19 მარტს ამიერკავკასიისა და საქართველოს საგანგებო კომისიის გაფართოებულმა სხდომამ სახელოვან ქართველ ოფიცრებს გენერლებს ა. ანდრონიკაშვილს, ვ. წულუკიძეს, კ. აფხაზს, პოლკოვნიკებს გ. ხიმშიაშვილს, რ. მუსხელიშვილს – სულ 15 კაცს მიუსაჯეს სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა. განაჩენი 24 საათში მოიყვანეს სისრულეში. იმჟამად „ჩეკას" რისხვას გადაურჩნენ ი. თუხარელი და ნ. გედევანიშვილი, რომლებიც წითელ ჯარში სამსახურს აგრძელებდნენ, კიდევ უფრო დაწინაურდნენ, მაგრამ მაინც – 1937 წლის რეპრესიებს შეეწირნენ.[45]

მიგვაჩნია, რომ ქართველი მხედრობის მიერ არჩეული ტაქტიკა – იყო მცდარი. ვერცერთ ეტაპზე ვერ მოხერხდა საბჭოთა სპეცორგანოების ყურადღების მოდუნება, საკუთარი გეგმების რეალიზება, სისტემის „შიგნიდან აფეთქება". პირიქით, მათმა ამ ტაქტიკამ საბჭოთა ხელისუფლებას მათ მიმართ განხორციელებულ რეპრესიებს კანონიერი სახე მისცა (სამხედრო ფიცის დარღვევა), გამოიწვია მათი და მათი ოჯახების აკლება-განადგურება, რაც სერიოზული დარტყმა იყო საქართველოს ინტელექტუალურ ელიტაზე, რადგან ისინი იყვნენ ქართული ეროვნული თვითშეგნების შენახვისა და განვითარების მნიშვნელოვანი სოციალური დასაყრდენი, რისმა დასუსტებამაც საქართველოში მნიშვნელოვნად გაადვილა ახალი საბჭოთა სულიერი ფასეულობების დანერგვა. მსგავსი რეპრესიები ქართველი მხედრობის წინააღმდეგ 1924 წლის აჯანყების შემდეგაც არა ერთხელ მოეწყო.

ახლა კვლავ საქართველოს წითელი არმიის ფორმირების საკითხს დავუბრუნდეთ.

1921 წლის დეკემბერში შეიცვალა ვითარება. გაუქმდა ქართული წითელი ლაშქრის სარდლის თანამდებობა. ქართული შეიარაღებული ბრიგადის უფროსად დაინიშნა პ. აღნიაშვილი, რომელსაც დაევალა ქართული ჯარის დაუყოვნებლივ რეორგანიზაცია.[46]

1922 წლის 23 აპრილს დამტკიცდა სამხედრო ფიცის ახალი ფორმულა: „მე, შვილი მშრომელი ხალხისა, მოქალაქე საბჭოთა

რესპუბლიკის, ვიღებ სახელწოდებას მუშურ-გლეხური წითელი ლაშქრის მეომრის... მე ვივალდებულებ რევოლუციური დისციპლინის სწორუპოვარ დაცვას და მუშურ-გლეხური მთავრობის მიერ დანიშნული უფროსების ბრძანებათა განურიდებელ აღსრულებას... თუ ბოროტი განზრახვით განუდგები ამ ჩემ საზეიმო აღთქმას, დაე მაშინ ხვედრი ჩემი შეიქმნეს ზიზღი ყოველმხრივ და დაე დავისაჯო მე მაშინ რევოლუციური კანონის სამართლიანი და მკაცრი ხელით".[47]

საქართველოს წითელი არმიისათვის მნიშვნელოვანი იყო ოფიცერთა კადრების მომზადებაც. ამ მიზნით 1921 წლის დეკემბერში თბილისში გაიხსნა სამხედრო სასწავლებელი, სადაც უნდა მოემზადებინათ ქართული წითელი არმიის კვალიფიცირებული სპეციალისტები. უფრო ადრე – 10 მაისს შეიქმნა მფრინავთა სპეციალური სკოლა.

პრაქტიკაში იყო მოსკოვის სამხედრო სასწავლებლებში სტაჟირება. მაგალითად, 1921 წლის 11 სექტემბერს მოსკოვში მიავლინეს სამხედრო კურსებზე 19 ოფიცერი, მათ შორის გიორგი ჭავჭავაძე, კონსტანტინე ბარათაშვილი, მიხეილ ჭავჭავაძე, ირაკლი თუხარელი და სხვ.[48]

საბჭოთა რუსეთის სამხედრო აკადემიაში საქართველოს გარკვეული კვოტა ჰქონდა. არსებობს აკადემიის იმჟამინდელი უფროსის მ. ტუხაჩევსკის დეპეშა, რომელიც საქართველოს სამხედრო-საზღვაო კომისარს ატყობინებდა, რომ საქართველოს აკადემიაში ჰქონდა 30 ვაკანსია და ითხოვდა დროულად გაეგზავნათ კანდიდატები, რომლებსაც დამთავრებული უნდა ჰქონოდათ საერო სასწავლებლის პირველი და მეორე საფეხურის სკოლები.[49]

მუშაობის აქტივიზაციასთან ერთად გამოიკვეთა პრობლემებიც – მათ შორის მთავარი იყო დეზერტირობა. იგი საქართველოს წითელ არმიაში დაარსებისთანავე გავრცელდა. ამის შესახებ საუბარი დაიწყეს უკვე 1921 წლის აპრილში.[50] იყო ისეთი შემთხვევები, როცა ერთი პიროვნება შედიოდა სხვადასხვა სამხედრო ქვედანაყოფში, ყველა მათგანში იღებდა ტანსაცმელსა და აღჭურვილობას, ხოლო შემდეგ იკარგებოდა.[51]

ამ დარღვევების წინააღმდეგ საბრძოლველად დაწესდა რევოლუციური ტრიბუნალი, დეზერტირებს მკაცრად სჯიდნენ, კომუნისტურ პრესაში დაიწყო პროპაგანდისტული მოძრაობა დეზერტირების წინააღმდეგ – იბეჭდებოდა სტატიები, გაკიცხვის წერილები. ყველაფერმა ამან გარკვეულწილად შეამცირა დეზერტირობა, მაგრამ მთლიანად მაინც ვერ აღმოფხვრა. 1923

წელსაც კი (მაგალითად, მაისის თვეში) დეზერტირობის მაჩვენებელი 39 პროცენტს უდრიდა. ოფიციალური აღიარებით მოხერხდა მისი 5 პროცენტამდე დაყვანა.[52]

საქართველოს წითელ არმიაში მდგომარეობა დაფინანსებაზეც იყო დამოკიდებული. მისი ბიუჯეტი 1921 – 1922 წლებში უდრიდა 96 795 923 000 მანეთს (ანუ 569 987 ოქროს მანეთს). ეს მზარდი ბიუჯეტი იყო.

მაგრამ ისიც აშკარად გამოიკვეთა, რომ წითელი არმიის ეროვნული სამხედრო ფორმირებების ნორმალური ფუნქციონირების საკითხი ადგილზე გადასაჭრელი არ იყო. ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ სტალინსა და ტროცკის შორის პოლემიკის შესახებ რკპ (ბ) XII ყრილობის ეროვნებათა საკითხების სექციაზე, ისიც აღინიშნა, რომ სტალინი მოითხოვდა ეროვნული ფორმირებების დაუყოვნებლივ შექმნას, მაშინ როცა ტროცკი გარკვეულ დროს თხოულობდა ამ საკითხის მოსაგვარებლად.

როგორც იქნა, რკპ (ბ) ცკ პოლიტბიურომ ეროვნული საჯარისო ფორმირებების საკითხი მოისმინა 1923 წლის 13 დეკემბერს და მიიღო დადგენილება: „აუცილებლად ჩაითვალოს სამხედრო-საზღვაო უწყების ბიუჯეტის საერთო დაფინანსების გაზრდა იმ ოდენობით, რაც საკმარისი იქნება ეროვნული სამხედრო ფორმირების ჩამოყალიბებისათვის. ხოლო თვითონ ციფრი ამ რაოდენობის ზრდის და დაფინანსების ვადები განისაზღვროს ბიუჯეტის განხილვის დროს, რრსს (რესპუბლიკის რევოლუციური-სამხედრო საბჭო – ა. დაუშვილი) მიერ წარმოდგენილი პროგრამის მიხედვით, იმ ანგარიშით რომ მასში წარმოდგენილი ციფრები შემცირდეს“. [53]

ამრიგად, ეროვნული სამხედრო ფორმირებების რეალური ჩამოყალიბების პროცესი შეიძლება დავიწყოთ 1923 წლის დეკემბრიდან და ისიც საინტერესოა, რომ ეს ფორმირების პროცესი თავიდანვე რუსეთის რევოლუციური სამხედრო საბჭოს უშუალო კონტროლის ქვეშ მიმდინარეობდა.

რთული აღმოჩნდა მუშურ-გლეხური მილიციის ფორმირების პროცესიც. კადრების მწვავე ნაკლებობის გამო პირველ ხანებში მენშევიკების დროს არსებული მილიციის კადრები შეინარჩუნეს, თუმცა პირველად, ადგილებზე მილიცია რევკომებს დაექვემდებარა. მუშურ-გლეხური მილიციის შესახებ საკანონმდებლო ბაზის შემუშავება გაჭიანურდა, ნაჩქარევად შემუშავებული საქართველოს რევკომის 1921 წლის დეკრეტი მუშურ-გლეხური მილიციის შესახებ ძალადაკარგულად გამოცხადდა და 1922 წლის 20 იანვარს მიიღეს უფრო დახვეწილი დებულება.

საბჭოთა საქართველოს მუშურ-გლეხური მილიცია შედგებოდა: საქალაქო და სამაზრო მილიციის განყოფილებები, რკინიგზის მილიცია, საწყალოსნო მილიცია, საგამომძიებლო-სისხლის სამართლის მილიცია, მილიციის მთავარ სამმართველოსთან არსებული სარეზერვო რაზმი. განისაზღვრა მილიციის თანამშრომელთა უფლებრივ-სოციალური სტატუსი, ისინი უფლებებით გაუთანაბრეს ნამდვილ სამხედრო სამსახურში განწვეულ კადრის მეომრებს როგორც ხელფასით, ისე სოციალური დაცვით (სპეციალური მომარაგება, ულუფები და ა.შ.). თუმცა ამ პირობებმა უფლებებთან ერთად უაღრესად გაზარდა პასუხისმგებლობა, განსაკუთრებით პოლიტიკური გადაცდომებისა და ღალატისათვის. ამ დანაშაულისათვის, ისევე როგორც არმიაში, მილიციონერი გადაეცემოდა ტრიბუნალს.

არსებული მონაცემები მიუთითებენ, რომ როგორც ცენტრში, ისე პერიფერიაში მილიციის სამსახურის ჩამოყალიბება სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. პირველ რიგში ეს შეეხებოდა კადრებს. როგორც რევკომებში, ასევე მილიციაშიც ხშირი იყო შემთხვევითი პირების თავმოყრა, მათ მიერ უფლებამოსილების გადამეტება, დისციპლინის უხეში დარღვევები, ძალადობა. 1922 წელს თბილისიდან ყაზბეგში გაგზავნილ ერთ-ერთ სამსახურეობრივ დეპეშაში ხაზგასმული იყო, რომ „თქვენ გყავთ თავწასული მილიციონერები, რომლებიც ლოთობენ, მათში არ სუფევს არავითარი დისციპლინა, უვარგისი არიან სამსახურისთვის". თბილისელი ჩინოსანი ავალებდა ადგილობრივ ხელმძღვანელს: „მილიცია დააყენეთ თავის სიმაღლეზე, წინააღმდეგ შემთხვევაში გადაგაყენებთ და ტრიბუნალში გადაგცემთ".[54]

მილიციონერების ერთი ნაწილი არ ერიდებოდა ძარცვა-რბევაში აშკარად მონაწილეობას, ფარულად თანამშრომლობდნენ ნამდვილ ყაჩაღებთან, თავს ესხმოდნენ მგზავრებს, ძარცვავდნენ. რიგითი ჯარისკაცები კი არა, ზოგჯერ ძარცვაში და ბანდიტებთან კავშირში შემჩნეული იყვნენ მილიციის ადგილობრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელებიც კი. 1923 წელს დააპატიმრეს ბორჯომის რაიონის მილიციის უფროსი, რომელსაც დაუმტკიცდა ბანდიტებთან კავშირი, ქვემო ჭალის სოფლის მცხოვრებლებისათვის სახელმწიფო გადასახადების დიდი ოდენობით მითვისება, თავადაზნაურებთან ურთიერთობა.[55] თბილისის მილიციის ერთ-ერთი რაიონის ხელმძღვანელმა საიდუმლო სამსახურში აიყვანა ნამდვილი კრიმინალები-რეციდივისტები, რომლებიც მას ქალაქის აშკარა თუ ფარული სამეძაოებიდან უწესო ყოფაქცევის ქალებით ამარაგებდნენ.[56]

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში, როგორც ჩანს, ვერ ხერხდებოდა მილიციაში ისეთი მორალურ-ფსიქოლოგიური რეჟიმის დამკვიდრება, რომელიც უზრუნველყოფდა ამ ძალისმიერი ორგანიზაციის უპირობო ერთგულებას ახალი საბჭოთა ხელისუფლებისადმი. გორის მილიციის ხელმძღვანელობა ჩიოდა, რომ 1923 წელსაც კი „საყოფაცხოვრებო მდგომარეობა აუტანელია. შიშველ-ტიტველნი, მშიერ-მწყურვალნი, მძიმე პირობებში უხდებათ მოვალეობის აღსრულება. იანვარ-თებერვლის ჯამაგირით არ არიან დაკმაყოფილებულნი, საგუშაგოებზე შიშველ-ტიტველნი დგანან".[57]

უფრო დრამატული შინაარსის არის მთის რეგიონებიდან გამოგზავნილი დეპეშები: „არ არის შეშა, თივა, ქერი, ბზა. ბინა გაშიშვლებულია. არ გვაქვს ლეიბები. ფანჯრებში – შუშები. რაიონის სამმართველო ღამლამობით სრულ სიბნელეშია. არ არის თბილი ტანსაცმელი".[58]

მძიმე საყოფაცხოვრებო პირობებში უხდებოდათ ყოფნა ქუთაისელ, ფოთელ მილიციონერებს. საქართველოსა და ამიერკავკასიის საგანგებო კომისიების აგენტურული ცნობებით ამ ქალაქების მილიციონერთა შორის შეიმჩნეოდა უკმაყოფილება.[59]

როცა მილიციის რიგითი თანამშრომელი უკმაყოფილოა, არის დიდი ალბათობა, რომ ის ერთგულად არ ემსახუროს არსებულ რეჟიმს, შეუერთდეს უკმაყოფილო ძალებს, გაილაშქროს არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ. ეს ჭეშმარიტება საქართველოშიც საცნაური იყო: სვანეთის აჯანყების დროს ადგილობრივი მილიციის მნიშვნელოვანი ნაწილი მიემხრო ანტისაბჭოთა მოძრაობას. არის ცნობა: 45-მა მილიციონერმა და 20-მდე საბჭოთა მოსამსახურემ ულაპარაკოდ გადასცა საკუთარი შეიარაღება აჯანყებულებს.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ დუშეთის აჯანყების დროს ქაქუცა ჩოლოყაშვილს უკან დახევის დროს დაეხმარა და ეს სიცოცხლის ფასად დაუჯდა დიდი ვაჟას ერთადერთ ვაჟს – ლევანს, ადგილობრივი მილიციის უფროსს.[60]

ამრიგად, როგორც ვხედავ საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებას სერიოზული პრობლემები ჰქონდა როგორც ქართულ არმიაში, ისე მუშურ გლეხურ მილიციაში.

თუმცა შინსახკომის ხელმძღვანელობა მაინც ცდილობდა ეჩვენებინა ოფიციალურ ანგარიშებში, რომ 1923 წლისათვის საქართველოში მოხერხდა სტაბილურობის მიღწევა, რომ შინსახკომის მუშაკები გარკვეულ წარმატებებს აღწევდნენ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში: „შეიძლება ითქვას, რომ წესრიგის

მხრივ საქართველო ამჟამად სანიმუშო ქვეყნად ჩაითვლება".[61] ძნელია იმის შემდეგ, რაც ითქვა ზემოთ, ამ შეხედულებაში დავეთანხმოთ საქართველოს შინსახკომის ხელმძღვანელობას, მაგრამ გარკვეული პროფილაქტიკური მუშაობა ტარდებოდა – მიმდინარეობდა კადრების წმენდა, გაიზარდა ხელფასი, ულუფა, მოწესრიგდა ამუნიციის პრობლემა. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მილიციაში პარტიული ჯგუფის ზრდას, პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობას. მაგალითად, 1922 წელს გორის მილიციის ხელმძღვანელი უკვე ამაყობდა, რომ ჰყავდათ პოლიტიკური მდივანი, რომ ადგილებზე ყველგან იყო პოლიტიკური ხელმძღვანელი, რომ სწავლობდნენ „კომუნიზმის ანბანს", მართავდნენ პოლიტიკურ დისკუსიებს, რომ გახსნეს წერა-კითხვის ლიკვიდაციის სკოლა.[62]

ვითარების გამოსწორების მიზნით ძალიან ადრე დაიწყო მილიციის ადგილობრივ ორგანიზაციებთან საიდუმლო ქვედანაყოფების ფორმირება. მათ საკმაოდ დიდი თანხები ჰქონდათ, და მოწოდებულნი იყვნენ შეეკრიბათ საიდუმლო ინფორმაცია. თბილისის სისხლის სამართლის სამძებროს ხაზით ასეთი 7 შტატიანი თანამშრომელი ჰყავდათ – რწმუნებული (ხელფასი 8 მილიონი მანეთი). სახალხო დამკვირვებელი (ხელფასი 6500 ათასი მანეთი), შინაგანი დაკვირვების საიდუმლო აგენტი (ხელფასი 6500 ათასი მანეთი).[63]

მილიციის მთავარი ამოცანა იმ წლებში იყო „ბანდიტიზმის" წინააღმდეგ ბრძოლა, ანტისაბჭოთა საქმიანობის აღკვეთა, რა თქმა უნდა, სისხლის სამართლის დამნაშავეთა პროფილაქტიკა, კრიმინალური ფონის შესუსტება, რაც ყოველთვის თან ახლავს ძალაუფლების ძალმომრეობით დაპყრობას. ჩვენ შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ 20-იანი წლების დასაწყისში საქართველოში არ ხდებოდა კრიმინალური დანაშაულობები, მკვლელობები, გაუპატიურება, ქურდობა. მაგალითად, საბჭოთა ხელისუფლების პირველსავე თვეებში გაიქურდა ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწის, მწერლისა და მოაზროვნის გერონტი ქიქოძის სახლი. 1921-1922 წლებში საქართველოში მოხდა სხვადასხვა სახის 10621 დანაშაული, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულობები იმჟამად ცოტა იყო. მაგალითად, 1923 წლის პირველი ცხრა თვის მაჩვენებლით საქართველოში მოხდა 114 მკვლელობა, 105 ქურდობა, დაიჭრა 12 კაცი. მკვლელობათა რაოდენობით ჭარბობდა ქუთაისი (12 შემთხვევა) შემდეგ მოდიოდა ოზურგეთი (11 შემთხვევა), თელავი (9

შემთხვევა). ქურდობაში გამოირჩეოდა თელავი (13 შემთხვევა), გორი (11 შემთხვევა) და ა.შ.[64]

ქართული საბჭოთა მილიცია ასხვავებდა პოლიტიკურ „ბანდიტიზმს“ და კრიმინალურ ბანდიტიზმს. გაუსაძლისმა სოციალურმა მდგომარეობამ, ძალმომრეობის ტალღამ, რაც მოჰყვა კომუნისტური რეჟიმის დამკვიდრებას, ბუნებრივად გამოიწვია კრიმინალური ფონის გაუარესება. რაიონებში, მაზრებში, განსაკუთრებით მთის რეგიონებში, არაქართველი ეთნოსით დასახლებულ კუთხეებში (ბორჩალო, ახალციხე) თარეშობდნენ ჩვეულებრივი კრიმინალური ბანდები, რომლებიც შიშის ზარს სცემდნენ მოსახლეობას.

პოლიტიკურ ბანდიტიზმს – როგორც ამას საბჭოთა ხელისუფლება უწოდებდა, ანუ პარტიზანულ მოძრაობას, კომუნისტური მეთოდებით ებრძოდა საგანგებო კომისია, მისი ცენტრალური თუ ადგილობრივი ორგანიზაციები. მეტად მნიშვნელოვანია და, ამასთან, ნიშანდობლივიც, რომ ანტისაბჭოთა ელემენტებთან ბრძოლის მიზნით საგანგებო კომისია შეიქმნა საქართველოს ოკუპაციისთანავე – 25 თებერვალს. მისი მიზანი იყო კონტრრევოლუციური მოქმედებების-შეთქმულებების, აჯანყებების, ტერორისტული აქტების პროფილაქტიკა, დარბევა, ჯაშუშობა სახელმწიფო ღალატის ფაქტის ფიქსაცია და ყველა ისეთი ქმედების ნეიტრალიზება, რაც ხელს შეუშლიდა რუსეთის სამხედრო ყოფნას საქართველოში და საქართველოს კომუნისტური რეჟიმის განმტკიცებას. საქართველოს საგანგებო კომისიას ჯერ რევკომის წევრი ელისაბედაშვილი ხელმძღვანელობდა. გარკვეულ პერიოდში – ძველი კომუნისტი კოტე ცინცაძე. შეიქმნა „საქჩეკას“ კოლეგია: კ. ცინცაძე, კ. იაშვილი, პ. ნოვიცკი, ვ. წივწივაძე, ა. ობოლაძე და სხვ. 1921 წლის მარტში შეიქმნა ბათუმის საოლქო, ქუთაისის საგუბერნიო კოლეგიები, თანდათან „საქჩეკას“ განყოფილებების ქსელმა დაფარა მთელი საქართველო – 10 აპრილს დაიწყო სამაზრო განყოფილებების ფორმირება. გორში, სიღნაღში, ეკატერინეფელდში, ცხინვალში, საგარეჯოში. ამ ორგანოებში 30-35 კაცი მსახურობდა.[65]

მიუხედავად იმისა, რომ პირველ ხანებში ბევრი საყოფაცხოვრებო პრობლემა მოუგვარებელი იყო, საქართველოს საგანგებო კომისიაში იგზავნებოდნენ საქართველოს კომუნისტური პარტიის უერთგულესი წევრები. თავიდანვე ეს იყო ინტერნაციონალური კოლექტივი, ბევრი მუშაობდა სომეხი, ებრაელი, რუსი. მალე აქ სამუშაოდ მოვიდნენ ისეთი მუშაკები, რომლებმაც თავისი შესაძლებლობებით კვალი დაამჩნიეს ამ ორგანიზა-

ციას – კვანტალიანი, ბერია, ქობულოვი, დეკანოზოვი, ფოფხაძე, სულავა, მურადოვი, ოქრუაშვილი, გოგიბერიძე და სხვები. სულ საქართველოს „ჩეკა“-ში 383 კაცი მსახურობდა, აქედან 185 – კომუნისტური პარტიის წევრი იყო.[66] მათ ჯერ კიდევ აკლდათ პროფესიონალიზმი, მაგრამ ჰქონდათ ურყევი რწმენა და უშრეტი ენთუზიაზმი. საქართველოს საგანგებო კომისიას ორგანიზაციული პრობლემების გადაწყვეტაში ეხმარებოდა რუსეთის საგანგებო კომისია, რომლის წარმომადგენლობა თბილისში უკვე 1921 წლის გაზაფხულიდან ფუნქციონირებდა. 1922 წლის მაისში შეიქმნა ამიერკავკასიის საგანგებო კომისია, რომელიც თავის მხრივ კურირებდა საქართველოს ჩეკისტებს.

საქართველოს საგანგებო კომისიის მუშაობის მეთოდები – ისევე როგორც ყველა მსგავსი სტრუქტურის მუშაობის პრინციპები, იყო: რეპრესიები, აგენტურული ინფორმაცია, თვალყურის დევნება, დაპატიმრება, ძიება, მიჩენა, პროვოცირება, კომპრომატების შეგროვება, პროფილაქტიკური მუშაობა. მიუხედავად გამოცდილების ნაკლებობისა, საკუთარი ენთუზიაზმი და, პირველ რიგში, კომუნისტური პარტიის წევრების გულმოდგინებისა და ფანატიზმის გამო, საქართველოს საგანგებო კომისია ჩინებულად იყო ინფორმირებული ქვეყანაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით.

საგანგებო კომისიის აგენტურის ეფექტიან მუშაობას მიანიშნებს მათი საქმიანობა საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში: მათ შეძლეს ეროვნული ძალების ყველა ჩანაფიქრის პროფილაქტიკა, გამოიცნეს მათი ყველა ნაბიჯი, აკონტროლებდნენ მათ ყველა მოქმედებას, აგზავნიდნენ აგენტებს პარტიზანულ (მათ შორის ქ. ჩოლოყაშვილის) შენაერთებში – საქართველოს ჩეკა ინფორმირებული იყო ქართული გენერალიტეტის პატრიოტული მოღვაწეობის შესახებ, იცოდა პარიტეტული კომიტეტის არსებობა, ფლობდა ინფორმაციას ანტისაბჭოთა პარტიებში მიმდინარე პროცესებზე. მეტად საყურადღებოა ისიც, რომ უკვე საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში საგანგებო კომისია თვალყურს ადევნებდა ხელისუფლების უმაღლესი ეშელონების პირებს და აგროვებდა მაკომპრომეტირებელ ინფორმაციას. მოსკოვის სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში ჩვენ მივაკვლიეთ დოსიეს, რომელიც შედგენილი იყო აფხაზეთის პირველ საბჭოთა ხელმძღვანელებზე: „ეშბა – ძალიან ჰუმანური პიროვნებაა, რის გამოც ადვილად ექცევა გავლენებში. საბჭოთა აღმშენებლობის საკითხებს ამხ. ეშბა უდგება არა მთლად კომუნისტურად. თვითონ არ არის თავადი და ბიუროკრატი, მაგრამ მათ წინააღმდეგ

ბრძოლას არ ეწევა და მალე თვითონაც გახდება თავადი და ბიუროკრატი. ლაკობა – ვიწრო დუალისტია, თავისებური კომუნისტი. ის ეწინააღმდეგება თავისი მოქმედებით კომინტერნის III კონგრესის ინტერესებს. ელაპარაკება მენშევიკებს (დაპატიმრებულებს), ხელს ართმევს და ეწევა მეგობრულ საუბრებს. ის მენშევიკების დროს კომისარი იყო ოჩამჩირეში. მე მას ვერ ვუწოდებ კომუნისტს. აკირტავა – მე არ შემიმჩნევია მენშევიკებთან ურთიერთობაში. ცაგურია – მეოთხე ადგილი უკავია საბჭოთა ხელისუფლების მშენებლობაში. ის ვიწრო ნაციონალ-შოვინისტია, შემთანხმებელი ბურჟუაზიასთან, თავადებთან. ცდილობს საპასუხისმგებლო თანამდებობებზე კონრრევოლუციონერები, სოციალისტი-შემთანხმებლები დანიშნოს. მან რევოლუციურ ტრიბუნალს სათავეში ჩაუყენა ყოფილი კონტრრევოლუციონერი მარღანია, გაათავისუფლა პატიმრობიდან იასონ მარღანია, რომელსაც კომუნისტები ჰყავს მოკლული. აფხაზეთის „ჩეკას“ უფროსი დამენია სუსტია უსწავლელობის გამო. მას ჭირდება ყოველდღიური კურირება“.[67] ეს ინფორმაცია თარიღდება 1921 წლით, რაც მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებისთანავე კომუნისტები ბოლომდე ერთმანეთს არ ენდობოდნენ და რომ ერთმანეთზე კომპრომატებსაც კი აგროვებდნენ, რაც ჩინებულად გამოიყენეს მოგვიანებით – 1937 წლის რეპრესიების დროს.

საქართველოს საბჭოთა ხელისუფლება თავიდანვე შეუდგა თავისი რეჟიმის განსამტკიცებლად საკანონმდებლო ბაზის შემუშავებას, საბჭოთა სასამართლო სტრუქტურების დანერგვას. დემოკრატიული საქართველოს გაუქმებული სასამართლო სისტემის ნაცვლად შეიქმნა რუსული შაბლონი – სახალხო სასამართლოები. 1921 წლის ივლისიდან დაიწყო ამ სასამართლოებისათვის მოსამართლეების არჩევნები, რომელიც ჩატარდა ასევე დისკრიმინაციულად, რადგან აქაც მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს (ზემოთ ნახსენები 7 კატეგორია) არ ჰქონდა არჩევნებში მონაწილეობის უფლება. ამასთან, მოსამართლეთა უმრავლესობა იყო არაპროფესიონალი, დაბალი სოციალური ფენების წარმომადგენელი და საქმის წარმოების დროს აქტიურად იცავდნენ კლასობრივი მიდგომის პრინციპებს. ეს არც უნდა იყოს გასაკვირი, რადგან სოციალისტური საქართველოს იუსტიციის სახალხო კომისარი ვარძიელი 1923 წელს თბილისის მე-4 რაიონის პარტიულ კრებაზე ასე აყალიბებდა საბჭოთა საქართველოში მიმდინარე სასამართლო რეფორმის არსს: „მუშური უნდა გახდეს სასამართლო, რაც იმას ნიშნავს რომ როცა მოსამართლის წინაშე

დგას ბურჟუაზია და მუშა, სასამართლომ მუშა უნდა გაამართლოს". როცა შეეკითხნენ, მუშამ რომ ბურჟუას ცოლი გააუპატიუროს, როგორ უნდა მოიქცეს მოსამართლეო, სახალხო კომისარმა უპასუხა – ერთი კი არა, რამდენიმე ბურჟუას ცოლიც რომ გააუპატიუროს, სასამართლომ მუშას კეთილგანწყობა უნდა დაუმტკიცოს და გაამართლოსო.[68]

ამრიგად, აშკარაა, რომ საბჭოთა საქართველოს პოლიტიკური და ძალოვანი სტრუქტურები საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში სერიოზული პრობლემების წინაშე იდგნენ და რუსეთის სამხედრო ძალის გარეშე ვერ შეინარჩუნებდნენ ხელისუფლებას. აშკარაა, რომ საჭირო იყო ისეთი მასშტაბური ღონისძიება, რომელიც შესაძლებლობას მისცემდა კომუნისტურ რეჟიმს ფორმალური პროლეტარიატის დიქტატურა ფაქტობრივად გადაექცია.

საქართველოში შექმნილი პოლიტიკური ვითარება 20-იანი წლების დასაწყისში

როგორი იყო პოლიტიკური ფონი საქართველოს ძალმომრეობით გასაბჭოების შემდეგ?

არსებობს როგორც საქართველოს, ისე ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის სპეციალური აგენტების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე შედგენილი 1921 წლის 1-15 ივლისის პერიოდის ამსახველი საინფორმაციო ცნობები. ისინი ასახავენ იმჟამად ქვეყანაში შექმნილ მძიმე ვითარებას: „საშუალო ფენების დამოკიდებულება რევოლუციისადმი გულგრილი და მიუღებელია – განუსაზღვრელია. ცდილობენ არ იცხოვრონ პოლიტიკით, მათთვის მთავარია ბევრი ფულის შოვნა, სულ ერთია რა გზით, რა საშუალებით. მსხვილი ბურჟუაზია მენშევიკურად განწყობილ ინტელიგენციასთან ერთად, კონტრრევოლუციურად არის განწყობილი. თუმცა გარეგნულად თავი ასე უჭირავს – „Тише воды, ниже травы". მუშები და საბჭოთა მოხელეები ენერგიულად არიან, რევოლუციურად, საბჭოთა ხელისუფლებას და კომპარტიას ეკიდებიან თანაგრძნობით. უაღრესად ერთგულნი საბჭოთა ხელისუფლების მიმართ, ისინი იტანენ განსაცვიფრებელ ეკონომიკურ და სასურსათო კრიზისს. უდიდეს ენერგიას ახმარენ საბჭოთა ორგანოებში მუშაობას... თბილისში

იფურჩქნება სპეკულაცია, გლეხები ფულზე სურსათს აღარ ყიდიან – მოითხოვენ მანუფაქტურას, ნავთს, ასანთს, ფასები საქონელზე იზრდება საათობრივად... გლეხობის დამოკიდებულება საბჭოთა ხელისუფლებისადმი არის უნდობლობის. მოითხოვენ სასოფლო-სამეურნეო მანქანებს".[1]

ჩვენ მეტად საყურადღებოდ მიგვაჩნია საგანგებო კომისიის აგენტების მიერ ყოფილი მმართველი პარტიის – მენშევიკების დახასიათება: „მენშევიკები აძლიერებენ და კიდევაც გააძლიერებენ მუშაობას". საინტერესოა შემდეგი შენიშვნაც: „დაკარგეს რა იმედი ადვილად და სწრაფად აშკარა გამოსვლისა და წარმატებისა, ისინი ამზადებენ ნიადაგს, ამისათვის იყენებენ ყველა ფაქტსა და ვითარებას როგორც ადგილობრივი, ისე საერთო მნიშვნელობის: ქვეყნის მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობას... ყველა საბჭოთა დაწესებულებაში შეაძვრინეს თავისიანები, აფერხებენ საქმის წარმოებას, „ბორბლებში ჯოხებს აწყობენ".[2]

ნიშანდობლივია მეორე შენიშვნაც: „არის სახელმწიფო მნიშვნელობის ორგანიზაციები და დაწესებულებები, რომლებიც მთლიანად მენშევიკების ხელშია, განსაკუთრებით რკინიგზაზე.[3]

საქართველოს საგანგებო კომისიის ანგარიშს ავსებს ამიერკავკასიის „ჩეკას" შემდეგი ინფორმაციაც: „ტყიბულში მუშებს არ მიუღიათ 3 თვის ხელფასი, ფოთში – შიმშილობენ, თბილისის არსენალის მუშებში დიდი მღელვარებაა – მიზეზი: ხელმძღვანელები არ ასრულებენ კოლექტიურ ხელშეკრულებას... გლეხობა მშვიდია, გარდა ოზურგეთისა – აქ შიმშილის გამო უკმაყოფილებაა".[4]

აშკარაა, ძალით დამყარებულ რეჟიმს უჭირდა ადაპტაცია, ის ფაქტობრივად კვლავ რუსულ იარაღს ეყრდნობოდა. რა თქმა უნდა, დამხობილი პოლიტიკური პარტიები შეეცდებოდნენ რევანშს – მით უფრო, რომ ოკუპაციის პირველ თვეებში კომუნისტური ხელისუფლება გარკვეულ დათმობაზე წავიდა – ხელი არ შეუშლია მათთვის გაეგრძელებინათ მუშაობა, გამოდიოდა ზოგიერთი ოპოზიციური გაზეთიც კი, ჰქონდათ შეკრებების თავისუფლება.

მაგრამ მთავარი ისაა, რომ თვითონ საქართველოს კომპარტია იყო გაურკვეველ მდგომარეობაში – რაოდენობით მცირერიცხოვანი, იდეოლოგიურად აშკარად დაბნეული გამოიყურებოდა.

საქართველოს კომპარტიაში ამ დაბნეულობის, ამ შეშფოთების შესახებ თავისი დამოკიდებულება თვითონ საქართვე-

ლოს რევკომის თავმჯდომარემ ფ. მახარძემ აშკარად მიუთითა კომუნისტური გადატრიალების შემდეგ პირველ პარტიულ კონფერენციაზე (1921 წ. ივნისი). ის ხაზგასმით აღნიშნავდა: „არავისათვის არ არის საიდუმლო, რომ უკანასკნელ დროს ჩვენს პარტიაში შეიმჩნევა რაღაც რყევა, რაღაც უთანხმოება, გვესმის ცალკე ჩივილი იმაზე, რომ ჩვენი პარტიის ხაზი არ არის გამართული, რომ ყველგან მოჩანს რაღაც გაუბედაობა, გაურკვევლობა (ხაზგასმა ჩვენია – ა. დაუშვილი.). არის ჩივილი იმაზეც, რომ საბჭოთა ხელისუფლება საქართველოში იხრება ბურჟუაზიული ორიენტაციისაკენ, რომ ჩვენ დავცილდით კომუნიზმს და სოციალიზმს“.[5] მეტად ფასეულია ფ. მახარაძის შემდეგი აღიარებაც: „ნამდვილი სოციალისტური წყობილების აღმშენებლობის გამოცდილება ჯერ კიდევ არ გვქონია... ბუნებრივია არ იყო ცხადი, თუ შემდეგ (რევოლუციის შემდეგ – ა. დაუშვილი.) რა უნდა გაგვეკეთებინა “.[6]

კონფერენციაზე ფ. მახარაძეს აშკარად დაუპირისპირდა დელეგატების ჯგუფი, რომელიც, მართალია, პარტიის ელიტას არ წარმოადგენდა, მაგრამ გამოხატავდა პარტიის გარკვეული ფენების განწყობილებას. მაგალითად, დელეგატმა ობოლაძემ რევკომის თავმჯდომარეს მიუთითა: „ამხ. ფილიპე აღნიშნავს, რომ მართვის სადავეები მუშების ხელშია. მე არ ვეთანხმები ამას: ჯერჯერობით მართვის სადავეები ჩვენი პატივცემული ამხანაგების ხელშია. ჩვენ ჯერ კიდევ გვჯერა მათი. მაგრამ როცა მუშები თავის ხელში აიღებენ მართვის სადავეებს, მაშინ აღარ იქნება ის შეხლა-შემოხლა, რაც ამჟამად შეიმჩნევა“.[7]

ობოლაძეს მხარი დაუჭირა წივწივაძემ, როცა აღნიშნა, რომ „ობოლაძე მხოლოდ კონსტატაციას უკეთებს მუშათა ფართო ფენებში საერთო უკმაყოფილებას (ხაზგასმა ჩვენია – ა. დაუშვილი.)“.[8]

კონფერენციაზე გაირკვა რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხიც – საქართველოს კომპარტიის რიგების გაძლიერების აუცილებელობა, ეროვნული საკითხის მნიშვნელობა და მენშევიკებთან დამოკიდებულების პრობლემა. დელეგატები აღნიშნავდნენ, რომ „ჩვენი ორგანიზაცია ჯერ კიდევ არ განმტკიცებულა, სუსტია, შედუღაბებული არ არის“[9]; „მენშევიკებს უკავიათ ყველა თანამდებობა, ხელმძღვანელობენ გემის მთელ მექანიზმს“[10]; „მე არ მინდა, რომ ჩემი პარტია მიცურავდეს შოვინისტურ პარტიებთან ერთად“.[11]

სწორედ შიდაპოლიტიკური დაძაბულობა უნდა ყოფილიყო იმის მიზეზი, სხვა მიზეზებთან ერთად, რომ ზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს თბილისში ი. ბ. სტალინი ჩამოვიდა.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ი. ბ. სტალინის სამშობლოში პირველი ვიზიტის შესახებ ქართულმა ისტორიოგრაფიამ თითქმის არაფერი იცის. აქ კი რამდენიმე შეკითხვა იბადება: ვინ მოიწვია? რა მიზეზით ჩამოვიდა? ვის შეხვდა? რა შედეგი მოიტანა ამ ვიზიტმა?

ი. ბ. სტალინის ოფიციალური ბიოგრაფიული ქრონიკა მიუთითებს, რომ 1921 წელს, მაისის დამლევს ის სამკურნალოდ გაემგზავრა ჩრდილო კავკასიაში, ნალჩიკში.

ვინ მოიწვია?

სტალინის თბილისში ეს ჩამოსვლა არ იყო შეთანხმებული მოსკოვის ლიდერებთან. ამის შესახებ გაფრთხილებული არ იყო თვითონ ლენინიც კი. ამაზე მეტყველებს მისი ორი დეპეშა, რომელიც მან გ. კ. ორჯონიკიძეს ზაფხულის იმ ცხელ დღეებში გამოუგზავნა. ამ დეპეშებში ლენინი ეკითხება ორჯონიკიძეს, თუ რატომ არ აძლევენ ი. ბ. სტალინს ნორმალური დასვენების საშუალებას.[12]

სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ გ. კ. ორჯონიკიძემ ი. ბ. სტალინი თბილისში მოიწვია იმ პრობლემების გამო, რაც დაგროვდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების ეროვნულ-ტერიტორიულ გამიჯვნასთან დაკავშირებით.[13] თუმცა ეს ერთადერთი საკითხი არ იყო, რის გამოც ამიერკავკასიელ ბოლშევიკებს სტალინთან კონსულტაციები დასჭირდათ.

2 ივლისს ი. ბ. სტალინი დაესწრო რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიუროს პლენუმს. ამ პლენუმს ეწრებოდნენ რკპ (ბ) ცკ წევრები: ი. ბ. სტალინი და გ. კ. ორჯონიკიძე, საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის კომპარტიათა ხელმძღვანელი მუშაკები, თბილისისა და ბაქოს პარტიული კომიტეტის წევრები, პროფსაბჭოს პრეზიდიუმის პასუხისმგებელი პირები, რუსეთის რევოლუციური არმიის სამხედრო საბჭოს წევრები.

10 ივლისს „პრავდა გრუზიამ“ გამოაქვეყნა კავბიუროს პლენუმის გადაწყვეტილება „ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებისა და რსფსრ ურთიერთობის შესახებ“. მისი პირველი პარაგრაფი ხაზგასმით მიუთითებდა – „დადასტურდეს აუცილებლობა ამიერკავკასიის რესპუბლიკების (საქართველო, აზერბაიჯანის და სომხეთი) დამოუკიდებლობის ცხოვრებაში გატარება“.[14]

აქვეა მეორე მნიშვნელოვანი დებულება: „აღნიშნული რესპუბლიკების აუცილებლად გადაუდებელი სამხედრო და სამე-

ურნეო მხარდაჭერიდან გამომდინარე, რომლებსაც უკავიათ საერთო ფრონტი იმპერიალიზმის წინააღმდეგ, ჩაითვალოს აუცილებლად სამხედრო, სავაჭრო და სამეურნეო-ფინანსური კონვენციის დადება ამიერკავკასიის რესპუბლიკებსა და რუსეთს შორის ნებაყოფლობის საფუძველზე".[15]

აქ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ დადგენილების ეს პუნქტი სერიოზულად აკნინებს (თუ არ ვიტყვით – ნიველირებას უკეთებს) პირველს. ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ 1917 წლის ოქტომბრიდან – კომუნისტური გადატრიალების შემდეგ, კომუნისტური პარტიის მიერ მთლიანად იყო უზურპირებული ხელისუფლება და უკვე კომუნისტური პარტია, და არა სახელმწიფო სტრუქტურები განსაზღვრავდნენ ფაქტობრივად პოლიტიკურ ცხოვრებას, სახელმწიფოთა შორის ურთიერთობას. კომუნისტები ამას ხომ არც მალავდნენ – „რუსეთის კომუნისტური პარტიისა და მისი ხელმძღვანელი დაწესებულებების ყველა გადაწყვეტილება უსათუოდ სავალდებულოა პარტიის ყველა ნაწილისათვის, მიუხედავად მათი ნაციონალური შემადგენლობისა. უკრაინელი, ლიტველი კომუნისტების ცენტრალური კომიტეტები სარგებლობენ პარტიის საოლქო კომიტეტის უფლებით და სავსებით ემორჩილებიან კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს" – ეს კატეგორიული მოთხოვნა ხაზგასმით არის დაფიქსირებული კომუნისტური პარტიის VIII ყრილობის რეზოლუციაში.[16] ამ მოთხოვნის მკაცრი დაცვა უკვე გულისხმობდა, რომ კომუნისტური სახელმწიფოს მმართველი პარტია, რომელიც მთლიანად აკომპლექტებდა მთავრობას, რუსეთის კომპარტიის პოლიტბიუროს გადაწვეტილებებს უსიტყვოდ ემორჩილებოდა და ვერასოდეს ვერ იქნებოდა „სუვერენული და დამოუკიდებელი" ტრადიციული გაგებით.

კავბიუროს ზემოთაღნიშნული გადაწყვეტილება ეხებოდა ამიერკავკასიის სახელმწიფოების ურთიერთობის საკითხსაც, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა სამეურნეო რესურსების ერთობლივად გამოყენებას, მნიშვნელოვანი სამეურნეო დარგების (რკინიგზების, საგარეო ვაჭრობის) გაერთიანების აუცილებლობას, განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებდნენ ნაციონალისტური ტენდენციების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებაზე და მიუთითებდნენ, რომ ყველა ნაციონალური საკითხის გადაჭრის დროს ეხელმძღვანელათ „ამ რესპუბლიკების მშრომელთა ძმური კავშირის ინტერესებით".

თბილისში ყოფნის დროს, 5 ივნისს სახაზინო თეატრში ი. ბ. სტალინი შეხვდა პარტიულ აქტივს და გამოვიდა მოხსენებით

„კომუნიზმის მორიგ ამოცანებზე საქართველოსა და ამიერკავკასიაში“. ამ მოხსენებაში რამდენიმე მომენტი არის გასათვალისწინებელი: 1. საქართველომ უნდა განავითაროს ყოველმხრივ სამეურნეო-საალმშენებლო მუშაობა, ამ მუშაობას მოანდომოს მთელი თავისი ძალები და ამასთან გამოიყენოს როგორც დასავლეთის კაპიტალისტური ჯგუფების, ისე თავისი საკუთარი ქვეყნის წვრილბურჟუაზიული ჯგუფების ძალები და სახსრები, 2) გასრისოს ნაციონალიზმის გველეშაპი და შექმნას ინტერნაციონალიზმის ჯანსაღი ატმოსფერო ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების სამეურნეო ღონისძიებათა გაერთიანების საქმის გასაადვილებლად და ამავე დროს შეინარჩუნოს ამ რესპუბლიკების დამოუკიდებლობა. 3) დაიცვას პარტია მეშჩანური ელემენტების მოზღვავებისაგან და შეინარჩუნოს მისი სიმტკიცე და მოქნილობა, ამასთან სისტემატურად აუმჯობესოს მისი ხარისხობრივი შემადგენლობა.[17]

ისტორიოგრაფიაში და ხალხურ გადმოცემებში არის მოსაზრება, რომ 5 ივნისს სტალინი შეხვდა ნაძალადევის მუშათა კლუბში მუშა-მენშევიკებს და მათ ლიდერებს, სადაც ის ამხილეს „სამშობლოს ღალატსა და ანტიქართულ მოღვაწეობაში“. ეს პრობლემა ჩვენ სპეციალურად შევისწავლეთ ი. ბ. სტალინისადმი მიძღვნილი ტრილოგიის მესამე წიგნში და აქ ამ საკითხზე აღარ შევჩერდებით.[18]

როგორი იყო ი.ბ. სტალინის ვიზიტის შედეგები?

როგორც მენშევიკებიდან მომდინარე წყაროები ამტკიცებენ: „იმავე ღამეს, ქალაქის ბნელ ქუჩებში ჩეკისტები დაძრწოდნენ და ასზე მეტი ცნობილი სოციალ-დემოკრატი დააპატიმრეს და მეტეხის საპყრობილეში ჩასვეს, პირველ რიგში დაიჭირეს: რამიშვილი, დგებუაძე, ჯიბლაძე“.[19]

ჰარვარდის ფონდში დაცულ მასალებში ვკითხულობთ: „გვიანი ღამე იყო, სტალინმა მოითხოვა სასწრაფოდ კომპარტიის ცეკას სხდომის მოწვევა. მან სხდომაზე გააკეთა მოხსენება იმ არანორმალური მდგომარეობის შესახებ, რომელიც არსებობდა საბჭოთა საქართველოში იმ დროს, როდესაც ხელისუფლება კომუნისტურია და მასა კი მენშევიკურად განწყობილი“.[20]

უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ მოტანილი არცერთი ინფორმაცია არ ასახავს ჭეშმარიტებას. არსებობს დოკუმენტური მასალა, რომელიც სხვაგვარად წარმოაჩენს 1921 წლის ზაფხულის მოვლენებს. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ღამით კი არა, არამედ 7 ივლისს, დილით ჩატარდა. მას ესწრებოდნენ ორახელაშვილი, მახარაძე, ცინცაძე,

მდივანი, დუმბაძე, ქავთარაძე, ელიავა, ტოროშელიძე, თუმანიანი, ნაზარეტიანი და სხვები. იხილავდნენ რამდენიმე საკითხს. მათ შორის იყო „ბათუმის საკითხი“.[21]

სტალინი და ორჯონიკიძე პლენუმზე დაგვიანებით მოვიდნენ, დაფიქსირებულია მათი მოსვლის დროც – 12 საათი და 25 წუთი. სტალინის მოსვლამ გარკვეულად შეცვალა პლენუმის დღის წესრიგი – „ბათუმის საკითხი“ გადაიდო შემდეგი რეზოლუციით – „ეთხოვოს ამხ. სტალინს გააკეთოს მოხსენება ცეკას სხდომაზე აჭარის დელეგაციასთან საუბრის შესახებ“.[22]

აშკარად ჩანს, რომ პლენუმზე, შეუთანხმებლად, სტალინს დაუყენებია წინადადება – ქვეყანაში შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამო გაეთავისუფლებინათ ფ. მახარაძე საქართველოს რევკომის თავმჯდომარის პოსტიდან და დროებით (ეს სიტყვა პლენუმის ოქმში მელნით არის გადაშლილი) ამ თანამდებობაზე დაენიშნათ ბუდუ მდივანი. სტალინის ამ წინადადებას მხარი დაუჭირა ცენტრალური კომიტეტის 7 წევრმა, 3 იყო წინააღმდეგი. ბუდუ მდივნის რევკომის თავმჯდომარის პოსტზე კანდიდატურას მხარი დაუჭირა ცკ ექვსმა წევრმა, ოთხმა თავი შეიკავა.

უფრო შინაარსიანი და მნიშვნელოვანი იყო საქართველოს კომპარტიის ცკ 1921 წლის 8 ივლისის პლენუმი. მას სტალინი, კიროვი და ორჯონიკიძე ესწრებოდნენ. ამ პლენუმზე კვლავ ფორმალურად დადასტურდა საქართველოს რევკომის თავმჯდომარის პოსტიდან ფ. მახარაძის გათავისუფლება და მის ნაცვლად ბ. მდივნის დანიშვნა.

საინტერესოა პლენუმზე განხილული მეორე საკითხი – „მოქმედების ხაზის შესახებ“. სწორედ ამ ნაწილში, რომელიც ბევრ სხვა საკითხსაც შეიცავს და მთლიანად სტალინის მიერ არის შეთავაზებული, მოცემულია კომუნისტური პარტიის ახალი ხაზი მენშევიკების მიმართ. ეს ადგილი ოქმში ყოფილა გამოტოვებული და შემდეგ არის ხელით შევსებული. ასეთი შემთხვევა საქართველოს კომპარტიის ცკ პლენუმის მასალებში მეორე ჩვენ არ შეგვხვედრია და იმასაც ვვარაუდობთ, რომ შესაძლებელია ეს თვითონ სტალინის ხელით გაკეთებული ჩანაწერი იყოს.

აქაც არის ი. ბ. სტალინის შეთავაზება: მოიხსნას მენშევიკური ზედაფენა. მოიხსნან მცირეოდენ აქტიური მენშევიკი-მუშები. შეიცვალონ ისინი შეძლებისამებრ კომუნისტებით. დაბრუნდნენ მუშები, როგორიც არიან არაქელა ოქუაშვილი და ვანო სტურუა, რკინიგზის მთავარ სახელოსნოებში, მივამაგროთ I რაიონს ცეკას რამდენიმე წევრი, ჩატარდეს რკინიგზის აპარატის

რეორგანიზაცია. საქმით გატარდეს სამხედრო მდგომარეობა რკინიგზაზე და ა.შ..[23]

პლენუმმა დაადგინა, რომ ი. ბ. სტალინის შემოთავაზებული ყველა წინადადება მისაღებია და ჩამოყალიბდა კონკრეტული მოქმედების პროგრამა, რაც დოკუმენტში ასევე ხელით არის ჩაწერილი (ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ესეც ი. ბ. სტალინის ხელია): „დაევალოს საგანგებო კომისიას სამი დღის ვადაში წარმოუდგინოს რევკომის პრეზიდიუმს სია იმ მენშევიკების, რომლებიც უნდა იქნენ დაპატიმრებულნი“.

პლენუმზე გადაწყდა რკინიგზის სამმართველოს რეორგანიზაცია (ამის შესახებ ქვემოთ), დაყენებულია პარტიის სასურსათო პროგრამის რეალიზაციის საკითხები, შეიქმნა საქართველოს შრომისა და თავდაცვის საბჭო (მისი ფორმირება დაევალა ბ. მდივანს), მნიშვნელოვანი პოლიტიკური საკითხების გადასაწყვეტად შეიქმნა საქართველოს კომპარტიის ცკ პოლიტბიურო. მასში შევიდნენ ბ. მდივანი, მ. ორახელაშვილი, ფ. მახარაძე. დიდი ყურადღება მიექცა პარტიული პრესის ეფექტიანობის ამაღლების საკითხებს, პარტიული პროპაგანდის გაძლიერებას.

განსაკუთრებით საინტერესოა შემდეგი დებულება: „ჩაითვალოს კანონიერ მოთხოვნად უმკაცრესი დაცვა ქართული ენის ინტერესებისა ყველა დაწესებულებაში გამოუკლებლივ, რომლებიც ემსახურებიან ქართველ მოსახლეობას“.

სტალინისა და ქართველი კომუნისტების აზრით ამ კონვეენციებს უნდა შეექმნა საქართველოს დამოუკიდებლობის ილუზია. ამიტომაც დაევალა ეს საკითხები საქართველოს საგარეო და იუსტიციის სახალხო კომისარიატებს. სტალინი ხომ თავისი მოხსენების ერთ ადგილზე მიუთითებდა კიდეც: „შევინარჩუნოთ საბჭოთა საქართველოს დამოუკიდებლობა – ასეთია საქართველოს მეორე მორიგი ამოცანა, რომელსაც გვაარნახობს ამ ქვეყნის არსებობის კონკრეტული პირობები“.[24]

ამასთან, სწორედ სტალინმა ურჩია საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის რევკომებს შეექმნათ ერთობლივი ეკონომიკური თათბირი, რომ ერთობლივად ეხელმძღვანელათ ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარებისათვის.

პლენუმმა, დასასრულს, დაამტკიცა რევკომის პრეზიდიუმი – მდივანი, ელიავა, ქავთარაძე, ტოროშელიძე, კვირკელია. როგორც ვხედავთ, რევკომის ყოფილი თავმჯდომარე ფ. მახარაძე სახელმწიფო ხელისუფლებას მთლიანად ჩამოაცილეს.

საქართველოს კპ ცკ პლენუმის მასალების შესწავლის დროს ცხადი ხდება, რომ პლენუმი განსაკუთრებულ ყურადღე-

ბას უთმობს საქართველოს რკინიგზაზე არსებულ ვითარებას. მინიშნებულია, როგორც რკინიგზის მუშების მძიმე საყოფაცხოვრებო პირობებზე, ისე ამ პირობების ყველა საშუალებით მოგვარებაზეც („შესაძლო თუ შეუძლო საშუალებებით") და ამასთან, სტალინის მოთხოვნით შეიტანეს რეზოლუციაში წინადადება, რომ რკინიგზაზე დასაქმებული მენშევიკი მუშები და ხელმძღვანელები გაენთავისუფლებინათ და დაეპატიმრებინათ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის რიგებში სერიოზული იდეოლოგიური და ორგანიზაციული პრობლემების არსებობის შესახებ ინფორმირებული იყო ი. ბ. სტალინი. ამიტომაც ხაზგასმით მიუთითა თავის მოხსენებაში: „ერთხელ და სამუდამოდ დავიმახსოვროთ, რომ პარტიის, განსაკუთრებით კომუნისტური პარტიის, ძალა და ხვედრითი წონა დამოკიდებულია არა იმდენად წევრთა რაოდენობაზე, რამდენადაც მათ ღირსებაზე, მათ სიმტკიცეზე და პროლეტარიატის საქმისადმი ერთგულებაზე..."

მაგრამ აქვე გვინდა ისიც აღვნიშნოთ, რომ სტალინის საქართველოდან წასვლისთანავე დაიწყეს მისი ინიციატივით მიღებული გადაწყვეტილებების რევიზია – გაუქმდა პოლიტბიურო (27 აგვისტოს), მის ნაცვლად შეიქმნა საქ კპ ცკ პრეზიდიუმი, რომელშიც სამი კაცის ნაცვლად 5 წევრი და 2 კანდიდატი შევიდა (მდივანი, ქავთარაძე, ოკუჯავა, ელიავა, ორახელაშვილი, დუმბაძე, ტოროშელიძე). ფილიპე მახარაძე მოსკოვში გაიწვიეს.

ზემო თქმული გვაძლევს საფუძველს ვამტკიცოთ, რომ საბჭოთა საქართველოს ხელისუფლება, მიუხედავად რუსეთის არმიის მხარდაჭერისა, ვერ აკონტროლებდა სიტუაციას ქვეყანაში, აღმასრულებელი ხელისუფლების ზედა ეშელონებში მნიშვნელოვანი თანამდებობები ეკავათ მენშევიკური და ანტისაბჭოთა პარტიების წარმომადგენლებს, რომლებიც თავის ნებას აქტიურად ახორციელებდნენ (სახაზინო თეატრში სტალინთან დაკავშირებული ინცინდენტიც ამ ვითარების ლოგიკური შედეგია). აქედან გამომდინარე შეიძლება ვივარაუდოთ ისიც, რომ არავითარი "პროლეტარიატის დიქტატურა" საქართველოში 1921 წლის განსახილველ პერიოდში საქართველოში არ იყო, არამედ იყო „საოკუპაციო რეჟიმი" რუსული წითელი არმიის იმედად დარჩენილი სუსტი ადგილობრივი კომუნისტური ხელისუფლებით.

ყოველივე ამის მიუხედავად, საქართველოში ტოტალიტარული პოლიტიკური რეჟიმის დამკვიდრება დაიწყო.

ტოტალიტარიზმის პოლიტიკური სისტემის ფორმირების დასაწყისი

საბჭოთა პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბება საქართველოში დაიწყო 1922 წლიდან, რადგან საბჭოთა ხელისუფლების ძალდატანებითი დამყარების შემდეგ ერთი წლის განმავლობაში სახელმწიფო მმართველობის ორგანოების ხელმძღვანელ რგოლს წარმოადგენდნენ რევოლუციური კომიტეტები.

რევკომების, როგორც გარდამავალი სახელმწიფოებრივი ფორმის, წარმოშობა საქართველოში განაპირობა, როგორც ეს უკვე აღინიშნა, ოკუპაციისა და ახალი სახელმწიფო მმართველობის ფორმების პირობების თავისებურებებმა. საქართველოში ძლიერი იყო ანტისაბჭოთა პოლიტიკური პარტიების, განსაკუთრებით ყველაზე მრავალრიცხოვანი და დამოუკიდებელი საქართველოს მმართველი სოციალ-დემოკრატიული პარტიის გავლენა, როგორც რიგით მასებში, ისე ინტელიგენციის მნიშვნელოვან ნაწილში. რამდენადაც საბჭოური სისტემით დაშვებული „დემოკრატიისათვის" არ იყო პირობები საქართველოში, კომუნისტურმა პარტიამ პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივ ფორმად მიიღო „რევოლუციური კომიტეტების" სისტემა, რომელიც ძალისმიერი მეთოდებით იკაფავდა მმართველობის გზას, რამაც, კერძოდ, მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტები და სხვა ანტისაბჭოთა პარტიების დიდი წინააღმდეგობა გამოიწვია. მათ რევოლუციური კომიტეტების სისტემა მონათლეს საოკუპაციო რეჟიმად და მოითხოვეს საბჭოების არჩევნების დაუყოვნებლივ ჩატარება[1]. მაგრამ კომუნისტური ხელისუფლება თავისუფალი არჩევნების ჩატარების იდეას მხარს არ უჭერდა, რადგან ძალით მოპოვებული ძალაუფლების გაზიარებას არავის დაანებებდა. არაკომუნისტური პარტიების ნაწილმა თავდაპირველად განაცხადეს, რომ ისინი სწორედ მონაწილეობას მიიღებდნენ საბჭოთა წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნებში, მაგრამ კომუნისტური პარტიის მიერ შემუშავებული ინსტრუქციის გამოქვეყნების შემდეგ, რომელიც შედგენილი იყო საბჭოთა რუსეთში არსებული დისკრიმინაციული და არადემოკრატიული საარჩევნო წესის ანალოგიურად, გარდა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტების სარევოლუციო პარტიისა, სხვა ოპოზიციურმა პარტიებმა შეუძლებლად მიიჩნიეს საბჭოების არჩევნებში მონაწილეობა სწორედ იმის გამო, რომ ქვეყანაში იყო საშინელი ტერორი, უარყოფილი იყო პროპორციული საარჩევნო სისტემა და ა. შ.

რევკომების მმართველობა ერთი წლის თავზე, როგორც ნავარაუდევი იყო, საბჭოების არჩევნების გზით ლეგიტიმურ საბჭოების ხელისუფლებაზე უნდა გადასულიყო. არჩევნები თავდაპირველად ჩატარდა თბილისსა და ბათუმში, რაც დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. კომუნისტურ პარტიას არ ჰქონდა გარანტია, რომ ხალხი მხარს დაუჭერდა კომუნისტების არჩევას საბჭოების შემადგენლობაში. საბჭოების არჩევნები იმითაც იყო შეზღუდული, რომ იგი ტარდებოდა მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებებზე ღია კენჭისყრით, რითაც ამომრჩეველი ფარული კენჭისყრით თავისი არჩევანის გაკეთების შესაძლებლობას მოკლებული იყო.

საბჭოების არჩევნებს ართულებდა ანტისაბჭოთა პარტიების პოზიცია. ზოგიერთმა პარტიამ, მაგალითად, მემარჯვენე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიამ, რომელიც 1921 წელს გაეთიშა ამ პარტიის მემარცხენე ფრთას, ბოიკოტი გამოუცხადა არჩევნებს. ზოგიერთი სხვა ანტისაბჭოთა პარტიის ცდამ არჩევნები ჩაეშალა – ნაყოფი ვერ გამოიღო. 1921 წლის 3-8 დეკემბერს გამართული თბილისის საბჭოს არჩევნების შედეგად აირჩიეს 351 დეპუტატი, მათგან 325 კომუნისტი იყო.

რამდენამდე განსაკუთრებული იყო 1921 წლის 8-10 დეკემბრის არჩევნები ბათუმში, სადაც რევკომის გვერდით არსებობდა ძველი ხელისუფლების ორგანო – მეჯლისი, რომელიც პოლიტიკური მოსაზრებით არ დაშალეს. აქ 1921 წლის 21 მაისს აირჩიეს ახალი მეჯლისი, რომელიც აჭარის ტერიტორიაზე გამოცხადდა ხელისუფლების უმაღლეს ორგანოდ. მაგრამ 7-11 ნოემბერს ბათუმში ჩატარებულმა გლეხთა ყრილობამ მეჯლისი დაშლილად გამოაცხადა, ხოლო ღარიბ გლეხთა ყრილობაზე არჩეულ გლეხთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს „წითელი მეჯლისი" ეწოდა. ბათუმის საქალაქო საბჭოში თითქმის მთლიანად კომუნისტები აირჩიეს.

1922 წლის 25 თებერვალს – საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის წლისთავზე გაიხსნა საქართველოს საბჭოების პირველი ყრილობა, რომელშიც მონაწილეობდა 380 დეპუტატი, მათგან 272 კომუნისტი. საქართველოს საბჭოების პირველმა ყრილობამ დაამტკიცა საქართველოს სსრ პირველი კონსტიტუცია, რომელსაც საფუძვლად დაუდო საბჭოთა რუსეთის 1918 წლის კონსტიტუციის ძირითადი პრინციპები.

ყველაფერი მიმართული იყო იქითკენ, რომ ჩამოყალიბებულიყო ისეთი რეჟიმი, სადაც საქმიანობის სათანადო პირობები ექნებოდა მხოლოდ კომუნისტურ პარტიას, რომელიც მმართვე-

ლი პარტია გახდა. საქართველოს კომუნისტური ორგანიზაციის მუშაობის წესი არ განსხვავდებოდა რუსეთის კომუნისტურ პარტიაში დამკვიდრებული წესისაგან. ეს იმით იყო გაპირობებული, რომ საქართველოს კომპარტია რუსეთის კომპარტიის განუყოფელი შემადგენელი ნაწილი იყო. ამაში მდგომარეობდა ტოტალიტარული რეჟიმის ერთ-ერთი მთავარი თავისებურება.

საქართველოს კომპარტიაში შექმნილი იყო რუსეთის კომუნისტურ პარტიაში არსებული ანალოგიური სტრუქტურა. 1921 წლის 24 მარტიდან 10 ივნისამდე მოქმედებდა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიურო, 10 ივნისიდან 26 ივლისამდე საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო და სამდივნო, 26 ივლისიდან 27 აგვისტომდე საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური ორგბიურო, 27 აგვისტოდან კი ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი და სამდივნო.

როგორც ზემოთაც აღინიშნა, საქართველოს კომუნისტთა შორის არ იყო ერთიანობა, რაც გამოჩნდა საქართველოს კომუნისტური პარტიის I ყრილობაზეც (1922 წლის 23 იანვარი – 1 თებერვალი). იმ დროისათვის საქართველოს კომპარტიაში ითვლებოდა 16 ათასი წევრი და წევრობის კანდიდატი. უთანხმოებას ჰქონდა ადგილი ცენტრალური კომიტეტის წევრებს შორის, რასაც მოჰყვა 1921 წლის აგვისტოში ცენტრალური კომიტეტის ახალი შემადგენლობის დამტკიცება. მაგრამ არც ეს შემადგენლობა აღმოჩნდა მონოლითური. ყრილობამ ცენტრალური კომიტეტის მუშაობა არადამაკმაყოფილებლად შეაფასა. აირჩიეს ცენტრალური კომიტეტის ახალი შემადგენლობა 26 წევრის და 7 კანდიდატის შემადგენლობით[2].

პარტიაში არსებულ უთანხმოებასა და იდეოლოგიურ დაბნეულობას ქართველი კომუნისტები რეპრესიული მექანიზმის გაძლიერებით არეგულირებდნენ. რეპრესიები ძლიერდებოდა არაკომუნისტური პოლიტიკური პარტიების წინააღმდეგ. მაგალითად, ბოლშევიკურმა რეჟიმმა რეპრესიებით უპასუხა თბილისის მუშათა გაფიცვას 1921 წლის 1 ნოემბერს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2 ათასიან მიტინგს. მეტეხის ციხეში დაავადდა და გარდაიცვალა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ყოფილი სამხედრო მინისტრი პ. ჭიჭინაძე, ქუთაისში დახვრიტეს პოლკოვნიკი ლექვინაძე და სხვ[3].

საქართველოს კომპარტიის ყრილობაზე და ცენტრალური კომიტეტის პლენუმებზე არაფერს ამბობდნენ საბჭოთა რეჟიმის მიერ დაწყებული რეპრესიების შესახებ. კერძოდ, არც II ყრილობაზე (1923 წლის 14-18 მარტი), როდესაც საქართველოს კომ-

პარტიაში უკვე ითვლებოდა 13500 წევრი და კანდიდატი (მათი რიცხვის შემცირება გამონაკლისი იყო კომპარტიაში ჩატარებული წმენდის შედეგებით), არც III ყრილობასა (1924 წლის მაისი) და IV ყრილობაზე (1925 წლის ნოემბერ-დეკემბერი) არ დასმულა საკითხი პოლიტიკური რეპრესიების შენელებისა და შეწყვეტის თაობაზე. პირიქით, IV ყრილობა მაღალ შეფასებასაც კი აძლევდა ცენტრალური კომიტეტის მუშაობას ანტისაბჭოთა ფრონტის ლიკვიდაციისათვის, რაც, ცხადია, რეპრესიების გზით ხორციელდებოდა.

მმართველი, კომუნისტური პარტიის ადგილი და როლი საქართველოში ყოველთვიურად იზრდებოდა და მტკიცდებოდა. მიუხედავად ამისა, საქართველოს კომუნისტურ პარტიაში ქართული საზოგადოების მცირე ნაწილი იყო გაერთიანებული. 1921 წლისთვის იგი ითვლიდა 9190 წევრს, მათ შორის მუშა იყო 1190 ანუ 13%, გლეხი – 57,1% და მოსამსახურე – 22,82%[4]. რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიურომ 1921 წლის ივლისში მიიღო დადგენილება ამიერკავკასიის კომუნისტურ ორგანიზაციებში კლასობრივად უცხო ელემენტებისაგან წმენდის ჩატარების შესახებ. ამ დადგენილების საფუძველზე ჩატარდა საქართველოს კომპარტიის რიგების წმენდა 1921 წლის ბოლოს. 1922 წლის დასაწყისისათვის საქართველოს კომპარტია უკვე ითვლიდა 13 ათასამდე წევრს, ხოლო რვა თვის შემდეგ უკვე 18 ათას წევრს. პარტიის წევრების რიცხვის ასეთი ზრდა დროის მცირე მონაკვეთში არანორმალურ მოვლენად მიიჩნიეს, ამიტომ 1922 წლის სექტემბერში გადაწყდა პარტიის რიგების განმეორებითი წმენდის ჩატარება, რომლის შედეგად 6794 წევრმა დატოვა პარტიის რიგები. ამრიგად, საქართველოს კომპარტიაში დარჩა 11570 წევრი.[5] 1923 წლიდან იზრდებოდა საქართველოს კომპარტია რაოდენობრივად და თვისობრივად – მუშათა ხვედრითი წილის ზრდის საფუძველზე. 1924 წლის დასაწყისში ჩატარებული წმენდის შედეგად გადიდდა მუშათა ხვედრითი წილი 22,7%-მდე, წევრობის კანდიდატთა შორის კი 64,2%-მდე[6]. ამრიგად, იზრდებოდა კომუნისტური პარტიის პროლეტარული შემადგენლობა, რაც მისი სოციალური შემადგენლობის გაუმჯობესებად ითვლებოდა.

ვ. ი. ლენინის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ქვეყანაში გამოცხადდა ე. წ. „ლენინური გაწვევა", როდესაც საქართველოს კომუნისტურ პარტიაში მიიღეს 4 ათასამდე კაცი, უპირატესად ე. წ. დაზგის მუშები.[7] დიდი ყურადღება მიექცა მისაღებ კონტინგენტის ინდივიდუალურ შერჩევას.

საბჭოთა სახელმწიფო მმართველობის აპარატის საფუძველს კი ფორმალურად წარმოადგენდნენ სახელმწიფოს წარმომადგენლობითი ორგანოები – მშრომელთა დეპუტატების საბჭოები, რომლებიც ჩაენაცვლნენ საქართველოში რევკომების ხელისუფლებას. ამიერიდან ცენტრალურ სახელმწიფო ორგანოს, საბჭოთა რუსეთის სახელმწიფოს ანალოგიურად, წარმოადგენდა სახალხო კომისართა საბჭო, რომელშიც შედიოდნენ დარგობრივი სამხედრო კომისარიატები, სახელმწიფო კომიტეტები და მთავარი სამმართველოები, ხოლო ადგილობრივ რგოლს – მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები და მათი სამმართველოები და განყოფილებები. ყველა სახელმწიფო ორგანო ექვემდებარებოდა საბჭოების კონტროლს და ანგარიშვალდებული იყო მათ წინაშე. საბჭოები უშუალოდ და მათ მიერ შექმნილი ორგანოების მეშვეობით ხელმძღვანელობდნენ სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის დარგებს, იღებდნენ გადაწყვეტილებებს და კონტროლს უწევდნენ მათ განხორციელებას. სახელმწიფო აპარატის შემადგენლობაში შედიოდა აგრეთვე სასამართლოსა და პროკურატურის ორგანოები და ა.შ.

საქართველოს კომუნისტური პარტია დიდ ენერგიას ახმარდა ტოტალიტარული რეჟიმის დამკვიდრების პროცესს. ამ ბრძოლაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა ახალგაზრდობის კომუნისტური ორგანიზაცია – კომკავშირი, რომელიც საბჭოთა პოლიტიკური სისტემის შემადგენელი ნაწილი გახდა.

პირველი კომკავშირული ორგანიზაციები საქართველოში, ისევე როგორც რუსეთში, წარმოიშვა 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის შემდეგ მუშა და გლეხი ახალგაზრდების პირველი კავშირებისაგან. „სპარტაკის“ ორგანიზაცია საქართველოს კომკავშირის ჩანასახს წარმოადგენდა.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, მიუხედავად კომკავშირელთა რაოდენობის სიმცირისა (მათი რიცხვი 3500 წევრს არ აღემატებოდა), ისინი ჩაებნენ სახალხო მეურნეობის აღდგენის პროცესში. ჩამოყალიბდა კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელი ორგანოების აპარატიც – ცენტრალური და თბილისის კომიტეტები, შეიქმნა კულტურულ-საგანმანათლებლო, ბეჭდვითი სიტყვის, ეკონომიკის, უფლებრივი, სამხედრო-სპორტული და სხვა განყოფილებები, ყურადღება მიექცა ამ დროისათვის შექმნილ სამაზრო კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის მოწესრიგება-გამართვას, აფხაზეთსა და აჭარაში შეიქმნა ცენტრალური საორგანიზაციო

ბიუროები. კომკავშირულ სამუშაოზე დააწინაურეს ადგილობრივი ახალგაზრდა კადრები. კომკავშირელთა რაოდენობის დაზუსტების მიზნით 1921 წლის მაისის მეორე ნახევარსა და ივნისის პირველ რიცხვებში ჩატარდა კომკავშირის წევრთა ხელახალი რეგისტრაცია.

1921 წლის 19 ივნისს ჩატარდა თბილისის კომკავშირის პირველი ლეგალური კონფერენცია. ივნისის ბოლოს საქართველოს კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება ამიერკავკასიის ახალგაზრდათა კომუნისტური ორგანიზაციების გაერთიანების შესახებ. ესეც იყო საქართველოში ტოტალიტარული რეჟიმის დამკვიდრების პროცესის ერთ-ერთი ხელშემწყობი საფუძველი.

საქართველოს კომკავშირის პირველი ლეგალური ყრილობა შედგა 1921 წლის 21 აგვისტოს. ყრილობის მიერ მიღებული რეზოლუციის ძირითადი პუნქტები იყო: „შეურიგებელი ბრძოლა ნაციონალიზმთან, სამეურნეო ნგრევასთან და შეთანხმებული მუშაობა კომუნისტურ პარტიასთან საბჭოთა ხელისუფლების განსამტკიცებლად, მთელ რიგ საბჭოთა ფედერაციებში"[8].

საქართველოს კომკავშირმა შეიტანა თავისი წვლილი 1921 წელს ვოლგისპირეთში მოუსავლიანობის გამო დამშეული მოსახლეობის დახმარებაში. იგი აგვისტო-ოქტომბრის განმავლობაში ატარებდა ამ დახმარების კამპანიას, ამასთან ერთად აწყობდა გლეხებისადმი დახმარების „კვირეულებს" და „შაბათობებს". საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით კომკავშირელ მუშებსა და მოსამსახურეებს ვოლგისპირეთის დახმარების ფონდში შეჰქონდათ თვიური ხელფასის ნახევარი. ამ დახმარებაში გლეხი ახალგაზრდობაც მონაწილეობდა.

თანდათან იზრდებოდა საქართველოს კომკავშირის რიგები. 1921 წლის ოქტომბრისთვის მან 13 ათასს მიაღწია[9]. იმავე წლის 19 ოქტომბერს ამიერკავკასიის კომკავშირის სამხარეო კომიტეტმა მიიღო დადგენილება კომკავშირის პირადი შემადგენლობის წმენდის შესახებ. ეს კამპანია დაიწყო 20 ნოემბერს და გაგრძელდა 1922 წლის მარტის პირველ რიცხვებამდე. წმენდა შეეხო პასიურ კომკავშირელებს, ქორ-ვაჭრებს, დეზერტირებს და ა.შ. წმენდის შედეგად საქართველოს კომკავშირში დარჩა 8958 წევრი. შემდგომ კი მისი რიცხვი იზრდებოდა ძირითადად მუშა-ახალგაზრდობის ხარჯზე. 1922 წლის ოქტომბერ-ნოემბერში კომკავშირის რიგების წმენდა ჩატარდა თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტში, სადაც ანტისაბჭოთა განწყობილების გამო 4 ათასი სტუდენტიდან გაირიცხა 1200 კაცი[10].

საქართველოს კომკავშირი მოითხოვდა არსებული სპორტული ორგანიზაციების გაუქმებას და მათ ნაცვლად ახალი პროლეტარული სპორტული ორგანიზაციების შექმნას. ასე შეიქმნა ადრე არსებული საზოგადოება „შევარდენის“ ნაცვლად „სპარტაკის“ სპორტული ორგანიზაცია.

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში საქართველოს კომკავშირი ეწეოდა ბრძოლას ანტისაბჭოთა ახალგაზრდული პარტიების, მათ შორის ერთ-ერთი ძლიერი „ახალგაზრდა მარქსისტთა“ პარტიის წინააღმდეგ.[11] ეს ახალგაზრდული ორგანიზაცია სოციალ-დემოკრატიული პარტიის იდეური ხელმძღვანელობით მოქმედებდა. „ახალგაზრდა მარქსისტებმა“ 1922 წლის მაისის პირველ რიცხვებში გამოაქვეყნეს მოწოდება „დასავლეთის ახალგაზრდობის ყველა ორგანოსადმი, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ საქართველოს მუშა-ახალგაზრდობა ერთობ მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა და რომ „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაცია აერთიანებდა საქართველოს თითქმის მთელ მუშა-ახალგაზრდობას და იგი განიცდიდა მკაცრ რეპრესიებს. გადამწყვეტი ხასიათი ბრძოლამ „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციის წინააღმდეგ მიიღო 1923 წლის აგვისტოდან, როდესაც საქართველოს მენშევიკურმა პარტიამ გამოაცხადა თვითლიკვიდაცია. 28 ოქტომბერს თბილისში გამართულმა „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციის ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება თვითლიკვიდაციის შესახებ. დაიშალა აგრეთვე „ახალგაზრდა მარქსისტთა“ საზღვარგარეთული ბიურო, რომელიც ამ დროისათვის შეიქმნა პარიზში მენშევიკების ხელმძღვანელობით.

საქართველოში არსებობდა ახალგაზრდობის სხვა ორგანიზაციებიც, კერძოდ, „ახალგაზრდა მემარჯვენე სოციალისტ-ფედერალისტთა ორგანიზაცია (დაიშალა 1924 წ.), „ახალგაზრდა ნაციონალ-დემოკრატების“, „ახალგაზრდა დაშნაკთა“, „ებრაელ ახალგაზრდათა“, „ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატების ორგანიზაცია“. რომელიც დაიშალა 1923 წელს, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თვითლიკვიდაციის შედეგად[12].

ანტიკომუნისტური ახალგაზრდული ორგანიზაციები არსებობდნენ აფხაზეთსა და აჭარაში, მათ შორის მთავარი იყო „აფხაზ ახალგაზრდათა კავშირი“, აჭარაში „ბერძენ ახალგაზრდათა კავშირი“, ებრაელ ახალგაზრდათა კავშირი „მაკაი“ და ა. შ.

ვ. ი. ლენინის გარდაცვალებასთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირში, მათ შორის საქართველოშიც, როგორც უკვე აღინიშნა, გამოცხადდა „ლენინური გაწვევა", რომლის შედეგად 5 ათასზე მეტი ახალგაზრდა მუშა და გლეხი შევიდა საქართველოს კომკავშირის რიგებში. საქართველოს კომკავშირის VII ყრილობაზე (1924 წლის 24 ივნისი) კომკავშირი წარმოდგენილი იყო 21292 წევრით და წევრობის კანდიდატით[13].

საბჭოთა პოლიტიკური სისტემის შემადგენელი ნაწილი იყო მუშა-მოსამსახურეთა ყველაზე დიდი მასობრივი ორგანიზაცია – პროფესიული კავშირები, რომელთა დანიშნულება იყო თავისი წევრების შრომითი ინტერესების დაცვა. პროფკავშირების წარმოშობა დაკავშირებული იყო მუშათა მოძრაობასთან. ჯერ საგაფიცვო მოძრაობის განვითარებამ, ხოლო შემდეგ სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების წარმოშობამ ჯერ რუსეთში, ხოლო შემდეგ საქართველოში განაპირობა პირველი პროფესიული კავშირების შექმნა.

საბჭოთა ხელისუფლების ძალდატანებითი დამყარების შემდეგ საქართველოში არსებითად შეიცვალა პროფესიული კავშირების როლი და ამოცანები. პროფესიული კავშირები დაინტერესებული იყვნენ ქვეყნის ეკონომიკური განვითარებით, მონაწილეობდნენ წარმოების ორგანიზაციასა და მართვაში, ცდილობდნენ ხალხის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას. 1921 წლის 26 თებერვალს შედგა თბილისის პროფესიული კავშირების აქტივის კრება, რომელმაც გადაწყვიტა არსებული პროფესიული კავშირების ცენტრალურ გამგეობათა არჩევნების ჩატარება[14]. ამ დროიდან ფართოდ გაიშალა მოძრაობა ფაბრიკა-ქარხნებში და დაწესებულებებში პროფკავშირული უჯრედების, საფაბრიკო-საქარხნო ადგილობრივი კომიტეტების შესაქმნელად. 12 მარტს საორგანიზაციო კომისიამ დასახა საწარმოებში დასაქმებულ მუშა-მოსამსახურეთა პროფესიულ კავშირებში მოზიდვის, წარმოების მართვაში აქტიური მონაწილეობის, გლეხობასთან კავშირის განმტკიცების ამოცანები, აირჩია ხელმძღვანელი ორგანო – აღმასრულებელი კომიტეტი, ფაქტობრივად პირველი პროფსაბჭო, რომელიც აირჩიეს საქართველოს პროფკავშირების პირველ კონფერენციაზე – 1921 წლის 12 ივნისს. 1921 წლის ზაფხულის დამდეგს ჩამოყალიბდა 21 საწარმო პროფესიული კავშირი.

1921 წლის აგვისტოში მიიღეს დებულება, რომლის საფუძველზე პროფსაბჭო და სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო (სმუსი) ერთობლივად ადგენდნენ საწარმოო პროგრამებს და სა-

მეურნეო გეგმებს (ამის შესახებ ქვემოთ). სმუსი-ს გამგებლობაში გადავიდა ნაციონალიზებულ საწარმოთა ხელმძღვანელობა, კერძო მრეწველობაზე კონტროლი და პროდუქციის გეგმური განაწილების საქმე. პროფესიულ კავშირებს რჩებოდათ შრომის ორგანიზაციის, მუშა-ხელის შერჩევა-განაწილების, სამეურნეო მშენებლობაში მშრომელთა ფართო მასების ჩაბმის, წარმოების მართვისადმი თვალყურის დევნებისა და კონტროლის ფუნქციები.

პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა, პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით, 1921 წლის მარტში თბილისში, გორში, ქუთაისში, ჭიათურაში და სხვა ქალაქებში მოაწყვეს პირველი შაბათობები. მარტო 1921 წლის ივნისიდან ერთი წლის განმავლობაში საქართველოში მოეწყო 660-მდე შაბათობა და კვირაობა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 78 ათასმა კაცმა[15]. პროფკავშირების ინიციატივით დამკვიდრდა საწარმოებში მოწინავეთა მატერიალური და მორალური წახალისების ფორმები: მოწინავეთა შეტანა წითელ დაფაზე, მუშათა საერთო კრება წარჩინებულებს ანიჭებდა შრომის გმირის წოდებას და ა.შ.

პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა, კოლექტივების აღმზრდელობითი როლის განხორციელების მიზნით, 1921 წლის აგვისტოდან დაიწყეს ამხანაგური სასამართლოების შექმნა. ისინი იხილავდნენ სამუშაოს გაცდენისა და დაგვიანებების შემთხვევებს. მათ გადადგეს პირველი ნაბიჯები პროფესიული განათლების ორგანიზაციის და წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციოდ. დაიწყო გამოსვლა პირველმა პროფკავშირულმა გაზეთებმა და ჟურნალებმა

საქართველოს კომპარტიის პირველი ყრილობის (1922 წლის 23 იანვარი-1 თებერვალი) ერთ-ერთი მთავარი საკითხი იყო პროფესიული კავშირების მუშაობის ამოცანების განსაზღვრა. ისინი არ უნდა ჩარეულიყვნენ სამეურნეო ორგანოების მუშაობაში, რომელთაც ეკისრებოდათ პასუხისმგებლობა წარმოების შედეგებისათვის. მაგრამ პროფკავშირულ ორგანიზაციებს უნდა მიეღოთ აქტიური მონაწილეობა სამეურნეო ანგარიშზე საწარმოთა გადაყვანისა და სამეურნეო გეგმების შედგენაში, ეზრუნათ ხელფასისა და მუშათა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხებზე, კერძო და საიჯარო საწარმოებში მუშა-მოსამსახურეთა ინტერესების დაცვაზე თვალყური უნდა ედევნებინათ.

აღნიშნული ყრილობის დასრულებისთანავე, 2 თებერვალს, მუშაობას შეუდგა საქართველოს პროფესიული კავშირების II ყრილობა. ამ დროს იგი უკვე თავის რიგებში 90 ათასამდე

წევრს ითვლიდა. ყრილობამ განიხილა პროფკავშირების ამოცანები ახლო პერსპექტივაში, აგრეთვე სოციალური დაზღვევისა და ახალი სატარიფო პოლიტიკის, შრომის სახალხო კომისარიატის მუშაობის საკითხები და ა. შ. ჩაითვალა პროფკავშირული მუშაობის სიმძიმის დარგობრივ პროფკავშირულ ორგანიზაციებზე გადატანა. გადაუდებელ ამოცანად დაისახა საქართველოს პროფკავშირების გაერთიანება ამიერკავკასიისა და საბჭოთა რუსეთის პროფკავშირებთან, რაც, ტოტალიტარული რეჟიმის დამკვიდრების აუცილებლობიდან გამომდინარე, გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენდა. დროებითი კავკასიის ბიუროს ნაცვლად აირჩიეს პროფესიული კავშირების პირველი კავბიურო, რომელიც ამიერკავკასიის პროფკავშირების ხელმძღვანელი ორგანო გახდა. 1922 წლის თებერვლიდან საქართველოს პროფკავშირებს შეუერთდა აფხაზეთის პროფკავშირი, რომელიც მანამდე შედიოდა რუსეთის პროფკავშირების შემადგენლობაში.

1922 წლის ოქტომბერში პროფკავშირის წევრთა რიცხვის ხელახალი აღრიცხვისა და შემოწმების შედეგად, რომელმაც წმენდის ხასიათი მიიღო, პროფკავშირის წევრთა რაოდენობა 89538 წევრიდან (1921 წელს) შემცირდა 1922 წლის იანვარში 73380 წევრამდე[16].

სრულიად რუსეთის პროფკავშირების V ყრილობის (1922 წლის სექტემბერში) გადაწყვეტილებათა საფუძველზე, საქართველოშიც უარყვეს შრომის ანაზღაურების ორმაგი – ფულადი და ნატურალური სისტემა და ერთადერთ ფორმად ფულადი ანაზღაურება მიიჩნიეს.

ახალმა ვითარებამ წამოაყენა შრომის პირობების რეგულირების ახალი ფორმა – კოლექტიური ხელშეკრულებების შემუშავება-დამტკიცება. ამის აუცილებლობა გამოიწვია იმან, რომ სახელმწიფო ორგანოებს გადაეცა ხელფასის ნორმირების ფუნქცია – ამიერიდან ხელფასის საქმეს ისინი აწესრიგებდნენ მხოლოდ კოლექტიურ ხელშეკრულებათა საფუძველზე. 1922 წლის განმავლობაში საქართველოში დაიდო სულ 219 კოლექტიური ხელშეკრულება, რომელიც 30764 მუშას მოიცავდა.[17]

როგორც სახელმწიფო, ისე კერძო საწარმოებში ხშირად ჰქონდა ადგილი კონფლიქტებს, მათი მოგვარებისათვის დაარსდა მომრიგებელი კამერები და სამედიატორო სასამართლოები. 1922 წლის ივნისიდან ამიერკავკასიის რესპუბლიკებში შემოიღეს სოციალური დაზღვევის ერთიანი კანონი. ადგილებზე შეიქმნა დაზღვევის საბჭოები, ტერიტორიული პრინციპის საფუძველზე მოეწყო დამზღვევი სალაროები. 1923 წლის პირველი ნა-

ხევრისთვის სოციალური დაზღვევა ვრცელდებოდა 2364 საწარმოსა და დაწესებულებების 56827 მუშა-მოსამსახურზე, რაც პროფკავშირის წევრთა 81,3 პროცენტს შეადგენდა[18].

პროფესიული კავშირები მონაწილეობდნენ მუშათა კოოპერატივების ორგანიზაციაში. მათი დახმარებით შეიქმნა კოოპერაციული ბანკი, ჩატარდა საპაიო კამპანია, დაწესდა შეღავათები კოპერატივების გადასახადებზე. 1922 წლიდან დაიწყო მუშათა კოოპერატივების რეორგანიზაცია.

პროფკავშირები მონაწილეობდნენ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობაში. ამ მუშაობის ცენტრებს წარმოადგენდნენ რაიონული და ცენტრალური კლუბები. თბილისში დაარსდა მუშათა ცენტრალური კლუბი და პროფსაბჭოს კლუბი. მაგრამ ვერ გაამართლეს თავიანთი დანიშნულება ცენტრალურმა კლუბებმა. ამიტომ სრულიად რუსეთის პროფკავშირების V ყრილობის შემდეგ აიღეს გეზი საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივი კლუბების ქსელის გაფართოებაზე. მაგრამ საგრძნობი გახდა, რომ მათ განუსაზღვრელ ზრდას არ მოჰქონდა სასურველი შედეგი, ამიტომ პროფკავშირების ხელმძღვანელი ორგანოს გადაწყვეტილებით 1923 წლის თებერვლიდან ახალი კლუბების მოწყობა დაუშვეს მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში.

სრულიად რუსეთის პროფკავშირების V ყრილობის გადაწყვეტილების საფუძველზე საქართველოშიც შეიქმნა სადელეგატო კრებები, რომლებიც ყალიბდებოდა იმ საწარმოსა და დაწესებულებაში, სადაც ითვლებოდა არანაკლებ 100 მუშა-მოსამსახურე. კრებები წარმოადგენდნენ ორგანიზაციულ რგოლს, რომლითაც პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები საწარმოთა მუშა-მოსამსახურეებს უკავშირდებოდნენ.

1923 წლის 16-20 ივნისს გამართულმა საქართველოს პროფკავშირების III ყრილობამ შეაჯამა პროფკავშირების მუშაობის პირველი შედეგები.[19] განსახილველ საკითხებში მთავარი იყო ორგანიზაციული, სატარიფო, კულტურულ-საგანმანათლებლო, მრეწველობის მდგომარეობის საკითხები. უკანასკნელი საკითხების განხილვისას ყრილობამ აღნიშნა მრეწველობის აღდგენის პროცესის სიძნელეები და განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ე. წ. „მაკრატლის პრობლემას“ – სამრეწველო საქონლის ფასების აღმატებულ ზრდას, სოფლის მეურნეობის პროდუქციის ფასების შემცირებას. გატარდა ღონისძიებანი ფასების დასარეგულირებლად. აღინიშნა გათანაბრების ტენდენციები ხელფასების გაცემის დროს და საჭიროდ მიიჩნიეს ხელფასის ზრდა მხოლოდ იმ დარგებში, სადაც ის განსაკუთრებით დაბალი

იყო (სამთამადნო და ლითონდამმუშავებელი მრეწველობა, ტრანსპორტი).

1924 წლის პირველი ნახევრიდან დაიწყო საწარმოებში საწარმოო და ეკონომიკური თათბირების ორგანიზაცია. ამ თათბირების შემადგენლობაში შედიოდნენ სამეურნეო ორგანოების, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების და უპარტიო მუშათა წარმომადგენლები. პირველი საწარმოო თათბირები შეიქმნა ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარ სახელოსნოებში და დეპოში, თამბაქოს ფაბრიკებში, ქუთაისის, სოხუმის და ბათუმის საწარმოებში.

საქართველოს პროფესიული კავშირები IV ყრილობისთვის (1924 წლის 20 ოქტომბერი) ითვლიდნენ 111 ათასზე მეტ წევრს.[20] ყრილობის მთავარი საკითხი იყო შრომის ნაყოფიერების ზრდა, მისი ჩამორჩენა ხელფასის ზრდისგან, რაც საფრთხეს უქმნიდა სოციალისტური მრეწველობის განვითარებას. ამიტომ საჭირო გახდა დიდი მუშაობა შრომის ნაყოფიერების ამაღლების წამახალისებელი სისტემის დასანერგად. ყურადღება მიექცა პროფკავშირის წევრთა უფლებების დაცვას, გამარტივდა პროფკავშირში ახალი წევრების მიღების წესი. ახალ წევრს ირჩევდნენ მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე.

პროფესიულმა კავშირებმა გადადგეს ნაბიჯები თავიანთ წევრთა წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციოდ, გაფართოვდა პროფტექნიკური განათლების საქმე.

უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ქალი სუსტად იყო ჩაბმული პროფკავშირული ორგანიზაციის მუშაობაში. 1924 წლის ოქტომბრისათვის პროფკავშირის წევრი იყო 19357 ქალი ანუ პროფკავშირის წევრთა საერთო რაოდენობის 17,4%[21].

საქართველოს პროფესიული კავშირები ჩაებნენ მუშათა საშეფო მუშაობაში, თუმცა პირველ ეტაპზე ეს მუშაობა მასობრივი არ ყოფილა. მოგვიანებით საქართველოს პროფსაბჭოსთან შეიქმნა საშეფო კომისია, ასეთივე კომისიები შეიქმნა აფხაზეთში, აჭარაში და სამხრეთ ოსეთში, მაზრებში. პირველ ხანებში საშეფო მუშაობას სერიოზული ნაკლოვანებები ახასიათებდა, იგი ხშირად კამპანიურ ხასიათს ატარებდა ან სოფლისადმი შეფობას მხოლოდ მატერიალურ დახმარებაში ხედავდნენ. მაგრამ სოფლად პროფკავშირების მუშაობის ყველაზე მთავარი ნაკლი პროფკავშირების ცენტრალურ ორგანოებთან, სოფლის პროლეტარულ და ნახევრად პროლეტარულ მასებთან სუსტ კავშირში მდგომარეობდა. მიუხედავად ამისა, მათ გადადგეს პირველი ნა-

ბიჯი მოჯამაგირეთა და სასოფლო სამეურნეო მუშათა მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და მათი უფლებრივი ინტერესების დასაცავად, რა თქმა უნდა, კომუნისტური პრინციპებიდან გამომდინარე.

საქართველოში კომუნისტური პოლიტიკური სისტემის საფუძვლების ჩამოყალიბების კვალდაკვალ დაიწყო კრემლის მიზანმიმართულებათა თანდათან განხორციელება. აზერბაიჯანის, სომხეთის, და ბოლოს, საქართველოს ძალდატანებითი გასაბჭოების შემდეგ ვ. ი. ლენინმა პირველ რიგში დააყენა ამიერკავკასიაში ერთიანი საოლქო სამეურნეო ორგანოს შექმნის საკითხი, ხოლო ზოგიერთი სამეურნეო ორგანოების გაერთიანების კვალდაკვალ 1921 წლის დამლევს გადაჭრით დადგა ამიერკავკასიის „დამოუკიდებელი" საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციული სახელმწიფოებრივი კავშირის პრობლემაც, რათა ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციები, როგორც რუსეთის კომუნისტური პარტიის შემადგენელი ნაწილი, გაერთიანებულიყვნენ. 1921 წლის 3 ნოემბერს რკპ(ბ) კავბიუროს (შემდეგ ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი) პლენუმის დადგენილებამ „ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის შესახებ" დაუდო სათავე ბრძოლას ფედერაციული კავშირის შექმნისათვის, რამაც საქართველოს კომუნისტურ პარტიაში მეტად ცხარე კამათი გამოიწვია. ფედერაციის იდეას თუ ცალსახად იწონებდა რკპ(ბ) კავბიურო, ს. ორჯონიკიძის ხელმძღვანელობით, მას უპირისპირდებოდა კომუნისტთა ჯგუფი ბუდუ მდივნის მეთაურობით (ე.წ. „ნაციონალ-უკლონისტები").

ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის აუცილებლობას ხსნიდნენ ქვეყნის საშინაო და საგარეო ფაქტორებით, კერძოდ, ამიერკავკასიაში ანტისაბჭოთა ფრონტის ლიკვიდაციის, საგარეო უშიშროების უზრუნველყოფის, სახალხო მეურნეობის აღდგენის, ეროვნული მშვიდობიანობის დამყარების და ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის ურთიერთდახმარებისა და თანამშრომლობის ამოცანების გადაწყვეტის აუცილებლობით. ამიერკავკასიის ფედერაციის მოწინააღმდეგეთა პოზიცია კი, რომელიც საქართველოს კომპარტიის მიერ დასახული გზიდან გადახრად მიიჩნიეს და „ნაციონალ-უკლონისტებად" მონათლეს, ოფიციალურად თითქოსდა იწონებდა კიდეც ფედერაციის იდეას, მაგრამ აშკარად გამოდიოდა ფედერაციის დაჩქარებული ტემპით შექმნის წინააღმდეგ. ამასთან თვლიდნენ, რომ ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნით შეიზღუდებოდა საქართველოს სს რესპუბლიკის საბჭოური სუვერენიტეტი. ზემოაღნიშნული ამო-

ცანების გადაჭრა საბჭოური ტოტალიტარიზმის პირობებში, რომელიც უკვე მკვიდრდებოდა ქვეყანაში, ფედერაციის გარეშეც თავისუფლად შეიძლებოდა[22].

ლ. თოიძის არგუმენტირებული მსჯელობით ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის იდეა ან ინიციატივა ეკუთვნოდა არა ვ. ი. ლენინს, არამედ ამიერკავკასიის პოლიტიკურ მოღვაწეებს[23], მიუხედავად იმისა, რომ როგორც ზემოთ ითქვა, მას მიეწერება ამიერკავკასიაში ერთიანი სამეურნეო ორგანოს შექმნის იდეა.

ამიერკავკასიის ფედერაციის იდეას არ იწონებდნენ სხვა პოლიტიკური პარტიები, რადგან „უკლონისტების" მსგავსად იგი საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის შეზღუდვად მიაჩნდათ.

1921 წლის 28 ნოემბერს რკპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო ვ. ლენინის მიერ შემუშავებული ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციული გაერთიანების წინადადებათა პროექტი, რომელსაც მხარი დაუჭირეს საქართველოს კომპარტიის და ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების I ყრილობებმა.

1922 წლის 12 მარტს დაიდო სამოკავშირეო ხელშეკრულება ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის. მასში მითითებული იყო სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური გაერთიანების მოტივაცია. სახელმწიფო მმართველობის ზოგიერთი ფუნქცია გადაეცა ფედერალურ ანუ სამოკავშირეო ორგანოებს.

ამიერკავკასიის ფედერაციულ კავშირში უმაღლესი ხელისუფლება ეკუთვნოდა „სრულუფლებიან წარმომადგენელთა კონფერენციას", რომელიც არეგულირებდა ურთიერთობას საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკებს შორის. 1922 წლის ნოემბერში ამიერკავკასიის კომუნისტურმა პარტიებმა საჭიროდ მიიჩნიეს ფედერაციული კავშირის ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციულ რესპუბლიკად გარდაქმნა. და მართლაც, მიუხედავად წინააღმდეგობისა, 1922 წლის 10 დეკემბერს ამიერკავკასიის საბჭოების I ყრილობაზე შეიქმნა ამიერკავკასიის სს ფედერაციული რესპუბლიკა. მაგრამ თუ საბჭოთა რუსეთის ფედერაციის სუბიექტებს წარმოადგენდნენ ავტონომიური რესპუბლიკები და ოლქები, ამიერკავკასიის ფედერაციის სუბიექტები იყვნენ „სუვერენული" რესპუბლიკები, რომლებიც იწოდებოდნენ არა მოკავშირე რესპუბლიკებად, არამედ ხელშეკრულების დამდებ რესპუბლიკებად და მათ არ ჰქონდათ ცალმხრივი აქტით ფედერაციიდან გასვლის უფლება[24].

1922 წლის მეორე ნახევარში დაიწყო ავტონომიზაციის ფორმით საბჭოთა რესპუბლიკების გამაერთიანებელი მოძრაო-

ბა. საბჭოთა რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში საბჭოთა რესპუბლიკების შესვლის აღნიშნული ფორმა მოიწონეს სომხეთის და აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიების ცენტრალურმა კომიტეტებმა და უკრაინის კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა დ. მანუილსკიმ, რომელიც უფრო შორს წავიდა და 1922 წლის 4 სექტემბრის წერილში ი. სტალინისადმი დააყენა საკითხი რესპუბლიკების დამოუკიდებლობის ლიკვიდაციისა და მათი ფართო, რეალური ავტონომიით შეცვლის შესახებ. საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა ამ პროექტის განხილვისას 1922 წლის 15 სექტემბერს დაადგინა, რომ დამოუკიდებელ რესპუბლიკათა ავტონომიზაციის ფორმით გაერთიანება, რასაც ი. სტალინის „ავტონომიზაციის" თეზისების საფუძველზე მოითხოვდნენ, ნაადრევად ჩაითვალოს. საჭიროდ იქნა ცნობილი სამეურნეო ღონისძიებათა და საგარეო პოლიტიკის გაერთიანება, მაგრამ დამოუკიდებლობის ყველა ატრიბუტის შენარჩუნებით[25]. რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა 1922 წლის 6 ოქტომბერს უარყო ნაციონალ-უკლონისტების წინადადებანი გაერთიანების ნაადრევობისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნების შესახებ. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელი ბ. მდივანი იძულებული გახდა უარი ეთქვა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის წინადადებაზე, რომელიც დაგმო ვ. ი. ლენინმა. ამ მარცხის შემდეგ 22 ოქტომბერს საქართველოს ცენტრალური კომიტეტის მთელი შემადგენლობა გადადგა. ეს იყო უპრეცენდენტო შემთხვევა ბოლშევიკური პარტიის ისტორიაში. ქართველი „უკლონისტები" მთელი არსებით ბოლშევიკები იყვნენ, მაგრამ სტალინ-ორჯონიკიძის თანამოაზრეებისაგან განსხვავებით შედარებით გონივრული ეროვნული პოლიტიკის განხორციელებისათვის იბრძოდნენ[26].

რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კომისიამ, მიუხედავად საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის წინააღმდეგობისა, მოიწონა პროექტი „ავტონომიზაციის შესახებ", მაგრამ ვ. ი. ლენინმა 1922 წლის 27 სექტემბრის წერილში რკპ(ბ) პოლიტბიუროს წევრებისადმი არ გაიზიარა და გააკრიტიკა ი. ბ. სტალინის „ავტონომიზაციის" თეზისების პროექტი და უარყო საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანება ავტონომიზაციის ფორმით და მოითხოვა მათი გაერთიანება საკავშირო სახელმწიფოში თანასწორუფლებიანობის საფუძველზე. ქართველი „ნაციონალ-უკლონისტები" არც ამგვარ ფორმას იზიარებდნენ, მაგრამ პრინციპულად მის წინააღმდეგ არ გამოსულან, თუმცა გადაჭრით ეწინა-

აღმდეგებოდნენ საკავშირო სახელმწიფოში საქართველოს შესვლას ამიერკავკასიის ფედერაციის გზით და მოითხოვდნენ მის უშუალო გაერთიანებას საკავშირო სახელმწიფოში, ოღონდ საქართველოს დამოუკიდებლობის შენარჩუნების პირობით.

ფ. მახარაძე რკპ(ბ) XII ყრილობაზე (1923 წლის აპრილი) იძლეოდა საბჭოური ტოტალიტარიზმის დახასიათებას. იგი ამბობდა: „ჩვენ ხომ ერთი პარტია გვყავს ერთი ცენტრალური კომიტეტით, რომელიც ბოლოს და ბოლოს ყველაფერს განსაზღვრავს ყველა რესპუბლიკებისთვის და თვით ყველაზე პატარა რესპუბლიკებისთვისაც კი, საერთო დირექტივებსაც ის იძლევა და ამა თუ იმ რესპუბლიკაში პასუხისმგებელ ხელმძღვანელებსაც ის ნიშნავს, ყველაფერი ეს გამოდის ერთი ორგანოდან. ასე რომ, ლაპარაკი ამგვარ პირობებში თავისუფლებაზე და დამოუკიდებლობაზე – ეს თავისთავად გაუგებარი დებულებაა“[27].

მიუხედავად მცდელობისა, „ნაციონალ-უკლონისტებმა“ რკპ (ბ) XII ყრილობაზე სერიოზული დამარცხება იგემეს და გარეგნულად დამორჩილდნენ პარტიულ წესდებას, „შეურიგდნენ“ ამიერკავკასიის ფედერაციის არსებობას, რაც მოგვიანებით (30-იანი წლების მეორე ნახევარში) ი.ბ. სტალინმა თვითონვე გააუქმა.

რაც დრო გადიოდა საქართველოში კომუნისტური ხელისუფლება ველარ ითმენდა ანტიკომუნისტური პარტიების არსებობას, რადგან კომუნისტებს ის კუდშეკვეცილი პოლიტიკური თავისუფლებაც აღარ მოსწონდათ, რაც თვითონვე საჯაროდ აღიარეს. როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოს კომუნისტური პარტია 20-იანი წლების დასაწყისში არ ყოფილა მრავალრიცხოვანი, უფრო დიდი რაოდენობა გაერთიანებული იყო არაკომუნისტურ პარტიებში. მართალია, მათი ნაწილი ოკუპაციის შემდეგ წავიდა ემიგრაციაში, მაგრამ დარჩენილი ნაწილი, რამდენიმე ანტისაბჭოთა პარტიასთან ერთად, ეწინააღმდეგებოდა კომუნისტური პარტიის მმართველობას და ებრძოდა მას ლეგალური და არალეგალური საშუალებებით.

თუმცა უნდა ითქვას ისიც, რომ 1921 წლის 10 აპრილს სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელთა თათბირმა მიღებულ რეზოლუციაში გამოთქვა ეკონომიკურ, კულტურულ და საალმშენებლო საქმიანობაში ხელისუფლებასთან თანამშრომლობის სურვილი, მაგრამ კომუნისტური პარტია არ ეკიდებოდა ნდობით მათ „გულწრფელობას“ და ცდილობდა მენშევიკთა საქმიანობის პარალიზებას. არჩევით ორგანოებში მონაწილეობის სურვილს გამოთქვამდნენ თავიანთ დეკლარაციაში დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატებიც – „სხიველები“. საქართ-

ველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ერთმა ჯგუფმა გასაბჭოებისთანავე საჭიროდ მიიჩნია ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობა, აირჩია დროებითი მთავარი კომიტეტი შ. ნუცუბიძის თავმჯდომარეობით და მიიღო რეზოლუცია, რომლითაც მან აღიარა საბჭოთა სისტემა და გამოთქვა სურვილი მიეღო ყოველგვარი მონაწილეობა პოლიტიკურ-ეკონომიკურ აღმშენებლობაში.[28] მაგრამ ამ პარტიის დროებითი მთავარი კომიტეტის პოზიციას არ ეთანხმებოდა პარტიის მეორე „მემარჯვენე ფრთა". მემარცხენე ფრთისგან მას განასხვავებდა საბჭოთა ხელისუფლებისადმი დამოკიდებულება. „მემარჯვენეები" უარყოფდნენ საბოტაჟს, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლებასაც, რადგან აუცილებლად თვლიდნენ სუვერენული სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი ელემენტების აღდგენას. ამ პოზიციების სხვადასხვაობის გამო „მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტებმა" 1921 წლის ოქტომბერ-ნოემბერში თავიანთ პირველ ყრილობაზე დაარსეს საქართველოს მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია[29].

20-იანი წლების დასაწყისში საქართველოში მოქმედებდა ე. წ. საქართველოს რევოლუციონერ სინდიკალისტთა კავშირი, რომელიც გასაბჭოებას მიიჩნევდა ძალმომრეობის აქტად, მაგრამ არსებულ ვითარებაში საბოტაჟს ხელისუფლებისადმი და შეიარაღებულ გამოსვლას მის წინააღმდეგ დაუშვებლად თვლიდა[30].

საბჭოთა რეჟიმის პირველ ხანებში, მართალია, მრავალი გაზეთი გამოდიოდა, რომელთა ნაწილი გამოხატავდა ლოიალობას კომუნისტური პარტიისადმი, მაგრამ პოლიტიკური პარტიები თავიანთი ბეჭდვითი ორგანოების („სოციალისტ-ფედერალისტი", „ახალი სხივი", „მაშვრალთა ხმა", „შრომა", „ტრიბუნა") საშუალებით მწვავედ აკრიტიკებდნენ ხელისუფლების თითქმის ყველა ღონისძიებას და კომუნისტური ხელისუფლებისაგან მოითხოვდნენ ქვეყნის ნამდვილი დამოუკიდებლობის აღდგენას, რაც კომუნისტურ და ოპოზიციურ პარტიებს შორის დაპირისპირების ერთ-ერთი მთავარი საკითხი იყო. ანტიკომუნისტური პარტიები წინა პლანზე აყენებდნენ ეროვნულ საკითხს.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს – 26 მაისს კომუნისტური პარტია დღესასწაულად არ თვლიდა, მაგრამ მის აკრძალვას ოფიციალურად მაინც ერიდებოდა. 1921 წლის 26 მაისი აღინიშნა პრესაში ამ თარიღისადმი მიძღვნილი წერილებით და სახალხო დემონსტრაციით. მომდევნო წელს ამ დღის აღნიშვნის თაობაზე ხელისუფლებას დადგენილება არ მიუღია, ხოლო 1923 წ. გამოჩნდა მხოლოდ სამფეროვანი დროშები.

ძალოვანებმა ისინი ამოიღეს და ეს აქცია მშვიდობიანად დასრულდა.

როგორც კი 1922 წლიდან რუსეთში დაიწყო ანტისაბჭოთა პარტიების სალიკვიდაციო კამპანია, რომელსაც დასაბამი მისცა რკპ(ბ) XII კონფერენციამ (1922 წლის აგვისტო), მაშინვე მას საქართველოშიც გამოეხმაურნენ. ეს კამპანია დაიწყო 1923 წლის დამდეგიდან. ანტისაბჭოთა პარტიების თვითლიკვიდაციის პროცესი შეეხო ძირითადად მენშევიკებისა და ესერების პარტიებს. ამ პარტიების წევრები, მათ შორის პოლიტპატიმრებიც, წერდნენ განცხადებებს იმის შესახებ, რომ გმობდნენ და ტოვებდნენ თავიანთ პარტიებს და დგებოდნენ საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმაზე. ზოგიერთი ხელს იღებდა ყოველგვარ პოლიტიკურ საქმიანობაზე, ზოგი შეგნებულად, ზოგიც დაშინებით ტოვებდა პარტიას.

1923 წლის აგვისტოში თბილისში ოფიციალურად გაიმართა სრულიად საქართველოს ყოფილ მენშევიკთა ყრილობა, რომელმაც დაშლილად გამოაცხადა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომლის შემადგენლობიდან გავიდა 12 ათასი კაცი, მაგრამ ეს არ ნიშნავდა ამ პარტიის სრულ ლიკვიდაციას. მისი ნაწილი გადავიდა იატაკქვეშეთში და განაგრძობდა ანტისაბჭოთა მუშაობას.

ერთ-ერთ მთავარ ანტისაბჭოთა ძალას წარმოადგენდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, რომელიც მონაწილეობდა ანტისაბჭოთა გამოსვლებში. საგანგებო კომისიამ დააპატიმრა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტი, მაგრამ მის ნაცვლად მოქმედებას განაგრძობდა არალეგალური ცენტრალური კომიტეტი.

მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის მთავარმა კომიტეტმა 1923 წლის 8 ნოემბერს მოიწვია II ყრილობა, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება კომუნისტურ პარტიასთან გაერთიანების შესახებ.

ანტისაბჭოთა პარტიების „თვითლიკვიდაციის“ პროცესი გაგრძელდა 1923 წლის შემოდგომამდე. „თვითლიკვიდაციის“ ამ პროცესს უშუალოდ წარმართავდა კომუნისტური პარტია. ამიტომ პოლიტიკური პარტიები არ სცნობდნენ თვითლიკვიდაციის კამპანიის შედეგებს და განაგრძობდნენ არალეგალურ საქმიანობას. „თვითლიკვიდაციის“ მიუხედავად ანტისაბჭოთა ძალების, კერძოდ, სოციალ-დემოკრატების გავლენა ჯერ კიდევ ძლიერი იყო საქართველოში.

ქვეყნის შიგნით პოლიტიკური ძალაუფლების განმტკიცების პარალელურად, საბჭოთა ქვეყანა ეძებდა საერთაშორისო პოლიტიკური იზოლაციიდან გამოსვლის შესაძლებლობებს, რაც კიდევ უფრო გაართულა საქართველოს უკანონო ოკუპაციამ.

საბჭოთა რუსეთს საერთაშორისო ასპარეზზე მნიშვნელოვანი შანსი მიეცა 1922 წელს, როცა ის მიიწვიეს გენუის საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც 1922 წლის აპრილ-მაისში მიმდინარეობდა. ქართული ემიგრანტული მთავრობა შეეცადა, რომ კონფერენციაზე მიეწვიათ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენელი. მაგრამ ამაოდ. ეს განაპირობა საბჭოთა რუსეთის პოზიციამ, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ თუ საქართველოს წარმომადგენელს უნდა მიეღო მონაწილეობა გენუის კონფერენციაში, ის აუცილებლად უნდა ყოფილიყო მხოლოდ საბჭოთა საქართველოს მთავრობის მეთაური ბ. მდივანი, რომელიც შეიყვანეს რუსეთის დელეგაციაში. ამ საკითხს ეხმაურებოდა და რუსეთის პოზიციას გმობდა ცნობილი მემარჯვენე სოციალ-დემოკრატი აკ. ჩხენკელი 1922 წლის 1 აპრილის „მემორანდუმში", რომელიც გადაეცა გენუის კონფერენციას. „მემორანდუმი" მოითხოვდა საქართველოში რუსეთის საოკუპაციო რეჟიმის მოსპობას და ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენას. აკ. ჩხენკელმა კონფერენციის თავმჯდომარეს ლ. ფაქტას იმავე წლის მაისში გადასცა ნოტა, რომლითაც საქართველოს ემიგრანტული მთავრობა სთხოვდა კონფერენციას მხედველობაში მიეღო „იმ რეჟიმის მოსპობის აუცილებლობა, რომელიც წარმოიშვა საქართველოში 1921 წელს".

მაგრამ ქართულმა ემიგრაციამ ეს ბრძოლაც წააგო, რადგან ევროპა რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობების მოგვარებას ესწრაფვოდა და საქართველოსთვის ნაკლებად ფიქრობდა. ამიტომაც ქართველ მენშევიკებს რეალურად მხარი მხოლოდ II ინტერნაციონალის ლიდერებმა დაუჭირეს.

უფრო რთულად დადგა საქართველოში ეროვნული ავტონომიების მოწყობის საკითხი. 1921 წლის 21 მარტს საქართველოს რევკომმა გამოსცა დეკრეტი აფხაზეთის დამოუკიდებლობის შესახებ. ამიერკავკასიის ხელმძღვანელი პარტიული მუშაკების თათბირზე მიიღეს გადაწყვეტილება აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ცნობის თაობაზე, შემდეგ რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიურომ განიხილა საქართველოსა და აფხაზეთის ურთიერთობის საკითხი და აფხაზეთის დამოუკიდებლობა მიზანშეუწონლად ცნო როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით. 1921 წლის დეკემბერში აფხა-

ზეთთან საქართველომ დადო სამოკავშირეო ხელშეკრულება, რომელიც ძალაში იყო ვიდრე საქართველოს საბჭოების VII ყრილობამ არ გარდაქმნა აფხაზეთი ავტონომიურ სს რესპუბლიკად თვით აფხაზეთის საბჭოების ყრილობის დადგენილების შესაბამისად. 1921 წლის 16 ივლისს შეიქმნა აჭარის ავტონომიური სს რესპუბლიკა, ხოლო იმავე წლის 31 ოქტომბერს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიურომ მიიღო გადაწყვეტილება სამხრეთ ოსეთისთვის ავტონომიური ოლქის სტატუსის მინიჭების შესახებ.

საქართველოს გასაბჭოების უმალვე განხორციელდა საქართველოს ტერიტორიული ცვლილებანი. 1921 წლის 16 მარტის რუსეთ-თურქეთის მოსკოვის ხელშეკრულებით და იმავე წლის სექტემბერ-ოქტომბრის ყარსის ხელშეკრულებით, რომელმაც გაიმეორა მოსკოვის ხელშეკრულების შინაარსი, თურქეთს გადაეცა არტაან-ართვინის, ოლთისის, ფოცხოვის ტერიტორიები, სომხეთს-ლორეს ნეიტრალური ზონის, ხოლო აზერბაიჯანს ზაქათალის ოკრუგის, რუსეთს-პილენკოვოს ტერიტორია და ყოველივე ეს საბჭოთა კომუნისტურმა რეჟიმმა მოიმოქმედა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპის საფუძველზე.

ტოტალიტარული რეჟიმის ეკონომიკური ფუნდამენტის მომზადება

უძველესი დროიდან ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის მთავარ მიზეზად წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების არსებობა მიაჩნდათ. სახელგანთქმული სოციალისტ-უტოპისტი, თომას მორი ამტკიცებდა: „ადამიანთა საზოგადოებაში ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრა, უთანასწორობა და გაუხარელი ცხოვრება რომ ამოიფხვრას, უნდა მოხდეს კერძო საკუთრების (ეს მთავარი და მნიშვნელოვანია) ლიკვიდაცია. მე მეჩვენება, რომ ყველგან, სადაც არის კერძო საკუთრება, სადაც ყველაფერი იზომება ფულით, იქ ძნელი შესაძლებელია როდესმე სახელმწიფოს მართვა წარმოებდეს სამართლიანად და ბედნიერად. განაწილდეს ყველაფერი თანასწორად და სამართლიანად... მოისპოს საკუთრება“.[1]

მარქსიზმის ფუძემდებლების – კ.მარქსისა და ფ. ენგელსის აზრით კი მხოლოდ პროლეტარიატს შეეძლო დაენგრია ბურჟუაზიული საზოგადოება და მოესპო კერძო საკუთრება. აი რას წერდნენ კ. მარქსი და ფ. ენგელსი „კომუნისტური პარტიის მანი-

ფესტ"-ში: „კომუნიზმის განმასხვავებელ ნიშანს შეადგენს არა საერთოდ საკუთრების მოსპობა, არამედ ბურჟუაზიული საკუთრების მოსპობა. თანამედროვე ბურჟუაზიული კერძო. საკუთრება არის უკანასკნელი და ურთულესი გამოხატულება პროდუქტთა ისეთი წარმოების და მისაკუთრებისა, რომელიც დამყარებულია კლასობრივ წინააღმდეგობაზე, ერთის მიერ მეორის ექსპლოატაციაზე."[2] ამ აზრით კომუნისტებს შეუძლიათ თავიანთი თეორია ერთი დებულებით გამოსახონ – „კერძო საკუთრების მოსპობა".

ფ. ენგელსის მტკიცებით იდეალურ კომუნისტურ საზოგადოებაში ეკონომიკური განვითარება ასეთ სახეს მიიღებდა: „მრეწველობის და საერთოდ წარმოების ყველა დარგის გამგებლობა ჩამოერთმევა ცალკეულ, ერთმანეთის მოქიშპე პიროვნებებს. ნაცვლად ამისა, წარმოების ყველა დარგი მთელი საზოგადოების გამგებლობაში იქნება, ე.ი. ეს გამგებლობა წარმართული იქნება საზოგადოების სასარგებლოდ, საზოგადოებრივი გეგმის თანახმად და საზოგადოების ყველა წევრთა მონაწილეობით. ამგვარად, ეს ახალი საზოგადოებრივი წყობილება მოსპობს კონკურენციას და მას შეცვლის ასოციაციით".[3]

მარქსისა და ენგელსის ასეთი რადიკალური შეხედულება სხვა ქვეყნებთან ერთად რუსეთშიც გავრცელდა, რადგან აქ მეტად ნაყოფიერი ნიადაგი არსებობდა, იმით რომ რუსეთის სინამდვილეში ჯერ კიდევ ძლიერი იყო ე.წ. „რუსული თემი," რომელიც რიგი რუსი მოაზროვნის მიერ სოციალიზმის ჩანასახად იყო აღქმული.[4]

ბოლშევიკების ეკონომიკური შეხედულებები მთლიანად მარქსიზმის მოძღვრების ლენინურ ინტერპრეტაციას ეფუძნებოდა და ამ ნააზრევში ერთმანეთს ორგანულად იყო გადაჭდობილი მარქსისტული დოგმატიკა და რუსეთის ისტორიული გამოცდილებით ნაკარნახევი ჭეშმარიტებები – კოლექტივისტური მისწრაფებები, ინდივიდუალიზმის მიუღებლობა, სოციალისტური გადატრიალების შემდეგ წარმოების საშუალებაზე კერძო საკუთრების მოსპობის კვალდაკვალ გეგმიური ეკონომიკის დამკვიდრება, კონკურენციის, როგორც ეკონომიკის განვითარების ძირითადი მამოძრავებელის სრული ლიკვიდაცია, თანასწორობა განაწილებასა და მოხმარებაში.[5]

ამიტომაც ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ ბოლშევიკებმა განახორციელეს მრეწველობის ტოტალური გასახელმწიფოებრიობა, ხოლო სოფლად აგრარულმა რევოლუციამ მთელი მიწის ფონდის ნაციონალიზაცია მოახდინა. ბოლშევიკების მიწის

დეკრეტით, მიწა ხანგრძლივ საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაეცა გლეხობას.

მაგრამ მთავარი პრობლემა მდგომარეობდა შემდეგში: სოციალიზმისათვის რუსეთში მატერიალური პირობები არ არსებობდა, პირველი მსოფლიო ომის შედეგებმა ეკონომიკის დონე კიდევ უფრო დაბლა დასწია, პროლეტარიატი მოსახლეობის უმცირესობას შეადგენდა, მრავალმილიონიანი გლეხური სტიქია უფრო კაპიტალისტური განვითარებისათვის იყო მზად, ვიდრე სოციალისტური გარადაქმნებისათვის. ვითარებას ამძიმებდა ისიც, რომ რუსეთის ეკონომიკაში აშკარად გამოიკვეთა მრავალწყობიანობა: პატრიარქალური მეურნეობა მშვიდობიანად თავსდებოდა წვრილსასაქონლო მეურნეობასთან, კაპიტალიზმთან, სახელმწიფო კაპიტალიზმთან და სოციალიზმთან. ბოლშევიკებმა ეკონომიკაში ამ მრავალწყობიანობის ლიკვიდაცია მიზნად დაისახეს ისტორიულად მოკლე დროში.

მაგრამ უკვე 1918 წლიდან, როცა გაჩაღდა სამოქალაქო ომი, დაიწყო მასობრივი შიმშილობა, ქვეყანა ეკონომიკური კატასტროფის წინაშე დადგა. საკუთარი ძალაუფლების შენარჩუნებისათვის ბოლშევიკებმა გამოიყენეს „სამხედრო კომუნიზმის“ პოლიტიკა, როდესაც გლეხი იძულებული გახადეს სახელმწიფოსათვის მთლიანად გაეცა არსებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის უდიდესი ნაწილი – სწორედ ეს იყო „სასურსათო განერა“. სახელმწიფოს ხელში არსებული ეკონომიკური და სასურსათო რეზერვები ნაწილდებოდა ბოლშევიკების მიერ დადგენილი პრინციპების მიხედვით. ჰიპერინფლაციის პირობებში ფული კარგავდა ეკონომიკური კატეგორიის მნიშვნელობას. ამან ქვეყანა ეკონომიკური კოლაფსის წინაშე დააყენა, რამაც გამოიწვია კიდეც სახალხო მღელვარებანი-ვოლგისპირეთში, ტამბოვში, კრონშტატში და სხვა ადგილებში. ამიტომაც ეკონომიკური რეფორმის განხორციელება გადაუდებელ ამოცანად დაისახა.

ქვეყნის ეკონომიკური გარდაქმნის პროგრამა აისახა კომუნისტური პარტიის ახალ პროგრამაშიც, რომლის ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო: „განუხრელად განაგრძოს და ბოლომდე მიიყვანოს დაწყებული და მთავარსა და ძირითადში უკვე დამთავრებული ექსპროპრიაცია ბურჟუაზიისა, წარმოებისა და მიმოქცევის საშუალებათა გადაქცევა საბჭოთა რესპუბლიკის საკუთრებად, ე.ი. ყველა მშრომელის საერთო საკუთრებად“.[6]

ქვეყანაში შექმნილი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობიდან გამოსავალი მალე მოიძებნა. ეს იყო იძულებითი, მაგრამ აუცილებელი ნაბიჯი. ვ.ი.ლენინმა დასახა ახალ ეკონომიკურ

პოლიტიკაზე გადასვლის ამოცანა. წლების განმავლობაში თვლიდნენ: „ახალი ეკონომიკური პოლიტიკის მიზანი იყო გლეხთა მასების ჩაბმა სოციალისტურ მშენებლობაში, რისთვისაც უნდა გამოეყენებინათ გლეხებისათვის ნაცნობი და მისაღები მეთოდები. მინის წვრილ მესაკუთრეს, სანამ ის ასეთად რჩებოდა, უნდა გააჩნდეს სტიმული, რაც შეესაბამება მის ეკონომიკურ ბაზას, ანუ წვრილ დამოუკიდებელ მეურნეობას".[7]

ახალი ეკონომიკური პოლიტიკა ითვალისწინებდა მრავალწყობიანი ეკონომიკისა და წვრილი წარმოების ეტაპობრივ გადასვლას მეურნეობრიობის სოციალისტურ ფორმებზე. ახალი ეკონომიკური პოლიტიკის მთავარი ამოცანა იყო სოციალისტური მიზანდასახულობების განხორციელებისათვის ბრძოლაში პროლეტარიატსა და გლეხობას შორის კავშირის განმტკიცება.[8] ახალი ეკონომიკური პოლიტიკის ასეთი ინტერპრეტაცია ათეული წლების განმავლობაში ეჭვმიუტანელ ჭეშმარიტებად ცხადდებოდა.

სამართლიანად მიუთითებს ამერიკელი სოვეტოლოგი რ. პაიპსი: „ლენინი დარწმუნდა, რომ ექსპერიმენტი აეშენებინათ კომუნიზმი ისეთ ჩამორჩენილ ქვეყანაში, როგორიც იყო რუსეთი, ნაადრევი აღმოჩნდა და საჭირო იყო მისი გადადება უკეთეს დრომდე". ასევე სწორეა მისი მოსაზრება, რომ "ეს იყო იმის აღიარება, რომ ლენინმა დაუშვა სერიოზული შეცდომა, როცა მიიჩნია რუსეთი ისეთ ქვეყნად, რომელმაც კაპიტალიზმის განვითარების უმაღლეს სტადიას მიაღწია და მომწიფდა სოციალიზმისათვის უკვე XIX საუკუნის 90 იან წლებში".[9]

როცა 1921 წლის თებერვალს საბჭოთა რუსეთის მიერ ოკუპირებულ და ანექსირებულ საქართველოში კომუნისტური დიქტატურა დამყარდა. ახალი, კომუნისტური რეჟიმის მთავარ ამოცანას ისეთი სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელება წარმოადგენდა, რაც სწრაფად მოხსნიდა სოციალურ, ეკონომიკურ და რაც მთავარია, ეროვნულ კონფლიქტს ახალ რეჟიმსა და საქართველოს მოსახლეობის ძირითად მასას შორის. ასეთ პოლიტიკას ქართველი კომუნისტებისათვის იმჟამად თითქმის არ არსებული ავტორიტეტი უნდა მოეტანა, განსაკუთრებით ქართველ მოსახლეობაში, შეესუსტებინა მათ შეგნებაში ქართული დემოკრატიული სახელმწიფოს ლიკვიდაციით გამოწვეული აღშფოთება და შეექმნა ობიექტური და სუბიექტური პირობები კომუნისტური პარტიის მიზანდასახულებათა სწრაფი რეალიზაციისათვის. ასეთი სოციალურ-პოლიტიკური შედეგების მიღწევა კი მარტო კომუნისტური პროპაგანდით, მასობრივი

რეპრესიებით, რა თქმა უნდა, არ შეიძლებოდა. საჭირო იყო შორს გამიზნული სოციალური და ეკონომიკური პროგრამები, მშრომელთა საერთო მატერიალური და კულტურული ცხოვრების პირობების სწრაფი გაუმჯობესება, კომუნისტური გადატრიალების ბაზაზე მიღებული ეფექტური სოციალური შედეგები. თუ რესპუბლიკის მოსახლეობის ძირითადი მწარმოებელი ნაწილი არ დაინახავდა რეალურ განსხვავებას დემოკრატიულ და სოციალისტურ საქართველოს მშრომელთა ცხოვრების პირობებში, მაშინ ისინი კიდევ უფრო მტკივნეულად გადაიტანდნენ ეროვნული სახელმწიფოს დაკარგვით გამოწვეულ სევდას.

კომუნისტების მოკავშირე ყოველთვის იყო სილატაკე, გაჭირვება, სოციალური უძლურება. დემოკრატიული საქართველოს არსებობის ბოლო პერიოდში მასების ეკონომიკურმა სიდუხჭირემ განსაკუთრებულ მასშტაბებს მიაღწია. ტრადიციული ეკონომიკური კავშირების გარეშე, მსოფლიოს მიერ მიტოვებული საქართველოს რესპუბლიკა უმძიმეს ეკონომიკურ კრიზისში იმყოფებოდა, რამაც მნიშვნელოვნად შეამზადა თებერვლის კატასტროფაც.

ქართულ ისტორიოგრაფიაში კარგად არის შესწავლილი საქართველოს მრეწველობის მდგომარეობა შემდგომ პირველ წლებში, ნაჩვენებია საბჭოთა ხელისუფლების პირველი ღონისძიებებიც მრეწველობის ნაციონალიზაციის და ეკონომიკის სოციალისტურად გარდაქმნის საქმეში.[10]

მაგრამ ამ ლიტერატურაში თითქმის არაფერია ნათქვამი იმაზე თუ, როგორი იყო სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ვითარება უშუალოდ შრომით კოლექტივებში გასაბჭოების შემდგომ ხანებში, როგორ შეხვდა უშუალოდ რიგითი მუშა ახალ კომუნისტურ რეჟიმს, როგორი იყო შრომითი პროცესი, ურთიერთობა მუშებსა და ინჟინერ-ტექნიკურ ინტელიგენციას შორის, როგორ ინერგებოდა საბჭოთა სინამდვილისათვის დამახასიათებელი ეკონომიკური და სოციალური ურთიერთობები ფაბრიკა-ქარხნებში, რა წინააღმდეგობას აწყდებოდა ეს არაერთგვაროვანი პროცესი, რა უწყობდა ხელს და რა უშლიდა კომუნისტური საწარმოო ურთიერთობების დამკვიდრებას უშუალოდ სამრეწველო შრომით კოლექტივებში.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ სახალხო მეურნეობაში მდგომარეობა უაღრესად მძიმე იყო: ფაბრიკა-ქარხნების მნიშვნელოვანი ნაწილი გაჩერებული, საგრძნობლად შემცირდა პროდუქციის წარმოება, გატანა, მოშლილი იყო საფინანსო მიმოქცევა, ჰიპერინფლაციის პირობებში მუშათა მდგომარეობა

აუტანელი იყო. 1921 წელს სპეციალური კომისიების მიერ გამოკვლეულ 392 წამყვან სამრეწველო კოლექტივში დაფიქსირდა მდგომარეობა: 1920 წელს მთელი წლის მანძილზე მუშაობდა 234 (59,7%), ნაწილობრივ მუშაობდა 10 (26,0%), სულ არ მუშაობდა 56 (14.3%).[11]

საქართველოს სამრეწველო საწარმოები რამდენიმე კატეგორიად იყოფოდა: იყო მსხვილი, საშუალო და წვრილი საწარმოები. მსხვილ საწარმოთა შორის იყო ადელხანოვის ყოფილი სააქციო საზოგადოების სამრეწველო კოლექტივებიც. ეს სააქციო საზოგადოება პირველ მსოფლიო ომამდე საქართველოს ეკონომიკაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. ის აერთიანებდა ტყავის ქარხანას, თექის ფაბრიკას, ფეხსაცმლის ფაბრიკას, და სხვა პატარა სახელოსნოებს. გაერთიანებას ჰქონდა 470 ცხენისძალიანი ელექტროსადგური, კარგად შენახული და მოვლილი მექანიკური და სადურგლო სახელოსნოები, სარემონტო სამსახური, სასაქონლო საწყობები, ამბულატორია. შემოწმების დროს დადგინდა, რომ საწარმოები თავისი ტექნიკური მოწყობილობებით, შრომისნაყოფიერების დონით, წარმოებული პროდუქციის ხარისხით და ასორტიმენტით გამორჩეული იყო არა მარტო ამიერკავკასიაში, არამედ ჩრდილოეთ კავკასიაში და „განეკუთვნება მსხვილ საწარმოების ტიპს, რომელიც არის რუსეთის ცენტრალურ სამრეწველო რაიონებში“. საქციო საზოგადოება მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში აღმოჩნდა უკვე 1920 წელს, როცა იძულებული გახდა გაეჩერებინა ფეხსაცმლის ფაბრიკა. საგრძნობლად შემცირდა შრომისნაყოფიერებაც: თუ 1917 წელს შრომისნაყოფიერების მაჩვენებლის ჩავთვლით 100 პროცენტად, 1920 წელს ის უდრიდა 55-65 პროცენტს, ხოლო გასაბჭოების შემდეგ ის დავიდა 40-45 პროცენტამდე.[12]

მაგრამ ეს იყო რესპუბლიკის საუკეთესო სამრეწველო ორგანიზაცია. იყვნენ უფრო მძიმე ვითარებაში მყოფი სამრეწველო საწარმოებიც. სმუსის სპეციალურმა კომისიამ, არენდით მათი გადაცემის მიზნით, შეისწავლა ვეტცელის ყინულისა და ლუდის ქარხნები. საწარმოში ადგილი ჰქონდა ქურდობას, იყო ანტისანიტარია, უწესრიგობა. ლუდის ქარხნის საამქროებში კასრები უთავბოლოდ იყო მიყრილ-მოყრილი, ბოთლის სარეცხ განყოფილებაში ჯართი ეყარა, ეზო ცხენების საჯინიბოდ გადაექციათ.[13]

ზოგიერთ საწარმოში მთლიანად მოშლილი იყო საფინანსო დისციპლინა. რესპუბლიკის ერთ-ერთი წამყვანი საწარმოს „არსენალის“ ფინანსური სისტემა მთლიანად მოშლილი იყო. როგორც ირკვევა, აქ 1918-1922 წლამდე ბუღალტერია არც კი არ-

სებობდა. არ ჰქონდათ საბუღალტრო წიგნები. არ იყო არავითარი ორგანიზაცია, არავითარი წესრიგი. დაბალი ხელფასის გამო კვალიფიცირებული ბუღალტრები ადგილზე დიდხანს არ ჩერდებოდნენ.[14]

1921 წლის 17 აგვისტოს შემოწმდა თბილისის გრეხილი ავეჯის ფაბრიკა, რომელიც ექსპლოატაციაში შევიდა 1909 წელს. იგი ყოველდღე რამდენიმე ათეულ სკამსა და 4 ცალ მაგიდას აწარმოებდა. საწარმოში დასაქმებული იყო 46 კაცი. მათ შორის 16 წლამდე – 3, 16-18 წლამდე – 12, 18 წელს ზევით – 13. მუშათა შორის 14 კვალიფიციური იყო, 32 არაკვალიფიციური; 1913 წელთან შედარებით შრომისნაყოფიერება შეადგენდა 90%. მუშაობდნენ ერთ ცვლაში 8 საათს. ფაბრიკაში იდგა ერთი ორთქლის ქვაბი, ნავთის ერთცილინდრიანი ძრავა. საწარმოში სხვა და სხვა დასახელების რვა დაზგა იდგა. იგი ძირითადად ადგილობრივ ბაზარს აკმაყოფილებდა.[15]

გამოიკვლიეს კერძო მფლობელთა კუთვნილი საწარმოებიც. ბევრი მათგანი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. მაგალითად, სომხეთის მოქალაქის არუთინ კასტანდოვის ავეჯის სახელოსნოში აწარმოებდნენ სკამებს, კარადებს, ტაბურეტებს. საწარმო ექსპლოატაციაში შევიდა 1911 წელს. ყველა სამუშაო მექანიკური წესით სრულდებოდა. შესწავლის დროს საწარმო არ ფუნქციონირებდა ელექტრო ენერგიის უქონლობის გამო.[16]

ბათუმის სამრეწველო პოტენციალის შესწავლის დროს გაირკვა, რომ ქალაქში 21 ნავთის ჩამოსასხმელი სადგური იყო, რომლებსაც უამრავი რეზერვუარი ჰქონდა. ეს სადგურები ეკუთვნოდა ძმებ ნობელებს, მანთაშევს, რუსეთ-კავკასიის საზოგადოებას და სხვა ორგანიზაციებს. ამათ გარდა, ქალაქში იყო კაპლანის მექანიკური ქარხანა, თუთიის ქარხანა, ძმ. არვანტიდების თუნუქის ყუთების ქარხანა და სხვა საწარმოები.

თუნუქის ყუთების საწარმო ჩინებულად იყო აღჭურვილი. იგი ორცვლიანი მუშაობით დღეში 30 ათას ბიდონს ამზადებდა. 1920 წელს ქარხანამ შეწყვიტა საქმიანობა. ქარხანას ჰქონდა ორი ორთქლის მანქანა, ნავთის რეზერვუარი და 35 ცხენისძალის სიმძლავრის ნავთის ძრავა.[17]

მცხეთის მაუდის სახელოსნოში ეკონომიკური უწესრიგობა 1923 წელსაც იგრძნობოდა. საწამოში 14 კაცი იყო დასაქმებული. მათ შორის: 7 ფეიქარი, 6 მხვეველი, მქსელავი და გამგე. საწარმოს ქრონიკულად არ ჰქონდა ნართი. სახელოსნო არ ფუნქციონირებდა და მისი მშრომელები მცირე სახსრებს იღებდნენ რესპუბლიკის ბიუჯეტიდან. მუშები არ ზრუნავდნენ მანქანა-და-

ნადგარებზე, რომელთაგან ბევრი მოუწესრიგებელი იყო. არ იცავდნენ შრომის დისციპლინას, სამრეწველო ჰიგიენას.[18]

ძალიან მძიმე მდგომარეობა იყო შექმნილი ისეთ საწარმოებში, რომლებიც მოშორებული იყვნენ სატრანსპორტო კომუნიკაციებს. ასეთ საწარმოებში ჭირდა სტაბილური შრომითი კოლექტივების შექმნა, არ ჰქონდათ შრომისა და დასვენების ელემენტარული პირობები, ზოგჯერ – უაღრესად საჭირო საყოფაცხოვრებო ნივთებიც კი. ასეთ საწარმოებში მუშა-მოსამსახურეების შენარჩუნება დამატებით დანახარჯებთან იყო დაკავშირებული. როცა შეისწავლეს შრომის პირობები ჩათახის საბადოზე, შირაქის ნავთობის ჭაბურღილზე, აღმოჩნდა, რომ ამ საწამოებს არ ჰყავდათ მუშათა წამყვანი კადრები. ძირითადად იყენებდნენ სეზონურ მუშებს ახლომდებარე სოფლებიდან. სასმელი წყალი შორიდან მოჰქონდათ.[19]

განსაკუთრებით მძიმე იყო ტყიბულის ქვანახშირის მაღაროს მშრომელთა მდგომარეობა. აქ მუშათა ცუდი შრომითი და საყოფაცხოვრებო პირობები მუშათა დენადობას იწვევდა. 1921 წლის აპრილში 1770 კაციდან წარმოებას შემორჩა მხოლოდ 500 კაცი. როცა მუშა-მოსამსახურეებს დაუწყეს შრომის ანაზღაურება ნატურით, მუშათა რაოდენობამ იმატა. ერთი მუშა იღებდა 3 გირვანქა პურს, დამატებით ერთ გირვანქას-ზეგანაკვეთური შრომისათვის, საპონს, მანუფაქტურას, ჩექმებს.[20]

ნატურალურმა ანაზღაურებამ ტყიბულის შახტებში მიიზიდა მუშახელი. უკვე 1921 წლის ივნისის თვეში წარმოებაში დასაქმებული ჩანს 1230 კაცი. მათ შორის 250 ოჯახის პატრონი იყო და ძლიერ უჭირდა ოჯახის გამოკვება.[21]

კომუნისტური ხელისუფლება გასაბჭოების პირველ ხანებში ვერ ახერხებდა სათანადო წესრიგი დაემყარებინა ნაციონალიზებულ საწარმოებში. ეკონომიკის მართვის ზედმეტად ცენტრალიზებული აპარატი ძალიან მოუქნელად მუშაობდა. არც ახალი შრომითი ჩვევები იყო ჩამოყალიბებული, არც სათანადო კადრები ჰყავდათ. ამიტომაც ზოგიერთ შრომით კოლექტივში კვლავ კატორღული შრომითი პირობები იყო შენარჩუნებული. არის ფაქტები, რომ თბილისის აგურის №4 ქარხანაში საწარმოს პერსონალი მუშაობდა მზის ამოსვლიდან ჩასვლამდე, კვირა და უქმე დღეებშიც. მშრომელთა 90 პროცენტი მალარიით იყო ავად. მუშათა საცხოვრებელ ბინებში საშინელი ანტისანიტარია მეფობდა, საქონელსა და ადამიანებს ერთ ჭერქვეშ ეძინათ. ხშირი იყო სიკვდილიანობის შემთხვევაც.[22]

ძალიან მძიმე იყო შრომის და ცხოვრების პირობები ავჭალის შუშის ქარხანაში. 1922 წელს საწარმო ინახულა საქართველოს ქიმიკოსთა კავშირის კომისიამ, რომელმაც ოფიციალურ დოკუმენტში ქარხნის მუშათა საცხოვრებელ პირობებს „კოშმარული“ უწოდა.[23] როგორც გამოირკვა, ქარხნის მუშები ცხოვრობდნენ გომურებში, ყოფილ საჯინიბოებში, სარდაფებში: 4-6 კაცი ერთ ოთახში, მუშებს ელემენტარული საცხოვრებელი პირობები არ ჰქონდათ-არ ედგათ მაგიდა და სკამები, იკვებებოდნენ მარტო პურით.[24]

საბჭოთა ისტორიოგრაფიაში მიჩნეული იყო, რომ გასაბჭოებისთანავე ვ.ი. ლენინი ყურადღებას და მზრუნველობას არ აკლებდა ქართული ეკონომიკის განვითარებას. ამის არგუმენტად იყენებდნენ ლენინის 1921 წლის 14 აპრილის წერილს. სწორედ ამ წერილში ურჩევდა ის ქართველ ბოლშევიკებს, რომ „ერთბაშად ეცადეთ გააუმჯობესოთ გლეხთა მდგომარეობა და დაიწყოთ ელექტრიფიკაცია, მორწყვის დიდი სამუშაოები, მორწყვა ყველაზე მეტად საჭიროა და ყველაზე მეტად გარდაქმნის მხარეს, ააღორძინებს მას, დაასამარებს წარსულს, განამტკიცებს სოციალიზმზე გადასვლას“.[25]

ერთ-ერთ თავის წერილში ლენინი იმაზეც ამახვილებდა ყურადღებას, რომ მიღებული ცნობების მიხედვით საქართველოში დარჩენილია საქართველოს სახ. ბანკი კვალიფიცირებულ მომსახურეთა მთელი შტატით და უცხოეთის წარმომადგენლობების ანაბრებით, თუ ეს სნორია, საჭიროა შევინარჩუნოთ ბანკი, როგორც კრედიტის აპარატი საგარეო ვაჭრობისათვის და შეიძლება გადავაქციოთ იგი მთელი ამიერკავკასიის ბანკად, რისი პროექტიც მუშავდება“. აშკარაა, რომ ლენინი საქართველოს ეკონომიკურ განვითარებასთან ერთად, უკვე საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრების პირველივე თვეებიდან ფიქრობდა, ისევე როგორც კრემლის სხვა ლიდერები, საქართველოს ორგანულ და მყარ ჩართვას ერთიან, ჯერ ამიერკავკასიის მასშტაბის ეკონომიკურ გაერთიანებაში, ხოლო შემდეგ მსოფლიო პროლეტარული რესპუბლიკის სისტემაში, რომლის პროექტიც ასევე მუშავდებოდა კრემლში.

ქართველი კომუნისტები თავიდანვე ენერგიულად შეუდგნენ ვ.ი.ლენინის ეკონომიკური შეხედულებების რეალიზაციას. 1921 წლის 11 მარტს შეიქმნა სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო (სმუს-ი). მისი ამოცანა იყო საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მრეწველობისა და მეურნეობის ხელმძღვანელობა, ორგა-

ნიზაცია და რეგულირება. გუბერნიებსა და მაზრებში იქმნებოდა მისი პირველადი ადგილობრივი-ეკონომიკური განყოფილებები.[26]

თანახმად კომუნისტური პრინციპებისა საქართველოში განხორციელდა მნიშვნელოვანი სამრეწველო ობიექტების ნაციონალიზაცია, მარტო თბილისში ასეთი 51 საწარმო იყო, ბათუმში 10, ქუთაისში 4, ზუგდიდში 4, და ა.შ. ნაციონალიზებულ საწარმოებს შორის იყო: ა. ხოშტარიას მექანიკური ქარხანა და მიწის დამამუშავებელი მანქანების მწარმოებელი ფაბრიკა; ნ. სობოლევისა და ი. კამოევის მექანიკური და თუჯსამსხმელო ქარხანა; ჟოზეფ ლავესიეს და რენე შალიეს თბილისის თუჯსასხმელი ქარხანა, ენფინჯიანცის, სეილანოვის და ბოზარჯიანცის თამბაქოს ფაბრიკები, გაერთიანება დ. სარაჯიევის ღვინო-კონიაკის სარექტიფიკაციო და ღვინის მწარმოებელი ქარხანა; დ. კალანდაძის კონიაკისა და ღვინის ქარხანა. ქუთაისში: ძმ. ქავთარაძეების თამბაქოს ფაბრიკა, ასევე კ.დათეშიძის ხე-ტყის დამამუშავებელი ქარხანა და სხვა მრავალი.[27]

საქართველოს ახალი ხელისუფლება, ლენინის მითითების შესაბამისად, შეეცადა გაეტარებინა რადიკალური აგრარული რეფორმა ქართულ სოფელშიც, გამოცხადდა მიწის ნაციონალიზაცია, ხოლო საქართველოს რევკომის 1921 წლის 6 აპრილის დეკრეტით მიზნად დაისახა უღარიბეს გლეხებისათვის მიწების დაუყოვნებლივი გადაცემა, დეკრეტით იკრძალებოდა მიწის გასხვისების ყოველგვარი ფორმა, მიწა ამოიღეს ყიდვა-გაყიდვის სფეროდან, მემამულეთა, ეკლესია-მონასტრების და სხვა მსხვილ მესაკუთრეთა მიწების კონფისკაცია ხდებოდა გამოსყიდვის გარეშე, ჩამორთმეული მიწები დეკრეტის ძალით ირიცხებოდა მიწის სახელმწიფო ფონდში. მიუხედავად დასახული ღონისძიებებისა, აგრარულმა რეფორმამ, რომელიც მოუქნელად ხორციელდებოდა, სათანადო ეფექტი ვერ მისცა ქართულ სოფელს, ადგილი ჰქონდა შეძლებული გლეხებისა და მემამულეების მიმართ უხეშ ძალადობას. საოკუპაციო ჯარის მებრძოლები ანადგურებდნენ ნათესებს, რეკვიზიციას უკეთებდნენ გამწევ პირუტყვს, და ცხენებს. ამის შესახებ არა ერთი შეტყობინება იგზავნებოდა საქართველოს კომუნისტური ხელისუფლების კანცელარიაში.[28]

კერძო კაპიტალის შევიწროვების არა ერთი ფაქტია ცნობილი, მაგალითად მიხრან ანანოვი, ქუთაისელი ბიზნესმენი სახკომსაბჭოს თავმჯდომარის სახელზე გაგზავნილ წერილში ჩივის იმის გამო, რომ მან ჯერ კიდევ წინა ხელისუფლების პერიოდში 800000 გერმანულ ოქროს მარკად მიჰყიდა ბარონ ჰორს ფონ ლერსნერს ღვინის დიდი მარაგი და ახლანდელი ხელისუფლება

მას არ აძლევდა შესაძლებლობას ბოლომდე მიეყვანა აღნიშნული კომერციული გარიგება.[29]

ანალოგიურ მდგომარეობაში აღმოჩნდა ბიზნესმენი სუხნიკაშვილი, რომელსაც ჰქონდა საგარეო ვაჭრობის უფლება ოქროზე და მის მიერ შემოტანილი საქონელი არ ექვემდებრებოდა კონფისკაციას. მიუხედავად ამისა ადგილობრივმა ორგანოებმა მას ჩამოართვეს, როგორც შემოტანილი ოქროს დიდი რაოდენობა, ისე უცხოური ვალუტა და ჩეკას საპატიმროშიც ამოაყოფინეს თავი.[30]

შემორჩენილია ქალაქ ქუთაისის ვაჭარ-მრეწველების კოლექტიური პეტიცია საქართველოს შინსახკომის სახელზე (ხელს აწერს 185), სადაც ითხოვენ მილიციის თანამშრომელთა მხრიდან ძალადობის შესწყვეტას. პეტიციაში ნათქვამი იყო: „არ შეგვიძლია გადმოგცეთ ის შევიწროება, ის გასაჭირი და მრავალი სხვა, რასაც განვიცდით სადგურ ქუთაისში და რიონზე რკინიგზის მილიციის აგენტების მხრივ. მგზავრებზე ნადირობენ, როგორც ტყიდან გამოვარდნილ კურდღელზე. ავდგებით – დაგვაპატიმრებენ, დავჯდებით – დაგვაპატიმრებენ, კედელს მივეყრდნობით – გვაპატიმრებენ. შემდეგ იწყება დაჯარიმება და პირადობის შეურაცხყოფას აქვს ადგილი“.[31]

კერძო ბიზნესზე, უცხოეთის მოქალაქეების მიერ გახსნილი ბანკების ოფისებზე თავდასხმებმა, რეკვიზიციამ და ძარცვამ ისეთ შემაშფოთებელი მასშტაბები მიიღო, რომ საგარეო საქმეთა კომისარი ა.სვანიძე საქართველოს რევკომის თავმჯდომარეს სახელზე გაგზავნილ წერილში მოითხოვდა ან ამ უწესრიგობის გამოსწორებას, ან გადადგომით იმუქრებოდა.[32]

როგორც რუსეთში, ისე საქართველოში რადიკალური ეკონომიკური პროგრამები, ყოველთვის მოფიქრებული არ იყო და ხშირ შემთხვევაში დადებითის ნაცვლად უარყოფით შედეგებს იღებდა. საქართველოში ეს ყველაზე კარგად გამოჩნდა რევკომის დეკრეტში მატყლის მონოპოლიის შესახებ. დეკრეტი ავალდებულებდა მწარმოებელს, რომ ჩაებარებინათ მატყლი სურსათის საქმეთა სახალხო კომისარიატისათვის იმ მტკიცე ფასებში, რომელსაც პერიოდულად დააწესებდა კომისარიატი მატყლის მწარმოებელთან ერთად.“[33]

აშკარაა, რომ დეკრეტი ზღუდავდა კერძო ინიციატივას საქართველოსთვის მეტად მნიშვნელოვან ეკონომიკურ სფეროში. სახელმწიფოზე ამ დარგში ვაჭრობის მონოპოლიურ უფლების მინიჭება მთლიანად გამორიცხავდა საბაზრო ურთიერთობებს, რაც დაბლა სწევდა კერძო ინიციატივას, მწარმოებელს უკლავ-

და სურვილს ინტენსიურად განევითარებინა მატყლის დამზადება.

ეს გადაწყვეტილება იმდენად არაეფექტური იყო და მან იმდენად შეაფერხა მატყლის დამზადების კამპანია, რომ საქართველოს ხელისუფლება იძულებული გახდა 1923 წლის მარტში სპეციალური დადგენილებით ის გაეუქმებინა.

საქართველოს ეკონომიკაში არსებული პრობლემები დაადასტურა მოსკოვიდან 1922 წლის დამლევს ჩამოსულმა სპეციალურმა კომისიამ, რომელსაც ფ. ძერჟინსკი ხელმძღვანელობდა. კომისიის მთავარი მიზანი, როგორც ზემოთ აღინიშნა, იყო გაერკვია ის გადაულახავი წინააღმდეგობა, რაც შეიქმნა 1922 წლისათვის საქართველოს კპ (ბ) ცკ და რკპ (ბ) ცკ-ს ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტს შორის. ერთ-ერთი პრობლემა საქართველოს სოფელში მიმდინარე მიწის რეფორმაც ჩანს. ქართველი კომუნისტი ლიდერების ერთი ჯგუფი მიწის რეფორმის ფორსირებული განხორციელების წინააღმდეგი იყო. ცნობილ ქართველ რევოლუციონერს, საქართველოს საგანგებო კომისიის ხელმძღვანელს კ. ცინცაძეს კომისიის სხდომაზე ისიც კი უთქვამს, რომ საქართველოს სინამდვილეში მემამულეები აღარ არიან, რომ მათ მიწები მენშევიკების დროს ჩამოართვეს.[34]

სამაგიეროდ კომისიაზე, გორის მაზრის აღმასკომის თავმჯდომარემ ბრალი დასდო საქართველოს კომპარტიის ზოგიერთ ხელმძღვანელს, რომ მიწის დეკრეტის შემდეგ გამოქვეყნებული ახალი ცირკულარებით ხელი შეუშალეს მიწის ნაციონალიზაციას, რომ სოფელში ძველი თავადები, აზნაურები, ოფიცრობა კვლავ ბრუნდება და თუ რევოლუციურად არ გავატარეთ რეფორმა, ჩვენ გლეხობას დავკარგავთ.[35]

კომისიამ დაავალა საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობას უფრო ენერგიულად ჩაეტარებინა სოფლად აგრარული რეფორმა და დაეკმაყოფილებინა უმინაწყლო გლეხობა.

როგორი იყო საქართველოს გლეხობის სოციალური მდგომარეობა საკვლევ პერიოდში? როგორც მიუთითებენ 1921 წელს ერთ დესეტინამდე მიწას ფლობდა გლეხური მეურნეობის 20,3%. 2-4 დესეტინამდე მიწას ფლობდა გლეხურ მეურნეობათა 22%.[36] სერიოზული პრობლემები იყო დასავლეთ საქართველოში – აქ განსაკუთრებით ცოტა იყო დასამუშავებელი სავარგულები, ამიტომაც აქ გლეხობისათვის გამოყოფილი მიწის რაოდენობა კიდევ უფრო ნაკლები იყო, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოში.

ქართულ ისტორიოგრაფიაში მიუთითებდნენ, რომ „ამ პერიოდში მიმდინარებდა საშუალო ფენის სწრაფი ზრდა ღარიბი

ფენის შემცირების ხარჯზე. სახელმწიფოს დახმარებით მიმდინარეობდა სოფლის გასაშუალება, საშუალო გლეხობა სოფლის ცენტრალური ფიგურა ხდებოდა."[37]

1921 წლის ზაფხულში საბჭოთა ხელისუფლებამ რუსეთის გამოცდილების გათვალისწინებით, ნატურალური სასურსათო გადასახადი დააწესა. „ნეპის" პირობებში ეს აიძულებდა გლეხს უფრო ენერგიულად ეწარმოებინა სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, რათა უფრო მეტი თვითონ მას დარჩენოდა. „ნეპის" დამკვიდრებამ უფრო დიდი სტიმულები შეუქმნა, როგორც ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობას, ისე ნებაყოფლობით გლეხურ გაერთიანებებს-კოოპერატივებს. სასოფლო კოოპერატივის ტიპური მაგალითი იყო „უნიონი", ბორჩალოს მაზრაში.

ეს გაერთიანება დაბა უნიონში 1922 წლიდან მოქმედებდა და აერთიანებდა 3 კოოპერატიულ ორგანიზაციას და 778 მეღვინე-მევენახე გლეხს (მაზრის საგლეხო მეურნეობის 85%). მათ შორის ღატაკი იყო – 378, საშუალო შეძლების – 379 და შეძლებული კი 21 გლეხი.[38]

ვენახის საერთო ფართობი 601 დესეტინას უდრიდა. მას „უნიონის" წევრები ამუშავებდნენ, კაცზე მოდიოდა საშუალოდ 0,75 დესეტინა. წელიწადში მოსავალი 3000000 ვედრო ღვინო და 300000 გრადუსი სპირტის ნედლეული იყო. „უნიონს" საკმაოდ კარგად აღჭურვილი მეურნეობა ჰქონდა – ღვინის დასამზადებელი სარდაფები 100000 ვედროს ტევადობის, დიდი სიმძლავრის სარექტიფიკაციო ქარხანა, არყის სახდელი ქარხანა, 4 არყის ქარხანა, ამერიკული ვაზის სადედე.[39] ასეთი სიმძლავრის მეურნეობა „უნიონმა" თავისი წევრი გლეხების უდიდესი ძალისხმევის შედეგად შექმნა. კოოპერატივი იმუამად საქართველოში საანიმუშოდ ითვლებოდა.

თავიდანვე დიდი ყურადღება მიექცა მრეწველობის აღორძინებას. ზემოთ, ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ მრეწველობის მთელი რიგი დარგები, ფაბრიკები და ქარხნები სავალალო მდგომარეობაში იყო, მიმდინარეობდა მუშათა დეკლასირების პროცესი, საწარმოების უმოქმედობის გამო ბევრი მუშა სოფელს დაუბრუნდა. ეს ასუსტებდა კომუნისტური რეჟიმის სოციალურ ბაზას, რაც სერიოზულ პრობლემებს უქმნიდა საბჭოთა ხელისუფლებას. საჭირო იყო ამ მიმართულებით რადიკალური ზომების გატარება.

მდგომარეობის გამოსასწორებლად, მოსკოვის მხარდაჭერით, გადაწყდა თბილისის მახლობლად ამიერკავკასიაში უდიდესი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა. იგი უნდა გამხ-

დარიყო საბჭოთა აღმშენებლობის სიმბოლო. 1922 წლის 10 სექტემბერს ავჭალაში შეიკრიბა რამდენიმე ათასი ენთუზიასტი რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს შაბათობაში. სერგო ორჯონიკიძის შუამდგომლობით ზაჰესის მშენებლობისათვის რკპ(ბ) ცეკას პოლიტბიურომ მიიღო გადაწყვეტილება ჰესის მშენებლობისათვის 750000 ოქროს მანეთის გამოყოფის შესახებ.[40]

როგორ ფუნქციონირებდა საქართველოს მრეწველობა კომუნისტური ხელისუფლების პირველ წლებში?

საერთოდ ცნობილია, რომ საზოგადოების განვითარების რევოლუციურ პერიოდში, როდესაც ხდება საზოგადოების ეკონომიკური ფუნდამენტის შეცვლა განხვავებულით, ან რადიკალურად განსხვავებულით, მუდამ წარმოიშობა გარკვეული პერიოდი, რასაც საზოგადოებადმცოდნეები გარდამავალ პერიოდს უწოდებენ. ასეთი პერიოდი საქართველოს სინამდვილეშიც გამოიკვეთა, რაც გარკვეული თავისებურებითაც ხასიათდებოდა. ჩვენ ამ მოსაზრებას დემონსტრაციას გავუკეთებთ საქართველოსათვის უმნიშვნელოვანესი დარგის სპირტ-კონიაკის საწარმოების მაგალითზე.

საქართველოში 1922 წელს სპირტ-კონიაკის წარმოებაში არსებობდა 4 საწარმო, ლუდის 2 ქარხანა. პირველში – მუშა-მოსამსახურეთა საშუალო რიცხვი უდრიდა 75-ს, აქედან მუშები იყვნენ 60, მოსამსახურენი კი – 15. არის სხვა მონაცემებიც: სმუს-ის სპირტ-კონიაკის წარმოებაში 1922 წ. იანვარში დაკავებული იყო 8 კაცი, თებერვალშიც 8 კაცი, დეკემბერში კი – 41.[41]

მუშა-მოსამსახურეთა რიცხვის მკვეთრი რყევა გარდამავალი პერიოდის ერთ-ერთი მახასიათებელია. ეს მიუთითებს საწარმოში არასტაბილურ ვითარებაზე.

გვაქვს მონაცემები ლუდის ქარხნებში დასაქმებულთა ხელფასის ოდენობაზეც: 1922 წ. მუშის საშუალო ხელფასი იყო: იანვარში – 14,6 მანეთი, თებერვალში – 15,1 მანეთი, მარტში – 14,8 მანეთი, აპრილში – 16,0 მანეთი, მაისში – 19,6 მანეთი, ივნისში – 16,5 მანეთი, ივლისში – 23,8 მანეთი, აგვისტოში – 22,8 მანეთი, სექტემბერში -23,1 მანეთი.[42]

პურის და ღვინის სპირტის წარმოებით დაკავებული იყვნენ აბასთუმნის და გომის ქარხნები. გორის რაიონში სპირტის დასამზადებლად ნედლეული უხვად ჰქონდათ.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მომენტისათვის საწარმო ძლიერ დაზიანდა, მაგრამ მაინც განაგრძობდა ფუნქციონირებას. ქარხანა მუშაობდა 1921 წლის მარტიდან 1922 წლის მა-

ისამდე. 10 მაისიდან ჩვეული საზაფხულო შესვენება იყო და 10 აგვისტოდან 22 წლისა კვლავ განაახლა მუშაობა.[43]

ამრიგად, საწარმოს არასტაბილური, წყვეტილი მუშაობა გარდამავალი პერიოდის ერთ-ერთ თავისებურებად უნდა ჩაითვალოს.

გომის ქარხანა კარგად იყო აღჭურვილი ტექნიკურად: სახდელი ქვაბი, „გილლემის" სარექტიფიკაციო აპარატი, „გენცის" სახარში, სადუღარი, ორთქლის მანქანა 68 ცხენისძალის და სხვ.[44] ყველაფერი ეს ძველი მეპატრონეებისაგან იყო შემორჩენილი.

საქარხნო ინვენტარის ნაწილი გაცვეთილიყო და რემონტს საჭიროებდა: სადუღ ტუმბოში ცილინდრის შეცლა იყო საჭირო, ქერის საღერღში ლილვაკები იყო შესაცვლელი და ა.შ.

გორის ქარხანას წელიწადში შეეძლო ეწარმოებინა 60-70 ათასი ვედრო სუფთა სპირტი /დღეში 200-250 ვედრო/. გასაბჭოებამდე ქარხანა ინტენსიურად მუშაობდა და დღეში 75 ვედრო სპირტს ხდიდნენ. გასაბჭოების შემდეგ, სამეურნეო ანგარიშზე გადასვლამდე, საწარმო რემონტში იყო. შემდგომ 1922 წლის დეკემბრამდე 2 სიმძლავრეზე მუშაობდა და დღეში 80 ვედრო სპირტს ანარმოებდა.[45]

სმუს-ის ქიმიურმა განყოფილებამ დიდი თანხები გაიღო მისი აღდგენისათვის. აღდგენას ხელმძღვანელობდა ყოფილი მეიჯარე, რომელიც გასაბჭოების შემდეგ ქიმიური განყოფილების მიერ ქარხნის მმართველად დაინიშნა.

საწარმოში ბევრი ნაკლი იყო: არ ჰქონდათ ნავთობის რეზერვუარი, რათა უზრუნველყოფილიყო ქარხანა საწვავის მარაგით; სპირტის სახდელ განყოფილებაში არ იყო ელექტროობა.[46]

ტექნიკური პროცესების გაუმართაობა, სანედლეულო ბაზის ნაკლებობა, შეფერხებები ნედლეულით უზრუნველყოფაში – ესეც გარდამავალი პერიოდის თავისებურება იყო.

გომის არყის ქარხანა დარგში გამორჩეული იყო. აქ ჰქონდათ შექმნილი მუშა-მოსამსახურეთათვის ელემენტარული საყოფაცხოვრებო პირობები. აქ ბინა ჰქონდა მექანიკოსს, მეღვინეს, ქარხნის ადმინისტრაციიას, სააქციზო ზედამხედველს და, რაც მთავარია, იყო მუშათა საცხოვრებელი შენობაც კი. მუშების უმრავლესობა ადგილობრივი გლეხები იყვნენ.[47]

საწარმოში მუდმივად მუშაობდა 10 კაცი, ხოლო 40 დროებით დაქირავებული იყო. აღსანიშანვია, რომ მათ შორის მხოლოდ 2 იყო კვალიფიცირებული მუშა. მუშაობდნენ სამ ცვლაში.

ანაზღაურება იყო თვეში ორჯერ. დამატებითი ულუფის სახით ყოველთვიურად გაიცემოდა ორი ბოთლი კონიაკი.

ქარხანას ჰყავდა მმართველი, ბუღალტერი, მოლარე. მმართველის სტაჟი 6 წელი იყო; ბუღალტრის და მოლარის – 3 წელი.

„ნეპის" პოლიტიკის დამკვიდრებისას, როცა კვლავ აღადგინეს საბაზრო ურთიერთობა და გარკვეული თავისუფლებაც მისცეს კერძო ინიციატივას, დადგა საკითხი ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების საწარმოების საკუთრებითი უფლებების გადასინჯვის შესახებ. როგორც დასტურდება საქართველოსათვის ამ ტრადიციულ დარგებში უფრო ინტენსიური იყო კერძო კაპიტალის აქტივობა.

კერძო მფლობელები და სამენარმეო საზოგადოებანი მიმართავდნენ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თხოვნით – მიეცათ უფლება კერძო კაპიტალისათვის აქტიური მონაწილეობა მიეღო მრეწველობის აღნიშნული დარგის განვითარებაში. ჩვენ მივაკვლიეთ საზოგადოება „ინდუსტრიას" მიმართვას სმუს-ის ხელმძღვანელობისადმი, რომელშიც იყო თხოვნა – ჩამოეყალიბებინათ კონიაკ-სპირტის ტრესტი საკუთრების შერეული ფორმით – სახელმწიფოსა და კერძო კაპიტალის მონაწილეობით, კერძო კაპიტალის მონაწილეობა მათ ფრიად მნიშვნელოვნად მიაჩნდათ, ამ ადამიანებს დარგში მუშაობის დიდი გამოცდილება ჰქონდათ, რაც დაეხმარებოდა საქმეს სწრაფად აღორძინებაში, ამიტომაც ამ წინადადების მნიშვნელობა, უდავოდ, დიდი იქნებოდა. საბჭოთა სახელმწიფომ ამგვარი თანამშრომლობა მიუღებლად მიიჩნია.

ანალოგიური ვითარება იყო ლუდის წარმოებაშიც. ჯერ კიდევ 1919 წლის 17 ივნისს ქ. თბილისში სოლომონ ხანზინმა, დავით ლაბკოვსკიმ, გევონდ აიდინოვმა და სტეფანე პოლოსოვმა არენდით აიღეს ნოე სიხარულიძისაგან ორი ლუდის და ერთი ყინულის ქარხანა (ყოფ. ვეტცელის). მხარეების მიერ დადებული ხელშეკრულების მე-3 პუნქტის მიხედვით ამხანაგობის საქმეების გაძღოლა დაევალათ ხანზინსა და ლაბკოვსკის.[48]

გასაბჭოების და ნაციონალიზაციის შემდეგ ქარხნები საგალალო მდგომარეობაში აღმოჩნდნენ.

სოციალიზმის ეკონომიკური კანონები გარდამავალ პერიოდში უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ კოოპერაციის განვითარებას როგორც სოფლად, ისე მრეწველობაშიც. აქ კერძო ინიციატივა განსაკუთრებით ხალისდებოდა. სმუს-ს ჰქონდა უფლება დაედო ხელშეკრულებები საწარმოო ამხანაგობებთან, ინდმე-

წარმეებთან მრეწველობის სხვადასხვა დარგში სანარმოო კოოპერატივების შექმნის შესახებ. უამრავი დოკუმენტური მასალა ადასტურებს, რომ საქართველოს მრეწველობის სხვადასხვა დარგში იქმნებოდა დამუშავებითი ამხანაგობები:[49]

ასეთივე არტელი შეიქმნა მსუბუქ მრეწველობაში. არტელი აერთიანებდა გ. ოცხელს, ა. ასლანიანცს და მის ძმას. ხელშეკრულება ავალებდა ამხანაგობას მოეზიდა ადგილობრივი ან უცხოური კაპიტალი და საქართველოს სსრ-ს ტერიტორიაზე მოეწყო მაუდის მექანიკური წარმოება.[50]

დამუშავებითი პროფილის ამხანაგობები იქმნებოდა საქართველოს ავტონომიურ რეგიონებშიც. საქართველოს სმუსმა ნებართვა მისცა, რომ ინჟინერ ემილ სუშიცკის არენდით აეღო გაგრის მიდამოებში ხე-ტყის გადამამუშავებელი ქარხნები.[51]

სახელმწიფო განსაკუთრებით ახალისებდა ისეთ წამოწყებებს, სადაც საქმის გაძღოლის ინიციატორები ადგილობრივი მუშა-მოსამსახურეები იყვნენ. ამ მხრივ საყურადღებოა 1921 წლის 18 ნოემბრის ხელშეკრულება სმუს-სა და და ქსნის აგურკრამიტის ქარხნის მუშებს – ა. პარკუსაძეს, ი. მამისაშვილს, ა. მდივანს, ზ. მარემაშვილს შორის.[52]

როგორც ვხედავთ, როგორც სოფლად, ისე ქალაქად, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობების შექმნა ხალისდებოდა და სხვადასხვა დარგში გარკვეულ წარმატებასაც აღწევდნენ. 1922 წელს საქართველოში 568 სამომხმარებლო კოოპერატივი იყო, რომელიც აერთიანებდა 225167 წევრს; მათ შორის საკრედიტო იყო 8 (აერთიანებდა 4760 კაცს), სასოფლო-სამეურნეო-17 (აერთიანებდა 13037 კაცს), მუშათა კოოპერატივი იყო 28 (55283 კაცით).[53]

ამრიგად, აშკარაა რომ, საქართველოს სახალხო მეურნეობაში კოოპერატივები მნიშვნელოვან სეგმენტს ფლობდნენ.

„ნეპის" პირობებში დაუშვეს უცხო კაპიტალის აქტიური მონაწილეობა სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში. ყველაზე დიდ ინტერესს მარგანეცის წარმოება იწვევდა. 1922 წელს ჭიათურაში ფუნქციონირებდნენ შემდეგი უცხოური ფირმები: „ავგუსტ მიულსი", „დიუპრე და კ.", „საზოგადოება გიზელკირხენი", „ნიკოლაი არესტიდი ავ გერონი", „ი.ი. ვანდერტალენი", „ლუი პანასიე", „ძმ. ჩილინგაროვები", „მანუელიდისი", „ფორვუდი და სელერი".[54]

მაგრამ ქართული მარგანეცის მიმართ დიდ დაინტერესებას ავლენდა თვითონ რკპ(ბ) ცკ პოლიტბიურო. 1923-1924 პო-

ლიტბიურომ ოთხჯერ განიხილა ჭიათურის მარგანეცის დამუშავებასთან, მის ექსპორტთან და საკონცესიოდ მის გადაცემასთან დაკავშირებული საკითხები.[55]

1923 წელს სერგო ორჯონიკიძე იმყოფებოდა გერმანიაში და სხვა საქმეებთან ერთად, აწარმოებდა მოლაპარაკებას გერმანელებთან და ჰოლანდიელებთან ქართული მარგანეცის საკონცესიოდ გადაცემის შესახებ. მისი მტკიცებით გერმანელი ლუტო იფნუნგი და ჰოლანდიელი კაპიტალისტი მიულესი დაინტერესდნენ ჭიათურის მარგანეცის საბადოთი, ჩათახის ქვანახშირით და საქართველოს ხე-ტყის ექსპორტით.[56]

საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში როგორც უცხოური, ისე ადგილობრივი კერძო კაპიტალი საოცრად რეგლამენტირებული იყო. ისინი კონტროლს განიცდიდნენ, როგორც მუშათა და გლეხთა ინსპექციის, ისე საწარმოებში შექმნილი პარტიულ-პროფკავშირულ-კომკავშირული ორგანიზაციების მხრიდან. საბჭოთა ხელისუფლება დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მუშათა კონტროლს, ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის გაძლიერებას, წარმოების მართვაში მუშათა აქტიურ ჩაბმას სხვადასხვა თვითმოქმედი ორგანიზაციების საშუალებით. როგორც მიუთითებენ, საქართველოს მრეწველობაში გასაბჭოების შემდეგ შექმნილი მუშათა კონტროლის ადგილობრივი ორგანოები მტკიცე ბრძოლას აწარმოებდნენ ყოფილი მეპატრონეების და სხვა ანტისაზოგადოებრივი ელემენტების წინააღმდეგ, ცდილობდნენ განემტკიცებინათ შრომის დისციპლინა, მოეწესრიგებინათ საწარმოთა მომარაგება, ამ მიზნით საქართველოს ბევრ საწარმოში პოლიტკომისართა ინსტიტუტიც კი შეიქმნა.[57]

გარკვეული როლი წარმოების სოციალისტურ რელსებზე გადაყვანის საქმეში ითამაშა შრომითი ხელშეკრულების სისტემის დანერგვამ, რაც არეგულირებდა ურთიერთობას დამქირავებელსა და დაქირავებულს შორის, მაგრამ მიუხედავად ამისა საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში მუშათა და ადმინისტრაციის დაპირისპირება ზოგჯერ სოციალურ აფეთქებასაც კი იწვევდა ხოლმე.

საბჭოთა ისტორიოგრაფია ამის შესახებ არაფერს წერდა, თუმცა დასტურდება, რომ საბჭოთა სინამდვილეში მუშათა პირველი გაფიცვა მოხდა 1922 წლის აგვისტო-სექტემბერში. გაფიცვა მომწიფდა წითელი არმიის საინტენდანტო სამსახურის სამკერვალო სახელოსნოში. გაფიცვის მიზეზი სოციალური იყო. მუშები მოითხოვდნენ, რომ მათი ხელფასები გათანაბრებოდა

სხვა სამეურნეო ორგანოების დაქვემდებარებაში მყოფი საწარმოების მუშების ხელფასებს. მუშებმა დახმარებისთვის პროფკავშირს მიმართეს. მკერავთა კავშირმა მათ მხარი დაუჭირა. მუშებმა დამქირავებლებთან კომპრომისს მიაღწიეს.[58]

ძალიან მალე დაიწყო მეორე გაფიცვა, ცხენისწყლის აუზში, საჭილაოს ტყის საჭრელ ქარხანაში. ეს საწარმო იტალიურ ფირმას ეკუთნოდა, მაგრამ იტალიელი ინვესტორი, როგორც ჩანს, ენერგიულად აღარ წარმართავდა ბიზნესს, რის გამოც მუშები თვეობით არ იღებდნენ ხელფასს. ქარხნის მუშები მოითხოვდნენ საწარმოს ნაციონალიზაციას.[59]

როგორც ვხედავთ, გაფიცვებს ადგილი აქვს როგორც სახელმწიფო საწარმოებში, ისე კერძო სტრუქტურებშიც, რაც მიუთითებს, რომ XX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში ეკონომიკური მდგომარეობა ქვეყანაში კვლავ მძიმეა. ვერ მოხერხდა ეკონომიკური კოლაფსის შეჩერება. საქართველოს საგანგებო კომისიის აგენტურული მონაცემებით 1923 წელს საქართველოს მრეწველობა 1913 წლის დონის მხოლოდ 27 პროცენტს უდრიდა. ვერ მოხერხდა ჰიპერინფლაციის შეჩერება – ყოველთვიურად უფასურდებოდა ქართული მანეთი, რის გამოც პირველადი მოხმარების საგნებზე ფასები სისტემატურად იზრდებოდა. ხშირი იყო საქონლის დეფიციტი. მაგალითად, 1922 წელს თბილისში გაძვირდა ამერიკული ხორბალი „ნელსონი", ძვირი იყო სათესლე ხორბალიც. „ნელსონი" ფუთი 820 მანეთი ღირდა, ადგილობრივი ჯიშები – 310 მანეთი, ფუთი შაქარი – 5000 მანეთი, ნარმის ერთი ნაჭერი – 2700 მანეთი და ა.შ.[60]

1922 წელს საქართველოში მკვეთრად დაეცა რუსული ფულის კურსი (50-60%). სერგო ორჯონიკიძემ ეს ფაქტი სასწრაფოდ შეატყობინა მოსკოვს და დახმარება ითხოვა. ვარაუდობდნენ; რომ ფულის კურსის დაცემა გამოიწვია რესპუბლიკაში რუსული ფულის დიდი მასის შემოტანამ.[61] იყო აზრი, რომ კურსი ხელოვნურად იყო დაწეული. ფაქტი ერთია, პურის ღირებულება 17 ათასი მანეთიდან სწრაფად გაიზარდა 45 ათას მანეთამდე. თბილისში ტრამვაით მგზავრობას 5000 მანეთი ჭირდებოდა. საქართველოს მოსახლეობას ვერ დაამშვიდებდა იმის კონსტატაცია, რასაც ოფიციალურ გაზეთებში აქტიურად ეწეოდნენ, რომ გერმანიაში 1 დოლარი 5 მილიარდი მარკა ღირდა. საქართველოს მოსახლეობა მოითხოვდა ცხოვრების პირობების რადიკალურ გაუმჯობესებას.

ამრიგად: საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე მრეწველობაში განხორციელდა ძირითადი საწარ-

მოო საშუალებების ნაციონალიზაცია და მიიღეს დეკრეტი მიწის შესახებ – სახელმწიფომ თავის ხელში აიღო ძირითადი ეკონომიკური ბერკეტები. შექმნილი ობიექტური მიზეზების გამო კომუნისტური რეჟიმი იძულებული გახდა განეხორციელებინა ახალი ეკონომიკური პოლიტიკა, რათა ქვეყანა ეკონომიკური კოლაფსიდან გამოეყვანა. წახალისდა სასაქონლო-ფულადი ურთიერთობა, თუმცა სახელმწიფოს მკაცრი მეთვალყურეების ქვეშ, რაც დიდი შედეგის მომტანი, როგორც ჩანს, არ იყო. ხელი შეეწყო საწარმოო კოოპერაციის განვითარებას, მასში მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი იყო ჩაბმული, თუმცა შედეგი თვალშისაცემი აქაც არ ჩანს. ქვეყანაში არსებული ჰიპერინფლაცია აფერხებდა ეკონომიკის ნორმალურ განვითარებას. ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრეების ძირითადი განმკარგავი არა ქართველი ხალხი – არამედ რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო იყო. ახალი ეკონომიკური პოლიტიკიდან გამომდინარე ცდილობდნენ საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრეების კონცესიებად გაცემას, მაგრამ 1925 წლამდე რეალური არაფერი გაკეთებულა. 1923 წელს საქართველოს მრეწველობა 1913 წლის დონის 27 პროცენტი იყო, მისთვის დამახასიათებელი იყო მუშა-მოსამსახურეთა რიცხვის მკვეთრი რყევა და არასტაბილური შრომითი კოლექტივების არსებობა, საწარმოთა წყვეტილი მუშაობა, ტექნოლოგიური პროცესების გაუმართაობა, სანედლეულო ბაზის ნაკლებობა, შეფერხებები ნედლეულით უზრუნველყოფაში. ეკონომიკური პრობლემები ზრდიდნენ სოციალური ამბოხების საფრთხეს. საჭირო იყო არა სიტყვით, არამედ საქმით რადიკალური ეკონომიკური გარადაქმნების რეალიზება.

ტოტალიტარული სახელმწიფოს ათეისტური პოლიტიკისა და პრაქტიკის პირველი ეტაპი

ყველა ტოტალიტარული მოძრაობა, რომელიც კი შემორჩა ისტორიულ მეხსიერებას, ოფიციალური რელიგიის წინააღმდეგ ულმობელ დაპირისპირებაში ვლინდება. ვერ ხერხდებოდა ოდნავი კომპრომისიც კი, შერიგება – იმდენად რადიკალურად განსხვავებული მსოფლმხედველობა ჰქონდათ ადამიანთა ორ დაჯგუფებას – ოფიციალური ეკლესიისა მიმდევრებსა და „ახალი რელიგიის“ მშენებლებს, რომელთაც უნდოდათ ძველის დანგრე-

ვის საფუძველზე ახალი რწმენის სიმბოლოები, რიტუალები და კულტის ობიექტები შეექმნათ. სრულიად სამართლიანია ნ. ბერდიაევი, რომელიც მიუთითებდა: „მარქსმა შექმნა ნამდვილი მითი პროლეტარიატზე. პროლეტარიატის მისია რწმენის სიმბოლოა. მარქსიზმი არ არის მარტო მეცნიერება და პოლიტიკა, არამედ რწმენა და რელიგიაცაა, სწორედ ამაშია მისი ძლიერება".[1]

ეს შეფასება სრულიად სამართლიანია, რადგან კომუნიზმი არა მარტო იდეოლოგია და პრაქტიკა იყო, არამედ ახალი რწმენაც და ფანატიზმიც, რომელიც ძველი, ტრადიციული კულტის დანგრევის, განადგურების, ტოტალური შეცვლის გარეშე ვერ აშენდებოდა. კ. მარქსი ხაზგასმით მიუთითებდა: „რელიგიის, როგორც ხალხის ილუზორული ბედნიერების ამოძირკვა არის მისი ჭეშმარიტი ბედნიერების მიღწევის მოთხოვნა".[2]

ვ.ი.ლენინი კიდევ უფრო შორს მიდიოდა ტრადიციული რელიგიური შეხედულებების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში: „რელიგია ეს არის სხვის საკეთილდღეოდ მომუშავე. დაბეჩავებული და მარტოობაში მყოფი მშრომელთა ფართო მასების სულიერი ჩაგვრის ერთ-ერთი სახეობა".[3]

ვ.ი.ლენინი ჯერ კიდევ რევოლუციამდე მოითხოვდა რელიგიური რწმენა-წარმოდგენების წინააღმდეგ ტოტალური ღონისძიებების გატარებას, ხოლო ძალაუფლების უზურპაციის შემდეგ კომუნისტურმა ხელისუფლებამ ათეიზმი სახელმწიფო იდეოლოგიად გამოაცხადა. ეს გასაგებიცაა: ბოლშევიზმს ჰქონდა პრეტენზია ყოფილიყო მილიონობით სხვადასხვა სარწმუნეობაზე (ქრისტიანობა,იუდაიზმი, ბუდიზმი, ლამაიზმი) აღზრდილი რუსეთისა და მსოფლიოს პროლეტარიატის სულიერი ცხოვრების წარმმართველი. აქედან გამომდინარე, ის ამას ვერ შეძლებდა, თუ არ მოახდენდა ერთ-ერთი ძირითადი განმასხვავებელი მახასიათებლის (ამ შემთხვევაში ტრადიციული რელიგიური ცნობიერების) სრულ ამოძირკვას, ისევე როგორც ამას აკეთებდა უძველესი დროიდან მოკიდებული ყველა გამარჯვებული ახალი მსოფლმხედველობა თუ რელიგიური მიმართულება.

1919 წელს რკპ (ბ) VIII ყრილობაზე კომუნისტების მიერ პარტიის მეორე პროგრამაში ხაზგასმითაა მითითებული: „რელიგიის მიმართ რუსეთის კომუნისტური პარტია არ კმაყოფილდება სახელმწიფოსაგან ეკლესიის და ეკლესიისაგან სკოლის უკვე დეკრეტირებული გამოყოფით... მხოლოდ გეგმაშეწონილობისა და შეგნებულობის განხორციელება მასების მთელ საზოგადოებრივ სამეურნეო მოქმედებაში გამოიწვევს რელიგიურ ცრურწმენათა სრულ მოსპობას".[4]

საქართველოს ძალდატანებით გასაბჭოების შემდეგ რუსული კომუნისტური ათეიზმი საქართველოშიც გადმოინერგა. ამისათვის კი ნიადაგი გარკვეულწილად შემზადებული იყო იმით, რომ საქართველოს პირველი რესპუბლიკის სოციალ-დემოკრატიული ხელისუფლება მარქსისტული ათეიზმის პრინციპებზე იდგა და თავისი გულგრილობით მნიშვნელოვანი დარტყმაც მიაყენა საქართველოს სამოციქულო ეკლესიას.

საქართველოს მართლმადიდებლურ სამოციქულო ეკლესიას ჯერ კიდევ არ ჰქონდა მოშუშებული ის ტკივილები, რაც რუსეთის სინოდისა და ეგზარქატის ულმობელმა პოლიტიკამ მიაყენა ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობას და ტრადიციებს, ხოლო ბოლშევიკურმა ოკუპაციამ და მათ მიერ განხორციელებულმა ათეისტურმა პოლიტიკამ მას სასიკვდილო საფრთხე შეუქმნა.

რუსეთის კომუნისტური ოკუპაციის დროს საქართველოში მოქმედებდა 1450 ეკლესია, 25 მონასტერი და ღვთისმსახურებას ეწეოდა 1600 კაცი.[5] ამის გარდა საქართველოში მოქმედებდა რომის კათოლიკური ეკლესია, არსებობდა სომხურ-გრიგორიანული მრევლი, რომელსაც ეთნიკური ქართველების ერთი ჯგუფიც აღიარებდა, ქალაქებში იყვნენ ებრაული რელიგიური კულტის მიმდევრები, აჭარასა და სამცხე-ჯავახეთში ძლიერი გავლენა ჰქონდა მაჰმადიანურ სარწმუნოებას. საქართველოს სამოციქულო ეკლესიას ხელმძღვანელობდა უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი (ხელაია), რომელიც წმინდა სინოდთან ერთად თავიდანვე დადგა ქართველი ერის ინტერესების დაცვის სადარაჯოზე, რამაც პატრიარქს პირადად უდიდესი პრობლემები შეუქმნა.

1921 წლის 15 აპრილს საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა მიიღო დეკრეტი „სახელმწიფოსაგან ეკლესიისა და ეკლესიისაგან სკოლის გამოყოფის შესახებ", რომელიც რელიგიას პიროვნების კერძო საქმედ აღიარებდა და აკანონებდა ეკლესიისაგან სკოლის გამოყოფას. ამავე დეკრეტით რელიგიური საზოგადოებების მთელი ქონება გამოცხადდა სახალხო (სახელმწიფო) საკუთრებად: „არცერთ საეკლესიო და სარწმუნეობრივ საზოგადოებას არა აქვს უფლება იქონიონ საკუთრება. მათ იურიდიული პირის უფლება არა აქვთ. საქართველოს რესპუბლიკაში არსებული საეკლესიო და სარწმუნეობრივ საზოგადოებათა ქონება გამოცხადებულია სახალხო საკუთრებად".[6] ქართულ ისტორიოგრაფიაში სამართლიანად არის მითითებული, რომ „ამ დეკ-

რეტით საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია კანონგარეშედ ცხადდებოდა".[7]

დეკრეტის მთავარი მიზანი ეკლესიის სეკულარიზაცია იყო. ყველა რევოლუცია და რადიკალური რეფორმა, საბოლოო აზრით, ქონების გადანაწილებას გულისხმობს. ის რაც მენშევიკების მმართველობის დროს კიდევ შემორჩა საქართველოს ეკლესიას, მისი ხელში ჩაგდებისათვის ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე დაიწყო. არსებობს წმინდა ნინოს სახელობის ქალთა მონასტრის იღუმენია ნინოს განცხადება, რომელიც თარიღდება 1921 წლის 1 აპრილით. განცხადებაში ნათქვამია: „მონასტერს გორის მაზრის სოფ. ძეგვში აქვს 5 დესეტინა საბაღე ადგილი, რომელსაც მონასტერი თავადვე ამუშავებს. ადგილობრივი მცხოვრებლები თვითნებურად შეიჭრნენ მამულში, გაძარცვეს სამონასტრო სახლი, ნაიღეს წიგნები და ავეჯი".[8]

1922 წელს მცხეთის დედათა მონასტრის კუთვნილი ბაღი ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე გადაეცა დუშეთის მაზრის კომუნალურ განყოფილებას.[9]

მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების პირველ თვეებში განხორციელებული სეკულარიზაციის ფაქტები „ბავშვურ ცელქობად" ჩანს იმ ტოტალურ რეპრესიებთან შედარებით, რომელიც ძალიან მალე დაიწყო როგორც ქართული ეკლესიის, ისე მისი მღვდელმთავრებისა და ღვთისმსაუხურების წინააღმდეგ.

როგორც აღვნიშნეთ, 1922 წლის დასაწყისში მოსკოვის კომუნისტური ხელისუფლება გენუის საერთაშორისო ეკონომიკური კონფერენციისათვის ემზადებოდა – ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ეს იქნებოდა პირველი შემთხვევა, როცა ბოლშევიკური ხელისუფლება რუსეთის სახელმწიფოს ოფიციალურად წარმოადგენდა. ამ კონფერენციაზე დიდ იმედებს ამყარებდა ლენინი. საბჭოთა დელეგაციაში შედიოდა საქართველოს რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარე ბ. მდივანიც.

ასეთ დროს გენუის საერთაშორისო კონფერენციას ქართველი ხალხის სახელით მემორანდუმი გაუგზავნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ამბროსიმ (ხელაიამ): „ოკუპანტები, მართალია ლამობენ შინ და გარეთ ყველანი დაარწმუნონ, რომ მათ გაათავისუფლეს და გააბედნიერეს ქართველები, მაგრამ რამდენად ბედნიერად გრძნობს თავს ქართველი ერი, ეს ყველაზე უკეთ ვუწყი მე". საქართველოს სულიერი მამა მოითხოვდა: „დაუყოვნებლივ გაყვანილ იქნას საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის საოკუპაციო ჯარი და უზრუნველყო-

ფილ-დაცულ იქნას მისი მიწა-წყალი უცხოელთა თარეშობისა და მძლავრობა-მოტაცებისაგან. საშუალება მიეცეს ქართველ ერს თვითონ, სხვათა ძალდაუტანებლივ და უკარნახოთ მოაწყოს ისეთი ფორმები სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების, როგორიც მის ფსიქიკას, სულისკვეთებას, ზნე-ჩვეულებას და ეროვნულ კულტურას შეესაბამება".[10]

საბჭოთა ხელისუფლებამ არ აპატია პატრიარქს ხალხისა და ქვეყნის სიყვარული. 1922 წლის 7 ივლისს გაზეთ „კომუნისტში" დაიბეჭდა ფილიპე მახარაძის წერილი: „პატრიარქ ამბროსის მღვდელ-მთავრული ჭორიკანობა", რომელშიც ის შეეცადა პატრიარქი არაობიექტურობაში ემხილებინა და მიანიშნებდა, რომ „მორჩილი ამბროსი იმეორებს მენშევიკების მიერ მოგონილ ყველა ჭორსა და ბრალდებებს კომუნისტური და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ".

საერთოდ, 1922 წელი მძიმე იყო როგორც რუსეთის, ისე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიებისათვის. ქვეყანაში არსებული უმძიმესი სოციალური პრობლემების მოსაგვარებლად, რაც რუსეთში გამოიწვია არნახულმა შიმშილობამ, საბჭოთა ხელისუფლებამ დაიწყო ეკლესია მონასტრებში დავანებული განძეულობის უკანონო და ძალადობრივი მისაკუთრება. ასეთ ბარბაროსულ მეთოდებს რუსეთში წინ აღუდგა პატრიარქი ტიხონი, რამაც ვ.ი.ლენინის დიდი განრისხება გამოიწვია. მან საიდუმლო მიმართვა გაუგზავნა პოლიტბიუროს წევრებს, რომელშიც ნათქვამი იყო: „მივდივარ იმ დასკვნამდე, რომ სწორედ ახლა უნდა მივცეთ ყველაზე გადამწყვეტი, დაუნდობელი ბრძოლა შავრაზმულ სასულიერო ფენას და ჩახშობილ იქნას მათი წინააღმდეგობა ისეთი სისასტიკით, რომ მათ ეს არ დაივიწყონ რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში".[11]

ასეთი დამოკიდებულება ეკლესიის მიმართ საქართველოშიც გავრცელდა. არსებობს რკპ (ბ) ცკ მდივნის ვ. მოლოტოვის 1922 წ. საიდუმლო დეპეშა საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისადმი, რომელშიც ის მოითხოვდა „საეკლესიო სიძველეების დაუყოვნებლივ ამოღებას და ამ მიზნით სპეციალური სამეულების შექმნას".[12]

ამის შემდეგ ძალიან მალე საქართველოს პარტიულმა ხელმძღვანელობამ მიიღო რუსეთის რევოლუციური სამხედრო საბჭოს თავმჯდომარის ლ. დ. ტროცკის ბრძანება, რომელიც ითვალისწინებდა საქართველოს ეკლესია-მონასტრებიდან მთელი განძეულობის: ძვირფასი ლითონების, მონეტების, ძვირფასი ქვების, საკრედიტო ბილეთების და მისი სუროგატების თავმოყ-

რასა და მოსკოვში გაგზავნას. ამასთან, მონასტრებში, მუზეუმებში, სასახლეებში, კერძო კოლექციებში დაცული განძეულობის აღრიცხვას.[13]

ქართველი კომუნისტები საკმაოდ ენერგიულად შეუდგნენ ტროცკის ბრძანების შესრულებას. სასწრაფოდ შეიქმნა სპეციალური სახელმწიფო კომისია, რომელსაც უნდა უზრუნველეყო საეკლესიო ქონების აღრიცხვა-ჩამორთმევა. კომისიაში შედიოდნენ ა. გეგეჭკორი, დ. კანდელაკი (განსახკომი), ი. ვარძიელი (იუსტიციის სახკომი).

მიუხედავად იმისა, რომ ტროცკის ბრძანება საიდუმლო იყო, თბილისში მაინც დაირხა ხმები „სამუზეუმო განძის" რუსეთში გატანის შესახებ. ამ ხმებმა ქართველი ინტელიგენციის აღშფოთება გამოიწვია. ამ საკითხზე სპეციალურად იმსჯელა საქართველოს სახელმწიფო სამეცნიერო საბჭომ – კომუნისტების მიერ შექმნილმა სამეცნიერო-ორგანიზაციულმა სტრუქტურამ, რომელიც აერთიანებდა იმდროინდელი ქართველი სამეცნიერო ელიტის უდიდეს ნაწილს. დისკუსიის დროს გამოითქვა მოსაზრება, რომ ამ ჭორის დამადასტურებელი საბუთები მათ არ ჰქონდათ. მიუხედავად ამისა, საბჭომ ივ. ჯავახიშვილს დააავალა, რომ ქართველი მეცნიერების ეს შეშფოთება ეცნობებინა საქართველოს საბჭოთა მთავრობის თავმჯდომარისათვის და საქმეში გასარკვევად შექმნეს სპეციალური კომისია შ. ნუცუბიძის, კ. კეკელიძის და ნ. ჩიგოგიძის შემადგენლობით, რომელსაც კონტროლზე უნდა აეყვანა ქართული ეროვნული საგანძურის შენახვა-დაცვის საკითხები.[14]

საქართველოში საეკლესიო ქონების რეკვიზიცია 1922 წლიდან დაიწყო. არსებობს ზუგდიდის მაზრის წალენჯიხის თემის სოფელ ნაკიფუს ღვთისმშობლის ეკლესიის რეკვიზიციის ოქმი, რომელშიც მითითებულია, რომ ეკლესიიდან გაიტანეს ოქროთი დაფერილი ვერცხლის მთავარანგელოზის ხატი და სხვა ნივთები.[15]

ზუგდიდის მაზრის სოფელ ჯგალის წმ. გიორგის სახ. ეკლესიიდან გაიტანეს შვიდი საეკლესიო ნივთი, მათ შორის დიდი ზომის ვერცხლით მოჭედილი ჯვარი. ამავე მაზრის სოფ. აბასთუმნის ეკლესიიდან წაიღეს ვერცხლის ბარძიმი, ვერცხლის ფეშხუმი, ვერცხლის პანაგირი და სასაკმევლო.[16]

ეკლესიების დარბევა განხორციელდა თიანეთის მაზრაშიც. საგანძური გამოიტანეს წმ. ნიკოლოზისა და წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიებიდან. ეკლესიების რეკვიზიციას ძალით დაასწრეს დეკანოზი იოსებ დალაქიშვილი.[17]

მაგრამ ჭეშმარიტად ტოტალური შეტევა საქართველოს ეკლესია-მონასტრებში დავანებული სიძველეების ამოსაღებად დაიწყო 1923 წლიდან. ამ კამპანიას წინ უსწრებდა საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის მ. კახიანის ოფიციალური მოწოდება, რაც დაიბეჭდა გაზეთ „კომუნისტში". მოწოდებაში ნათქვამი იყო: „სამი თვის წინ დაწყებული ანტირელიგიური კამპანია მუშებისა და გლეხების ფართო მასებს მოედო. არ დარჩენილა სოფელი, სადაც სამღვდელოებასთან და მის აპარატთან – ეკლესიასთან ულმობელი ბრძოლის შესახებ ჩვენი ლოზუნგი მშრომელთა ფართო მასებს არ გაეგოთ როგორც ბრძოლის და საუკუნოვანი ჩაგვრა-მონობისაგან განთავისუფლების ლოზუნგი. აუწერელი ენთუზიაზმით იწყებენ სარწმუნეობისა და სამღვდელოების წარსული კეთილდღეობის ამ უკანასკნელი ნაშთის – ეკლესიების დახურვას. ზოგიერთ სოფელში გლეხობა ისე იყო გაბრაზებული, რომ მზად იყვნენ ძირფესვიანად დაენგრიათ ეკლესიები... ბევრ სოფელში გლეხები ეკლესიებიდან ყრიდნენ ხატებს, ჯვრებს და იქვე დადგენილება გამოჰქონდათ მთელი ამ ნაგვის დაწვისა და ეკლესიის შენობების კულტურის ტაძრად გადაქცევის შესახებ".[18]

ოფიციალური ხელისუფლების შეგულიანებამ, სამწუხაროდ, თავისი შედეგი გამოიღო. „ბაკურიანის რაიონში მშრომელთა დადგენილებით ყველა ეკლესია დაიკეტა. ორმა მღვდელმა უარი თქვა ღვთისმსახურების შესრულებაზე. ეკლესიის თავზე ჯვრის ნაცვლად წითელი დროშები აღმართეს". დაბა სურამში უპარტიო ახალგაზრდების 3000 კაციანმა კრებამ გამოიტანა გადაწყვეტილება ებრაელთა სინაგოგის კლუბად გადაკეთების შესახებ. გაზ. „კომუნისტი" ბეჭდავს ამ მკრეხელობის დეტალურ აღწერას: „შემდეგ გაემართნენ სინაგოგისაკენ. გარო შუღაროვი აღებს კარს. ყველა უყურებს – ხელი ხომ არ გაუხმებაო. შემდეგ ადის ამაღლებულ ადგილზე და ამბობს სიტყვას. 3000 კაცი ზოგი შიგ შედის, ზოგი გარეთ".[19]

სენაკის მაზრის სოფ. ონტოფოში ეკლესია გადააკეთეს კლუბად, სადაც მართავდნენ წარმოდგენებს. ხოლო პირველი მოხსენება „ახალ კლუბში" ანტირელიგიურ თემაზე წაიკითხა ამხანაგმა სიგუამ. მან „მრავალი მაგალითი მოიყვანა მღვდლების მიერ ჩადენილ სისაძაგლეზე".

ქუთაისში, როგორც ირწმუნებოდა ბოლშევიკური ოფიციოზი, ზოგიერთ ეკლესიაში მღვდლებმა თვითონ თქვეს უარი ღვთისმსახურებაზე და გადასცეს ტაძრები ადგილობრივ ხელისუფლებას.

სამტრედიაში დახურეს 15 ეკლესია. აქედან 7 გადაეცა ადგილობრივ ხელისუფლებას კლუბების მოსაწყობად. ცხუკურის თემის ორმა მღვდელმა: ილია ხაჭაპურიძემ და ილარიონ ჩინჩალაძემ მიატოვეს მღვდლობა. როგორც ირწმუნებოდნენ, მათ უთქვამთ შემდეგი: „ამ ბოლო ხანებში ხალხმა ზიზღით დაგვიწყო მზერა, ზოგი მათგანი მატყუარას გვიწოდებდა, ამიტომ ვარჩიეთ პატიოსანი შრომა".[20]

1923 წლის ზაფხულში განსაკუთრებით ბარბაროსული ფორმით ჩატარდა საეკლესიო სიწმინდეების ამოღება ახალციხეში.[21]

ნიშანდობლივია, რომ ეკლესიებიდან გატანილ საგანძურს ხშირ შემთხვევაში ადგილზევე უკეთებდნენ რეალიზაციას. მაგალითად, ახალციხეში საეკლესიო ოქროსა და ვერცხლის 6 ყუთი ადგილზევე გაიყიდა 6880707000 მანეთად. ექვი ყუთიდან ოთხში 7 ფუთი მარტო ვერცხლი იყო, ხოლო ოქრო – 191 გრამი.[22]

როგორც დოკუმენტურად დასტურდება, ახალციხის ეკლესიების განძეულის რეკვიზიციის შედეგად მიღებული შემოსავალი გადაიგზავნა ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის ფონდში. აშკარაა, რომ თუ ერთი მაზრის საეკლესიო ქონება ასეთ მნიშვნელოვან თანხას შეადგენდა, ადვილი წარმოსადგენია სრულიად საქართველოში ჩატარებული სეკულარიზაციის პროცესის შედეგად რა უზარმაზარი თანხა მოიყრიდა საბჭოთა ხელისუფლების ხელში და რაოდენ დიდი სულიერი და მატერიალური დარტყმა მიადგებოდა ქართულ სამოციქულო ეკლესიას.

საეკლესიო სიძველეების ჩაბარების დროს, იყო არა ერთი შემთხვევა, როცა ცალკეული უპასუხისმგებლო პირები ითვისებდნენ საეკლესიო განძეულობას.[23] დოკუმენტურად დასტურდება, რომ მუხრანში ეკლესიების რეკვიზიციის პროცესში აქტიურად მონაწილეობდა ილია ჭავჭავაძის მკვლელი გიგლა ბერბიჭაშვილი – მუხრანის სოფლის საბჭოს თავმჯდომარე. საარქივო დოკუმენტში მითითებულია, რომ მუხრანის ეკლესიები ინახავდა ბევრ მნიშვნელოვან საეკლესიო ნივთს, მათ შორის ბაგრატიონ-მუხრანელების სასახლიდან მოტანილს, რომლებსაც რეკვიზიციის შემდეგ ვეღარ მიაგნეს.[24]

ხელყვეს სხვა კონფესიების ქონებაც. დუშეთის სომხური ეკლესიის მღვდელი საქართველოს ხელისუფლებას ატყობინებდა, რომ 1924 წელს აღდგომის წინ, შუა ღამით მასთან მივიდნენ კომკავშირელები, წაართვეს ეკლესიის გასაღები, შევიდნენ ეკლესიაში და დალუქეს. უკვე მოგვიანებით, როცა გასაღები დაან-

რუნეს, აღმოჩნდა, რომ ეკლესია იავარქმნილი იყო, ვერცხლეული სკივრებში ჩაელაგებინათ, სკივრებზე ნოხები მიეყარათ. ზოგი ნივთი სკოლებში გაენაწილებინათ, ზოგიერთი ნივთი ოქრომჭედლებთან ნახა ტერტერამ, ზოგიც დუშეთელი ვაჭრების ხელში.[25]

ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა კომუნისტებისა და კომკავშირლების ერთი ჯგუფის მიერ განხორციელებულმა მკრეხელობამ, რაც მოწამეთას მონასტრის წმინდა სიძველეთა ხელყოფაში გამოიხატა. მათ გახსნეს წმინდა საძვალეები და შეურაცხყვეს წმინდა სავანე.

ანტირელიგიური კამპანიის დროს საქართველოში დაახლოებით 600 ეკლესია დაიხურა, მათ ნაცვლად ეკლესიებში იხსნებოდა კლუბები, ბიბლიოთეკები, აბანოებიც კი.

ეკონომიკური ბერკეტების ჩამორთმევის შემდეგ კომუნისტური სახელმწიფო შეეცადა რადიკალურად შეეზღუდა ეკლესიის ზეგავლენა პიროვნების სულიერ სამყაროზე, მოესპო რელიგიური ტრადიციები და რიტუალები. საბჭოთა პროპაგანდისტებით დაკომპლექტებული რაზმები ყოველმხრივ ცდილობდნენ რელიგიური რწმენა-წარმოდგენების და წეს-ჩვეულებების შეცვლას ახალი – საბჭოთა ტრადიციებითა და რიტუალებით.

კომკავშირული ორგანიზაციები ხშირად მართავდნენ ანტირელიგიურ აქციებს. ერთ-ერთი ასეთი აქციის რეპორტაჟი შემოგვინახა ისტორიულმა მეხსიერებამ: „შობის წინა დღით, 6 იანვარს რუსთაველის თეატრში გაიმართა ჩვენი კავშირის საქალაქო კრება, რომლის შემდეგ კავშირის წევრები გამოვიდნენ ქუჩაში... ჩირაღდნებითა და დროშებით ხელში. დემონსტრაციამ მიზანს მიაღწია. არცერთი ახალგაზრდა იმ დღეს ეკლესიაში არ ყოფილა. დემონსტრანტებს მიჰქონდათ ჩირაღდნები წითელი ნაჭრებით გადაკრული, რომელზეც ეწერა: „სარწმუნოება მეცნიერებისა და რევოლუციის მტერია“ და სხვ. ქ. ახალსენაკში იმ დღეს ააფეთქეს საგანგებოდ მოწყობილი „მამა ღმერთი“, რამაც დიდი შთაბეჭდილება დატოვა“.[26]

საბჭოთა ხელისუფლება თავისი არსებობის მანძილზე მუდამ ცდილობდა შიგნიდან აეფეთქებინა ნებისმიერი რელიგიური ორგანიზაცია. ამის დადასტურებაა ჯერ კიდევ 1922 წელს ვ. მოლოტოვის მიერ საქართველოს კპ(ბ) ცკ გამოგზავნილი საიდუმლო დეპეშა, სადაც ხაზგასმული იყო: „უნდა შეანჯღრიოთ ხუცები. დაუპირისპირეთ ზედა და ქვედა ფენების სამღვდელოება“.[27]

ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის შიგნიდან აფეთქების პირველი ცდები გასაბჭოებისთანავე დაიწყო. საბჭოთა მთავრობა შეეცადა ეკლესიის ავტორიტეტული წევრების მატე-

რიალური კეთილდღეობის შექმნით ისინი თავის მხარეზე გადმოეყვანა, დაეპირისპირებინა მათთან შეურიგებელი სამღვდელოებისათვის. ჯერ კიდევ 1921 წლის გიორგობისთვეს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატში შევიდა ორი ავტორიტეტული სამღვდელო პირის თხოვნა მატერიალურ დახმარებაზე. საკმაოდ ვრცელ ავტობიოგრაფიულ ჩამონათვალში ხაზგასმული იყო ორივე ღვთისმსახურის დამსახურება ქართული ეროვნული მეცნიერების განვითარების საქმეში, რის გამოც მათ უნდა დანიშვნოდათ სახელმწიფო შემწეობა.[28] ჩვენთვის უცნობია, მიიღეს თუ არა ეს დახმარება ამ პირებმა, რომლებმაც მოგვიანებით ქართულ ეკლესიაში მაღალ თანამდებობებს მიაღწიეს, მაგრამ პირველი კონტაქტები ტოტალიტარულ რეჟიმთან მატერიალური ინტერესებიდან გამომდინარე, აშკარაა.

ამასთან, არსებობს უამრავი მინიშნება, რომ სახელმწიფო უშიშროების ორგანოები ცდილობდნენ ზეგავლენა მოეხდინათ თეთრი თუ შავი სამღვდელოების წარმომადგენლებზე და ამ მიმართულებით გარკვეულ წარმატებებსაც აღწევდნენ. ყველაფერი ეს ამზადებდა ნიადაგს, რუსეთის ეკლესიის მსგავსად. საქართველოს ეკლესიაშიც განვითარებულიყო ე.წ. „განახლების" მოძრაობა.

ეს „სიახლე" რუსეთის ეკლესიაში ჯერ კიდევ რევოლუციამდე ჩაისახა. ამ მოძრაობის მესვეურებმა მიზნად დაისახეს შექმნილი პოლიტიკური ვითარების შესაბამისად ტრადიციული ეკლესიის რეორგანიზება. ამტკიცებენ, რომ ეს მოძრაობა ისეთი დამოკიდებული გახდა საბჭოთა ხელისუფლებაზე, რომ რუსეთის ეკლესიაში „რელიგიური ამინდი" ვინმე ევგენი ალექსანდრეს ძე ტუჩკოვის კაბინეტში იქმნებოდა. ეს კაცი კი სახელმწიფო უშიშროების სამსახურის მე-6 განყოფილების თანამშრომელი იყო და საეკლესიო ორგანიზაციების საქმიანობაზე ზედამხედველობა ევალებოდა.[29]

„განახლების მოძრაობის" ლიდერების მიზანი იყო მართლმადიდებლური კანონიკით დამკვიდრებული რელიგიური რიტუალების ახალ, გრიგორიანულ სტილზე გადაყვანა, სასულიერო პირთათვის ორჯერ ქორწინების უფლების დაკანონება, საეკლესიო რიტუალების გამარტივება და მათი შესასრულებელი დროის შემცირება და ა.შ.

საქართველოში „განახლების მოძრაობის" დამკვიდრება დაკავშირებულია დეკანოზ ილარიონ ოქროპირიძის მოღვაწეობასთან. ქართულ პრესაში ენერგიულად დაიწყეს „განახლების მოძრაობის" პროპაგანდა. მიუთითებდნენ: „საუკუნეზე მეტი

ხნის განმავლობაში ჩვენი ეკლესია რუსეთის ტყვეობაში იყო და როგორც მისი ნაწილი, უნებურად მის ბრძანებათა და ზრახვათა აღმსრულებელი, რუსეთის ეკლესიის ცოდვათა თანაზიარი გახდა. ეკლესია გაიყინა მკვდარ, დაძველებულ გარეგან ფორმათა შესრულებაში და ჩავარდა სწორედ იმ მდგომარეობაში, რომელშიც იმყოფებოდა ფარისეველების სექტა ქრისტეს დროს და რომლის წინააღმდეგ გაილაშქრა ქრისტემ".[30]

განახლების მოძრაობამ ქართული ეკლესიისათვის საშიში ხასიათი მიიღო XX საუკუნის 20-იან წლებში, როცა ამ მოძრაობას ფეხი აუწყო რამდენიმე მღვდელმთავარმაც და ჩათვალეს, რომ მსოფლიოში რადიკალური ცვლილებების პირობებში, ათეიზმის ბატონობის ხანაში საჭირო იყო გარკვეული ცვლილებები, რომ ეკლესია მთლიანად არ განადგურებულიყო და მოეძებნა ევოლუციური განვითარების ახალი გზა.

მაგრამ საბჭოთა ხელისუფლება იმ ხანად ეკლესიასთან არავითარ კომპრომისზე არ მიდიოდა. პირიქით, 1924 წელს დაიწყეს კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის (ხალაია) და მისი ერთგული მხარდამჭერების სასამართლო პროცესი.

შემთხვევით არ გვეჩვენება, რომ ეს ყოვლად უკანონო სასამართლო პროცესი განხორციელდა მოსკოვში პატრიარქ ტიხონის დაპატიმრების შემდეგ, რომელსაც ბრალად ედებოდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ამბოხებისაკენ მოწოდება, თეთრგვარდიელებთან და ემიგრაციასთან კავშირი, ვოლგის დამშეული მოსახლეობის დასახმარებლად საეკლესიო განძეულობის ამოღების წინააღმდეგ მიმართული მოწოდებები და ა.შ.

პატრიარქ ტიხონის საბრალდებო დასკვნასთან გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებს კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსისადმი წაყენებული საბრალდებო დასკვნაც, რომელშიც ხაზგასმულია მისი „ბრალეულობა": „მოწოდების შედგენა გენუის კონფერენციისადმი საკათალიკოსო საბჭოს წევრებთან ერთად. ეს მოწოდება შეიცავს ცრუ ცნობებს საქართველოში არსებული მდგომარეობის შესახებ. მან იცოდა მენშევიკური მთავრობის გაქცევის დროს... გატაცებული საეკლესიო განძეულის დამალვის შესახებ და არ აცნობა ეს მთავრობას... არ დაემორჩილა მთავრობის დადგენილებას და არ გააგზავნა თავისი წარმომადგენლები საუწყებათაშორისო კომისიაში საეკლესიო ქონების ჩასაბარებლად".[31]

პატრიარქთან ერთად ბრალი დაედო მღვდელმთავართა და ღვთისმსახურთა ერთ ჯგუფს. მიტროპოლიტ ნაზარს აბრალებდნენ მთავრობის დადგენილებისადმი დაუმორჩილებლობას,

რაც ყოფილი სამხედრო ტაძრის განძეულობის ჩაბარების დროს მოხდა.

ქაშვეთის ეკლესიის წინამძღვარს კალისტრატე ცინცაძეს (შემდგომში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს) ბრალს სდებდნენ: „ფულებისა და მატერიალური წიგნების დაუდევრად წარმოებაში, რასაც მოჰყვა სახალხო ქონების გაფლანგვა". მას ბრალდებოდა აგრეთვე პარტრიარქ ამბროსისთან ერთად გენუის კონფერენციისათვის გაგზავნილი მემორანდუმის ტექსტის ავტორობა.

პასუხისგებაში მისცეს: სიონის ტაძრის წინამძღვარი მარკოზ ტყემალაძე, მცხეთის საპატრიარქო ტაძრის არქიმანდრიტი პ. ჯაფარიძე, დიდუბის ეკლესიის წინამძღოლი იოსებ მირიანაშვილი, ქაშვეთის ეკლესიის მღვდელი დიმიტრი ლაზარაშვილი, სასულიერო პირები – ანტონ თოთიბაძე, ნიკოლოზ თავდგირიძე და ნიკოლოზ არჯევანიძე.

სასამართლო სხდომა მიჰყავდა საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს გ. ჩხეიძეს. სახელმწიფო ბრალმდებლები იყვნენ: კ. მაჭავარიანი, ნ. ოკუჯავა და ერქომაიშვილი

სამღვდელოებას იცავდნენ ადვოკატები: ნინიძე, გუნცაძე და დადიანი.

საქართველოს კომუნისტთა ოფიციოზი, გაზეთი „კომუნისტი" ოთხი დღის განმავლობაში სკრუპულოზურად ბეჭდავდა ამ სასამართლო ფარსის რეპორტაჟებს საკუთარი ინტერპრეტაციით. პროცესზე მოწმის სახით დაკითხეს პატრიარქის კანცელარიის მწერალი გ. სიდამონიძე, მღვდელი შუბლაძე. ამ უკანასკნელმა საბჭოთა მთავრობის საამებლად განაცხადა: „თუკი ვინმემ იცოდა საეკლესიო ქონების გადამალვის შესახებ, მას ეს მთავრობისათვის უნდა ეცნობებინაო".

კათოლიკოს-პატრიარქის მოადგილემ, მოწმე ციციშვილმა განაცხადა: „სახელმწიფოს კანონებს ეკლესია და სამღვდელოება უნდა დაემორჩილოსო". მას მიტროპლიტმა ნაზარმა შეკითხვა დაუსვა: „ეკლესიის წინააღმდეგ მიმართულ კანონებსაც უნდა დაემორჩილოსო?" მოწმე ციციშვილის აზრით, საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში ასეთი კანონები არ არსებობდა.[32]

1924 წლის მარტში, როცა თბილისში მიმდინარეობდა პატრიარქის შეურაცხმყოფელი უკანონო სასამართლო პროცესი, რკპ (ბ) პოლიტბიურომ განიხილა საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის ბ. ლომინაძის 13 მარტის დეპეშა. სამ-

წუხაროდ ამ დეპეშას ჩვენ ჯერჯერობით ვერ მივაკვლიეთ ვერც თბილისში და ვერც მოსკოვის არქივსაცავებში. თუმცა პოლიტბიუროს დადგენილების ტონი და შინაარსი მიანიშნებს, რომ ის საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მომავალ ბედს ეხებოდა და საბჭოთა საქართველოს კომუნისტი ხელმძღვანელები მოსკოვს უთანხმებდნენ უზენაეს სასამართლოში მიმდინარე პროცესის ვერდიქტს.

რკპ (ბ) ცკ პოლიტბიურომ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სასამართლო პროცესთან დაკავშირებით მიიღო შემდეგი ვერდიქტი: „პატრიარქ ამბროსის და საქართველოს სხვა სასულიერო წევრების მიმართ სასჯელის უმაღლესი ზომის გამოყენება მიზანშეწონილი არ არის (უნდა ვივარაუდოთ, რომ ბ. ლომინაძის დეპეშა სწორედ ამაზე თანხმობას ელოდებოდა – კ.ნ.), უპირველეს ყოვლისა, საერთაშორისო ვითარების გათვალისწინებით. გთავაზობთ: 1.სასჯელის გამოტანისას შემოიფარგლეთ 10 წლით თავისუფლების აღკვეთით; 2. ყველა არსებული მასალა ეგზარხოს ამბროსის და სხვა სასულიერო პირების კონტრრევოლუციური საქმიანობის შესახებ გამოიყენეთ სპეციალურად ორგანიზებული კამპანიის დროს პრესაში, რადიოში, განსაკუთრებით სოფლად და ა.შ.“.[33]

ამრიგად აშკარაა, რომ კომუნისტურ მსოფლმხედველობას პრეტენზია ჰქონდა ყოფილიყო პიროვნების ყოფიერებისა და ცნობიერების ყველა გამოვლენის ერთადერთი „საჭეთმპყრობელი“. აქედან გამომდინარე, მისთვის სრულიად მიუღებელი იყო ტრადიციული რწმენა-წარმოდგენები თუ რელიგიური შეხედულებები. ეს შეურიგებელი დამოკიდებულება აისახა როგორც მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა შრომებში, ისე კომუნისტური პარტიის საპროგრამო დოკუმენტებში.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ რუსული კომუნისტური, მებრძოლი ათეიზმი საქართველოშიც გადმოინერგა. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ფაქტობრივად კანონგარეშე გამოცხადდა, მას ჩამოერთვა ქონება, ადგილ-მამულები, რითაც სერიოზული დარტყმა მიადგა ეკლესიის ინტერესებს.

დაიწყო რეპრესიები სასულიერო პირთა მიმართ. XX საუკუნის 20-იან წლებში საქართველოში გაჩნდა ახალმონამეთა მთელი ფენა, როლებმაც უშურვებლად გაიღეს მსხვერპლი ღვთისადმი რწმენისა და მამულისათვის.

პარალელურად ადგილი ჰქონდა ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის შიგნიდან აფეთქების მცდელობას, მატერიალური საჩუქრებით, თუ პენსიებით ეკლესიის გარკვეული მოღ-

ვაწეების მოსყიდვას, ოპოზიციურად განწყობილი ე.წ. „განახლების მოძრაობისადმი" ოფიციალურად ხელის შეწყობას, რითაც აშკარად შეეცადნენ ეკლესიაში ორგანიზაციული განხეთქილების შეტანას.

საბჭოთა ძალმომრეობას, რუსეთის ახალ ოკუპაციას, ქართველი ერის ეროვნული უფლებების შელახვას წინ აღუდგა კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი (ხელაია); საეკლესიო ქონების სეკულარიზაციას და ეკლესია-მონასტრებში დავანებული ქონების ექსპროპრიაციის წინააღმდეგ ხმა აიმაღლა საქართველოს მოწინავე ინტელიგენციამ. ამის მიუხედავად ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ საქართველოში 1923 წლიდან, ტოტალური ათეისტური პროპაგანდის შედეგად, საეკლესიო სიძველეების ამოღება-მითვისებით, კათოლიკოს-პატრიარქის ამბროსისა და მისი ერთგული მხარდამჭერების სამარცხვინო სასამართლო პროცესის მოწყობით, გარკვეულწილად, ხელი შეუწყვეს 1924 წლის აგვისტოს აჯანყებისათვის პირობების მომზადებას.

თავი III. 1924 წლის აჯანყება

1924 წლის აჯანყების წინაპირობები

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციისთანავე დაიწყო მზადება ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის აღსადგენად. უკვე 1921 წლის შემოდგომაზე დაიწყო აჯანყება სვანეთში, რომელიც რამდენიმე თვე გაგრძელდა. აჯანყებულებმა დაშალეს ადგილობრივი რევკომი, განაიარაღეს მილიციის პუნქტები, შეკრეს და გადაკეტეს სვანეთისაკენ მიმავალი გზები და ბილიკები. ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ აჯანყებულთა წინააღმდეგ გაგზავნა წითელი არმიის 15 ათასიანი ნაწილი. სვანებმა დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს მომხვდურთ, დაამარცხეს ორი რუსული ლეგიონი და უკუაქციეს, 500 წითელარმიელი ტყვედ აიყვანეს[1].

აჯანყების ხელმძღვანელებმა გაგზავნეს დელეგაცია თბილისში, საქართველოს რევკომს მოსთხოვეს რუსული ჯარის გაყვანა საქართველოდან და ახალი ხელისუფლების ასარჩევად თავისუფალი არჩევნების ჩატარება[2]. ზამთრის პირობებში ხელისუფლებამ დამსჯელი ოპერაცია დროებით გადასდო და 1922 წლის მარტში კვლავ განაახლა შეტევა აჯანყებულთა წინააღმდეგ. სვანები მოწინააღმდეგეს ლენტეხისაკენ მიმავალ გზაზე დაუხვდნენ და დაამარცხეს იგი. 270 ჯარისკაცი კი ტყვედ აიყვანეს.

სვანეთის აჯანყებამ საერთაშორისო რეზონანსი შეიძინა. იგი ცნობილი გახდა გენუის სამშვიდობო კონფერენციის (1922 წლის აპრილ-მაისი) მონაწილეთათვისაც. მას გამოეხმაურა ნ. ჟორდანია, რომელმაც დეპეშით მიმართა მეორე და ვენის ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტების მდივნებს, რომელთაც შეატყობინა, რომ სვანეთის აჯანყებულმა მცხოვრებლებმა გარეკეს რევკომი და დაამყარეს დემოკრატიული მმართველობა. ნ. ჟორდანია ორივე ინტერნაციონალისაგან ითხოვდა შუამდგომლობას მოსკოვის წინაშე სასწრაფო ზომების მიღებას სისხლისღვრის შესაჩერებლად, დროებითი ზავის ჩამოგდებას[3].

ნ. ჟორდანიამ წერილი გაუგზავნა აგრეთვე ადამიანის უფლებათა ლიგის პრეზიდენტს. ამ წერილშიც იგი აღწერდა საქართველოში შექმნილ რთულ მდგომარეობას. მაგრამ ამ მიმართვებს შედეგი არ მოჰყოლია.

სვანეთისა და რაჭა-ლეჩხუმის გამოსვლების პარალელურად მღელვარებას ჰქონდა ადგილი თბილისშიც. 1921 წლის 8 და 10 ოქტომბერს თბილისის ფაბრიკა-ქარხნებში, რკინიგზის დე-

პოში და მთავარ სახელოსნოებში იმართებოდა კრებები, ღებულობდნენ მიმართვას პოლიტიკური პარტიებისა და თვით რევკომისადმი. 24 ოქტომბერს 9 კაცისაგან შემდგარი დელეგაცია ეწვია რევკომის თავმჯდომარეს ბუდუ მდივანს თანაგრძნობისა და დახმარების იმედით, მაგრამ დელეგაციის 8 წევრი ჯერ ჩეკაში დაამწყვდიეს, ხოლო ორი დღე-ღამის შემდეგ მეტეხის ციხეში გამოკეტეს[4]. ამ ფაქტის გამო გაიმართა რკინიგზის მთავარი სახელოსნოების, დეპოს, საქონლის სადგურის, საწყობების 10 ათას კაციანი მუშათა მიტინგი, რომელმაც დაგმო რევკომის ძალადობა და მოითხოვა მუშათა დეპუტაციის დაუყოვნებლივ განთავისუფლება. ასეთივე მოთხოვნა დააყენა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტთა 2 ათასიანმა კრებამაც.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ქვეყანაში ანტისაბჭოთა განწყობილებებისა და ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ენერგიის აკუმულირება ევალებოდათ საქართველოს არაპროლეტარულ პარტიებს, მაგრამ მათ შორის დამოკიდებულება არ იყო კოლეგიალური. მათი დაპირისპირება სათავეს წარსულ წლებში იღებდა, როცა ხელისუფლების სათავეში მემარჯვენე სოციალ-დემოკრატია იდგა. ოპოზიციური პარტიები ყოფილ მმართველ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას აკრიტიკებდნენ იმის გამო, რომ მან დაუშვა საქართველოს გასაბჭოება. 1921 წლის 16 მარტს ბათუმში შედგა საქართველოს დამფუძნებელი კრების ბოლო სხდომა. მიღებულ დოკუმენტში აღინიშნა, რომ მთავრობა სრულიად მოუმზადებელი აღმოჩნდა ქვეყნის დაცვისათვის, თუმცა იცოდა, რომ მტერი საქართველოზე თავდასხმას აპირებდა და თვითონაც არაერთხელ განუცხადებია, რომ რესპუბლიკის დასაცავად ყველა ზომა ჰქონდა მიღებული. აღინიშნა ისიც, რომ მთავრობამ სრულად ვერ გამოიყენა თავდასაცავად ის ძალები, რომელიც მის განკარგულებაში იყო, ვერ შექმნა რესპუბლიკის დასაცავად სამხედრო ძალა, ომის წარმოების დროსაც მთავრობამ ვერ გამოიჩინა საჭირო სიმტკიცე[5].

მაგრამ მიუხედავად პოლიტიკურ პარტიებს შორის უთანხმოებისა, საქართველოს დმოუკიდებლობის აღდგენის საკითხისადმი მათი დმოკიდებულება ერთგვაროვანი იყო. ამიტომაც გახდა შესაძლებელი ბოლშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ მათ შორის ერთიანი ფრონტის შექმნის მიზნით დაწყებული მოლაპარაკება. გრ. რცხილაძის მოწმობით, პოლიტიკური პარტიები მიზნად ისახავდნენ არა აჯანყების მომზადებას, არამედ შეცვლილ პოლიტიკურ ვითარებაში მყოფი ქართველი ხალხის მოქმე-

დების საერთო ხაზის გონივრულად წარმართვას.[6] სოციალ-დემოკრატიულ პარტიას საჭიროდ მიაჩნდა ინტერპარტიული საინფორმაციო ბიუროს შექმნა, სოციალ-ფედერალისტთა პარტია კი მხარს უჭერდა არა მარტო საინფორმაციო ფუნქციის მატარებელი ორგანოს დაარსებას, არამედ ერთიანი მოქმედების მიზნით ინტერპარტიული ხელმძღვანელი ცენტრის შექმნას. აღნიშნული ცენტრის მიზანი უნდა ყოფილიყო პარტიებს შორის დაპირისპირების შეწყვეტა და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ერთიანი ფრონტის შექმნა. ყოველი პარტია ამ ორგანოში თითო წარმომადგენელს აგზავნიდა.

სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ 1922 წლის თებერვლის არალეგალურ კონფერენციაზე მიიღო საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გადაწყვეტილება და ამ საკითხის გარშემო ყველა პარტიის გაერთიანების ამოცანა დასახა. ისინი ვარაუდობდნენ, რომ თუ საქართველოს დამოუკიდებლობა აღდგებოდა, მოინევდნენ დამფუძნებელ კრებას, რომელსაც ანგარიშს ჩააბარებდა როგორც საზღვარგარეთ მყოფი ემიგრანტული მთავრობა, ისე გარდამავალ დროში შექმნილი მთავრობა. დამფუძნებელ კრებაზე შეიქმნებოდა ახალი მთავრობა კოალიციური პრინციპით და არცერთ პარტიას არ ექნებოდა მთავრობაში 1/3-ზე მეტი ადგილი. სოციალ-დემოკრატები მოითხოვდნენ როგორც ემიგრაციაში გასული მთავრობის, ასევე დამფუძნებელი კრების სრულად, თავის უფლებებში აღდგენას. ამის წინააღმდეგი იყვნენ ეროვნულ-დემოკრატები, რომლებიც ფიქრობდნენ მთავრობის შექმნას სოციალისტების და არასოციალისტების თანაბარი წარმომადგენლობით.

1922 წლის მაისში შეთანხმება ხუთ პოლიტიკურ პარტიას შორის შედგა. ეს პარტიები იყვნენ: სოციალ-დემოკრატიული, ეროვნულ-დემოკრატიული, სოციალისტ-ფედერალისტთა, სოციალისტ-რევოლუციონერთა და დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული პარტია – „სხიველებისა". ამრიგად, შეიქმნა „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი" (დამკომი), იგივე „პარიტეტული კომიტეტი", იგივე – ინტერპარტიული გამაერთიანებელი უმაღლესი ორგანო. განისაზღვრა ამ კომიტეტის მიზანი და დანიშნულება –საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისაკენ მიმართული მთელი მუშაობისათვის ხელმძღვანელობის გაწევა.

„დამოუკიდებლობის კომიტეტის" შექმნის თარიღის თაობაზე არსებობს სხვადასხვა ვერსია – 1921 წლის შემოდგომა, 1922 წლის აპრილი ან მაისი, ან 1922 წლის აგვისტო. ჩვენ ვეთან-

მხებით 1922 წლის მაისის ვერსიას, რადგან ამ დროს მოხდა პარტიებს შორის[8] შეთანხმება და ხელი მოეწერა „კომიტეტის“ მოქმედების ძირითად მუხლებს. იასონ ჯავახიშვილის ჩვენების მიხედვით პარიტეტულ კომიტეტში წარმომადგენლის დანიშვნის წესს ყოველი პარტია თვითონ გამოიმუშავებდა. „დამკომის“ თავმჯდომარეები იყვნენ სოციალ-დემოკრატები: გოგიტა ფაღავა (მცირე ხნით), შემდეგ ნიკოლოზ ქარცივაძე (1923 წლის მარტამდე), შემდეგ კონსტანტინე ანდრონიკაშვილი (ამ კომიტეტის არსებობის ბოლომდე), ხოლო მოადგილედ დაამტკიცეს იასონ ჯავახიშვილი (ეროვნულ-დემოკრატიული პარტია).

„დამოუკიდებლობის კომიტეტი“ შეიქმნა აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის თაოსნობით გაჩაღებულ ანტისაბჭოთა გამოსვლების ვითარებაში. აჯანყებები მოხდა დუშეთში, კახეთსა და ხევსურეთში, რის გამოც „კომიტეტი“ აღმოჩნდა დილემის წინაშე – განევითარებინა ქ. ჩოლოყაშვილის გამოსვლები სრულიად საქართველოს აჯანყების მასშტაბამდე, თუ შეეწყვიტა ყოველგვარი „ბანდიტური“ ცდები საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან მოსალოდნელი მარცხის გამო[9]. „პარიტეტულმა კომიტეტმა“ წინადადება მისცა ქ. ჩოლოყაშვილს ხევსურეთის აჯანყების შეწყვეტის თაობაზე, რადგან უკვე იგრძნობოდა ამ გამოსვლის არც თუ სასიკეთო შედეგები.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლას განაგრძობდა 1921 წელს საფრანგეთს თავშეფარებული ქართული პოლიტიკური ემიგრაციაც, რომელიც შეადგინეს დემოკრატიული საქართველოს ყოფილმა მთავრობის წევრებმა, პოლიტიკური პარტიების ლიდერებმა და ინტელიგენციის ნაწილმა. პოლიტიკური ემიგრაციის მიზანი იყო ევროპის სახელმწიფოების მესვეურთა მხარდაჭერის საფუძველზე საქართველოს დაკარგული სუვერენიტეტის აღდგენისათვის ბრძოლის გაგრძელება

პარიზში შეიქმნა ე. წ. „დამფუძნებელი კრების კომისია“. საქართველოს მთავრობასთან ასევე არსებობდა საგანგებო „პარტიათა წარმომადგენლობა“.[10] არის ცნობები იმის შესახებ, რომ შეიქმნა ქართველ ნაციონალისტთა ბლოკი საზღვარგარეთ მუსავატელებთან, დაშნაკებთან და ჩრდილოეთ კავკასიის ნაციონალისტებთან ერთად.

დოკუმენტურად ირკვევა, რომ ქართულმა პოლიტიკურმა პარტიებმა საზღვარგარეთ აჯანყების საკითხი ინტერვენციის

იმედით დააყენეს მანამდე, სანამ საქართველოში შეიქმნებოდა „პარიტეტული კომიტეტი“.

საქართველოს ემიგრანტულმა მთავრობამ მიმართა ერთა ლიგას მემორანდუმით, რომელშიც საქართველოში არსებული მდგომარეობის საფუძველზე ითხოვდა, რომ ამ საერთაშორისო ორგანიზაციას აემაღლებინა ხმა წითელი არმიის მიერ საქართველოს ოკუპაციის წინააღმდეგ. მაგრამ აღნიშნული მემორანდუმი უპასუხოდ დარჩა. უფრო ვრცელი მემორანდუმი წარადგინა საქართველოს ემიგრანტულმა მთავრობამ ერთა ლიგის 1922 წლის სექტემბრის ასამბლეაზე. ერთა ლიგის რეზოლუციებს, რომელთა შინაარსი ძირითადად მორალურ თანადგომაში გამოიხატებოდა, შედეგი არ მოჰყოლია და არც მოჰყვებოდა, რადგან საბჭოთა კავშირს ევროპის სახელმწიფოები უკვე ანგარიშს უწევდნენ, უფრო მეტიც, მასთან დაახლოების პოლიტიკის გზას დაადგნენ.

ნ. ჟორდანია სიფრთხილით ეკიდებოდა ბრძოლას ბოლშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ. იგი წინააღმდეგი იყო შეიარაღებული აჯანყებისა, მაგრამ „თუ ხალხი, ორგანიზაციები დაადგენენ – ავჯანყდეთო – ამბობდა ნ. ჟორდანია, ჩვენ იძულებული ვიქნებით დავეხმაროთ, რაც შეგვიძლია“ და დაასკვნიდა „უნდა ვემზადოთ, მაგრამ საერთო გამოსვლა საერთაშორისო მდგომარეობას უნდა დავუკავშიროთო“[11].

ფრიად საინტერესო იყო ემიგრანტი მეცნიერ-ისტორიკოსის ექვთიმე თაყაიშვილის პოზიცია. იგი რეალისტურად აფასებდა არსებულ სიტუაციას და ამბობდა: „აქ სულ სულისკვეთებაზე ლაპარაკობენ, მაგრამ ამით რომ ვერ მოერევიან მტერს?.... ჩვენში საერთაშორისო მდგომარეობა არ იციან, ჭურში არიან. არც იარაღი აქვთ, არც სურსათი და არც წამალი და მაინც უნდა ავჯანყდეთო, შეიძლება ხალხი ჩავარდეს სასოწარკვეთილებაში, მაგრამ ჩვენ მაინც არ უნდა ვურჩიოთ აჯანყება ახლანდელ პირობებში“[12].

ემიგრანტულ პოლიტიკურ პარტიებს შორის შეთანხმებას ერთი წელი დასჭირდა. 1922 წ. 6 მარტს (საქართველოში „დამოუკიდებლობის კომიტეტის“ შექმნამდე), პარიზში საგანგებო კონფერენციაზე ჩამოყალიბდა „საზღვარგარეთული ბიურო“. 1922 წლის მარტში გაფორმდა „სამხედრო ცენტრი“. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მიერ მოწვეულ თათბირზე დაისვა შეიარაღებული გამოსვლის საკითხი, რომელმაც აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. თათბირზე მიიღეს შემდეგი დასკვნითი მუხლები: 1. თუ აჯანყება დაიწყო მარტო საქართველოში, იგი გან-

ნირულია უეჭველი დამარცხებისათვის. ამიტომ გარდუვალად საჭიროა ორი რამ – ერთი, განუწყვეტელი კონტაქტები მთელი კავკასიის ყველა ხალხთან და ქვეყანასთან; 2. არ უნდა დავუშვათ ცალკე კუთხეების სეპარატისტული შეიარაღებული გამოხდომები, რომლებსაც კავშირი არ ექნებათ და არ გამომდინარეობენ აჯანყების საერთო გეგმიდან; 3. სამხედრო-საომარი მზადყოფნის პროცესში საჭიროდ მიიჩნევა ინტენსიური კავშირები საქართველოს ყოველ კუთხე-რეგიონთან, ხოლო განსაკუთრებით და უმთავრესად საოკუპაციო წითელი არმიის ქართულ ნაწილებთან, შეიარაღებულ გამოსვლაში მათი მიმხრობის მიზნით[13].

„პარიტეტული კომიტეტის" შექმნის შემდეგ ჩამოყალიბდა„სამხედრო ცენტრი", როგორც მის ერთ-ერთ კომისიად, რომლის „გამგებლობაში" მოექცა ქაქუცა ჩოლოყაშვილიც. იგი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ სტიქიურ გამოსვლებს ხელმძღვანელობდა. მას 1922 წლის 12 მარტს კახეთში, ავლევის ტყეში საბრძოლო ფიცით შეეკრა პირველი ექვსი თანამებრძოლი, შემდეგ მათ შეუერთდნენ სხვა „შეფიცულები". დასაწყისში გამოსვლები უნდა ყოფლიყო ადგილობრივი, პარტიზანული და არა საყოველთაო – სახალხო ხასიათის. ჩოლოყაშვილი ვალდებული იყო მუდმივი კავშირი ჰქონოდა „სამხედრო ცენტრთან", მაგრამ უმეტესად იგი მაინც დამოუკიდებლად მოქმედებდა.

„სამხედრო ცენტრის" გეგმის არსი გამოიხატებოდა ფუნქციების განანილებაში, კერძოდ, ვარდენ წულუკიძე განაგებდა კავშირს პარიტეტულ კომიტეტთან, აგრეთვე წითელი არმიის ნაწილებთან. აჯანყებულთა შორის უფროსობა დაევალა როსტომ მუსხელიშვილს. სახსრების მოზიდვის საქმე გადავიდა იასონ ჯავახიშვილის ხელში, რომელმაც ერთხელ მიიღო საზღვარგარეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის კონსტანტინოპოლის განყოფილებისაგან 500-600 ლირა[14].

გასაბჭოების შემდეგ საქართველოს ტერიტორიაზე არა ერთი ანტისაბჭოთა სამხედრო ორგანიზაცია შეიქმნა. კერძოდ, საბჭოური აგენტურის მიერ სახელდებული „ბანდიტური ხასიათის" ორგანიზაცია ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის მეთაურობით, „ოფიცერთა და ჯარისკაცთა სამხედრო კომიტეტი" გენ. გიორგი მაზნიაშვილის თავმჯდომარეობით, აჯანყებულთა რაზმების კომიტეტი, სოციალ-დემოკრატიულ და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიების ცენტრალურ კომიტეტებთან არსებული სამხედრო ორგანიზაციები. 1922 წელს სწორედ ეს დაქსაქსული

ორგანიზაციები გაერთიანდნენ ერთ „სამხედრო ცენტრში“. გორის მაზრაში მოქმედებდნენ მოიერიშე რაზმები, რომლებიც უნდა შეერთებულიყვნენ და ზურგში დაერტყათ დუშეთის მაზრაში ჩოლოყაშვილის რაზმის წინააღმდეგ გაგზავნილი წითელი ჯარის ნაწილებისათვის. დუშეთი იყო აჯანყების ცენტრი. ამ ბრძოლის მონაწილის ს. ზალდასტანიშვილის მოწმობით, როდესაც რუსული ჯარი დაიძვრებოდა ჩოლოყაშვილის წინააღმდეგ, მას ზურგიდან თავს დაესხმოდნენ ლაშქარაშვილის და ფავლენიშვილის რაზმები, ორმხრივი დარტყმით მოიპოვებდნენ გამარჯვებას და შემდეგ უკვე ქ. ჩოლოყაშვილის წინამძღოლობით დაიძვრებოდნენ თბილისის დასაუფლებლად. პარალელურად გამოსვლები უნდა დაწყებულიყო გურიაში, სამეგრელოსა და სხვა კუთხეებში.

დუშეთის აჯანყების ჩასაქრობად გაიგზავნა ჯარი კავკასიის რევოლუციური სამხედრო საბჭოს განკარგულებით. ამ დავალების შესრულება დაევალა საექსპედიციო რაზმის შტაბის უფროსს როსტომ მუსხელიშვილს, რომელიც არალეგალურად სამხედრო ცენტრის წევრი იყო. მას უნდა განეიარაღებინა ჩოლოყაშვილი. მუსხელიშვილმა დუშეთში გასვლამდე ინახულა მენშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი – ექიმი ი. ცინცაძე და მოსთხოვა მას დუშეთის მიდამოებში მყოფი ამ პარტიის რაზმების მართვის მისთვის გადაცემა. აღნიშნული საკითხი განიხილა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და აჯანყება დუშეთში ნაადრევად მიიჩნია. ეს გადაწყვეტილება შეატყობინეს ჩოლოყაშვილის დასახმარებლად გასულ ლაშქარაშვილს და ფავლენიშვილს, რომლებმაც ქართლში შეყრილი რაზმები დაშალეს და უკან გაბრუნდნენ. რ. მუსხელიშვილი დუშეთს მივიდა და მიადგა ქ. ჩოლოყაშვილის რაზმს, მაგრამ უკან დაიხია. ქაქუცამ მტერს მცხეთამდე სდია, მაგრამ რუსთა ჯარის ახალი ძალები კონტრშეტევაზე გადავიდნენ და აჯანყებულთა რაზმი ალყაში მოაქციეს. ჩოლოყაშვილმა იერიშით გაარღვია ალყა და კახეთისაკენ აიღო გეზი. თბილისში დაბრუნებული რ. მუსხელიშვილი აცხადებდა, რომ მან მისცა შესაძლებლობა ქ. ჩოლოყაშვილს უვნებლად გასცლოდა დუშეთს. ჩოლოყაშვილი ხევსურეთში გადავიდა. ააჯანყა ფშავ-ხევსურეთი, მაგრამ დამსჯელი ჯარი ხევსურეთს შეესია და სოფლების აოხრება დაიწყო.

ხევსურეთის აჯანყების წინააღმდეგი იყო „პარიტეტული კომიტეტის“ თავმჯდომარე ალ. ანდრონიკაშვილი, რომლის აზრით, გამოსვლა ხევსურეთში ყოვლად დაუშვებელი იყო, რადგან

რუსეთს მისი ჩახშობის ისეთი საშუალება ჰქონდა, რომ აჯანყების მხარდაჭერაზე ფიქრიც კი არ შეიძლებოდა. იქნება მხოლოდ ამაო მსხვერპლი, მოსახლეობის ძალების გაჩანაგება. სხვა რაიონების ფეხზე დაყენებაც ბოროტმოქმედება იქნება, თუ შესაძლებელია – ითხოვდა ალ. ანდრონიკაშვილი, დავუკავშირდეთ ჩოლოყაშვილს და შევაწყვეტინოთ გამოსვლა". მენშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით მოხდა გორის აჯანყების ლიკვიდაციაც.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1922 წლის სექტემბრის სხდომაზე ჩოლოყაშვილს მიეცა წინადადება ხევსურეთის აჯანყების ლიკვიდაციის შესახებ. ეს გადაწყვეტილება უნდა ეცნობებინა ქაქუცასათვის დ. ვაჩნაძეს, რომელმაც ჩოლოყაშვილს მისწერა ბრძანება და წერილი რადიკალურად საწინააღმდეგო შინაარსისა. წერილი „სამფერის" ფსევდონიმით დაიწერა 1922 წლის 26 ივლისს. წერილის ავტორი აცნობებდა ჩოლოყაშვილს, რომ ევროპა გვიგზავნის დახმარებას თურქეთის გამოვლით და ოკუპაციისაგან განთავისუფლების ვადად დანიშნული იყო დრო 27 სექტემბრიდან – 5 ოქტომბრამდე. მანამდე ჩოლოყაშვილს „სამხედრო ცენტრისათვის" უნდა ეცნობებინა საომარ ძალთა (ქვეითთა და ცხენოსანთა) შეიარაღების მდგომარეობა და ა. შ. დ. ვაჩნაძეს აღნიშნული წერილი პირად ინიციატივად და თვითნებობად ჩაუთვალეს, რის გამოც გარიცხეს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცენტარლური კომიტეტიდან (თუმცა ეს წერილი მას შეთანხმებული ჰქონდა კ. აფხაზთან და რ. მუსხელიშვილთან), მაგრამ მალე აღადგინეს იგი თავის უფლებებში.

„პარიტეტული კომიტეტის" დამოკიდებულება დუშეთისა და ხევსურეთის აჯანყებისადმი ერთგვაროვანი იყო. ამ კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარის ჩვენებით, როდესაც ცნობილი გახდა, რომ დუშეთის მაზრაში დაიწყო ჩოლოყაშვილის გამოსვლები (იყო ხმები, რომ მან აიღო დუშეთი და მაზრის მოსახლეობა მზად არის აიღოს იარაღი და მას მიემხროსო), მენშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დირექტივით მოიწვიეს "დამკომის" სხდომა იმის გასარკვევად თუ რომელ პარტიას მიუძღოდა ბრალი ხსენებული აჯანყების მოწყობაში, აგრეთვე მიეცა წინადადება ყველა პარტიას ეხმარა ყოველი ღონე ამ გამოსვლის სალიკვიდაციოდ. „პარიტეტული კომიტეტის" 1922 წლის სექტემბრის სხდომაზე ყველა პარტიების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მათ პარტიებს არაფერი ჰქონდათ საერთო დუშეთის აჯანყებასთან, რომ საჭირო იყო მისი სწრაფი ლიკვიდაცია. მენ-

შევიკურმა პარტიამ თავის ორგანიზაციებს დუშეთის მაზრაში დაუგზავნა დირექტივა – არავითარ შემთხვევაში არ შეერთებოდნენ ჩოლოყაშვილის მოძრაობას. ხევსურეთის გამოსვლამ კიდევ უფრო გაართულა მდგომარეობა, „პარიტეტულმა კომიტეტმა“ ხევსურეთის აჯანყების მიმართ მიიღო ანალოგიური გადაწყვეტილება.

ამრიგად, სრულიად აშკარაა, რომ ლოკალურ-პარტიზანული გამოსვლები არ შედიოდა ერთიანი შეიარაღებული აჯანყების ორგანიზაციის გეგმაში.

1923 წლის 11 აპრილს დააპატიმრეს 55 კაცი – აქედან 4 ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი – მ. ჯავახიშვილი, სერგი დანელია, დიმიტრი ჯავახიშვილი და ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე კოტე აფხაზი: „სამხედრო ცენტრის“ 6 წევრი – ანდრონიკაშვილი, წულუკიძე, მუსხელიშვილი, იოსებ გედევანიშვილი, კოტე აფხაზი და ხიმშიაშვილი; პარიტეტული კომიტეტის თავმჯდომარე ქარცივაძე და კონტრდაზვერვის გამგე ნარეკლაძე დაჭერას გადაურჩნენ.

დაჭერას გადაურჩა კონტრდაზვერვაში მომუშავე 7-8 ოფიცერი: მენშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე იოსებ ცინცაძე, ცენტრალური კომიტეტის წევრი ფაღავა, პარიტეტული კომიტეტის წევრი იასონ ჯავახიშვილი და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი დავით ვაჩნაძე.

პარიტეტული კომიტეტის სააჯანყებო საქმიანობაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1922 წლის ნოემბერში „საზღვარგარეთის ბიუროს“ დავალებით საქართველოს ყოფილი მთავრობის მინისტრის, ნოე ხომერიკის ჩამოსვლას. მისი გავლენით მენშევიკური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა წამოაყენა წინადადება სამხედრო ცენტრისადმი ხელმძღვანელობის გასაწევად „დამოუკიდებლობის კომიტეტთან“ საგანგებო სამხედრო კომისიის შექმნის შესახებ. „დამკომის“ ინტენსიური მზადება აჯანყებისათვის შეწყვიტა ნ. ხომერიკის დაპატიმრებამ 1923 წლის 9 ნოემბერს.

1923 წლის დამდეგიდან საქართველოში დაიწყო ანტისაბჭოთა პარტიების ე. წ. თვითლიკვიდაციის კამპანია[15]. ეს აქცია, ცხადია, თავისთავად არ მომხდარა. ის მმართველი კომუნისტური პარტიის რეპრესიების გაძლიერების შედეგი იყო.

მიუხედავად ყოველივე ამისა, ანტისაბჭოთა შეიარაღებული გამოსვლა იგეგმებოდა 1923 წლის 26 მაისს – საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს, მაგრამ დაგეგმილი გამოსვლა არ შედგა „სამხედრო ცენტრის“ შემადგენლობის და-

პატიმრების გამო. ცენტრის 15 წევრი იმავე წლის 20 მაისს დახვრიტეს. ესენი იყვნენ წარჩინებული ქართული მხედრობის, ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები: გენერლები – ალექსანდრე ანდრონიკაშვილი, ვარდენ წულუკიძე, კოტე აფხაზი; პოლკოვნიკები: როსტომ მუსხელიშვილი, გიორგი ხიმშიაშვილი, ალექსანდრე მაჭავარიანი, ელიზბარ გულისაშვილი, დავით ჩრდილელი; ოფიცრები: ფარნაოზ ყარალაშვილი, სიმონ ბაგრატიონ-მუხრანელი; სახელმწიფო მოხელეები: ნიკოლოზ ზანდუკელი, იასონ კერესელიძე, სიმონ ჭიაბრიშვილი, ივანე ქუთათელაძე და ლევან კლიმიაშვილი[16].

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მუშაობა დასავლეთ საქართველოში, ამ პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრის, იასონ ჯავახიშვილის აზრით, 1923 წლამდე ხორციელდებოდა უსისტემოდ, ცალკეული პიროვნებების მიერ. ამ სამუშაოს ხელმძღვანელობის მიზნით მაისში შეიქმნა დასავლეთ საქართველოს კომიტეტი. 1923 წლის ბოლოს ამ კომიტეტში ელისე პატარიძის გაგზავნის შემდეგ მუშაობა გამოცოცხლდა, მაგრამ საქართველოს მაზრების ნაწილში აჯანყებისათვის მომზადებამდე არავითარი მუშაობა არ სწარმოებდა. კერძოდ, ახალციხისა და ახლქალაქის მაზრები სრულიად განზე იდგნენ. აქ, არაქართული მოსახლეობის სიჭარბის გამო, ეროვნულ-დემოკრატიული ორგანიზაციები იქ არ არსებობდნენ. გორის მაზრაში ანტისაბჭოთა მუშაობას ეწეოდა მ. იშხნელი, დუშეთის მაზრასა და კახეთში (თიანეთის, თელავისა და სიღნაღის მაზრებში) კავშირების აღდგენით დაკავებული იყო ე. წინამძღვრიშვილი, რომლის დაპატიმრების შემდეგ ეს კავშირებიც დაიკარგა.

პოლიტიკური მუშაობა არ სწარმოებდა ბორჩალოს მაზრაში. გაძნელებული იყო ან არ ხერხდებოდა მუშაობა თბილისში, სადაც ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ დანიშნა თბილისის კომიტეტი, მაგრამ პარტიულ კადრებს ძირითადად წარმოადგენდა ინტელიგენცია, თავისუფალი პროფესიის და ასაკოვანი ხალხი, რომლებიც არალეგალური მუშაობისათვის არ გამოდგებოდნენ.

შეიარაღებული აჯანყების მოწყობის თაობაზე „პარიტეტულ კომიტეტში" ერთიანი აზრი არ არსებობდა. აჯანყების დაწყებას მხარს უჭერდნენ კ. აფხაზი და დ. ვაჩნაძე, ხოლო ვარდენ წულუკიძე და მისი ჯგუფი არ იზიარებდა აჯანყების აუცილებლობის აზრს. გამოსვლის კატეგორიული წინააღმდეგი იყვნენ მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტები. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ აშკარად ჩანს – ერთიანი ამოცანის გადაწყვე-

ტის დროს „პარიტეტულ კომიტეტში“ შემავალი პარტიები ერთმანეთს ბოლომდე არ ენდობოდნენ და მათ განკარგულებაში არსებული ძალების შესახებ მონაცემებს არ ამჟღავნებდნენ.

აჯანყების საჭიროებას ემიგრაციაში ასაბუთებდნენ ნ. ჟორდანიას მთავრობის „ახალი მიღწევებით“, რაშიც გულისხმობდნენ სოციალისტური წრეების სიმპათიებს. მაგრამ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის მთავარი კომიტეტის წევრის – ბრალდებულ სამსონ დადიანის მოწმობით, რომელმაც „სამხედრო ცენტრის“ შემადგენლობის ჩავარდნის შემდეგ პარიტეტულ კომიტეტში გრ. რცხილაძის ადგილი დაიკავა, ეს სიმპათიები რჩებოდა პლატონურ სურვილებად, რადგან საბჭოთა ქვეყნის საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობა გარკვეულად მტკიცდებოდა, რომ ხალხს შეეძლო მხარი არ დაეჭირა აჯანყებისათვის, რომ აჯანყება საქართველოში მარტოოდენ საქართველოს საკითხი კი არა, მთელი კავშირის საკითხი იყო და ამიტომ გამარჯვება გამარჯვებად მხოლოდ 24 საათს დარჩებოდა, რომ ხელისუფლება „იძულებული იქნებოდა მიეღო ყოვლად ულმობელი ზომები და ა. შ.[17] სამსონ დადიანი პარიტეტული კომიტეტის 1924 წლის ივნისის სხდომებზე აცხადებდა, რომ ევროპის მხრივ რაიმე დახმარებაზე ლაპარაკი ზედმეტი იყო, მით უფრო არ შეიძლებოდა მეორე ინტერნაციონალის იმედით ყოფნა, რადგან მას არ ჰქონდა რეალური შესაძლებლობა. საქართველოს საკითხი მათ შეეძლოთ გამოეყენებინათ მხოლოდ იმისათვის, რომ თავ-თავიანთ ქვეყნებში გაეწიათ პროპაგანდა ბოლშევიზმის წინააღმდეგ – ამაზე იმედის დამყარება კი არ შეიძლებოდა. „რაკი ეს ასეა, ნათელია, რომ აჯანყება მიუღებელია, რადგან საქმე გვექნება არა მარტო ადგილობრივ, არამედ მთელი სსრ კავშირის ძალებთან და ეს ქართველ ხალხს ერთობ ძვირი დაუჯდება“. ს. დადიანი იმასაც ამბობდა, რომ „დავუშვათ ჩვენ მართლაც ხელთ ვიგდეთ ძალაუფლება. ამ შემთხვევაშიც კი ვერ ვიკისრებთ პასუხისმგებლობას ვერც ისტორიის, ვერც ქვეყნის წინაშე, რადგან თუ „გავიმარჯვებთ“ დიდი დანაკარგები გვექნებაო[18].

1923 წლის აპრილში „სამხედრო ცენტრის“ შემადგენლობის დაპატიმრების შემდეგ, შედგა საიდუმლო სამხედრო ყრილობა, რომელზედაც მოიწონეს საერთო მიმართულება, ყრილობაზე მიიღეს ფიცის ტექსტი, რომელიც გაუგზავნეს ქ. ჩოლოყაშვილს. მან მებრძოლებს მაშინვე მიაღებინა „საკუთარი ფიცი“. ამიტომ ეწოდებათ მათ „შეფიცულნი“[19].

აჯანყების მოწყობის საკითხს იხილავდნენ პარიზშიც. ნ. ჟორდანიას აზრით საქართველოს განთავისუფლებისათვის სა-

ჭირო იქნებოდა გამოსვლა იმ პირობით, თუ საქართველოსთან ერთად გამოვიდოდნენ აზერბაიჯანი და კავკასიის მთიანეთი. ოსმალეთის მხრიდან ნეიტრალიტეტის დაცვა მარტო საკმარისი არ იყო, არამედ საჭირო იყო ხელშეწყობაც. აკ. ჩხენკელის პროექტი ითვალისწინებდა მეზობელი ქვეყნების შეთანხმებულ შეიარაღებულ მონაწილეობას ბრძოლებში, ოსმალეთის ნეიტრალიტეტს, აჯანყებულებისათვის გარედან იარაღით და ფულით მომარაგებას, სამზადისი გამოსვლისთვის უნდა ყოფილიყო განუწყვეტელი, როგორც საქართველოში, ისე მეზობელ რესპუბლიკებში. საეჭვო აღმოჩნდა დაშნაკცუტიუნის პარტიასთან ურთიერთობის საკითხი. უფრო საიმედო ჩანდა ურთიერთობა აზერბაიჯანელ მუსავატელებთან, თუმცა შეთანხმება აქაც ძნელი მისაღწევი გახდა, რადგან ისინი მოითხოვდნენ დახმარებას, თანხებს. არ მოჰყოლია შედეგი პერსონალურ კონტაქტებს ჩრ. კავკასიაში. ჩეჩნეთში იმყოფებოდა ქ. ჩოლოყაშვილი, რომელიც შეხვდა შეიხ ალ-მიტაევს, რომელმაც გამოთქვა თანხმობა რუსული ოკუპაციის წინააღმდეგ დახმარებაში. ეს დახმარება გულისხმობდა 50 ოფიცერ-ინსტრუქტორის ჩეჩნეთში მივლინების დაჩქარებას. მაგრამ ვერც ამან მოიტანა შედეგი. 1924 წლის დამდეგს ჩრდილოეთ კავკასიაში მიავლინეს მ. იშხნელი, რომელიც შეხვდა ალ-მიტაევს და დარწმუნდა, რომ ანტისაბჭოთა ორგანიზაციები ჩეჩნეთში მცირენი იყვნენ და არც სავარაუდო რიცხვი მებრძოლებისა იყო იმდენი, რამდენსაც ვარაუდობდნენ წინა შეხვედრების დროს (თითქოს ჩეჩნეთს 6 ათასი მებრძოლის გამოყვანა შეეძლო). ჩეჩნეთის მეჯლისზე გაირკვა რომ მას შეეძლო გამოეყვანა არა უმეტეს 1500 მეომარისა იარაღით, ოღონდ უვაზნოდ, რაც საქართველოს უნდა მიეცა მათთვის. მ. იშხნელი დაბრუნდა თბილისში 1924 წლის 5-6 მარტს. მის მიერ „დამკომისათვის“ მიწოდებული ინფორმაცია აჯანყებაში ჩეჩნეთის მონაწილეობის შესახებ უიმედო აღმოჩნდა.

„სამხედრო ცენტრის“ შემადგენლობის დახვრეტის შემდეგ დააპატიმრეს „პარიტეტული კომიტეტის“ თავმჯდომარე ნ. ქარცივაძე, რომელიც შეცვალა კონსტანტინე ანდრონიკაშვილმა (სოციალ-დემოკრატიული პარტია). იგი ამ პოსტზე დარჩა აჯანყების ლიკვიდაციამდე. დააპატიმრეს აგრეთვე ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის უმრავლესობა, „ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის“ არალეგალური ცენტრალური კომიტეტი, მენშევიკთა არალეგალური თბილისის კომიტეტის მთელი შემადგენლობა, მოხდა მენშევიკთა რამდენი-

მე რაიონული ორგანიზაციის ლიკვიდაცია, „ჩეკამ“ ოთხ არალეგალურ სტამბას მიაგნო და ა. შ.[20]

ასეთ ვითარებაში „დამკომმა“ საზღვარგარეთ გაგზავნა თავისი წევრი ვასო ნოდია, რომელმაც მიიღო დავალება „საზღვარგარეთის ბიურო“-სათვის ეცნობებინა, რომ მათ შეეძლოთ ამიერკავკასიაში მტრის ლიკვიდაცია, რომ „პარიტეტული კომიტეტისათვის“ საინტერესო იყო ემიგრაციის პოზიცია[21]. ვ. ნოდია ჩავიდა სტამბოლში 1924 წლის იანვრის დამლევს და იქ მყოფ აჯანყების საკითხით დაინტერესებულ ქართველებს გააცნო აჯანყების სამზადისი. სტამბოლიდან ის გაემგზავრა პარიზში, მაგრამ იქ ჩასვლამდე ვ. ნოდიას მარსელში შეხვდნენ ნ. რამიშვილი და ევ. გეგეჭკორი, რომლებმაც დააიმედეს ვ. ნოდია, რომ თუ თქვენ საქართველოში აჯანყებას დაიწყებთ, აქაური მთავრობა და „საზღვარგარეთის ბიურო“ დახმარების მხრივ პასუხისმგებლობას ჩვენს თავზე ავიღებთ და ევროპის სახელმწიფოები – საფრანგეთი და ინგლისი მთლიანად ჩვენს მხარეს იქნებიანო. ასე დაიმედებული გამოისტუმრეს ვ. ნოდია საქართველოში, ისე რომ მას ნ. ჟორდანია არ უნახავს. ვ. ნოდიას თან ჩამოჰყვნენ ვ. ჯუღელი, ბ. ჩხიკვიშვილი, ვ. ცენტერაძე, მოგვიანებით მათ მოჰყვა ვლ. მგელაძე.

„პარიტეტული კომიტეტი“ მაინც ცდილობდა კავშირის განხორციელებას ჩრდილოეთ კავკასიასთან და აზერბაიჯანის ანტისაბჭოთა ელემენტებთან. „კომიტეტის“ დავალებით ჩეჩნეთში ორჯერ ჩავიდა ივ. ავალიშვილი, რომელსაც მიეცა დავალება ყოველი საშუალებით მიეღწია ჩეჩნების გამოსვლისათვის იმ პირობით, რომ საქართველო არ აიღებდა თავის თავზე არავითარ ვალდებულებებს ჩეჩნების მიმართ, ე. ი. ჩეჩნები უნდა გამოსულიყვნენ საკუთარი ძალების იმედით.

„დამკომთან“ შექმნილი საგანგებო სამხედრო კომისია მუშაობდა სამაზრო ორგანიზაციებთან მათი სააჯანყებო სამზადისის გასაძლიერებლად. თბილისში მუშაობისათვის გამოყვეს საგანგებო სამხედრო ქვეკომისია, მაზრებში იქმნებოდა სამხედრო კომისიები, რომლებიც აყალიბებდნენ აჯანყებულთა ათეულებს და ასეულებს, აკომპლექტებდნენ აჯანყებულთა კადრებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოქმედი რაზმების სახით: ქ. ჩოლოყაშვილისას კახეთში, გ. ლაშქარაშვილის – ქართლში, რაზმებს ბორჯომის ხეობაში, გურიაში და ა. შ.

„პარიტეტული კომიტეტის“ სხდომებზე ხშირად იყო კამათი აჯანყების მიზანშეწონილობის საკითხზე. როგორც ზემოთ ითქვა, აჯანყების აუცილებლობას მხარს უჭერდნენ სოციალ-

დემოკრატები და ეროვნულ დემოკრატები. 1924 წლის ივნისში გამართულ სხდომაზე სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის წარმომადგენელი ამბობდა, რომ ხალხს აქვს აჯანყების უფლება, არავის ძალუძს ამ უფლების მინიჭება ან წართმევა, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევებში პარტია აჯანყების წინააღმდეგ გამოდიოდა. მხოლოდ დამკომის უკანასკნელ სხდომაზე მას განუცხადებია, რომ „თუ აჯანყება დაიწყო, ჩვენ ხალხთან ვიქნებითო“.

1923 წლის დეკემბერში „დამკომი“ გამოსვლის დაწყებას 1924 წლის თებერვალში ფიქრობდა, მაგრამ იგი გადაიდო სახსრების უქონლობის და აჯანყების სამზადისის ზოგიერთ მონაწილეთა დაპატიმრების გამო.

1924 წლის 23 თებერვალს, საქართველოს ემიგრანტული მთავრობის სხდომაზე, მიიღეს გადაწყვეტილება, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ „თუ მდგომარეობა საკმაოდ მომზადებულია არა მხოლოდ შეთქმულთათვის, არამედ ნამდვილ სახალხო გამოსვლისათვის კავკასიის მასშტაბით (საქართველო, აზერბაიჯანი) გამოსვლა უნდა მოხდეს. საერთაშორისო მდგომარეობა ყველა შემთხვევაში ხელს არ უშლის გამოსვლას... მაგრამ ჩვენში წინასწარ რაიმე გადაწყვეტილებისას სისწორით უნდა იცოდნენ ის, რომ ახლა არავითარი დახმარების მიწოდება აქედან არ შეგვიძლია“[22]. საქართველოს ყოფილი მთავრობის წევრები შედარებით სიფრთხილეს იჩენდნენ აჯანყების მოწყობის აუცილებლობის საკითხში. თუ „ინტერპარტიულ კომიტეტში“ ერთსულოვნება იყო, პარტიებს შორის უთანხმოება არ იყო იშვიათი მოვლენა.

1924 წლის ზაფხულში „დამკომმა“ აჯანყებისათვის მზადება დაიწყო. ამ დროს მიიღო მან ნ. ჟორდანიას სადირექტივო ხასიათის წერილიც, რომელშიც დაწვრილებით იყო განვითარებული აჯანყების საკითხი. ნ. ჟორდანია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა კავკასიის მეზობელ ქვეყნებთან (აზერბაიჯანი, ჩრდილოეთ კავკასია) მჭიდრო ურთიერთობას და აჯანყების დროს საერთო მოქმედებას. ეს წერილი ხელში ჩაუვარდა „ჩეკას“. კ. ანდრონიკაშვილმა გააცნო მენშევიკური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს ნ. ჟორდანიას წერილი, რომლის მონაწილენი დაეთანხმნენ წერილის ავტორის აზრს. დღეს ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია მოსაზრება „ჟორდანიას წერილის“ სიყალბის შესახებ.?

1924 წლის ივლისის დამდეგს გაიმართა „პარიტეტული კომიტეტის“ გაფართოებული სხდომა, რომელსაც დაესწრნენ ყველა პოლიტიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტების წევრები

და მთავარსარდალი სპ. ჭავჭავაძე. ყველა სამხედრო კომისიამ ჩააბარა ანგარიში „კომიტეტს". განისაზღვრა, რომ აღმოსავლეთ საქართველოში აჯანყების ორგანიზაციას კისრულობდა ქ. ჩოლოყაშვილი, რომელსაც მისი განცხადებით, 600 შეიარაღებული კაცი ჰყავდა. იგი ააჯანყებდა კახეთს, დუშეთის მაზრას და მანგლისის რაიონს. მენშევიკური პარტია მოაწყობდა აჯანყებას გარე კახეთში. ლაშქარაშვილის რაზმებზე, რომელთაც ქართლში უნდა ემომქედათ, საუბარი არ ყოფილა, რადგან მას ორგანიზებული სამხედრო ძალა არ გააჩნდა.

დასავლეთ საქართველოში არსებული სამხედრო ძალები ასე იყო წარმოდგენილი: გურია ვარაუდობდა 700 შეიარაღებული კაცის გამოყვანას, ბათუმი 300 – უიარაღოს, სვანეთი 600 შეიარაღებულის, სამეგრელო რამდენიმე ასეული შეიარაღებული კაცის გამოყვანას, თბილისში იმედოვნებდნენ 500 შეიარაღებული მენშევიკისა და 150 ეროვნულ-დემოკრატის და 60 ესერის მონაწილეობას აჯანყებაში[23]. რაც შეეხება სამთავრობო ძალებს, ს. ზალდასტანიშვილის აზრით, მათი რაოდენობა 10-11 ათასს ითვლიდა. ესენი იყვნენ წითელი არმიის ნაწილები და ე. წ. „გრუზდივიზია". ვარაუდობდნენ, რომ ქართული დივიზიის ნაწილები იხელმძღვანელებდნენ ეროვნული გრძნობებით და არ დაუპირისპირდებოდნენ აჯანყებულებს. აჯანყების გეგმა არ ითვალისწინებდა აჯანყების ჩასახშობად საბჭოთა ჯარების დესანტის შავი ზღვიდან გადმოსხმის შესაძლებლობას, სჯეროდათ რომ ძალები საკმარისი იყო ბათუმის გასამაგრებლად.

ზემოთმოყვანილი ინფორმაციის შედეგად მთავარსარდალმა სპირიდონ ჭავჭავაძემ აჯანყების დასაწყებად მებრძოლი ძალები და ტექნიკური მუშაობა საკმარისად მიიჩნია. გადაწყდა აჯანყების დაწყების დრო – 17 აგვისტო.[24]

აჯანყების მსვლელობა

აჯანყების დაწყების წინ პარიზში მყოფი ნ. რამიშვილი აცხადებდა: „საერთაშორისო მდგომაროება ხელსაყრელი არის, დახმარებას აქედან ჩვენ ვერავის ვერ ვპირდებით, ვერც ფულით, ვერც იარაღით. პირველად, შემდეგ კი ვეცდებით"; ევ. გეგეჭკორი სხვა აზრისა იყო. იგი ამბობდა: „ჩვენ ვერ გეტყვით, რომ საერთაშორისო მდგომარეობა არის ხელსაყრელი. ჩვენ უნდა ვუთხრათ, რომ „ის ხელს არ უშლის გამოსვლას". აკ. ჩხენკე-

ლი კი აცხადებდა: „მე არ მიმაჩნია საერთაშორისო მდგომრაოეობა ხელის შემწყობად ახალი გამოსვლისათვის“.[1]

ჯერ კიდევ 1924 წლის მაისისათვის პარიზიდან საქართველოში ჩამოსულმა ვ. ჯუღელმა, ბ. ჩხიკვიშვილმა და ცენტურაძემ „დამკომი“ დაარწმუნეს, რომ გარეშე პირობები ხელს უწყობს აჯანყების დაწყებას და დამოუკიდებლობის კომიტეტსაც მეტი არა დარჩენოდა, რომ აჯანყების განხორციელებას შესდგომოდა[2].

„პარიტეტულმა კომიტეტმა“ გადაწყვიტა გამოსვლამდე აჯანყების საკითხი გადაეცა პარტიებისათვის განსახილველად, რათა მათგან მიეღოთ პრინციპული თანხმობა გამოსვლაზე. სოციალ-დემოკრატიულმა და ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიებმა საკითხი დადებითად გადაწყვიტეს, არც ესერები იყვნენ წინააღმდეგნი. უნდა აღინიშნოს, რომ აჯანყების გეგმაში შედიოდა მთავრობის იარაღის საწყობების ხელში ჩაგდება და ამ იარაღის გადაცემა მოსახლეობისთავის გამოსვლის გასაფართოებლად.

7 აგვისტოს დააპატიმრეს ვ. ჯუღელი. ამიტომ 17 აგვისტოს დანიშნული გამოსვლა აღარ შედგა. 18 აგვისტოს მოიწვიეს „დამკომის“ პლენარული სხდომა, რომელმაც აჯანყებას მხარი დაუჭირა. მენშევიკები, ეროვნულ-დემოკრატები და ესერები წინააღმდეგი იყვნენ აჯანყებისა, იმ მოტივით, რომ აჯანყება გამოიწვევდა ძალიან დიდ მსხვერპლს[3]. მაგრამ ისინი მაინც კავშირს არ წყვეტდნენ „პარიტეტულ კომიტეტთან“. სოციალისტ-ფედერალისტების წარმომადგენელმა სამსონ დადიანმა პროტესტი განაცხადა მიღებულ გადაწყვეტილების გამო და სხდომა დატოვა.

აჯანყების გეგმის მიხედვით პირველად უნდა გამოსულიყო თბილისი, მაგრამ ქალაქი საგანგებოდ იყო გამაგრებული. იასონ ჯავახიშვილის ჩვენებით აჯანყება პროვინციებში უნდა გაშლილიყო და არა თბილისში, რადგან ჯერ ერთი, თბილისში ეროვნულ-დემოკრატიული პარტია სუსტი იყო და მეორეც, იმიტომ, რომ აჯანყება საქართველოს დედაქალაქში დიდ მსხვერპლს გამოიწვევდა. გამოსვლების საკითხი დღის წესრიგიდან არ იხსნებოდა. ისინიც კი, ვინც აქტიურად უჭერდა მხარს გამოსვლას, აჯანყების წინ მზად იყვნენ უკან დაეხიათ, მაგრამ უკვე გვიანი იყო.

მთავარსარდალ გენერალ სპ. ჭავჭავაძის აზრით მთავარი დარტყმები უნდა მიეყენებინათ თბილისსა და ბათუმზე. თბილისზე, როგორც დედაქალაქზე, ხოლო ბათუმზე, როგორც საზღვარგარეთთან „გადართვის“ ცენტრზე. საერთოდ გამოსვ-

ლა უნდა დაწყებულიყო ყველგან ერთდროულად, ერთ დღეს და ერთ საათს.

დაგეგმილი იყო, რომ აჯანყებულებს, კერძოდ, ცაგურიას რაზმს ხელში უნდა ჩაეგდო ვაზიანში განლაგებული 120 ზარბაზნისაგან შემდგარი რუსული არტილერია და ნავთლუღის მხრიდან შემოსდგომოდა თბილისს და შემოჭრილიყო ქალაქში. ხოლო დასავლეთის მხრიდან ქალაქს შეუტევდენენ მანგლისის მხრიდან წამოსული აჯანყებულები. აჯანყების შესახებ უნდა ეცნობებინათ ჩრდილოეთ კავკასიელებისთვისაც. მაგრამ „ჩეკას“ აღმოაჩნდა გამცემისაგან გადაცემული აჯანყების გეგმა.

ს. ზალდასტანიშვილის მონმობით აჯანყების გეგმის შეცვლა და მისი დაწყება არახელსაყრელ პირობებში ნიშნვდა ფაქტობრივად გამოსვლის ჩაშლას, რადგან დატყვევებულ ვ. ჯუღელს მოტყუებით ათქმევინეს აჯანყების თარიღი.

დაპატიმრებულმა ვ. ჯუღელმა ითხოვა გაშვება რამდენიმე დღით „დამკომთან“ შესახვედრად, რომ დაერწმუნებინა ხელი აეღოთ აჯანყებაზე. მაგრამ გაშვებაზე უარი უთხრეს. ამის შემდეგ მან წერილი გაუგზავნა მენშევიკური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს და სთხოვა მათ უარი ეთქვათ აჯანყებაზე. „აქ ყველაფერი იციანო, – წერდა ვ. ჯუღელი, – ვიღაცამ გაგვცა. ჩვენს შორის მოღალატენი ყოფილან... თუ არ დაიშალეთ, ეს ჩვენი ქვეყნისათვის და ხალხისათვის დამღუპველი ავანტურა იქნებაო“. სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა პასუხში აღნიშნა: „გამოსვლის საკითხი ახლო მომავალში არ დგას და არავითარ აჯანყებას არ ვაპირებთო“[4].

მაგრამ „ჩეკა“ არ ენდო ამ განცხადებას და განაგრძო მზადება მოსალოდნელი აჯანყების ჩასახშობად. დაიწყეს თბილისის გამაგრება, საეჭვო სამხედრო პირების დაპატიმრება. ბათუმში დააპატიმრეს გენ. ფურცელაძე, გურიაში გენ. ს. ყარალაშვილი. ამან დიდი გავლენა მოახდინა მთავარსარდლის განწყობილებაზე. მას გამარჯვების იმედი აღარ ჰქონდა და „პარიტეტულ კომიტეტს“ ატყობინებდა, რომ „ამ პირობებში გამოსვლა შეუძლებელი ხდებოდა“, მაგრამ „დამკომის“ თავმჯდომარის მოადგილე იასონ ჯავახიშვილი გადაჭრით მოითხოვდა აჯანყებას, რომელიც, მისი თქმით, დაწყებული იყო და ამ პირობებში უკან დახევა და შეჩერება უფრო მეტ მსხვერპლს გამოიწვევდა. მან მოითხოვა მთავარსარდლის გადაყენება და მის ნაცვლად ქ. ჩოლოყაშვილის დანიშვნა, მაგრამ „დამკომმა“ მისი წინადადება არ მიიღო და მთავარსარდალი სპირიდონ ჭავჭავაძე თავის პოსტზე დატოვა.

რახან თბილისში აჯანყების ორგანიზება დიდ სიძნელეებს დაუკავშირდა, „პარიტეტულმა კომიტეტმა“ გადაწყვიტა აჯანყების ცენტრი თბილისიდან მის გარეთ, ქ. ჩოლოყაშვილის ბანაკში გადაეტანა. ამასთან საჭიროდ ჩათვალეს გამოსვლა 17 აგვისტოს ნაცვლად რამდენიმე დღით მაინც გადაევადებინათ. ს. ზალდასტანიშვილი 15 აგვისტოს ეწვია ჩოლოყაშვილის ბანაკს, სადაც თავი მოეყარა 200 მოლაშქრეს, დანარჩენებსაც ელოდნენ. 600 მებრძოლი ქაქუცას საკმარისად მიაჩნდა თბილისის დასაუფლებლად. აჯანყების ვადის გადატანის აზრი მან არ გაიზიარა, მაგრამ მთავარსარდლის გადაწყვეტილებას მაინც დაემორჩილა.

თბილისში დაბრუნებულმა ს.ზალდასტანიშვილმა „დამკომის“ საგანგებო სხდომას 18 აგვისტოს აუწყა ჩოლოყაშვილის ბანაკში ნანახი და გაგონილი. გამოსვლის ახალი დღის დანიშვნა მიანდეს ს. ზალდასტანიშვილს, კ. ანდრონიკაშვილს („პარიტეტული კომიტეტის“ თავმჯდომარეს), დ. ონიაშვილს (მენშევიკური პარტიის ბიუროს თავმჯდომარეს), შ. ამირეჯიბს (ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ბიუროს თავმჯდომარეს) და სპ. ჭავჭავაძეს (მთავარსარდალს)[5].

დამკომის უკანასკნელ სხდომაზე 22 აგვისტოს გადაწყდა აჯანყების დაწყება 29 აგვისტოს, ღამის 2 საათზე. ერთდროულად საქართველოს ყველა კუთხეში. 24 აგვისტოს „პარიტეტული კომიტეტის“ პრეზიდიუმმა მიიღო გადაწყვეტილება დაეტოვებინა თბილისი, რათა აეცილებინა თავიდან ახალი დაპატიმრებანი, რომელსაც შეიძლებოდა ჰქონოდა მასობრივი ხასიათი. თბილისიდან გასულთა დისლოცირების ადგილად შეირჩა შიო მღვიმის ტყე. 25 აგვისტოს ამ ბანაკისაკენ გაეშურა მთავარსარდალი და აჯანყების მთავარი შტაბი. ისინი იმ ადგილზე ს. ზალდასტანიშვილმა მიიყვანა. მათ ერთი-ორი საათის ინტერვალით მიჰყვნენ კ. ანდრონიკაშვილი და ონიაშვილი. მათ მცხეთაში შეუერთდათ ბოჭორიშვილი.

მაგრამ დაუშვეს საბედისწერო შეცდომა: დათქმულ დრომდე ერთი დღე-ღამით ადრე – 28 აგვისტოს ღამის 2 საათზე დაიწყო გამოსვლა ჭიათურაში.[6] მუშები და ახლომახლო სოფლების გლეხობა, ეროვნული დროშებით ხელში, აცხადებდნენ საქართველოს დმოუკიდებლობის აღდგენას. ამ გამოსვლის შესახებ მათ არ უცნობებიათ არც დამკომისათვის, არც მთავარსარდლისათვის და არც თბილისში დარჩენილი ქვეკომიტეტებისათვის. სამაგიეროდ ხელისუფლებამ ჭიათურაში გაგზავნა დამსჯელი საჯარისო შენაერთები. მთელ საქართველოში გამოცხადდა საგანგე-

ბო წესები, განსაკუთრებით კი თბილისსა და ბათუმში. 28 აგვისტოს გამოსვლამ ხელისუფლებას შესაძლებლობა მისცა უფრო ადრე გასწორებოდა აჯანყებულებს, ვიდრე აჯანყება დაიწყებოდა. 29 აგვისტოს მაინც მოხდა გამოსვლები შორაპნის, სენაკის, ზუგდიდის, ქუთაისის მაზრებში. სამეგრელოში გენერალ თოფურიას ხელმძღვანელობით აჯანყებულებმა აიღეს სენაკი, განაიარაღეს ჩეკისტები, გამოუშვეს პატიმრები და შეაიარაღეს. გაეშურნენ ფოთისა და სამტრედიისაკენ, მაგრამ წითელ ჯართან ვერაფერს გახდნენ და სამეგრელოს და სვანეთის მთებს მიაშურეს. სვანეთი იბრძოდა პოლკოვნიკ ნესტორ გარდაფხაძის, ბიძინა პირველისა და კაპიტან მ. ჭიჭინაძის მეთაურობით. 29 აგვისტოს აჯანყებულები სვანეთიდან ქუთაისს მიადგნენ, მაგრამ მას რუსული გარნიზონი იცავდა. უკან გაბრუნდნენ და მთებში განაგრძეს ბრძოლა. განსაკუთრებით ფართო მასშტაბი მიიღო გამოსვლამ გურიაში. აჯანყებულთა ხელში აღმოჩნდა ხიდისთავი, ნაგომარი, საჯავახო. მათ 31 აგვისტოს მიიტანეს იერიში ოზურგეთზე. იგი გამაგრებული იყო. ბათუმიდან და სამეგრელოდან წამოსულმა წითელმა რაზმებმა უკუაქციეს აჯანყებულები, უფრო მეტიც, ალყაში მოაქციეს ისინი. მათ შეძლეს ალყის გარღვევა, მაგრამ იძულებულნი გახდნენ ბრძოლის გაგრძელებაზე ხელი აეღოთ და ტყეებს და მთებს შეაფარეს თავი.

„პარიტეტული კომიტეტი" უკვე აღარ არსებობდა. 30 აგვისტოს მიწურულს „კონტრრევოლუცია" უკვე ჩახშობილი იყო.[7] დაიწყო კომუნისტური რეპრესიები. 29 აგვისტოს ღამით შეიპყრეს კახეთის ეროვნული ორგანიზაციების ხელმძღვანელები და დახვრიტეს.

რაც შეეხება თბილისს, მის მახლობლად დაბანაკებულ ქ. ჩოლოყაშვილს ნავარაუდები 600 კაცის ნაცვლად მხოლოდ 60 კაცი მიუვიდა. ასეთი მცირე რაზმით გალაშქრება შეუძლებელი იყო. თბილისი ორი მხრიდან უნდა ყოფილიყო აღებული. ერთი მხრივ, შეიარაღებული ძალა მანგლისის მხრიდან, ხოლო მეორე მხრივ, ვაზიანიდან წამოსული საარტილერიო ძალით. მაგრამ ვაზიანში აჯანყებულებმა რუსული არტილერია ხელთ ვერ ჩაიგდეს. ამრიგად, აჯანყების ბედი თბილისზე შეტევის შეუძლებლობამაც გადაწყვიტა.

30 აგვისტოს „შეფიცულთა" ორ წევრთან ერთად ქ. ჩოლოყაშვილი მივიდა მღვიმის ტყეში მყოფ აჯანყების მეთაურთან. მათთან საუბარში ქაქუცამ აღიარა, რომ არ გამართლდა მისი ანგარიში. იგი შეცდა. მას მხარი არ დაუჭირეს. იმის გამო, რომ 600 კაციდან, რომლებმაც წინასწარ განაცხადეს თანხმობა

აჯანყებაში მონაწილეობაზე, მას შეუერთდა მხოლოდ 60 კაცი[8], ნაკისრი შეტევა მანგლისზე წარუმატებლად განხორციელდა.

ქაქუცა ჩოლოყაშვილმა დუშეთიც აიღო, იქიდან ზემო კახეთში, შემდეგ კი ბორჩალოში გადავიდა. მერე დიდხანს იტრიალა თბილისის გარშემო, მაგრამ დარწმუნდა, რომ ბრძოლის გაგრძელება ამაო იყო და საქართველოს დატოვება გადაწყვიტა. მან თავის „შეფიცულებთან" და აჯანყების სხვა აქტიურ მონაწილეებთან ერთად თურქეთს შეაფარა თავი. მასთან ერთად ემიგრაციაში გადაიხვეწნენ სპ. ჭავჭავაძე, ელ. ვაჩნაძე, შ. ამირეჯიბი და სხვები – 26 კაცი. ქართული ემიგრაცია შეივსო ახალი ნაკადით.

2 სექტემბერს ღამით, როდესაც ტყეს თავშეფარებულნი „დამკომის" წევრები ადგილს იცვლიდნენ, შეეჯახნენ დაზვერვას, რომელმაც მათ ცეცხლი გაუხსნა. მეორე დღის საღამოს, როდესაც კვლავ შეცვალეს დისლოკაცია და იასონ ჯავახიშვილმა და ბოჭორიშვილმა ჩაუარეს შიო მღვიმის მონასტერს, ისინი დააპატიმრეს. ორმხრივი სროლის შემდეგ ანდრონიკაშვილი, და ონიაშვილი, მათი დაცვაც დააპატიმრეს.. ნ. კირთაძე აღნიშნავს, რომ აჯანყებულებს არსად არ შეხვედრიათ წინააღმდეგობა ადგილობრივი კომუნისტი მეომრებისაგან. ისინი აჯანყებულებთან პირველსავე შეხვედრის დროს უსიტყვოდ ყრიდნენ იარაღს. ბრძოლა მიმდინარეობდა საოკუპაციო რუსული ჯარის შენაერთებთან.

იასონ ჯავახიშვილი აღნიშნავდა: „აჯანყების მიზანი იყო – საქართველოს განთავისუფლება. აჯანყების ასპარეზი – საქართველო. რაც შეეხება მეზობლებს – აზერბაიჯანს და ჩეჩნეთს, იმის გამო, რომ მათთან კავშირი დავკარგეთ, ისინი არც გაგვიფრთხილებია ამის შესახებ. იმედს ვამყარებდით ორ მომენტზე – გვეგონა ხალხის მთელი მასა აჯანყდებოდა და მეორეს მხრივ, ვფიქრობდით, რომ უცხო სახელმწიფოები, სადაც, ჩვენი ცნობით, საზოგადოებრივი აზრი ჩვენს მხარეზე იყო, დაინახავდნენ ხალხის თავგანწირულ ბრძოლას თავისი უფლებისათვის, ამა თუ იმ ფორმით დაგვეხმარებოდნენ. აღარავისი კონკრეტული დახმარება სხვა სახელმწიფოების მხრივ აღარ გვქონდა"[9].

ზემოთქმულიდან აშკარაა, რომ 1924 წლის აგვისტოს აჯანყება, მიუხედავად ხანგძლივი მზადებისა, მაინც არ იყო სათანადოდ მომზადებული და არ იყო გათვალისწინებული ყველა შესაძლო გარემოება. ამიტომ იგი სწრაფად ჩაახშეს.

1924 წლის 6 სექტემბერს გამომავალმა გაზეთებმა: „კომუნისტმა", „რაბოჩაია პრავდამ" და „ზარია ვოსტოკამ" გამოაქვეყნეს „დამოუკიდებლობის კომიტეტის" განცხადება, რომელიც

„ჩეკას“ ზეწოლით იყო მიღებული. განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი დღიდან დაარსებისა მიზნად ისახავდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას და დარწმუნებული იყო ამის განსახორციელებლად ის შესძლებდა შეიარაღებული აჯანყების მომზადებას და მოწყობას საქართველოში. ამისათვის დამოუკიდებლობის კომიტეტი იმ პარტიების დახმარებით, რომლებიც მას მიემხრნენ, რამდენიმე წლის განმავლობაში აწარმოებდა სათანადო მუშაობას და აიარაღებდა რაზმებს. მეორე მხრივ, საზღვარგარეთული ბაზის მეოხებით ცდილობდა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში... სათანადო პირობებში დახმარების მიღებას, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა, რის გამოც ჩვენ დავმარცხდით. მასობრივი ორგანიზაციული გამოსვლა, რასაც ჩვენ ველოდით, არ შედგა, ხალხის ფართო მასებმა მხარი არ დაგვიჭირეს. ჩვენი გამოსვლა სინამდვილეში ჩვენდაუნებურად ავანტიურად გადაიქცა. ხელისუფლების მხრივ ამას მოჰყვა რეპრესიები. პასუხისმგებლობა ამის გამო ჩვენ გვეკისრება... დამოუკიდებლობის კომიტეტი მიმართავს მასში შემავალ ყველა პარტიას, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გაფანტულ შეიარაღებულ რაზმებს წინადადებით... დაშალონ ყველა შეიარაღებული ძალები, იარაღი ჩააბარონ მთავრობის ორგანოებს და მთავრობის მორჩილებით შეეცადონ შეამცირონ ის უდიდესი უბედურება, რომელიც ქართველ ერს ჩვენმა გამოსვლამ მოუტანა. დღეიდან დამოუკიდებლობის კომიტეტს როგორც ცენტრში, ისე ადგილობრივად, დაშლილად ვაცხადებთ“.

1924 წლის აგვისტოს აჯანყების გამო ქართული პოლიტიკური ემიგრაცია პასუხისმგებლობას არ გაურბოდა, ის თვლიდა, რომ მას უნდა სცოდნოდა: „კავკასიის მასშტაბით არ მოხდებოდა გამოსვლა, არც უცხოეთიდან იქნებოდა დახმარება“. ამიტომ ემიგრაციას უნდა ეთხოვა „დამკომისათვის“ შეჩერებულიყო. ნ. ჟორდანია თავის პოზიციას არ იცვლიდა, იგი აჯანყების წინააღმდეგი იყო. და მაინც აჯანყების შედეგს პოლიტიკური ემიგრაცია სხვადასხვანაირად აფასებდა. მაგალითად, ირ. წერეთელი არ ეთანხმებოდა ნ. ჟორდანიას იმაში, რომ დამარცხების მიუხედავად აჯანყებამ თითქოს საქართველოს საერთაშორისო გამარჯვება მოუტანა და აღნიშნავდა, რომ „როდესაც საქართველოში ეს ზღვა სისხლი იღვრებოდა, ჩვენ ვცდილობდით, რომ რომელიმე სახელმწიფოს დიპლომატიური გამოქომაგება გვეპოვა“. მაგრამ „ყოველი ასეთი მეცადინეობა უნაყოფო დარჩა. არცერთმა სახელმწიფომ შესაძლოდ არ დაინახა, საბჭოთა მთავ-

რობისათვის აგვისტოს ამბების გამო მიემართა"[10]. ამას თავის „საფუძველი" ჰქონდა – ევროპის სახელმწიფოები საქართველოს საქმეებს რუსეთის „შინაგან საქმედ" მიიჩნევდნენ.

აჯანყებას მოჰყვა სასტიკი რეპრესიები, დახვრეტილთა შორის იყვნენ ყოფილი მთავრობის მინისტრი ნ. ხომერიკი, თბილისის ყოფილი თავი ბ. ჩხიკვიშვილი, ქართული ეროვნული გვარდიის ყოფილი სარდალი ვ. ჯუღელი. გენერლები: ს. ყარალაშვილი, ფურცელაძე, გარდაფხაძე, ვაჩნაძე, „დამკომის" თავმჯდომარე კ. ანდრონიკაშვილი, მისი მოადგილე იასონ ჯავახიშვილი. აჯანყების პირველსავე დღეს თბილისის სატუსაღოდან გამოიყვანეს და დახვრიტეს აჯანყებამდე რამდენიმე თვით ადრე შეპყრობილი პატიმრები. ამას გარდა, თბილისში აჯანყების დროს დახვრიტეს 36, სიღნაღის მაზრაში – 21, თელავის მაზრაში – 16, შორაპნის მაზრაში – 31. სამეგრელოში 451 კაცი, გორის მაზრის სოფ. რუისში ამოწყვიტეს ფანიაშვილების მთელი ოჯახი – 24 სული. ჭიათურაში ვაგონებში ჩაყარეს აჯანყების მონაწილენი და არამონაწილენი, ვითომდა თბილისში გასაგზავნად და სადგურ ყვირილასთან ტყვიამფრქვევებით ჩაცხრილეს ვაგონებში გამომწყვდეული 95 კაცი[11].

ჩვენ არ ვიზიარებთ აჯანყების მონაწილის, ს. ზალდასტანიშვილის მიერ დასახელებულ აჯანყების მსხვერპლთა რაოდენობას – 4000-ს. მას აჯანყების ჩაქრობისთანავე, ემიგრაციაში წასვლის გამო, არ შეიძლებოდა ჰქონოდა ინფორმაცია მსხვერპლთა საერთო რაოდენობის შესახებ. უფრო სარწმუნოა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1924 წლის ოქტომბრის პლენუმზე ს. ორჯონიკიძის მიერ მოტანილი რიცხვი – 980 კაცი. არა გვგონია დაფიქსირებული რაოდენობა შემცირებული იყოს, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ანტისაბჭოთა გამოსვლების მონაწილეთა სასტიკი დასჯა შეესაბამებოდა ტოტალიტარული სახელმწიფოს შინა პოლიტიკურ ინტერესს.

1924 წლის აჯანყება დამარცხდა. დაიწყო ტოტალიტარული რეჟიმის განმტკიცება.

1924 წლის აჯანყება და კრემლის პოზიცია

1924 წლის აგვისტოს მოვლენების შესახებ კრემლში პირველი ინფორმაცია, როგორც ჩანს, სტალინმა გააკეთა. ოქმმა არ შემოგვინახა სტალინის მოხსენების ტექსტი და არ ვიცით ამ მომენტისათვის რა ინფორმაციას ფლობდა კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი, მაგრამ მიღებული დადგენილება მრავალმხრივ საყურადღებოა. დადგენილების ტექსტი სტალინის შედგენილი უნდა იყოს, რადგან ხაზგასმულია „ამხ. სტალინის წინადადებები მიღებულ იქნეს" [1].

დადგენილებაში კი მითითებულია: „1. პარიტეტული კომიტეტის წევრების დახვრეტა არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს ცკ-ს წინასწარი სანქციის გარეშე. მოთხოვნილ იქნეს ა/კ სამხარეო კომიტეტისაგან აუცილებელი დამატებითი ცნობები პარიტეტული კომიტეტის წევრების შესახებ.

2.უპირობოდ აიკრძალოს რაიმენაირი პოლიტიკური დახვრეტები საქართველოში ცკ-ს სანქციის გარეშე.

3.უპირობოდ აიკრძალოს აჯანყების განმენდილ რაიონებში იმათი დახვრეტა, ვინც ტყვედ ბარდება.

4.გამოცხადდეს ამნისტია მთებში გასული აჯანყების მონაწილეთა მიმართ, რომლებიც მზად არიან ჩააბარონ იარაღი და გამოაცხადებენ მორჩილებას.

5.დაევალოს სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს გააკონტროლოს მე-2 და მე-3 პუნქტების ზუსტი აღსრულება.

6. დაუყოვნებლივ გამოძახებულ იქნეს ა/კ სამხარეო კომიტეტის წარმომადგენელი პოლიტბიუროში მოხსენების გასაკეთებლად [2].

დადგენილებიდან ჩანს, რომ პოლიტბიურომ აუკრძალა დახვრეტები მოსკოვის სანქციის გარეშე, მაგრამ, რამდენადაც ცნობილია, დახვრეტები შემდეგაც გრძელდებოდა.

9 სექტემბერს რკპ (ბ) ცკ პოლიტბიურო კვლავ მოუბრუნდა საქართველოს საკითხის განხილვას. სიტყვით გამოვიდნენ კოპი, ჩიჩერინი, ლიტვინოვი, ელიავა. მათი მოხსენებები შემონახული არ არის. პოლიტბიურომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ საქართველოს მთავრობას განეხორციელებინა გარკვეული რეპრესიული ზომები საზღვარგარეთის იმ ქვეყნების მოქალაქეთა მიმართ, რომლებიც ერთა ლიგაში გამოვიდნენ ბურჟუაზიული საქართველოს ცნობის სასარგებლოდ [3].

უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა ხელისუფლების მიერ განხორციელებული რეპრესიული ღონისძიებების გამო საქართვე-

ლოს მთავრობამ ემიგრაციაში გააჩაღა დიდი ანტისაბჭოთა კამპანია, რომელშიც აქტიურად მონაწილეობდნენ როგორც ცნობილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეები, ისე II ინტერნაციონალის ლიდერები. კონტრპროპაგანდის მიზნით ცკ-ს პოლიტბიურომ 1924 წლის 10 სექტემბერს შექმნა სპეციალური კომისია რადეკის, მენჟინსკის, ჩიჩერინის, მანუილსკისა და ბელა კუნის შემადგენლობით. საბჭოთა პროფკავშირების ხელმძღვანელს ტომსკის დაევალა გამოექვეყნებინა მიმართვის წერილი დასავლეთ ევროპის რომელიმე ცნობილი პროფკავშირული ლიდერისადმი, რომელშიც კრემლის პოზიციებიდან განმარტებული იქნებოდა საქართველოში მომხდარი მოვლენები [4].

ევროპაში აგორებულმა ანტისაბჭოთა პროპაგანდამ კრემლის ლიდერები აიძულა ეღიარებინათ, რომ „ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა არ გაითვალისწინა საქართველოს მოვლენების საერთაშორისო მნიშვნელობა და ცენტრალური კომიტეტის სანქციის გარეშე განახორციელა დახვრეტები" [5].

მხოლოდ 10 სექტემბერს გადაწყვიტა პოლიტბიურომ შეექმნა კომისია, რომელიც შეისწავლიდა საქართველოში განვითარებულ მოვლენებს და მიიღებდა გარკვეული ღონისძიებების პროგრამას, რომლის რეალიზაცია გააუმჯობესებდა საქართველოში არსებულ ვითარებას. ამ კომისიაში შევიდენენ მოლოტოვი, მანუილსკი, ორჯონიკიძე, ვირინგი, ელენსკი. მათ მიეცათ ერთი თვის ვადა პრაქტიკული ღონისძიებების შესამუშავებლად.

ის რომ კომისიას ვ. მოლოტოვი ხელმძღვანელობდა, შემთხვევითი ფაქტი არ უნდა ყოფილიყო. მზადდებოდა ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმი, რომელიც კომუნისტური პარტიის აგრარულ პოლიტიკას ეძღვნებოდა. მასზე მთავარ მომხსენებლად ვ. მოლოტოვი იყო შერჩეული, ხოლო საქართველოს მოვლენებში, რაც გარკვეულწილად საბჭოთა სპეცორგანოების მიერ იყო ინსპირირებულ-პროვოცირებული, მონაწილე აღმოჩნდა დასავლეთ საქართველოს, განსაკუთრებით გურიის გლეხობა, რაც, როგორც ჩანს, არ შედიოდა საბჭოთა ხელისუფლების მიზნებში, ამან კი გარკვეულად შეაშფოთა კრემლის ლიდერები. ამას ჩვენ ქვემოთ დავინახავთ.

კრემლის ლიდერებიდან საქართველოს მოვლენებს საჯაროდ, რამდენადაც ეს ჩვენთვის ცნობილია, პირველად კვლავ ი. ბ. სტალინი შეეხო. მან ეს საკითხი განიხილა სიტყვაში, რომელიც წარმოთქვა სასოფლო უჯრედთა მდივნების თათბირზე რკპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტში 1924 წლის 22 ოქტომბერს. მეორე დღეს ეს სიტყვა დაიბეჭდა პარტიულ ოფიციოზში „პრავდაში".

ამ მოხსენებაში სტალინი სპეციალურად ჩერდება საქართველოში მომხდარი აჯანყების გაკვეთილებზე.

რამდენიმე დღის შემდეგ, 27 ოქტომბერს ი. ბ. სტალინი საქართველოს ამბებს შეეხო რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმზე, რომელმაც სპეციალურად მოისმინა ს. ორჯონიკიძის მოხსენება „საქართველოს შესახებ" და ჩაება პოლემიკაში ზინოვიევთან და ტროცკისთან. უნდა აღინიშნოს, რომ მისი გამოსვლა პლენუმზე, მართალია, გამოქვეყნდა სტალინის თხზულებების კრებულში, მაგრამ მის მიერ საქართველოს შესახებ გამონათქვამს აშკარად ატყვია გვიანდელი რედაქტორის მუშაობის კვალი. სტენოგრამა კი მცირედ, მაგრამ მაინც განსხვავდება ოფიციალური პუბლიკაციისაგან.

რამდენადაც ამ ორ მოხსენებას შორის სულ რამდენიმე დღეა განსხვავება, გარკვეულად საინტერესოა სტალინის დამოკიდებულება მოვლენისადმი – ხომ არ შეიმჩნევა რაიმე ცვლილება, გამოწვეული ახალი ინფორმაციით, ახალი მოსაზრებებით. ის მიუთითებდა: „ჩვენს გაზეთებში წერენ ბუტაფორულ გამოსვლებზე საქართველოში. ეს მართალია, ვინაიდან, საერთოდ აჯანყება საქართველოში **ხელოვნური** (ხაზგასმა ჩვენია – ა.დ.), არახალხური იყო "[6].

ამ ამონარიდში ჩვენს ყურადღებას იქცევს ტერმინი „ბუტაფორული", „ხელოვნური" – ვთვლით, რომ აქ ორგვარი ინტერპრეტაცია შეიძლება დავუშვათ – ი. სტალინი გულისხმობს აჯანყების ხელოვნურ გამოწვევას (რაც სინამდვილეში მოხდა და მის შესახებ იხ. კ. წენგუაშვილის, გ. გელაშვილის, გ. ციციშვილის გამოკვლევები[7], ან იმას, რომ აჯანყებას არ ჰქონდა საფუძველი, ობიექტური გამომწვევი მიზეზი. ჩვენ ვთვლით, რომ აქ სტალინი, ალბათ, უფრო პირველ ვარაუდს უნდა გულისხმობდეს, რადგან შემდეგ ამბობს, რომ „აქ ვერ შენიშნეს ჩვენმა ადამიანებმა, რომ გლეხობაში რაღაც დუღილი იყო, რომ გლეხობა რაღაცისათვის ემზადებოდა, რომ მათში უკმაყოფილება იყო, რომ ეს უკმაყოფილება დღითიდღე გროვდებოდა"[8].

ამრიგად, ი. სტალინის ეს შეხედულება აძლიერებს არგუმენტს, რომ პარტიის გენერალური მდივანი „აჯანყების ხელოვნურობაში" არა მიზეზებს, არამედ ინსპირირება-პროვოცირებას უნდა გულისხმობდეს, რადგან მას არ უკვირს, რომ „რაღაც დუღილი იყო და რაღაცისათვის ემზადებოდნენ" – მენშევიკები, ოფიცრობა, თავადაზნაურობა.

ამასვე ამტკიცებს მისი შემდეგი განსაზღვრებაც – „არახალხური", ე.ი. „თავადაზნაურული", „კონტრრევოლუციური",

ანუ ისეთი, რომელიც მთლიანად ჯდება კლასობრივი ბრძოლის თეორიაში და რომლის დროს „კლასობრივი მტერი“ შეიძლება ტოტალურად ყოველგვარი გასამართლების გარეშე განადგურდეს.

ოქტომბრის პლენუმზე ი. სტალინი კვლავ მიანიშნებს აჯანყების ბუტაფორულ, ხელოვნურ ხასიათზე და ამას კიდევ უფრო კატეგორიულად აკეთებს – „ეს აჯანყება, რა თქმა უნდა, ბუტაფორული იყო“[9].

ინტერესს იწვევს კრემლის ლიდერების პაექრობა გურიაში მიმდინარე პროცესების არსის გაგების საკითხზე. პლენუმზე ამ საკითხზე პირველად გ. ზინოვიევმა გაამახვილა ყურადღება – მან გურიის გლეხთა გამოსვლა კრონშტადტის აჯანყებას შეადარა: „ჩვენ შეგვიძლია ეს შევადაროთ კრონშტადტს. თუ ვიტყვით, რომ კრონშტადტში ადგილობრივი მიზეზები 10 პროცენტი იყო,... აქ უპირატესი ადგილობრივი ელემენტი იყო, შეიძლება თამამად ითქვას, რომ 50% იყო ადგილობრივი, 50% საერთო რუსული“[10].

ლ. ტროცკიმ გურიის გლეხთა გამოსვლა ტამბოვის აჯანყებას შეადარა და მეტად საგულისხმო შენიშვნა გააკეთა: „ტამბოვის აჯანყება ეს არის აჯანყება გლეხების, რომელთაც ხელმძღვანელობდნენ ძველი კულაკები, რომელთაც არ უნდოდათ განკულაკება, ახლა კი ჩვენ ვხედავთ გლეხობის მოძრაობას, რომელსაც ხელმძღვანელობენ ახალი კულაკები, რომლებსაც არ სურთ ხელი შეუშალონ კულაკად ჩამოყალიბებაში“[11].

ლ. ტროცკის ეს გამონათქვამი ჩვენ მეტად საგულისხმოდ მიგვაჩნია – აშკარაა, რომ უკვე სახეზეა მისი შეურიგებელი პოზიცია საბჭოთა სოფლის გლეხობის იმ ფენის მიმართ, რომელმაც გარკვეულწილად „ნეპის“ პოლიტიკის წყალობით შეძლო გაჭირვების თავის დაღწევა და დაიწყო სიმდიდრის დაგროვება. როგორც ჩანს, უკვე 1924 წელს ლ. ტროცკი ამის საშიშროებას ხედავდა და გურიის მოვლენებიც თავის შეხედულებისამებრ გამოიყენა. შემდგომში ის ამ თეზისს კიდევ უფრო გააძლიერებს და დაუპირისპირებს ბუხარინ-სტალინის აგრარულ პოლიტიკას, რომლებიც ამ ახალი გლეხობისაგან ამ ეტაპზე საფრთხეს ჯერ კიდევ არ მოელოდნენ და სოფლად არსებული აგრარული ურთიერთობების რადიკალური შეცვლის წინააღმდეგიც იყვნენ.

ის, რომ გურიის გლეხთა გამოსვლა ტამბოვის მოვლენების ასოციაციას იწვევდა, მოითხოვს ტამბოვში მიმდინარე პროცესების მოკლე რეზუმირებას. ტამბოვის გუბერნია 55 ათას კვ. კმ იყო გადაჭიმული და მოსახლეობა შეადგენდა 4 მილიონ კაცს. აქ

რუსეთის საუკეთესო მიწები იყო თავმოყრილი და რუსეთის ბელლად ითვლებოდა. 1918-1921 წლებში ამ გუბერნიაში მოხდა საშინელი სოციალური აფეთქება, რასაც საბჭოთა ისტორიოგრაფია „ესერულ-კულაკურ აჯანყებად“ ნათლავდა. თანამედროვე რუსულ ისტორიოგრაფიაში საკითხი უკვე ახლებურად არის გაშუქებული. მიუთითებენ, რომ საშინელი შიმშილი, რაც მთელ ვოლგისპირეთს მოედო, აქ უკვე I მსოფლიო ომის პერიოდში დაიწყო, თებერვლის რევოლუციის შემდეგ გაძლიერდა, ხოლო ბოლშევიკების მმართველობის პირველ წლებში კატასტროფული ხასიათი შეიძინა. რუსეთის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი შიმშილობდა. საბჭოთა ხელისუფლებამ ძალით სცადა ამ პრობლემის გადაჭრა – გამოიყენეს კონფისკაციის წარმოუდგენელი მასშტაბები. სასურსათო რაზმები (მარტო ტამბოვში 5000 კაცი) ხორბლის ამოღებას რევოლუციური მეთოდებით ახორციელებდნენ. არაორგანიზებულობისა და უყურადღებობის გამო ეს ამოღებული ხორბალიც ადრესატამდე ვერ აღწევდა, ეშელონებსა და ბელლებში ლპებოდა. ეს გლეხობის წარმოუდგენელ რისხვას იწვევდა. ამას ისიც დაემატა, რომ უკვე ამ პერიოდში დაიწყეს ტამბოვის სოფლებში კოლექტიური მეურნეობების შექმნა, რამაც გლეხობის საშინელი პროტესტი გამოიწვია. სამოქალაქო ომმა კიდევ უფრო დაძაბა ვითარება. აქ პოლიტიკური ზეგავლენა უფრო ესერებს ჰქონდათ და სწორედ ესერი ა.ს. ანტონოვი ჩაუდგა სათავეში ამ აჯანყებას, რამაც მთელი გუბერნია მოიცვა[12].

ი.სტალინმა არ გაიზიარა გურიისა და ტამბოვის მოვლენების ეს ტროცკისეული ანალოგია. ის ხაზგასმით აღნიშნავდა: „საქართველო არ შეიძლება შევადაროთ ტამბოვს. იქ საქმე ეხებოდა სასურსათო გაწერას. გურიის გლეხობა მემამულეების გარეშეა 1903 წლიდან. ის რაც მოხდა საქართველოში, აქ კი ეს ის მხარეა, სადაც აჯანყება მოედო საყოველთაოდ ყველას (ხაზგასმა ჩვენია – ა.დ.). ის ახალი, რის გამოც გაჩაღდა აჯანყება იყო ფასები... ძალიან ძვირია ჩვენთვის თქვენი საქონელი, ჩვენ გვერდით გვაქვს საზღვარი, საიდანაც კონტრაბანდულად შემოდის თქვენს საქონელზე ხუთჯერ იაფი საქონელი. ეს არის ახალი, რაც უნდა იყოს გათვალისწინებული... და ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ჩვენზე დამოკიდებული ყველა შესაძლებლობა იმისათვის, რომ გლეხობის მზარდი პოლიტიკური ინიციატივა ჩავაყენოთ საბჭოთა ხელისუფლების ჩარჩოებში“[13].

საქართველოს სოფელში მიმდინარე მოვლენების ანალიზის საფუძველზე სტალინმა საგულისხმო აღიარება გააკეთა:

„საქართველოს ამბები საგულისხმო ამბებად უნდა მივიჩნიოთ. ის რაც საქართველოში მოხდა, შეიძლება მთელ რუსეთში განმეორდეს, თუ ძირფესვიანად არ შევცვლით თვით მიდგომას გლეხობისადმი, თუ არ შევქმნით პარტიასა და უპარტიოთა შორის სრული ნდობის ატმოსფეროს...“ [14]

ერთი მახასიათებელი, რაც არ შეიძლება მკვლევარს არ მოხვდეს თვალში, არის ის, რომ არც ერთი ლიდერი არ ეხება საკითხს, ხომ შეიძლება გურიის გლეხობამ აჯანყებას მხარი დაუჭირა არა მარტო საბჭოთა ხელისუფლების ფასების პოლიტიკის, ან გაუსაძლისი სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების გამო, არამედ ეროვნული სახელმწიფოს აღდგენის იდეის რეალიზაციის მიზნით. ამ თვალსაზრისით საინტერესოა სწორედ გ. ზინოვიევის გამოსვლა, როცა მან განაცხადა: „მე არ ვფიქრობ, რომ შეიძლება აეძულებინათ გლეხი აჯანყებულიყო მხოლოდ საქართველოს დამოუკიდებლობის გულისათვის, რომ ეს ყოფილიყო გადამწყვეტი მომენტი, თუნდაც იმ ტრადიციული მენშევიზმის გამო, რაც აქ სახეზე იყო[15]. მარქსისტულ-ლენინური თეორიიდან გამომდინარე, რაც ყოველთვის სოციალურ-კლასობრივი მომენტების ჰიპერბოლიზაციას აკეთებს, ასეთი განცხადება სრულიად ლოგიკური ჩანს.

საყურადღებოა გარკვეული შეუსაბამობაც სტალინისა და ორჯონიკიძის შეხედულებებში დასავლეთ საქართველოში მიმდინარე მოვლენებში მენშევიკების ზეგავლენის როლის შეფასების დროს. მაგალითად, სტალინი თვლიდა, რომ „მენშევიკებმა შეძლეს აჯანყებაში ჩაეთრიათ გლეხთა მასის ნაწილი, დამახასიათებელია, რომ ეს ადგილები ყველაზე მეტად გამოირჩევიან კომუნისტური ძალების სიმრავლით. ამ ადგილებში შედარებით ბევრად მეტი კომუნისტია, ვიდრე დანარჩენ ადგილებში“ [16].

ეს მოსაზრება, რა თქმა უნდა, მცდარი იყო და ეს სტალინს ან არაინფორმირებულობით მოუვიდა (ეს განცხადება სტალინმა გააკეთა ოქტომბრის პლენუმის წინა დღეებში, 22 ოქტომბერს, სასოფლო უჯრედების მდივანთა თათბირზე), ან შესაძლებელია საქმის ჭეშმარიტი ვითარება დაუმალა ფართო აუდიტორიას.

სერგო ორჯონიკიძემ კი პლენუმზე დაუფარავად განაცხადა, რომ აჯანყებულ რეგიონებში მენშევიკების ზეგავლენა უაღრესად დიდი იყო თვით 1924 წელსაც კი. სწორედ ამაზე მიუთითებს მისი შემდგომი განცხადება – „1921 წელს ჩვენ შევედით საქართველოში, როცა ჩვენი წინააღმდეგი იყო მთელი მოსახლეობა, შეშინებული მენშევიკებისაგან. ჯერ კიდევ 1904-1905 წლებში კამათი და დაპირისპირება ჩვენსა და მენშევიკებს შო-

რის მენშევიკების სასარგებლოდ გადაწყდა, მაშინ როდესაც ჩვენ ათეულობით, ყველაზე მეტი ასეულობით კაცს ვითვლიდით, მენშევიკებს რიგებში 15 000 კაცი ჰყავდათ, მაშინ როდესაც სტოკჰოლმისა და ლონდონის ყრილობებზე საქართველოდან ჩვენი პარტიის რიგებიდან არ შეგვეძლო თუნდაც ერთი დელეგატის გაგზავნა, მენშევიკები ორ ათეულ დელეგატს აგზავნიდნენ"[17]. ს. ორჯონიკიძის აღიარებით მენშევიკებს საქართველოში 1920 წელს 60 ათასი წევრი ჰყავდათ. მან მოიყვანა პლენუმზე კომუნისტებისათვის სავალალო სტატისტიკა, რაც მენშევიკების ზეგავლენის ძლიერ უპირატესობაზე მიანიშნებდა: „თბილისის მაზრაში მათ 15 ათასი წევრი ჰყავდათ, ჩვენ არა უმეტეს 500, ახლა კანდიდატების ჩათვლით – 6000. ოზურგეთის მაზრაში მენშევიკებს 8600 კაცი ჰყავდათ, ჩვენ-600-700, ამჟამად არა უმეტეს 1200. სენაკის მაზრაში მათ ჰყავდათ 4000 მეტი, ჩვენ 1921 წელს არა უმეტეს 600, ამჟამად 1000. ზუგდიდის მაზრაში მათ ჰყავდათ 5 375, ჩვენ 300-400, ამჟამად 500. ამ სამივე რეგიონში მენშევიკებს ჰყავდათ 18 000 წევრი, ხოლო ჩვენ არა უმეტეს 1600"[18]. ამრიგად, ასკვნიდა ს. ორჯონიკიძე, „ძალთა თანაფარდობა არ არის ჩვენს სასარგებლოდ".

მენშევიკების ზეგავლენის დასაბუთების მცდელობა ორჯონიკიძის მხრიდან, ჩვენი აზრით, იმის მანიშნებელია, რომ საბჭოთა ხელისუფლებას აუცილებლად ჭირდებოდა ერთხელ და საბოლოოდ გადაეჭრა ბოლშევიზმისა და მენშევიზმის პრინციპული დაპირისპირება ისეთი ძალისმიერი მეთოდით, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ამოძირკვავდა ამ მოძრაობის ნიშანწყალს საქართველოში და ამ მიზნის მისაღწევად აჯანყების პროვოცირება ყველაზე მისაღებ საშუალებად უნდა ჩაითვალოს.

ეს რომ ასეა, ჩინებულად ჩანს ნ. ბუხარინის რეპლიკის დროს ს. ორჯონიკიძის პასუხში. ნ. ბუხარინმა ორჯონიკიძეს კითხვა დაუსვა – „ვისი იყო ინიციატივა?" რაზეც მომხსენებელმა უპასუხა – „ინიციატივა, რა თქმა უნდა, გვეკუთვნოდა ჩვენ"[19].

აშკარაა, რომ კრემლის ლიდერების შეშფოთება გამოიწვია არა თვითონ აგვისტოს მოვლენებმა, რასაც ელოდნენ და მომზადებულნიც დახვდნენ, არამედ ამ მოვლენებში გლეხთა მნიშვნელოვანი ნაწილის მონაწილეობამ. აგვისტოს მოვლენებში კომუნისტური ხელისუფლება ვარაუდობდა პოლიტიკური, შეურიგებელი ოპოზიციის: მენშევიკების,ეროვნულ-დემოკრატების, ეროვნულ-პატრიოტული ძალების, თავადაზნაურობისა და ოფიცრობის ისეთ განადგურებას, რაც შექმნიდა „შიშის მარაგს" ამ ფენების მეხსიერებაში. გლეხთა აგრესია საბჭოთა ხელისუფლე-

ბის წინააღმდეგ მათ თავისი პოლიტიკის შეცდომად აღიქვეს და ამიტომაც იყო ასეთი ყურადღება პლენუმზე ამ საკითხების მიმართ.

რა თქმა უნდა, რაც უნდა ოსტატურად დაგეგმო პროვოკაცია, ყველა ნიუანსს, მოვლენის ყველა მხარეს წინასწარ ვერ გაითვალისწინებ, შეიძლება შეგეშალოს მოვლენის განვითარების მასშტაბები, მამოძრავებელი ძალების პროგნოზირება და შედეგებიც ყველა პარამეტრში არ პასუხობდეს დაგეგმილს. გლეხობა, რომელიც ლენინური დოქტრინით, პროლეტარიატის მოკავშირე უნდა ყოფილიყო, აღმოჩნდა საბჭოთა ხელისუფლების მოწინააღმდეგეთა ბანაკში. კრემლის ლიდერებს ჯიუტად არ შეეძლოთ გაეგოთ, რომ გლეხობას შეეძლო ჰქონოდა ეროვნულ-გამათისუფლებელი იდეები. ამაში იყო მათი სერიოზული შეცდომა.

რკპ (ბ) ცკ ოქტომბრის პლენუმზე ს. ორჯონიკიძეს დასჭირდა დიდი ექსკურსი იმისათვის, რომ პლენუმისათვის დემტკიცებინა: ქართველი გლეხობა იბრძოდა არა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, არამედ მათი ამბოხების მიზეზი სოციალური პრობლემები, მოუწესრიგებელი ეკონომიკური ურთიერთობანი იყო. ორჯონიკიძე ამტკიცებდა: „მენშევიკური მთავრობა გლეხობისაგან გადასახადს არ იღებდა, ჩვენ კი არცთუ მცირე გადასახადს ვახდევინებთ... აი აქ უნდა ვეძებოთ ჩვენი მარცხის მიზეზი ოზურგეთის რაიონში“.[20]

თითქმის იგივე გაიმეორა ი. სტალინმა, როცა განაცხადა პლენუმზე: „ რა უნდოდათ გლეხებს გურიაში? იაფი საქონელი, სიმინდის დიდი ფასი. გურია დასავლეთის საზღვარზეა, ის ხედავს საზღვარგარეთული საქონლის სიიაფეს ჩვენს საბჭოთა საქონელთან შედარებით, და მას უნდა რომ ჩვენი საქონლის ფასი შემცირდეს საზღვარგარეთულ ფასებამდე მაინც, ან სიმინდის ფასი გადიდდეს იმდენად, რომ შესაძლებელი გახდეს საბჭოთა საქონლის ხელსაყრელი გაყიდვა. ესაა ეკონომიკური საფუძველი გურიის აჯანყებისა საქართველოში“ [21].

ჩვენი მოსაზრებების განმტკიცებას ხელს უწყობს 1924 წლის ოქტომბრის პლენუმის დადგენილება, რომლის ანალიზი და შეფასება ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიას „მხედველობიდან გამორჩა“ და მეცნიერულ ბრუნვაში შემოტანილი საერთოდ არ იყო. მისი ავტორები კი არიან მოლოტოვი, ორჯონიკიძე და ზელენსკი [22].

დადგენილებაში აშკარად ჩანს, რომ 1924 წლის აგვისტოს მოვლენების შედეგებმა გაამართლეს კომუნისტური ხელისუფლების მიზანდასახულობანი. პირველ რიგში ქართველ თავადაზ-

ნაურობასთან დაკავშირებით. მათზე დადგენილებაში სპეციალური პარაგრაფია, რომელშიც ნათქვამია: „თავადაზნაურობა, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლებამ სოციალური საფუძვლები გამოაცალა, ამიტომაც გაბოროტებულია, კონტრრევოლუციის დასაყრდენია, ამიტომაც საბჭოთა ხელისუფლების ამოცანა უნდა გახდეს თავადაზნაურთა პოლიტიკური მნიშვნელობის განადგურება“[23]. ჩვენ აქ დავუმატებთ იმას, რაც აქ აბზაცებს შორის იკითხება – ფიზიკური განადგურებაც, რადგან ს. ორჯონიკიძის აღიარებით მოვლენების დროს დახვრეტილი 980 კაციდან 95% თავადაზნაური იყო. ამრიგად, „შიშის მარაგი“ კომუნისტებმა ჩინებულად დანერგეს საქართველოს სოფელში, რადგან ასობით თავადისა და აზნაურის სიცოცხლე – ხშირ შემთხვევაში ახალგაზრდა და ენერგიული ადამიანების ფიზიკური განადგურება სწორედ ის კრიტიკული მასაა, რაც აუცილებელია (როგორც ამას მკვლევარი ს. ბილოკინი მიუთითებს), რომ საზოგადოების შეგნებაში რაოდენობრივი ცვლილებები გადაიზარდოს თვისებრივ ცვლილებებში [24].

ისიც საგულისხმოა, რომ დადგენილება უკვე განხორციელებულ რეპრესიებზე არ ჩერდება და ახალს გეგმავს: „...დაეკალოთ გლეხთა კომიტეტებს (სათემო შეკრებებს) მიიღონ თავადაზნაურთა გასახლების დადგენილება. ყურადღება მიაქციონ, რომ თავადაზნაურთა კონფისკაციის დროს ქონების გარკვეული ნაწილი (ხაზგასმა ჩვენია – ა.დ.) გადაეცეს უქონელ გლეხობას [25]. ამრიგად, დადგენილება ახალ პროვოცირებას უკეთებს საქართველოს უქონელ გლეხობას, რომ მან გააგრძელოს რეპრესიების ტალღა თავადაზნაურთა მიმართ და რაც მას ქონებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების შესაძლებლობასაც მისცემს.

ასევე მრავლისმეტყველია დადგენილების ის ნაწილი, რაც ქართველ ინტელიგენციას ეხება – „უკანასკნელმა მოვლენებმა აჩვენა ქართველი ინტელიგენციის ევროპაზე ორიენტაციის უპერსპექტივობა, რამაც უამრავი მსხვერპლი გამოიწვია. ამიტომაც შეიმჩნევა გარდატეხა და საბჭოთა ხელისუფლებისაკენ შემობრუნება“ .

დადგენილების ეს ნაწილი კიდევ ერთხელ მიუთითებს კომუნისტური რეჟიმის იმედებზე – ს. ორჯონიკიძე ხომ საუბრობდა პლენუმის ტრიბუნიდან, რომ საქართველოს მრავალრიცხოვანი ინტელიგენცია მცირედის გამოკლებით საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგი იყოო [26], ხოლო ორჯონიკიძის გამოსვლის მეორე დღესვე ცენტრალური კომიტეტის დადგენილება სასურველს უკვე რეალობად აცხადებს. ამრიგად, მათი რეპრესიე-

ბის მიზეზი თავადაზნაურობის, როგორც კლასის, ტოტალურ ლიკვიდაციასთან ერთად მრავალრიცხოვანი ქართული ინტელიგენციის საბჭოთა პლატფორმაზე გადმოყვანა, ევროპული ორიენტაციიდან რუსულ-ბოლშევიკურ ორიენტაციაზე გადასვლა იყო. ამ პოლიტიკამ რომ გაუმართლა მის ინიციატორებს, ეს დაადასტურა სულ მალე საქართველოს ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებისა და სამეცნიერო ორგანიზაციების ხელმძღვანელთა მიერ გაკეთებულმა განცხადებებმა. მალე საბჭოთა რეჟიმთან ლოიალური დამოკიდებულების შესახებ განაცხადა საქართველოს საპატრიარქომაც.

რკპ (ბ) ცკ დადგენილება კონსტატაციას უკეთებს იმ ფაქტს, რომ „მენშევიკების გახრწნის პროცესმა მუშებში კეთილი ნაყოფი გამოიღო“ და მიზნად ისახავს ამ პროცესის კიდევ უფრო გაძლიერებას „მენშევიკების ორგანიზაციების გასახრწნელად“ და ფაქტია, რომ მათ ეს შეძლეს – რადგან 1924 წლის შემდეგ საქართველოში სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა ვერცერთ ეტაპზე ვეღარ აღორძინდა და საერთოდ გაქრა.

და ბოლოს, გვინდა ყურადღება გავამახვილოთ მოსკოვის სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში. ს. ორჯონიკიძის პირად ფონდში მიკვლეულ, 1925 წლით დათარიღებულ ერთ საიდუმლო დეპეშაზეც. საკითხი ეხება ამიერკავკასიაში 1924 წლის სექტემბრიდან 1925 წლის 15 აპრილამდე განხორციელებული დახვრეტების რაოდენობას. დეპეშის ადრესატია ი.ბ. სტალინი. დეპეშაში მოყვანილია ტრაგიკული სტატისტიკა, მაგრამ, ჩვენი აზრით, საინტერესო. როგორც ირკვევა, ამ პერიოდში საქართველოში დაუხვრეტიათ მხოლოდ 32 ადამიანი. მათ შორის 5 ლეჩხუმელი – ყოფილი კომუნისტი, 12 კაცი ექსპლოატატორი, მენშევიკი, ეროვნულ-დემოკრატი, 4 კაცი „ჩეკას პროვოკატორი“, 4 მუსლიმანი ბანდიტი, 2 შპიონიაგენტი – არაქართველი, 3 კონტრაბანდისტი – ყალბი ფულის მჭრელი, 2 პროფესიონალი მძარცველი. 1925 წლის 1 იანვრიდან, როგორც ამას ს. ორჯონიკიძე უმტკიცებს ი. სტალინს, საქართველოში დახვრეტა არ მომხდარა. დეპეშა გაგზავნილია 1925 წლის 18 აპრილს[27].

მაგრამ ს. ორჯონიკიძე ხომ თვითონ აღიარებდა, რომ 1924 წლის აგვისტოს მოვლენების შემდეგ 980 კაცი, ძირითადად თავადაზნაური, დაიხვრიტა. რატომ არ შევიდა ეს კატეგორია ოფიციალურ ცნობებში და ს. ორჯონიკიძის დეპეშაში? ჩვენი აზრით, ს. ორჯონიკიძის დეპეშაში შეტანილია საბჭოთა სასამართლო სისტემის მიერ გამოტანილი ოფიციალური განაჩენის საფუძ-

ველზე განხორციელებული დახვრეტების სტატისტიკა, ხოლო რამდენადაც ბოლშევიკები სამოქალაქო ომებისა და კლასობრივი ბრძოლების დროს განადგურებულ მტრებს ანგარიშში არ თვლიდნენ, ამიტომაც ის 980 დახვრეტილი თავადაზნაური – „კლასობრივი მტერი"- არ არის შეტანილი ამ სიაში. განა საყოველთაოდ არ არის ცნობილი, რომ რუსეთის სამოქალაქო ომის დროს უამრავი თავადაზნაური, ოპოზიციური პოლიტიკური ძალების წარმომადგენელი ფიზიკურად განადგურდა და ეს არსად დაფიქსირებულა, რადგან სამოქალაქო ომის კანონებით „გამარჯვებულებს არ ასამართლებენ".

მიგვაჩნია, რომ 1924 წლის აგვისტოს მოვლენები კიდევ დიდხანს იქნება მკვლევართა ყურადღების ცენტრში, რადგან ჯერაც ბევრია გაუცემელი კითხვა და გაურკვეველი საკითხი. ხოლო ის მასალა, რაც ბოლო ხანებში ცნობილი გახდა ქართველი ისტორიოგრაფიისათვის (მხედველობაში მაქვს ნ. კირთაძის, გ. ციციშვილის, კ. წენგუაშვილის და სხვათა გამოკვლევები), ჩვენს მიერ სხვადასხვა არქივში მიკვლეული მასალა გვაძლევს საფუძველს წამოვაყენოთ სამუშაო ჰიპოთეზა, რომ 1924 წლის აგვისტოს მოვლენები თავისი მნიშვნელობით უტოლდება იმ ისტორიულ ფუნქციასა და მნიშვნელობას, რასაც სამოქალაქო ომი ისახავს მიზნად, და რომ 1924 წელს საქართველოს ბოლშევიკურმა რეჟიმმა თავისი ინტერესებიდან გამომდინარე, არა მარტო პროვოცირება გაუკეთეს აჯანყებას, არამედ ის გადაზარდა სამოქალაქო ომში – აქედან გამომდინარე მთელი მისი სოციალურ-პოლიტიკური და მორალურ-ფსიქოლოგიური შედეგებით. რა თქმა უნდა, ეს ჰიპოთეზა დამატებით კვლევა-ძიებას საჭიროებს, რაც მომავლის საქმეა.

აჯანყების პროვოცირების საკითხისათვის

ბოლო წლებში 1924 წლის აჯანყების შესაძლო პროვოცირების საკითხი ერთობ ინტენსიურად განიხილება, არის სხვადასხვა მოსაზრება, ხშირად ურთიერთგამომრიცხავი. აჯანყების შესაძლო პროვოცირების საკითხი დააყენა ჯერ კიდევ ბევრმა, პასუხგაუცემელმა შეკითხვამ. რამდენადაც 1924 წლის აჯანყებას დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოში ტოტალიტარული რეჟიმის დამკვიდრებაში მიზანშეწონილად ვთვლით ამ საკითხის კიდევ ერთხელ წამოწევას.

მოსკოვის სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში, ლ. ტროცკის ფონდში აღმოჩნდა ლ. ტროცკის წერილი „ქართველი მენშევიკების შესახებ". წერილში სხვა საკითხებთან ერთად ჩვენი ყურადღება მიიქცია ცნობამ, რომ აჯანყების მზადების შესახებ „უკვე კვირეებისა და თვეების წინ ვიღებდით ინფორმაციას". ამ ცნობისა და იმჟამინდელი საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის ანალიზის საფუძველზე გამოითქვა სამუშაო ჰიპოთეზა, რომ 1924 წლის აჯანყება შესაძლოა გარკვეულწილად ინსპირირებულ-პროვოცირებული ყოფილიყო საბჭოთა სპეცსამსახურების მიერ. ეს შეხედულება მოხსენდა 2004 წ. ნოემბერში თბილისის ახალგაზრდა მეცნიერთა და ასპირანტთა დარგთაშორისო კონფერენციას და შემდგომში დაიბეჭდა გაზეთში „კვირა"(2004 წ. 6-13 ნოემბერში). მოგვიანებით სტატია დაიბეჭდა ჟურნალში „ანალები".[1] არც კონფერენციის დროს და არც საგაზეთო პუბლიკაციის გამოქვეყნების შემდეგ ამ ჰიპოთეზას არავინ დაპირისპირებია. სულ მალე პროფ. გ. ციციშვილმა თავის გამოკვლევაში კიდევ უფრო რადიკალური განცხადება გააკეთა: „1924 წ. აჯანყება ერთი მხრივ, ხელისუფლების, მეორე მხრივ, საზღვარგარეთული ცენტრის (ნ. რამიშვილი და კომპანია), ხოლო მესამე მხრივ, ადგილობრივი ექსტრემისტ-ავანტიურისტული ლიდერების (კ. ანდრონიკაშვილი, ი. ჯავახიშვილი, მ. იშხნელი და სხვ.) მიერ იყო პროვოცირებული[2].

მიუხედავად ამისა, ჩვენ ვვარაუდობდით, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით კატეგორიულ განცხადებას მაინც სამუშაო ჰიპოთეზა სჯობდა...

აქედან გამომდინარე მიზნად დავისახეთ კომპლექსური კვლევა-ძიების წარმართვა ამ მიმართულებით, რათა განვსაზღვროთ ჩვენს მიერ გამოთქმული ჰიპოთეზის ობიექტურობა არქივებსა და წიგნთსაცავებში დაცული ახალი დოკუმენტური მასალის, სპეციალური და მემუარული ლიტერატურის შეჯერების საფუძველზე.

დავიწყოთ იქიდან – შეურაცხყოფს თუ არა მკვლევარი ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას ჭეშმარიტების დადგენისა და საკითხის უფრო ღრმად ინტერპრირების შემთხვევაში? მკითხველს შევახსენებთ ცნობილი ქართველი პოლიტიკური მოღვაწის, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერის, ირაკლი წერეთლის 1924 წლის აგვისტოს აჯანყებასთან დაკავშირებით გამოთქმულ შემდეგ სიტყვებს: „ჩვენ დავაყენეთ არა აჯანყების დაგმობის საკითხი, არამედ სა-

კითხი ხელმძღვანელი ორგანიზაციების ტაქტიკის დაფასებისა... ჩვენ რომ თვითოეული ხელმძღვანელის ქცევის გასამართლება მოგვეთხოვა, ეს არ იქნებოდა აჯანყებულთა საქმის შეურაცხყოფა. აჯანყების კეთილშობილი მიზანი არ ათავისუფლებს ხელმძღვანელ ორგანიზაციებს იმის პასუხისმგებლობისაგან, რამდენად სწორი იყო მათი ტაქტიკა“ [3].

ცნობილი ქართველი სოციალ-დემოკრატის ეს სიტყვები ის ბერკეტია, რომელსაც ხელი უნდა მოჰკიდოს ყველა ობიექტურად მოაზროვნე ისტორიკოსმა.

დავიწყოთ თეორიით: კომუნისტური თეორია, მსოფლმხედველობა მუდამ ეფუძნებოდა კლასობრივ ბრძოლას, მის უკიდურეს ექსტრემისტულ ფორმებს. მარქსიზმ-ლენინიზმის თეორია შეიცავს კლასობრივი სეგრეგაციის პრინციპს და ყოველ საზოგადოებას ყოფს ერთმანეთის მიმართ დაპირისპირებულ ფენებად. ისტორიკოსები მიუთითებენ, რომ „კლასებს შორის ბრძოლას ბოლშევიკები მუდმივად უწყობდნენ ხელს, ახალისებდნენ მას, აფეტიშებდნენ და სადაც კი შეეძლოთ, ახდენდნენ მის **პროვოცირებას** (ხაზგასმა ჩვენია – ავტორები). ამგვარ მეთოდს ისინი ისტორიის მთავარ მამოძრავებელ ძალად თვლიდნენ“[4]. სამართლიანად აღნიშნავს უკრაინელი ისტორიკოსი სერგეი ბილოკინი: “რომ აღვადგინოთ მთელი სისტემა ბოლშევიკების მასობრივი ტერორისა, როგორც სახელმწიფო პოლიტიკისა, სახელმწიფოსა და მისი ინსტიტუტების პრაქტიკული მოღვაწეობისა, უნდა გამოვიდეთ იმ თეზისიდან, რომ ბოლშევიკების საშინაო პოლიტიკას ორი მომენტი განსაზღვრავდა: კომუნიზმის მშენებელი ახალი ტიპის ადამიანის ფორმირება და, შესაბამისად, აქედან გამომდინარეობდა მოსახლეობის იმ ნაწილის დევნა და ლიკვიდაცია, რომლებიც ამ მშენებლობისათვის არ გამოდგებოდნენ. მომავალი საზოგადოებისათვის ეს ადამიანები უსარგებლოდ ითვლებოდნენ, ამიტომაც, კომუნისტური თეორიის მიხედვით, ისინი განწირულნი იყვნენ ლიკვიდაციისათვის“[5]. ავტორის ობიექტური შეფასებით : „ტერორი ჩადებული იყო თვით კომუნიზმის არსში და არ იყო დამოკიდებული დიქტატორის პიროვნულ თვისებებზე“[6].

საინტერესოდ გვეჩვენება ს. ბილოკინის მიერ სამეცნიერო ბრუნვაში შემოყვანილი „შიშის მარაგის“ ცნება. მისი აზრით: „ეს არის პრევენციული ტერორი, რაც გამოიყენება ადამიანების დასათრგუნავად და მათი სულიერი სიმტკიცის საბოლოოდ გასატეხად“[7]. ფასეულია ავტორის შემდეგი მოსაზრებაც: „სახელმწიფო ტერორის მსხვერპლი ხდებოდა მოსახლეობის ნაწილი – კრი-

ტიკული მასა, ანუ ის რაოდენობა, რომელთა ლიკვიდაცია საზოგადოებაში ხარისხობრივ ცვლილებებს ინვევდა"[8].

ამასთან დაკავშირებით გვინდა გავიხსენოთ ლ. ტროცკი, რომელიც კ. კაუცკის წინააღმდეგ პოლემიკაში აღნიშნავდა: „ის (იგულისხმება კ. კაუცკი – კ. წ.) ვერ იპოვის ისტორიაში სხვა საშუალებას კლასობრივი მტრის ნების გასატეხად, გარდა ძალმომრეობის მიზანმიმართული და ენერგიული გამოყენებისა... საკითხი რეპრესიის ფორმებისა და მისი ხარისხის შესახებ, რა თქმა უნდა, არ არის „პრინციპული", ეს მიზანდასახულობის საკითხია"[9].

უფრო შორს მიდიოდა გ.ზინოვიევი, რომელსაც ეკუთვნის შემდეგი გამოთქმა: „ თქვენ, ბურჟუაზია – ანადგურებთ ცალკეულ პიროვნებებს, ხოლო ჩვენ ვსპობთ მთელ კლასებს".[10]

ამრიგად, რეპრესია, ძალმომრეობა, მოწინააღმდეგის პროვოცირება ბოლშევიზმის მნიშვნელოვან თვისებებს წარმოადგენდა, რომლის საფუძველზეც ისინი ცდილობდნენ საზოგადოების გარდაქმნას და დაპირისპირებული ფენების ლიკვიდაციას.

საქართველოს ხელმეორედ ოკუპაცია 1921 წელს სწრაფად, სამოქალაქო ომის გარეშე განხორციელდა, სამოქალაქო ომის დროს კი ფრონტებზე ხდება პოლიტიკური ოპონენტების ტოტალური ლიკვიდაცია. ამ შემთხვევაში კი, საბჭოთა რუსეთის წითელი არმიის დახმარებით ქართველი ბოლშევიკების მცირერიცხოვანმა ჯგუფმა ხელში ჩაიგდო ძალაუფლება. უზურპატორი ხელისუფლების ერთ-ერთ მთავარ პრობლემას წარმოადგენდა საქართველოში მენშევიკური ზეგავლენის განეიტრალება. ამის დასამტკიცებლად არაერთი არგუმენტი არსებობს. ჯერ კიდევ თბილისის ბოლშევიკების პირველ პარტიულ კონფერენციაზე დელეგატებმა აღნიშნეს: „მენშევიკებს უკავიათ ყველა თანამდებობა, ხელმძღვანელობენ გემის მთელ მექანიზმს, მარტო საჭით წინ ვერ წავალთ"[11].

„საქჩეკას" აგენტურული ცნობით, 1921 წლის ზაფხულში, საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულება საბჭოთა რეჟიმისადმი „გულგრილი და განუსაზღვრელია. მსხვილი ბურჟუაზია მენშენვიკურად განწყობილ ინტელიგენციასთან ერთად კონტრრევოლუციურად არის განმსჭვალული"[12]. ამიერკავკასიის „ჩეკა" მიუთითებდა: „არის სახელმწიფო ორგანოები და მნიშვნელოვანი სტრუქტურები, რომლებიც მთლიანად მენშევიკების ხელშია"[13]. ასევე აღნიშნავდნენ, რომ მენშევიკების დიდი პროცენტია მუშათა შორის. გასათვალისწინებელია ისიც, რომ საბ-

ჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ ეტაპზე კომუნისტურმა რეჟიმმა ვერ მოხსნა სოციალური დაძაბულობა როგორც დედაქალაქში, ისე პროვინციებში. იგივე აგენტურული ცნობებით, „ტყიბულში არ აუღიათ სამი თვის ხელფასი, ფოთში შიმშილობენ. თბილისის არსენალის მუშათა შორის მღელვარებაა“[14] და ა.შ. მსგავსი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება, რაც მიუთითებს იმაზე, რომ პირველ წლებში ბოლშევიკურ ხელისუფლებას საქართველოში არ ჰქონდა მტკიცე სოციალური დასაყრდენი და მისთვის ხელსაყრელი იყო მასების ყურადღების გადატანა პროვოცირებულ აჯანყებაზე.

ბოლშევიკურ რეჟიმს საქართველოში სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა საქართველოს მრავალრიცხოვანი თავადაზნაურობა, რომელიც ერის ინტელექტუალურ ელიტას წარმოადგენდა. ჩვენი ყურადღება მიიპყრო 1924 წლის ოქტომბრის პლენუმზე ს. ორჯონიკიძის მოხსენებაში საქართველოს არისტოკრატიაზე ყურადღების განსაკუთრებულმა აქცენტირებამ. იგი მიუთითებდა, რომ „მრავალრიცხოვანი ქართველი თავადაზნაურობა, რომელთა რაოდენობა შეადგენს 125-130 ათას კაცს, ანუ მოსახლეობის 5%, მთლიანად აჯანყებულთა მხარეზე იყო. აჯანყებაში, ასევე, აქტიურ მონაწილეობას იღებდა მეფის არმიის ყოფილი ოფიცრობა 7500 კაცის ოდენობით“ [15].

1924 წლის აჯანყებაში ქართველი თავადაზნაურობის მონაწილეობაზე ს. ორჯონიკიძის მიერ ყურადღების გამახვილება შემთხვევით მოვლენად არ გვეჩვენება. რა თქმა უნდა, ქართველი არისტოკრატიის ბოლშევიკურ პლატფორმაზე გადაყვანა, ანუ მათი „სოვეტიზაცია“, მიზანმიმართული და საგულდაგულო ტერორის გარეშე წარმოუდგენელი იყო. 130 ათასი თავად-აზნაური, მათ შორის 7500 მეფის ოფიცერი, ბოლშევიკებისათვის განსაკუთრებულ საფრთხეს წარმოადგენდა, ამიტომაც მათ მიმართ აუცილებლად უნდა განხორციელებულიყო პრევენციული ტერორი, რათა ქართველ თავადაზნაურებში შექმნილიყო ე.წ. „შიშის მარაგი“. საქართველოს ბოლშევიკურ ხელისუფლებას რომ თავადაზნაურთა მიმართ განსაკუთრებული სიძულვილი ამოძრავებდა, ცხადყო აგვისტოს აჯანყების შემდეგ მათ წინააღმდეგ განხორციელებულმა, პროვოცირებული სოფლის პროლეტარიატისა (ბოგანო გლეხობის) და დეკლასირებული ელემენტების მიერ თავადაზნაურთა მთელი საგვარეულოების განადგურებამ.

ანტისაბჭოთა ოპოზიციის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი იყო ქართველი ინტელიგენცია. ს. ორჯონიკიძის საგუ-

ლისხმო აღიარებით: „მრავალრიცხოვანი ქართველი ინტელიგენცია წინააღმდეგია საბჭოთა რუსეთისა ... და შოვინისტურად არის განწყობილი... მათ იმედი აქვთ, რომ მენშევიკების დაბრუნების შემდეგ ისინი განდევნიან სხვა ეროვნების ინტელიგენციის წარმომადგენლებს საქართველოდან, რაც მათ გაბატონებას გამოიწვევს საზოგადოებრივ და სახელმწიფო ცხოვრებაში...ქართველი ინტელიგენცია იმდენად მრავალრიცხოვანია, რომ მას შეუძლია ჩინოვნიკების მიწოდება არა მარტო საქართველოსათვის, არამედ მთელი კავკასიისათვის, ასევე რუსეთისათვის... ინტელიგენცია, მცირედის გამოკლებით, იყო აჯანყებულთა მხარეზე, აჯანყების რაიონებში აქტიურობდა, სხვა რაიონებში კი არ მალავდა თავის თანაგრძნობას“[16].

ამ სიტყვებში აშკარად გამოსჭვივის ამიერკავკასიის კომუნისტების ლიდერის შიში მრავალრიცხოვანი ქართველი ინტელიგენციის მიმართ და იმ პრევენციული რეპრესიების გამართლების მცდელობა, რაც განხორციელდა 1924 წლის აჯანყების შემდეგ საზოგადოების ამ ფენის მიმართ.

ს. ორჯონიკიძე თავის მოხსენებაში, ასევე, ყურადღებას ამახვილებს 1924 წლის აგვისტოს მოვლენებში გლეხობის ფართო მასების აქტიური მონაწილეობის გამომწვევ მიზეზებზეც. იგი მიუთითებდა, რომ „მიზეზები, რამაც გლეხობა ჩვენს წინააღმდეგ გამოიყვანა...იმალება ეკონომიკურ საფუძვლებში... გლეხობის მდგომარეობა ჩვენი მმართველობის დროს არა თუ გაუმჯობესდა, არამედ გაუარესდა კიდეც. მენშევიკური მთავრობა გლეხობისაგან გადასახადებს არ იღებდა, ჩვენ კი არც თუ მცირე გადასახადს ვახდევინებთ... აი, აქ უნდა ვეძებოთ მთავარი მიზეზი ჩვენი მარცხისა“[17].

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მოხსენებაში გლეხობასთან დაკავშირებით ხაზგასმულია ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, კერძოდ, ს. ორჯონიკიძე აღნიშნავს, რომ „საქართველოში გლეხებს შეგნების მაღალი დონე აქვთ და თითოეული მათგანი რომელიმე პარტიის წევრია, უპარტიო გავლენიანი გლეხის პოვნა საქართველოში ძალზედ ძნელია. ამიტომაც ვერ შევძელით სამი წლის მანძილზე ქართველი გლეხობის გადმობირება... მათ მარტო აგიტაციით ვერ მოიმხრობ“[18]. აქ კი კომენტარები აშკარად ზედმეტია.

ბოლშევიკური ხელისუფლების სერიოზული ოპოზიცია იყო, აგრეთვე, საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია. ეს გარემოება ყველაზე მეტად ნათელყო საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ამბროსი ხელაიას მიერ გენუის საერთაშორი-

სო კონფერენციისადმი გაგზავნილმა მემორანდუმმა, რომელშიც დაგმობილი იყო საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსია. ტოტალიტარული სახელმწიფოს მესვეურთა მებრძოლი ათეიზმი მორწმუნეთა ლოგიკურ აღშფოთებას იწვევდა, რაც სერიოზულ ოპოზიციას ქმნიდა ქვეყანაში და მისი განეიტრალებაც რეჟიმის ცხოველმყოფელობისათვის მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენდა. მათ შორის კომპრომისი ყოვლად შეუძლებელი იყო, რადგან ბოლშევიზმი, როგორც ამას სამართლიანად მიუთითებდა ა. ბერდიაევი: „რწმენა და რელიგიაცაა. სწორედ ამაშია მისი ძლიერება". აქედან გამომდინარე, პრევენციული ტერორი ამ სოციალური ფენის მიმართ საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან სავსებით ლოგიკური ჩანს.

საბჭოთა რეჟიმის სერიოზულ შეშფოთებას იწვევდნენ ეროვნულ-დემოკრატიული, სოციალისტ-ფედერალისტური, ესერული და სხვა ანტიკომუნისტური პარტიების უკომპრომისო წევრებიც, რომლებიც ლეგალური თუ არალეგალური ბრძოლის ფორმებით ცდილობდნენ საქართველოს მოსახლეობის შეგულიანებას კომუნისტური ტოტალიტარიზმის წინააღმდეგ.

რა თქმა უნდა, საქართველოს ბოლშევიკურ ხელისუფლებას არავითარი ილუზია არ ჰქონდა, რომ საზოგადოების ეს ფენები წავიდოდნენ რაიმე კომპრომისზე და შეურიგდებოდნენ დამოუკიდებელი რესპუბლიკის ოკუპაციას. მეტად საინტერესოა საგანგებო კომისიის აგენტურული ინფორმაცია ანტისაბჭოთა პარტიების წევრთა საქმიანობის შესახებ: „ისინი ჯგუფებად იკრიბებოდნენ, გამომწვევად იქცეოდნენ, რაღაცას ელოდნენ"[19].

ანტიკომუნისტური პარტიების ინიციატივით, როგორც ზემოთ აღინიშნა 1922 წლის აგვისტოში, შეიქმნა „დამოუკიდებლობის კომიტეტი" პარიტეტულ საწყისებზე, რომელმაც მიზნად დაისახა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა. კომიტეტის წევრებს კავშირი ჰქონდათ, როგორც საფრანგეთში საქართველოს ემიგრაციულ მთავრობასთან, ისე ადგილობრივ პარტიზანულ მოძრაობასთან (ქ. ჩოლოყაშვილი, მ. ლაშქარაშვილი და სხვ.). ისინი, მართლაც, ემზადებოდნენ გადამწყვეტი ბრძოლისათვის და ამისთვის შესაფერის დროს ელოდნენ.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, საბჭოთა ხელისუფლება უარს არ იტყოდა, ერთი დარტყმით, მთლიანად გაენადგურებინა, თუნდაც ფიზიკურად, ყველა თავისი პოლიტიკური ოპონენტი, რითაც შექმნიდა „შიშის მარაგს" და ათეული წლების მანძილზე უზრუნველყოფდა თავის ერთპიროვნულ დიქტატურას.

საქართველოს ეროვნული ძალების აჯანყებისათვის მზადების შესახებ საქართველოს ბოლშევიკური ხელისუფლება თავისი აგენტურული ქსელის საშუალებით იყო ინფორმირებული, რადგან ოპოზიციურად განწყობილი პარტიების მიმართ სისტემატური კონტროლი და დევნა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ნაშრომზე მუშაობის დროს ჩვენი ყურადღება მიიპყრო ორმა დოკუმენტმა: ერთი თარიღდება 1922 წლით, მეორე კი 1982 წელს გამოქვეყნდა. პირველი საქართველოს საგანგებო კომისიის აგენტურული ცნობაა, მეორე კი ქაქუცა ჩოლოყაშვილის „შეფიცულთა რაზმის“ წევრის ალ. ბადურაშვილის გვიანი პერიოდის მოგონებებია. საგანგებო კომისიის აგენტურული ცნობით, „ქაქუცამ ჩეჩნეთში შამილის შვილიშვილთან გააგზავნა რამდენიმე კაცი ერთობლივი მოქმედებისათვის... ჩოლოყაშვილი დაუკავშირდა დაღესტნელ გენერალ მადრაგოვს, რომელსაც ქისტებისაგან შემდგარი პარტიზანული რაზმი ჰყავდა და სთხოვა მას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის კოორდინაცია“[20].

„საქჩეკას“ ინფორმაციის სინამდვილეს ადასტურებს ალ. ბადურაშვილის მოგონებაც: „ჩვენი რაზმი რომ ხევსურეთში შევიდა... ბელადმა ჩაჩანში გაგზავნა სულხანიშვილი... მას დავალებული ჰქონდა ჩეჩნების დახმარება მიეღო“[21].

ამრიგად, აშკარაა, რომ „საქჩეკას“ თავისი აგენტების საშუალებით უფრო ზუსტი ინფორმაცია ჰქონდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წევრთა საქმიანობის შესახებ, ვიდრე უშუალოდ ამ აჯანყების მონაწილე ქ. ჩოლოყაშვილის რაზმის წევრს. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავეთანხმოთ პროფ. გ. ციციშვილს, რომელიც იმოწმებს „ჩეკას“ ყოფილი აგენტის განცხადებას, რომ „ეროვნული მოძრაობის ორგანიზატორთა ცენტრში ჩეკას აგენტი უფრო მეტი ჰყავდა, ვიდრე ჭეშმარიტი პატრიოტი“[22].

საყურადღებოა ამ მოვლენების თვითმხილველისა და ცნობილი ქართველი ისტორიკოსის გ. ჩიტაიას დაკვირვებაც: „მთავრობამ წინასწარ ყველაფერი იცოდა, იცოდა ისიც, როდის უნდა დაწყებულიყო აჯანყება. საქმე იმაში გახლდათ, რომ კომისიის იმ სამი წევრიდან, რომელთაც უნდა დაენიშნათ აჯანყების დღე, ერთი მთავრობის აგენტი აღმოჩნდა. რა თქმა უნდა, შეიძლებოდა, აჯანყების მეთაურები წინასწარ დაეპატიმრებინათ და გამოსვლებს ადგილი აღარ ექნებოდა... მთავრობას ყველაფერი წინასწარ ჰქონდა გათვლილი“[23].

ისმის კითხვა: გრძნობდნენ თუ არა ეროვნული ძალები საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან მოსალოდნელ პროვოკაციას, რომელსაც შეეძლო ეროვნული მოძრაობისათვის ძლიერი დარტყმის მიყენება? ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ისინი ამის საშიშროებას რეალურად მიიჩნევდნენ. ასეთი დასკვნის საფუძველს კი გვაძლევენ ჟურნალ „ანალებში" 2003-2004 წლებში გამოქვეყნებული ისტორიკოსის გია გელაშვილის მეტად მნიშვნელოვანი პუბლიკაციები. მკვლევარმა თარგმნა 1925 წელს ბერლინში გამოცემული ბროშურა „სოციალისტური პარტიების წინააღმდეგ მიმართული ტერორი რუსეთსა და საქართველოში". ეს ნაშრომი წარმოადგენს II ინტერნაციონალის აღმასკომის სპეციალური კომისიის დასკვნას. ამ კომისიაში შედიოდნენ ცნობილი სოციალ-დემოკრატები რ. აბრამოვიჩი, ვ. სუხომლინი და ირ. წერეთელი, რომელთაც, როგორც ამას თვითონ ამტკიცებენ, სანდო წყაროები ჰქონდათ და მათ საფუძველზე აშუქებდნენ მიმდინარე მოვლენებს. ამ საკმაოდ ვრცელ პუბლიკაციაში ყურადღება მიიპყრო რამდენიმე საგულისხმო ინფორმაციამ, რაც განამტკიცებს ჩვენს მოსაზრებას აჯანყების საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან პროვოცირების შესახებ:

1. ეროვნულ-პატრიოტული ძალები გარკვეულწილად გრძნობდნენ პროვოცირების საფრთხეს საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან და ეს არც უკვირდათ. ეს რომ ასეა, II ინტერნაციონალის დასკვნაში ვკითხულობთ: „კომუნისტებს სურდათ ხალხი ჩაეთრიათ ბრძოლაში, რათა „ჭკუაზე მოეყვანათ". ამ მცდელობის საწინააღმდეგოდ სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ გამოაქვეყნა მოწოდება: „კომუნისტები იყენებენ პროვოკაციულ მეთოდებს და ხალხს აშკარად უბიძგებენ უწესრიგო აჯანყებისაკენ...ისინი იმედოვნებენ, რომ ამ გზით მოსახლეობა დაკარგავს მოთმინებას და საბჭოთა ხელისუფლებას გაეხსნება ხელები, რათა ჩვენი ქალაქები და სოფლები კიდევ უფრო გადაბუგონ.

მოქალაქენო! ნუ აყვებით პროვოკაციებს, მტერს სურს ჩვენი შეიარაღებული აჯანყება, რათა ერთმანეთის მიყოლებით ყველა დაგვასამაროს, მაგრამ არ გვსურს ის, რასაც ისინი მოუთმენლად, გაგიჟებით ელიან" [24].

2. ჩვენ პოზიციას ასევე ამაგრებს ვ. ჯუღელის დაპატიმრებასთან დაკავშირებული ერთი ეპიზოდიც. როგორც გ. გელაშვილის პუბლიკაციიდან ვგებულობთ: ვ. ჯუღელს საქართველოს საგანგებო კომისიის თავმჯდომარე კვანტალიანისათვის შესაძლო სისხლისღვრის თავიდან აცილება შეუთავაზებია: „თუ ჩვენ ორივე მხრივ მოვინდომებთ ხალხს მოსალოდნელი ავანტიურა

ავარიდოთ, ამას მივაღწევთ... მე მივხვდი, რომ თქვენი თვალები ძალიან ყურადღებით მდარაჯობდნენ და ჩვენს შორის „გარკვეული პიროვნებები“ იყვნენ... ამიტომ მე სოციალ-დემოკრატებს გადაჭრით დაველაპარაკები აჯანყების საწინააღმდეგოდ და ეს საკითხი საერთოდ ამოიშლება“[25].

მაგრამ, რამდენადაც საბჭოთა ხელისუფლების ინტერესებში მორიგება კი არა, არამედ აჯანყების პროვოცირება და პოლიტიკური მოწინააღმდეგეების ტოტალური განადგურება შედიოდა, მათ არ მიიღეს ვ. ჯუღელის შემოთავაზება და მის მიერ სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი მიწერილი წერილი, რომელშიც შეთქმულებს უაზრო სისხლის ღვრის თავიდან ასაცილებლად აჯანყებაზე უარის თქმას ურჩევდა. „საქჩეკას“ ხელმძღვანელობამ დამალა და მხოლოდ აჯანყების დაწყების შემდეგ გამოაქვეყნა, რადგანაც მშვიდობის ნაცვლად მათ წინასწარ დაგეგმილი პროვოკაციის ბოლომდე მიყვანა სურდათ.

3. სერგო ორჯონიკიძის ცნობით, 15 აგვისტოს საბჭოთა სპეცორგანოებმა, რომლებიც კარგად იყვნენ ინფორმირებულნი მოსალოდნელი აჯანყების შესახებ, სენაკში დააპატიმრეს 500 პოლიტიკური მოწინააღმდეგე. რამდენიმე დღეში ისინი გაანთავისუფლეს, მაგრამ მათ აჯანყებაში მაინც მიიღეს მონაწილეობა[26]. ეს ფაქტი სერიოზულ ეჭვს ბადებს. ბოლშევიკები, რომლებიც დღე-დღეზე ელოდებიან მასობრივ გამოსვლას, ციხიდან უშვებენ პოლიტპატიმრებს, რომლებიც ავსებენ აჯანყებულთა რიგებს. ისმის კითხვა: ამ 500 კაცში ხომ არ იყვნენ სპეცსამსახურების მიერ გადაბირებული პირები, პროვოკატორები, ფარული აგენტები, რომლებსაც აჯანყების მომენტში კონკრეტული დავალებები ჰქონდათ მიცემული ხელისუფლების მხრიდან? ჩვენი აზრით, ეს საკითხი დამატებით კვლევა-ძიებას მოითხოვს.

4. საბჭოთა სპეცსამსახურების მიერ 1924 წლის აგვისტოს მოვლენების პროვოცირების სასარგებლოდ დამატებით კიდევ რამდენიმე გარემოებაც მეტყველებს:

ა) აჯანყება დათქმულ დროზე ადრე დაიწყო. როგორც ცნობილია, აჯანყების ხელმძღვანელი ცენტრის მხრიდან აჯანყების ვადად გამოცხადდა 29 აგვისტო. მაგრამ, როგორც ირკვევა: „28 აგვისტოს 4 საათზე ჭიათურას თავს დაესხნენ აჯანყებულები. მათ დაიკავეს სახელმწიფო დაწესებულებანი, სადაზღვევო სალარო და ექსპროპრირება გაუკეთეს ფინანსურ სახსრებს“[27].

ქ. ჩოლოყაშვილის შეფიცული რაზმელის ა. კარგარეთელის მემუარები მიგვანიშნებენ, რომ მათი გამოსვლაც 28 აგვისტოს უნდა მომხდარიყო[28]. მოსაზრებას, რომ აჯანყება გარეკახეთშიც დროზე ადრე დაიწყო, იზიარებს გ. ციციშვილიც[29].

ისმის კითხვა: რატომ დაიწყო აჯანყება ერთი დღით ადრე? ეს ხომ სეპარატისტული გამოსვლა იყო, რამაც საგრძნობლად აურია აჯანყებულთა გეგმები? არავის გაუცია პასუხი შეკითხვაზე, რატომ მოხდა, რომ „ასეთი სეპარატისტული გამოხტომის" ამბავი არ შეუტყვია არცერთ ხელმძღვანელ რგოლს – არც თბილისიდან ტყეში გასულ „დამკომს" და მთავარსარდალს, არც თბილისში დარჩენილ „ქვეკომიტეტს"?[30]. განა არ შეიძლება ამ „სეპარაციის", ამ „გამოხდომის" ორგანიზატორი ყოფილიყო „საქჩეკას" მიერ შეგზავნილი აგენტი-პრორვოკატორი? რატომ არ უნდა წარიმართოს კვლევა ამ მიმართულებით?

ბ) დღეს უკვე აშკარად ლაპარაკობენ, რომ ე.წ. „ჟორდანიას სადირექტივო ნერილი" – აჯანყების გეგმა არის ნაყალბევი. ამ აზრს ამტკიცებს მკვლევარი ნ. ჯორჯიკია[31] და ამ აზრს იზიარებდა ლ. თოიძეც. სად მოხდა მისი გაყალბება, ხომ არ შეასრულა ამ საქმეში გარკვეული როლი საბჭოთა სპეცსამსახურმა, რომელსაც გავლენიანი აგენტურა ჰყავდა ქართულ ემიგრაციაში? ეს საკითხიც მომავალი კვლევის საგანი უნდა გახდეს.

გ) ჩვენი მოსაზრების განსამტკიცებლად სარწმუნოდ გვეჩვენება ის ფაქტიც, რომ პარიზში, 1924 წლის 17 ივლისს, ემიგრაციული მთავრობის სხდომაზე ნ. რამიშვილი საქართველოში შექმნილ ვითარებას ასე აფასებდა: „იქ მართლაც ეტყობათ ერთგვარი დაბნეულობა. არაფერი სერიოზული იქ ამჟამად მოსალოდნელი არ არის"[32]. ამრიგად, აჯანყების საზღვარგარეთულ ცენტრში აჯანყებამდე ერთი თვით ადრე საქართველოში „სერიოზულს არაფერს მოელოდნენ". ამ შეხედულებას აძლიერებს გენერალ მაზნიაშვილის მოხსენებაც, რადგან მასში მითითებულია, რომ „აჯანყება არა მარტო ჩემთვის, არამედ ემიგრანტებისა და პასუხისმგებელი პოლიტიკური მოღვაწეებისთვისაც იყო სრულიად მოულოდნელი" [33].

დ) ქაქუცა ჩოლოყაშვილთან აჯანყების მომენტში ნავარაუდევი 600 კაცის ნაცვლად 40-60 კაცი გამოცხადდა[34]. რატომ არ მიუვიდა ქაქუცას იმდენი მებრძოლი, რამდენსაც ელოდებოდა? ნამდვილი მეცნიერი უდავოდ დასვამს შეკითხვას, ხომ არ იყო ეს სპეცსამსახურების მეცადინეობის შედეგი? ამ მიმართულებით კვლევის გაგრძელება საჭირო და აუცილებელია.

ე) აჯანყების მომენტში ვრცელდებოდა ხმები: „ჟორდანია ბათუმშია“, „ევროპა გვეხმარება“, „საფრანგეთი გვეხმარება“, „ინგლისელთა გემები ბათუმს მოადგნენ“ და ა.შ. ასეთი ხმები უსაფუძვლო იყო და ის ხალხის შეგულიანება-პროვოცირებას ითვალისწინებდა. განა არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ ხმებს „ჩეკას“ აგენტურა ავრცელებდა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მონაწილეების შეგულიანების მიზნით, რათა თავისი თავი უკეთ გამოემჟღავნებინათ?

ზემო თქმულიდან გამომდინარე, სრულიად გასაგებია 1924 წლის აგვისტოს აჯანყების აქტიური მონაწილის ს. ზალდასტანიშვილის შემდეგი სიტყვები: „... ასეთ პირობებში ტფილისისა და ბათუმის გამოსვლა აღარ ხდება. ამ ორ ქალაქში, თუ შეიძლება ასე ითქვას, აჯანყებას **საბჭოთა მთავრობა აწყობს** (ხაზგასმა ჩვენია – კ.ნ.) და თაოსნობა მის ხელში გადადის“ [35].

ამ შეხედულების ლოგიკურ უნისონშია სოციალისტური ინტერნაციონალის სპეციალური კომისიის ავტორიტეტული დასკვნაც: „იმ ცნობების მიხედვით, რაც ჩვენს ხელთაა აჯანყების შესახებ, ჩანს, რომ კომუნისტებმა ყველა საშუალებით სცადეს სახალხო მოძრაობის გამოწვევა, ხოლო თვით ყველა ღონე იხმარეს, რათა ის სისხლში ჩაეხრჩოთ და ამით საბოლოოდ განთავისუფლებულიყვნენ რევოლუციური საშიშროებისაგან, რასაც უქმნიდა საქართველო მათ დესპოტურ რეჟიმს“[36].

ის, რომ „ქვეყანაში მოსკოვის მიერ ინსპირირებული რეპრესიები მძვინვარებდა და საქართველოს კომუნისტების უმრავლესობა არავითარ ზომებს არ იღებდა მათ აღსაკვეთად“, შემჩნეული აქვს პროფ. ლ. თოიძესაც [37].

ამრიგად, ჩვენს მიერ წამოყენებული სამუშაო ჰიპოთეზა, რომ 1924 წლის აგვისტოს აჯანყება, შესაძლოა ინსპირირებულ-პროვოცირებული ყოფილიყო საბჭოთა ხელისუფლების მიერ, ზემოთ მოყვანილი, ჩვენი აზრით, საკმაოდ არგუმენტირებული დოკუმენტებით, მემუარული წყაროებითა თუ ლოგიკური ანალიზით სავსებით შესაძლებელი ჩანს.

უფრო მეტიც, საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან 1924 წლის აგვისტოს მოვლენების პროვოცირების დაშვება გარკვეულწილად პასუხისმგებლობას აცილებს აჯანყების ხელმძღვანელებს, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ ისტორიის წინაშე მოუწევთ პასუხი გასცენ შემდეგ კითხვებს: ვის ინტერესებში შედიოდა აჯანყების ისეთი ორგანიზება, რომელიც: 1. გამოავლენდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ყველა ცენტრს საქართველოში; 2. გამოიწვევდა საქართველოში მოღ-

ვაწე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერების ტოტალურ ლიკვიდაციას; 3. რამდენიმე ათეული წლით შეაფერხებდა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას საქართველოში; 4. შექმნიდა ძლიერი „შიშის მარაგს" მთელ რიგ სოციალურ კლასებსა თუ ფენებში; 5. რადიკალურად შეუცვლიდა საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილს პოლიტიკურ ორიენტაციას და ხელს შეუწყობდა ჩვენს ქვეყანაში ტოტალიტარული რეჟიმის განმტკიცებას (ხომ ცნობილია, რომ სწორედ ამ მოვლენების შემდეგ შეიცვალეს თავისი დამოკიდებულება კომუნისტური რეჟიმისადმი საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის მესვეურებმა, ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლებმა და სამეცნიერო დაწესებულებების ხელმძღვანელებმა).

თავი IV. ცვლილებები საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაში

საქართველოს ინტელიგენცია

სოციალ-დემოკრატიული აზროვნება ინტელიგენციის წიაღში ჩაისახა და განვითარდა. საყოველთაოდ გავრცელებული შეხედულებით – პროლეტარიატს უნარი არ შესწევს დამოუკიდებლად სოციალ-დემოკრატიული შეგნების ჩამოყალიბება, მასში ეს უნდა შეიტანოს განათლებული ადამიანების ჯგუფმა, რომელიც გაითავისებს პროლეტარიატის გარდამქნელ როლს და თავის ცხოვრებას მოახმარს პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების დაპყრობის საქმეს. აქსიომად იყო მიჩნეული დებულება: „ბურჟუაზიული ინტელიგენციის ზოგიერთმა წარმომადგენელმა შეიცნო ისტორიული განვითარების კანონზომიერება, რომელსაც საზოგადოება მიჰყავს ბურჟუაზიული წყობილების სოციალისტურით შეცვლისაკენ, ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის ლიკვიადაციის, საყოველთაო მშვიდობიანობის, თანასწორობისა და თავისუფლების დამკვიდრებისაკენ, ჰარმონიული საზოგადოებრივი წყობილებისაკენ... რომ ბურჟუაზიული ინტელიგენციის ამ ნაწილის ზოგიერთმა წარმომადგენელმა შეძლო გამოეჩინა ჭეშმარიტად დიდი მოქალაქეობრივი გამბედაობა და განყვიტა კავშირი საკუთარ კლასთან, გაბედულად და მტკიცედ დადგა მოწინააღმდეგე კლასის კლასობრივ თვალსაზრისზე“.[1]

როგორც დასავლეთ ევროპაში, ასევე რუსეთშიც სოციალ-დემოკრატიული აზრის მპყრობელნი – რაზნოჩინული ინტელიგენციის წარმომადგენელები იყვნენ. ვინც ღრმად იცის რუსული კლასიკური ლიტერატურა XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე (განსაკუთრებით ეს რელიეფურად აისახა თ. დოსტოევსკის, ა. ჩეხოვისა და მ. გორკის ნაწარმოებებში), მისთვის ძნელი არ არის იმის წარმოდგენა, რომ ამ პერიოდის ინტელიგენცია რთული, წინააღმდეგობით აღსავსე ცხოვრებით ცხოვრობდა, საოცრად ელოდა რადიკალურ ცვლილებებს და სულიერი კაეშნისაგან გათავისუფლებას რევოლუციურ გარდაქმნებში ხედავდა. ინტელიგენციის ამ ჯგუფში იყვნენ თავადაზნაურობის წარმომადგენლები (პლეხანოვი, ჩიჩერინი, კოლონტაი და სხვ.), რაზნოჩინები (ლენინი, ლუნაჩარსკი და სხვ.), მდიდართა წრიდან (ტროცკი და სხვ.) და მუშათა სოციალური ფენიდან (სტალინი, გორკი, კიროვი და სხვ.). რევოლუციის მომხრენი რუსეთის იმპერიის ყველა ხალხი-

სა და ერის ინტელიგენციაში მოიძებნებოდა, თუმცა იმხანად განსაკუთრებით აქტიური ებრაელი ახალგაზრდა ინტელიგენტი იყო, რომელმაც მიზნად დაისახა რომანოვების რუსეთის დანგრევა და დაანგრია კიდეც.

ყველგან, სადაც კი მარქსიზმი გავრცელდა როგორც რევოლუციური თეორია და პრაქტიკა, მარქსიზმის პოლიტიკური და ეკონომიკური შეხედულებები ინტელიგენციის გარკვეული ჯგუფის სულიერ მოთხოვნილებად და პრაქტიკული საქმიანობის მიზნად გადაიქცა, თუმცა ინტელიგენციის მეორე, საკმაოდ დიდი ნაწილისათვის, მარქსიზმი – როგორც თეორია დ სამოქმედო პრაქტიკა, თავიდანვე მიუღებელი იყო. მათ აშინებდათ ამ რევოლუციური თეორიის სიღრმეებში ჩაბუდებული დამანგრეველი ძალა, რომელსაც შეეძლო სასაკლაოზე გაეგზავნა მილიონები და ათეული მილიონები.

მარქსისტულ ინტელიგენციას რუსეთში, განსაკუთრებით მის მემარცხენე ფრთას – ბოლშევიკებს ჯერ კიდევ რევოლუციამდე ჰქონდათ ჩამოყალიბებული საკუთარი შეხედულება ინტელიგენციაზე, მის როლზე მომავალ პროლეტარულ სახელმწიფოში. ვ.ი.ლენინი ჯერ კიდევ ოქტომბრის გადატრიალებამდე ინტელიგენციასთან დამოკიდებულების კლასობრივ მიდგომას აღიარებდა, როცა ხაზგასმით მიუთითებდა: „ინტელიგენციას სწორედ იმიტომ უწოდებენ ინტელიგენციას, რომ ყველაზე უფრო შეგნებულად, შემართებით და ზუსტად ასახავს და გამოხატავს კლასობრივი ინტერესების განვითარებას და საზოგადოებაში პოლიტიკური ჯგუფების შეხედულებებს.“ [2]

ვ.ი.ლენინმა სცადა გაეკრიტიკებინა ბურჟუაზიული და ფსევდო-მარქსისტული მითი ინტელიგენციის „ზეკლასობრიობის“, საზოგადოების მებრძოლი კლასებისაგან მისი „დამოუკიდებლობის“ შესახებ, შეეცადა მკვეთრად და განსაზღვრულად ეჩვენებინა, რომ ინტელიგენცია არ არის არავითარი დამოუკიდებელი პოლიტიკური ძალა და „თუ არ ამოუდგა კლასს, ის ხდება ნული.“ [3]

ინტელიგენციას, როგორც სოციალურ ფენას, მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები სამ ჯგუფად ყოფდნენ. მაგალითად, ვ.ი.ლენინი ძველ ინტელიგენციაში განარჩევდა შემდეგ ჯგუფებს: ზედა ფენას, რომელსაც რევოლუციამდე ძლიერ მაღალ ხელფასს უხდიდნენ, საშუალო ფენას, რომელსაც შედარებით ნაკლებს უხდიდნენ და ქვედა ფენას, რომელიც ყველაზე მრავალრიცხოვანი და დაბალი კვალიფიკაციისა იყო და ძლიერ მცირე ხელფასს იღებდა.[4]

ლ. დ. ტროცკის თვალსაზრისით რევოლუციისაკენ ინტელიგენციის მიმავალი რამდენიმე დაჯგუფება არსებობს: არიან მოგლეხო ინტელიგენტები, ჭირვეული თანამგზავრები, უმაღლესი „მუსიკის“ მაძიებელი ობიექტური მისტიკოსები, რაციონალისტების და ეკლექტიკოსების და სხვ. მიმდინარეობები.[5]

ი. ბ. სტალინი ინტელიგენციაში, ლენინის მსგავსად სამ ჯგუფს გამოჰყოფდა: 1. კვალიფიციული ნაწილი, რომელმაც ომი გამოუცხადა საბჭოთა ხელისუფლებას; 2. საშუალო ფენა, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებისადმი იცავდა ნეიტრალიტეტს და მიმართავდა ლავირებას; 3. მასობრივი ნაწილი – საბჭოთა ხელისუფლების მხარდამჭერი. თანამედროვე რუსულ ისტორიოგრაფიაში სამართლიანად მიუთითებენ, რომ ი. ბ. სტალინის ეს მოსაზრება და ინტელიგენციის აღნიშნული კლასიფიკაცია XX საუკუნის 50-იან წლების შუა ხანებამდე ბატონობდა საბჭოთა ისტორიოგრაფიაში.[6]

ასეთი კლასიფიკაცია, გარკვეულწილად, ისტორიულ სინამდვილეს შეესაბამება, რადგან როგორც ამ პრობლემის თანამედროვე რუსი მკვლევარი ი. კუპცოვა მიუთითებს, რევოლუციამდე რუსეთის ინტელიგენციაში შეძლებული ფენა 5-15 პროცენტს შორის მერყეობდა. ეს კი იმის მაჩვენებელი იყო, რომ რევოლუციამდელ რუსეთში ინტელიგენციის უდიდესი ნაწილი, მართლაც, გაუსაძლის სოციალურ პირობებში ცხოვრობდა, რაც აპირობებდა ინტელიგენციის ამ ნაწილის არსებული რეალობების წინააღმდეგ განსაკუთრებულ რადიკალიზმს. არ უნდა დიდი სიბრძნე იმას, რომ განსხვავებული იყო პოლიტიკური შეხედულებები მრავალრიცხოვანი ჰონორარებისა და საერთაშორისო აღიარების მქონე მომღერალ თ. შალიაპინის და ქუთაისის გიმნაზიის რიგით პედაგოგს შორის.

საბჭოთა ისტორიოგრაფიამ ძალიან გააააფართოვა ინტელიგენციის სოციალური ფენის ჩარჩოები, მასში შეიყვანა სახელმწიფო ადმინისტრაციული აპარატის მთელი შემადგენლობა.[7]

ჩვენ მხარს ვუჭერთ იმ მოსაზრებას, რომ ინტელიგენციას მიეკუთვნებიან არა საერთოდ გონებრივი შრომის მუშაკები, არამედ მხოლოდ ისინი, ვინც „გონებრივი შრომით დაკავებულია პროფესიონალურად, რომელთათვის გონებრივი შრომა არსებობის წყაროს წარმოადგენს“.[8]

სწორედ ამ თვალსაზრისით შევისწავლეთ ჩვენ საქართველოს ინტელიგენციისა და კომუნისტური სახელმწიფოს ურთიერთობის პრობლემა საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრების პირველ ეტაპზე – 1921-1923 წლებში: როგორ დახვდა საქართვე-

ლოს ინტელიგენცია ახალ, მანამდე ჯერ უცნობ სახელმწიფო წესწყობილებას და როგორი იყო ახალი ხელისუფლების მიერ განხორციელებულ პოლიტიკაზე მისი რეაქცია.

სანამ ამ საკითხს შევეხებოდეთ, გასარკვევია საქართველოში თვითონ ინტელიგენციის საერთო რაოდენობა, მისი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.

სტატისტიკური მასალების ნაკლებობის გამო (სამწუხაროდ, 1926 წლის აღწერის დროს მოსახლეობას არ დაუსვეს კითხვა განათლების შესახებ, რაც როგორც სამართლიანად მიუთითებენ, ამ აღწერის სერიოზული ნაკლია) [9], ამიტომაც ჩვენ ცოტა შორიდან დავიწყებთ – რუსეთის იმპერიაში ჩატარებული 1897 წლის აღწერის მონაცემებით თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა შორის უმაღლესი საუნივერსიტეტო განათლება ჰქონდა 1062 კაცს, თბილისში ასეთი იყო 910 კაცი, თბილისის მაზრაში – 90. უმაღლესი ტექნიკური განათლება ჰქონდა 257 კაცს, ხოლო სპეციალური განათლება 596 კაცსა და 78 ქალს[10]. სასულიერო წოდებიდან გამოსულთ უმაღლესი საუნივერსიტეტო განათლება ჰქონდა 57 კაცს, უმაღლესი ტექნიკური – 9 კაცს, სპეციალური საშუალო – 67 კაცს. საპატიო მოქალაქეებსა და ვაჭრებს შორის უმაღლესი საუნივერსიტეტო განათლება ჰქონდა 253 კაცს, უმაღლესი ტექნიკური განათლება 48 კაცს, საშუალო სპეციალური განათლება – 460 კაცსა და 57 ქალს.[11]

ქუთაისის გუბერნიაში უმაღლესი საუნივერსიტეტო განათლების მქონე ადამიანთა რიცხვი საგრძნობლად დაბალია – თავაზანაურთა შორის ეს რიცხვია შემდეგი: 381 კაცი და 23 ქალი. უმაღლესი ტექნიკური განათლება აქვს 46 კაცს. საშუალო სპეციალური – 221 კაცსა და 22 ქალს.[12] სასულიერო წოდების წარმომადგენლებში საუნივერსიტეტო განათლება ჰქონდა სასულიერო წარმოშობის 26 კაცს, სპეციალური უმაღლესი ტექნიკური განათლება – 58 კაცს. საპატიო მოქალაქეებსა და ვაჭრებაში საუნივერსიტეტო განათლება ჰქონდა 41 კაცს.[13]

წარმოდგენილი მასალა აშკარად მიუთითებს, რომ საქართველოში მარტო თავადაზნაურთა წრიდან უმაღლესი საუნივერსიტეტო განათლება ჰქონდა XX საუკუნის დასაწყისში 1701 კაცს – რაც საკმაოდ დიდი მაჩვენებელია კოლონიალური ქვეყნისათვის. თუ ამას დავუმატებთ სხვა სოციალური ჯგუფების საუნივერსიტეტო განათლების მქონე პირთა რაოდენობას, ციფრი კიდევ უფრო შთამბეჭდავი იქნება. თუმცა, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ შემთხვევაში ამ საერთო რაოდენობაში საკმაოდ დიდი პროცენტი იქნება კოლონიალური ადმინისტრა-

ცია, რუსული ეროვნების წარმომადგენლები. სამწუხაროდ, აღნიშნული აღწერა არ გვაძლევს საშუალებას თვალი გავადევნოთ თბილისისა და ქუთაისის გუბერნიაში რა რაოდენობა იყო უმაღლესი განათლების მქონე ადამიანთა რიცხვი ქართველთა შორის. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რევოლუციური კატაკლიზმების გამო ინტელიგენციის ერთი ჯგუფი (მაგალითად, კოლონიალური ადმინისტრაცია) დატოვებდა საქართველოს, რაც გარკვეულწილად შეამცირებდა საერთო მონაცემებს. მიუხედავად ამისა, საქართველოში ინტელიგენცია მაინც სერიოზული სოციალური ძალა იყო. ამაზე აშკარად მიუთითებს ამიერკავკასიის ბოლშევიკების ლიდერის, სერგო ორჯონიკიძის გამოსვლა რკპ (ბ) ცკ 1924 წლის ოქტომბრის პლენუმზე, სადაც მან განაცხადა: „ქართველი ინტელიგენცია იმდენად მრავალრიცხოვანია, რომ მას შეუძლია ჩინოვნიკების მინოდება არამარტო საქართველოსათვის, არამედ მთელი კავკასიისათვის, ასევე რუსეთისათვის".[14]

საქართველოში ინტელიგენცია, ძირითადად, თბილისში იყო თავმოყრილი, რადგან თბილისი რუსეთის იმპერიის არსებობის ხანაში ამიერკავკასიის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცენტრი იყო. აქ ფუნქციონირებდნენ უმაღლესი სკოლები (უნივერსიტეტი, პოლიტექნიკური ინსტიტუტი, კონსერვატორია, სამხატვრო აკადემია), თეატრები (სახაზინო ოპერის, რუსთაველის სახელობის), თავმოყრილი იყო ჟურნალ-გაზეთების რედაქციების დიდი უმეტესობა.

ინტელიგენცია განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან როგორც სოციალური წარმოშობით, ისე იდეური სულისკვეთებით, სოციალური (მატერიალური) მდგომარეობით, მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებთან საკუთარი დამოკიდებულებით. უნდა ისიც გავითვალისწინოთ, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მომენტში საქართველოს ინტელიგენცია მკვეთრად იყო გამიჯნული პოლიტიკური ორიენტაციითაც. ქართველი სოციალ-დემოკრატების (მენშევიკების) რიგებში იყვნენ როგორც პარტიული, ისე შემოქმედებითი ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები (ნ.ჟორდანია, გრ. ლორთქიფანიძე და სხვ.), სოციალისტ-ფედერალისტების რიგებში იყვნენ გაერთიანებული ვ. კოტეტიშვილი, თ. ღლონტი, კ. გამსახურდია და სხვები. ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაში გაერთიანებული იყო ქართველი ინტელიგენციის მნიშვნელოვანი და გამორჩეული ნაწილი (ე. თაყაიშვილი, მ. ჯავახიშვილი, ს. კედია და სხვ.) საქართველოს კომუნისტურ პარტიასაც ჰყავდა თავისი ინტელი-

გენცია – ალ. სვანიძე, ფ. მახარაძე, მ. ტოროშელიძე, მ. ორახელაშვილი და სხვ. მათთან ერთად და მათ გვერდზე მოღვაწეობდნენ აპოლიტიკური ინტელიგენციის წარმომადგენელები, რომლებიც ძირითადად თავისი ვიწრო სპეციალობით იყვნენ დაკავებულნი, თუმცა ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე საკუთარი, გამოკვეთილი შეხედულებები ჰქონდათ.

ჩვენ წარმოვადგენთ რამდენიმე სასწავლო-შემოქმედებით ორგანიზაციის სტატისტიკურ მასალას, რომ ვნახოთ როგორი იყო 20-იანი წლების დასაწყისში საქართველოს ინტელიგენციის სოციალური სურათი, მათი რაოდენობრივი და თვისებრივი განვითარების დინამიკა, მათი მატერიალური მდგომარეობა და ა.შ.

საქართველოს ინტელიგენციის ყველაზე დიდი შემადგენლობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იყო თავმოყრილი. როგორც დასტურდება, 1919-1920 წლებში აქ ირიცხებოდა 64 მეცნიერი. 1920-1921 წლებში მათი რიცხვი გაორმაგდა და შეადგინა 136 კაცი, 1923 წელს უნივერსიტეტში უკვე 192 მეცნიერი მოღვაწეობდა .[15]

1924 წელს უნივერსიტეტში დასაქმებული იყო 37 პროფესორი, 22 დოცენტი, 38 ლექტორი, 57 უფროსი ასისტენტი, 29 უმცროსი ასისტენტი, 30 პრეპარატორი, 4 მხატვარი, 1 ხუროთმოძღვარი, 3 მხაზველი, რენტგენის კაბინეტის 1 ინჟინერი. [16]

საყურადღებოა პროფესორ-მასწავლებელთა სოციალური და ეროვნული შემადგენლობა. უნივერსიტეტის პროფესორებს შორის (42 კაცი), 4 იყო რუსი, 1 გერმანელი, დანარჩენი ქართველი. დოცენტებს შორის (21 კაცი) მხოლოდ 1 იყო სომეხი. ლექტორთა შორის (108 კაცი) რუსი იყო მხოლოდ 8, პოლონელი 1, ებრაელი – 3, გერმანელი – 1. როგორც მკვლევარი ლ. ბესელია ასკვნის, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობა 1924 წელს ძირითადად ქართულია (91.1%).

უნივერსიტეტის სოციალური შემადგენლობა ჭრელია. აქ წარმოდგენილი არიან თავადაზნაურობის, ვაჭართა სოციალური ფენის, სასულიერო წოდების, რაზნოჩინული ინტელიგენციის წარმომადგენლები. სამწუხაროდ უნივერსიტეტის იმჟამინდელი ყველა თანამშრომლის სოციალური მონაცემები შემორჩენილი არ არის, მაგრამ რაც არის – ისიც მეტად საინტერესო სურათს წარმოსახავს. პროფესორების 38 კაციან ჯგუფში (ეს ის რაოდენობაა ვისი სოციალური პასპორტი შემორჩენილია) თავადია 3, გლეხია – 4, მოქალაქე – 1, სოფლის მესაკუთრე – 1, სასულიერო წოდება – 3, აზნაური – 3, რაზნოჩინელი -9. დოცენტების 21 კაციან ჯგუფში ცნობილია მხოლოდ 15 პირის სოციალური კუთვ-

ნილება. მათ შორის თავადია – 3, გლეხი – 1, მოქალაქე – 3, მოსამსახურე – 8 და ა.შ. [17]

დასტურდება, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1924 წელს პროფესორ-მასწავლებელთა 6 კატეგორიიდან თავადაზნაურობას განეკუთვნებოდა 28 კაცი (18,7%), გლეხობას 31 კაცი (20,1%), მოქალაქე იყო 17 კაცი (11,4%), სასულიერო წოდებას 10 კაცი (6,7%), რაზნოჩინულ ინტელიგენციას წარმოადგენდა 40 კაცი (26,8%), მესაკუთრე იყო 7 კაცი (4,6 %).

ზემოთ მოტანილი მონაცემები აშკარად მიუთითებენ, რომ უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლების როგორც ეროვნული, ისე სოციალური პარამეტერები აშკარად შეუქმნიდნენ პრობლემებს საბჭოთა ხელისუფლებას – მისი შემადგენლობა ძირითადად ქართულია, რაც ეროვნული ფასეულობებისადმი მის ერთგულებას აპირობებდა, ამასთან საერთოდ არ არიან პროლეტარული წარმოშობის პირები, რაც კიდევ დამატებით პრობლემას შეუქმნიდა ახალ ხელისუფლებას.

ისტორიული კატაკლიზმების დროს მნიშვნელოვანი პარამეტრია – ასაკი, ის უზრუნველყოფს კოლექტივის მობილობას, ეპოქის ახალი იდეებისადმი მისი რეაგირების ხარისხს, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩაბმის ამპლიტუდას. შესწავლილია უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა ასაკობრივი სტრუქტურა სამი პარამეტრის გათვალისწინებით: 35 წლამდე, 35-50 წლები და 50 წელზე ზევით. ამ მონაცემებით, როგორც ჩანს, უნივერსიტეტში პროფესორთა შორის 50 წელს გადაცილებული მხოლოდ 14 კაცია, საშუალო ასაკის არის 10 კაცი, ახალგაზრდაა 1. 1924 წელს ყველაზე ახალგაზრდა პროფესორი იყო ნიკოლოზ მუსხელიშვილი. დოცენტებში 50 წელს გადაცილებულია 4 კაცი, საშუალო ასაკისაა 15, ახალგაზრდაა – 2. ლექტორთა შორის 50 წელს გადაცილებულია 10 კაცი. საშუალო ხნისაა – 45, ახალგაზრდაა 16 კაცი. ამ კატეგორიაში ყველაზე ახალგაზრდა იყო ვარლამ თოფურია, – ის იმჟამად მხოლოდ 23 წლის იყო.

შემაჯამებელი სტატისტიკური მონაცემები მიგვანიშნებენ ტენდენციაზე: ხნიერია უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლების მხოლოდ 17,9% (35 კაცი), საშუალო ასაკს განეკუთვნება 54,3 % (106 კაცი), ახალგაზრდაა 27, 6 % (54 კაცი). [18]

ამრიგად, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლობა გამოირჩევა ახალგაზრდული ენერგიით და მას შესწევს ფიზიკური ძალა აქტიურად ჩაებას საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ამასთან ერთად, შემორჩენილია თბილისის სახელმწიფო №1 კონსერვატორიის პროფესორ-მასწავლებელთა 1923 წლის

სტატისტიკა. ამ წელს სასწავლებელში მუშაობდა 79 კაცი, ქართველი იყო 15, რუსი – 24, ებრაელი – 10, სომეხი – 11, გერმანელი – 3, ლიტველი – 1, პოლონელი – 5, ბერძენი – 1, იტალიელი – 1.[19]

კონსერვატორიაში პროფესორთა შორის ქართველია მხოლოდ 3, რუსია – 6, ებრაელი – 2 და ა.შ. უფროს მასწავლებელს შორის (21 კაცი) ქართველია მხოლოდ ორი.

როგორც ვხედავთ, ქართველები უმცირესობაში არიან, ჭარბობენ ე.წ. „რუსულენოვანი მოსახლეობის" წარმომადგენლები, რაც თვითონ კონსერატორიის ტრადიციიდან გამომდინარეობს – უმაღლესი განათლების ეს ევროპული ფორმა საქართველოში რუსეთიდან შემოვიდა, საკუთარი ისტორიული ტრადიციები ამ დარგში საქართველოს არ ჰქონდა, პროფესიონალური ქართული მუსიკა ის ის იყო ყალიბდებოდა, ადგილზე მომზადებული კადრები არ იყო საკმარისი – ამიტომაც თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიას ეს „რუსულენოვნობა" კიდეე ძალიან დიდხანს გაჰყვება. ასეთი მდგომარეობა ამ შრომით ორგანიზაციას ინტერნაციონალისტური იდეოლოგიისადმი ლოიალურად განაწყობდა.

თბილისში იმჟამად რამდენიმე უცხოენოვანი (ფრანგული, გერმანული) ლიცეუმიც არსებობდა. ფრანგულ ლიცეუმში 1923 წელს 37 კაცი მუშაობდა, 8 იყო ფრანგი, 7 რუსი, 4 ქართველი, 6 სომეხი, 2 ინგლისელი, 1 ბელგიელი, 1 შვეიცარიელი, 1 ლიტველი.[20] კოლექტივის ასაკობრივი სტრუქტურა ასეთია – 30-წლამდე – 8 კაცი, 30-40 წლამდე – 16 კაცი, 40-50-წლამდე – 4, 60 წელზე მეტის – მხოლოდ 1.[21]ამრიგად ეს კოლექტივიც ძირითადად ახალგაზრდული, მობილური და ენერგიულია, მაგრამ ინტერნაციონალური იდეოლოგიისათვის აქაც აშკარად ნაყოფიერი ნიადაგია. ასეთივე მდგომარეობაა თბილისის რეალურ გერმანულ სკოლაში.[22]

უნდა აღინიშნოს, რომ ასევე მრავალეროვანი იყო თბილისში ახლადშექმნილი კინო-სექცია, სადაც 36 კაცი იყო დასაქმებული. ამ ორგანიზაციაში ქართველი იყო მხოლოდ 11.

თბილისის სამხატვრო აკადემიაშიც მსგავსი მდგომარეობაა – აქ სულ 18 კაცი იყო დასაქმებული. აქედან ქართველია 8, რუსი – 2, გერმანელი – 2, სომეხი – 1, ფრანგი – 1, პოლონელი – 1 და სხვა დანარჩენი – 1.[23] სამხატვრო აკადემიის თანამშრომელთა ასაკობრივი სტრუქტურა ასე გამოიყურება – 30 წლამდე – 2 კაცი, 30-40 წლის – 6 კაცი, 40-50 წლის – 6 კაცი, 50-60 წლის – 2, 60 წლის ზევით – 2. პროფესორ-მასწავლებელთა პროფესიული სტრუქტურა ასეთია – აკადემიაში მუშაობდა 6 მხატვარი, 2 მო-

ქანდაკე, 2 ხუროთმოძღვარი, 1 ხელოვნებათმცოდნე, 1 ანატომიის პროფესორი. თბილისის სამხატვრო აკადემიაში იმჟამად დასაქმებული იყვნენ: გ. ჩუბინაშვილი, ი. ნიკოლაძე, გ. გაბაშვილი, დ. შევარდნაძე (რექტორი), ლანსერე, შარლემანი და სხვ.

თბილისის შემოქმედებითი ოგანიზაციების ასეთი მრავალეროვანი შემადგენლობა, როგორც ზემოთ აღინიშნა, განპირობებული იყო თბილისის – როგორც ამიერკავკასიის კულტურული ცენტრის გამორჩეული მდგომარეობით. მთელი XIX საუკუნე თბილისის ეს ოფიციალური სტატუსი აპირობებდა ქართველების ისტორიული დედაქალაქის ზედმეტად ინტერნაციონალურ შემადგენლობას, რამაც კრიტიკულ ზღვარს XX საუკუნის 20-იან წლებში მიაღწია, როცა ქართველები საკუთარ დედაქალაქში მხოლოდ 33,5 პროცენტს შეადგენდნენ. ეს ვითარება მხოლოდ 50-იან წლების დასასრულს შეიცვალა ქართველთა სასარგებლოდ. თბილისის, საქართველოს დედაქალაქის ამ ზედმეტად მრავალეროვანმა შემადგენლობამაც შეასრულა გარკვეული როლი იმ პოლიტიკურ კატაკლიზმებში, რაც 20-იანი წლების დასაწყისში დატრიალდა საქართველოში.

როგორც დავინახეთ, მხოლოდ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ჰქონდა პოტენცია ყოფილიყო ქართული ეროვნულობის, ინტერესების დაცვის სადარაჯოზე, დანარჩენი კოლექტივები თავისი შემადგენლობით უფრო მზად იყვნენ ინტერნაციონალური იდეოლოგიისათვის, ვიდრე ნაციონალურის.

შედარებით განსხვავებული ვითარებაა ინტელიგენციის ისეთ მრავალრიცხოვან და ანგარიშგასაწევ ჯგუფთან, როგორიცაა სკოლის პედაგოგები. მათი რაოდენობა საქართველოში საკმაოდ დიდია. განათლების სახალხო კომისარიატის სისტემაში 1923 წელს დასაქმებული იყო 16 212 კაცი.[24]

ქალაქ თბილისში განათლების სისტემაში ჩაბმული იყო 2 276 კაცი, ქუთაისში 1168, გორის მაზრაში – 762, სიღნაღის მაზრაში – 620, ახალქალაქში – 271 და ა.შ. სახელმწიფო უნივერსიტეტში დასაქმებული იყო 573 კაცი, პოლიტექნიკურ ინსტიტუტში – 305, თბილისის 24 ტექნიკუმში – 759, სოციალური აღზრდის სისტემაში – 444, სახელოვნებო კომიტეტში – 185 და ა.შ. ეს უზარმაზარი არმია იყო, რომელსაც უკვე პირველი მსოფლიო ომის, საქართველოს პირველი რესპუბლიკისა და საბჭოთა სისტემის დამკვიდრების პირველ წლებში უამრავი პრობლემა ჰქონდა.

ინტელიგენციის პრობლემებს შორის უპირველესი – სოციალური პრობლემა ჩანს. უკვე 1921 წლის ივნისში საქართველოს მასწავლებელთა კავშირი საქართველოს რევკომისაგან

ითხოვდა 60 მილიონი მანეთით დახმარებას განსაკუთრებით მძიმე სოციალურ მდგომარეობაში მყოფი პედაგოგებისათვის.[25] რევკომისადმი გაგზავნილ კავშირის მიმართვაში ხაზგასმულია: „...იყო რწმენა, რომ ახალი ხელისუფლება და მისი დაბალი ორგანოები მასწავლებელს ყურადღებით და პატივისცემით მოეპყრობოდნენ, მაგრამ ის, რასაც არ მოველოდით – მოხდა. დღეს მასწავლებელი უუფლებო მდგომარეობაშია ჩავარდნილი .[26]

ამიერკავკასიის განათლების სისტემის თანამშრომელთა თათბირზე 1924 წელს ხაზგასმით აღინიშნა მასწავლებლის უმძიმესი მატერიალური მდგომარეობის შესახებ, მიზერული ხელფასი – 20 მანეთი, ცხოვრების სისტემატური გაძვირება.

რიგითი პედაგოგები კი არა, არამედ ღირსეული და დამსახურებული ქართველი და არაქართველი კულტურის მოღვაწეები უმძიმეს მატერიალურ ვითარებაში იყვნენ ჩავარდნილი. ამაზე მიუთითებს მათი კოლექტიური თუ ინდივიდუალური პეტიციები განათლების სახალხო კომისრისა თუ სახკომსაბჭოს თავმჯდომარის სახელზე. ცნობილი ქართველი მსახიობი ქალი ელისაბედ ჩერქეზიშვილი საქართველოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს წერდა: „ვინ არ იცის, რომ თქვენ დიდ ყურადღებას აქცევთ საზოგადოდ მსახიობებს და განსაკუთრებით ქართველ მსახიობებს. მეც წილად მხვდა თქვენგან უხვად გაცემული“ და თხოვს 5 მილიონ მანეთს.[27] ერთ-ერთ თავის წერილში სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის სახელზე ცნობილი მსახიობი დეტალურად ჩამოთვლის იმ დეფიციტური საქონელის ნუსხას, რომლის მიღება მისი დახმარებით უნდა: წინდები, საპალტოვე ქსოვილი, ჩითი, მიტკალი და მრავალი სხვა ყოფითი ნივთი.

მწერალი-ფელეტონისტი ვანო დუშელი (სავარსამიძე) წერდა სახალხო კომისარს – აუტანელი გაჭირვება და სულმხუთავი ჩემი ოჯახური გარემოება მაიძულებს შევაწუხო მთავრობა შემწეობის აღმოსაჩენად.[28] მგოსანი ქალი ბაბილინა თავის წერილში დაუფარავად აღნიშნავდა: „შიმშილისა და მოუვლელობის გამო ბავშვები ავად გამიხდნენ, არა მაქვს საშუალება ავადმყოფ ბავშვებს ერთი კვერცხი და ერთი ჭიქა რძე ვუყიდო“.[29] მწერალი პეტრე მირიანაშვილი თავის პეტიციაში აღნიშნავდა: „ჩემი ეკონომიკური მდგომარეობა ძალზე შეირყა“.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომელთა კოლექტიურ პეტიციაში საუბარი იყო იმ 1/4 გირვანქა პურზე, რასაც ისინი იღებდნენ უნივერსიტეტის სასადილოში და რაც მათ საარსებოდ არ ყოფნიდათ. ისინი ითხოვდნენ მთავრობისა-

გან 15 მილიონი მანეთით დახმარებას, რომ სასურსათო მდგომარეობა გამოესწორებინათ.[30]

მსგავსი შინაარსის წერილები ძალიან ბევრია. ისინი გამოხატავენ საქართველოს ინტელიგენციის გაუსაძლის ეკონომიკურ მდგომარეობას, რაც ხელისუფლებისაგან გადაუდებელ რეაგირებას მოითხოვდა. როგორი იყო საბჭოთა ხელისუფლების პოზიცია?

საქართველოს ინტელიგენციის შესახებ სერიოზული საუბარი უშუალოდ ვ.ი.ლენინმა დაიწყო. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, საქართველოს კომუნისტ-ლიდერებთან ვ.ი. ლენინის პირველი სატელეფონო საუბრის შინაარსი, გარკვეულწილად, სწორედ საქართველოს ინტელიგენციას შეეხო. ვ.ი.ლენინი ს. ორჯონიკიძეს, მ. ორახელაშვილსა და შ. ელიავას ურჩევდა: – „საჭიროა განსაკუთრებით შელავათიანი პოლიტიკა ქართველი ინტელიგენციის მიმართ". ვ.ი.ლენინის ამ ნათქვამს ს. ორჯონიკიძემ ასე უპასუხა – „ინტელიგენციასთან კონტაქტი და ურთიერთობა მიმდინარეობს, რაც კი შეიძლება კეთდება..." ს. ორჯონიკიძის ამ სიტყვებს მ. ორახელაშვილმა და შ. ელიავამ დაუმატეს შემდეგი: „ქართველ და საზოგადოდ ადგილობრივ ინტელიგენციას ჩვენ ვექცევით ნდობით, ჩვენ ვცდილობთ ჩავაყენოთ ინტელიგენცია შრომისათვის საუკეთესო პირობებში და მივცეთ სრული თავისუფლება განავითარონ საღი ნაციონალური კულტურა სამშობლო ენის ნიადაგზე".[31]

მეტად საგულისხმოა, რომ სანამ ვ.ი.ლენინთან ასეთი საუბარი შედგებოდა, შალვა ელიავა წინა დღეს, 2 მარტს სახელმწიფო თეატრში შეხვდა თბილისის ინტელიგენციის წარმომადგენლებს – ხელოვნების მუშაკებს. შეკრებაზე იყო 1335 კაცი, რაც იმჟამინდელი თბილისისათვის საკმაოდ დიდი რიცხვია. სამწუხაროდ, არ ვიცით ხელოვნების რომელი დარგის და რომელი თვალსაჩინო წარმომადგენელი დაესწრო ამ შეხვედრას, მაგრამ ცნობილია, რომ შ. ელიავამ ამ შეხვედრაზე ქართველი კომუნისტების სახელით სრული თანადგომა და მხარდაჭერა აღუთქვა ინტელიგენციას და განაცხადა შემდეგი: „ჩვენი სახელმწიფო აბსოლუტურად სუვერენულია ეროვნული სახელმწიფოსა და კულტურის აღმშენებლობის საქმეში და დამოუკიდებელ საბჭოთა საქართველოში ადგილი არ ექნება კოლონიალიზმსა და ძალმომრეობას, საბჭოთა რესპუბლიკა პირველია, რომ სახელმწიფო ყოველმხრივ ეხმარება ხელოვნებისა და კულტურის ასპარეზზე მომუშავეთ, ჩვენ ისეთი მთავრობა ვართ, რომ კი არა ვშლით ნა-

ციონალურ თავისუფლებას, არამედ ვიცავთ მას და უზრუნველ-ყოფთ მის თავისუფალ განვითარებას.“ [32]

სამწუხაროდ, ამ საგაზეთო ინფორმაციაში არ ჩანს რო-გორ შეხვდა დამსწრე საზოგადოება შ. ელიავას ამ განცხადებას, ვინ გამოვიდა საპასუხო სიტყვით, იყო თუ არა აზრთა გაცვლა-გამოცვლა, როგორი იყო დარაბაზის რეაქცია.

სამაგიეროდ ცნობილია, რომ უკვე მეორე დღეს, 3 მარტს ხელოვანთა სასახლეში (ხოშტარიას ყოფილი სახლი) კვლავ შედ-გა შალვა ელიავას შეხვედრა ხელოვნებისა და კულტურის წარ-მომადგენლებთან. ვვარაუდობთ, რომ ეს შეხვედრა შეიძლება რაღაცით უკავშირდებოდეს ვ.ი.ლენინთან უკვე შემდგარ სატე-ლეფონო საუბარს და მიზნად ისახავდა სწორედ ამ საუბარზე ადგილობრივი კომუნისტი-ლიდერების სწრაფი რეაქციის დე-მონსტრაციას. ეს შეხვედრა ამჯერად გახსნა პოეტმა პაოლო იაშვილმა, რომელმაც აუწყა დამსწრე საზოგადოებას, რომ რევ-კომის გადაწყვეტილებით ა. ხოშტარიას სახლი გადავიდა ქართ-ველ მწერალთა კავშირის სრულ განკარგულებაში. ამ შეხვედრა-ზე აირჩიეს დროებითი კომიტეტი, რომელშიც შევიდნენ მწე-რალთა კავშირის სამი წარმომადგენელი, ორ-ორი წარმომადგე-ნელი გააგზავნეს თეატრალურ მოღვაწეთა კავშირმა, მხატვ-რებმა და მუსიკოსებმა. [33]

აშკარაა, რომ ქართველი ინტელიგენციის ერთი ჯგუფი არ დაელოდა მოვლენების განვითარებას, და ძალიან მალე დაიწყო კონტაქტი საოკუპაციო ხელისუფლებასთან. ისიც ხაზგასასმე-ლია, რომ ეს შეხვედრები მოხდა კოჯრის მიდამოებში სისხლიანი შეტაკებების, თბილისის ძალით აღების შემდეგ, კოჯრის მსხვერპლთა დასაფლავებამდე – 4 მარტამდე. იმ დღეს კი ალექ-სანდრეს ბაღის საძმო სასაფლაოში დაასაფლავეს ძმათამკვლელ ომში დაღუპული დაპირისპირებული მხარის 42 ჯარისკაცი. გა-ზეთი „კომუნისტი“ ამ ფაქტთან დაკავშირებით ასეთ კომენტარს აკეთებდა; „სიმბოლოა ის, რომ ალექსანდროვის ბაღის ერთ დიდ გათხრილ სამარეში, ერთად მოთავსდებიან ერთი-მეორეს წინააღ-მდეგ ბრძოლაში დაღუპული მუშებისა და გლეხების შვილები.“ [34]

ზემოთ ჩვენს მიერ მოტანილ ფაქტებში ქართველი ინტე-ლიგენციის გარკვეული ჯგუფის ქმედება იქცევს ყურადღებას – თუ დღეს საყოველთაოდ აღიარებული შეხედულებით, ხოლო იმ-ჟამად ინტელიგენციის ბევრი წარმომადგენელიც ასე ფიქრობ-და, – მოხდა საქართველოს ხელმეორე ოკუპაცია რუსეთის მხრიდან, რომ ქართველი კომუნისტები იყვნენ კრემლის ლიდე-რების ტიპიური მარიონეტები, რომ სწორედ ქართველი კომუ-

ნისტების დახმარებით დაიპყრო რუსეთმა ხელმეორედ საქართველო, მაშინ ყოველგვარი კონტაქტი, ერთობლივი საქმიანობა, საჩუქრების მიღება უნდა შეფასდეს კოლაბორაციონისტულ საქმიანობად. მოვლენათა ლოგიკა მოითხოვდა ასეთი ხელისუფლებისაგან ტოტალურ დისტანცირებას, განსაკუთრებით ერის წინამძოლთაგან- ქართველი ინტელიგენციისაგან, ასეთი ხელისუფლების სრულ იზოლაციას და მის წინააღმდეგ ბრძოლის დაწყებას და არა სახელმწიფო თეატრებში შეხვედრებზე სიარულს და მათი ახსნა-განმარტებების მოსმენას. ამრიგად, საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობისა თუ კონფორმიზმის პირველი ელემენტები ქართველ ინტელიგენციაში გაჩნდა ოკუპაციის პირველი დღეებიდან და ამ ინტელიგენციის რიგებში თვალსაჩინო ქართველი მოღვაწენიც იდგნენ.

ამ თვალსაზრისით ვითარება მეტად საგულისხმოა – აშკარად გამოიკვეთა ინტელიგენციის ორი ბანაკი – შემოქმედებითი და პოლიტიკური.

პოლიტიკურ ინტელიგენციაშიც მოხდა გამიჯვნა – ეროვნულ დემოკრატები, სოციალ-დემოკრატები, მემარჯვენე სოციალისტ-ფედერალისტები საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ იყენებდნენ აშკარად შეიარაღებული ბრძოლის მეთოდს (ეს ცხადყო სვანეთის 1921-1922, ხევსურეთის 1922 წლების აჯანყებებმა). მათი ინიციატივითა და ხელშეწყობით იქმნებოდა პარტიზანული დაჯგუფებები სვანეთში, კახეთში, ქართლში.

ინტელიგენციის საკმაოდ დიდი ჯგუფი კი აშკარად თვლის, რომ ნებისმიერ შემთხვევაში საჭიროა ქართული კულტურის, მეცნიერების, ხელოვნების, ლიტერატურის, ქართული სკოლის განვითარება, რომ თუ საქართველოს ახალი ხელისუფლება ამას უზრუნველყოფს – მასთან თანამშრომლობა შესაძლებელია და საჭიროც კი.

ჩვენი აზრით, ასეთი სულისკვეთების მიზეზი უნდა ვეძებოთ იმაში, რომ დემოკრატიული საქართველოს ხელისუფლება ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო ვერ ახერხებდა სათანადო ყურადღება მიექცია საქართველოს შემოქმედებითი ინტელიგენციისათვის, განათლებისათვის, მეცნიერებისათვის. ასეთი ვითარების შესაძლებლობაზე მიგვანიშნებს სხვადასხვა ქართველი თვალსაჩინო მოღვაწის, შემოქმედებითი გაერთიანების ხელმძღვანელთა გამონათქვამები, მოსაზრებები. მაგალითად, ივანე ჯავახიშვილმა 1921 წლის 9 ნოემბერს სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე განაცხადა: „საბჭოს დიდი მოვა-

ლეობა აწევს და დიდი სამსახურის გაწევა შეუძლია. თუ წარსულს გადავავლებთ თვალს აღვადგენთ იმ დაუმთავრებელ მემკვიდრეობას (ხაზგასმა ჩემია – ა.დ.), რომელიც დაგვიტოვა ყოფილმა სასწავლო კომიტეტმა, რომლის წევრები **ჩვენ თითქმის ყველა ვიყავით და რომლის დამთავრებასაც** (ხაზგასმა ჩვენია – ა.დ.) გვაკისრებს ახალი წესდება".[36] ამ სიტყვებში კარგად ჩანს ქართველი ინტელიგენტის კრედო – ყოველ ვითარებაში გაკეთდეს, დასრულდეს ქართველი ხალხისათვის საჭირო ეროვნული მნიშვნელობის საქმე.

ხაზი უნდა გაესვას ვითარებას, რომ სახელმწიფო სუბსიდიები, მეცნიერ-ხელოვანთათვის ნორმალური ცხოვრებისა და შემოქმედებისათვის პირობების შექმნა იმ საზოგადოებაში- სადაც უკვე აღარ არიან კერძო მეცენატი-მილიონერები (ზუბალაშვილები, ხოშტარიები, სარაჯიშვილები) – მხოლოდ სახელმწიფოს პრეროგატივაა, მას ხელეწიფება იყოს მეცენატი, დააფინანსოს მეცნიერების, კულტურის განვითარება, რის გარეშე შეუძლებელია რაიმე რეალური და დიდი საქმის გაკეთება. ამრიგად, უკვე თვითონ საბჭოთა ეკონომიკური სისტემა უბიძგებდა ხელოვნებისა და კულტურის იმ წარმომადგენლებს, რომლებსაც დიდი სუბსიდიები ჭირდებოდათ, მოენახათ მისასვლელი გზები და კომპრომისები საბჭოთა სახელმწიფოს ოფიციალურ სტრუქტურებთან.

დოკუმენტურად დასტურდება, რომ თვითონ კომუნისტური საქართველოს ხელისუფლებაც 1921-1923 წლების პერიოდში, ცდილობდა ინტელიგენციის, განსაკუთრებით ლოიალური ინტელიგენციის გულის მოგებას, მათი ინტერესების გათვალისწინებას. ვვარაუდობთ, რომ ამ საქმეში გარკვეული დამსახურება შეიძლება ჰქონოდა ალექსანდრე (ალიოშა) სვანიძეს, ი.ბ. სტალინის ცოლისძმას), იენის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულ ნიჭიერ ორიენტალისტს, რომელიც თვით ივანე ჯავახიშვილმა მიიწვია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მას, უდავოდ, ექნებოდა გარკვეული კავშირები ქართული ინტელიგენციის (განსაკუთრებით საუნივერსიტეტო ინტელიგენციის) წარმომადგენლებთან. ის გარკვეულ პერიოდში, მცირე ხნით განათლების სახალხო კომისარიც კი იყო, ხოლო შემდეგ ხელმძღვანელობდა საბჭოთა საქართველოს საგარეო საქმეთა კომისარიატსაც და შეეცდებოდა დაემყარებინა ლოიალური კავშირი ახალ რეჟიმსა და ინტელიგენციას შორის.

არ უნდა იყოს მიუღებელი არც ის ვარაუდი, რომ სწორედ ალექსანდრე (ალიოშა) სვანიძის ფაქტორმა, იმან რომ ის თბილისის უნივერსიტეტის ლექტორი იყო, უბიძგა უნივერსიტეტის

რექტორს, ივანე ჯავახიშვილს ერთ-ერთ პირველს დაემყარებინა საქმიანი კავშირი ახალ სახელმწიფო სტრუქტურებთან. უკვე 1921 წლის აპრილში არის რამდენიმე ოფიციალური თხოვნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის ხელმოწერით, რომლის მიზანია უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური და ორგანიზაციული ბაზის განმტკიცება. არის ივ. ჯავახიშვილის ოფიციალური თხოვნა უნივერსიტეტში აგრარული ფაკულტეტის გახსნის მიზნით სახელმწიფოს დახმარებისა და ამ მიზნით უნივერსიტეტისათვის რომელიმე კულტურული მამულის გადაცემის თაობაზე[35],ასევე, უნივერსიტეტის სახელით ივ. ჯავახიშვილი ითხოვს მატერიალურ დახმარებას უნივერსიტეტის ბიბლიოთეკისათვის ახალი სამეცნიერო ლიტერატურის შესაძენად.[36]

ივანე ჯავახიშვილის საქმიანი წერილების შინაარსი არის მუდამ ერთი – ზრუნვა ახლადგახსნილი უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური თუ ორგანიზაციული ბაზის განსამტკიცებლად, სამეცნიერო კადრებისათვის შესაფერისი შემოქმედებითი პირობების შექმნა, საზღვარგარეთ სამეცნიერო მივლინებების დაფინასება და ა.შ. ის ამას აკეთებდა, ალბათ, დემოკრატიული საქართველოს პირობებში და ამასვე აგრძელებდა ახლა.

მაგრამ არის საკმაოდ დიდი ნაწილი ქართველი ინტელიგენციისა, რომლებიც ითხოვენ პირად დახმარებას, მხოლოდ საკუთარი ცხოვრებისა თუ შემოქმედებითი პირობების გაუმჯობესებას. მაგალითად, მსახიობი ელ. ჩერქეზიშვილი დამატებით ითხოვდა მატერიალურ დახმარებას აგარაკის დასამთავრებლად, იაკობ ნიკოლაძე ითხოვდა საკმაოდ დიდ ფინანსურ დახმარებას თავისი სტუდია-ატელიეს დასაფინანსებლად. ეს უკანასკნელი საკითხი საქართველოს სსრ სახკომსაბჭომ არა ერთხელ განიხილა და დადებითად გადაწყვიტა (ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს მკითხველისათვის, რომ იაკობ ნიკოლაძე დამფუძნებელ კრებას, სულ რამდენიმე თვის წინ, ასევე გულმოდგინებით თხოვდა 200 000 მანეთს ქუთაისური ქვისაგან ნ. ჟორდანიას ბიუსტის გასაკეთებლად).[37]

ახალი, საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკა ინტელიგენციის მიმართ რუსეთში უკვე აპრობირებული იყო – ლოიალურ ინტელიგენციას მაქსიმალური ყურადღება და ხელშეწყობა, ანტისაბჭოთა ინტელიგენციას – დევნა -შევიწროება, შრომაგასწორების ბანაკებში მოთავსება. თუმცა, 1921-1922 წლებში ქართველი შემოქმედებითი ინტელიგენციისადმი საბჭოთა ხელისუფლების დამოკიდებულება ჯერ კიდევ შემწყნარებლურია. ეს

ჩინებულად ჩანს მწერალ კ. გამსახურდიას მაგალითზე. კონსტანტინე გამსახურდია იმჟამად ახალგაზრდა, 28 წლის მეცნიერი და მწერალი იყო. ის თბილისის უნივერსიტეტში დასავლეთ ევროპის ლიტერატურის კურსს კითხულობდა, ემხრობოდა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტებს და მათ გაზეთებში აქტიურად თანამშრომლობდა კიდეც. კ. გამსახურდიამ 1921 წლის ზაფხულში ღია წერილი გაუგზავნა ვ.ი.ლენინს, რომელშიც ხაზგასმით მიუთითა: „დღეს სულ ორიოდე თვეც არ გასულა და წითელმა რუსეთმა მოსპო ჩვენში ისეთი მთავარი ატრიბუტი სახელმწიფოებრიობისა, როგორიცაა საზღვრები, რკინის გზა და ვინ არ იცის, რომ ქართული ენა საქართველოში პრაქტიკულად სახელმწიფო ენა აღარ არის“.[38]

კ. გამსახურდიას ამ ახალგაზრულ სითამამეს მაინცდამაინც მკაცრი რეაგირება არ მოჰყოლია, თუმცა ოფიციოზმა „კომუნისტმა“ მაინც ჩათვალა თავი ვალდებულად „გაეცამტვერებინა“ გამსახურდიას არგუმენტები სახელმწიფოებრიობის ატრიბუტების მოსპობის შესახებ. მიუხედავად ამისა, როცა კ. გამსახურდიას დასჭირდა 1923 წელს საზღვარგარეთ შემოქმედებითი მივლინება, რათა დაესრულებინა საკუთარი განათლება, საქართველოს სსრ სახკომსაბჭომ მისი მივლინების საკითხი არა ერთხელ განიხილა და 1923 წლის თებერვალში მიიღო დადებითი გადაწყვეტილება.[39] კონსტანტინე გამსახურდია პარიზში გაემგზავრა.

არსებული საარქივო მასალა დაბეჯითებით მიუთითებს, რომ საბჭოთა ხელისუფლება „სოვეტიზაციის“ პირველი თვეებიდანვე ცდილობს საქართველოს ინტელექტუალური ელიტის კეთილგანწყობის „ყიდვას“: ეს არის სპეციალური სუბსიდიები, სასათბურო პირობების შექმნა, სპეციალური სამთავრობო „ულუფები“, მატერიალური წახალისება, აგარაკებით უზრუნველყოფა და ა.შ.

ასე მაგალითად, საბჭოთა მთავრობამ 1921 წლის 29 აპრილს განიხილა მოსე ჯანაშვილის თხოვნა დაეფინანსებინა მისთვის რუსულ-ქართული ლექსიკონის გამოცემა, რომელიც 105 442 სიტყვას შეიცავდა.[40] საქართველოს რევკომის გადაწყვეტილებით ცნობილ ქართველ მსახიობს ვასილ (ვასო) აბაშიძეს, დაენიშნა სრული სახელმწიფო უზრუნველყოფა- „სახელმწიფო ხარჯზე რჩენა-შენახვა, ყოველგვარი საშუალებით უზრუნველყოფა სურსათ-სანოვაგით და ტანსაცმლით “. თბილისის რევკომს დაევალა ქალაქის ცენტრში სახელოვანი მსახიობისათვის კეთილმოწყობილი ბინის გამონახვა.[41] ცნობილ მეცნიერსა და

პუბლიცისტს ზაქარია ჭიჭინაძეს მისცეს ერთდროული დახმარება 15 მილიონი მანეთი, გადაუხადეს დიდებული იუბილე.[42] მწერალ ქალს ერისთავ-ხოშტარიას და მის მეუღლეს დუტუ მეგრელს ასევე მისცეს ერთდროული დახმარება 10 მილიონი მანეთის ოდენობით.[43] 15 მილიონი მანეთით დაეხმარნენ ცნობილი რევოლუციონერების ალიოშა წულუკიძისა და არსენა ჯორჯიაშვილის მშობლებს.ასეთი ფაქტები ძალიან ბევრია.

მეტად საყურადღებოა განათლების სახალხო კომისრის დ. კანდელაკის 1921 წლის 10 აგვისტოს წერილი ივ. ჯავახიშვილისადმი – „ვინაიდან მთელი წლის განმავლობაში განუწყვეტლივ ეწეოდით ნაყოფიერ სამეცნიერო მუშაობას, ამ ზაფხულს, თუ გსურთ, ისარგებლეთ დამსახურებული შვებულებით. კომისარიატი გაძლევთ ერთდროულ დახმარებას 15 მილიონს“. [44]

ივანე ჯავახიშვილის რეკომენდაციით, გამოჩენილ ქართველ მეცნიერებს: პეტრე მელიქიშვილს, ანდრია რაზმაძეს, სვიმონ ამირეჯიბს, დიმიტრი უზნაძეს, კორნელი კეკელიძეს მისცეს თვითეულს 10-10 მილიონი მანეთი და გაუშვეს აბასთუმანში დასასვენებლად.[45] ერთდროული დახმარება და აბასთუმნის საგზურები მისცეს ცნობილ ქართველ კომპოზიტორებს – ზაქარია ფალიაშვილს და დიმიტრი არაყიშვილს.[46]

ყოველივე დაგვირგვინდა იმით, რომ საბჭოთა სახელმწიფომ მიიღო გადაწყვეტილება – ხელოვნებისა და კულტურის 140 დამსახურებულ მოღვაწეს დანიშნოდა სპეციალური სახელმწიფო დახმარება. ამ სიაში, მართლაც ქართული ინტელიგენციის ელიტაა: დავით კლდიაშვილი, ვასილ ბარნოვი, შიო მღვიმელი, ზაქარია ჭიჭინაძე, ეკატერინე გაბაშვილი, ანასტასია ერისთავი-ხოშტარია, ოვანეს თუმანიანის ქვრივი, არტურ ლაისტი, ილია ჭავჭავაძის ქვრივი, ვაჟა ფშაველას ქვრივი (სიაში ის გადაშლილია[47], ვასო აბაშიძე, მაკო საფაროვა-აბაშიძე, ელ. ჩერქეზიშვილი, ვანო სარაჯიშვილი, ვალერიან გუნია, ეფემია მესხი, სოფრომ მგალობლიშვილი, ბაჩანა (გადაშლილია), შალვა დადიანი, მოსე თოიძე, ნიკო ლომოურის ქვრივი, ანტონ ფურცელაძის ქვრივი, ბაბილინა და მრავალი სხვა. [48]

ამ ფულად სუბსიდიებს, მატერიალურ დახმარებებს ინტელიგენციის ეს ელიტარული ნაწილი კმაყოფილებით იღებდა და ბევრი მათგანი ცდილობდა მათი რაოდენობა გაეზარდა კიდეც საკუთარ დამსახურებაზე აქცენტის გაძლიერებით. საბჭოთა ისტორიოგრაფია ამ მოვლენას აფასებდა „სახალხო ინტელიგენციაზე პარტიის ლენინური ზრუნვით“. თუ ჩავთვლით, რომ საქართველო ოკუპირებული იყო რუსეთის წითელი ჯარების მიერ

და საქართველოს მთავრობა მოსკოვის კრემლის ხელისუფლების ტიპიური მარიონეტი იყო, აშკარაა, რომ საქართველოს ინტელიგენცია ვერ გაერკვა მოვლენებში და ძალიან მალე დაიწყო მატერიალური წახალისებების მიღება ოკუპანტებისაგან...

საბჭოთა ხელისუფლება ინტელიგენციის ყველა წარმომადგენლის მიმართ არ იყო ასეთი გულუხვი. განსაკუთრებით ეჭვის თვალით უყურებდნენ პარტიულ ინტელიგენციას, სამხედრო ინტელიგენციას, სოციალ-დემოკრატებს, მემარჯვენე სოციალისტ-ფედერალისტებს, ეროვნულ დემოკრატებს. მათ ფულს კი არ აძლევდნენ, რაც ჰქონდათ იმასაც ართმევდნენ. მაგალითად, სოციალ-დემოკრატიის ერთ-ერთი ლიდერი სეით დევდარიანი, რომელიც საქართველოში დარჩა და ცდილობდა გამოეყენებინა საბჭოთა ხელისუფლების პირველ თვეებში ლეგალური მუშაობის შესაძლებლობები, 1921 წლის აპრილში სამტრედიახონის გზაზე დააკავეს. სოფლის რევკომმა ის გაჩხრიკა, აღმოუჩინა 6,5 მილიონი მანეთი და დააპატიმრა. ჩაითვალა, რომ ეს თანხა მას ჭირდებოდა საქართველოში სოციალ-დემოკრატიული აგიტაციის გასაძლიერებლად.[49]

სეით დევდარიანის პოლიტიკური ფიგურა იმითაც არის საინტერესო, რომ მოსკოვის სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში, სტალინის ფონდში მივაკვლიეთ ს. ორჯონიკიძისადმი გამოგზავნილ სტალინის საიდუმლო დეპეშას, რომლის შინაარსი მთლიანად სეით დევდარიანს ეხება და სტალინისეული კრიტიკული შეფასებაა მოცემული.: „შენ მეკითხები მე აზრს დევდარიანზე, აი ის -1) დევდარიანი, როგორც ჩანს, „სოციალისტიჩესკი ვესტნიკის“ რედაქციის იმ ნაწილის თვალსაზრისზე დგას, რომელსაც სათავეში უდგას დანი, რომელმაც სულ ახლახან განაცხადა საბჭოთა კონსტიტუციის ფარგლებში ლეგალური ოპოზიციის იდეა. მენშევიკების ამ ნაწილს იმედი აქვთ გახრწნან საბჭოთა ხელისუფლება ლეგალური ოპოზიციის საშუალებით და ფიქრობენ ამავე მიზნით, დრო და დრო, თავის საქმიანობაში ბლოკი შეკრან ჩვენი პარტიის მემარცხენე და გლეხობის ოპოზიციურად განწყობილ ელემენტებთან, იმ მიზნით, რომ შემდეგ შეამზადონ პირობები ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რესპუბლიკისათვის. მე ეჭვიც არ მეპარება, რომ დევდარიანი ამ პოზიციაზე დგას. 2) მე ეჭვიც არ მეპარება, რომ დევდარიანი და მისი ჯგუფი მენშევიზმის ყველაზე მავნე ელემენტია რუსეთში, განსაკუთრებით ახლა, ნეპის პირობებში. ჩემი რჩევაა – გამოიყენეთ დევდარიანი მოკლე ხნის მანძილზე, რათა გახრწნათ მენშევიკი მუშები, თუკი ასეთი ჯერ კიდევ

დარჩა საქართველოში, ხოლო შემდეგ მოისროლეთ ის საზღვარგარეთ, აუცილებლად მოისროლეთ".[50]

ასეთი კრიტიკული, თითქმის აუტანელი დამოკიდებულება განსხვავებული აზრის მქონე ინტელიგენციის მიმართ კიდევ უფრო ძლიერდებოდა იმის მიხედვით, თუ რა დონით მონაწილეობდა ინტელიგენციის ესა თუ ის წარმომადგენელი ანტისაბჭოთა მოძრაობაში, გამოსვლებში, პოლიტიკურ აქციებში. საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან კრიტიკული რეაქცია განსაკუთრებით ძლიერდებოდა, თუ „დამრღვევი" საბჭოთა „წყალობას" იღებდა და ის ლოიალურ პიროვნებად ითვლებოდა.

საერთოდ, იმჟამინდელი ვითარების ღრმად გაცნობა გვიმტკიცებს აზრს, რომ ქართველი ინტელიგენციის გარკვეული ჯგუფებისათვის დამახასიათებელი იყო ისეთი ქმედება, რასაც ვერ ვუწოდებთ ოკუპანტი ხელისუფლებისადმი პატრიოტი ინტელიგენციის დამოკიდებულებას. მათი ხშირი, თუნდაც საქმიანი, კონტაქტები ოკუპანტებთან გვიბიძგებს ვამტკიცოთ ან კონფორმიზმის ჩამოყალიბების დასაწყისი, ან კოლაბორაციონისტობა, ან შეიძლება იყო კიდეც რწმენა, რომ ახალი ხელისუფლება შეუქმნიდა მათ უკეთეს პირობებს შემოქმედებითი ცხოვრებისათვის და ამის გამო შეიძლებოდა გარკვეულ კომპრომისზე წასვლა?

მკვლევარი ს. ჯორბენაძის მტკიცებით, ივ. ჯავახიშვილი საბჭოთა ხელმძღვანელებს ეწვია უკვე 1921 წლის 26 თებერვალს, ის შეხვდა მ. ორახელაშვილს და ჰქონდა საუბარი უნივერსიტეტის მომავალი განვითარების აქტუალურ საკითხებზე.[51] ცოტა მოგვიანებით ივ. ჯავახიშვილი დათანხმდა სათავეში ჩადგომოდა სახელმწიფო კომისიას, რომელსაც დაევალა საქართველოს მუზეუმების ექსპერტიზა. ღვაწლმოსილი მამულიშვილი იყო აკადემიური ცენტრის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეც.

მართალია, ს. ჯორბენაძე ამ შემთხვევაში წყაროს არ უთითებს, მაგრამ ჩვენც ვეთანხმებით მკვლევარს – საბჭოთა ხელისუფლების პირველ თვეებში უნივერსიტეტის საქმეებთან დაკავშირებით ივ. ჯავახიშვილს ინტენსიური კავშირი ჰქონდა საბჭოთა ხელისუფლებასთან. ისინიც, როგორც ზემოთ არა ერთხელ დავინახეთ, ანგარიშს უწევდნენ დიდ ქართველ მეცნიერს და სათანადო შემწეობასაც გასცემდნენ უნივერსიტეტის საჭიროებისათვის. ამის დასამტკიცებლად არის ძალიან ბევრი მაგალითი.

1921 წლის ივლისში ი. ბ. სტალინი თბილისში ჩამოვიდა (ამის შესახებ უკვე გვქონდა საუბარი ზემოთ). საქართველოს კპ ცკ 14 ივლისის სხდომაზე, რომელსაც სტალინი, კიროვი და ორ-

ჯონიკიძე ესწრებოდნენ, იდგა საკითხი გერმანიაში საქართველოს მუდმივი წარმომადგენლის დამტკიცების შესახებ. ამ თანამდებობაზე შეირჩა გერონტი ქიქოძის კანდიდატურა. კენჭისყრის დროს მის წინააღმდეგ მხოლოდ 3 კაცი გამოვიდა. საქართველოს კპ ცკ გადაწყვეტილებით გერონტი ქიქოძე საქართველოს პირველი ელჩი გახდა (თუმცა ეს ფუნქცია რეალურად მას არ შეუსრულებია).[52] დოკუმენტში არ ჩანს ესწრებოდა თუ არა გერონტი ქიქოძე ამ სხდომას, მაგრამ საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტს წინასწარ, რა თქმა უნდა, მისი თანხმობა ექნებოდა. ვვარაუდობთ, რომ ამ დანიშვნაში გარკვეული როლი შეასრულა გერონტი ქიქოძესთან იოსებ სტალინის პირადმა ნაცნობობამაც- ისინი 1905-1906 წლების რევოლუციის დროს თანამშრომლობდნენ სოციალ-დემოკრატიულ პრესაში.

უფრო მეტიც, როცა 1921 წლის ზაფხულში აღსტაფაში მიმდინარეობდა ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის ტერიტორიული გამიჯვნის პროცესი და შეიკრიბა შიდა საზღვრების გამომრკვევი კომისია, საქართველოს ამ კომისიაში წარმოადგენდნენ პავლე ინგოროყვა და სოლომონ მაჩაბელი.[53]

მწერალი გრიგოლ რობაქიძე არა მარტო დათანხმდა საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობას, არამედ სათავეში ჩაუდგა განათლების სახალხო კომისარიატის ქვეგანყოფილებას – მთავარ სახელოვნებო კომიტეტს.[54]

ეს პროცესი დაგვირგვინდა იმით, რომ ქართველი ინტელიგენციის გამორჩეული ნაწილი 1921 წლის აპრილში გაერთიანდა საბჭოთა ხელისუფლების მიერ შექმნილ აკადემიურ ცენტრში. ამ ცენტრის ორგანული შემადგენელი ნაწილი იყო სამეცნიერო საბჭო, რომელმაც ფუნქციონირება 1921 ოქტომბერში დაიწყო და რომელსაც, როგორც აღინიშნა, ივ. ჯავახიშვილი ხელმძღვანელობდა. ამ საბჭოში შედიოდნენ გ. ნათაძე, ა. შანიძე, კ. კეკელიძე, ა. რაზმაძე, მ. კონიაშვილი, დ. უზნაძე, გ. ახვლედიანი და სხვები.[55]

მეტად დიდია ამ სამეცნიერო საბჭოს დამსახურება საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ქართული მეცნიერების და პედაგოგიკის განვითარების, სამეცნიერო ტერმინოლოგიის ქართულ ენაზე შემუშავების, სახელმძღვანელოების თარგმნა-გამოცემის, ორიგინალური სახელმძღვანელოების მომზადების საქმეში, საბჭო ამუშავებდა სახალხო განათლების ახალ, საბჭოთა კონცეფციასაც კი. სამეცნიერო საბჭოში მიმდინარეობდა ინტენსიური მუშაობა საქართველოს სიძველეების დაცვის, აღრიცხვის, რუსეთში გაფანტული საარქივო თუ სამუზეუმო ფასე-

ულობების სამშობლოში დასაბრუნებლად (რა თქმა უნდა, ტოტალიტარული რეჟიმის დახმარებით).

განსაკუთრებით სურდა საბჭოთა ხელისუფლებას, რომ მისთვის ლოიალობა დაედასტურებინა ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობას. გარკვეულწილად, მან ეს შეძლო კიდეც. ძველი თაობის წარმომადგენლებს, მათ ოჯახებს, როგორც ზემოთ დავინახეთ, სპეციალური პენსიები დაენიშნათ. რაც შეეხება ახალგაზრდა თაობას- პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, გალაქტიონ ტაბიძე, გრიგოლ რობაქიძე და სხვები, როგორც დოკუმენტები ამტკიცებენ, აშკარად ცდილობენ დაუდასტურონ ახალ რეჟიმს თავისი ლოიალობა. მაგალითად, 1921 წლის 27 მარტს პაოლო იაშვილმა გააკეთა საჯარო მოხსენება „რევოლუცია და ხელოვნება", სადაც ხაზი გაუსვა: „ხელოვნება ყოველთვის წინ უძღვის რევოლუციას, დიდებული მწერლები ყოველთვის წინასწარ გამოიცნობდნენ ხოლმე ახალ გზას. დიდებული კომპოზიტორი სკრიაბინი უნდა ჩაითვალოს რუსეთის რევოლუციის წინასწარმეტყველად... ქართველი პოეტები ყოველთვის იდგნენ რევოლუციის გზაზე...ქართული ხელოვნება მთლიანად იღებს ლოზუნგს ხელოვნება მასებისაკენ. ოთახიდან ქუჩაში... ხელოვნება თანამგზავრია რევოლუციის".[56]

საბჭოთა ხელისუფლების პირველივე თვეებში მწერალმა შ. დადიანმა შექმნა სპექტაკლი „გეგეჭკორი", რომელიც თბილისში დაიდგა.[57]

აშკარაა, რომ მეცნიერთა და ხელოვანთა ერთი ჯგუფი არა მარტო თანამშრომლობს, არამედ ზოგიერთი მათგანი ახალი ცხოვრების ავანგარდშია. რამდენად გულწრფელი იყო ეს თანამშრომლობა?

საქართველოსა და ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის აგენტურა მეცნიერთა და ხელოვანთა ლოიალური განცხადებების მიუხედავად, ეწეოდა სისტემატურ თვალთვალს და ინფორმაციას აწვდიდა საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტს. ამ ინფორმაციებში კი მითითებულია: „მოსახლეობის დამოკიდებულება საბჭოთა ხელისუფლებისადმი გულგრილი და განუსაზღვრელია. მსხვილი ბურჟუაზია მენშევიკურად განწყობილ ინტელიგენციასთან ერთად კონტრრევოლუციურად არის განწყობილი".[58] "ოპერა მთლიანად განწყობილია რეაქციულად, არავითარ ინტერესს არ ავლენენ ახალი სახელმწიფო წყობილების მიმართ, არავითარი ინტერესი – გარდა ჭორებისა, ინტრიგებისა და ფლირტაობის, ავრცელებენ ბოროტ ჭორებს საბჭოთა ხელისუფლებაზე. არ აკმაყოფილებთ ულუფა, ხელფასი. მომხმარებ-

ლური განწყობილებაა. კომუნისტები არ არიან. რამდენჯერმე კრება დაინიშნა – 400 კაციდან მოვიდა 15-20. საკითხი იყო – კომუნიზმის ანბანის წაკითხვა – მოხსენებაში ირონიულად გამოხატეს დამოკიდებულება. თეატრის დირექტორმა განაცხადა – ბოლშევიკები – ეს თავაწყვეტილი მასაა, რომელშიც არ არის წესრიგი. ბოლშევიკები ვერანაირ წესრიგს ვერ შექმნიან – ეს თავაწყვეტილი გლეხუჭებია. დაე, თვითონ შექმნან კულტურული მუშაობა, ხოლო ჩვენ მათ არ დავეხმარებით“ .[59]

ვთვლით, რომ „ჩეკას“ აგენტურული ინფორმაცია ზუსტად ასახავს საბჭოთა ხელისუფლებისადმი საქართველოს კულტურის დაწესებულებებში მომუშავე შემოქმედებითი ინტელიგენციის გარკვეული ნაწილის ჭეშმარიტ დამოკიდებულებას. უფრო მეტიც – იმავე აგენტურული ცნობებით 1921 წელს თბილისში საბჭოთა ხელისუფლების მიმართ ასეთი დამოკიდებულება იყო: 20 პროცენტი მომხრე, 44 პროცენტი – ინერტული, 36 პროცენტი აშკარად მტრული.[60]

ინტელიგენციის გარკვეული ჯგუფის ასეთ დამოკიდებულებას აშკარად გრძნობდნენ საბჭოთა საქართველოს ხელმძღვანელები და ისინიც ბოლომდე არ ენდობოდნენ შემოქმედებით ინტელიგენციას. ეს სკეპტიციზმი აშკარად ჩანს გაზეთ „კომუნისტის“ ერთ-ერთ მოწინავე წერილში „საბჭოთა ხელისუფლება და ინტელიგენცია“. ავტორი უცნობია (ხელმოწერილია „გ“), მაგრამ აშკარაა, რომ ავტორი კრიტიკულად არის განმსჭვალული მთლიანად საქართველოს ინტელიგენციის მიმართ: „ინტელიგენციამ, ყოველ შემთხვევაში მისმა დიდმა ნაწილმა, იმ თავითვე აშკარად მტრული პოზიცია დაიკავა. ინტელიგენცია უკეთეს შემთხვევაში განზე იდგა, უფრო ხშირად კი შეგნებულად აფერხებდა ამ გრანდიოზულ აღმშენებლობით მუშაობას... ამ მოვლენის ახსნა უნდა ვეძებოთ დღევანდელი ინტელიგენციის უმრავლესობის ბურჟუაზიულ-ფეოდალურ კლასობრივ ხასიათში. ნაწილი ამ ინტელიგენციისა თვითმპყრობელობის დროს რევოლუციის მომხრეც იყო, მაგრამ იმდენად, რამდენადაც ეს რევოლუცია არ გასცდებოდა ერთგვარ საზღვრებს... რამდენადაც თვითონ ინტელიგენცია იქნებოდა ცხოვრებისა და პოლიტიკის ხელმძღვანელი. მეორე ნაწილს ვითომ გაწყვეტილი ჰქონდა კავშირი პოლიტიკასთან, მაგრამ რევოლუციის შემდგომ აშკარად გამოჩნდა მისი კავშირი დამხობილი საზოგადოების მთელ ორგანიზაციებთან. მეცნიერება იდეოლოგიური და ტექნიკურ-ორგანიზაციული იარაღი იყო გაბატონებული კლასების ხელში მშრომელი მასის დასამონებლად... ინტელიგენცია, როგორც საზოგადოებ-

რივი კატეგორია, ფრიად მერყევ ძალას წარმოადგენს. ის ბოლოსდაბოლოს ეკედლება იმ კლასს, რომლის გამარჯვება მისთვის უდავო ფაქტი შეიქმნება...ინტელიგენციის ჯიუტობას ოქტომბრის შემდგომ ხანაში ასულდგმულებდა ის რწმენა, რომ პროლეტარიატის გამარჯვება წარმავალი იყო. როცა დარწმუნდა, რომ პროლეტარიატმა მტკიცედ აიღო ხელისუფლება, მაშინ ხდება მისი გარდატეხა საბჭოთა ხელისუფლების სასარგებლოდ".[61]

აშკარაა, ინტელიგენციისა და საბჭოთა ხელისუფლების „თაფლობის თვე" დასრულდა. ჩვენ სპეციალურად დავუთმეთ დიდი ადგილი ამ მოწინავე წერილიდან ამონარიდს. მართლაც, საპროგრამო წერილია, რადგან ის დაუფარავად გამოხატავს ინტელიგენციის მიმართ საქართველოს კომუნისტური ხელისუფლების დამოკიდებულების შეცვლას, ახალი კურსის შემუშავებისა და გატარების ფაზის მოახლოებას. რას უნდა გამოეწვია დამოკიდებულების ასეთი რადიკალური ცვლილება?

პირველი მიზეზი – თვითონ საბჭოთა ხელისუფლება იყო. საქართველოს კომუნისტური რეჟიმი, რომელიც მოსკოვის ტიპიური სატელიტი იყო, ძალიან მალე შეელია „საქართველოს დამოუკიდებლობას" და ეტაპობრივად დაიწყო ამ დამოუკიდებლობის ლიკვიდაცია – ჯერ გააერთიანა ამიერკავკასიის რკინიგზები, წინააღმდეგობა ვერ გაუწია საქართველოს ისტორიული მიწა-წყლის გასხვისებას (სომხეთმა, აზერბაიჯანმა, თურქეთმა საქართველოს ხარჯზე გააფართოვეს საკუთარი ტერიტორიები), შეიქმნა ამიერკავკასიის ფედერაცია, რომელმაც შეზღუდა ისედაც სიმბოლური დამოუკიდებლობა, ჩამოყალიბდა ავტონომიები და ა.შ.

ყველა ეს საკითხი ინტელიგენციის გულისწყრომას იწვევდა და ზოგი აშკარად (მაგ. კ. გამსაუხურდია, ვ. კოტეტიშვილი, შ. ნუცუბიძე და სხვ.) და ბევრიც ფარულად კრიტიკულ მოსაზრებებს გამოთქვამდნენ. 1923 წლის დასაწყისში საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებამ აღმოაჩინა შეთქმულება სამხედრო ინტელიგენციას შორის – ეს ადამიანები (ვ. წულუკიძე, რ. მუსხელიშვილი, ა. ანდრონიკაშვილი და სხვები) საბჭოთა არმიის რიგებში იყვნენ და ანტისაბჭოთა შეთქმულებას ამზადებდნენ, მიზნად ჰქონდათ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა. რა თქმა უნდა, ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ დაგროვდა საკმარისი ინფორმაცია „ჩეკას" აგენტურისაგან, თუ რა ჭეშმარიტი გუნებაგანწყობილება სუფევდა ქართველ ინტელიგენციაში.

ჩვენი აზრით, სწორედ ამ ფაქტორებს უნდა გამოეწვია ეს მკვეთრი ცვლილება და ამიტომაც გადაწყდა მდგომარეობიდან რადიკალური გამოსავალი – უნდა შექმნილიყო უკვე არსებულის ალეტერნატივა, ამასთან მაქსიმალურად გამოეყენებინათ ინტელიგენციის შიგნით ფარული თუ აშკარა დაპირისპირებები, ე.წ. „ადამიანური სისუსტეები", რომ დაეშალათ და დაესუსტებინათ ძველი ინტელიგენცია, ხოლო პარალელურად შეექმნათ ახალი – „წითელი" ინტელიგენცია – სისხლხორციულად ახალ რეჟიმზე დამოკიდებული განათლებული ადამიანების ძლიერი ჯგუფი.

ეს პროცესი არ იყო ძნელი. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე გამოჩნდნენ ადამიანები, ბევრი მათგანი მართლაც პროლეტარული თუ ნახევრადპროლეტარული წრეებიდან, რომლებსაც ლექსის წერა ემარჯვებოდათ. მათ მალე აუღეს ალღო შექმნილ ვითარებას და დაიწყეს წერა სოციალიზმზე, კომუნიზმზე, მუშათა კლასზე. იწერებოდა ასეთი ლექსები:

„მეზარევ, ჩამოჰკარ ზარი დიადი რწმენის,
დაე, გაიღვიძოს , აღდგეს ტანჯვის მხარე,
გლოვით შეიმუსროს კუთხე ბოროტების,
რათა გაზაფხულსა ფლობდეს არე მარე"

ან კიდევ ასეთი:

„წითელი ფრთები დავკრა არაბეთს,
ძველი ახალზე გადავუნაცვლო,
გზები შევუკრა რურში საფრანგეთს,
და პუანკარეს ფერი ვუცვალო.

გადავიარო დიდი ინგლისი,
არ შევეპუვო კლდეებს და კორდებს,
კერზონს ჩავუდო თავში სინდისი,
ჩამოვაცილო ნიღაბი ლორდებს."

იყო ასეთიც:

„მოვსკდე ნიაღვრად აზვირთებული,
და სულ კლდეებსა ვეხეთქებოდე,
მთელი ბუნების ნაბილწულებსა
გადავთელავდე, ქვეყნად აღვგვიდე."

მსგავსი ლექსები და პოემები კომუნისტურ პრესაში მრავლად იბეჭდებოდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე თვეებიდან, რაც მიანიშნებს, რომ ნაყოფიერი ნიადაგი შემზადებული იყო.

ინტელიგენციის ალტერნატიული ფენის შექმნაზე მოსკოვის კრემლის ლიდერებიც ფიქრობდნენ, ეს მით უფრო აუცილებელი იყო, რომ რევოლუციისა და სამოქალაქო ომის პირობებში ძალიან ბევრი რუსი ინტელიგენტი დასავლეთ ევროპაში წავიდა – ამას თანამედროვე რუსულ ისტორიოგრაფიაში ინტელიგენციის „გამოსვლას" (Исход) უწოდებენ. საქართველოში „გამოსვლა" არ შედგა – საქართველოს ინტელიგენცია, მცირედის გამოკლებით (მხოლოდ ის, ვინც გაჰყვა მენშევიკურ ხელისუფლებას საფრანგეთში) დარჩა სამშობლოში და საკუთარ ხალხთან ერთად გაიზიარა ტოტალიტარიზმის მთელი დრამატიზმი. ეს მისი უდიდესი დამსახურებაა ერის წინაშე. მაგრამ სამაგიეროდ საქმეც ბევრი გაუჩინა ახალ ხელისუფლებას – ძველი ინტელიგენციის (ნიჭიერი, დამსახურებული, ერის ინტერესების დამცველი) გვერდით უნდა შექმნილიყო ახალი კასტა-ფენა – საბჭოთა ინტელიგენცია. ასეთი ალტერნატივა გაჩნდა „პროლეტკულტის" სახით.

პროლეტკულტზე საქართველოში ალაპარაკდნენ უკვე 1921 წლის მარტში, როცა ოფიციოზმა „კომუნისტმა" გადმოთარგმნა და დაბეჭდა რუსი პროლეტკულტელების ერთ-ერთი თეორეტიკოსის ვალერიან პოლიანსკის თეორიული წერილი, სადაც ის ხაზგასმით მიუთითებდა: „ბურჟუაზია ეკონომიკურთან ერთად, სულიერადაც იმონებს პროლეტარიატს. დღეს საჭიროა საკუთარ პროლეტარულ კულტურაზე ზრუნვა და სავსებით განთავისუფლება იმ ბურჟუაზიული კულტურისაგან, რომლის გავლენამ ასე ძლიერად იჩინა თავი იმპერიალისტური ომის დროს... რევოლუციური კულტურული მოძრაობის მიზანი ორია: ა) მისცეს შესაძლებლობა პროლეტარიატს გაეცნოს მთელ კულტურულ მემკვიდრეობას, რომელიც ძველი ქვეყნიდან გადმოვიდა მასზე და ადრე ვერ სარგებლობდა ამ საგანძურით, ბ) მან უნდა გარდაქმნას კულტურული მუშაობა, მეცნიერება, ხელოვნება, პოეზია, მხატვრობა ახალ პროლეტარულ კოლექტივისტურ პრინციპებზე." წერილის ავტორის აზრით „მეცნიერება... შრომის ორგანიზაციული იარაღია. გაბატონებული კლასის ხელში ბატონობისა და ექსპლოატაციის იარაღი იყო. პროლეტარიატის ხელში ის უნდა გადაიქცეს სოციალური აღმშენებლობის, ბუნებასთან ბრძოლის ძლევამოსილ იარაღად. მეცნიერული გამოცდილება გადასინჯული უნდა იყოს კოლექტიური შრომის თვალ-

საზრისით, სისტემატურად ახსნილი და გაშუქებული პროლეტარული აღმშენებლობის პირობებთან შედარებით.“ [62]

პროლეტკულტის იდეოლოგის თვალსაზრისი ჩინებულად არის ჩამოყალიბებული კრემლის ერთ-ერთი ლიდერის ნ. ბუხარინის შეფასებაში, რომელიც მან ს. ესენინის ლიტერატურულ მემკვიდრეობაზე გააკეთა: „იდეურად ესენინი წარმოადგენს რუსული სოფლის ყველაზე მეტად უარყოფითი თვისებების, ე.წ. „ეროვნული ხასიათის“ უდიდეს შინაგან უდისციპლინობას, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველაზე უფრო ჩამორჩენილობის გაღმერთებას. ლიტერატურული ნერწყვმორეულობის უსუსურ ტრადიციას „ძალუმად“ ამაგრებს ესენინურობა – გაპოეტებული უნებისყოფობა, ხულიგნობა, „ჭეშმარიტი რუსი მოთარეშე“, „სოფლურობის“ სიმაღლეზე აყვანა და ეს არის ესენინურობის ღერძი და არასაბჭოური მისწრაფებანი, რომლის ზიდვაც ვერ შეძლო ესენინმა, რადგან მას გარემო ცხოვრებიდან სრულიად სხვა თვისების საკვები ჰქონდა მიღებული. ესენინი სიბნელეა, ცემა-ტყეპა, ლოთობა, არყისა და ცრემლის ლურჯი ზღვა, იგი დედის გინებაა, შრომისადმი უპატივცემლობა, ხულიგნობა, „ხატები“, „საკმეველი“, „სანთელი“ და „კანდელი“. იგია შოვინიზმის ნაშთი, დედაკაცისადმი ღორული მოპყრობა, შინაგანი თავაშვებულობა...ობლომოვშჩინის ნაშთები, ინტელიგენტური ქედმაღლობა და მუშაობის მონური ტემპი. ყოველივე ეს არის ჩვენი მონური წარსული, რომელიც ჩვენში კვლავ ცოცხლობს და უგალობენ, რომელიც ესენინისა და მისი მრავალრიცხოვანი მიმბაძველების მიერ აყვანილია თავშეუკავებელი და ლოთურად მტირალი პოეზიის კვარცხლბეკზე.“ [63]

ჩვენ ნ. ბუხარინის ეს, დღეისათვის ყოვლად მიუღებელი შეფასება, აქ იმისთვის მოვიტანეთ, რომ ის საოცრად ნათლად გამოხატავს კოლექტივისტური ფსიქოზით შეპყრობილი პარტიული ხელმძღვანელის დამოკიდებულებას ნიჭიერებასთან, ინდივიდუალიზმთან, ჭეშმარიტ პოეზიასთან. მას, რა თქმა უნდა, გაცილებით მოსწონდა ზემოთ ჩვენს მიერ მოტანილი ლექსების ამონარიდი, რომლის ავტორები ლიტერატურათმცოდნეობამ არც კი შემოინახა.

საბჭოთა სახელმწიფოს მხარდაჭერის იმედად 1921 წლის 17 დეკემბერს საქართველოში შეიქმნა პროლეტარ მწერალთა ასოციაცია. თბილისის ხელოვნების სასახლეში ჩატარდა მათი დამფუძნებელი კრება. სხდომას ესწრებოდნენ იონა ვაკელი, იაკინთე ლისაშვილი, სილიბისტრო თოდრია და სხვები. სტუმრის სტატუსით სხდომას დაესწრო ტიციან ტაბიძე. როგორც ოფიცი-

ოზი იუწყებოდა, ტიციან ტაბიძემ „აიღო სიტყვა და გამოთქვა თავისი სიმპატია და სწრაფვა პროლეტარული კულტურისადმი“.

ამ ახლადშექმნილ ასოციაციას გარანტირებული ჰქონდა პროლეტარული სახელმწიფოს ზრუნვა და ყურადღება, რაც ნიშნავდა: მაღალ ჰონორარებს, სისტემატურ პუბლიკაციას, ცხოვრებისეული სიკეთეებით უზრუნველყოფას, საბჭოთა პრივილეგიებს (შელავათიანი საგზურები, უკეთესი საცხოვრებელი პირობები და ა.შ.)

1922 წელს საქართველოში მწერალთა უკვე სამი ორგანიზაცია არსებობდა: 1. სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირი (დიდი ხნის მანძილზე მას ხელმძღვანელობდა კ. მაყაშვილი, კავშირის გაზეთი იყო „ლომისი“ „) 2.სრულიად საქართველოს ახალი მწერლების კავშირი (სიმბოლისტები, დამოუკიდებელი მწერლების ჯგუფი, ისინი გაერთიანებული იყვნენ გაზეთ „ლაშარის“ გარშემო). 3. პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია.

იმჟამად საკუთარი ლიტერატურული ჟურნალი ჰქონდა გალაქტიონ ტაბიძესაც. ქართული პოეზიის ამ ტიტანის იმჟამინდელი შეფასებები და საჯარო გამოთქმები შეიძლება ბევრს დღეს აღარ მოეწონოს, მაგრამ, როგორც ჩანს, ახალი ვითარება, რევოლუციური ენერგია და სულისკვეთება მასზეც გარკვეულ ზემოქმედებას ახდენდა, როცა წერდა: „თანამედროვეობა შეუბრალებელ კლანჭებში აღრჩობს ძველს. ახალგაზრდა კბილებით იგი ღრღნის მარმარილოების საფეხურებს წარსულისას... ისინი მარხავენ ძველ ფორმებს, ისინი მღერიან ჰიმნს მარადი სიხარულისას... თქვენ პოეტებო, მხატვრებო, არტისტებო, მწერლებო! შესძლებთ თუ არა განიცადოთ ყოველივე ეს ისე, როგორც მოითხოვს თანამედროვეობა. გრძნობთ თუ არა, რომ ჩვენს ეპოქას უნდა ანათებდეს მისი შესაფერისი ხელოვნება? მე გეძახით თქვენ... შემოქმედებითი ცეცხლით სავსე ახალგაზრდებო, შეითვისეთ და შეიყვარეთ ახალი საქართველო.“ [64]

შეიძლება დღეს სადავო იყოს, მაგრამ მიგვაჩნია, რომ არის რაციონალური მარცვალი შ. დადიანის შემდეგ სიტყვებში: „გ. ტაბიძემ, პირველ რიგში, პროლეტარული რევოლუცია აითვისა როგორც სტიქია. მან რევოლუციაში დაინახა თავისი მისწრაფებების მაღლობზე ასასვლელი გზა. რევოლუცია აითვისა როგორც დაპირისპირება ძველი ქვეყნის, რომელიც იწვევდა და ხელს უწყობდა მის პესიმიზმს. რევოლუცია გახდა გ. ტაბიძისათვის დასაწყისი რაღაც არაჩვეულებრივი „მსოფლიო ორკესტის“, „მსოფლიო ნგრევის“, „მეცხრე ზვირთის“.[65]

„რაღაც არაჩვეულებრივის“ – ეს ფსიქოლოგიური აღქმა რევოლუციის, რადიკალიზმის, დრომოჭმული ძველის ნაცვლად „რაღაც არაჩვეულებრივისაკენ“ ხშირ შემთხვევაში აპირობებდა ნიჭიერ ხელოვანთა მხრიდან პროლეტარული რევოლუციის იდეებისადმი თანადგომას. ეს ხომ მარტო საქართველოში არ მოხდა: დასავლეთ ევროპაშიც მწერალთა და ხელოვანთა მნიშვნელოვანი ნაწილი თანაუგრძნობდა ოქტომბრის რევოლუციის იდეებს (ბერნარდ შოუ, რომან როლანი, ანრი ბარბიუსი, ლეონ ფოიხტვანგერი, პაბლო პიკასო, დავიდ-ალფარო სიკეიროსი და სხვ.). XX საუკუნის 20-იან წლებში კომუნიზმი ჯერ კიდევ აღძრავდა იმედს, რომ შეძლებდა გადაეწყვიტა ის მტკივნეული პრობლემები, რაც XIX საუკუნემ ასე ძალუმად დაუტოვა მსოფლიო საზოგადოებრიობას. ამიტომაც გალაქტიონ ტაბიძის პოზიცია ამ შემთხვევაში სრულიად გასაგები ხდება.

გ. ტაბიძე აშკარად თანამშრომლობს საბჭოთა ხელისუფლებასთან, მას არ ეჩოთირება თხოვოს კომერციული დახმარება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს, რომ მისმა ლიტერატურულმა ჟურნალმა გააგრძელოს საქმიანობა: „ჩემი რედაქტორობით ტფილისში გამოდის ყოველკვირეული მხატვრულ-სალიტერატურო ჟურნალი, რომლის მიზანია ქართული ახალი ლიტერატურის აღორძინებისათვის ხელის შეწყობა. გამოვიდა რვა ნომერი. თითქმის აწყობილია მეცხრე, ჟურნალი სარგებლობს საზოგადოების დიდი სიმპათიით, ვრცელდება, მაგრამ გაყიდვისაგან შემოსული ფული ხარჯებს ვერ ფარავს, ამიტომ ას მილიონამდე ვალი დაგვედო“.[66] დიდი პოეტი ითხოვს მატერიალურ დახმარებას.

აქ კიდევ ერთხელ გავიმეორებთ ზემოთ ნათქვამ ფრაზას – ქვეყანაში, კერძო საკუთრების ტოტალური ლიკვიდაციის პირობებში, საბჭოთა სახელმწიფო ერთადერთ „მდიდარ მეცენატად და სპონსორად“ გადაიქცა. ხელოვნებასა და კულტურას კი ყველა დროსა და ყველა ეპოქაში ჭირდება მეცენატი, დამფინანსებელი...

1921-1923 წლები ქართველი ინტელიგენციისათვის მათი ორიენტაციის შემოწმების, ფასეულობების გადასინჯვის, „გამიჯვნის“ პერიოდია. მათ უნდა მიიღონ გადაწყვეტილება – სად დადგებიან, რა დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს ტოტალიტარულ სახელმწიფოსთან. მისგან რადიკალურად გამიჯვნა, ბოიკოტი – როგორც დასტურდება არც მეცნიერებს, არც კულტურის მუშაკებს და არც მწერლებს არ სურთ. მეტად სიმპტომატუ-

რად მიგვაჩნია ინცინდენტი, დაკავშირებული კვლავ კონსტანტინე გამსახურდიასთან...

როგორც დოკუმენტურად დასტურდება და ამაზე გაკვრით უკვე გვქონდა საუბარი ზემოთ, 1921-1923 წლებში საბჭოთა სახელმწიფო უარს არ ეუბნებოდა ინტელიგენციას (მეცნიერებს, სტუდენტებს, კულტურის მუშაკებს) წასულიყვნენ სტაჟირებაზე ან სასწავლებლად საზღვარგარეთ. ეს ამოცანა უფრო შესრულებადი ჩანდა, თუკი რეკომენდატორი დამსახურებული, ხელისუფლებისაგან დაფასებული პიროვნება იყო. საქართველოს სსრ განსახკომის არქივში შემონახულია ძალიან ბევრი თხოვნა რეკომენდაციასთან ერთად. რეკომენდატორებს შორის ხშირად ფიგურირებს ივ. ჯავახიშვილისა და დიმიტრი შევარდნაძის გვარები. სასწავლებლად ახალგაზრდები მიდიოდნენ ბერლინში, პარიზში, მილანში (მეტად საგულისხმოა, რომ 20-იანი წლების დასაწყისში ჭარბობს იტალიაში წამსვლელთა რიცხვი). მარტო 1923 წელს საზღვარგარეთ სამეცნიერო მივლინებაში თუ სასწავლებლად, ჩვენი გამოთვლით, 130 კაცზე მეტი წავიდა. მათ შორის იყვნენ: ელენე წულუკიძე, ივანე ბერიტაშვილი(გერმანიაში სამეცნიერო კონგრესზე), დიმიტრი უზნაძე (გერმანია, საფრანგეთი სამეცნიერო კონგრესები), გრ. მუხაძე, ელენე ახვლედიანი, კოტე ბაქრაძე, ვახტანგ მუსხელიშვილი, არჩ. ხარაძე, ს. ინაშვილი და სხვ. მათ შორის იყვნენ არაქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლები. [67]

1923 წელს, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, საზღვარგარეთ სასწავლებლად გაემგზავრა კონსტანტინე გამსახურდია. მის გამგზავრებას საკმაოდ დიდი წინასწარმოსამზადებელი პერიოდი უძღოდა წინ: მისი კანდიდატურა ჯერ განათლების სახალხო კომისარიატმა დაამტკიცა, შემდეგ სახალხო კომისართა საბჭომ. მისი კანდიდატურა ერთხმად მოიწონეს, მიუხედავად იმისა, რომ კარგად ახსოვდათ მისი სოციალისტ-ფედერალისტობაც და ლენინისადმი გაგზავნილი კრიტიკული ღია წერილიც.

როგორც ჩანს, საზღვარგარეთ მისი ყოფნის დროს, თბილისში გავრცელდა ხმები, რომ კ. გამსახურდიას ჰქონდა კონტაქტები საზღვარგარეთ ქართულ ემიგრაციასთან და „ზედმეტი ილაპარაკა“ საბჭოთა ხელისუფლების შესახებ. სახალხო კომისარმა კ. გამსახურდია გაათავისუფლა უნივერსიტეტში დაკავებული თანამდებობიდან. ამის შესახებ კ. გამსახურდიამ შეიტყო პარიზში და 1923 წლის ნოემბერში წერილი გამოაგზავნა თბილისში, რომ მის მახლობლებს ეს წერილი სახალხო კომისარისათვის გადაეცათ. ეს წერილი ინახება განსახკომის არქივში. კ.

გამსახურდია გაოცებულია ადმინისტრაციული ზემოქმედების სიმკაცრით და აღნიშნავს: „... მიზეზად ასახელებენ ვითომ ჩემ მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლებს საზღვარგარეთ... გთხოვთ მოახსენოთ განათლების სახალხო კომისარს, რომ დღიდან ჩემი ევროპაში ჩამოსვლისა არსად, არც კერძოდ და არც საჯაროდ, არც კალმით და არც სიტყვით არც საქართველოს დღევანდელი მთავრობის წინააღმდეგ ხმა არ ამომიღია (ეს ბოლო წინადადება გამსახურდიას მიერ ხაზგასმულია-ავტ.) მე ამას იმისათვის კი არ მოგახსენებთ, რომ ადგილის დაკარგვის მეშინოდეს. არა, ამ შემთხვევაში იბღალება ჩემი პიროვნული პრესტიჟი. მე მუდამ ვაღიარებდი როგორც იქ, ისე აქ, რომ განათლების კომისარმა (დ. კანდელაკმა – ავტ.) ჩემი უცხოეთში გამგზავრების დროს შეძლებისამებრ ხელი შემიწყეთ და ასეთი ჩემი საქციელი, რომ მას ადგილი ჰქონდეს, ყოველივე ბუნების გარეშე იქნებოდა. ყოველივეს რომ თავი დავანებოთ, მე არ ვარ პოლიტიკური მოღვაწე და არც ვერევი რაიმე ამგვარ საქმეში... ვისაც მე კომისარიატის წინაშე დავუსმენივარ, იმას ძალიან ბუნდოვანი ცნობები უნდა ჰქონდეს ევროპის ცხოვრებაზე. დღეს ვის სცალია საქართველოს ამბებისათვის, ყოველ ქვეყანას თავისი გაჭირვება აქვს. გერმანიაში რევოლუციაა, ინგლისში უმუშევრობა, საფრანგეთს თავისი დარდი აქვს. ან სად და რაში უნდა გამოხატულიყო ჩემი გამოსვლა? მე აღშფოთებული ვარ ამ ამბებით. უმორჩილესად გთხოვთ, დაარწმუნოთ განათლების სახალხო კომისარი, რომ მე სრულიად უმართებულოდ დამსაჯეს. შეძლებისამებრ დავბრუნდები საქართველოში და მართლაც თუ რაიმე ფაქტიური საშუალება ექნება მთავრობას იმის დასამტკიცებლად, რომ მე საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ ევროპაში აგიტაციას ვეწეოდი, მე სრულიად დამშვიდებული შევურიგდები უმკაცრეს სასჯელს (ეს ბოლო წინადადება კი სახალხო კიმისრის მიერ არის ხაზგასმული-ა.დ.)“.[68]

ამ ეპიზოდში საინტერესოა შემდეგი: 1) კ. გამსახურდია ემიჯნება ანტისაბჭოთა პროპაგანდას; 2) კ. გამსახურდიას ახსოვს საბჭოთა ხელისუფლების ხელშეწყობა და მის წინააღმდეგ შესაძლო ქმედება თავისი ღირსების შელახვად მიაჩნია; 3) კ. გამსახურდიას სჯერა თავისი სიმართლე და არ ეშინია რეპრესიების. და მართლაც, კ. გამსახურდია სამშობლოში დაბრუნდა – მას ხომ ჰქონდა ალტერნატივა, ასეთი ამბის შემდეგ – წერილში გადაკვრით არის მინიშნებული ვიღაცაზე – „ვისაც კომისარიატის წინაშე დავუსმენივარ“- პიროვნებაზე, რომელმაც კ. გამსახურდიას ჭორი გაუვრცელა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კ.

გამსახურდიამ იცოდა მის შესახებ და წერილში უბრალოდ არ დაასახელა ეს პიროვნება.

მართლაც, ნიშანდობლივია, 20-იანი წლების დასაწყისში ქართველი მეცნიერები, სტუდენტები, ხელოვნების მოღვაწენი საზღვარგარეთ საცხოვრებლად არ რჩებიან, მიუხედავად იმისა, რომ სამშობლო ბოლშევიზმის დიქტატურის ქვეშაა და უმძიმესი მატერიალური მდგომარეობაა. საზღვარგარეთ არ დარჩნენ და სამშობლოში დაბრუნდნენ: ქეთევან მაღალაშვილი, სიმონ ყაუხჩიშვილი, აკაკი ბელიაშვილი, დიმიტრი უზნაძე, ივანე ბერიტაშვილი, სანდრო ინაშვილი და მრავალი სხვა გამოჩენილი მოღვაწე.

ქართველი ინტელიგენციის გარკვეული ლოიალობა ახალი ხელისუფლების მიმართ, საზღვარგარეთ ქართველების აუტანელი ნოსტალგიის გარდა, გარკვეულწილად მატერიალური ინტერესებითაც უნდა იყოს ნაკარნახევი – ჩვენ ამის შესახებ უკვე აღვნიშნეთ: სახელმწიფო სპონსორი და დამფინანსებელია. განსაკუთრებით მისი ყურადღება სჭირდება ხელოვნებისა და კულტურის კოლექტივისტურ ფორმებს (სინთეზურ ხელოვნებას)- კინოს, თეატრს, რომლის ნორმალური ფუნქციონირება უზარმაზარ დაბანდებებთან არის დაკავშირებული. ამიტომაც, როგორც აღინიშნა, საბჭოთა ხელისუფლების პირველივე თვეებიდან საბჭოთა ხელისუფლებისადმი ლოიალურად განწყობილი ინტელიგენციის საკმაოდ დიდი ჯგუფი ჩამოყალიბდა.

ჩვენი აზრის საილუსტრაციოდ ჩინებული მაგალითია ქართული კინო. ხელოვნების ეს დარგი მუდამ უზარმაზარ სუბსიდიებს საჭიროებს – ამის გარეშე ის კვდება. საბჭოთა ხელისუფლებამ კი ჩინებულად გაიაზრა კინოს – როგორც მასობრივ ცნობიერებაზე ზემოქმედების საუკეთესო საშუალების პროპაგანდისტული მისია, ამიტომაც თავიდანვე გახდა მისი მუდმივი სპონსორი. ამასთან, კინო, როგორც პროგრესული ტექნოლოგიური საშუალება, რომელიც ევროპაში დაიბადა და რუსეთიდან შემოვიდა საქართველოში, თავისი მომსახურე პერსონალით თავიდანვე ინტერნაციონალური იყო, რაც მასზე კომუნისტური იდეოლოგიის ზემოქმედების შესაძლებლობებს აადვილებდა. ქართული კინოს ისტორიის გაცნობა გვაძლევს საფუძველს ვამტკიცოთ, რომ ის თავიდანვე ჩადგა საბჭოთა რეჟიმის ერთგულ მსახურთა რიგებში, მაგრამ ამას არ შეუშლია მისთვის ხელი შეექმნა უნიკალური, მსოფლიო მნიშვნელობის ნაწარმოებები უკვე 20-იანი წლების დასაწყისიდანვე. საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში „სახკინმრეწვის“ მიერ კინო-ბაზარზე გამოსული პროდუქცია ძირითადად სოციალური, რევოლუციური ჟღერადობი-

საა. ასეთია „არსენა ჯორჯიაშვილი“ (1921), „სურამის ციხე“, „არსენა ყაჩაღი“, „ჩვენი ქვეყნის რაინდი„ (ე. ნინოშვილის მოთხრობის მიხედვით), „ვინ არის დამნაშავე?“ (ნ. ნაკაშიძის მოთხრობის მიხედვით), „ჯანყი გურიაში“ და ა.შ. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ საბჭოთა კინოს შედევრი, ინტერნაციონალისტური ჟღერადობის ფილმი „წითელი ეშმაკუნები“ – რომელიც მსოფლიო კინოს ანალებში ღირსეულად შევიდა, სწორედ თბილისის კინოსტუდიაში, ქართველი რეჟისორის ივანე პერესტიანის მიერ არის გადაღებული.

უზარმაზარი სუბსიდიები ხმარდებოდა ქართულ თეატრს. თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, თეატრის მსახიობებს შორის მაინც შეიმჩნეოდა ანტისაბჭოთა განწყობილება, სოციალური უკმაყოფილება, საბოტაჟიც კი. ამასთან, 20-იანი წლების დასაწყისი აღინიშნა ქართული თეატრის სერიოზული კრიზისით, შეექმნა საფრთხე სეზონის ნორმალურ მიმდინარეობას. გაზეთები წერდნენ: „ეპოქამ ახალი ვითარება მოიტანა, თეატრი კი ერთ ადგილზეა გაჩერებული.“ [69]

მდგომარეობა იმდენად გართულდა, რომ განათლების სახალხო კომისრის კაბინეტში მთავარი სამხატვრო კომიტეტის ხელმძღვანელის გრ. რობაქიძის თავმჯდომარეობით შეიკრიბა თათბირი, რომელსაც დაესწრნენ: კ. მარჯანიშვილი, პ. იაშვილი, ალ. იმედაშვილი, რ. კალაძე, მწერალთა კავშირის წევრები, ჟურნალისტები. როგორც ჩანს, დადგა თეატრალური სეზონის შეწყვეტის საკითხიც კი.

ამ თათბირს მოჰყვა პრესაში დიდი გამოხმაურება. რ. კალაძემ გაზეთ „კომუნისტში“ დაბეჭდა წერილი „ქართული კულტურის კრიზისი“, სადაც მიუთითა: „ქართულ თეატრს ხალხი არ ეკარება. ქართულ წიგნს ხალხი ხელში არ იღებს. მთავრობისაგან კი ისმის – თეატრზე ბევრი იხარჯება – შემოსავალი არ ჩანს, ქართული წიგნის გამოცემაზეც ვზრუნავთ – გავრცელებით არ ვრცელდება“. კრიტიკული წერილის ავტორის აზრით გამოსავალი შემდეგშია: „გზის გამონახვა ისე არ შეიძლება, თუ ძველი თვალსაზრისი, ძველი კულტურის ნიადაგი დაგმობილი, უკუგდებული არ იქნება... ზოგი გენიოსს ელოდება... გამოსავალი – ისტორიულ კლასობრივ თვალსაზრისზე დგომაა. დღეს ერთი მთავარი პირობის დაცვაა საჭირო – ქართული კულტურის ყველა ძალები შეძლებისამებრ ერთი აზრით, ერთი მისწრაფებით უნდა განიმსჭვალონ...საბჭოთა ქვეყანაში მხოლოდ პროლეტარული კულტურის, პროლეტარული იდეოლოგიის დანერგვა შეიძლება და არა სხვა რამეებისა“.[70]

ეს ამონარიდი აშკარად მიუთითებს, რომ ქართულ ინტელიგენციაში უკვე გამოიკვეთა რეალური და მოქმედი ძალა, რომელიც საბჭოთა იდეოლოგიის საფუძველზე ცდილობს გარდაქმნას ქვეყნის კულტურული ცხოვრება. ეს ძალა. შეიძლება, არ გამოირჩეოდა განსაკუთრებული შემოქმედებითი პოტენციალით, ამ დაჯგუფების ბევრი წარმომადგენელი შეიძლება დღეს ხენლოვნებათმცოდნეების გარდა (შეიძლება მათაც) აღარ ახსოვდეთ, მაგრამ სწორედ ისინი განსაზღვრავდნენ ახალი კულტურული ფასეულობების ფორმირების პროცესს, სარგებლობდნენ პროლეტარული სახელმწიფოს ტოტალური მხარდაჭერით და ჰქონდათ ნებისყოფა და სურვილი – ქართული ტრადიციული კულტურა ჩაეყენებინათ ტოტალიტარიზმის სამსახურში.

საერთოდ, საბჭოთა სისტემის გარიჟრაჟზე ეს რელიეფურად ჩანს და შემდგომ წლებში კიდევ უფრო გაძლიერდა – დაპირისპირება ნიჭიერებასა და უნიჭობას, ადამიანის ზედმეტად აქტიურ ბუნებასა და თავმდაბლობას შორის, დაპირისპირება – გამონვეული ადამიანური სისუსტეებით. ყველაფერი ეს ხელოვნებასა და კულტურაში უძველესი პრობლემებია და საქართველოში, ახალი ვითარებიდან გამომდინარე, მან ახალი სიმწვავე შეიძინა. ინტელიგენციის ახალი ჯგუფი, რომელსაც სახელმწიფოს მხარდაჭერა ჰქონდა, უზრუნველყოფილი იყო შემოსავლიანი ადგილებით, ჰონორარებით, საყოფაცხოვრებო სიკეთეებით. ყველაფერი ეს ძლიერდებოდა საბჭოთა სისტემის ეკონომიკური განმტკიცების კვალდაკვალ. საბჭოთა იდეოლოგებს ჩინებულად ესმოდათ ქართველი ინტელიგენციის მნიშვნელობა ახალი იდეოლოგიის დამკვიდრების, საბჭოთა სისტემის განმტკიცების საქმეში, ამიტომაც ყოველმხრივ ახალისებდნენ ლოიალურად განწყობილებს, საბჭოთა პლატფორმაზე მყოფთ, საბჭოთა სისტემის მხარდამჭერებს.

ასე მაგალითად, კოტე მარჯანიშვილი, რუსეთში უკვე სახელმოხვეჭილი რეჟისორი, საქართველოში იმ დროს ჩამოვიდა, როცა დაიწყო საუბარი ქართული თეატრის კრიზისზე. 1922 წლის ნოემბრის ბოლოს რუსთაველის სახელობის თეატრმა კ. მარჯანიშვილის რეჟისურით დადგა ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყარო". ეს თეატრალური დადგმა მეორე დღეს გენიალურად გამოცხადდა. რაჟდენ გვეტაძე „კომუნისტში" აღფრთოვანებული წერდა: "ჩვენ უკვე ხელი ჩავიქნიეთ, ქართული თეატრის დახურვაც გვინდოდა, და აი, გამოჩნდა მესია, რომელმაც ეს მორალური სირცხვილი თავიდან აარიდა ქართულ თეატრს".[71] სპექტაკლ-

ში დაკავებული იყვნენ თამარ ჭავაჭავაძე, ალ. იმედაშვილი და სხვ.

ამ ბიძგმა სხვა ბევრი სიახლეც მოიტანა, უკვე 1924 წელს რუსთაველის თეატრში ს. ახმეტელის ხელმძღვანელობით შეიქმნა მსახიობთა კოორპორაცია „დურუჯი“, რომელმაც მიზნად დაისახა თეატრის შემოქმედებითი და ორგანიზაციული ცხოვრების გარდაქმნა, ბრძოლა ძველი, დრომოჭმული თეატრალური ფორმების წინააღმდეგ. კოორპორაციის მიზანი იყო განახლებული, რევოლუციური ქართული თეატრის შექმნა. „დურუჯის“ შემოქმედებითი პრინციპები ბევრ მსგავსებას ავლენს „პროლეტკულტის“ წარმომადგენელთა შეხედულებებთან, როდესაც თავის მანიფესტში აღნიშნავდნენ შემდეგს: „...არტისტი გიჟი, არტისტი, ცეცხლოვანი...შფოთი...გოროზი, არტისტი ფაფარაყრილ რაშზე... კადნიერი, რიხიანი, კენტავრი ვეფხვებით საერთაშორისო კარნავალში. მარჯნისფერი მზე „დურუჯი“.“[72]

შეიძლება დღეს ვინმეს ეუცხოვოს, რომ ქართული კულტურის ღირსეული წარმომადგენლები მხარში ამოუდგნენ საბჭოთა იდეოლოგიას, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ XX საუკუნის 20-იანი წლები მთელ მსოფლიოში, განსაკუთრებით დასავლეთ ევროპაში, რომელიც პირველი მსოფლიო ომის ჭრილობებს იშუშებდა და სოციალური ურთიერთობა უაღრესად დაძაბული იყო, ბევრი სახელმწიფო ეძებდა ახალ პოლიტიკურ თუ იდეოლოგიურ სისტემას, მოდელს, რომელიც მოკლე ხანში დააძლევინებდა ომით მიყენებულ ჭრილობებს, რადიკალურად შეცვლიდა მათ ცხოვრებას. მათ შორის იყო მემარცხენე იდეოლოგიაც – კომუნიზმი, რომელიც XX საუკუნის 20-იან წლებში თავისი აღმავლობის პერიოდს გადიოდა და სწორედ დრომოჭმულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიან ინსტრუმენტად ესახებოდათ.

მართალია, კოოპერაცია „დურუჯმა“ შემდგომში რუსთაველის თეატრში განხეთქილება გამოიწვია, რის გამოც კოტე მარჯანიშვილი იძულებული გახდა თეატრიდან წასულიყო, მაგრამ ამ გაერთიანების მნიშვნელობა ქართული თეატრისათვის ერთხმად დადებითად არის შეფასებული ქართულ თეატრმცოდნეობაში.

დაპირისპირებები, შემოქმედებითი კონფლიქტები,ამბიციები, პიროვნული შეუთავსებლობა მუდამ თანდაყოლილი „აქილევსის ქუსლი“ იყო ნებისმიერი ქვეყნის ინტელიგენციისათვის. ეს კი ჩინებული იარაღია სახელმწიფოსათვის, მისი სპეციალური ორგანოებისათვის რომ „გამოეჭირათ“, „ხელში ჩაეგ-

დოთ“, თავის მხარეზე გადაეყვანათ მათთვის საინტერესო შემოქმედი.

სამწუხაროდ, ქართველ ინტელიგენციაშიც იყო დაბუდებული ეს სენი და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე მის რიგ ჯგუფში შეიმჩნეოდა სერიოზული შემოქმედებითი და პიროვნული დაპირისპირება, რაც, როგორც ირკვევა, საბჭოთა ხელისუფლებამდე ღრნიდა მათ.

1921 წლის 30 ივლისს თბილისის სომეხ მწერალთა სასახლეში გრ. რობაქიძემ წაიკითხა მოხსენება ქართული ლიტერატურის განვითარების შესახებ. მან მიმოიხილა ქართული ლიტერატურის ბოლო საუკუნე და, როგორც მისი ოპონენტები ამტკიცებდნენ, აღნიშნა, რომ ვაჟა-ფშაველას შემდეგ ქართულ პოეზიაში სიცარიელე შეიმჩნევაო. მაგრამ მისი აზრით, აი გამოჩნდა ქართულ პოეზიაში „ცისფერყანწელთა“ ჯგუფი, რომელმაც შეცვალა ვითარება. ამ ჯგუფში კი გაერთიანებული იყვნენ გრ. რობაქიძე, პ. იაშვილი, ტ. ტაბიძე, ვ. გაფრინდაშვილი. კრიტიკულად განწყობილი დამსწრის აზრით, გრ. რობაქიძის მოხსენების შინაარსი იყო შემდეგი – „უკვე დამარცხდა რუსთაველი და ჩვენგან იწყება ქართული პოეზიის განვითარება“.[73]

ამ პერიოდისათვის გრ. რობაქიძეს, პ. იაშვილს, ტ. ტაბიძეს უკვე ჰქონდათ გაცხადებული თავისი პოლიტიკური სიმპატიების შესახებ, ამიტომაც მათ მიმართ განაწყენებული იქნებოდნენ საბჭოთა ხელისუფლების არცთუ ისე მხურვალე მხარდამჭერი შემოქმედნი. „ვან დეიკის“ ფსევდონიმით გაზეთმა „სოციალისტ-ფედერალისტმა“ გამოაქვეყნა საკმაოდ კრიტიკული წერილი, სადაც აღინიშნა: „უბედურება იმაშია, რომ ეს ყველა სარბიელზე ხელმოცარული კაცი (იგულისხმება გრ. რობაქიძე -ავტ.) კალიგულასავით სენატორობას ანიჭებს ცხენებს და ნერონივით თვით იმზადებს დაფნის გვირგვინებს.“[74]

კონსტანტინე გამსახურდიამ მხარი დაუჭირა ამ კრიტიკას და თავის წერილში „თქვენ უსწავლელნო, ცრუ რუსთაველნო“ ჩამოაყალიბა კიდეც ამ დაპირისპირების მთავარი კონცეფცია: „ჩვენი დავა რობაქიძის ჯგუფთან არ ახალია... ქართულ ახალთაობის ზნეობრივი აღზრდის სახელით, საქართველოსა და რუსთაველის სახელით უნდა გებრძოლოთ თქვენ კაცი“. გაგულისებული მწერალი პ. იაშვილს მიანიშნებს – თქვენ „წითელ რუსეთთან დაძმობილებაზე“ მღერიხართ და გინდათ თბილისი რუსეთის აღმოსავლეთის პოლიტიკის შტაბად აქციოთ“. კ. გამსახურდია იმასაც მიუთითებდა, რომ „დღეს ეს ვაუბატონი (გ. რობაქი-

ძე -ა.დ.) დადის და ქვეყანას არწმუნებს, რომ საქართველოში კაცი აღარ აღმოჩნდა რომ მას „ხმალში გაჰყვეს“. [75]

ამ დავაში ტიციან ტაბიძეც ჩაერია. მან მხარი. ბუნებრივია, გრ. რობაქიძეს დაუჭირა:„ ასე საეჭვო წარსულის კაცს, ცოტა სინდისი უნდა ჰქონდეს, რომ თავი არ დაივიწყოს და ზედმეტი არა თქვას... გამსახურდია, რომელიც თავისი „პატარა ლაქია სულით ხედავს პოეზიას“, „ამ ფილისტერს რა მოეთხოვება გარდა ცილის დაწამების და შემდეგ გაჩერებისა“. [76]

კ. გამსახურდიამ ეს შენიშვნა უპასუხოდ არ დატოვა: „კიდევ გავუმეორებ ამ თუთიყუშებს, რომლებსაც იმდენი დამოკიდებულება აქვთ სილოღიკესთან. რამდენადაც მის გიჟ მღვდელს თუნდაც მალარიასთან? ტიტე ტაბიძე მე სმერდნიაკოვს მეძახის? ვისაც მე და ტიტე ტაბიძე უნახივართ ან წარმოვუდგენივართ, დეე მან სთქვას, ვინ უფრო ჰგავს ჩვენს ორში რუსის ბოსიაკს და სმერდნიაკოვს“.[77]

ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ასეთი პასკვილებით ქართული ლიტერატურის მომავალი კორიფეები უმასპინძლდებოდნენ ერთმანეთს იმ დროს, როცა ქვეყანა ოკუპირებული იყო და ახალი , ტოტალიტარული რეჟიმი დღითიდღე მტკიცდებოდა. ეს დაპირისპირება, ჩვენი აზრით, სწორედ ის ნაპერწკალია, რამაც ასე ძალუმად 1937 წელს იფეთქა და გარკვეულწილად ხელიც კი შეუწყო საქართველოში მიმდინარე ტრაგიკულ მოვლენებს, რადგან საქართველოს საგანგებო კომისია, პოლიტიკური სამმართველო და სხვა სპეციალური ორგანოები საოცრად სკრუპულოზურად აგროვებდნენ ასეთ ინფორმაციებს და მას ჩინებულადაც იყენებდნენ ინტელიგენციის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ, საქართველოს ინტელიგენცია 20-იანი წლების დასაწყისში მნიშვნელოვანი სოციალური და პოლიტიკური ძალა იყო, იგი გამოირჩეოდა თავისი სოციალური და ეროვნული მრავალფეროვნებით, რაც ზეგავლენას ახდენდა მის პოლიტიკურ შეხედულებებზეც.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს შემოქმედებითი ინტელიგენცია თავის დროზე მიესალმა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას, დოკუმენტურად არ დასტურდება, რომ მან ტოტალური ბოიკოტი გამოუცხადა ძალმომრეობით დამყარებულ ხელისუფლებას და გაურბოდა მასთან ყოველგვარ კავშირს. პირიქით-დასტურდება საწინააღმდეგო – საქართველოს ინტელიგენციის მნიშვნელოვანი ნაწილი, შემოქმედებითი ინტერესებიდან გამომდინარე, ამყარებს მრავალმხრივ

ურთიერთობას ახალ, კომუნისტურ რეჟიმთან, მონაწილეობს მის სახელმწიფო თუ შემოქმედებით სტრუქტურებში, იღებს საჩუქრებს, პრივილეგიებს.

1923 წლიდან იგრძნობა ხელისუფლებასა და ინტელიგენციას შორის ურთიერთობის გაუარესება, რაც გამოიწვია – ერთი მხრივ საქართველოს კომუნისტური ხელისუფლების ზედმეტად ინტერნაციონალისტურმა პოლიტიკამ, საქართველოს ამიერკავკასიის ფედერაციასა და საბჭოთა კავშირში შეყვანის ფორსირებულმა ტემპმა, მეორე მხრივ – ახალი ინტელიგენციის – „წითელი ინტელიგენციის" ფორმირების დაწყებამ. საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში დაიწყო კონკურენცია.

პროლეტკულტი, პროლეტარული მწერლობა, ხელოვნების კოლექტივისტური ფორმები (თეატრი, განსაკუთრებით კინო) ის დასაყრდენია, რითაც საბჭოთა ხელისუფლება, ქვეყანაში ერთადერთი რეალური სპონსორ-მეცენატი, ახერხებს მანიპულირება მოახდინოს ხელოვნების მუშაკებზე და გადმოიყვანოს საბჭოთა პოზიციებზე.

ქართველი ინტელიგენციის ზოგიერთი წარმომადგენლის შემოქმედებითი თუ პიროვნული დაპირისპირება ჩინებული გარემოა, რითაც საბჭოთა სპეცორგანოები ახერხებენ ინტელიგენციაზე ზემოქმედებას. ეს დაპირისპირება, ალბათ, იმართება კიდეც და თავის კულმინაციას 1937 წელს პოვებს.

ქართველი თავადაზნაურობა და ტოტალიტარული რეჟიმი

ქართველმა თავადაზნაურობამ საუკუნეების მანძილზე უდიდესი როლი შეასრულა ქვეყნის ცხოვრებაში იმით, რომ ასრულებდა წამყვანი სოციალური ძალის ფუნქციას – ხელმძღვანელობდა პოლიტიკას, სამხედრო საქმეს, მეცნიერებას, კულტურას, საზოგადოებრივ პროგრესს. თუმცა საქართველოს ისტორია, ისევე როგორც მსოფლიოს ბევრი ხალხის ისტორია, სავსეა თავადაზნაურთა გარკვეული წარმომადგენლების უღირსი – ანტისახელმწიფოებრივი მოქმედების მაგალითებითაც, როცა საკუთარ კერძო ინტერესებს ქვეყნის ბედს ანაცვალებდნენ, როცა განუწყვეტლივ ექიშპებოდნენ ცენტრალურ ხელისუფლებას, ამით კი საოცრად ასუსტებდნენ სამშობლოს და ხშირად მტრული სახელმწიფოს აგენტების როლიც კი შეუსრულებიათ. უამრავი ფაქტია, როცა საკუთარი მერკანტილური მოსაზრებებით თავადები ყიდდნენ საკუთარ მიწებს, გლეხებს.

ამრიგად, თავადაზნაურობა სწორედ ის სოციალური ძალა იყო, რომლის მიმართ ხალხი (გლეხები), განსაკუთრებით მისი ულარიბესი ნაწილი, ისტორიულ მეხსიერებასა და ქვეცნობიერში კი სხვადასხვა, ხშირ შემთხვევაში ურთიერთაგამომრიცხავ შეხედულებებს ატარებდა. ასეთი შეხედულება, ისტორიული კატაკლიზმების დროს (რევოლუციები, აჯანყებები) თითქმის ყველა ქვეყანაში, თავადაზნაურთა წინააღმდეგ რეპრესიული მექანიზმის (სახლ-კარის გადაწვა, ფიზიკური განადგურება) ამოქმედებას აპირობებდა.

საქართველოს რუსეთთან მიერთების შემდეგ ქართველი თავადაზნაურობა უფლებრივად რუს აზნაურობას გაუთანაბრეს, თუმცა მათი ზეგავლენა შესუსტდა. განსაკუთრებით შესუსტდა მათი ეკონომიკური შესაძლებლობები საგლეხო რეფორმის (1861 წ.) განხორციელების შემდეგ, როცა გლეხობამ პირადი თავისუფლება მოიპოვა, ხოლო თავადები მუშა-ხელის გარეშე აღმოჩნდნენ. ბევრმა ალღო ვერ აუღო ახალ ცხოვრებას და გაჩანაგდა, განსაკუთრებით დაზარალდა აზნაურობა, რომელიც ისედაც მუდამ სუსტი იყო ეკონომიკურად. ქართული ლიტერატურა აღსავსეა ასეთი „შემოდგომის აზნაურების" დრამატული ცხოვრების მაგალითებით.

კაპიტალიზმის პირობებში ქართველ თავადაზნაურთა დიდმა ნაწილმა ვერ შეძლო ადაპტაცია. ამას დაემატა ისიც, რომ ქვეყანაში ეკონომიკური ბერკეტები არაქართველმა კაპიტალისტებმა ჩაიგდეს ხელში. ქართველი თავადაზნაურების ასპარეზი დარჩა სახელმწიფო სამსახური, სამხედრო საქმე, მეცნიერება, კულტურა.

კაპიტალიზის განვითარებასთან ერთად, პროლეტარული იდეოლოგია – მარქსიზმი სულ უფრო პოპულარული ხდებოდა და, რაც არ უნდა პარადოქსულად ჩანდეს, თავადაზნაურთა ზოგიერთი წარმომადგენლის ინტერესსაც კი იწვევდა. რუსეთშიც და საქართველოში პირველ მარქსისტებს და რევოლუციონერებს შორის თავადაზნაურთა წარმომადგენლებიც არიან. მაგალითად: გ. პლეხანოვი, გ. ჩიჩერინი, ა. წულუკიძე, ს. ქავთარაძე, მ. ორახელაშვილი, ს. ორჯონიკიძე და მრავალი სხვა.

საკუთარ კლასთან მსოფლმხედველობითი კავშირის გაწყვეტა, პირველ რიგში ნიშნავდა იმას, რომ ისინი უკვე აღიარებდნენ თავადაზნაურობას, როგორც საზოგადოების ისტორიული განვითარების რუდიმენტს, რომელსაც მარქსიზმის კანონებით ადგილი აღარ უნდა ჰქონოდა უკვე კაპიტალისტური საზოგადო-

ებრივ-ეკონომიკური ფორმაციიის პირობებში, ხოლო სოციალიზმისათვის თავადაზნაურობა სრულიად მიუღებელი იყო.

რა თქმა უნდა, ასეთი შეხედულებები თავადაზნაურთა მცირე ნაწილს ჰქონდა, თუმცა ქართველ თავადაზნაურთა შორის რთული მსოფლმხედველობითი გამიჯვნა მიმდინარეობდა: აქ იყვნენ სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულებების მქონე ადამიანები დაწყებული პატრიოტული, ეროვნული იდეის ქომაგებიდან (ილია ჭავჭავაძის პოლიტიკური ხაზი), დამთავრებული რუსეთის ცარიზმის ინტერესების მხურვალე დამცველი მანთურქებით. ქართველი თავადაზნაურობის მნიშვნელოვანი ნაწილი სამხედრო სამსახურში იყო და პირნათლად ასრულებდა თავის მოვალეობას. ზოგიერთი რომანოვების სამეფო კართან იყო დაახლოებული, სარგებლობდა ნიკოლოზ II და მისი მეუღლის ნდობით, – მაგალითად, მ.მ. ანდრონიკოვი.[1]

მაინც რამდენი იყო საქართველოში თავადაზნაური?

1897 წლის აღწერით თბილისის გუბერნიაში 44 389 თავადაზნაური იყო, აქედან თბილისის მაზრაში – 26 345, თბილისში – 25 048 .[2] აღწერის მასალებში არ ჩანს მათი ეროვნული შემადგენლობა. ქართველებთან ერთად აქ იქნებოდნენ რუსები, გერმანელები და სხვა ეროვნების წარმომადგენლებიც, რადგან თბილისი ამიერკავკასიის პოლიტიკური ცენტრი იყო და, აქედან გამომდინარე, მეფის სამსახურში მრავალი თავადი თუ აზნაური იყო დასაქმებული. ქუთაისის გუბერნიაში თავადაზნაურობა უფრო მეტია – 72 558 .[3]

თავადაზნაურთა შორის ძირითადად მართლმადიდებლები იყვნენ, თუმცა ბათუმის ოლქში და სამხრეთ საქართველოში იყვნენ მაჰმადიანი ბეგებიც. თბილისისა და ქუთაისის გუბერნიაში ევროპელი თავადაზნაურობის რამდენიმე წარმომადგენელიც კი ცხოვრობდა (მაგალითად, ბარონი ფონ კუჩენბახი, პრინცი ოლდენბურგი, პრინცი მიურატი და სხვ.)

რუსეთის თებერვლისა და ოქტომბრის რევოლუციების შემდეგ, როცა განხორციელდა დემოკრატიული გარდაქმნები, წოდებრიობა გაუქმდა – ყველა გახდა მოქალაქე. ყველა პრივილეგია, რასაც ფლობდა თავადაზნაურობა როგორც მთავარი და წამყვანი საზოგადოებრივი კლასი – მათ ჩამოერთვათ.

საქართველოს პირველი რესპუბლიკის დროსაც ყველა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქე იყო. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენამ ქართველ თავადაზნაურთა დიდ ნაწილში გამოიწვია უდიდესი აღტაცება და მიუხედავად იმისა, რომ ისინი ნაკლებად იზიარებდნენ მენშევიკების

სოციალ-პოლიტიკურ შეხედულებებს, მათ გამოხატეს თავისი კეთილი ნება – 1917 წლის 29 ოქტომბერს ქართლ-კახეთის თავადაზნაურთა ყრილობამ საჯაროდ განაცხადა: „ქართველი თავადაზნაურობა ყოველთვის იღვწოდა და ემსახურებოდა საერთო კულტურულ და ეკონომიკურ საჭიროება-მოთხოვნილებებს....თავადაზნაურობას შეგნებული აქვს, რომ მხოლოდ ერის ყველა ელემენტის შეერთებას შეუძლია დაამყაროს საქართველოში ის პოლიტიკური წყობილება, რომელიც შეესაბამება მის ისტორიულ უფლებებს და უკვე მომწიფებულ რეალურ ინტერესებს. ამ რწმენით განმსჭვალული თავადაზნაურთა კრება ადგენს: ყველა უძრავ-მოძრავ ქონებას, რაც შეადგენს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა კუთვნილებას, როგორც წოდებრივი ორგანიზაციისა, თავადაზნაურობა აღიარებს მთელი ქართველი ერის ავლადიდებად და გადასცემს საკუთრებად საქართველოს საჯარო უფლებრივ ორგანოს.“ [4]

ქართველი თავადაზნაურობა, განსაკუთრებით ოფიცრობა შევიდა საქართველოს პირველი რესპუბლიკის სამხედრო სტრუქტურებში და აქტიურ მონაწილეობას იღებდა იმ სამხედრო ოპერაციებში, რაც ასე ხშირი იყო ეროვნული საზღვრების დაცვის, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის თუ გლეხური „ვანდეის“ ლიკვიდაციის დროს. თუმცა მენშევიკური ხელისუფლება თავადაზნაური ოფიცრობის მიმართ გარკვეულ უნდობლობას მაინც ავლენდა.

რა თქმა უნდა, კიდევ უფრო რადიკალურად იყო განწყობილი თავადაზნაურთა მიმართ ბოლშევიკური ხელისუფლება. სრულიად სამართლიანად მიუთითებენ, რომ „ბოლშევიკ-ლენინელები მტკიცედ იყვნენ დარწმუნებულნი, რომ ეროვნული არისტოკრატია უნდა გაენადგურებინათ პირველ რიგში... მემამულეები ბოლშევიზმის პირველი მსხვერპლნი იყვნენ“.[5]

ასეთი შეუბრალებელი დამოკიდებულების ფესვებს თანამედროვე ისტორიკოსები რუსული რევოლუციური მოძრაობის წიაღში ეძებენ – ნაროდნიკების ე. შელგუნოვისა და მ. მიხაილოვის მოწოდებებში არა ერთხელ დაფიქსირებულა, რომ თუ გლეხობისათვის მიწის გასანაწილებლად საჭიროა 100 ათასი მემამულის ამოხოცვა, ჩვენ ეს არ შეგვაშინებსო. ცნობილი ნაროდნიკი-თეორეტიკოსი პ. ტკაჩოვი იმასაც კი აღნიშნავდა, რომ თუ ახალი რუსეთის ასაშენებლად საჭირო იქნება 25 წელზე ზევით ყველა მცხოვრების თავების წაცლა, ეს უნდა გავაკეთოთო.[6]

საქართველოში თავადაზნაურთა რეპრესიები რუსეთის XI არმიის შემოსვლისთანავე დაიწყო – არის უამრავი დოკუმენტუ-

რი მასალა, რომელიც მიუთითებს, რომ თავადაზნაურთა სახლ-კარი, მამული განადგურდა მენშევიკებს დადევნებული საბჭოთა რუსეთის ჯარების ან ეგზალტირებული ბოლშევიკურად განწყობილი ბრბოების მიერ.

გორის მაზრის სოფელ ქარელის მკვიდრნი ანასტასია ჯანდიერი და როდამ ბაგრატიონ-დავითაშვილი თავის საჩივარში მიუთითებდნენ, რომ როცა წითელი ჯარის ნაწილებმა მათ სოფელში გაიარა, ადგილობრივმა მცხოვრებლებმა მათ ყველაფერი გაუნადგურეს, გაიტაცეს ავეჯი, ჭურჭელი, ქონება, ჩამოიღეს კარები, ფანჯრები, დაიკავეს მამული და მიწა.[7]

ასევე დაზარალდნენ გასაბჭოების პირველსავე დღეებში დავით დიმიტრის ძე დ ივანე გიორგის ძე ციციშვილები. მათი ქონება უაპელაციოდ მიიტაცა სოფლის მოსახლეობამ – დაეპატრონენ ბინას, ბაღ-ვენახს, წაიღეს პური, ქერი, სიმინდი, სხვადასხვა ნივთი.[8]

მტაცებელივით იქცეოდნენ ადგილობრივი რევკომების წევრები: კლასობრივი სიძულვილით აღვსილნი ისინი თავადაზნაურებს უკანონოდ (საბჭოთა კანონმდებლობის უხეში დარღვევით) ართმევდნენ სახლ-კარს, ქონებას, სურსათ-სანოვაგეს. მაგალითად, ხონში, ჭკუშურის რევკომმა ყოვლად უკანონოდ ჩამოართვა სახნავი მიწა გერასიმე ჭავჭავაძეს, სოფელ ქვიშხეთის რევკომმა საზოგადო მოღვაწე კონსტანტინე დიმიტრის ძე ყიფიანს ნაართვა სახლი.[9]

ადგილობრივი რევკომები არ ერიდებოდნენ უცხო ქვეყნის ქვეშევრდომებსაც კი. მათ ქონება ჩამოართვეს და ბორჩალოში მამული დაურბიეს გერმანიის ქვეშევრდომს, ბარონ ფონ კუჩენბახს.[10]

ბოლშევიკების განსაკუთრებით უარყოფითი დამოკიდებულება თავადაზნაურთა მიმართ საქართველოში სხვა მხრივაც იყო გამოწვეული – საქართველოში თავადაზნაურობა საკმაოდ ბევრი იყო.

მაინც რამდენი იყო თავადაზნაურობა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში?

ჩვენ შევეცადეთ დაგვედგინა ეს მაჩვენებელი საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ჩატარებული აღწერების მონაცემებზე დაყრდნობით, მაგრამ უშედეგოდ – არც 1922 და არც 1926 წლების აღწერებში თავადაზნაურთა სოციალური კუთვნილების ამსახველი კითხვა აღარ ფიქსირდება – თავადაზნაურობა გაითქვიფა „მოსამსახურეთა“ სოციალურ კატეგორიაში.

ერთ-ერთი ცნობა, რომელიც ჩვენ გვაქვს, არის გ. კ. ორ-ჯონიკიძის მოხსენებაში დასახელებული ციფრი – თავადაზნაურობა საქართველოს მოსახლეობის 5 პროცენტი ანუ 125-130 ათასი კაცია. [11]

მეორე ცნობით, რომლის ავტორია საქართველოს კომუნისტების ასევე აღიარებული ლიდერი ლევან ღოღობერიძე, საქართველოში 1924 წელს თავადაზნაურობა მოსახლეობის 6 პროცენტს შეადგენდა.

ამრიგად, საბჭოთა ხელისუფლებას „სოვეტიზაციის" პირველსავე თვეებში ჰქონდა სერიოზული პრობლემა – როგორ გაენეიტრალებინა საკმაოდ დიდი სოციალური ძალა – თავადაზნაურობა, რომელიც მარქსიზმ-ლენინიზმის იდეოლოგიური კლიშეების მიხედვით როგორც სოციალური კლასი, ამ პერიოდში უკვე აღარც კი უნდა ყოფილიყო, რადგან მისი კლასობრივი შეხედულებები, მსოფლმხედველობა, სულიერი მისწრაფებები მიუღებელი იყო მომავალი კომუნისტური საზოგადოების მშენებლებისათვის.

ამ საქმეში კი საქართველოში გარკვეული სიძნელეებიც ჩანდა: განსხვავებით რუსეთისაგან, სადაც ხანგძლივი სამოქალაქო ომის პერიოდში, რეპრესიებისა და გლეხური სტიქიის თავის ნებაზე მიშვების პოლიტიკით ფიზიკურად განადგურდა თავადაზნაურობის დიდი ნაწილი, ხოლო ვინც გადარჩა – ან გაეცალა სამშობლოს (ესენი იყვნენ დიდგვაროვანი, მდიდარი თავადაზნაურობა, რომელსაც საზღვარგარეთ ნაცნობობა და გარკვეული კაპიტალიც ჰქონდათ), ან და დარჩა სამშობლოში, უუფლებო მდგომარეობაში, მუდმივ შიშსა და განცდაში, ან წავიდა კომპრომისზე საბჭოთა ხელისუფლებასთან, ჩაება საბჭოთა აღმშენებლობაში (საბჭოთა საგარეო სტრუქტურებში სტალინის დროს იყო გოლიცინი, პოტიომკინი და თავადური გვარის სხვა არა ერთი წარმატებული დიპლომატი თუ საბჭოთა დიდმოხელე), საქართველოში არ მოხდა საზღვარგარეთ თავადაზნაურთა წოდების წარმომადგენელთა მასობრივი გასვლა, ისინი დარჩნენ სამშობლოში, აგრძელებდნენ ცხოვრებას ახალ ვითარებაში და ხალხთან ერთად გადაიტანეს მკაცრი ცხოვრების მთელი სიდუხჭირე.

რას საქმიანობდნენ და რით ირჩენდნენ თავს ქართველი თავადიშვილები საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში?

როგორც დოკუმენტურად დასტურდება ყველაზე ფართო ასპარეზი მათ გაეხსნათ სამხედრო უწყებაში: საბჭოთა ხელი-

სუფლების პირველი თვეებიდანვე ისინი აქტიურად ჩაებნენ წითელი არმიის მშენებლობის პროცესში.

ეს ქართულ ისტორიოგრაფიაში შეუსწავლელი პრობლემაა. ჩვენ შევეცდებით გავარკვიოთ რა საფუძველზე, რისი იმედით და რა პერსპექტიული გეგმებით დაეყრდნო ახალი, კომუნისტური ხელისუფლება საკუთარი ერთგული ჯარის მშენებლობის პროცესში თავადაზნაურ ოფიცრობას, მეფის გენერალიტეტს? მათ მიმართ ხომ გარკვეული ეჭვი და შიში საქართველოს მენშევიკურ ხელისუფლებასაც ჰქონდა? შემორჩენილი დოკუმენტები მიუთითებენ, რომ 1921-1922 წლებში, წითელი არმიის მშენებლობის პროცესში, სხვადასხვა რანგის საპასუხისმგებლო სამხედრო თანამდებობაზე მეფის ყოფილი ოფიცრები იყვნენ დასაქმებულნი (ხაზგასმით უნდა ისიც აღინიშნოს, რომ საბჭოთა ჯარში უფრო მეტი თავადაზნაური ჩანს, ვიდრე დემოკრატიული საქართველოს საჯარისო ფორმირებებში), რატომ?

საყურადღებოა, რომ 1921 წლის 12 ივლისის სახალხო კომისრის შ. ელიავას ბრძანებით საქართველოს მთელ ტერიტორიაზე უნდა განხორციელებულიყო ყოფილი ოფიცრების, სამხედრო სპეციალისტების და სამხედრო მოხელეების აღრიცხვა. გათვალისწინებული იყო ობერ-ოფიცრების (40 წლამდე), მაღალი ღირსების ოფიცრების (50 წლამდე), გენერლების (60 წლამდე) აღწერა. შემუშავდა სპეციალური კითხვარიც, რომელიც აფიქსირებდა გვარს, სახელს, წოდებას, ქართული ენის ცოდნას, სამხედრო და საზოგადოებრივ მდგომარეობას, სპეციალობას, იარაღის სახეობას, უკანასკნელ სამხედრო წოდებას, პარტიულ კუთვნილებას და ა.შ. [12]

ჩვენ ჯერ არ ვიცით როგორი წარმატებით ჩატარდა ეს აღრიცხვა – მის შესახებ მასალას ვერ მივაკვლიეთ. მაგრამ გ. კ. ორჯონიკიძის ინფორმაციით XX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში საქართველოში დაახლოებით 7 500 მეფის არმიის სამხედრო ოფიცერი იყო. ე.ი. საქართველოში სერიოზული სამხედრო თეორიული და პრაქტიკული ცოდნით აღჭურვილი სამხედრო პოტენციალი იყო და, რა თქმა უნდა, ნებისმიერი ხელისუფლების ამოცანა იყო მისი ან გამოყენება, ან –ნეიტრალიზება, რომ ის მოწინააღმდეგე პოლიტიკურ ძალას არ გამოეყენებინა. სამხედრო სპეციალისტთა უმრავლესობა თავადაზნაურული წარმომავლობის იყო.

დოკუმენტურად დასტურდება, რომ ყოფილი თავადები – „ამხანაგი“ ანდრონიკაშვილი, „ამხანაგი“ ჩოლოყაშვილი, „ამხანაგი“ დადიანი, „ამხანაგი“ წერეთელი, „ამხანაგი“ ბაგრატიონ-

დავითაშვილი და სხვები და სხვები ქმნიდნენ საბჭოთა საქართველოს წითელ ჯარს.

ჩვენი გამოანგარიშებით 1921 წელს საქართველოს სამხედრო-საზღვაო კომისარიატის შემადგენლობაში (98 კაცი) – 13 თავადაზნაური იყო. მათ შორის იყვნენ ციციშვილი, წერეთელი, ავალიშვილი, მუსხელიშვილი და სხვ.

არსებობს ცნობა, რომ წითელი არმიის წმენდის, შ. ელიავას თანამდებობიდან გადაყენების და არმიაში სხვა ადმინისტრაციული ზომების განხორციელების შემდეგაც კი, 1923 წლის დეკემბერში საქართველოს წითელი არმიის შემადგენლობაში 11 % თავადაზნაურთა და სასულიერო წოდების წარმომადგენლი იყო. ამ დროს საბჭოთა ქართულ ჯარში მსახურობდა მეფის არმიის 4 გენერალი, 13 პოლკოვნიკი, 15 ვიცე-პოლკოვნიკი.[13]

ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ საბჭოთა იდეოლოგებს თავადაზნაურთა მიმართ გარკვეული ნეგატიური აპრიორი რევოლუციამდე ჰქონდათ, ხოლო რევოლუციის შემდეგ კიდევ უფრო გაუძლიერდათ. ასეთ ვითარებაში დაავალო მათ შექმნან კომუნისტური რეჟიმის ინტერესების დამცველი სამხედრო სტრუქტურა, რომლის მიზანი, როგორც ამას ი. კაჭარავა მიუთითებდა: „ქვეყნის შიგნით დამარცხებული ბურჟუაზიისა და მემამულე-თავადაზნაურობის ექსპროპრიაცია იყო“[14], ან დიდი გულუბრყვილობაა, ან შორს გამიზნული ვერაგული გეგმა.

გამოდის, რომ საქართველოში „მემამულე-თავადაზნაურთა“ ექსპროპრიაცია უნდა მოეხდინა „მემამულე-თავადაზნაურთა“ მიერ გაწვრთნილ, მომზადებულ საბჭოთა არმიას. ეს, რა თქმა უნდა, ნონსენსია. ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ქართველ თავადაზნაურთა აქტიური მიზიდვა წითელი არმიის მშენებლობის პროცესში გარკვეული ფარული აზრის მატარებული უნდა ყოფილიყო.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ XX საუკუნის 20-იან წლების დასაწყისში საქართველოში დაახლოებით 7 500 ძველი არმიის კადრის ოფიცერი ცხოვრობდა, მათ შორის ძირითადად თავადაზნაურთა წრიდან იყო გამოსული. ესენი I მსოფლიო ომის ფრონტებზე გამოცდილება მიღებული, სამხედრო ხელოვნებას დაუფლებული ადამიანები იყვნენ. რა თქმა უნდა, საჭირო იყო მათი ნეიტრალიზება, რადგან ისინი საბჭოთა ხელისუფლებისათვის საშიშროებას წარმოადგენდნენ. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება სამოქალაქო ომის გარეშე დამყარდა, რამაც გამორიცხა მათი ფიზიკური განადგურება სამოქალაქო ომის ფრონტებზე, როგორც ეს მოხდა რუსეთში. საბჭოთა ხელისუფ-

ლებას არ შეეძლო მათი განადგურება მიზეზისა და საბაბის გარეშე, მაგრამ მათი ნეიტრალიზება კი საჭირო იყო. გამოსავალი გამოინახა – ისინი მიიზიდეს საბჭოთა არმიის მშენებლობაში. ამით საბჭოთა ხელისუფლება ორ კურდღელს იჭერდა – შეჰქონდა დეზორგანიზაცია საქართველოს ძველი ოფიცრების რიგებში – (ხომ იყვნენ მტკიცე, პრინციპული ადამიანები, რომლებიც გამორიცხავდნენ ყოველგვარ თანამშრომლობას მოძალადე ხელისუფლებასთან?), და მეორე, ყოველი პატარა გადაცდომისათვის საბჭოთა ხელისუფლებას შესაძლებლობა ეძლეოდა სამხედრო ტრიბუნალზე გადაეცა „ამხ. წერეთელი", „ამხ. ბაგრატიონ-დავითაშვილი", „ამხ. დადიანი" და ახლა უკვე კანონიერად (მათ ხომ ერთგულების სამხედრო ფიცი ჰქონდათ დადებული) ფიზიკურად გასწორებოდნენ თავიანთ „პოტენციურ კლასობრივ მტერს". ამ ვარაუდის გამოთქმის საშუალებას გვაძლევს ძალიან ბევრი ფაქტი, რაც მოხდა საქართველოში 1921-1924 წლებში და რასაც შეენირა კიდეც მრავალი თვალსაჩინო ქართველი კადრის ოფიცერი.

ახალ ქართულ ისტორიოგრაფიაში არის მოსაზრება, რომ თვითონ ქართველი კადრის ოფიცრების საიდუმლო მოლაპარაკების შედეგად გადაწყდა ფორმალურად ეთანამშრომლად ახალ რეჟიმთან, რომ შეენარჩუნებინათ ჯერ ფიზიკური არსებობა, და რაც მთავარია, კი არ გაეძლიერებინათ, არამედ შიგნიდან აეფეთქებინათ „ქართული წითელი არმია" და საჭიროების შემთხვევაში ებრძოლათ საქართველოს შელახული დამოუკიდებლობის აღსადგენად.[15] მათ ამისკენ ზოგიერთი ანტისაბჭოთა პარტიის ხელმძღვანელიც აგულიანებდა (მაგალითად,ნ. ჟორდანია, ს. კედია და სხვ.).

ეს თვალსაზრისი სრულიად მისაღებია და დასაშვები, მაგრამ ასეთი საიდუმლო შეთანხმება, საიდუმლო თათბირი შეიძლება გამართულიყო ოფიცერთა მეტად შეზღუდული რაოდენობით, ყველა ოფიცერს ეს შეთანხმება ვერ მოიცავდა. ასეთ შემთხვევაში ძალიან დიდი იქნებოდა გამჟღავნების საფრთხე. ამიტომ არ უნდა გამორიცხოს საბჭოთა საჯარისო სტრუქტურებში მუშაობის დაწყების მიზნად თავის გადარჩენის სურვილიც, ოჯახის მატერიალური უზრუნველყოფა და ა.შ. (ეს ოფიცრები სისტემატურ და საკმაოდ სრულ სახელმწიფო ულუფას იღებდნენ, მათ შორის დეფიციტურ საქონელსაც).

ამ საკითხის განხილვა დავიწყოთ იქიდან, რომ საქართველოს წითელი ჯარის პირველი მთავარსარდალი იყო ლეგენდარული გენერალი გიორგი მაზნიაშვილი, გენერალური შტაბის

უფროსი საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე იყო გენერალი გედევანიშვილი (რომელიც იღებდა აქტიურ მონაწილეობას 1918 წელს დუშეთის გლეხობის პროკომუნისტური აჯანყების წინააღმდეგ მიმართულ დამსჯელ ოპერაციებში). 1921 წლის 6 ივლისის ბრძანებით მუშურ-გლეხური წითელი არმიის მსროლელი დივიზიის შტაბის უფროსი როსტომ ივანეს ძე მუსხელოვი (მუსხელიშვილი) დაინიშნა სახალხო კომისარიატის შტაბის ოპერატიულ-სამობილიზაციო განყოფილების უფროსად.[16]

1921 წლის 22 ივლისს სახალხო კომისრის შ. ელიავას ბრძანებით ალექსანდრე სიმონის ძე ანდრონიკაშვილი დაინიშნა საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკის ჯარების სარდლად.[17] საყურადღებოა ის, რომ ეს დანიშვნა მოხდა საქართველოს რევკომის 19 ივლისის №387 ბრძანების საფუძველზე, რაც ამაგრებს ჩვენს ვარაუდს, რომ თავადაზნაურთა წარმომადგენლების წითელ არმიაში მიწვევა მარტო შ. ელიავას „მიგნება“ არ იყო.

პირველი ცხენოსანი პოლკის უფროსი იყო ფრიდონ წულუკიძე[18], ხოლო იასე კონსტანტინეს ძე ვაჩნაძე ხელმძღვანელობდა თბილისის მაზრის სამხედრო უწყებას. ზაქარია ილიას ძე მაყაშვილი 1921 წლის 22 აგვისტოს ბრძანებით ხელმძღვანელობდა ქართული არმიის განსაკუთრებულ განყოფილებას. გიორგი პეტრეს ძე ციციშვილი კი მომარაგების სამმართველოს სამხედრო-სამნეო განყოფილების უფროსი იყო.[19] იოსებ მელქისედეკის ძე წერეთელი სახალხო კომისრის 1921 წლის 27 სექტემბრის ბრძანებით თბილისის სამხედრო ხელმძღვანელად დაინიშნა. თავადი „ამხანაგი“ მაყაშვილი სამხედრო და საზღვაო კომისარიატის შტაბის კომისარი გახდა.[20] შაქრო ჩოლოყაშვილი 1921 წლის 20 აპრილს დაინიშნა თიანეთის მაზრის სამხედრო ხელმძღვანელად.[21] საყურადღებოა, რომ 1921 წლის 28 მარტს სახალხო კომისარიატის მარქაფში ჩარიცხეს, ხოლო 31 მარტს უკვე თიანეთში მივლინებით გაგზავნეს დავით რევაზის ძე ჩელოკაევი (ასეა დოკუმენტში – ა.დ.), ალბათ ჩოლოყაშვილი.[22]

თავადიშვილებს ვხვდებით საბჭოთა მილიციის შემადგენლობაშიც, საგანგებო დანიშნულების რაზმების შემადგენლობაშიც. მაგალითად, სართიჭალის მილიციის უფროსი იყო ჩოლოყაშვილი – არის ცნობა, რომ თავისი მილიციის რაზმით ის ქაქუცა ჩოლოყაშვილის დაპატიმრებასაც კი ცდილობდა.

ქაქუცა ჩოლოყაშვილის წინააღმდეგ სპეციალური პროფილაქტიკური მუშაობის ჩატარება დაევალა ბანდიტიზმის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების უფროსს ლორთქიფანიძეს.

ჯგუფის ოპერწმუნებული იყო ეგიევი, თანამშრომელი – წერეთელი. ლორთქიფანიძეს დაევალა პარტიზანების ლიკვიდაციის გეგმის შემუშავება, მას უნდა გამოეყენებინა პარტიული ორგანიზაციების რესურსები, შინსახკომის ძალები, მათ შორის „ჩონის“ (საგანგებო დანიშნულების ნაწილები) შენაერთები.

1923 წლის 13 -14 მაისს ღამით გადაწყდა ქაქუცა ჩოლოყაშვილის ერთ-ერთი რაზმის ლიკვიდაციის ოპერაცია და ლორთქიფანიძე, ეგიევი, „ჩონის“ უფროსი მამია ერისთავი, თანამშრომლები წერეთელი, ასათიანი და შვიდი მილიციონერი გავიდნენ შუამთის მონასტრის მიმდებარე ტერიტორიაზე ინფორმატორი გლეხის თანხლებით (ისე როგორია, მკითხველო, თავადები ლორთქიფანიძე, ერისთავი, წერეთელი, საბჭოთა დროშის ქვეშ აპირებენ თავადი ჩოლოყაშვილისა და მისი პარტიზანული რაზმის ლიკვიდაციას.)

თავადაზნაურთა წარმომადგენლები იყვნენ უშიშროების სამსახურშიც, სხვადასხვა კომისარიატის შემადგენლობაში. შედარებით გვიანდელი ცნობებით(1927 წ.), რეპრესიების მიუხედავად, საბჭოთა საქართველოს სახალხო კომისარიატების თანამშრომელთა შემადგენლობაში საკმაოდ დიდი პროცენტია თავადაზნაურული წარმომავლობის. მაგალითად, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატში თავადაზნაური იყო 34 %, ამდენივე იყო განათლების სახალხო კომისარიატში, საქართველოს „გოსპლანში“ შემადგენლობის 62 პროცენტი თავადაზნაურთა კლასიდან იყო. მუშგლეხინში – 36% თავადაზნაური ჩანს, იუსტიციის სახ. კომისარიატში – 27%, შინსახკომში – 20% და ა.შ. [23]

საინტერესოა აჭარის მაგალითიც, სადაც მუსლიმან ბეგებს დიდი პოლიტიკური და ეკონომიკური შესაძლებლობები ჰქონდათ და თურქეთთან დადებული ხელშეკრულებების გამო საბჭოთა ხელისუფლება ცდილობდა მათ მიმართ ლოიალური ყოფილიყო. რამდენადაც ცნობილი საზოგადო მოღვაწე მემედ ბეგ აბაშიძე მენშევიკებთან თანამშრომლობდა, ის პოლიტიკას ჩამოაცილეს და აჭარის ლიდერად არისტოკრატი, „ამხანაგი“ თახსინ ბეგ ხიმშიაშვილი შეარჩიეს. ის აშკარად პროთურქული ორიენტაციის კაცი იყო და აჭარაში პანისლამისტური ტენდენციები გააძლიერა. მან სხვადასხვა საბაბით, საბჭოთა ხელისუფლების გულისმოსაგებად, თურქეთში გაასახლა 15 აჭარელი ბეგი, ძირითადად ქართული ორიენტაციის, მფარველობდა „სედაიმილეთის“ პროთურქული მიმართულების პარტიის წევრებს და იქამდეც კი მივიდა, რომ 1925 წელს ქედაში შეკრებილ მეჯლისს სხდომაზე ანტიქართული დოკუმენტიც კი მიაღებინა. დოკუმენ-

ტში კი ხაზგასმული იყო: „მესამე სესია მწუხარებით აღნიშნავს საქართველოს მთავრობის მიერ აჭარისტანის მიმართ თავიდანვე წარმოებული ნაციონალისტურ-შოვინისტური პოლიტიკის წარმოების გაგრძელებას“.[24]

თ. ხიმშიაშვილი მოსკოვში, კრემლში ეძებდა „ქართული კოლონიალიზმისაგან“ თავდაცვის საშუალებას. მაგრამ ამაოდ. აჭარის მოსახლეობის ძირითადი ნაწილის თანადგომით ეს სეპარატისტული გამოხდომა სათავეშივე იქნა ლიკვიდირებული. თახსინ ხიმშიაშვილი გადადგა.

ქართველი თავადაზნაურობის ერთმა ნაწილმა საბჭოთა ხელისუფლების პირველი თვეებიდანვე თავი შეაფარა ნეპის პოლიტიკის შედეგად ნებადართულ სამეწარმეო კოოპერატივებსა და ამხანაგობებს. ამ მხრივ მეტად საინტერესოა კოოპერაციული გაერთიანება „მწყემსი“. როგორც ჩანს ეს იყო ძლიერი სამეურნეო გაერთიანება. მისი გამგეობის შემადგენლობაში იყვნენ კ. აფხაზი, ა. ჯავახიშვილი, მიხ. ჩუგუნიძე და სხვები.[25] ორგანიზაცია ორი მიმართულებით საქმიანობდა – ლეგალურად ის საქართველოსათვის მნიშვნელოვანი სასოფლო-სამეურნეო დარგის – მეცხვარეობის აღორძინებას ისახავდა მიზნად, იყო მეორეც – კოოპერაციის ფინანსები გამოიყენებოდა ანტისაბჭოთა საქმიანობისათვის. ამას კი მარტო ეს ორგანიზაცია არ აკეთებდა, არის ფაქტები, რომ სვანეთის აჯანყების დროს ქართლ-კახეთის მწარმოებელ კოოპერატორთა კავშირმა („წარმოკავშირმა“) აჯანყების ხელმძღვანელებს, მათ შორის მოსესტრო დადეშქელიანს, გადასცა 10 მილიონი მანეთი აჯანყების მოსამზადებლად.[26]

რომ მოედუნებინა საბჭოთა სპეცორგანოებისა და საბჭოთა ხელისუფლების ყურადღება, კოოპერატივი „მწყემსის“ ხელმძღვანელობა ლოიალურ წერილებს, მისალმებებს უგზავნიდა საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს, მიწათმოქმედების, სურსათისა და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატებს და გამოთქვამდა იმედს, რომ ისინი „ყოველმხრივ დაეხმარებიან და ხელს შეუწყობენ საქართველოს სოფლის მეურნეობის აყვავებას“.[27]

მიუხედავად ასეთი წერილებისა, სწორედ სურსათის სახალხო კომისარიატის განკარგულებით კ. აფხაზი, ა. ჯავახიშვილი, მიხ. ჩუგუნიძე დააპატიმრეს. მართალია, კოოპერატივმა „მწყემსმა“ აღძრა შუამდგომლობა მათი განთავისუფლების შესახებ, მაგრამ მალე კ. აფხაზი, ა. ჯავახიშვილი და სხვა ქართველი პატრიოტები ანტისაბჭოთა ბრალდებით დახვრიტეს.

ქართველი თავადაზნაურების ძირითადი და მთავარი ასპარეზი მეცნიერება და კულტურა გახდა. მათ ჯერ კიდევ მეფის ხელისუფლების დროს მიღებული ჰქონდათ ბრწყინვალე საუნივერსიტეტო განათლება, ბევრი მათგანი საზღვარგარეთაც იყო სტაჟირებაზე, ჩინებულად ფლობდა რამდენიმე უცხო ენას. მათი მთავარი დამსახურება – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნა იყო, რომელიც თავიდანვე ეროვნული მსოფლმხედველობის შენარჩუნების და განვითარების მთავარ ცენტრად გადაიქცა. მის დამაარსებელთა და პირველ პროფესორ-მასწავლებელთა შორის ბევრი იყო თავადაზნაურთა წარმომადგენელი. არსებული სტატისტიკური ცნობების მიხედვით უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა შორის 1924 წელს თავადაზნაურთა ფენას ეკუთვნოდა 28 კაცი ანუ პროფესორ-მასწავლებელთა 18,7 %.[28] მათ შორის იყვნენ ივ. ჯავახიშვილი, პ. მელიქიშვილი, გრ. წერეთელი და სხვ.

თავადაზნაურთა წარმომადგენლები იყვნენ ლიტერატორთა შორის, საქართველოს მწერალთა კავშირში (მაგალითად, მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ე. მაყაშვილი, კ. გამსახურდია და სხვ.), თეატრის მოღვაწეთა, მასწავლებელთა შორის.

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კონსტიტუცია აღიარებდა მოქალაქეთა თანასწორობას, თავადაზნაურთა წოდების წარმომადგენლებს, თუკი ისინი ლოიალურნი იყვნენ ახალ ხელისუფლებასთან, ხმის უფლებაც ჰქონდათ და დისკრიმინაციას ოფიციალურად არ განიცდიდნენ (ჩვენ ვნახეთ მათი მონაწილეობა ძალოვან სტრუქტურებშიც კი), მაგრამ მათ მიმართ მაინც იყო უნდობლობა და ზოგ შემთხვევაში „ბიოლოგიური ზიზღი" – ჩვენი აზრით – ნაშთი „ჩატეხილი ხიდის" პერიოდიდან. ეს განსაკუთრებით შესამჩნევი იყო იმ კომუნისტი ლიდერების მსოფლმხედველობასა და პრაქტიკაში, რომლებიც გლეხური წარმოშობის იყვნენ და მართლაც კლასობრივი ზიზღით და შურით უყურებდნენ ყოფილ თავადაზნაურულ კლასს.

ამაზე კარგად მიუთითებს საგანგებო კომისიის აგენტურულ ცნობებში წამყვან თუ რიგითი კომუნისტის დისკრედიტაციისათვის მეტად გავრცელებული ფორმულის არსებობა – „მეგობრობს თავადაზნაურთა წარმომადგენლებთან". იმ პერიოდში ეს სასიკვდილო ბრალდება იყო. ასეთი შეფასებისაგან ჩეკას აგენტურა არ იბრალებდა მაღალი რანგის კომუნისტებსაც კი. მაგალითად, არსებობს „ჩეკას" საიდუმლო აგენტების ინფორმაცია, გაგზავნილი მოსკოვში, აფხაზეთის ადგილობრივ პარტიულ თუ სახელმწიფო მოღვაწეებზე: „ეშბა-ძალიან ჰუმანური პიროვ-

ნებაა... თვითონ არ არის თავადი და ბიუროკრატი, მაგრამ მათ წინააღმდეგ ბრძოლას არ ეწევა და მალე თვითონ გახდება თავადი და ბიუროკრატი,... ცაგურიას – მეოთხე ადგილი უკავია საბჭოთა ხელისუფლების მშენებლობაში, ის ვიწრო ნაციონალ-შოვინისტია, შემთანხმებელი ბურჟუაზიასთან, თავადებთან...“ [29]

1923 წელს დააპატიმრეს ბორჯომის რაიონის მილიციის უფროსი, რომელსაც სხვადასხვა დანაშაული დაუმტკიცდა. ბრალდებათა შორის იყო მუხლი – „ყოფილ თავადაზნაურებთან კავშირი ჰქონდა და მათ ოჯახებში ქეიფობდა“.[30]

ასეთი მორალურ-ფსიქოლოგიური განწყობილება კომუნისტებს შორის ერთეული არ იყო, ამას აპირობებდა, მნიშვნელოვანწილად, შური ინტელექტის, ბრწყინვალე წარსულის, შედარებით უკეთესი საცხოვრებლი პირობების, თუნდაც უბრალოდ – კეთილშობილი გარეგნობის გამო.

მაგრამ „ხიდჩატეხილობის“ იდეა, როგორც ჩანს მარტო ლიტერატურული თემა არ იყო, ქართველი გლეხობის ქვეცნობიერში საუკუნოვანი წყენა დაბუდებული იყო და ეს ქვეცნობიერი, გერმანიაში გლეხთა ომის მსგავსად, თავს მუდამ წამოყოფდა ხოლმე ისტორიული კატაკლიზმების დროს.

საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან 1924 წლის აჯანყების პროვოცირების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რა თქმა უნდა, „შიშის მარაგის“ დანერგვა იყო. სწორედ მიუთითებენ თანამედროვე ისტორიოგრაფიაში, რომ რამდენადაც კომუნისტური რეჟიმის მიზანი იყო – უკლასო კომუნისტური საზოგადოების მშენებლობა, საჭირო იყო მოწინააღმდეგე ბანაკიდან ისეთი კრიტიკული მასის ლიკვიდაცია, განადგურება, რაც გამოიწვევდა ამ მასის თვისებრივ ცვლილებას, დაამკვიდრებდა მასში „შიშის სინდრომს“, რაც ხელს გაუხსნიდა ბოლშევიკურ რეჟიმს თავის მიზანდასახულებათა მისაღწევად.[31]

ამ მიზნით კომუნისტებმა ჩინებულად გამოიყენეს 1924 წლის აჯანყებაც, დაიწყეს მასობრივი პროპაგანდა, რომ აჯანყება მოწყობილი იყო თავადაზნაურების, ხუცებისა და მენშევიკების მიერ. აი გაზ. „კომუნისტის“ იმჟამინდელი რუბრიკების შინაარსი: „თავად-აზნაურულ-მენშევიკური ბანდიტების შეიარაღებული გამოსვლები დამარცხდა“, „ასნავლის თუ არა ჭკუას მიღებული „გაკვეთილი “ ყველა ამ თავადებს, აზნაურებს, ყოფილ ოფიცრებს, გაბოროტებულ ინტელიგენციას, მღვდლებს, კულაკებს და ყველა ნაძირალებს მენშევიკთა მეთაურობით“.[32]

სერგო ორჯონიკიძის ცნობით, 1924 წლის აჯანყების პირველსავე დღეებში დაიხვრიტა 980 კაცი, მათგან 95% თავადაზ-

ნაური.[33] ამრიგად, განადგურდა თავადაზნაურთა ფენის მნიშვნელოვანი გენეტიკური, ახალგაზრდული ნაწილი.

თავადაზნაურის ოჯახის ბოლშევიკური აწიოკების ტრაგიკული სურათი შემოგვინახა ქ. ჩოლოყაშვილის ნათესავმა ნინო ავალიშვილმა: „შეცვივდნენ სახლში, გადააბრუნეს იქაურობა. ლოგინი და მუთაქები სულ დაჭრეს. თაროებიდან გადმოყარეს წიგნები, წაუკიდეს ცეცხლი და დაწვეს. ჩხრეკის დროს სხვენში იპოვეს პაპაჩემის დროინდელი დაჟანგული ხმალი და გატეხილი სანადირო თოფი... ძულიაშვილმა (დამსჯელი რაზმის ხელმძღვანელი – ა.დ.) დაიწყო ამ ხმლით მამაჩემის ცემა. მერე მამა და დათო (ნინო ავალიშვილის ძმა-ა.დ.) მიაბეს ცაცხვზე და დაუწყეს ცემა, დათოს წინა დღეს ფუტკარმა უკბინა და გასიებული ჰქონდა ყბა. მიდგა ძულიაშვილის კაცი და სულ ამ გასიებულ ლოყაში ურტყამდა... ძულიაშვილი განაგრძობდა მამაჩემის ცემას. სხვები დარბოდნენ და ყველაფერს ეზოში ყრიდნენ “.[34]

მაგრამ ამაზე უფრო საშინელი იყო ის პროვოცირებული გლეხური, ანტითავადაზნაურული „ბუნტები“, რამაც გადაუარა ქართლ-კახეთს 1924 წლის აჯანყების ჩაქრობისთანავე. 10 სექტემბერს გაზეთი „კომუნისტი“ იუწყებოდა სიღნაღიდან: „გუშინდელი დღიდან გლეხობა სტიქიურად გამოვიდა მათ (იგულისხმება თავადაზნაურობა – ა.დ.) წინააღმდეგ. მოძრაობამ ფართო ხასიათი მიიღო. თვითონ გლეხები კეტებითა და ქვებით სდევნიან თავიანთ სახლებიდან თავადებს და აზნაურებს და **მათ სახლებში ასახლებენ ღარიბ გლეხობას** (ხაზგასმა ჩვენია – ა.დ.). სასოფლო ყრილობაზე გლეხობას გამოაქვს დადგენილება, რომ არცერთი თავადი და აზნაური არ იქნება დატოვებული სოფლად.“

არის თელავისა და სიღნაღის მაზრებიდან სხვა ინფორმაციაც: „როგორც კი ადგილობრივმა ხელისუფლებამ გამოუშვა თავადები, რომლებიც სახლში დაბრუნდნენ – გლეხები იმუქრებოდნენ, რომ ისინი თვითონ გაუსწორდებოდნენ თავის მტრებს... გლეხები ქალებთან და ბავშვებთან ერთად კეტებით შეიარაღებულნი, სიმღერით, წითელი დროშებით მიემართებოდნენ აზნაურთა სახლებისაკენ და ერეკებოდნენ იქიდან ყველას. ამის შემდეგ... **ასახლებდნენ ღარიბ გლეხობას** (ხაზგასმა ჩვენია – ა.დ.)“ [35].

8 სექტემბერს იყალთოში, დილის 7.30 საათზე, ყველა გლეხი გამოვიდა რევოლუციური სიმღერებით, კეტებით შეიარაღებული. „სიკვდილი თავადებს. გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!“ ხელისუფლებას არ უსმენდნენ, თავადები გამორეკეს თავიანთი სახლებიდან. მათ ქონების ნაწილს ცეცხლი გაუჩინეს,

ქვის სახლებში ჩაასახლეს უღარიბესი გლეხობა (ხაზგასმა ჩვენია – ა.დ.). თავადები შეიპყრო პანიკამ, გარბიან თავისი მამულებიდან: ვაჩნაძიანი, საბუე, ახმეტა".[36]

მოტანილი მასალა აშკარად მიუთითებს, რომ კვლავ საქმე გვაქვს ქონების გადანაწილების კომუნისტურ პრაქტიკასთან, რომ ატეხილი აჟიოტაჟის საბოლოო მიზანი ქართველ თავადაზნაურთა ხელში არსებული ბოლო სარჩო-საბადებელის – სახლკარის მისაკუთრება და მათი, როგორც სოციალური ფენის ბოგანოდ გადაქცევა იყო. სწორედ ასეთ ვითარებაში ჩაიბუდებდა "შიშის სინდრომი", რომელიც ათეულ წელს გაუძლებდა. ეს იყო მთავარი მიზანი, რაც წარმატებით შესრულდა.

მაგრამ, აქვე აშკარაა მეორე დასკვნაც – საბჭოთა ხელისუფლების მესამე წლის დასასრულს ქართულ სოფელში ისეთი გაუსაძლისი ვითარებაა, რომ ადვილად ხერხდება ქონების გადასანაწილებლად, ბარბაროსული ფორმით, ხალხის აჟიტირება და ეს კიდევ ერთხელ ხაზგასმით ამტკიცებს და მნიშვნელოვანი არგუმენტია 1924 წლის აჯანყების პროვოცირების საკითხის დასადასტურებლად.

რომ ეს „გლეხური ბუნტები" პროვოცირებული იყო ადგილობრივი პარტიული თუ კომკავშირელი მუშაკების მიერ, ყველაზე კარგად ჩანს სოფელ რუისში განხორციელებული ანტითავადაზნაურული აქციის ძიების მასალებით. ეს ერთადერთი ტრაგიკული შემთხვევაა, რომელიც განიხილა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა და არსებობს ოფიციალური ჩანაწერები, აქციის მონაწილეთა დაკითხვის ოქმები.

ტრაგედიის შემდეგ მილიციამ დააპატიმრა შემთხვევის მონაწილეები: დავით ბერუაშვილი (31 წლის), პავლე ღვინიაშვილი, ბესო გიორგაშვილი (23 წლის), შაქრო მამესწარაშვილი (20 წლის), ლენტო სვიანაძე (25 წლის), ნიკო გოგნიაშვილი, ლევან მამესწარაშვილი (18 წლის) და სხვ. რამდენიმე ფაქტორი იქცევს მკვლევარის ყურადღებას – დამნაშავეთა შემადგენლობა ახალგაზრდულია (18-31 წლის), ადრე პასუხისმგებაში არ ყოფილან (ე.ი. ბოროტმოქმედება არ ჩაუდენიათ), თითქმის ყველა წერაკითხვის უცოდინარია, ძირითადად უპარტიო ჩანან, თუმცა არიან რიგითი კომკავშირლებიც- ერთი სიტყვით „დემოსი" , სოფლის რიგითი ბიჭები.

როგორც ირკვევა, თანასოფლელმა, კომუნისტური პარტიის წევრმა, პავლე ღვინიაშვილმა შეკრიბა მეზობელი ახალგაზრდა ბიჭები კრებაზე, სოფლის გალავანში. კრებას დაესწრო და თავადაზნაურობის წინააღმდეგ სიტყვა წარმოთქვა რაიონის

ინსტრუქტორმა კოლა მესხიძემ: „მტრებს მივცეთ გული, მედგრად დავუხვდეთ, მოვგავოთ და მოვსპოთ“.[37]

შალვა მამესწარაშვილი იგონებდა, რომ კრებაზე აქტივისტებს ისიც განუცხადებიათ, რომ ვინც არ მიიღებდა დახოცვაში მონაწილეობას ის უნდა მოკვდესო, ასეთია დავალებაო. ერთი დაკითხული ასეთ ჩვენებას იძლეოდა: „ბაღში ვმუშაობდი, ჩვენებურები მოვიდნენ და მითხრეს – ფანიაშვილები უნდა დავხოცოთო.ასეთია კოლას დავალებაო (კოლა მესხიძე, პროვოკატორი – ა.დ.) მე წავყე მეზობლებს და დავხოცეთ ფანიაშვილები.“[38] გლეხთა კრებაზე ისიც თქმულა : „რკინის ფოცხებო, მთელი აზნაურობა დავფოცხოთო“.[39]

რატომ მაინცდამაინც ფანიაშვილები, ისინი ხომ არც ქონებით გამოირჩეოდნენ და არც ძირძველი თავადური წარმოშობით? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ძნელდება მასალების ნაკლებობის გამო. მაგრამ ჩანს, ახალგაზრდებს სხვა მეზობელი თავადაზნაურების „დაწყვეტაც“ ჰქონდათ მოაზრებული, რაიონის მილიციის უფროსს გიორგი ბითარაშვილს რომ არ შეეჩერებინა ისინი.

პროვოცირებულმა აქციამ მთელი ოჯახი იმსხვერპლა (აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ გადაარჩინა ფანიაშვილის პატარა გოგონა – მანია).

არსებობს გორის მილიციის უფროსის ოფიციალური ცნობა, რომ რუისში, გლეხური „ბუნტების“ დროს მოსახლეობამ კეტებით და ხიშტებით ამოხოცა დაახლოებით 35 თავადაზნაური: ქალი, კაცი, ბავშვი.[40]

დღეს ძალიან ძნელია იმის თქმა, თუ რა ამოძრავებდათ ადრე ნასამართლებაში არ მყოფ ახალგაზრდა ბიჭებს კრებაზე მიღებული დადგენილების საფუძველზე, რაიონის ინსტრუქტორის შეგონებით მთელი ოჯახის ამოწყვეტა რომ გაბედეს? ნუთუ უკვე ასეთი ზეგავლენა ჰქონდა რიგით ინსტრუქტორს? მის შეგონებას? რატომ განხორციელდა სწორედ ეს შეგონება წარმატებით? რამდენი კეთილშობილი და გასაზიარებელი შეგონება დაუტოვებიათ ამ ახალგაზრდებს შეუსმენლად? რა ფსიქოლოგიური იმპულსები განაწყობდა რიგით ქართლელ ჭაბუკებს მკვლელობის აუღელვებლად ჩასატარებლად? ხომ არ უნდა ვეძებოთ აქ „გლეხური ბუნტის“ ფსიქოლოგიური საფუძვლები? კლასობრივი ზიზღის ქვეცნობიერი გამოვლენა? საუკუნეების მანძილზე დაგუბებული კლასობრივი ბოლმის რეალიზება?

აშკარაა, 1924 წლის აჯანყების შემდეგ საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოში თავისი ერთ-ერთი მთავარი სტრატე-

გიული ამოცანა შეისრულა – თავადაზნაურთა მნიშვნელოვანი ნაწილის ფიზიკურ განადგურებასთან ერთად მან ბოლომდე ჩატეხა ხიდი გლეხობასა და აზნაურობას შორის, დათესა „შიშის მარაგი“, რომელიც მრავალი ათეული წლის მანძილზე გაჰყვა თავადაზნაურობას და გარკვეული შედეგები იმავდროულად მოიტანა კიდეც. ამასთან, გლეხობის შეუგნებელი ნაწილი თავისი ანტითავადური, რეპრესიული პოლიტიკის თანამონაწილე გახადა.

თავადაზნაურთა წინააღმდეგ მიმართული რეზოლუციებით სავსეა გაზეთი „კომუნისტი“: ბორჯომელი მასწავლებლების დიდი ჯგუფი (28 კაცი) აღშფოთებული წერდა – „ერთხელ და სამუდამოდ უნდა გაიწმინდოს ჩვენი ქვეყანა მშრომელი ხალხის შეურიგებელი მტრებისაგან, არავითარი შებრალება, არავითარი ლმობიერება“ (ალ. აღსაბაძე, ვ. ყაზაროვი, ი. გიორგაძე, ა. მაისურაძე, ქ. კასრაძე და სხვ.) [41]

ქართველი ექიმების კავშირიც (150 კაცი) გამოვიდა განცხადებით ქართველი თავადაზნაურობის წინააღმდეგ. მიმდინარე რეპრესიებს მიესალმა მეცხვარეთა კოოპერატივი „მწყემსის“ ახალი ხელმძღვანელობა (ნიშანდობლივია, რომ ეს ის ორგანიზაციაა, სადაც გამგეობაში იყვნენ კ. აფხაზი, ა. ჯავახიშვილი ე.ი. კონფორმიზმი ხელისუფლებასთან უკვე სახეზეა).

და აი, ლოგიკური ფინალი ამ ვაკხანალიის – სოფელ კოლაგის მკვიდრმა თავადმა ილია ივანეს ძე ვაჩნაძემ გაზეთ „კომუნისტში“ გამოაქვეყნა განცხადება: „სახალხოდ ვაცხადებ, რომ დღეიდან არ მსურს ვატარო ჩემი გვარი, რომელიც ხელს მიშლის ვიშრომო და ვიყო კეთილი მშვიდობიანი მუშა-მეურნე. მინდა ვატარო მუშურ-გლეხური გვარი „ილია ივანეს ძე ელისაბედაშვილი“. [42]

ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ 1924 წლის აჯანყებამ მოსკოვში, რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმზე ყურადღება მიიპყრო და სპეციალური დადგენილებაც შემუშავდა, რომელშიც ქართველი თავადაზნაურობის მიმართ ძალადობრივი აქციების გაგრძელებაა ნებადართული, ამასთან ღარიბ გლეხობას დაპირდნენ თავადებისაგან ჩამორთმეული ქონების ნაწილს.

მიგვაჩნია, რომ სწორედ 1924 წლის მოვლენებიც გაითვალისწინა სსრკ უზენაესი საბჭოს ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა, როცა 1925 წელს მიიღო დადგენილება, რომლის ძალით ყოფილ მემამულეებს აეკრძალათ მიწითასარგებლობა და იმ მიწებზე ცხოვრება, რომელიც მათ ეკავათ ოქტომბრის რევოლუციამდე.“ [43]

რა ბედი ეწია ქართველ თავადაზნაურობას 1924 წლის რეპრესიების შემდეგ?

როგორც ჩანს, განხორციელებული რეპრესიების მიუხედავად, ისინი განაგრძობდნენ არსებობას. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ თავადაზნაურობა გვხვდება სახალხო კომისარიატების აპარატის თანამშრომელთა შორის, განსაკუთრებით ბევრი იყო ინტელიგენციაში, პედაგოგებში, თვით საქართველოს საბჭოთა მთავრობის შემადგენლობაშიც კი (მაგალითად, სახალხო კომისრები და მათი მოადგილეები). 1930 წელს 31 კაციდან 7 (მათ შორის მარიამ ორახელაშვილი) თავადაზნაურული წარმოშობისა იყო.[44]

მაგრამ თავადაზნაურობის წარმომადგენლებისათვის საბჭოთა სტრუქტურებში მუშაობა დიდ ხიფათებთან იყო დაკავშირებული იმის გამო, რომ მათ უთვალთვალებდნენ, მათ გადაწყვეტილებებს კრიტიკულად უდგებოდნენ და ამით აიძულებდნენ ყოფილიყვნენ „რომის პაპზე უფრო უკეთესი კათოლიკე"– უფრო მკაცრი, უფრო ულმობელი, უფრო ერთგული გამტარებელი კომუნისტური დოგმატიკისა და დაწერილი თუ დაუწერელი კანონებისა.

საბჭოთა სპეცსამსახურებს არასოდეს შეუნელებიათ ყურადღება სოფლებსა და ქალაქებში გაფანტული თავადებისა და აზნაურების მიმართ. ამას მათგან ფანატიკოსი პარტიული ლიდერებიც მოითხოვდნენ. იმჟამად ყველას კარგად ახსოვდა ლევან ღოღობერიძის საჯარო გამოსვლა, სადაც მან ხაზგასმით აღნიშნა: „თქვენ იცით, რომ საქართველოში 6% თავადაზნაურობაა. ეს არაჩვეულებრივი პროცენტია, რომელიც არცერთ ქვეყანაში არ არსებობს. ჩვენ უნდა შევამციროთ საქართველოში თავადაზნაურობის პროცენტი. დავა მათ და ჩვენ შორის უნდა გადაწყდეს მხოლოდ იარაღით".[45]

ეს იყო მიზანი, პარტიული დავალება. პრაქტიკაში ამ მიზნის რეალიზაციის უამრავი საშუალება არსებობდა – მოქალაქეობის უფლების ჩამორთმევა, საცხოვრებელი ბინების წართმევა, მშობლიური სოფლიდან, ქალაქიდან გასახლება, დევნა-შევიწროება, უუფლებობა, დისკრიმინაცია. ამ პერიოდის ქართველი თავადის ტიპიური სახე ჩინებულად დახატა მიხ. ჯავახიშვილმა თავის გენიალურ „ჯაყოს ხიზნებში" და უჩვენა ის უსასო მდგომარეობა, რაშიც აღმოჩნდა ტიპიური ქართველი ინტელიგენტი-თავადი ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში.

მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ არსებობისათვის ბრძოლის მკაცრმა კანონებმა, ამ კლასის შინაგანი გამძლეობის

მაცოცხლებელი კოდი უზრუნველყოფდა მათ სულიერ ძლიერებას, ადაპტაციას, ზოგიერთი მხრიდან ლოიალობას, ზოგის მხრიდან კი – კონფორმიზმსაც. ბევრმა მოახდინა ვითარებაში გარკვეული ადაპტაცია, თანდათან ალღო აუღო ახალ ცხოვრებას და მიაგნო საზოგადოებრივი ყოფიერების ის ნიშა, რომელშიც მათ გამორჩეული ადგილი დაიკავეს და ცხოვრების შედარებით ნორმალურად გაგრძელების შესაძლებლობაც მიეცათ.

შემორჩენილია დოკუმენტური მასალა, რომელიც წარმოდგენას გვიქმნის, თუ როგორ ცხოვრობდნენ ქართველი თავადები XX საუკუნის 20-იანი წლების დასასრულს, როგორ შრომობდნენ, რა ქონებას ფლობდნენ, რა ურთიერთობა ჰქონდათ ტოტალიტარულ რეჟიმთან.

გვაქვს ცნობა, რომ აჭარელი ბეგები 1927 წელსაც კი იღებდნენ თავისი ყოფილი გლეხებისაგან ბეგარას.[46]

გაზეთ „კომუნისტის" კორესპონდენტი კი ამტკიცებდა, რომ გურიაში, ლიხაურის თემში მცხოვრებმა თავადებმა მოახერხეს ადაპტაცია და სოფელში ნამდვილი ბატონყმური ურთიერთობა შეინარჩუნეს. იმასაც კი აღნიშნავდნენ, რომ ზოგიერთმა თავადმა „პირველი ღამის უფლებაც" კი გაიხსენა და მოჯამაგირედ აყვანილ გოგონას, გაუპატიურების შემდეგ, სარძლოდ სთავაზობდა მასზე ეკონომიკურად დამოკიდებული გლეხის ოჯახს.[47]

მიუთითებდნენ, რომ უღირსი საბჭოთა მუშაკების წაყრუებით ზოგმა თავადმა არა მარტო შეინარჩუნა მიწის დიდი ნადელები, არამედ ეწეოდა გლეხების ექსპლოატაციას, აძლევდა მათ მიწებს საზიაროდ, მიმართავდა დაქირავებულ შრომას. საბჭოთა კანონების უგულვებელყოფით ეწეოდა მიწის ფარულ ყიდვა-გაყიდვას.[48]

როგორც ჩანს, თავადთა სოციალური გამძლეობის საკითხმა პარტიული ხელმძღვანელობის ყურადღება მიიპყრო და მათი დაავალეს სპეციალურ კომისიას შეესწავლათ იმერეთის სამი როაიონის: საჩხერის, ჭიათურისა და ხორაგაულის თავადაზნაურობის ცხოვრება და საქმიანობა.

კომისიამ გამოიკვლია, რომ დასახელებულ რაიონებში თავადაზნაურობამ -1927 წელსაც კი, სხვადასხვა საშუალებით. შეინარჩუნა ნორმაზე მეტი მიწის ნაკვეთი, რომლის 90 პროცენტს ისინი საკუთარი ხელით არ ამუშავებენ, არამედ იყენებდნენ დაქირავებულ შრომას, მიმართავდნენ ფარულ იჯარას.[49]

მაგალითად, საჩხერეში ყოფილი თავადები, ძმები ფ. და ა. წერეთლები გლეხს იჯარაში ართმევდნენ ვენახიდან – მოსავ-

ლის 2/3, ვენახში დათესილი სიმინდიდან – 1/4. ყოფილა შემთხვევები, როცა გლეხი მხოლოდ სიმინდით დაკმაყოფილებულა. იმასაც მიუთითებდნენ, რომ ადგილობრივმა ადმინისტრაციამ ამის შესახებ იცოდა, მაგრამ დუმდა.

კომისიამ ხაზგასმით მიუთითებდა, რომ თავადაზნაურთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა მოახერხა ჩამორთმეული მიწების უკან დაბრუნება... ადგილი ჰქონდა მიწის ყიდვა-გაყიდვას. ასევე დაფიქსირდა ექსპლოატაციის ახალი ფორმა – „შვილად აყვანა". აქაც აღინიშნა მოაჯამაგირე ქალებზე და ქალიშვილებზე თავადების მხრიდან ზნეობის შეურაცხმყოფელი ქმედებების შესახებ.

კომისიის წევრებმა დააფიქსირეს რიგი ყოფილი თავადის მხრიდან საბჭოთა რეჟიმის მიმართ ლოიალობის ფაქტებიც. მაგალითად, ერთ-ერთმა ადგილობრივმა თავადმა თავის სახლში ბიბლიოთეკა მოაწყო, სადაც გამოსაჩენ ადგილზე კარლ მარქსის სურათი გამოფინა.

კომისიის დასკვნა, რა თქმა უნდა, გაითვალისწინა საბჭოთა ხელისუფლებამ და 20-იანი წლების დასასრულიდან, როცა საბჭოთა კავშირში განხორციელებულმა საკოლმეურნეო მოძრაობამ თავადებს კი არა, თვითონ მშრომელ გლეხობასაც კი აღარ დაუტოვა კერძო საკუთრება მიწაზე, ამით შექმნა სოფლად ტოტალიტარული რეჟიმის განმტკიცების ჩინებული საფუძველი.

ამრიგად, თავადაზნაურობა საბჭოთა ტოტალიტარული სახელმწიფოსათვის ის სოციალური ძალა იყო, რომელიც მარქსიზმის ფუძემდებლური პრინციპებით ანაქრონიზმს წარმოადგენდა უკვე კაპიტალისტურ საზოგადოებაში, ხოლო სოციალისტურში – მათთვის ადგილი საერთოდ აღარ იძებნებოდა. საქართველოში კი, როგორც კომუნისტები თვლიდნენ, საკმაოდ ბევრი იყო თავადაზნაური, მათ შორის სამხედრო ცოდნით შეიარაღებული, რაც მათ განსაკუთრებით სახიფათოს ხდიდა ახალი კომუნისტური რეჟიმისათვის. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თავადაზნაურთა უმრავლესობის ეროვნულ, პატრიოტულ მსოფლმხედველობასაც, რაც ასევე საფრთხეს წარმოადგენდა ინტერნაციონალისტური მსოფლმხედველობით გაჟღენთილი ტოტალიტარული სისტემისათვის. ამიტომაც მათი ნეიტრალიზება სამხედრო სტრუქტურებში მათი მიზიდვით სცადეს. ამით საბჭოთა რეჟიმი ორ კურდღელს იჭერდა – ჯერ ერთი, აიძულებდა მეფის ოფიცრობას საბჭოთა სისტემის მიმართ ლოიალური ყოფილიყო, დახმარებოდნენ წითელი არმიის მშენებლობაში, და მეორე მხრივ, ოდნავი საწესდებო დარღვევების გამო უკვე შეეძლოთ

სამხედრო ტრიბუნალისათვის გადაეცათ და ფიზიკურად გასწორებოდნენ თავადაზნაურული სამხედრო ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებს.

თავადაზნაურთა დისკრიმინაცია, შეურაცხყოფა, უარყოფითი ფსიქოლოგიური აპრიორი საბჭოთა რეჟიმს თავიდანვე თან დაჰყვა. ამასთან, არ უნდა გამოირიცხოს საუკუნეების მანძილზე გლეხ-კაცის ფსიქოლოგიაში თავადაზნაურთა მიმართ უარყოფითი სტერეოტიპების არსებობა, „ხიდჩატეხილობის" ქართული თავისებურებები.

თავადაზნაურთა წინააღმდეგ რეპრესიული მექანიზმი ამოქმედდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე, მაგრამ განსაკუთრებით შეუბრალებელი ის იყო 1924 წლის აგვისტოს მოვლენების შემდეგ, როცა მოხერხდა თავადაზნაურთა „კრიტიკული მასის" განადგურება, რამაც გამოიწვია გარკვეული ცვლილებები თავადაზნაურთა სოციალურ შემადგენლობაში და რეჟიმთან დამოკიდებულებაში. მთავრობის მიერ პროვოცირებული გლეხური ბუნტები ქართველ თავადაზნაურობას სახლკარიდან ერეკებოდნენ. ქართველი თავადაზნაურობა იძულებული გახდა საბჭოთა ხელისუფლების მიმართ ლოიალობა გამოეცხადებინა. ისინი „ჩაიკარგნენ" მოსამსახურეთა სოციალურ კატეგორიაში, გაიფანტნენ სხვადასხვა სახელმწიფო, სამეცნიერო-შემოქმედებით თუ სამეურნეო უწყებებსა და ორგანიზაციებში.

აშკარაა, რომ 1924 წლის რეპრესიების შემდეგ თავადაზნაურთა ერთმა ნაწილმა მოახერხა ახალ ვითარებაში ადაპტაცია და კვლავ, გარკვეულწილად, აღადგინა სოფლებში თავისი ეკონომიკური ზეგავლენა. როგორც ჩანს, მიწაზე კერძო საკუთრების მოსპობის მიუხედავად, ქართულ სოფელში, რიგ რაიონში, აღორძინდა რევოლუციამდელი ეკონომიკური ურთიერთობა.

სწორედ ამ პერიოდიდან ქართველი თავადაზნაურობა ძირითადად გადიდის მეცნიერებისა და კულტურის სფეროში და თავის შემოქმედებით ენერგიას იყენებს ტრადიციული სულიერების, ტრადიციული კულტურის განვითარებისა და შენარჩუნებისათვის მუხლჩაუხრელ საქმიანობაში.

საქართველოს მუშათა კლასი

XX საუკუნის 20-იანი წლების პირველი ნახევარი იყო მუშათა დაქსაქსული კადრების აღდგენის და კონსოლიდაციის ეტაპი, მაგრამ ამ პროცესს თან ახლდა მნიშვნელოვანი სიძნელეები, რომელიც გაპირობებული იყო ნაწილობრივ იმ მდგომარეობით, რომ რუსეთის იმპერიის განაპირა რეგიონების, მათ შორის საქართველოს ეკონომიკური განვითარება ჩამორჩებოდა ცენტრალური რუსეთის სამრეწველო განვითარების დონეს, რაც აისახებოდა მუშათა კლასის მდგომარეობაზე. რკპ(ბ) X ყრილობამ ერთ-ერთ პირველხარისხოვან ამოცანად დასახა ნაციონალური რესპუბლიკების დაჩქარებული ეკონომიკური განვითარების ამოცანა, მიიღო დირექტივა ცენტრალური რუსეთის წინ გასწრებული რაიონების მიერ არარუსი ხალხების მშრომელი მასებისადმი დახმარების თაობაზე. ამ გარემოებამ დააჩქარა ნაციონალურ რესპუბლიკებში მუშათა კლასის ჩამოყალიბების პროცესი, რომელსაც ამა თუ იმ რესპუბლიკაში სპეციფიკური თავისებურებანი ახასიათებდა. საქართველო მიეკუთვნებოდა იმ საბჭოთა რესპუბლიკებს, სადაც 1921-1925 წლებში მიმდინარეობდა მუშათა კლასის კონსოლიდაციის პროცესი, განსხვავებით ზოგიერთი სხვა რესპუბლიკებისაგან, სადაც 1917 წლამდე თითქმის არ არსებობდა პროლეტარიატი და გადასვლა სოციალისტური საზოგადოების მშენებლობაზე ხორციელდებოდა კაპიტალისტური ურთიერთობის სტადიის გაუვლელად.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ ხანებში მუშათა შრომითი და საყოფაცხოვრებო პირობები ერთობ მძიმე იყო. ზოგიერთ საწარმოში მუშაობა გრძელდებოდა 10-12 საათს, მუშაობდნენ კვირასა და უქმე დღეებშიც კი. მუშები უკმაყოფილების ნიადაგზე სიძვირის, მუშათა უფლებების შეზღუდვის გამო ტოვებდნენ წარმოებას. გრძელდებოდა მუშათა დენადობა. მაგალითად, ტყიბულის ქვანახშირის მაღაროებში 1770 მუშისაგან 1921 წლის აპრილში წარმოებას შემორჩა 500 კაცი[1].

კომუნისტური დიქტატურის დასაყრდენი იყო მუშათა კლასი, ამიტომ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საქართველოში ყურადღება მიექცა მუშათა შრომითი მოწყობის საქმეს. დაარსდა მუშახელის აღრიცხვის და განაწილების სპეციალური ორგანოები. 1921 წლის 8 აპრილიდან რევკომის დეკრეტით შემოიღეს საწარმოებში 8 საათიანი სამუშაო დღე, 7 საათი ღამით მუშაობისათვის. განისაზღვრა დაქირავებულ შრომაში ჩაბმულ მოზარდთათვის ასაკის მიხედვით მუშაობა არა უმეტეს

4-6 საათისა, აიკრძალა ქალთა და 18 წლამდე ახალგაზრდების შრომა მიწისქვეშა სამუშაოებზე.

მრეწველობის ამა თუ იმ დარგის დაუყოვნებლივ განახლების მიზნით ტარდებოდა მუშათა მობილიზაცია. 1921 წლის 8 დეკემბერს გამოიცა დეკრეტი საქართველოში შრომითი ბეგარის შემოღების შესახებ. ტოტალიტარული რეჟიმის დამკვიდრების საქმეში დიდი მნიშვნელობა მიენიჭა რსფსრ შრომის კანონთა კოდექსის მოქმედებას, რომელიც გავრცელდა ამიერკავკასიის ფედერაციაზე, მათ შორის საქართველოზე 1923 წლის იანვრიდან[2].

საბჭოთა მუშათა კლასის ფორმირებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მრეწველობის ნაციონალიზაციას, წვრილ სამრეწველო საწარმოთა გამსხვილერთეულების ღონისძიებებს, ამ საწარმოთა ბაზაზე ამა თუ იმ დარგის შედარებით მსხვილი სამრეწველო წარმოების შექმნას. სამრეწველო საწარმოთა აღდგენასთან ერთად დაიწყო 20-მდე საწარმოს მშენებლობა, მათგან 9 ობიექტი მწყობრში ჩადგა 1926 წლამდე.

ამ პერიოდში რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებში ადგილი ჰქონდა მუშათა რიცხვის მკვეთრ ცვალებადობას. სამრეწველო საწარმოთა ამუშავებასთან დაკავშირებით გაიზარდა მრეწველობაში დასაქმებულ მუშათა რიცხვი, რაც საწარმოებში დაქსაქსული და ნაწილობრივ დეკლასირებულ მუშათა დაბრუნების მაჩვენებელი იყო, ხოლო მეორე მხრივ, შეიმჩნეოდა მათი რაოდენობის შემცირება რიგ საწარმოებში, მათი კონცენტრაციისა და სამეურნეო ანგარიშზე გადასვლის გამო. ეს კი განაპირობებდა საწარმოებიდან არაკვალიფიციური მუშახელის წასვლას. ადგილზე რჩებოდნენ მუშათა შედარებით კვალიფიციური და მუდმივი კადრები. სამრეწველო მუშები შეადგენდნენ ძირითად ბირთვს, რომლის გარშემო მიმდინარეობდა მუშათა შეგროვება-კონცენტრაცია.

გაფანტული მუშახელის თავმოყრა საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში საქართველოში არც თუ ადვილი იყო. ახალ ეკონომიკურ პოლიტიკაზე გადასვლის ზოგიერთი სიძნელე კიდევ უფრო გაღრმავდა, აუცილებელი სამრეწველო საქონლის უკმარისობის, ქალაქსა და სოფელს შორის არაექვივალენტური საქონელგაცვლის გამო იზრდებოდა უკმაყოფილება მუშათა შორის.

მუშათა კლასის კონცენტრაციისა და კონსოლიდაციის ერთ-ერთი მაჩვენებელი იყო მის პირველ ეტაპზე მუშათა დეკლასირების პროცესის შეჩერება[3]. 1923-1924 წლიდან კონსოლი-

დაციის მეორე ეტაპზე მრეწველობაში დაბრუნდა სოფლად გადასული მუშახელი.

საქართველოს მუშათა კლასის კონსოლიდაციის მესამე ეტაპად მიიჩნევა 1925-1926 წლები[4], როდესაც დამთავრდა გაფანტული მუშახელის წარმოებაში თავმოყრის პროცესი, გაჩნდა მუშათა ახალი ნაკადი. ამრიგად, ადგილი ჰქონდა მუშათა რიცხობრივ ზრდას წარმოების ამა თუ იმ უბანზე, „ძველი" და „ახალი" მუშახელის მრეწველობაში მიზიდვის შედეგად. ჩვენი დაკვირვებით შეიმჩნევა, რომ სამრეწველო მუშათა დეკლასირების მასშტაბი უფრო ფართო იყო რუსეთში, ვიდრე საქართველოში, ამდენად.მისი დაძლევა ჩვენში შედარებით უფრო მოკლე დროში გახდა შესაძლებელი. დაახლოებით ანალოგიური თავისებურებით ხსნიდნენ იმ გარემოებას, რომ სახალხო მეურნეობის აღდგენითი პერიოდი საქართველოში უფრო ადრე დამთავრდა, ვიდრე სსრ კავშირში მთლიანად[5], თუმცა სადღეისოდ ეს კონცეფცია მთლად გასაზიარებელი არ ჩანს.

საქართველოს მუშათა კლასის შევსების წყაროები 20-იან წლებში მჭიდროდ იყო დაკავშირებული სოფლის ჭარბი მოსახლეობის, სასოფლო სამეურნეო პროლეტარიატის არსებობასთან.

პირველი მნიშვნელოვანი შევსება მუშათა რიგებისა მოხდა ნახევრად პროლეტარული ფენებიდან. მაგრამ თუ მცირემიწიანი ღარიბი გლეხობის ერთი ნაწილი წარმოებაში მუდმივად მუშაობას აპირებდა, მეორე ნაწილი დროებით, ზოგიც სეზონურად მუშაობას ეწეოდა, რადგან მუშათა ამ ახალ ნაკადს არ უნდოდა კავშირი გაეწყვიტა სოფლის მეურნეობასთან. მაგრამ ქალაქისკენ სამუშაოდ დაძრული სოფლის ჭარბი მოსახლეობის ნაკადი იმდენად ძლიერი იყო, რომ საქართველოს მრეწველობას, რომელიც ახალ ეკონომიკურ საფუძველზე ის იყო იწყებდა აღორძინებას, არ შეეძლო მისი არა თუ სრულად, არამედ მნიშვნელოვანი ნაწილის გამოყენებაც კი. თავისუფალი მუშახელის დინება სოფლიდან ქალაქისაკენ 20-იან წლებში დღითიდღე იზრდებოდა, ამიტომ ქალაქად იქმნებოდა უმუშევართა არმია.

საქართველოში უმუშევრობის ზრდაზე 1921 წლის განმავლობაში დიდი გავლენა მოახდინა ლტოლვილთა დიდი რაოდენობის მოძალებამ მეზობელი რესპუბლიკებიდან. მათ დიდმა ნაწილმა თბილისის გარდა თავი მოიყარა შავიზღვისპირეთის ქალაქებში. მაგალითად, უმუშევართა რიცხვის მიხედვით პირველი ადგილი ეჭირა ბათუმს. მასზე მოდიოდა უმუშევართა 32,4 პროცენტი, მეორე ადგილი – თბილისს (27,9%), მესამე ადგილი კი,

ფოთს (11,6%), ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, შრომის ბირჟის აღრიცხვით (შრომის ბირჟები არსებობდა თბილისში და ბათუმში, სხვა ქალაქებში კი საკორესპონდენტო პუნქტები). რუსეთიდან ჩამოსულები შეადგენდნენ 23,8%, სომხეთიდან – 11,9%, სხვა რესპუბლიკებიდან – 7,9%-ს და ა. შ.[6] უმუშევრობას 20-იანი წლების დასაწყისში საქართველოში ძირითადად ადგილობრივი ხასიათი ჰქონდა სოფლის ჭარბი მოსახლეობის დიდი რეზერვების არსებობის გამო თუმცა მოსული ელემენტის ადგილიც მნიშვნელოვანი იყო.

1921-1922 წლებში შრომის ბაზრის მოწესრიგების საქმეში ადგილი ჰქონდა მთელ რიგ ექსპერიმენტებს. 1921 წლის მარტში უმუშევრობის სალიკვიდაციო კომისიამ თბილისის ყველა დაწესებულება-ორგანიზაციას და პროფესიულ კავშირებს უმუშევართა სასწრაფო აღრიცხვის წინადადება მისცა[7]. ამ დროს არსებობდა მუშახელის განაწილების ე. წ. იძულებითი სისტემა. 1922 წელს 25 დეკემბერს თბილისში შედგა პროფკავშირების სექციათა და უმუშევართა კრება, რომელმაც შრომის ბირჟისაგან მოითხოვა უმუშევართა გაგზავნა სამუშაოზე მხოლოდ მათი სანქციით, უმუშევართა გამოყენება ზედმეტი მუშაობისთვის საწარმოებში და უმუშევართა დახმარების სხვა წყაროების გამოძებნა[8], ყურადღება მიექცა უმუშევართა შორის კვალიფიციური მუშახელის გამოკვლევას. ამ მიზნით ჩატარდა შრომის ბირჟების რეორგანიზაციის კამპანია, უმუშევართა წმენდა საქართველოს ქალაქებში – თბილისში, ქუთაისში, ჭიათურაში, სოხუმში, ბორჯომში, სამტრედიაში, ფოთში და ბათუმში. წმენდის შედეგად 32221 უმუშევრისგან აღრიცხვიდან მოიხსნა 21921 კაცი.

1921-1923 წლებში შემცირდა ინდუსტრიული ჯგუფის უმუშევართა რიცხვი და შესაბამისად ხვედრითი წონა. კერძოდ, თუ 1921 წ. თბილისის ინდუსტრიული ჯგუფის უმუშევარნი შეადგენდნენ 28,6%, 1922 წ. – 24,2%, 1923 წ. იგი შემცირდა 17,6%-მდე.

მუშახელის მიწოდება სამრეწველო საწარმოებისათვის აღემატებოდა მათზე მოთხოვნებს. ამის მიზეზი მდგომარეობდა იმაში, რომ უმუშევართა დიდ ნაწილს მუშახელზე მოთხოვნების შესატყვისი კვალიფიკაცია არ ჰქონდა. ამით აიხსნება ის გარემოებაც, რომ მუშახელზე მოთხოვნების დაკმაყოფილების პარალელურად საქართველოს მრეწველობა კვალიფიციურ მუშათა საგრძნობ ნაკლებობას განიცდიდა.

სახალხო მეურნეობის აღდგენა-განვითარების პროცესს თან სდევდა მუშათა რაოდენობრივი ზრდა. 1923-1924 წლებში

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში დასაქმებულთა რიცხვი შეადგენდა 73900-ს, 1924-1925 წ. – 90806, ხოლო 1925-1926 წლებში იგი გაიზარდა 116700 კაცამდე[9].

შრომის ცალკეული დარგების მიხედვით მუშათა რაოდენობის ზრდა ერთნაირი როდი იყო. საქართველოს დამუშავებით მრეწველობაში დასაქმებული მუშახელის რაოდენობრივი ზრდის ტემპი სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში დასაქმებულ მუშათა რიცხვის საშუალო მატების ტემპზე უფრო მაღალი იყო.

1923 წლის სამრეწველო აღწერის მონაცემების მიხედვით საქართველოში ითვლებოდა 14,2 ათასი სამრეწველო დაწესებულება 35,7 ათასი მუშახელით[10]. თუმცა არსებობს განსხვავებული სტატისტიკური მონაცემებიც, რაც იმჟამინდელი სტატისტიკის წარმოების საერთო ნაკლით აიხსნება. იზრდებოდა სახელმწიფო სექტორი მრეწველობაში, რაც შეესაბამებოდა ტოტალიტარული სახელმწიფოს მშენებლობის საერთო კურსს. კერძო საწარმოთა რაოდენობა საქართველოში სახელმწიფო საწარმოთა რიცხვს რამდენჯერმე აღემატებოდა. მუშათა კონცენტრაციის დონის მიხედვით პირველ ადგილზე იდგნენ სახელმწიფო საწარმოები, რომ არაფერი ვთქვათ ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების დიდ უპირატესობაზე კერძო საწარმოებთან შედარებით.

ამრიგად, 1921-1922 წლებში მრეწველობის ზოგიერთ დარგში მუშათა რიცხვის შემცირება, რაც გამოიწვია სახელმწიფო სამრეწველო საწარმოთა გადასვლამ სამეურნეო ანგარიშზე, ზოგიერთ ნაკლებრენტაბელურ საწარმოთა დახურვამ და წვრილ საწარმოთა გამსხვილებამ, 1923 წლიდან შეიცვალა მუშათა რაოდენობრივი ზრდით მრეწველობის თითქმის ყველა დარგში.

დამუშავებითი მრეწველობის დარგებს შორის მუშახელის უპირატეს ზრდას ჰქონდა ადგილი 1924-1925 წლებში ხისდამმუშავებელ, საფეიქრო და ქიმიურ მრეწველობაში, სადაც მუშათა რიცხვი 2,5-ჯერ გაიზარდა 1923 წელთან შედარებით. მუშათა რიცხვის ზრდის მიხედვით შემდეგ მოდიოდა ტყავის წარმოება, გემო-კვებისა და ლითონდამმუშავებელი მრეწველობა[11]. განსაკუთრებით გადიდდა მშენებელ მუშათა რაოდენობა 4596-დან 1923 წ. 12743-მდე 1926 წ., რაც განაპირობა სამრეწველო მშენებლობის გაშლამ, მათ შორის ზემოავჭალის ჰიდროელექტროსადგურის მიმდინარე სამუშაოთა გაფართოებამ. 1923 წ. ზაჰესის მშენებლობაზე დასაქმებული იყო ათასამდე მუშა. დიდი სამუშაოები ჩატარდა საქართველოს სამხედრო გზის აღსადგენად.

მუშათა კლასში ავანგარდის როლს ასრულებდნენ საფაბრიკო-საქარხნო მუშათა ჯგუფები, რადგან ფაბრიკა-ქარხნებში მანქანურ წარმოებასთან დაკავშირებით კონცენტრირებული იყო კვალიფიციურ მუშათა დიდი უმრავლესობა. ამიტომ მუშათა სოციალურ ჯგუფებს შორის საფაბრიკო-საქარხნო მუშათა ჯგუფებზე იყო ორიენტირებული კომუნისტური პარტიის პოლიტიკა ტოტალიტარული რეჟიმის დამკვიდრებისათვის ბრძოლაში.

20-იან წლებში იზრდებოდა მუშა-ქალთა რიცხვი, რომელიც მამაკაცთა რაოდენობას ჭარბობდა მსუბუქი მრეწველობის (საფეიქრო, ტანსაცმლის), გემო-კვებისა და ქიმიურ მრეწველობაში, ხოლო მოზარდები ჭარბად იყვნენ ჩაბმულნი ტყავის წარმოებაში და ლითონდამამუშავებელ მრეწველობაში, სხვა დარგებს შორის მეტად პოლიგრაფიულ წარმოებაში და მშენებლობაზე[12].

საქართველოს მუშათა შორის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდნენ შინამრეწველობაში დასაქმებულნი. ხელოსნობა და შინამრეწველობა ვითარდებოდა სახელმწიფო მრეწველობის გვერდით საბჭოთა სახელმწიფოს ხელშეწყობით. უნდა აღინიშნოს, რომ არსებობდა დაქირავების ე. წ. მალული ფორმა. მარტოხელა შინამრეწველთა ნაწილი მუშაობდა ინდივიდუალურად პროდუქციის შემსყიდველის ან „შუამავლისათვის".

მრეწველობის განვითარების ხელშემწყობი პირობები, ერთი მხრივ, და უმუშევრობის ზრდა, მეორე მხრივ, ეკონომიკური კონიუნქტურის ამ ერთდროულად არსებული ურთიერთგამომრიცხველი ტენდენციების ასახსნელად გათვალისწინებული უნდა იქნას ის გარემოება, რომ ქალაქად ცხოვრების პირობების შეცვლა გახდა მუშახელის ქალაქებისკენ ლტოლვის სტიმული.

მუშათა ნაწილის ინდივიდუალური კავშირი სოფლის მეურნეობასთან საბჭოური მუშათა კლასის ჩამოყალიბების და განვითარების თვალსაზრისით ერთი მხრივ უარყოფითი მოვლენა იყო, მეორე მხრივ, სახელმწიფოს არ მიუღია ზომები ამ კავშირის შესაჩერებლად, რადგან სოფელთან დაკავშირებული მუშები ახორციელებდნენ ცოცხალ კონტაქტს გლეხობაზე მუშათა პოლიტიკური გავლენის მოსახდენად. ამას საჭიროდ მიიჩნევდა ხელისუფლება, რადგან სოფლის არა პროლეტარულ ფენებში კვლავ შენარჩუნებული იყო ანტისაბჭოთა პარტიების ზეგავლენა. რამდენადაც საქართველო ძირითადად აგრარულ ქვეყანას წარმოადგენდა, ამდენად მუშათა კლასის ჩამოყალიბება-განვითარების პირობები, მნიშვნელოვანწილად, სოფლად მიმდინარე სოციალური ძვრებითაც იყო განპირობებული.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სოფლად თავისუფალი მუშახელის ჭარბად არსებობის პარალელურად, როგორც ოფიციალური დოკუმენტები მიუთითებენ, განვითარების გზაზე შემდგარი საქართველოს მრეწველობა განიცდიდა კვალიფიციური მუშახელის ნაკლებობას. „სამეურნეო ცხოვრების აღდგენასა და წარმოების გაძლიერებას ხელს უშლიდა დიდი სიმცირე ყველა კატეგორიის კვალიფიციური მუშახელის“ – მიუთითებდა საქართველოს პროფსაწარმოო კავშირთა პირველი კონფერენცია, ამიტომ იდგა ამ კადრების სწრაფი მომზადების საკითხი.

საქართველოს პროფესიული კავშირების V ყრილობამ (1926 წ.) ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ „სახალხო მეურნეობის აღორძინებისდაკვალად კვალიფიციური მუშების ნაკლებობა უფრო და უფრო საგრძნობი ხდება. შემდეგში ეს ნაკლებობა უფრო მწვავე გახდება. ერთი მხრივ, მრეწველობის აღდგენა სისწრაფით მიმდინარეობს და, მეორე მხრივ, კვალიფიციურ მუშათა მარაგი, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში ქარხნებს ჩამოშორებული და სოფლად გახიზნული მუშები შეადგენდნენ, უკვე ამოინურა[13]. ყრილობამ ამით დააფიქსირა საქართველოს სამრეწველო მუშათა კადრების კონსოლიდაციის პროცესის ძირითადად დასრულება.

კვალიფიციურ მუშათა სიმცირის პირობებში სამრეწველო საწარმოებს უჭირდათ დიდი დაკვეთების შესრულება. ამის უზრუნველსაყოფად დაიწყო მუშათა კადრების მომზადება საფაბრიკო-საქარხნო სკოლების შექმნის გზით, წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის სკოლებიც ამ მიზანს ემსახურებოდნენ. 1923 წ. თბილისში მოქმედებდა 67 ასეთი სკოლა, მათ შორის მშენებელი მუშებისათვის. საქართველოში არსებული სახელოსნო სასწავლებლები გარდაიქმნენ საფაბრიკო-საქარხნო სკოლებად. გაიხსნა პროფტექნიკური კურსები ტრანსპორტის მუშათა მოსამზადებლად და ა. შ. შეიქმნა აგრეთვე მუშათა ფაკულტეტები, რომელთა მსმენელებს სამრეწველო მუშები შეადგენდნენ. აღნიშნული ღონისძიებანი უმუშევართა სხვადასხვა საწარმოო კოლექტივებში გაერთიანებასთან ერთად, საბჭოური მუშათა კლასის პროფესიული და პოლიტიკური აღზრდის მიზანს ემსახურებოდა. მაგრამ 20-იანი წლების პირველ ნახევარში ვერ გადაიჭრა მუშათა ეროვნული კადრების მომზადების საკითხი, თუმცა ამ გზაზე მუშათა კლასის კონსოლიდაციის სახით გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯი.

მუშათა კლასის შრომითმა საქმიანობამ უდიდესი მნიშვნელობა შეიძინა. რუსეთის მუშათა პოლიტიკური და სოციალური

აქტივობის გამოცოცხლება საქართველოშიც გავრცელდა, 1921 წლის გაზაფხულზე საქართველოში საფუძველი ჩაეყარა მშენებლობებზე მუშათა შაბათობების ორგანიზებას.

მუშათა შრომითი ინიციატივა პოულობდა გამოხატულებას პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ საწარმოო თათბირებში. თბილისის სამრეწველო საწარმოებში ამ თათბირების შექმნას 1924 წლის მაისიდან შეუდგნენ. საწარმოო თათბირების მონაწილეებს ძირითადად მუშები წარმოადგენდნენ. თათბირებზე შეტანილ წინადადებათა რეალიზაცია ხელს უწყობდა წარმოების რაციონალურ მოწყობას, შრომის ნაყოფიერების ზრდას. პროფკავშირული ორგანიზაციები ცდილობდნენ რაც შეიძლებოდა მეტი მუშა-მოსამსახურე ჩაებათ კოლექტიურ ხელშეკრულებათა და სატარიფო შეთანხმებათა ქსელში.

ფართოვდებოდა მუშათა ადგილი მმართველ კომუნისტურ პარტიაში. ეს გარემოება განსაკუთრებით წარმოჩინდა ვ. ლენინის გარდაცვალებასთან დაკავშირებით გამოცხადებული განვევის პირობებში. რესპუბლიკის სინამდვილის თავისებურებათა გათვალისწინებით პარტიულ კომიტეტებს მიეცათ დირექტივა პარტიაში პირველ რიგში დაზგასთან მომუშავე მუშათა მიღების წესის შესახებ. შემოიღეს ზოგიერთი შეზღუდვა კომუნისტურ პარტიაში შესვლის დროს ყოფილი ანტისაბჭოთა პარტიების წევრი მუშებისათვის, აგრეთვე იმათთვის, ვინც ფლობდა კერძო საკუთრებას ან ჰქონდა კავშირი სოფელთან. ლენინური განვევისას თბილისის პარტიულ ორგანიზაციაში მიიღეს 2235 დაზგის მუშა, ხოლო მთლიანად საქართველოს კომპარტიაში მიღებულთა რაოდენობამ გადააჭარბა 4000 კაცს[14]. თუ საქართველოს კომპარტიის წევრთა და წევრობის კანდიდატთა რიცხვი 1922 წ. შეადგენდა 10727 კაცს, მათ შორის მუშები შეადგენდნენ 13%-ს, 1924 წ., 10942, მათ შორის მუშები 21,6%, 1925 წლის 1 ოქტომბრისთვის ეს რიცხვი გაიზარდა 13769-მდე, მათ შორის ხვედრითი წონა 40,2%-მდე[15].

საქართველოს კომპარტიის რიგები იზრდებოდა ძირითადად ქართველი მუშების ხარჯზე. 1925 წლის ოქტომბრისთვის ქართველები შეადგენდნენ პარტიის წევრთა და წევრობის კანდიდატთა 62,8%-ს.[16] პარტიაში ახლად მიღებულ მუშათა ერთ, ოლონდ მცირე ნაწილს, შეადგენდნენ მენშევიკური და სხვა ანტისაბჭოთა პარტიებიდან გამოსულები.

1924 წლის აგვისტოს ანტიკომუნისტური აჯანყების დამარცხების შემდეგ ფართოდ და სწრაფად გავრცელდა კომუნის-

ტური იდეოლოგია, რამაც განაპირობა საწარმოებში მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის ჩამოყალიბება. მასობრივი ხასიათი მიიღო ფაბრიკა-ქარხნების მშენებლობამ, რაც მუშათა რიგების ზრდის საფუძველზე კომუნისტური პარტიის სოციალური ბაზის განმტკიცების პროცესს ემსახურებოდა.

საქართველოს მუშათა კლასის კონსოლიდაციის, შრომითი და სოციალური აქტივობის შედეგად გადაიჭრა სახალხო მეურნეობის აღდგენის ამოცანა. გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა ამიერკავკასიის ფედერაციას და ნაციონალური რესპუბლიკების საკავშირო გაერთიანების საფუძველზე სამეურნეო რესურსების გაერთიანებას საქართველოს მრეწველობის აღდგენა-განვითარების სიძნელეთა დაძლევის, უმოქმედო საწარმოთა ამუშავების, ელექტრიფიკაციის დაწყებას სარეკონსტრუქციო ღონისძიებათა გატარებისათვის. სახალხო მეურნეობის აღდგენის დამამთავრებელ წლებში საქართველოს მრეწველობა არსებითად შეიცავდა რეკონსტრუქციის ელემენტებს, ისევე როგორც მომდევნო წლებში ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული სახალხო მეურნეობის ყველა დარგის აღდგენის პროცესი. სამრეწველო განვითარება აქამდე მიმდინარეობდა ძველ ტექნიკურ მოწყობილობათა ბაზაზე, საწარმოთა ტექნიკური აღჭურვილობის დონე არ შეესაბამებოდა მრეწველობის განვითარების ტემპს. ამიტომ მრეწველობის ძირითადი კაპიტალის განახლება იყო ერთ-ერთი მთავარი ამოცანა 1925 წლიდან ტოტალიტარული სახელმწიფოს მიერ აღებული ინდუსტრიალიზაციის კურსისა. მეორე რიგის ამოცანა საქართველოში მდგომარეობდა მრეწველობის ახალი დარგების მშენებლობაში, რომლის გადაჭრისათვის რეალური შესაძლებლობანი, პირველ რიგში სანედლეულო ბაზა არსებობდა. მრეწველობის განვითარება ინდუსტრიალიზაციის პერიოდში კაპიტალური მშენებლობის მიმართულებით წარიმართა.

ინდუსტრიალიზაცია ხორციელდებოდა მთელ რიგ წინააღმდეგობათა ვითარებაში. ცნობილი ინჟინერი ბესარიონ ჭიჭინაძე 1926 წ. ამბობდა, რომ საქართველოსთვის ამჟამად მეტალურგიის, ქვანახშირის ან ნავთობის მრეწველობის განვითარების ხაზის დასახვა უაზრობა იქნებოდა, ხოლო ამ დარგების განვითარების გარეშე კი, მისივე მტკიცებით, შეუძლებელი იყო ფართო ინდუსტრიული განვითარება. მძიმე ინდუსტრიაზე იმედის დამყარება მისი აზრით „წაგვიყვანდა განვითარების არა ბუნებრივი გზით და ბოლოსდაბოლოს მძიმე ეკონომიკურ შედეგს მოგვცემდა[17]. საქართველოს ინდუსტრიალიზაციის ზოგიერთი მოწინააღმდეგე მსხვილი მრეწველობის შექმნის წყაროე-

ბის განხილვისას მიუთითებდა იმაზე, რომ „მსოფლიოს ბაზრისა და ჩვენი ნარმოების წესის დღევანდელ პირობებში საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეს ვერ ექნება მიმზიდველი ძალა უცხოეთის კაპიტალისათვის, ვერ მიეცემა ამ სიმდიდრეს ისეთი საექსპორტო მნიშვნელობა, რომ თავის მხრივ, საფუძვლად დაედოს ჩვენში კაპიტალის დაგროვებისა და ჩვენი მსხვილი მრეწველობის განვითარებასო“.

ამ პერიოდში ადგილი ჰქონდა აზრთა სხვადასხვაობას მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების ეკონომიკური განვითარების მიმართულებათა საკითხებზე. საქმე ეხებოდა იმას თუ ნაციონალური რესპუბლიკების სამეურნეო განვითარება უნდა წარმართულიყო ერთგვარად დამოუკიდებლად, თუ მთელი ტოტალიტარული სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარების ინტერესების საფუძველზე და მის შესატყვისად. კომუნისტური პარტიის მთავარ კურსს ამ საკითხში კარგად გამოხატავდა ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის მიერ მიღებული ერთ-ერთი თეზისი – „ჩვენ მთავარ მიზნად ვერ დავისახავთ სამეურნეო უნივერსალიზმს, პირიქით, ჩვენ რაც შეიძლება მკაფიოდ უნდა გავავლოთ სპეციალიზაციის ხაზები, საფუძვლად უნდა იქნას აღიარებული შრომის განანილება მთელ კავშირში“.[18] ასეთი იყო ტოტალიტარული სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარების დოქტრინა, რომელიც ყოველ ნაციონალურ რესპუბლიკას აუცილებლად უნდა განეხორციელებინა.

მუშათა შრომითმა საქმიანობამ განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო ინდუსტრიალიზაციის ამოცანების რეალიზაციის დროს, რომელსაც თან ახლდა პოლიტიკური და ეკონომიკური სიძნელეები. ქართველ ოპოზიციონერებს თავისი რესპუბლიკური ცენტრი ჰქონდათ, რომელიც დაკავშირებული იყო ცენტრის გაერთიანებულ ოპოზიციასთან. კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ აშკარა ბრძოლასთან ერთად ოპოზიცია ეწეოდა ძირგამომთხრელ მუშაობას, ქმნიდა რესპუბლიკის ქალაქებში და მაზრებში არალეგალურ ორგანიზაციებს. კომუნისტური პარტია მიმართავდა მათ ნინააღმდეგ სასტიკ რეპრესიებს. საქართველოს კპ(ბ) V ყრილობამ, რომელმაც ტროცკისტული ოპოზიციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხს განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო, გარიცხა ოპოზიციონერები კომუნისტური პარტიის რიგებიდან.

ინდუსტრიული მშენებლობა დიდ კაპიტალდაბანდებებს საჭიროებდა. მრეწველობის კერძო სექტორის დაბეგვრის გზით მიღებული სახსრები არასაკმარისი იყო, ხოლო სოციალისტურ

სექტორს დაგროვების მიღება შეეძლო მეტად შეზღუდული რაოდენობით. ინდუსტრიალიზაციის სახსრების მობილიზაციის საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს 1927-1929 წლების ინდუსტრიალიზაციის სესხებმა, რომელთა რეალიზაცია მოხდა სამრეწველო მუშათა კოლექტივებში. ამ გზით რესპუბლიკამ მიიღო 28 მლნ. მანეთი, რაც მთლიანად მოხმარდა ინდუსტრიულ მშენებლობას. სამრეწველო საწარმოებში მუშებმა გარკვეული როლი შეასრულეს ე. წ. მომჭირნეობის რეჟიმის განხორციელებაში, რომლის გადაწყვეტილება მიიღო საკ. კპ(ბ) XV კონფერენციამ (1926 წლის ოქტომბერ-ნოემბერში).

საქართველოს მუშათა კლასი გამოეხმაურა კომუნისტური პარტიის მოწოდებას კომუნისტურ პარტიაში 1927 წლის ოქტომბრის გაწვევის შესახებ. ამ გაწვევიდან ერთი თვის განმავლობაში საქართველოს კომპარტიაში შევიდა 1300-ზე მეტი კაცი, რომელთა 87,2% ფაბრიკა-ქარხნების და ტრანსპორტის საწარმოთა კვალიფიციური მუშა იყო[19]. პარტიაში მიღებულთა შორის საშუალოდ წარმოებაში მომუშავე კომკავშირლები 1/3-ზე მეტს შეადგენდნენ. ოქტომბრის გაწვევის შედეგად შეიცვალა საქართველოს კომუნისტური პარტიის სოციალური შემადგენლობა. გაძლიერდა მუშათა ბირთვი თბილისში, ასევე მთლიანად რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციაში.

ინდუსტრიალიზაციის წლებში სახელმწიფო მრეწველობის ზრდის ტენდენციებთან ერთად შეიმჩნეოდა შინამრეწველობაში ჩაბმული მუშახელის რაოდენობის ზრდის პროცენტი. შეიცვალა ამ დარგში დასაქმებულთა მატერიალური მდგომარეობა, ჩამოყალიბდა შინამრეწველობის საწარმოო პროფესიული კავშირი, რომელიც ზრუნავდა შინამრეწველობისათვის კრედიტის გაცემის, ნედლეულით მომარაგების, პროდუქციის რეალიზაციის კუთხით.

ამ პერიოდში საქართველოს შინამრეწველობაში და კუსტარულ საწარმოებში დასაქმებული იყო 49263 კომლი, უპირატესად მთიანი მხარეების მუშახელი. იგი დაკავშირებული იყო სოფლის მეურნეობასთან, რაც მას ინდუსტრიალიზაციის სამსახურში აყენებდა. ეს განაპირობებდა შინამრეწველობის საწარმოთა გაფართოებას ერთი მხრივ, ხოლო სხვა შემთხვევაში სახელმწიფო მრეწველობასთან მათ შერწყმას.

მუშათა კლასის რაოდენობრივი და თვისებრივი ზრდა, მისი ხვედრითი წილის გაძლიერება წარმოადგენდა ინდუსტრიალიზაციის სოციალურ შედეგს; საფაბრიკო-საქარხნო მუშათა რიცხვი შეადგენდა 1925/26 წ. 12808, 1926/27 წ. – 14574, ხოლო

1927/28 წ. – 16028-ს. ამრიგად, ამ მუშათა რაოდენობა გაიზარდა 1926/27 წ. 5,7%-ით, 1927/28 წ. კი 16,2%-ით, 1925/26 წელთან შედარებით. უნდა აღინიშნოს, რომ ამ პროცესის შესახები სტატისტიკა ხასიათდება სხვადასხვაობით, რაც უნდა აიხსნას იმით, რომ მუშათა რაოდენობაში ზოგ შემთხვევაში ჩათვლილნი არიან უმცროსი დამხმარე პერსონალი, მონაფენი და ზოგჯერ მოსამსახურენიც, სამრეწველო მშენებლობის გაფართოებამ ამ პერიოდში განაპირობა მშენებლობაზე დასაქმებულ მუშათა რაოდენობის ზრდა. 1929/30 წ. მშენებლობაზე მუშაობდა 41622 კაცი. მშენებლობა წარმოადგენდა შედარებით ხელმისაწვდომ არხს მუშახელის გადაადგილებისათვის სოფლიდან ქალაქში. მშენებლობაზე შედიოდა ეს მუშახელი პროფკავშირში, ხშირ შემთხვევაში აქედან გადადიოდა მრეწველობასა და ტრანსპორტზე.

მრეწველობის ცალკეულ დარგებს შორის მუშათა რიცხობრივი ზრდის მხრივ პირველი ადგილი ეკავა სამთამადნო და ლითონდამმუშავებელ მრეწველობას. იზრდებოდა მუშათა რაოდენობა მსუბუქი მრეწველობის საწარმოებშიც, მაგრამ მძიმე მრეწველობაში უფრო მაღალი ტემპით იზრდებოდა მრეწველობაში დასაქმებული მუშა-ქალთა რიცხვი, მოზარდის ხვედრითი წილი კი მცირდებოდა, რაც ჩვენი აზრით უნდა აიხსნას მათი ფართოდ ჩაბმით პროფესიული სწავლების სხვადასხვა ფორმაში.

ინდუსტრიალიზაციის განხორციელებისას გადაჭრით დადგა მუშათა კლასის ეროვნული კადრების მომზადება-შექმნის აუცილებლობა, რამდენადაც საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციის მაღალ ტემპთან დაკავშირებით ნაციონალური რესპუბლიკების, მათ შორის საქართველოს მრეწველობას არ შეეძლო დაყრდნობოდა კავშირის სხვა რაიონებიდან მუშათა კადრების გადმოსროლის შესაძლებლობას. ამ გარემოებამ განაპირობა მრეწველობის და ტრანსპორტის მუშათა ადგილობრივი კადრების მომზადების მთელი რიგი ღონისძიებების განხორციელება, რომლის შედეგად გაიზარდა ქართველ მუშათა და მუშა-ქალთა რიცხვი.

20-იანი წლების ბოლოს ეროვნული მუშათა კადრების რაოდენობრივი ზრდით და შესაბამისად მაღალი ხვედრითი წილით ხასიათდებოდა მოპოვებითი მრეწველობა, მშენებლობა და ტრანსპორტი, სამთომადნო მუშათა პროფკავშირული ორგანიზაციის ეროვნული შემადგენლობის ამსახველი სტატისტიკის მიხედვით 1928 წ. ჭიათურის მანგანუმის პერევისის მაღაროს 899 მუშიდან ქართველი იყო 874, მეჩხერის 164 მაღაროელიდან

– 159, ჭიქურის 115 მაღაროელიდან – 111[20], ტყიბულის ქვანახშირის 1026 მეშახტიდან 998[23], ზაჰესის კოლექტივში 119-დან ქართველი იყო 86, 1930 წ. 114-დან 87[21].

დაჩქარებულმა ინდუსტრიალიზაციამ შეცვალა ქართველ მუშათა ხვედრითი წილი სახალხო მეურნეობის ზოგიერთ დარგში. იგი მერყეობდა 40,3%-დან 55,5%-მდე. ამ წლებში მუშათა შორის ქართველი ეთნიკური შემადგენლობის ზრდის ტენდენცია განმსაზღვრელი იყო. 1928 წლისათვის ქართველი მუშების საერთო რაოდენობა 37%-დან გაიზარდა 57%-მდე, სხვა ეროვნების მუშებისა კი შემცირდა. კერძოდ, რუსი მუშებისა 19-%-დან 14%-მდე, სომხებისა 34%-დან 22%-მდე, აზერბაიჯანელებისა 0,6%-დან 0,13%-მდე, დანარჩენი ეროვნების მუშათა წარმომადგენლობა 23%-დან 20%-მდე[22].

განსაკუთრებით მრავალეროვნულობით გამოირჩეოდა თბილისის სამრეწველო საწარმოების მუშათა ეროვნული შემადგენლობა, რაც მნიშვნელოვან წილად ქალაქის მოსახლეობის ტრადიციული მრავალეროვნულობით აიხსნებოდა. ანალოგიური მდგომარეობით ხასიათდებოდა ბათუმის სამრეწველო საწარმოთა მუშების ეროვნული შემადგენლობა. მუშათა ქართული ეთნიკური შემადგენლობის ხვედრითი წილის ზრდა დადებითი ტენდენცია იყო, რაც შეესაბამებოდა ეროვნულ ინტერესებს.

სამრეწველო მუშათა სოციალურ შემადგენლობაში შეიძლება გამოიყოს: კადრის მუშები, სოციალური წარმოშობით „წმინდა“ პროლეტარები, რომლებიც შეადგენდნენ მუშათა კლასის ძირითად ბირთვს. მუშათა ეს ჯგუფი წარმოდგენილი იყო უპირატესად ლითონდამუშავებაში და რკინიგზის ტრანსპორტზე, მუშები გამოსული გლეხობიდან, მუშები კუსტარულ, შინამრეწველთა და სხვა არაპროლეტარული ფენებიდან, რომელთა დიდი ნაწილი დასაქმებული იყო მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში; მუშები – მოსამსახურეთა წრიდან – ყველაზე ნაკლები ხვედრითი წილით.

20-იანი წლების შუახანებში საქართველოს სამრეწველო საწარმოები ჯერ კიდევ ინარჩუნებდნენ პირდაპირ ეკონომიკურ კავშირებს ევროპის ზოგიერთი ქვეყნის საწარმოებთან, რაც გეგმიური ეკონომიკის დამკვიდრების პირობებში სრულიად შეწყდა. სამაგიეროდ, ინტენსიური ხდებოდა ეკონომიკური ურთიერთობა ნაციონალური რესპუბლიკების სამრეწველო კოლექტივებისა. მაგალითად, თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მექანიკური ქარხანა საბჭოთა კავშირის 186 ქალაქს ამარაგებდა ყურძნის საწნეხი მოწყობილობით, ავტოშემკეთებელ ქარხანაში

სარემონტოდ გზავნიდნენ ავტომანქანებს ჩრდილოეთ კავკასიიდან და ამიერკავკასიიდან, 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაში მზადდებოდა საფეიქრო მანქანები თურქმენეთისათვის და ა.შ. ურთიერობა რესპუბლიკებს შორის რადიკალურად შეიცვალა 1929 წლიდან შეჯიბრების გაშლის პირობებში, როდესაც სამეურნეო ხელშეკრულებათა დადება მონათესავე საწარმოებს შორის ტრადიციული გახდა. ეს კონტაქტები სტიქიური არ ყოფილა. მიზანდასახული იყო საწარმოო გამოცდილების გაზიარება, დახმარება ექსპლუატაციაში შესული საწარმოებისათვის პირველ სიძნელეთა დაძლევაში.

20-იან წლებში მუშათა მატერიალური მდგომარეობა მკვეთრად არ გაუმჯობესებულა საბჭოთა ხელისუფლების პირველ ხანებში გადაიდგა ნაბიჯები შრომითი ხელფასის მოწესრიგების მიმართულებით. 1922 წლის მარტიდან კოლექტიური ხელშეკრულების სისტემის შემოღების, შრომის კვალიფიკაციის საფუძველზე სახელფასო ტარიფის აგების და შრომის ორგანიზაციის მოწესრიგების შედეგად გაჩნდა ტენდენცია შრომის ნაყოფიერების და მის შესატყვისად ხელფასის ზრდისა. მაგრამ შესაბამისობა შრომის ნაყოფიერების ამაღლებასა და ხელფასის ზრდას შორის დარღვეული იყო. ხელფასის ზრდა წინ უსწრებდა შრომის ნაყოფიერების ზრდას. 1924 წელს მუშათა ხელფასი შეადგენდა ომამდელი დონის 72%-ს, ხოლო ნაყოფიერებისა 66%-ს. ასეთი შეუსაბამობა იწვევდა მრეწველობის პროდუქციის თვითღირებულების და საბაზრო ფასების ზრდას. ე. ი. რეალური ხელფასის შემცირებას. 1925/26 სამეურნეო წელს საქართველოს სამრეწველო მუშათა ნომინალური ხელფასი მთელ რიგ დარგებში გაიზარდა (20%-ით), მაგრამ იგი არ შეესაბამებოდა შრომის ნაყოფიერების ზრდას (13%).

შემდგომ წლებში სამრეწველო საწარმოებში მექანიზაციის დანერგვაზე გამომუშავების ნორმების გადასინჯვის, შრომის რაციონალური ორგანიზაციის და ხელფასის გეგმიანი რეგულირების შედეგად რამდენადმე იქნა დაძლეული ზემოაღნიშნული გარღვევა. მაგრამ სრული შესაბამისობა ხელფასის ზრდასა და შრომის ნაყოფიერების ზრდას შორის ვერ იქნა მიღწეული 20-იანი წლების ბოლოსთვის. ომამდელი დონე მუშათა ხელფასის დარგში მიღწეულ იქნა 1927 წელს.

ხელფასი განსხვავებული იყო მუშათა კატეგორიების მიხედვით. სატარიფო რეფორმის გატარების შედეგად მრეწველობის ზოგიერთ დარგში შემოღებულ იქნა პროგრესულ-პრემიალური ანაზღაურება. ინერგებოდა ნარდად მუშაობა მრეწველო-

ბაში. ყველაზე მაღალი ხელფასი ჰქონდათ თბილისი ტრამვაის და ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი სახელოსნოების მუშებს. ინდუსტრიალიზაციის წლებში, კერძოდ, 1926-1928 წლებში ხელფასის დინამიკა უჩვენებს მუშათა მაღალ ხელფასს ლითონდამმუშავებელ, პოლიგრაფიულ დარგებში, ხოლო ხელფასის ზრდის ტემპის მიხედვით პირველ ადგილზე იდგნენ გემო-კვების, ლითონდამმუშავებელი, ქვანახშირის, ხისდამმუშავებელი სანარმოები.

20-იან წლებში გატარდა ღონისძიებანი მუშათა სოციალური დაზღვევის, ჯანმრთელობის დაცვის დარგში. მუშათა საბინაო პირობები გაუმჯობესებას საჭიროებდა. ამ პერიოდში მშენებლობის შესაძლებლობანი ერთობ შეზღუდული იყო.

ამრიგად, XX საუკუნის 20-იანი წლები საქართველოს საბჭოთა მუშათა კლასის კონსოლიდაციის და ჩამოყალიბების უმნიშვნელოვანესი პერიოდი იყო. ამ პროცესმა განაპირობა ინდუსტრიის შექმნის ხელშესახები პირობები და აქედან გამომდინარე შედეგები. მუშათა კლასი, როგორც სოციალისტური საზოგადოების „წამყვანი ძალა" ანგარიშმიუცემლად ასრულებდა კომუნისტური პარტიის დოქტრინებს ტოტალიტარული სახელმწიფოს მოთხოვნებს, სხვაგვარად მას ვერ წარმოედგინა ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის მშენებლობის პროცესი. მუშათა კლასი მონაწილეობდა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის განხორციელებაში, თუმცა მას არ შეიძლებოდა გაეთვალისწინებინა მისი შედეგები, ის გარემოება, რომ ეს იყო გადახვევა სოფლის მეურნეობის ტრადიციული გზიდან.

საქართველოს გლეხობა და აგრარული ურთიერთობანი

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროისათვის საქართველოს ეკონომიკის თავისებურებას წარმოადგენდა მისი აგრარული ხასიათი, რომელზედაც მიუთითებს ის ფაქტი, რომ საქალაქო მოსახლეობა შეადგენდა რესპუბლიკის მოსახლეობის 19,2%[1], ხოლო მრეწველობის ხვედრითი წონა ეროვნულ შემოსავალში იყო18,9%.[2]

საქართველოს რევკომი, როგორც კი ძირითადად მორჩა ხელისუფლების ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების ჩამოყალიბებას, შეუდგა მიწის შესახებ დეკრეტის შემუშავებას. იგი გამოქვეყნდა 1921 წლის 6 აპრილს, ამ დეკრეტმა – მიწის

„მშრომელი ხალხის საკუთრებად გამოცხადების შესახებ," დაუდო სათავე საქართველოში აგრარული რეფორმის კომუნისტური პარტიის პრინციპებზე განხორციელებას. მისი მიზანი იყო მიწის გასხვისების ყოველგვარი ფორმის აკრძალვა, მიწის ამოღება ყიდვა-გაყიდვის სფეროდან, მემამულეთა, ეკლესია-მონასტრების, მსხვილ მესაკუთრეთა მიწების კონფისკაცია და მათი ჩარიცხვა მიწის სახელმწიფო ფონდში. მიწა გადადიოდა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების განკარგულებაში. ადგილობრივი საგლეხო კომიტეტები აწარმოებდნენ მიწების განაწილებას გლეხებს შორის. ეს ხორციელდებოდა დაკვრითი, „რევოლუციური" წესით, რომლის წინააღმდეგ გამოვიდნენ ქართველი „ნაციონალ-უკლონისტები", რომლებიც აგრარული რეფორმის დარგში „ზომიერი პოლიტიკის," ევოლუციური გზის მომხრენი იყვნენ. ისინი წინ აღუდგნენ გლეხობის მიერ მემამულეთა მიწების ურთიერთშორის განაწილებას. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი, ადგილობრივი ორგანოები სარგებლობდნენ იმით, რომ ახალი ეკონომიკური პოლიტიკა უშვებდა იჯარას და კერძო პირთა მიერ დაქირავებული შრომის გამოყენებას, ხანგრძლივი იჯარის ფორმით აღადგენდნენ მიწის ყიდვა-გაყიდვის პრაქტიკას და ამგვარად, ფაქტობრივად აუქმებდნენ კანონს მიწის შესახებ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის „ნაციონალ-უკლონისტური" შემადგენლობის ხელისუფლებისაგან ჩამოშორების შემდეგ, 1922 წლის ოქტომბრიდან გაიშალა აგრარული რეფორმის განხორციელება დაკვრითი წესით. ხელისუფლება მხარს უჭერდა გლეხობას, რომელიც მასობრივად ერეკებოდა მემამულე-თავადაზნაურობას მამულებიდან. მათი მიწები, სამეურნეო ინვენტარი, ცოცხალი გამწევი ძალა და შენობები ცხადდებოდა საზოგადოებრივ საკუთრებად. მარტო შორაპნის მაზრაში ერთი თვის განმავლობაში მემამულე-თავადაზნაურებს ჩამოერთვა 10 ათასი ქცევა მიწა, 50 სახლი, 30 წისქვილი, გორის მაზრაში – 747 დესეტინა მიწა, 89 სახლი, 21 წისქვილი და სხვ.[3]

მიწის შესახებ დეკრეტის განხორციელებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მიწათმოწყობის დებულებას, რომელიც მხოლოდ 1923 წლის მაისში შემუშავდა. დებულების მიხედვით აგრარულ რეფორმას უნდა უზრუნველეყო მიწით უმიწაწყლო და მცირემიწიანი გლეხები, გლეხთა ურთიერთდამხმარე და კოოპერაციული საზოგადოებანი (არტელი, ამხანაგობა, კომუნა). უნდა მიმხდარიყო აგრეთვე მჭიდროდ დასახლებული სოფლების

განტვირთვა და ახალშენების მოწყობა, მიწების ხარვეზიანობის გამოსწორება და მაოი რაციონალური გადანაწილება.

მაგრამ დებულებით გათვალისწინებული მიწის ნორმის ფარგლებში უმიწაწყლო გლეხების მიწით დაკმაყოფილება შეუძლებელი აღმოჩნდა. აღმოსავლეთ საქართველოსთვის მიწის ნორმა საშუალოდ უდრიდა 4, დასავლეთ საქართველოში კი – 2,5 დესეტინას[4]. ამრიგად, მიწის ნორმის მიღებულმა განსაზღვრამ მიწის ფონდის საერთო სიმცირის გამო, ღარიბი და უღარიბესი უმიწაწყლო გლეხობა შეძლებულ გლეხობასთან შედარებით არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩააყენა. შეძლებულმა გლეხებმა და მემამულე-თავადაზნაურობამ შეინარჩუნა ნორმით დადგენილი მამული, ღარიბმა გლეხობამ კი ეს ვერ მიიღო. ამასთან, მიწით უზრუნველყოფილი ზემოთ აღნიშნული კატეგორიები, ნორმის სახით, იტოვებდნენ ყველაზე უკეთეს მიწებს, მრავალწლიან ნარგავებს, სახელმწიფოს ხელში კი გადადიოდა მდარე ხარისხის, დაქუცმაცებული, მთელ რიგ შემთხვევაში სოფლიდან ძალზე დაშორებული ნაკვეთები.

აგრარული რეფორმის განხორციელებას აფერხებდა ტრადიციული მიწათმოუწყობლობა და მეტისმეტი მცირემიწიანობა. იგი განსაკუთრებით მწვავე იყო დასავლეთ საქართველოში. მაგალითად, ლეჩხუმისა და რაჭის მაზრებში ერთ სულ მოსახლეზე მხოლოდ 0,2 დესეტინა სახნავი მიწა მოდიოდა[5].

1921 წლის მთლიანი გამოკვლევით საქართველოში რეგისტრირებული იყო 326454 მიწით მოსარგებლე, რომელთაც ჰქონდათ 1282674 დესეტინა მიწა (საკარმიდამო, ბაღი, სახნავი, სათიბი, საბოსტნე); მიწათმფლობელობის მოცულობის მიხედვით ეს მეურნეობანი იყოფოდნენ ასე: 2 დესეტინა და მეტი მიწა ჰქონდა 40,2%-ს, ფლობდა სულ მიწის საერთო მოცულობის 13%-ს. 2-დან 10 დესეტინამდე მიწის მფლობელნი შეადგენდნენ 59%-ს, ფლობდნენ ისინი მიწის 82,9%-ს. 10-დან -50 დესეტინამდე მიწის მფლობელნი შეადგენდნენ 0,8%- და ფლობდნენ ყველა მიწის 4,1%-ს, ე.ი. მიწის 82,9% იყო შეძლებულ და საშუალო გლეხების ხელში.

აგრარული რეფორმის მომენტისათვის საქართველო გამოირჩეოდა მიწის დაქუცმაცებით. ზოგიერთ რაიონში შემორჩენილი იყო სათემო მიწათსარგებლობის გადმონაშთები.

1923 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერით საქართველოში ითვლებოდა 388480 კომლი, რომელთა მიწით დაკმაყოფილებისათვის ნორმით საჭირო იყო 1219450 დესეტინა მიწა, სინამდვილეში კი, იმავე აღწერის ცნობით საქართველოში სოფლის მე-

ურნეობის ვარგისად (ტყისა და საძოვრების გარეშე) იყო ცნობილი 875606 დესეტინა მიწა. ე. ი. დადგენილი ნორმით გლეხების დასაკმაყოფილებლად საჭირო იყო კიდევ 344444 დესეტინა მიწა. უნდა აღინიშნოს, რომ ნორმაში არ შეჰქონდათ საკარმიდამო ნაკვეთები, მაგრამ მათი შეტანაც კი არ იყო საკმარისი ნორმის ფარგლებში გლეხების დასაკმაყოფილებლად[6].

20-იანი წლების პირველ ნახევარში გაიზარდა გლეხურ მეურნეობათა რაოდენობა, რაც აიხსნება მიწის დამატებითი ნორმის მიღების მიზნით მსხვილ გლეხურ მეურნეობათა დაყოფა-დაქუცმაცების პროცესით. მიწის კოდექსით ნაწილობრივ შეიზღუდა გლეხურ მეურნეობათა შემდგომი დაქუცმაცება. მიწის დეკრეტის განხორციელება იწვევდა მსხვილ მეურნეობათა დაშლას. კონფისკაციაქმნილი მიწის ფონდი გადადიოდა სახელმწიფოს ხელში. უმიწაწყლო, ბოგანო მოჯამაგირე გლეხები ქმნიდნენ საკუთარ მეურნეობებს. 1921 წლიდან 1925 წლამდე გლეხურ მეურნეობათა რიცხვი აღნიშნული დაყოფის შედეგად, გაიზარდა 326360-იდან 423948 ერთეულამდე.

ამ პერიოდში სოფლის მეურნეობისადმი სუსტმა აგრონომიულმა დახმარებამ განაპირობა სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობის დაბალი დონე. აგრონომიული მომსახურება რამდენადმე გაძლიერდა 1924-1925 წლებიდან, თუმცა სასურველ დონეზე იგი მომდევნო წლებშიც არ ავიდა. ამ დროს 3366 სოფელს ემსახურებოდა მხოლოდ 48 აგრონომი და 19 ინსპექტორი. ერთი აგრონომი მოდიოდა 517 კომლზე და 12 ათას დესეტინამდე კულტურულ მიწაზე, 9 ათასამდე სახნავ მიწაზე[7]. აგრონომიული დახმარება ფინანსდებოდა როგორც სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ისე ადგილობრივი ბიუჯეტებიდან. სოფელს დახმარებას უწევდნენ კოოპერაციული ორგანიზაციები და სახელმწიფო სავაჭრო ორგანიზაციები.

საჭირო იყო მიწის ფონდის გადასინჯვა, ვარგისი მიწების ახალი მასივის ათვისება მორწყვის, ჭაობების ამოშრობის გზით და ა. შ. ამ მიზანს ემსახურებოდა საირიგაციო და სამელიორაციო სამუშაოების დაწყება 1922 წლის მეორე ნახევარში. 1921-1925 წლებში გაიყვანეს 6 სარწყავი არხი, რომლითაც ირწყვებოდა 42500 დესეტინა მიწის ფართობი. ამასთან დაწყებული იყო 4 სარწყავი არხის გაყვანა, მიმდინარეობდა მუშაობა ყარაიას სარწყავი სისტემის აღსადგენად, კოლხეთის ჭაობების ამოსაშრობად და ა. შ. ამან შეუწყო ხელი ცალკეული სასოფლო-სამეურნეო კულტურების საჭირო ფართობის გაზრდას.

1923 წლიდან შეინიშნებოდა სოფლის მეურნეობის სასაქონლო ნაწილის ზრდა და იმავე დროს პროდუქციის იმ ნაწილის შემცირება, რომელიც განკუთვნილი იყო საგარეო ბაზრისათვის, თუმცა სოფლის მეურნეობის საქონლიანობა დაბალი იყო, რაც ძირითადად განპირობებული იყო მეურნეობათა დანაწევრებით. 1924/25 წელს ჯერ კიდევ არსებობდა სხვაობა სამრეწველო საქონლის და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ინდექსებს შორის. გლეხი ჯერ კიდევ ბევრს ყიდდა (სოფლის მეურნეობის სასაქონლო ნაწილი სახელმწიფო სავაჭრო ორგანიზაციებს საზღვარგარეთ გაჰქონდათ), ვიდრე ყიდულობდა სამრეწველო საქონელზე მაღალი ფასების გამო.

უფრო ჩქარი ტემპით მიმდინარეობდა ტექნიკური კულტურების აღდგენა-განვითარება, ვიდრე მარცვლეული კულტურებისა, რაც აიხსნება იმით, რომ მარცვლეული კულტურები საქართველოში ნაკლებ რენტაბელური იყო, ვიდრე ტექნიკური კულტურები და მეცხოველეობის დარგი. სოფლის მეურნეობის აღდგენა დაკავშირებული იყო ნედლეულზე მრეწველობის განვითარების მოთხოვნილებებთან.

აგრარული რეფორმა 1923 წლამდე ხორციელდებოდა ნელი ტემპით საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, განსაკუთრებით აჭარაში. ამ დროიდან კი იგი დაკვრითი ტემპით ჩატარდა, თუმცა ზოგიერთ რაიონში იგი 1925 წელსაც კი არ იყო დასრულებული. თუ 1922 წელს სახელმწიფო მიწის ფონდს გადაეცა მემამულე-თავადაზნაურებისა და კულაკებისაგან ჩამორთმეული 28744 დესეტინა მიწა, 1923 წ. ამ ფართობმა შეადგინა 107224 დესეტინა, ხოლო 1924 წელს გლეხებს დამატებით გადაეცათ 5833 დესეტინა მიწა. ისე რომ, რეფორმის შედეგად საქართველოს გლეხობამ მიიღო 150 ათასამდე დესეტინა მიწის ფართობი ყოველგვარი გამოსასყიდის გარეშე[8]. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აგრარული რეფორმის მომენტისთვის საქართველოში იყო 593512 დესეტინა საძოვრები და სათიბი მიწა. დასამუშავებლად ვარგისი ზემო აღნიშნული მიწის გარდა გლეხობამ მიიღო არსებული საძოვრები და სათიბი მიწა. თუ გავიზიარებთ ფ. ლომაშვილის მიერ დამოწმებულ მონაცემებს, 140 ათასი დესეტინა სავარგულების მიღების შესახებ გლეხობის მიერ, ნაცვლად ზემოაღნიშნული 150 ათასი დესეტინა მიწისა, გამოდის, რომ რეფორმის შედეგად საქართველოში გლეხს შეეძლო მიეღო 593512 დესეტინა საძოვარი და სათიბი მიწა[9]. ჩამორთმეული მიწის დიდი ნაწილი შედგებოდა წვრილი ნაკვეთებისაგან, რომელიც გადაეცა მცირემიწიან გლეხებს, ხოლო ვენახების ზვრები და ხილის

ბალები – სამაზრო აღმასკომებს, რომელთაც უნდა დაეცვათ ეს ფართობები დაქუცმაცებისაგან და განადგურებისაგან.

მიწის ფონდის განაწილება გლეხურ მეურნეობათა შორის აგრარული რეფორმის გატარებამდე და შემდეგ ასეთ სურათს იძლევა: 1921 წელს აღმოსავლეთ საქართველოში სრულიად უმიწაწყლო ან ისეთი გლეხები, რომელთაც ერთ დესეტინამდე მიწა ჰქონდა, შეადგენდა მთელ გლეხურ მეურნეობათა 13,8%-ს, ხოლო აგრარული რეფორმის შედეგად ამ გლეხების რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა და შეადგინა მხოლოდ 4,4%; ერთიდან 2 დესეტინამდე მიწას ფლობდა გლეხურ მეურნეობათა 20,3%, 1927 წელს კი 23,7%; 2-დან 4 დესეტინამდე მიწის მფლობელი იყო 22%, 1927 წელს კი მათი რიცხვი გაიზარდა 38,4%-მდე. სამაგიეროდ ამ წლებში შემცირდა 4-დან 10 დესეტინამდე მიწის მფლობელი შეძლებული გლეხობის ხვედრითი წონა 39,2%-დან 33,4%--მდე. განსაკუთრებით საინტერესოა, რომ ხვედრითი წონა კარგად უზრუნველყოფილი გლეხების ზედაფენისა, რომელსაც 10 დესეტინიდან 15 დესეტინამდე მიწა ჰქონდა, შემცირდა 2,7%-დან 1,1%-1.[10]

პირობითად გლეხობის პირველ ჯგუფს შეადგენდა უღარიბესი გლეხობა, მეორე ჯგუფს მცირემიწიანი ღარიბი გლეხობა, მესამე ჯგუფს – საშუალო გლეხობა, ხოლო მეოთხე ჯგუფს – შეძლებული გლეხობა და მისი ზედაფენა. ამგვარად, მიწათმფლობელობის მიხედვით სოფლის მოსახლეობის საშუალო ფენა 20-იანი წლების განმავლობაში (მისი ბოლო წლების გამოკლებით). იზრდებოდა, ერთი მხრივ, ღარიბი და, მერე მხრივ, შეძლებული გლეხობის ხარჯზე.

აგრარული რეფორმა საქართველოში ხორციელდებოდა ძირითადად ახალი ეკონომიკური პოლიტიკის პირობებში, რასაც არ შეიძლებოდა გავლენა არ მოეხდინა რეფორმის გატარების პროცესზე და ხასიათზე. კულაკობას ჩამოერთვა არც თუ დიდი რაოდენობის მიწა, რაც აიხსნებოდა იმით, რომ მცირემიწიან საქართველოში კულაკობა არ გამოირჩეოდა მსხვილი მიწათმფლობელობით და არც რაოდენობით. ამასთან გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ საშუალო გლეხობის ნაწილი შეცდომით იქნა აღრიცხული კულაკად.

20-იანი წლების დასაწყისში ძლიერ დაბალი იყო სოფლის მეურნეობის აღჭურვილობის დონე. 1921 წლისათვის იგი გლეხური მეურნეობის მოთხოვნილებას მხოლოდ 10 პროცენტით თუ აკმაყოფილებდა. 1923 წ. სასოფლო-სამეურნეო აღწერის მონაცემების მიხედვით საქართველოს სოფელში ცოცხალი გამწე-

ვი ძალა არ გააჩნდა 173222 მეურნეს ანუ მთელ გლეხურ მეურნეობათა 44,6%-ს. მიწათმოქმედებისათვის საჭირო ძირითადი სასოფლო-სამეურნეო იარაღი (სახნავი, გუთანი, კავი და სხვ.) არ გააჩნდა 210092 მეურნეს ანუ გლეხურ მეურნეობათა 54,1%-ს; ამიტომ გლეხურ მეურნეობათა ტექნიკით მომსახურების მიზნით მოეწყო სასოფლო-სამეურნეო იარაღების „გამქირავებელი პუნქტები". 1924-25 წელს უკვე არსებობდა 60, 1925-26 წელს – 95, ხოლო 1926-27 წელს 130 ასეთი პუნქტი. მაგრამ ეს სრულიადაც არ იყო საკმარისი. რამდენადმე გაიზარდა საქონლისა და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის მქონე გლეხობის ხვედრითი წილი, მაგრამ იგი მაინც ძლიერ დაბალი რჩებოდა. კერძოდ, 1928 წლისათვის გამწევი ძალის გარეშე დარჩენილი იყო საქართველოს გლეხობის 37,5%, ხოლო სასოფლო-სამეურნეო იარაღის გარეშე – 40,7% გლეხობისა[11]. მეურნეობათა დიდი რაოდენობა, რომელთაც სრულიად არ ჰყავდა მუშა საქონელი მოდიოდა სიღნაღის, თელავის, ქუთაისის და შორაპნის მაზრებზე, ხოლო ვისაც არ ჰქონდა სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი – სიღნაღის, გორის, შორაპნის, ახალქალაქის, სენაკისა და ქუთაისის მაზრებზე.

სოფლად მიმდინარე რთულ პროცესებს თან ახლდა უდიდესი სიძნელეები, რომელთა დაძლევაში სამრეწველო მუშები გარკვეულ დახმარებას უწევდნენ გლეხობას პირველ კოლექტიურ მეურნეობათა ორგანიზაციაში, კულაკების წინააღმდეგობის დაძლევაში, საკოლმეურნეო მშენებლობაში დაშვებული შეცდომებისა და გადახრებთან ბრძოლის ვითარებაში. გადახრები დაშვებულ იქნა პროფკავშირების მიერ სოფელთან დაკავშირებული მუშების კოლმეურნეობებში ჩაბმის საქმეშიც, მაგრამ შეცდომებს ამ სფეროში არ შეეძლო ჩაეშალა ტოტალიტარული რეჟიმის ღონისძიებანი. შეუვალი იყო კომუნისტური პარტიის მიერ დასახული კოლექტივიზაციის კურსის რეალიზაციის სავალდებულო უზრუნველყოფა.

საბჭოთა ხელისუფლების პირველსავე წლებში დიდი ყურადღება ექცეოდა სოფლად კოოპერაციის გავრცელებას. პირველ ხანებში კოოპერაცია არსებობდა დამოუკიდებლად, მაგრამ ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის ეტაპზე დაისვა საკითხი კოოპერაციული ორგანიზაციების გაერთიანების შესახებ. 1927 წლის მაისში გაერთიანდნენ საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის კოოპერაციული ორგანიზაციები, ხოლო საბჭოთა კავშირის ერთიანი სახელმწიფოს შექმნის შემდეგ შეიქმნა ტოტალიტარული სახელმწიფოს ერთიანი კოოპერაციული სისტემა. მაგრამ რესპუბლიკური კოოპერაციული ორგანიზაციების საქ-

მიანობაში ერთგვარად მუდმივ სიძნელეებს წარმოადგენდა საფინანსო კრიზისი. ერთ-ერთი სიძნელე მდგომარეობდა იმაშიც, რომ კოოპერაციულ-ორგანოებში სერიოზულ პოზიციებს დიდხანს ინარჩუნებდნენ ანტისაბჭოთა პარტიები. კოოპერაციული მოძრაობიდან განსაკუთრებით სამომხმარებლო კოოპერაცია ვითარდებოდა. 20-იანი წლების მეორე ნახევარში მან მოიცვა გლეხურ მეურნეობათა მნიშვნელოვანი ნაწილი. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სისტემაში ჭარბობდნენ საკრედიტო და საყოფაცხოვრებო ამხანაგობები, ხოლო საწარმოო კოოპერაციას ეკავა უმნიშვნელო ადგილი.

უღარიბესი და ღარიბი გლეხებისადმი სახელმწიფოს დახმარების და კულაკობის ექსპლოატატორული ტენდენციების შეზღუდვის მიზანს ემსახურებოდა საგადასახადო პოლიტიკა, რომელიც მწყობრ სისტემად ჩამოყალიბდა 1926-27 წელს. მანამდე თუ სამეურნეო გადასახადის ოდენობა იანგარიშებოდა ერთ სულზე სახნავი მიწის მოცულობით მეურნეობის უზრუნველყოფის მიხედვით. ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურების სახნავის შესაბამისი გადაანგარიშებით, 1926-27 სამეურნეო წლიდან გადასახადი იანგარიშებოდა მეურნეობის ფულადი შემოსავლის მიხედვით, ე. ი. განისაზღვრებოდა მეურნეობის შემოსავალი ფულადი გასამრჯელოს (ხელფასის) მიხედვით[12]. ეს ნიშნავდა საგადასახადო ტვირთის სიმძიმის გადატანას შეძლებულ მეურნეობებზე, ხოლო უღარიბესი გლეხობა თითქმის სრულიად თავისუფლდებოდა გადასახადებისაგან. კერძოდ, საქართველოში გადასახადებისაგან გათავისუფლებული იყო 1924-25 წელს გლეხობის 21,33%; 1925-26 წ. – 32,30%, 1926-27 წ. კი 61,52%[13]. შემდეგ წლებშიც გრძელდებოდა ღარიბი გლეხობის განთავისუფლება გადასახადებისაგან – 1927-28 წელს საქართველოში გადასახადისაგან განთავისუფლებული გლეხების პროცენტი უდრიდა 46,26%, ხოლო 1928-29 წ. მან მიაღწია 55,09%-ს. გადასახადისაგან განთავისუფლებული იქნა აღმოსავლეთ საქართველოში 60%-ზე მეტი მეურნეობა, ხოლო დასავლეთ საქართველოში 70%[14]. ეს გარემოება აიხსნებოდა არა მარტო უღარიბესი და ღარიბი გლეხობის დიდი სოციალური ფენის არსებობით, არამედ აგრეთვე ტექნიკური კულტურების მეურნეობის არსებობით, რომლებიც მთლიანად იყვნენ განთავისუფლებული გადასახადისაგან.

20-იანი წლების მეორე ნახევარში, ინდუსტრიალიზაციის ტემპებისა და სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის შემდგომი გაძლიერების პირობებში, გლეხურ მეურნეობებ-

ზე გადაიტანეს დაბეგვრის მთელი სიმძიმე, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ გადასახადები მნიშვნელოვნად გაიზარდა, მაინც ყოველგვარი გადასახადისაგან იქნა განთავისუფლებული ამიერკავკასიაში გლეხურ მერუნეობათა 28%-მდე.

საქართველოს სოფლად სოციალური ურთიერთობის დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენდა უღარიბესი გლეხების და მოჯამაგირეთა ფენის დიდი რაოდენობის არსებობა. ეს რამდენადმე აპირობებდა იჯარის მოძველებული კაბალური ფორმების არსებობას. ამის წინააღმდეგ იყო მიმართული საკავშირო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1928 წლის 15 დეკემბრის ახალი შრომის კანონი, რომელიც ძალითაც იჯარის მოცულობა და ვადები მცირდებოდა იმ ზომამდე, რომ კულაკ-არენდატორის მიერ დაქირავებული მუშახელის ექსპლუატაცია თითქმის მთლიანად გამოირიცხებოდა. 20-იანი წლების ბოლოს მოძველებული ფორმები იჯარისა მთლიანად იქნა ლიკვიდირებული, იჯარა აიკრძალა საკანონმდებლო წესით.

აგრარული რეფორმის გატარება და სოფლის მეურნეობაში განხორციელებულ სხვა ღონისძიებათა შედეგად საქართველოში 20-იანი ნლების პირველ ნახევარში გლეხობის პროლეტარიზაციის პროცესი შეჩერდა.

ქართული სოფლის სინამდვილეში გლეხობის მრავალრიცხოვან და ძირითად სოციალურ ფენას შეადგენდა ნახევრადპროლეტარული – ღარიბი გლეხობა, რომელსაც თავისი მცირე მეურნეობის შემოსავალი არ ჰყოფნიდა არსებობისათვის და იძულებული ხდებოდა დამატებითი შემოსავალი ეძებნა ქალაქში. ერთ-ერთი საარქივო დოკუმენტის მოწმობით გლეხობის ამ ნაწილისათვის „სამრეწველო წარმოებიდან შემოსავალი არის მხოლოდ მისი ცხოვრების პირობების ხელშემწყობი შემოსავალი, ვინაიდან მათ სოფელთან არა აქვთ კავშირი გაწყვეტილი და მათი ძირითადი შემოსავლის წყაროდ ითვლება სასოფლო მეურნეობა“.

სოფლიდან გარე სარეწებზე გასულ გლეხობას შორის გამოიყოფა მეორე კატეგორიის ეგრეთწოდებული ზედმეტი მუშახელი, რომელსაც სრულიად არ გააჩნდა თავისი მეურნეობა. იგი შეადგენდა სოფლის პროლეტარიატს. ამ კატეგორიის მუშახელს წარმოებაში დამკვიდრების შემთხვევაში სოფელთან კავშირი ფაქტობრივად გაწყვეტილი ჰქონდა. ღარიბი – ნახევრადპროლეტარული ნაწილი, წარმოებაში მუშაობის მიუხედავად, სოფელთან კავშირს არ წყვეტდა. იგი „ორმისამართიან“ ცხოვრებას ეწეოდა და ამიტომ სეზონურ ან დროებით მუშახელს წარმო-

ადგენდა არა მარტო მრეწველობისათვის, არამედ სოფლის მეურნეობისთვისაც. სოფლის მეურნეობაში არსებობდა ე. წ. წლიური და ვადიანი მუშახელი. 1926 წლის ივლისისათვის საქართველოს სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მუშახელი შეადგენდა 31442 კაცს, რომელთა შორის წლიური და ვადიანი მუშახელი შეადგენდა 17923-ს, ანუ მთელი დაქირავებული მუშახელის ნახევარზე მეტს. დაქირავებულთა ამ კატეგორიას ძირითადად მოჯამაგირენი შეადგენდნენ. ამის გარდა ღარიბი გლეხობის ნაწილი ქალაქში სამუშაოდ დარჩენის შემთხვევაში, სოფელს უბრუნდებოდა დროებით და სეზონურად, ქირავდებოდა როგორც მუშახელი, მით უმეტეს, რომ მას სოფლის მეურნეობაში მუშაობის გამოცდილება ჰქონდა, თუმცა სოფლად დროებითი მუშაობის დროსაც თვალი ისევ მეორე მისამართისკენ – ქალაქისკენ ეჭირა.

1926 და 1927 წლების შერჩევითი სასოფლო-სამეურნეო აღწერის მონაცემების მიხედვით საქართველოს სოფელში ისეთ მეურნეობათა რაოდენობა, რომელიც მიმართავდა დაქირავებულ შრომას, შეადგენდა: 1926 წ. – 2,7%, 1927 წელს კი 3,1%. ე. ი. სოფლად გაიზარდა დაქირავებული მუშახელის რაოდენობა. სოფლის მეურნეობაში მუშახელის დაქირავების ორი „კატეგორია" უნდა იქნას გარჩეული: პირველი ე. წ. წმინდა ტიპის დაქირავება, რომელსაც ეწოდა კულაკური მეურნეობა და მეორე – სარგებლობა დაქირავებული შრომით სასოფლო-სამეურნეო წარმოების მხოლოდ სეზონურობის გამო, როდესაც იქმნებოდა დიდი რაოდენობის მუშახელის საჭიროების კრიტიკული მომენტი. 1925 წელს საქართველოს სოფლის მეურნეობაში მუშათა რაოდენობა შეადგენდა 9022 კაცს, 1926 წ. – 22749-ს, ხოლო 1927 წელს – 28800 კაცს[15]. მაგრამ მიუხედავად ამისა, სოფლიდან გარე სამუშაოებზე გასული სოფლის მუშახელის რიცხვი არ კლებულობდა.

აგრარული ჭარბი მოსახლეობის ზრდას განაპირობებდა საქართველოს მეურნეობრივი სტრუქტურა. იგი უმთავრესად სასოფლო-სამეურნეო ქვეყანას წარმოადგენდა, სადაც სოფლის მოსახლეობის ხვედრითი წონა XX საუკუნის 20-იანი წლების დამდეგისთვის თითქმის 80 პროცენტს შეადგენდა. ამასთან ის გარემოებაც უნდა იქნას მიღებული მხედველობაში, რომ მცირე ქალაქების მოსახლეობა უფრო მეტად სოფლის მეურნეობასთან იყო დაკავშირებული, ვიდრე მრეწველობასთან. სოფლის ზედმეტი მუშახელი დიდი რაოდენობით გადიოდა „საშოვარზე" ქალაქებში, მაგრამ 20-იანი წლების პირველ ნახევარში მრეწველობას

არ შეეძლო სოფლის ჭარბი მუშახელის მეტნაკლებად სრულად დასაქმება. მუშახელის მიწოდება აღემატებოდა მოთხოვნილებას. მიზეზი ამისა მდგომარეობდა იმაში, რომ სამუშაოს მაძიებელთა უმრავლესობას მოთხოვნის შესაბამისი კვალიფიკაცია არ გააჩნდა. ეს მუშახელი უმუშევართა რიგებს ავსებდა. მათ შორის ქართული ეროვნული ელემენტის ხვედრითი წონა განსაკუთრებით დიდი იყო მოპოვებით მრეწველობაში. ეს აიხსნება იმით, რომ ამ დარგში ყველაზე ფართოდ პოულობდა თავის სარბიელს სოფლის „ზედმეტი" მუშახელი. მაგრამ აქ იგი ძლიერ იშვიათად რჩებოდა მუდმივად და რიგ შემთხვევაში მისი მუშაობა სეზონურ ხასიათს ატარებდა. სამუშაოს მძებნელნი მიდიოდნენ ქალაქებში ახლომახლო სოფლებიდან, სასოფლო მუშაობის დამთავრების შემდეგ და გაზაფხულის დადგომისას უკანვე ბრუნდებოდნენ. ამის ტიპიურ მაგალითად შეიძლება გამოდგეს ჭიათურის მანგანუმის წარმოება, სადაც მუშათა დიდ უმრავლესობას თვით 1929 წლისათვის სოფლის გლეხობა შეადგენდა, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული სოფლის მეურნეობასთან. „გლეხები თავიანთ მუშაობას წარმოებაში უყურებდნენ როგორც დამხმარეს თავისი მეურნეობისას და ზოგჯერ ამიტომ ამჯობინებდნენ მაგალითად ცუდი ამინდის დროს სახლში დარჩენას. ზოგადი ცნობებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ 95 პროცენტი ამ წარმოების მუშათა მასისა უშუალოდ დაკავშირებული იყო სოფლის მეურნეობასთან.

„ზედმეტი" მუშახელის ლტოლვა ქალაქისკენ კიდევ უფრო გაძლიერდა 20-იანი წლების შუახანებში, რასაც ხელს უწყობდა მრეწველობის დაჩქარებული განვითარება, განსაკუთრებით სამშენებლო სამუშაოთა სეზონური ხასიათი: ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის ორგანოებმა 1925 და 1927 წლებში ჩაატარეს ამიერკავკასიის სოფლის მოსახლეობის გარე სამუშაოზე გასვლის ანკეტური გამოკვლევა იმ მიზეზების გამოსავლენად, რომელიც იწვევდა გლეხობის გასვლას. ამ გამოკვლევის მასალების მიხედვით საქართველოს სოფლებიდან 1925/26 სამეურნეო წელს „საშოვარზე" გავიდა 60753 კაცი, მათ შორის ამიერკავკასიის რესპუბლიკებში – 3215, მის გარეთ – 4322, ამრიგად, საქართველოში დარჩა 53216 კაცი, ანუ 85%, ხოლო 1926/27 წელს სოფლებიდან გავიდა 72952 კაცი, მათ შორის ამიერკავკასიის რესპუბლიკებში – 4254, მის გარეთ – 6837, საქართველოში დარჩა 61961 კაცი ანუ 83%, რომელმაც შეავსო ქალაქების მოსახლეობა. ამრიგად, ჩანს, რომ 1926/27 წ. უფრო გაიზარდა სოფლიდან გარე სამუშაოებზე გასულთა რაოდენობა.

სოფლებიდან გასული გლეხობის დიდი ნაწილი მოდიოდა რაჭის, ახალქალაქის, სილნაღის, ზუგდიდის, შორაპნის, გორის, ლეჩხუმის და დუშეთის მაზრებზე.

სოფლის ჭარბი მოსახლეობის გასვლა სოფლიდან სტიქიურ ხასიათს ატარებდა, მხოლოდ შედარებით მცირე ნაწილი ამ მოსახლეობისა ერთვებოდა წარმოებაში მუშახელის „ორგანიზებული შეგროვების" გზით. ასე მაგალითად, 1925 წლის ოქტომბრიდან 1926 წლის ოქტომბრისათვის საქართველოს 358 სასოფლო თემიდან გარე სამუშაოზე გავიდა 55830 კაცი, მათ შორის აღმოსავლეთ საქართველოს 1940 თემიდან – 20418, დასავლეთ საქართველოს 218 თემიდან კი – 35412 კაცი, მათგან მუშახელის „შეგროვების წესით" მხოლოდ 3000 კაცი. უნდა ვიფიქროთ, რომ გარე სამუშაოებზე გასული სოფლის მოსახლეობის რაოდენობის ამსახველ მონაცემებში ცალკეულ შემთხვევაში მოსახლეობის ერთი და იგივე ჯგუფი იგულისხმებოდა, რომელიც მუდმივად მოძრაობდა სოფელსა და ქალაქს შორის. მუშახელის ამ ჯგუფების შრომა, როგორც ზემოთ ითქვა, სეზონურ და დროებით ხასიათს ატარებდა.

სოფლიდან ქალაქისკენ თავისუფალი მუშახელის დენამ ფართო ხასიათი მიიღო 20-იანი წლების მეორე ნახევარში. კოლექტივიზაციაზე გადასვლის საორგანიზაციო პერიოდის სიძნელეების პირობებში, კულაკურ მეურნეობაზე გადამწყვეტმა შეტევამ სოფლად დაქირავებულ მუშახელსაც ქალაქისაკენ უბიძგა. გარე სამუშაოებზე გასული ჭარბი მოსახლეობის შემადგენლობა და მისი შრომის პირობები უკავშირდებოდა აგრარული მოსახლეობის დიფერენციაციის პროცესს და სოფლად მუშახელის დაქირავების მდგომაროებას. ეს პროცესები ტოტალიტარული სახელმწიფოს პირობებით და საერთო კანონზომიერებით ხასიათდებოდა. ამაზე მიუთითებდა საკ. კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1927 წლის ოქტომბრის პლენუმი, რომელიც აღნიშნავდა, რომ „სოფლის მეურნეობის განვითარების პროცესს თუ განვიხილავთ სოციალურ-კლასობრივი თვალსაზრისით ამჟამად ახასიათებს ბრძოლა სოციალისტურ და კაპიტალისტურ ელემენტების შორის. ეს ბრძოლა განსაკუთრებულ დაღს ასვამს სოფლის დიფერენციაციის პროცესს, რომელსაც ჩვენ პირობებში მკვეთრად განსხვავებული თავისებურებანი აქვს. ამ დიფერენციაციის თავისებურებანი გამომდინარეობენ შეცვლილი საზოგადოებრივი პირობებიდან. ეს თავისებურებანი ის არის, რომ განვითარების კაპიტალისტური ტიპის საპირისპიროდ, რაც იმით გამოიხატება, რომ საშუალო გლეხობა სუსტდება (ქრება)

უკიდურესი ჯგუფების – ღარიბი გლეხობისა და კულაკობის ზრდის პირობებში ჩვენში, პირობითად გვაქვს საშუალო გლეხთა ჯგუფის გაძლიერების პროცესი, თუმცა ჯერჯერობით კიდევ ხდება კულაკთა ჯგუფის ერთგვარი ზრდა საშუალო გლეხთა შეძლებული ნაწილის ხარჯზე და ღარიბ გლეხთა ჯგუფების შემცირებისას, რომლის ერთი ნაწილი პროლეტარდება, ხოლო მეორე – უფრო მნიშვნელოვანი ნაწილი, თანდათან გადავიდავიდა საშუალო გლეხობის ჯგუფში".[16]

მაგრამ 1928 წელს საბჭოთა კავშირში მოხდა „სასაქონლო კრიზისი", რამაც სერიოზულად გაართულა ქალაქების პურით მომარაგება და საბჭოთა ხელმძღვანელობა აიძულა რადიკალურად შეეცვალა თავისი აგრარული პოლიტიკა (ამის შესახებ ქვემოთ).

ამრიგად, საქართველოს ძირითადად აგრარული ქვეყანა იყო, მისი მოსახლეობის 80 პროცენტი სოფლად ცხოვრობდა და სასოფლო-სამეურნეო შრომას მისდევდა. თუმცა ძირითადად ტრადიციული, მამა-პაპური მეთოდებით და დაბალი აგროკულტურით, რის გამოც შრომისნაყოფიერების დონე არ იყო მაღალი. მიუხედავად ამისა, საქართველოს სოფლად სოციალურ-კლასობრივი დიფერენციაცია სახეზეა და მის თავისებურებას ქმნიდა ღარიბი და ბოგანო გლეხობის საკმაოდ დიდი რაოდენობა. ახალმა კომუნისტურმა ხელისუფლებამ ჩინებულად გამოიყენა სოფლის პროლეტარიატის მემარცხენე, ბუნტარული განწყობილებები და ისინი აქტიურად ჩააბა საქართველოს სოფლად მიმდინარე აგრარულ რევოლუციაში, როცა თავადაზნაურების, კულაკებისა და ეკლესია-მონასტრების ქონებაში წილს დაპირდა.

აგრარული რევოლუციის განხორციელების შემდეგ საქართველოს სოფელში შეიცვალა სოციალური ინფრასტრუქტურა, გაიზარდა საშუალო გლეხობის რაოდენობა. „ნეპის" პირობებში ქართული სოფელი აღორძინდა. მაგრამ ისიც შესამჩნევი გახდა, რომ ქართული სოფელი უფრო ტრადიციული აგარარული ურთიერთობების მიმდევარი იყო და მაინცდამაინც არ ინერგებოდა ახალი, კომუნისტური აგრარული პროექტები. ამიტომაც იყო, რომ საქართველოში ვერ დაინერგა საწარმოო კოოპერაციის კომუნისტების მიერ შეთავაზებული ფორმები.

1928 წელს, სასურსათო კრიზისმა საბჭოთა ხელისუფლებას გადააწყვეტინა აგრარული პოლიტიკა რადიკალურად შეეცვალა.

ბურჟუაზია, „ნეპმანები“ და ტოტალიტარული სახელმწიფო

მარქსიზმის კრიტიკის მთავარი ობიექტი – ბურჟუაზიაა. ამ მოძღვრების მიხედვით ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის არასოდეს შეიძლება ჰარმონიული ურთიერთობა, რომ პროლეტარიატი – ბურჟუაზიის მესაფლავეა, რომელიც მას დაასამარებს. ისინი ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ ბურჟუაზიამ „არა მარტო გამოჭედა ის იარაღი, რომელიც მას სიცოცხლეს გამოასალმებს, მან ის ადამიანებიც წარმოშვა, რომლებიც ამ იარაღს მიმართავენ მის წინააღმდეგ, – ე.ი. თანამედროვე მუშები, პროლეტარები“.[1]

მარქსიზმის კლასიკოსები იმასაც მიუთითებდნენ, რომ „როდესაც პროლეტარიატის განვითარების ყველაზე ზოგად ფაზებს აღვნიშნავდით, ჩვენ კვალდაკვალ მივყვებოდით მეტ-ნაკლებ ფარულ სამოქალაქო ომს არსებული საზოგადოების შიგნით იმ მომენტამდე, როდესაც იგი აშკარა რევოლუციად იფეთქებს და როდესაც ბურჟუაზიის ძალდატანებითი დამხობის გზით პროლეტარიატი თავის ბატონობას დაამყარებს“[2].

ფ. ენგელსმა გეგმაც კი მოხაზა, თუ როგორ უნდა განეხორციელებინა გამარჯვებულ პროლეტარიატს თავისი კლასობრივი მტრის – ბურჟუაზიის ექსპროპრიაცია: 1) მოხდება კერძო საკუთრების შეზღუდვა: პროგრესული ხარკი, მაღალი ხარკი მემკვიდრეობაზე; გაუქმება მემკვიდრეობისა გვერდითი ხაზით (ძმების, ძმისწულების და ა.შ., იძულებითი სესხები და ა.შ.; 2) თანდათანობითი ექსპროპრიაცია მიწის საკუთრებისა, ფაბრიკანტებისა, რკინიგზებისა და საზღვაო გემების მფლობელებისა ნაწილობრივ კონკურენციის გზით სახელმწიფო მრეწველობის მხრით, ნაწილობრივ უშუალოდ ასიგნატების გამოსყიდვის გზით, 3) ყველა იმ ემიგრანტთა და მეამბოხეთა ქონების კონფისკაცია, რომლებიც აჯანყდნენ ხალხის უმრავლესობის წინააღმდეგ; .... 5) ერთნაირი იძულებითი შრომა საზოგადოების ყველა წევრთათვის კერძო საკუთრების გაუქმებამდე. სამრეწველო არმიების შექმნა, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობისათვის. 6) საკრედიტო სისტემისა და ფულით ვაჭრობის ცენტრალიზაცია სახელმწიფოს ხელში სახელმწიფო კაპიტალით აღჭურვილი ეროვნული ბანკის მეშვეობით. დახურვა ყველა კერძო ბანკის და საბანკირო კანტორებისა.“[3]

ამრიგად, მარქსიზმმა თეორიულად სცადა დაესაბუთებინა, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევარში კაპიტალიზმმა როგორც სოციალურ-ეკონომიკურმა სისტემამ, ბურჟუაზიამ – როგორც კლასმა დასავლეთ ევროპაში ამოწურა თავისი პროგრესული ფუნქცია საზოგადოების განვითარებაში და პროლეტარიატის ვალია მისი ლიკვიდაცია როგორც კლასის – მატერიალურადაც და თუ საჭირო გახდება ფიზიკურადაც. შეხედულება, რომ ბურჟუაზიამ ამოწურა თავისი შემოქმედებითი შესაძლებლობები, როგორც ეკონომიკის განვითარების ძირითადმა მამოძრავებელმა, რომელსაც უნარი შესწევს ალღო აუღოს ეკონომიკის განვითარების ძირითად მოთხოვნებს, მცდარი აღმოჩნდა, რაც მთლიანად დაადასტურა მე-20 საუკუნის მსოფლიო ეკონომიკურმა განვითარებამ სწორედ დასავლეთის ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების მაგალითზე, სადაც ეკონომიკური წინსვლა, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი განსაკუთრებით მაღალი იყო იმ ქვეყნებთან შედარებით, სადაც გეგმური მეურნეობა და მართვის ცენტრალიზებული სისტემები იყო დანერგილი.

ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ ვ. ი. ლენინმა და ბოლშევიკებმა ბურჟუაზიის ექსპროპრიაცია ძირითად საპროგრამო ამოცანად დაისახეს: „განუხრელად განაგრძოს და ბოლომდე მიიყვანოს დაწყებული და მთავარსა და ძირითადში უკვე დამთავრებული ექსპროპრიაცია ბურჟუაზიისა, წარმოებისა და მიმოქცევის საშუალებათა გადაქცევა საბჭოთა რესპუბლიკის საკუთრებად, ე.ი. ყველა მშრომელის საერთო საკუთრებად" – ხაზგასმით მითითებულია კომუნისტური პარტიის მეორე პროგრამაში.[4]

მართალია, საქართველოს ძალმომრეობით გასაბჭოების შემდეგ ვ. ი. ლენინი ქართველ კომუნისტებს მოუწოდებდა არ გამოეყენებინათ ბრმად „რუსული შაბლონი" და წვრილი ვაჭრების მიმართ განეხორციელებინათ ლოიალური პოლიტიკა, მაგრამ მსხვილი მრეწველობის ნაციონალიზაცია საქართველოში სწრაფად განხორციელდა, რამაც ქართველი ბურჟუაზია კაპიტალის გარეშე დატოვა. ქონებაჩამორთმეულთა შორის იყვნენ ისეთი ცნობილი მრეწველები, როგორიცაა ა. ხოშტარია, ენფინჯიანცი, სეილანოვი, ძმები ზლატოგორსკები, მ. ქუთათელაძე, ს. სირაძე და მრავალი სხვა ქართველი თუ არაქართველი კაპიტალისტი. 1921 წელს 30 ივნისს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს დადგენილებით მთელ საქართველოში 76 მსხვილი და საშუალო სამრეწველო საწარმო იქნა ნაციონალიზებული, მათ შორის თბილისში – 51.[5] ექსპროპრირებულ თბილისელ მრეწ-

ველთა შორის ქართველი იყო მხოლოდ 8. განხორციელდა მარგანეცის მრეწველობის ნაწილობრივი ნაციონალიზაცია, სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადდა თამბაქოს მრეწველობაც. საწარმოები ჩამოართვეს ბოზარჯიანცს, ქუთაისში მეძმარიაშვილს, ქავთარაძეს და სახამბერიძეს და ა.შ.[6]

სპეციალური დეკრეტით მოხდა ლითო-ტიპოგრაფიების (მათ შორის მესხიშვილის ტიპოგრაფიის) ნაციონალიზაციაც. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა – კომუნისტურმა სახელმწიფომ უკვე კონტროლი დააწესა ბეჭდვითი სიტყვის თავისუფალ გავრცელებაზე.

საქართველოს ბურჟუაზიას ამ ნაციონალიზაციით დიდი ეკონომიკური დარტყმა მიაყენეს, მაგრამ მარტო ამას არ დასჯერდნენ – დაიწყო მათი ბინების კონფისკაცია. საბჭოთა ხელისუფლების პირველსავე დღეებში საცხოვრებელი ბინა ჩამოართვეს ა. ხოშტარიას, ძმებს ზუბალაშვილებს და სხვ. თბილისის სოლოლაკის უბანში, რომელიც ადგილობრივი ბურჟუაზიის საცხოვრებელი ადგილი იყო, თითქმის ყველა ბინა გადაეცა სპეციალურად შექმნილ „მუშათა ყოფის გაუმჯობესების კომისიას“, რომელსაც დაევალა თბილისის ბურჟუაზიის საცხოვრებელი ბინების ხარჯზე დაეკმაყოფილებინა მუშები და ქალაქის განაპირა უბნებიდან ისინი სწრაფად გადმოეყვანა ქალაქის ცენტრში. სპეციალურად შექმნილი „სამეულები“ პრაქტიკულად ახორციელებდნენ ბინების ათვისებას, ბინის კანონიერ მესაკუთრეს უტოვებდნენ ერთ-ორ ოთახს და მის ნების საწინააღმდეგოდ მასში ასახლებდნენ ან ღარიბი მუშების ოჯახებს, ან რუსეთის საოკუპაციო ჯარის მეთაურებს, ან კომუნისტური პარტიის ლიდერებს.[7]

ქართველი შემოქმედი ინტელიგენციის გულისმოსაგებად, ხელოვანთა სასახლის მოსაწყობად, 3 მარტს, თბილისის ინტელიგენციასთან შეხვედრის დროს, შ. ელიავამ ა. ხოშტარიას სახლი ახალი საბჭოთა ხელისუფლების სახელით მათ საზეიმოდ გადასცა.[8]

ასეთივე ბედი ეწიათ ცნობილი თბილისელი მრეწველების ადელხანოვის, ენფინჯიანცის, სეილანოვის და სხვა ბიზნესმენების საცხოვრებელ ბინებს. ძმები ზუბალაშვილების ბინაზე პრეტენზიას სომხეთის გრიგორიანული ეკლესია აცხადებდა და ა.შ.

საერთოდ ძალიან ჭირს, მასალის ნაკლებობის გამო, აღდგეს საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში საქართველოს მსხვილი და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის სრული სურათი. საბჭოთა

ისტორიოგრაფია ამ საკითხით, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, არასდროს დაინტერესებულა. ითვლება, რომ სხვა პრივილეგირებულ კლასებთან ერთად (თავადაზნაურობა, კულტის მსახურები) მათ პირველად იწვნიეს კომუნისტური ტერორის სუსხი. მაგრამ, როგორც ბოლოდროინდელი აღმოჩენები მიუთითებენ, ეს მთლად ასე არ ჩანს.

ამას გარკვეულად ხელი შეუწყო იმან, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება ახალ ეკონომიკურ პოლიტიკასთან ერთად შემოვიდა და თანაც, რკპ (ბ) ახალი, მეორე პროგრამა, მრეწველობაში დასაქმებული სპეციალისტების მიმართ გარკვეულ შეღავათებს აწესებდა, როცა მიუთითებდა, რომ პარტია „ოდნავ პოლიტიკურ დათმობაზეც არ უნდა წავიდეს ხსენებული ბურჟუაზიული ფენის მიმართ და **ულმობლად** (ხაზგასმა ჩვენია – ავტ.) დათრგუნოს მისი ყოველგვარი კონტრრევოლუციური ზრახვები, ხოლო, მეორე მხრივ, ასევე ულმობლად ებრძოლოს ვითომ რადიკალურ... წარმოდგენას, თითქოს მშრომელებს შეეძლოთ ბურჟუაზიული წყობილების დაძლევა, თუ არ ისწავლიან ბურჟუაზიულ სპეციალისტებთან, არ გამოიყენებენ მათ, არ გაივლიან მათ გვერდით მუშაობის ხანგრძლივ სკოლას“.[9]

საქართველოს ბურჟუაზიის ბევრი წარმომადგენელი თავისი საქმის პროფესიონალი იყო: უკვე გარდაცვლილი დავით სარაჯიშვილი – ქიმიის მეცნიერების დოქტორი, მიტროფანე ლაღიძე – ჩინებული გამომგონებელი ნოვატორი, ტყავისა და ფეხსაცმლის წარმოების მაგნატი ადელხანოვი უმაღლესი პროფესიონალი იყო, საინჟინრო განათლება ჰქონდა გ. იარალოვს – თბილისის ერთ-ერთი მექანიკური ქარხნის დამაარსებელს, რომელმაც ჯერ კიდევ მეფის ხელისუფლების დროს წარმატებული სააქციო საზოგადოება შექმნა და ა.შ.

და მართლაც, საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში, კაპიტალისტების ერთი ჯგუფი გვხვდება თავიანთ საწარმოებში „სპეცებად“, მომმარაგებლებად. მაგალითად, არის ცნობა, რომ ადელხანოვი თავის ფეხსაცმლის საწარმოში მუშაობას განაგრძობდა მისი ნაციონალიზაციის შემდეგ და საწარმოს ნედლეულის შესაძენად არა ერთხელ იმყოფებოდა შუა აზიაში.

საყურადღებოდ გვეჩვენება, რომ ამიერკავკასიის კომუნისტური ხელმძღვანელობა, უდავოდ, მოსკოვთან შეთანხმებით, ცდილობს თბილისელი კაპიტალისტების გამოყენებას საკუთარი საგარეო პოლიტიკური მიზნების განსახორციელებლად. საყოველთაოდ ცნობილია, რომ მოსკოვი 1921-1923 წლებში აქტიურად ცდილობდა რევოლუციის ექსპორტს აღმოსავლეთის ქვეყ-

ნებში: თურქეთში, სპარსეთსა და ავღანეთში. სწორედ ამ თვალსაზრისს ადასტურებს რკპ (ბ) კავბიუროს 1921 წლის 4 ივნისის სხდომაც, სადაც მოისმინეს ადელხანოვის მოხსენება ირანის შესახებ.[10] ინფორმაცია ოქმში არ დევს. დადგენილებაც ლაკონურია – „დაევალოთ ორჯონიკიძეს და ნარიმანოვს დახმარება გაუწიონ მუშაობაში“.

ინფორმაციის ნაკლებობას ავსებს იმავე სხდომაზე განხილული მეორე საკითხი – „სპარსეთში მუშაობის შესახებ“. კავბიურომ მიიღო დადგენილება ირანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დაშლის შესახებ და შექმნა საორგანიზაციო კომიტეტი საგანგებო ყრილობის მოსაწვევად. ეს ფაქტი, რა თქმა უნდა, სპეციალურ შესწავლას მოითხოვს – რა უფლება ჰქონდა რკპ (ბ) კავბიუროს დაეშალა ან შეექმნა ირანის კპ ცენტრალური კომიტეტი. აქ ჩვენ ინტერესს იწვევს დადგენილების ის ნაწილი, სადაც მინიშნებულია: „ეთხოვოს ადელხანოვს, რომ აქტიურად ითანამშრომლოს საორგანიზაციო კომიტეტთან“.[11]

უკვე აშკარაა, რომ ადელხანოვი მონაწილეობდა საბჭოთა მთავრობის საგარეო პოლიტიკურ თამაშში.

მაგრამ ყველა მოლოდინს აჭარბებს მოსკოვის სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში ჩვენ მიერ აღმოჩენილი ერთი დოკუმენტი, რომლის მიხედვით ჩანს, რომ ქართული ბიზნესის თვალსაჩინო წარმომადგენლებით დაინტერესებული იყო თვითონ რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო. 1923 წლის 1 მარტს პოლიტბიუროს სხდომაზე მე-12 პუნქტად განიხილეს საკითხი – „მოქალაქე ხოშტარიასთან ხელშეკრულების დადების შესახებ.“[12]

საკითხის სერიოზულობაზე მიგვანიშნებს განხილვაში მონაწილეთა პოლიტიკური მნიშვნელობა და მათი გავლენა პარტიაში – პიატაკოვი, კრასინი, კარახანი, ჩიჩერინი, უნშლიხტი. პიატაკოვი კომუნისტური ხელისუფლების მთავარი გეგმური ორგანოს – „გოსპლანის“ ხელმძღვანელის მოადგილე და 1923 წლიდან სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე იყო, უნშლიხტი – „ვჩკ-გპუ“ თავმჯდომარის მოადგილე, ხოლო სამი დანარჩენი – ჩიჩერინი, კარახანი და კრასინი – საგარეო საქმეთა უწყებას წარმოადგენდნენ, ორი პირველი – საგარეო საქმეთა კომისარი და მისი მოადგილე იყო, ხოლო უკანასკნელს – საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისრის პოსტი ეკავა.

ამრიგად, ხოშტარიასთან ხელშეკრულების გაფორმებას ჰქონია საგარეო ეკონომიკური, საგარეო პოლიტიკური და დაზვერვით-საიდუმლო მნიშვნელობა. სამწუხაროდ, ჩვენთვის ხელ-

მისაწვდომი გახდა დადგენილების მხოლოდ ეს ტექსტი, ჯერჯერობით დეტალურ მასალებს ვერ მივაკვლიეთ, ამიტომაც ჩვენ არ ვიცით რატომ, როგორ გავიდა ხოშტარიაზე საბჭოთა ხელისუფლების უმაღლესი პოლიტიკური ორგანო, ვინ შესთავაზა მისი კანდიდატურა, რატომ არ ესწრებოდნენ ამ ხელშეკრულებაზე მსჯელობას საქართველოს, ან ამიერკავკასიის კომუნისტური ხელისუფლების წარმომადგენლები. ეს, რა თქმა უნდა, მომავალში კვლევის გაგრძელებას გულისხმობს. რამდენადაც ეს ხელშეკრულება ცნობილი არ არის ქართულ ისტორიოგრაფიაში, ჩვენ მას მთლიანად მოვიტანთ:

„12. მოქალაქე ხოშტარიასთან ხელშეკრულების დადების შესახებ (პიატაკოვი, კრასინი, კარახანი, ჩიჩერინი, უნშლიხტი)

ა) ჩაითვალოს მიზანშეწონილად ხოშტარიასთან ხელშეკრულების დადება იმ საფუძველზე, რაც მოგვახსენა ამხ. პიატაკოვმა.

ბ) დაევალოს მთავარკონცესკომს დეტალურად განიხილოს ხელშეკრულება და შეიტანოს მასში შემდეგი ცვლილებები:

ხელშეკრულებაში აღინიშნოს: 1) სპარსელი ხალხის უფლებების აღიარება და ამ უფლებების აღიარება უკვე ორგანიზებული საზოგადოების მიერ; 2) შერჩევა მოსამსახურეების ზემოდან ქვემოთ მოხდეს მხოლოდ გამგეობის უმრავლესობის ნებართვით; 3) რუსეთის მთავრობა წინასწარ აფრთხილებს საზოგადოებას, რომ ის არ გაუწევს არავითარ დახმარებას იმ კონცესიების აღდგენის საქმეში, რაც ანულირებულია რუსეთ-სპარსეთის ხელშეკრულებით; 4) აღნიშნული ხელშეკრულების შესახებ ეცნობოს ამხ. შუმიაცკის სახელმძღვანელოდ.“

როგორც ვხედავთ, ხელშეკრულება, დოკუმენტების სიმცირის გამო, ბევრ კითხვას ბადებს: საქმე ეხება ხოშტარიასათვის სპარსეთში ეკონომიკურ საქმიანობაზე ნებართვის მიცემის საკითხს, რომელითაც ერთობლივად არის დაინტერესებული სამი საბჭოთა უწყება. როგორც ჩანს, ამ უწყებათა ხელმძღვანელობამ ისეთი არგუმენტები წარუდგინა პოლიტბიუროს, რომ ის თანახმაა მხარი დაუჭიროს მათ წინადადებას. აქედან დასკვნა: 1) მოქალაქე ხოშტარია, მიუხედავად იმისა, რომ ის კაპიტალისტია, კრემლის ლიდერების ნდობას იმსახურებს, 2) მას შეუქმნია რაღაც საზოგადოება, ან შეიძლება შეუქმნეს და ის სათავეში ჩააყენეს (ესეც შესაძლებელია), 3) ორგანიზაციის ასპარეზია საქართველოს საზღვრებთან მდებარე სახელმწიფო – სპარსეთი, ანუ მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყანა, რომლის მიმართ ბოლშევიკურ რუსეთს დასავლეთ ევროპაში რევოლუციური ენთუზი-

აზმის შენელების შემდეგ პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები ძალუმად გაუჩნდა. ამიტომაც გასაგებია, თუ რატომ ესწრებოდა და პროექტის შესახებ საკუთარი დადებითი აზრი გამოთქვა „ვჩკ-გპუ“-ს ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა. აშკარაა, რომ ეკონომიკური ფირნიშის ქვეშ საბჭოთა სახელმწიფო ირანში კომუნისტური რევოლუციის ექსპორტის რეალიზებას თუ არა, ამ ქვეყანაში ვითარების დაზვერვას მაინც შეეცდებოდა.

თვითონ ხოშტარია ამ სხდომას არ ესწრებოდა. მას ჯერ კიდევ მეფის რუსეთის დროს გარკვეული ეკონომიკური ინტერესები სპარსეთშიც ჰქონდა. საერთოდ, წარსულში თბილისელ კაპიტალისტებს ეკონომიკური ინტერესები ჰქონდათ სპარსეთში და გარკვეულ პროგრამებსაც წარმატებით ახორციელებდნენ. ა. ხოშტარია ცნობილი იყო თავისი ენერგიული ეკონომიკური პროექტებით. მენშევიკების ხელისუფლების დროს მან რამდენიმე ეკონომიკური პროექტი წარუდგინა მთავრობას, მაგრამ დაუწუნეს. როგორც ჩანს, მოსკოვს მისი გამოცდილების გამოყენება მოუნდა. ჩვენ არ ვიცით, რა ბედი ეწია ამ ხელშეკრულებას, არავითარი კვალი მისი რეალიზაციისა ჯერჯერობით არ იძებნება. ამ ეტაპზე აქ მთავარი ჩვენთვის ერთია – თვალსაჩინო კაპიტალისტები წინაალმდეგნი არ არიან, გარკვეული პირობებით, ჩადგნენ ახალი ტოტალიტარული სახელმწიფოს სამსახურში, ცენტრალური ხელისუფლებაც ენდობა მათ და იყენებს მათ შესაძლებლობებს.

საერთოდ, რამდენი კაპიტალისტი-ფაბრიკანტი შემორჩა საქართველოს 1921 წლის შემდეგ? ამ კითხვაზე გარკვეულ პასუხს გვაძლევს მოსახლეობის 1926 წლის აღწერის მონაცემები. აქ მითითებულია, რომ საქართველოს მრეწველობაში არსებობდნენ „მექარხნე-მეფაბრიკენი“ – თვითმოქმედნი 35 კაცი, არათვითმოქმედნი – 228. აქედან 137 იყო ქალი. სოფლის მეურნეობაში კერძო კაპიტალის წარმომადგენლები ანუ „პატრონები სოფლის მეურნეობაში“ – უფრო მრავალრიცხოვანია. თვითმოქმედი „პატრონი“ არის 14 388, საიდანაც 3578 ქალია, მათ შორის ქართველია 8845, საიდანაც 2837 ქალია. კერძო ბიზნესის წარმომადგენლები იყვნენ შინამრეწველნი და ხელოსნები. მათი რაოდენობაა – თვითომქმედი 2166, არათვითმოქმედი 5500.[13]

მეტად საინტერესოა, რომ მეფაბრიკე-მექარხნეთა კატეგორიაში არიან „თვითმოქმედები“ – ეს გულისხმობს კერძო ბიზნესს საკუთარი ოჯახის წევრთა სამუშაო ძალის გამოყენებით. ეს გულისხმობს „მინი“ ფაბრიკა-ქარხნებს, სინამდვილეში კი ინდივიდუალურ სახელოსნოებს, მეტად მერყევი ეკონომიკური შე-

საძლებლობებით, თანაც აღწერის მონაცემებით სულ საქართველოში ამ ტიპის 35 „ფაბრიკა-ქარხანა“ ყოფილა.

უფრო შთამბეჭდავია დაქირავებული შრომის გამომყენებელი მეწარმეების რიცხვი – 228. ყველა კატეგორიის მეწარმე (ფაბრიკანტი) 1926 წელს საქართველოს მრეწველობაში უდრის 263 კაცს. ჩვენ არ ვიცით მათი შიდასოციალური სტრუქტურა, შესაძლებლობები. ამის გაგების შესაძლებლობას სტატისტიკური კრებული არ იძლევა, ამის დადგენას ჩვენ სხვა საშუალებებით შევეცდებით ქვემოთ.

სამაგიეროდ „მეპატრონეები“ საკმაოდ ბევრია სოფლის მეურნეობაში და განსაკუთრებით საყურადღებოა არათვითმოქმედი მეპატრონის კატეგორია, ე.ი. მეპატრონე, რომელიც იყენებს დაქირავებულ შრომას – მათი რიცხვი უდრის 34690 კაცს. უნდა ვივარაუდოთ, რომ პოლიტ-ეკონომიკურ ცნებაში „კულაკი“, 20-იანი წლების დასასრულს, საბჭოთა საქართველოს ხელმძღვანელობა სწორედ ამ სოციალური კატეგორიის წარმომადგენლებს გააერთიანებდა.

რა საქმიანობას ეწეოდნენ ტოტალიტარული რეჟიმის პირველ ეტაპზე საქართველოს „ბურჟუები“ და „ნეპმანები“? (ასე უწოდებდნენ ნეპის პერიოდში იმ პირებს, რომლებმაც შეძლეს საბჭოთა შეღავათებით სარგებლობა და კერძო ბიზნესი განავითარეს).

ახალი ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ კერძო პირებზე იჯარით გასცა საკმაოდ ბევრი „ფაბრიკა და ქარხანა“. სინამდვილეში ეს იყო ძირითადად 2-3 კაციანი საწარმოები. მაგალითად, ასეთი იყო ზლატოგორსკის ბამბის „ქარხანა“, რომელშიც ხუთი მუშა იყო დასაქმებული. არუთინოვების საპნის ქარხანაში მხოლოდ 2 კაცი მუშაობდა. თბილისში მოქმედებდა ოგანეზოვის ლიმონათის ქარხანა, მილიანცისა და კაზარიანცის ფეხსაცმლის სამკერვალო, ჯანაშვილის ჯაგრისის სახელოსნო, ვერგელიანცის საფეიქრო სახელოსნო და სხვა საწარმოები.[14]

ბათუმში 21 ნავთის ჩამომსხმელი სადგური იყო, რომელთაც უამრავი რეზერვუარი ჰქონდათ. ეს სადგურები ეკუთვნოდა ძმებს ნობელებს, მანთაშოვს, რუსეთ-კავკასიის საზოგადოებას, ბრიტანეთ-ბაქოს საზოგადოებას და სხვა ორგანიზაციებს. ამათ გარდა, ქალაქში იყო კაპლანის მექანიკური ქარხანა, ძმები არვანტიდების თუნუქის ყუთების საწარმო და ა.შ.[15] კერძო მცირე საწარმოები იყო გორში, თელავში, ახალციხესა და სხვა ქალაქებსა და დასახლებებში.

კერძო ბიზნესი, საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში, მთლიანად იყო რეგლამენტირებული და მისი თავისუფლება მოჩვენებითი იყო: სახელმწიფოს ეკონომიკური ბერკეტები მკაცრად ბოჭავდა ნებისმიერ მეწარმეს. ეკონომიკური თავისუფლება არ ვრცელდებოდა საკრედიტო-ფულად ურთიერთობებზე, საბანკო სისტემა მთლიანად სახელმწიფოს ხელში იყო, გადასახადების სისტემით ის არეგულირებდა კერძო სექტორს. კერძო მეწარმე, ასეთ ვითარებაში ცდილობდა რაც შეიძლება მეტი მოგება მიეღო. დასტურდება, რომ „ნეპმანები" ცდილობდნენ მინიმალური დანახარჯებით მაქსიმალური მოგება მიეღოთ.

მცირერიცხოვან საწარმოებში შრომის კანონმდებლობის ყველა მუხლის დაცვა ძნელდებოდა, მით უფრო, როგორც ზემოთ აღინიშნა, ქვეყანაში მიმდინარე ინფლაციური პროცესები ერთნაირად ამწვავებდნენ ეკონომიკურ ფონს როგორც კერძო, ისე სახელმწიფო სექტორში. კერძო მეწარმე რთულ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებაში ცდილობდა რაც შეიძლება მეტი მოგება დაეგროვებინა, რომ შეექმნა ზედმეტი კაპიტალი წარმოების გასაფართოებლად, პირადი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

საქართველოს ბევრ სააწარმოში ადგილი ჰქონდა კაპიტალის პირველადი დაგროვებისათვის დამახასიათებელ მოვლენებს: იყო ზღვარგადასული ექსპლოატაცია, მუშათა უფლებების შებღალვა. ეს მუშების უკმაყოფილებას იწვევდა. ამიტომაც დამოკიდებულება მუშებსა და „ნეპმანებს" შორის ხშირად დაძაბული იყო. საბჭოთა რეჟიმის პირობებში, როცა შრომითი დავა კერძო საწარმოში მუდამ მუშის სასარგებლოდ წყდებოდა, მუშა არ ეპუებოდა საწარმოს მფლობელს, ადგილი ჰქონდა კონფლიქტებს. ასეთი ფაქტები კომუნისტურ პრესას მუდამ სააშკარაოზე გამოჰქონდა და ქმნიდა „ნეპმანების" მიმართ უარყოფით საზოგადოებრივ აზრს. მაგალითად, შრომითი კონფლიქტი მოხდა ვინმე პეტროსიანის ფურნეში. მეპატრონის თვითნებობით შეწუხებულმა მუშა ავაქ მურადიანმა იჩივლა შრომის ინსპექტორთან. ამ ფაქტით აღშფოთებულმა საცხობის მეორე მუშამ სასტიკად სცემა მურადიანი – „ხაზეინს" რატომ უჩივლეო.[16] ეს აქცია განხორციელდა თუ „ნეპმანის" წაქეზებით არა, მისი გულის მოგების სურვილით მაინც, რაც მიუთითებს, რომ კერძო საწარმოებში ზოგჯერ კერძო ინტერესი ჭარბობდა პროლეტარიატის კლასობრივი სოლიდარობის გრძნობას.

იყო სხვა შემთხვევებიც: ვინმე კუსიანის ფურნეში მომუშავე მუშამ გამოიყენა კუთვნილი შვებულება, მაგრამ მეწარმემ უკან დაბრუნებული მუშა სამსახურში აღარ მიიღო[18], ვინმე ორჯონიკიძის საპნის ქარხანაში მუშები ისეთ საშინელ ექსპლოატაციას განიცდიდნენ, რომ ამის მომსწრე მუშკორი მოითხოვდა მეპატრონის მიმართ აშკარად რეპრესიული ზომების გატარებას.[17]

შრომის პირობები ჯერ კიდევ წარმოუდგენლად მძიმე იყო. მაგალითად, თბილისის №4 აგურის ქარხანაში მუშები მუშაობდნენ მზის ამოსვლიდან ჩასვლამდე, კვირა და უქმე დღეებშიც. მშრომელთა 90 პროცენტი მალარიით იყო ავად. მუშათა საცხოვრებელში საშინელი ანტისანიტარია იყო გამეფებული, საქონელი და ადამიანი ერთ ჭერქვეშ ათენებდა. ხშირი იყო სიკვდილიანობის შემითხვევებიც. საქართველოს ბევრ კერძო საწარმოში შრომის ხანგძლივობა 12-14 საათი იყო. იმჟამინდელი ოფიციოზის, გაზეთ „კომუნისტის" აღიარებით საქართველოს მრეწველობაში ყველაზე თვალშისაცემი დარღვევები იყო: სამუშაო დროის გადიდება, მოზარდის შრომის ზედმეტი ექსპლოატაცია, მუშისადმი უდიერი მოპყრობა, მუშაობის ანტისანიტარული პირობები, დაზღვევის თანხის გადაუხდელობა, მუშა-მოსამსახურეთა სამსახურში მიღება შრომის ბირჟის ჩარევის გარეშე, ხელფასის გაცემის ვადების უხეში დარღვევები და ა.შ.

კერძო ბიზნესი, რა რთულ ვითარებაშიც არ უნდა ყოფილიყო ის, იმდენ მოგებას კი იძლეოდა, რომ ახალ „მეწარმეებსა" და „ნეპმანებს" რიგით მუშებზე უკეთ ეცხოვრათ. 20-იანი წლების შუა ხანებიდან ხდება ეკონომიკური ცხოვრების სტაბილიზაცია, თბილისში საქალაქო ცხოვრება მონესრიგდა, გაიხსნა ბევრი კერძო რესტორანი. მეწარმეები და მათი ოჯახის წევრები უკეთესად იცვამდნენ, ეტანებოდნენ „ცხოვრების სიამეებსაც". „ჩეკას" ინფორმაციით: „...მუშათა განწყობილებაზე განსაკუთრებით მძიმედ მოქმედებს მკვეთრად თვალში საცემი შედეგები ახალი ეკონომიკური პოლიტიკისა და ბურზუაზიის ზღაპრული სიმდიდრე. როგორც აღინიშნა, მუშების ნაწილი ხანგძლივად არ იღებს ხელფასს და ულუფას, მაშინ როცა ადგილობრივი ბურჟუაზია კაფე-რესტორნებში ფანტავს უზარმაზარ თანხებს".[19]

სპეციალური ორგანოები ბურჟუაზიის ფარულ განწყობილებებზეც მიანიშნებდნენ: „მსხვილი ბურჟუაზია მენშევიკურად განწყობილ ინტელიგენციასთან ერთად კონტრრევოლუციურად არის შემართული, თუმცა გარეგნულად თავი უჭირავს: „Тише – воды, ниже – травы ".[20]

მსგავსი ინფორმაცია მიდიოდა კომუნისტური პარტიის ლიდერების ყურამდეც, სოციალური ვითარება 1924-1925 წლებში ქვეყანაში ისე შეიცვალა, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობაში, რომ ალაპარაკდნენ სოფლის ბურჟუაზიის – კულაკების მხრიდან მოსალოდნელ საფრთხეზე, ამტკიცებდნენ რომ მოხდა მათი ეკონომიკური შესაძლებლობების არნახული ზრდა, რაც მალე პოლიტიკურ მოთხოვნებშიც გადაიზრდებოდა, ბევრს საუბრობდნენ ნეპის შეწყვეტაზე, ზეინდუსტრიალიზაციაზე, კულაკების მიმართ მკაცრი პოლიტიკის გატარებაზე.

ამ ტენდენციების მატარებელი და იდეოლოგი გახდა ლ. ტროცკი, ცოტა მოგვიანებით მას შეურთდნენ გ. ზინოვიევი, და ლ. კამენევი – რკპ (ბ) ცკ პოლიტბიუროს წევრები. ისინი ს. სტალინს, ნ. ბუხარინს და მათ მომხრეებს „თერმიდორში" ანუ მმართველი ბირთვის ბურჟუაზიულ გადაგვარებაში ადანაშაულებდნენ, რომლებიც ვერ ხედავდნენ კერძო ბიზნესის საფრთხეს, კულაკურ საფრთხეს. დაპირისპირებამ (უფრო სწორედ თუ ვიტყვით, ბრძოლამ ძალაუფლებისათვის) კომუნისტური პარტიის ზედა ეშელონებში უკიდურესი ხასიათი მიიღო. ლ. ტროცკის მხარი ბევრმა დაუჭირა, მათ შორის საქართველოშიც. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს ყოფილი თავმჯდომარე, ძველი რევოლუციონერი და სტალინის პირადი მეგობარი სერგო ქავთარაძე იმ 83 ტროცკისტს შორის იყო, რომელმაც ხელი მოაწერა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტისადმი გაგზავნილ სპეციალურ მიმართვას (ე.წ. „83-ის განცხადება"), სადაც ხაზგასმულია ის საშიშროება, რაც ნეპის ლაგამამოუდებელ განვითარებას შეეძლო მოეტანა საბჭოთა ხელისუფლებისათვის – საბჭოთა კავშირში გამოეწვია კაპიტალიზმის რესტავრაცია.[21]

საქართველოს პარტიულ ხელმძღვანელობაში მაშინ იყო რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის გენერალური ხაზის (ი. ბ.სტალინის ხაზის) გამტარებელი დაჯგუფება – მ. კახიანი, ლ. ღოლობერიძე, შ. ელიავა და სხვები, რომლებსაც დაუპირისპირდნენ ს. ქავთარაძე, კ. ცინცაძე, მ. ოკუჯავა და სხვები. საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობის თერმიდორულ გადაგვარებაზე საქართველოშიც ალაპარაკდნენ.

სწორედ ამ დაპირისპირების შედეგი უნდა იყოს ის, რომ საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობის დავალებით სპეციალურმა კომისიამ 1926 წელს საიდუმლოდ შეისწავლა კერძო ბიზნესი საქართველოში, მისი რეალური მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები. ეს მასალები დღემდე სამეცნიერო

ბრუნვაში არ იყო შემოტანილი და ამ ინფორმაციას არ ფლობდა საქართველოს საზოგადოებრიობა. შედეგები კი მართლაც საინტერესო და დამაფიქრებელია. ჩვენს მიერ შესწავლილი დოკუმენტი იმითაც არის სანდო, რომ, როგორც მისი შემდგენლები ამტკიცებენ, კერძო ბიზნესის განვითარების პარამეტრები მათ შეისწავლეს შემდეგ წყაროებზე დაყრდნობით: 1. კერძო კაპიტალის მონაწილეობა საბაზრო ბრუნვაში, 2. საქართველოში არსებული სავაჭრო წარმომადგენლობების (კავშირების) და ადგილობრივი სახელმწიფო სავაჭროების ბრუნვაში კერძო პირების მონაწილეობის დამადასტურებელი მასალა, საშინაო ვაჭრობის კომისარიატის მიერ 1924-1925 წლების დასაწყისში საცალო ვაჭრობის შერჩევითი მეთოდით გამოკვლევის დოკუმენტები, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციის შედეგების მასალები, ფინანსური ინსპექციის 1924-1925 წლების ცნობები სავაჭრო ბრუნვაში კერძო კაპიტალის მონაწილეობის შესახებ.[22] ამ მასალის შეჯამების შედეგად დადგინდა, რომ 1924-1925 წლებში საბირჟო ოპერაციებში (ბრუნვაში) კერძო ბიზნესის მონაწილეობა უდრიდა 1 339 ათას მანეთს (ფულის ახალი კურსი), რაც ბირჟის საერთო ბრუნვის 18 პროცენტი იყო. ვაჭრობაში კერძო პირების მონაწილეობა აღწევდა 8 პროცენტამდე. ამავე პერიოდში სახელმწიფო სავაჭრო ორგანიზაციები კერძო პირებზე ყიდდნენ დაახლოებით მილიონი მანეთის პროდუქციას (აღირიცხა 24 ძლიერი ორგანიზაცია). 1924-1925 წლებში კერძო პირებმა ბირჟაზე გაყიდეს 650 ათასი მანეთის საქონელი.

საყურადღებოა კერძო კაპიტალის აქტივობა სასოფლო-სამეურნეო სექტორში. ოფიციალური ინფორმაციით 1924-1925 წლებში 5 მილიონი ვედრო ღვინიდან მხოლოდ 700 ათასი იყო სახელმწიფო კოოპერციული ორგანიზაციების, დანარჩენი კერძო პირებს ეკუთვნოდათ. 800 ათასი ვედრო ღვინო კერძო პირებმა გაყიდეს ადგილობრივ ბაზარზე. გატანილია 1 მილიონი ვედრო ღვინო. ასევე წამყვანია კერძო ბიზნესის წვლილი მეხილეობის დარგში – მათ მსხვილ პარტიებად გაყიდეს დაახლოებით ნახევარი მილიონი ფუთი ხილი. ასევე ლიდერობდა კერძო ბიზნესი ხორცის, თხილის, რძის პროდუქციის წარმოებაში.[23]

როგორც ვხედავთ, საბჭოთა ლიდერებს გარკვეული შეშფოთების საფუძველი უნდა ჰქონოდათ – მარტო საქართველოს მაგალითი მიუთითებს, რომ მიუხედავად რეპრესიებისა, დრაკონული საგადასახადო კანონებისა და უამრავი შეზღუდვისა, კერძო კაპიტალი 20-იანი წლების შუა ხანებში მნიშვნელოვან და ან-

გარიშგასაწევ ძალას წარმოადგენდა ეკონომიკაში, განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში.

გამოკვლევის შედეგად შესწავლილია კერძო მხვილი საწარმოები, რომელშიც საქართველოს სინამდვილეში მოიაზრებოდნენ ფაბრიკა-ქარხანები 20 კაციანი კოლექტივით. არსებობს თბილისში არსებული კერძო საწარმოების საქმიანობის შესასწავლად დეტალური მასალა, რაც შემდეგ სურათს წარმოაჩენს: 1926 წლის თებერვალში 10-20 კაციანი კერძო საწარმო თბილისში იყო 636, რომელშიც დასაქმებული იყო 1379 კაცი. ამავე წლის ოქტომბერში მათი რაოდენობა გახდა 688, დასაქმებული იყო 1453 კაცი. აქედან გამორჩეულად მხვილი კატეგორიის იყო – 22 საწარმო (261 კაცით). კერძო საწარმოების რაოდენობა საანგარიშო პერიოდში გაიზარდა 8%, მსხვილი საწარმოების – 70%-ით. მუშების რაოდენობა სულ გაიზარდა 5,5 პროცენტით, მსხვილ საწარმოებში – 40 პროცენტით. დარგების მიხედვით ეს ზრდა უფრო თვალშისაცემია – მაგალითად, გემო-კვების საწარმოებში ზრდის მაჩვენებელი 13,8 პროცენტია. თებერვალში იყო 177 ობიექტი, ოქტომბერში გახდა 201. ხე-ტყის დამუშავების სფეროში იყო 35, გახდა 44 (ზრდაა 26%). ყველაზე დიდი ზრდა შეინიშნებოდა ლითონდამუშავებაში – იყო 55 საწარმო, გახდა 110 (ზრდაა 100%).[24]

უფრო სუსტად ვითარდებოდა კერძო ბიზნესი არასამრეწველო სფეროში – ზრდა აქ 2 პროცენტია. მუშათა ზრდის მაჩვენებელიც დაბალია – 1%.

მეტად საყურადღებოა შემდეგი ფაქტიც – შემოწმების დროს გაირკვა, რომ ყველა კერძო საწარმოში ხელფასი საშუალოდ 15 პროცენტით მეტი იყო შესაბამის სახელმწიფო საწარმოსთან შედარებით. ზოგიერ საწარმოში ეს განსხვავება დაახლოებით 30 პროცენტი იყო. კონტროლიორებმა ისიც დააფიქსირეს, რომ არის ხშირი შემთხვევები, როცა სახელმწიფო საწარმოებიდან მუშები გადადიოდნენ კერძო სექტორში. მოტანილია მაგალითი, რომ მექანიკური სახელოსნოს, „ლითონის" ყველა მუშა გადავიდა კერძო საწარმოში, რადგან მათი ხელფასი სახელმწიფო საწარმოში იყო 50 მანეთი, კერძო სტრუქტურაში გადასვლის შემდეგ გახდა 84 მანეთი.

დაფიქსირებულია მეტად საინტერესო შემდეგი სიტუაციაც – მუშებს კერძო საწარმოებში აღნიშნული ხელფასები არ აკმაყოფილებთ, მაგრამ პრეტენზიებს „ხაზეინებს" არ უყენებდნენ. ამ საწარმოებში ძირითადად დაცული იყო 8 საათიანი სამუშაო დღე. იყო ცალკეული დარღვევები, მაგრამ მათ ფარული ხა-

სიათი ჰქონდათ (მაგალითად, მირზა-ოღლის კანფეტების ფაბრიკაში). ზეგანაკვეთური მუშაობისათვის მუშები არ იღებდნენ ანაზღაურებას. რევიზორების მტკიცებით, მუშების საყვედურები ექსპლოატაციაზე იმ შემთხვევაშიც კი არ არის, როცა ასეთი ფაქტები თვალშისაცემია (მაგალითად, მირზა-ოღლის ფაბრიკაში). მეტად საგულისხმოა კონტროლიორთა მიერ ამ მოვლენის ახსნა – „მეპატრონეებთან შეჯახების ერთეული ფაქტია", რაც მათი აზრით აიხსნება ამ საწარმოებში დასაქმებული მუშების არასათანადო კლასობრივი შეგნებით, იმით, რომ მეპატრონე გარკვეული პრინციპებით არჩევს მუშებს და ზრუნავს კიდეც მათზე. ასეთ საწარმოებში შესამჩნევი იყო მუშათა შერჩევა ნაციონალური ნიშნით, შეიმჩნევა „პანი-ბრატული" დამოკიდებულება. ვინმე გოზალოვის ფაბრიკაში ებრაელ ქალებს შაბათის დასვენების უფლება ჰქონდათ, ვინმე ბენდუქიძის მექანიკურ სახელოსნოში მუშები მეპატრონის ბინაში ცხოვრობდნენ და არ იხდიდნენ ბინის ქირას. ბევრი მეპატრონე დადიოდა მუშების სახლში, ილხენდა მათთან ერთად, აძლევდა ავანსს. ბევრი კი თვითონაც მუშებთან ერთად მუშაობდა, საწარმოში მათი ცოლებიც კი მუშაობდნენ. კონტროლიორები ასკვნიან, რომ „კერძო საწარმოების გამორკვევის დროს მუშებისაგან მათი „ხაზეინების" კრიტიკა არ გაუგიათ.

ასევე საგულისხმოა აღიარება, რომ „მუშების შრომისნაყოფიერება კერძო საწარმოებში უახლოვდება ომამდელ დონეს. ზოგიერთში – მასზე მაღალია".

რევიზორებს შეუსწავლიათ მეპატრონეთა ფსიქოლოგიური განწყობილებებიც და დაფიქსირებულია მათი სურვილი გაზარდონ წარმოება, თუ ხელს არ შეუშლიან. მაგალითად, მექანიკური სახელოსნო „ლითონის" მეპატრონე, თუ კი მას ნაციონალიზებულ საწარმოს დაუბრუნებდნენ, ის მუშათა რაოდენობას 13 კაციდან 100 კაცამდე გაზრდიდა. იგივე აზრი დაფიქსირდა ცინკოგრაფიაშიც.

თბილისის კერძო საწარმოები სრულად იყვნენ დატვირთულნი, ზოგიერთი საწარმო ორ ცვლაში მუშაობდა. ადგილობრივ ბაზართან ერთად, ფიქსირდება ქართული ბიზნესის აქტივობა სომხეთში, სხვა რესპუბლიკებში.

მეტად საყურადღებოა რევიზორების დასკვნა:

1. შეიმჩნევა კერძო საწარმოების, განსაკუთრებით მსხვილი საწარმოების ზრდა;

2. მუშებსა და მეწარმეებს შორის ურთიერთობაში კონფლიქტი არ შეიმჩნევა;

3. შრომისნაყოფიერება მაღალია – უდრის ომამდელ დონეს;

4. წესები და კოლექტიური ხელშეკრულებები დაცულია;

5. ხელფასი სახელმწიფო სექტორთან შედარებით 15 პროცენტით მაღალია;

6. კულტურული დონე – დაბალია;

7. პროფკავშირული მუშაობა – სუსტია და ა.შ.

როგორც ჩანს, რევიზორები შეაშფოთა კერძო ბიზნესის ზრდის ტენდენციებმა, რაც მათ რეკომენდაციებშიც აისახა: უნდა დადგეს საკითხი პარტიული და საბჭოთა ორგანოების წინაშე, რომ არ შეიძლება თანაბარ პირობებში მიეცეს შეკვეთები კერძო საწარმოებს; უნდა განხორციელდეს ღონისძიებები, რომლებიც კონკურენციას გაუწევდნენ კერძო წარმოებას, აღიძრას საკითხი "ერკოოპის" ხელმძღვანელობის წინაშე სასწრაფოდ შექმნან კანფეტებისა და ხალვის საწარმო, რათა მომარაგდეს ბაზარი ამ პროდუქციით; დაევალოს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს, რომ არ შეიქმნას საჭიროება ცინკოგრაფიის საქმეში კერძო სექტორის მომსახურების გამოყენების და ა.შ.

ამრიგად, როგორც დასტურდება, საქართველოში ტოტალიტარული რეჟიმის პირველ ეტაპზე კერძო ბიზნესი, შეზღუდვების მიუხედავად, ახერხებს ეკონომიკურ ცხოვრებაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას.

ჯერ კიდევ არსებობს საქართველოში ბურჟუაზიის კლასის ერთი ნაწილი, თავისი საუკეთესო წარმომადგენლებით, რომლებიც რიგ შემთხვევაში ახერხებენ საკუთარ საწარმოში მუშაობას (ადელხანოვი, სიხარულიძე და სხვ.), ხოლო ზოგიერთი მათგანის (მაგალითად, ა. ხოშტარია, ადელხანოვი) ეკონომიკური უნარისა და შესაძლებლობების გამოყენებას თავის საგარეო პოლიტიკურ ზრახვებში არ ერიდებიან რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო, მისი ადგილობრივი ორგანიზაციები, რაც მიუთითებს მათ შორის შესაძლო ურთიერთსარგებლიან კავშირ-ურთიერთობას. ეს ფაქტები დამატებით შესწავლას საჭიროებენ.

აშკარაა, რომ 20-იანი წლების პირველ ნახევარში, „ნეპის" პირობებში, კერძო სექტორმა საქართველოში აშკარად დაჯაბნა სახელმწიფო სექტორი თავისი მობილურობით, შრომის უკეთესი ორგანიზაციით, ეკონომიკური შესაძლებლობებით და ხელფასის დონით.

საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმი კერძო სექტორის ასეთ გაძლიერებას, რა თქმა უნდა, ვერ დაუშვებდა და 20-იანი წლების

მეორე ნახევარში ვითარება რადიკალურად შეიცვალა – მოხდა „ნეპის“ ლიკვიდაცია.

კომუნისტური რეჟიმი და ქალთა ემანსიპაცია

საუკუნეების განმავლობაში ოჯახში გამოკეტილი, ქმრისა და შვილების მორჩილი ქალის ემანსიპაცია ევროპისა და ამერიკის საზოგადოების პროგრესული ნაწილის აქტიური ზრუნვის საგანი გახდა უკვე XIX საუკუნეში. ფემინისტური მოძრაობა, რამაც მოიცვა ევროპის განვითარებული ქვეყნების უმრავლესობა, ითვალისწინებდა ქალის უუფლებო მდგომარეობის გამოსწორებას, უფლებებში მამაკაცებთან გათანაბრებას. ახალი სოციალურ-პოლიტიკური მოძღვრება – მარქსიზმიც უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ქალის სოციალიზაციის პროცესს. კ. მარქსი და ფ. ენგელსი ჯერ კიდევ „კომუნისტური პარტიის მანიფესტში“ მიუთითებდნენ, რომ „ბურჟუა თავის ცოლს უყურებს როგორც წარმოების უბრალო იარაღს. მას ესმის, რომ წარმოების იარაღები საერთო გამოყენების საგანი უნდა გახდეს...“ და მიაჩნდათ, რომ კაპიტალისტური ეკონომიკური და სოციალური ურთიერთობები უკვე იმჟამად ქალს „საერთო მოხმარების“ საგნად ხდიდა. რამდენადაც კომუნისტები ცდილობდნენ მოესპოთ კერძო საკუთრება, შეეცვალათ საზოგადოების ფუნდამენტი იმით, რომ დაენგრიათ ტრადიციული საოჯახო ურთიერთობები – როგორც კერძო საკუთრების გამოვლენისა და კერძო მესაკუთრული ტენდენციების არსებობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, ამისათვის საჭირო იყო მოეხდინათ ქალის ტრადიციული უფლებრივი მდგომარეობის რადიკალური შეცვლა. კ. მარქსი და ფ. ენგელსი ბურჟუაზიის აპოლოგეტთა გოდებას -კომუნისტების მხრიდან საზიარო ცოლების დანერგვის შესაძლებლობებთან დაკავშირებით – ფილისტერულ გოდებას უწოდებდნენ და აღნიშნავდნენ, რომ სწორედ „ბურჟუაზიული ქორწინება სინამდვილეში საზიარო ცოლობას წარმოადგენს“.[1]

აქედან გამომდინარე, ქალის განთავისუფლება ტრადიციული ურიერთობების ბორკილებიდან, მათ შორის მათი თავისუფალი სექსუალური არჩევანი, სექსის განთავისუფლება ტრადიციათა და საოჯახო ჩარჩოებიდან, ბავშვების მოცილება ოჯახური აღზრდისაგან, მათზე პერმანენტული სახელმწიფოებრივი

ზრუნვა და ა.შ., იყო რადიკალური სოციალურ-პოლიტიკური მოძრაობის – ბოლშევიზმის პრაქტიკული ამოცანაც.

ასევე აუცილებლად ითვლებოდა ქალის აქტიური ჩაბმა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, ეკონომიკაში, კულტურულ აღმშენებლობაში. დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა და ითვლებოდა ემანსიპაციის გამოვლენად ქალის თავისუფალი მოქცევა, მამაკაცის ტანსაცმლის ტარება , თამბაქოს მონევა, ოჯახის რუტინისაგან გამოთავისუფლება და ა.შ. ეს ყველაფერი უკვე XIX საუკუნის მეორე ნახევარში სოციალ-დემოკრატების, განსაკუთრებით კი სოციალ-დემოკრატი ქალების მოღვაწეობის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას წარმოადგენდა. ისეთი ცნობილი ქალები, როგორიც იყვნენ ჟენინ მარქსი, კლარა ცეტკინი, როზა ლუქსემბურგი, ალექსანდრა კოლონტაი და სხვები უდიდეს პროპაგანდისტულ მუშაობას ეწეოდნენ ქალის უფლებრივი მდგომარეობის შესაცვლელად. მათი ინიციატივით 1910 წელს, სტოკჰოლმში, სოციალ-დემოკრატების კონგრესმა 8 მარტი ქალთა საერთაშორისო დღედ გამოაცხადა. ისიც აღსანიშნავია, რომ რ. ლუქსემბურგი და ა. კოლონტაი ქადაგებდნენ თავისუფალ სექსუალურ ურთიერთობებს და თავისი პირადი ცხოვრებით ამის აშკარა დემონსტრაციასაც ახდენდნენ.

მემარცხენე სოციალ-დემოკრატიული შეხედულებების მატარებლები იყვნენ ქართველი ქალებიც: ეკატერინე სვანიძე (სტალინის პირველი ცოლი, ცნობილი სოციალ-დემოკრატის ალ. სვანიძის და), ცნობილი ბოლშევიკის მამია ორახელაშვილის მეუღლე – მარიამი, ფილიპე მახარაძის მეუღლე- ნინო მახარაძე, ცნობილი ბოლშევიკის, მიხეილ ოკუჯავას და – გალაქტიონ ტაბიძის მეუღლე – ოლღა ოკუჯავა და ბევრი სხვა. ისინი რევოლუციამდე თეორიულად, ხოლო რევოლუციის შემდეგ უკვე პრაქტიკულად ცდილობდნენ ცხოვრებაში დაენერგათ ქალის მიმართ მემარცხენე სოციალ-დემოკრატების პროგრამული შეხედულებები, გამოეწორებინათ, მათი აზრით, ქალის მიმართ ისტორიულად დაშვებული შეცდომები, მიენიჭებინათ მისთვის ნანატრი თავისუფლება.

ქალის ემანსიპაციის საკითხი განსაკუთრებით ძნელ საქმედ ჩანდა ისეთ ქვეყნებში, რომლებიც ტრადიციული ცნობიერების გამო, რელიგიური პრინციპებიდან გამომდინარე, ვერ ურიგდებოდნენ საზოგადოებაში ქალის როლის რადიკალურად შეცვლას. ეს განსაკუთრებით დამახასიათებელი იყო მაჰმადიანური ცნობიერებისათვის, ეს რელიგია კი ქალს განსაკუთრებით

უუფლებო მდგომარეობაში აყენებდა და მთლიანად ქმრისა და ვაჟიშვილის მორჩილებაში ტოვებდა.

რუსეთიც ასევე ტრადიციების ქვეყანა იყო, სადაც ქალი მთლიანად ქმრის ზეგავლენას განიცდიდა და თითქმის უუფლებო მდგომარეობაში იმყოფებოდა. რუსმა მარქსისტებმა, განსაკუთრებით კომუნისტებმა, სცადეს ქალის გამოყვანა ტრადიციების მარწუხებიდან და მისი სოციალური აქტივიზაცია. საყოველთაოდ არის ცნობილი რუსი ბოლშევიკი ქალის, ალექსანდრა კოლონტაის მცდელობები ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ხელი შეეწყო რუსი ქალის სოციალური აქტივიზაციისათვის, მათ შორის დაენერგა რუსეთში თავისუფალი სიყვარულიც კი. ის პროპაგანდას უწევდა „თავისუფალი სიყვარულის აუცილებლობას, რომელიც იქნებოდა თავისუფალი პირობითობისაგან, ეჭვიანობისა და დამცირებისაგან".[2]

საქართველოში, სადაც უხსოვარი დროიდან, ქალისადმი რაინდული დამოკიდებულება მუდამ არსებობდა (გავიხსენოთ გენიალური „ვეფხისტყაოსანი"), დროთა განმავლობაში ეს ტრადიცია შეიცვალა, განსაკუთრებით იმ რეგიონებში, სადაც მაჰმადიანობა გავრცელდა და ქალი მთლიანად მეუღლისა და ვაჟიშვილის საკუთრებად გადაიქცა, გაბატონდა ჩადრი, „კალიმი", გოგონების ადრეული ასაკიდან გათხოვება და ა.შ. საქართველოში ქალი უუფლებო მდგომარეობაში იყო ქრისტიან, მაგრამ სოციალურ-ეკონომიკურად ჩამორჩენილ, მთის რეგიონებშიც.

უკვე პირველი რესპუბლიკის პერიოდში საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა მთავრობამ გადადგა პირველი ნაბიჯები ქალის უფლებრივი მდგომარეობის შესაცვლელად, როცა გამოცხადდა მოქალაქეთა სრული თანასწორობა და დაიწყო ყოფაში არსებული, მიუღებელი წესების წინააღმდეგ ბრძოლა.

საქართველოს ოკუპაციის შემდეგ საბჭოთა ხელისუფლებამ არა მარტო ქალის უფლებრივი მდგომარეობა საკანონმდებლობის საფუძვლებით გაამაგრა (იგულისხმება საქართველოს საბჭოთა კონსტიტუცია, რომელმაც გამოაცხადა მოქალაქის თანასწორობა კანონის წინაშე, მიუხედავად მათი სქესობრივი კუთვნილებისა), არამედ შეიმუშავა შორს გამიზნული გეგმები ქალის სოციალურ-პოლიტიკური აქტივიზაციისათვის. ამ მიზნით საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან შეიქმნა ქალთა განყოფილება. ასეთივე განყოფილება არსებობდა საქართველოს მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან. სპეციალური განკარგულებით ყველა სამაზრო კომიტეტთან შეიქმნა ქალთა შო-

რის მუშაობის განყოფილება, რომელიც საქმიანობას უშუალოდ ადგილობრივი პარტკომი ხელმძღვანელობდა. ადგილებზე ქალთა შორის მუშაობას ეწეოდა კომუჯრედი. კომუჯრედში ირჩევდნენ ორგანიზატორს, რომელიც ამუშავებდა პრაქტიკული საქმიანობის ძირითად მიმართულებებს.[3]

XX საუკუნის შუა ხანებში საქართველოში ქალები მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდნენ. 1926 წლის აღწერით საქართველოში ყოველ ათას კაცზე 978 ქალი მოდიოდა. საქართველოს ქალების მხოლოდ 35,9 პროცეტი კითხულობდა და წერდა. სოფლად კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობა იყო – წერაკითხვას ფლობდა სოფლად მცხოვრები ქალების მხოლოდ 26,6 პროცენტი.[4] ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო დაბალი იყო არაქართველი მოსახლეობით დასახლებულ რეგიონებში.

ამავე აღწერით დგინდება, რომ საქართველოს მრეწველობაში „ნეპმანებს" ანუ არათვითმოქმედ „მექარხნე-მეფაბრიკეს" შორის (ასეთი იყო 288კაცი) 137 იყო ქალი, რაც მიგვანიშნებს ახალი ეკონომიკური პოლიტიკის პირობებში ქალთა საკმაოდ დიდ პროცენტს გავლენიანი პოზიციები ეკავა „კერძო ბიზნესში". უფრო თვალშისაცემია ქალის როლი სოფლის მეურნეობაში ანუ „პატრონები სოფლის მეურნეობაში"(როგორც ხელისუფლება მათ უწოდებდა) – საქართველოში თვითმოქმედი „პატრონი" სოფლისა იყო 14 388 კაცი, საიდანაც 3578 ქალი იყო. ამ „პატრონებში "ქართველი იყო 8845 კაცი, საიდანაც 2837 – ქალია.[5] როგორც ჩანს, პოტენციურ „კულაკებს" შორის თითქმის მესამედი არის ქალი.

ქალები განსაკუთრებით ბევრი იყო ინტელიგენციის შემადგენლობაში – სკოლის პედაგოგების დიდი უმრავლესობა, უკვე საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში, იყო ქალი. ჩვენ ზემოთ დავინახეთ, რომ პედაგოგები, მათ შორის ქალებიც, ცივად შეხვდნენ საბჭოთა ხელისუფლებას, მონაწილეობდნენ საპროტესტო მიტინგებში, თანაუგრძნობდნენ ანტისაბჭოთა პარტიებს. სერიოზულ და ანგარიშგასაწევ სოციალურ ძალას წარმოადგენდნენ თავადაზნაურთა წრიდან გამოსული ქალები. მათი დიდი უმრავლესობა კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგი იყო. ქალთა შორის საბჭოთა ხელისუფლების მნიშვნელოვან სოციალურ დასაყრდენს ძირითადად წარმოადგენდნენ: ქალაქად – ფაბრიკა-ქარხნების მუშა-ქალები, სოფლად – მოჯამაგირე და ბოგანო ქალები. სწორედ პროლეტარული წარმოშობის ქალებზე აიღო საბჭოთა ხელისუფლებამ ორიენტაცია და ენერგიულადაც წარმართა პროპაგანდისტული მუშაობა.

პირველ რიგში მიზნად დაისახეს ქალის პოლიტიკური აქტივიზაციის მიღწევა – მათი აქტიური დასწრება კრებებზე, მიტინგებზე, სპეციალურ ქალთა შეხვედრებზე. უკვე საბჭოთა ხელისუფლების პირველსავე თვეებში რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქსა თუ მაზარაში სისტემატურად იმართებოდა ქალთა კრებები. განსაკუთრებული აქცენტი უპარტიო ქალების აქტივიზაციაზე გაკეთდა. მაგალითად, ფოთში ჩატარდა მუშა ქალთა დიდი წარმომადგენლობითი შეკრება, მოისმინეს მოხსენებები და ქალებმა გამოთქვეს პოლიტიკური ანბანის შესწავლის სურვილი.[6]

თბილისის მე-2 რაიონში მოეწყო უპარტიო ქალთა კონფერენცია. განიხილეს საბჭოთა რესპუბლიკების საგარეო პოლიტიკური მდგომარეობა, ქალთა განყოფილებების ამოცანები და იმჟამად ბაქოში მიმდინარე ამიერკავკასიის ქალთა ყრილობაზე განსახილველი საკითხები. შეკრებამ მოწოდებით მიმართა ქალებს, რომ „გამოფხიზლებულიყვნენ და ახალ ცხოვრებაში ჩაბმულიყვნენ“.[7]

გაზეთმა „კომუნისტმა“ 1922 წლის 25 მაისს გამოაქვეყნა ავლაბარში ჩატარებული ქალთა დიდი საერთო კრების რეპორტაჟი. კრებას ესწრებოდნენ სამკერვალო სახელოსნოს, ადელხანოვის ქარხნის, თამბაქოს ფაბრიკა „მირის“ და საქსოვი ფაბრიკის მუშა-ქალები. კომუნისტი რეპორტიორი ასე აღწერდა ერთერთ ასეთ შეხვედრას: „მუშა-ქალების მოღრუბლულ დაღლილ სახეზე ათამაშდა თითქოს რაღაც უცნობი, ხალისიანი შუქი, მათი დატანჯული, დაჩაგრული სული დაეწაფა თითქოს ამ ახალი, ნათელი ცხოვრების იმედს“.[8]

კომუნისტური გადატრიალების მიუხედავად, რა თქმა უნდა, სწრაფად ვერ მოხერხდა ქალის ვერც სოციალური აქტივიზაცია და, რაც მთავარია, მისი რეალური უფლებრივი მდგომარეობის შეცვლა. ჯერ კიდევ მძიმე იყო მათი მდგომარეობა კერძო საწარმოებში, სადაც კერძო მეწარმე, როგორც ირკვევა, საკმარდ უწევდა ექსპლოატაციას მუშა-ქალებს, ცდილობდა შრომის საბჭოთა კანონების უგულვებელყოფას, ზრდიდა შრომის საათებს. როგორც ზემოთაც აღინიშნა, „ნეპის“ პირობებში, როცა წვრილი საწარმოების მეპატრონეები ნაკლებად კონტროლდებოდნენ, ვითარება შრომის ბაზარზე აუტანელი გახდა: სამუშაო დღის ხანგძლივობა 12-14 საათი გრძელდებოდა, არ ფუნქციონირებდა „კოლექტიური ხელშეკრულების“ მექანიზმი, მიზერული ხელფასი ინფლაციას ვერ ეწეოდა. კერძო სექტორში დასაქმებული მუშა-ქალები ამას ნაკლებად აპროტესტებდნენ. როგორც დამკვირვებლები აღნიშნავდნენ, ჯერ კიდევ ბევრი იყო

„მშიშარა, მორჩილი ქალი, რომლებიც გაურბოდნენ მუშათა ორგანიზაციებს და კომუნისტური პარტიის გავლენას. რჩებოდნენ „ხაზეინების" ტყვეობაში".[9]

საბჭოთა ხელისუფლება ენერგიულად ცდილობდა ქალების გაერთიანებას პროფკავშირულ მოძრაობაში. ამ მიზნით ტარდებოდა სპეციალური ღონისძიებები, სადაც კომუნისტური ორგანიზაციები მოუწოდებდნენ რიგით ქალებს შეეტანათ თავისი წვლილი პროფკავშირული მოძრაობის განვითარებაში. 1922 წლის 13 მაისს საქართველოს კპ ცკ ქალთა განყოფილებამ მოწოდებით მიმართა საქართველოს ქალებს გაერთიანებულიყვნენ პროფკავშირებში კაპიტალის წინააღდეგ. ასეთ მოწოდებებს სისტემატურად ბეჭდავდნენ კომუნისტური გაზეთებიც. მოუწოდებდნენ: "რევოუციის ტალღებმა, როდესაც ქალი ბრძოლის ველზე გადმოისროლა, მას დააკისრა, რომ მონაწილეობა მიეღო კაცობრიობის განმათავისუფლებელ მოძრაობაში, სადაც მან ღირსეული როლი ითამაშა".

საბჭოთა ხელისუფლების პირველსავე წლებში დიდი მნიშვნელობა მიენიჭა ქალთა საერთაშორისო დღის – 8 მარტის საზეიმო აღნიშვნის ცერემონიალის დამკვიდრებას. რამდენადაც სურდათ ეს ახალი საბჭოთა ტრადიციების მნიშვნელოვანი შემადგენელი ყოფილიყო, მას შეძლებისამებრ, გამორჩეული პომპეზურობით აღნიშნავდნენ: იმართებოდა საზეიმო შეხვედრები, წარმოების მოწინავეთა დაჯილდოება, კონცერტები, თვითმოქმედების დათვალიერება, ისმენდნენ მოხსენებებს კაპიტალისტურ სამყაროში ქალთა უუფლებო მდგომარეობის შესახებ.

ცნობილი კომუნისტი ქალები მგზნებარე მოწოდებით მიმართავდნენ და აქტიური მოქალაქეობრივი პოზიციის გამოსახატად რაზმავდნენ საქართველოს ქალებს. ამ ადამიანებს ჰქონდათ რწმენა, პოლტიკური ენერგია და საკმაოდ დიდი შემართებაც. მაგალითად, განათლების სახალხო კომისრის მოადგილე მარიამ ორახელაშვილი, თავის საკმაოდ ხშირ გამოსვლებში და საგაზეთო წერილებში, ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ საბჭოთა სინამდვილეში ძველი ტრადიციებისა და ზნე-ჩვეულების ენერგიული მატარებელი არის ქალი – „ჩამწყვდეული ოჯახის ვიწრო ჩარჩოებში, დატვირთული მრავალი წვრილმანი საქმეებით, მოკლებული ფართო მსოფლმხედველობას, საზოგადოებრივ აღმშენებლობას და კულტურული წარმატებების ინტერესს" და მოუწოდებდა მათ მიეტოვებინათ ოჯახური რუტინა და ჩამდგარიყვნენ ახალი ცხოვრების მშენებელთა რიგებში.[10]

გალაქტიონ ტაბიძის მეუღლის, ოლღა ოკუჯავას დღიურები აშკარად მიუთითებენ იმ პერიოდში კომუნისტი ქალის სულიერი მოძრაობის მახასიათებლებზე. ასეთი სულისკვეთების ქალებს, მართლაც, უფრო აღელვებდათ საზოგადოებრივი ყოფიერება, რევოლუციური პათეთიკა, ვიდრე ქვეყანაში მიმდინარე კომუნისტური ტერორი, ან ინფლაცია თბილისის ბაზარში. მაგალითად, იგი აღფრთოვანებული წერდა 1927 წელს: „შანხაი დაეცა (იგულისხმება ჩინელი კომუნისტების მიერ შანხაის დაპყრობა- ავტ.) რა სიამოვნებით იმოქმედა ამ ფაქტმა. შანხაი დაეცა. იმეორებს მსოფლიო. ეს სიმბოლოა მსოფლიოს ერთ ნაწილში ტირანიის დაცემისა. ეს რევოლუციაა!“ [11]

ასეთი, იდეურად შემართული, ქალის ოცნება იყო: „მსოფლიო გუგუნი, რათა ეს მშვენიერება (იგულისხმება კომუნისტური რევოლუცია - ავტ.) ყველასათვის ხელმისაწვდომი გახდეს, მაღლა ავწიოთ შხამიანი ისრები, რათა მოისპოს კაპიტალიზმის ბრჭყალები, რაც აწამებს ყველაფერს დიადს“. [12]

იმისათვის, რომ ქალი სოციალურად უფრო აქტიური გამხდარიყო, მიეტოვებინა ოჯახი და ფაბრიკა-ქარხანაში დაზგის წინ აქტიურად დამდგარიყო, ქმედითი მონაწილეობა მიეღო ახალი ცხოვრების მშენებლობაში, ამისათვის, როგორც ქვემოთ დავინახავთ, საქართველოშიც შემუშავდა ბავშვთა სოციალური აღზრდის მთელი პროგრამა. ეს პროექტიც მარიამ ორახელაშვილისა და მისი თანამოაზრეების მიერ იყო მოფიქრებული და ეფუძნებოდა მარქსისტულ დებულებას ბავშვთა აღზრდის პროცესის გასახელმწიფოებრიობის შესახებ. კომუნისტებს მიზნად ჰქონდათ შეექმნათ უამრავი ბავშვთა სახლი და ბაღი, რომ მოზარდის აღზრდის მთელი პროცესის მართვა მშობლებიდან სახელმწიფოზე გადაეტანათ, რომ კომუნისტურ აღზრდას თავიდანვე ბავშვთა ინდივიდუალობა კოლექტივიზმის სულისკვეთებით გარდაექმნა.

ყოველმხრივ ცდილობდნენ ქალებზე პოლიტიკურ ზემოქმედებას. საქართველოს უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ – ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა არა ერთი დადგენილება მიიღო ქალთა სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული აქტივობის უზრუნველსაყოფად. 1926 წელს მიიღეს საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო ახალი კანონი, რომლითაც შეეცადნენ დაეცვათ ქალის კანონიერი უფლებები საოჯახო კონფლიქტების დროს. ქალს უკვე კანონით ეძლეოდა წილი ქმრის ქონებიდან იმ შემთხვევაშიც კი, ქორწინება რეგისტრირებული იყო თუ არა.[13]

1927 წლის 9 თებერვალს ცაკმა მიიღო დადგინილება ქალთა შრომისა და ყოფის პირობების გაუმჯობესების შესახებ. დადგენილება ააშკარავებს, რომ მიუხედავად პათეთიკური მოწოდებებისა, საქართველოში ჯერ კიდევ არ იყო სათანადო პირობები ქალთა სოციალური აქტივობისათვის, უმუშავართა შორის ქალთა ხვედრითი წილი საკმაოდ მაღალი ჩანს (დაახლოებით 30 პროცენტი), ცოტა იყო დაწესებულებები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ ქალთა კვალიფიკაციის ამაღლებას, სერიოზული ყურადღება მიექცა ქალთა კულტურულ-საგანმანათლებლო დონის ამაღლების საკითხებსაც.[14]

1928 წლის 14 ნოემბერს საქართველოს ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიღო სპეციალური დადგენილება ქალთა პროსტიტუციის წინააღმდეგ. დადგენილება აშკარად ხდის, რომ კომუნისტურ საქართველოში, „ნეპის" პირობებში, ქალაქებში ჯერ კიდევ არსებობდა და იფურჩქნებოდა ეს უძველესი პროფესია. დადგენილების ხასიათი და დასახულ ღონისძიებათა ჩამონათვალი მიანიშნებს საკითხის სერიოზულობაზე. შეიქმნა სპეციალური „ცაკთან არსებული პროსტიტუციასთან მებრძოლი ცენტრალური რესპუბლიკური საბჭო", რომელმაც გააერთიანა როგორც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ქალთა განყოფილების, ისე ალკკ ცენტრალური კომიტეტის, შინსახკომის, ჯანდაცვის სახალხო კომისარიატის, იუსტიციის კომისარიატისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლობა. ამ ახლადშექმნილი ორგანიზაციის ამოცანა იყო საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში პროსტიტუციის გამომწვევი მიზეზების დადგენა, მის წინააღმდეგ პრევენციული ზომების მიღება, ქალთა უპატრონობისა და მატერიალური უმწეობის შემთხვევების წინააღმდეგ ბრძოლა, ქალის ჩაბმა ქვეყნის აღმშენებლობით ცხოვრებაში.[15]

ქალთა სოციალური აქტივიზაციის მიზნით მიღებული დადგენილებების ცხოვრებაში რეალიზაცია ენერგიულად ხორციელდებოდა. პროპაგანდას უწევდნენ საბჭოებში ქალთა აქტივობას, პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციებში მათ ჩაბმას. 20-იანი წლების საქართველოში ქალთა სადელეგატო კრებები ქალთა პოლიტიკური ფიზიონომიის გამოხატვის მნიშვნელოვანი საშუალება გახდა. როგორც ამტკიცებდნენ 1926 წელს ასეთი კრებები აერთიანებადა 443 938 ქალს.[16] ამ კრებებზე ირჩევდნენ დელეგატებს, რომლებიც მოწოდებულნი იყვნენ დაეცვათ ქალების უფლებები. 1927 წელს ასეთი 781 დელეგატი იყო საქართველოში, მათ შორის ქართველი – 84%, სომეხი – 6,9%,

თურქი – 2,2%, რუსი – 3,6 %,ოსი -0, 6, აფხაზი – 0,6 და ა.შ. საყურადღებოა, რომ ამ დელეგატთა უმრავლესობა (52%) პირადი, კერძო სოფლის მეურნეობის მფლობელი ქალი იყო. დელეგატებს შორის მუშები ბევრნი არ არიან – მხოლოდ 11 %. ბევრია მოსამსახურე – 24,7%. ასეთ დელეგატებს შორისაც კი 22,4 პროცენტი წერა-კითხვის უცოდინარი იყო.

ქალის კულტურული დონის პრობლემები სერიოზულ ზრუნვას საჭიროებდა. მიუხედავად მრავალმხრივი მცდელობისა, ვერ ხერხდებოდა ვერც წერა-კითხვის უცოდინრობის სრული ლიკვიდაცია, ვერც კულტურულ ცხოვრებაში მათი აქტიური ჩაბმა. ეს ძალიან ჭირდა განსაკუთრებით მაჰმადიანი მოსახლეობით დასახლებულ რეგიონებში. უკულტურობა კი ქალებს აგრესიულ ხდიდა, ზოგჯერ ისინი საბჭოთა სახელმწიფოს კულტურული ღონისძიებების წინააღმდეგ აგრესულად გამოთქვამდნენ უკმაყოფილობას, არ ეთმობოდათ ძველი ტრადიციები, მაგალითად, მედრესები, ყურანი, შარიათი. ცნობილია, რომ ხულოს აჯანყების დროს, აგრესიულად განწყობილი ქალები არბევდნენ საბჭოთა სკოლებს, სცემდნენ მასწავლებლებს და ა.შ.[17]

საქართველოს მაჰმადიანურ რეგიონებში ქალთა შორის პროპაგანდისტულ მუშაობას უდიდესი ყურადღება ექცეოდა. სადაც პროპაგანდა არ ჭრიდა, იქ არც ძალადობას გამორიცხავდნენ. მაგალითად, ძალისმიერი მეთოდებით განხორციელდა აჭარაში ჩადრის ხმარებიდან ამოღების კამპანია. ამ პროცესს ძალიან ეწინააღმდეგებოდნენ მოლები, ხოჯები. კომუნისტები და კომკავშირლები კი ძველი ტრადიციების წინააღმდეგ ბრძოლის მოტივით, ცდილობდნენ სწრაფად და ულაპარაკოდ განეხორციელებინათ პარტიული კრებების გადაწყვეტილებები. აჭარის ერთ-ერთი რაიონის პარტიულ ხელმძღვანელს მიეწერება გამოთქმა: „ცხოვრებაში რომ გავატაროთ ჩადრის ახდის კამპანია, ჩვენ მოგვიწევს, როგორც ჩანს, დავხვრიტოთ ერთი თხუთმეტიოდე კაცი".[18]

ქალთა შორის უკულტურობა, წერა-კითხვის უცოდინრობა 20-იანი წლების მეორე ნახევარში კვლავ გადაუჭრელი პრობლემა იყო.

1928 წლის 14 აგვისტოს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო ღონისძიებათა გეგმა, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოს კულტურულად ჩამორჩენილი რეგიონების: როგორც ქართული მთიანი კუთხეების, ისე მაჰმადიანი მოსახლეობით დასახლებული მხარეების ყოფა-ცხოვრებაში შემორჩენილი პატრიარქალური გადმონაშთების: ქალთა

სოციალური უთანაბრობის, გოგონათა ადრეულ ასაკში გათხოვების, მრავალცოლიანობის (საქართველოს რიგ კუთხეში ეს სიმახინჯე ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო), „კალიმის“ წესის, წერა-კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაციას.[19]

ინდუსტრიალიზაციის პირობებში (XX საუკუნის 20-იანი წლების მეორე ნახევარი) დიდი ყურადღება მიექცა მსუბუქი მრეწველობის საწარმოების – საფეიქრო, გემო-კვების მრეწველობის ობიექტების მშენებლობას – გაიხსნა ოზურგეთის, თელავის აბრეშუმ-ძაფსახვევ-საძახავი ფაბრიკები, ამუშავდა თბილისის აბრეშუმის კომბინატი, რომლის ძირითადი კონტინგენტი – ქალი იყო, ბევრ რაიონში ექსპლოატაციაში შევიდა ადგილობრივი საკონსერვო საწარმო, სადაც ასევე ქალები დასაქმდნენ. თუ 1927 წელს საქართველოს მრეწველობაში დასაქმებული იყო 3384 ქალი, 1928 წელს მათი რიცხვი საგრნობლად გაიზარდა და შეადგინა 6089. ერთი წლის განმავლობაში საქართველოს პროფკავშირებში ქალთა რაოდენობა 12 პროცენტით გაიზარდა. ქალები აქტიურობდნენ საკოლმეურნეეო მშენებლობაშიც – 1928 წელს საქართველოში არსებული 594 კოლმეურნეობის 446 ხელმძღვანელი – ქალი იყო.[20]

რომ უფრო მეტი ქალი ჩაებათ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, გამოეთავისუფლებინათ ის ყოფითი რუტინისაგან, როგორც ზემოთ აღინიშნა, შემუშავდა ბავშვის აღზრდის კომპლექსური სისტემა, რომლის მიზანი იყო ბავშვის აღზრდის მთელი პროცესის გასახელმწიფოებრიობა, მისი მოშორება ოჯახის „მავნე“ ზეგავლენისაგან. მაგრამ ის რაც ადვილად განხორციელდა კანონით და ქაღალზე, უფრო რთული შესასრულებელი იყო პრაქტიკაში, რადგან არ კმაროდა სახსრები, მატერიალური შესაძლებლობები, პედაგოგიური კადრები, სახელმძღვანელოები და ა.შ. აშკარაა, რომ 20-იანი წლების მეორე ნახევარში ოჯახის ტრადიციული ფორმის დანგრევა ვერ მოხერხდა, თუმცა ამის მცდელობა აშკარად იყო.

უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ 20-იანი წლების ბოლოს საბჭოთა კომუნისტურმა პროპაგანდისტულმა აპარატმა პირველად სცადა გაეწია პროპაგანდა ქალის, ოჯახის დედისა და მეუღლისათვის, რომ ის გამხდარიყო უშიშროების სამსახურის მზვერავი და მეუღლის წინააღმდეგ მოქმედი აგენტი. კომუნისტების ოფიციოზმა გაზეთმა „კომუნისტი“ დაბეჭდა ნარკვევი „ორი მაგალითი ანუ ქრთამი ბოროტმოქმედი ქმრის დასაცავად“. საგაზეთო წერილის ავტორმა მოიყვანა ორი მაგალითი ორი ოჯახის პრაქტიკიდან. ერთი მაგალითი რუსეთის ერთ-ერთ

ქალაქის ცხოვრებიდან, სადაც საყოფაცხოვრებო ნიადაგზე გახრწნილი, კომუნისტი ქმარი სპეცორგანოების წინაშე ამხილა არაკომუნისტმა ქალმა და ამან საზოგადოების მოწონება დაიმსახურა, და ამის საწინააღმდეგოდ მოტანილი იყო ფაქტი საქართველოს სინამდვილიდან – კომუნისტმა ქართველმა ქალმა, 1924 წლიდან პარტიის წევრმა, იმის მაგივრად რომ ემხილა უპარტიო ქმრის დანაშაულებრივი ქმედება, ქრთამით სცადა საკითხის დადებითად გადაწყვეტა, რითაც პარტიული რისხვა დაიმსახურა.[21]

ასეთი მოწოდება ქალი-მეუღლისადმი 20-იანი წლების ქართულ პერიოდიკაში ჩვენ აღარ შეგვხვედრია, თუმცა მოგვიანებით, 30-იან წლებში ძალიან ბევრი მეუღლე-ქალი დაისაჯა იმის გამო, რომ არ ამხილა ქმარი – ხალხის მტერი. თუმცა იყვნენ ისეთებიც, რომლებიც პირნათლად ასრულებდნენ პარტიულ მოვალეობას და პოლიტიკურ სამმართველოში ასმენდნენ თავის მამებს, ძმებს, ქმრებს.

ამრიგად, აშკარაა, რომ საქართველოს გასაბჭოებისთანავე კომუნისტური რეჟიმის წინაშე ქალის სოციალური აქტივიზაციის საკითხი მთელი სიმწვავით დადგა და კომუნისტური პარტია, მისი პირველადი ორგანიზაციები ყოველმხრივ ცდილობდნენ მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიურ საფუძველზე ჩაებათ რიგითი ქალი ეკონომიკაში, პოლიტიკაში, კულტურულ ცხვოვრებაში. მიზანი იყო ტრადიციული ოჯახის – კერძო საკუთრების ამ ბასტიონის დანგრევა და ახალი საბჭოთა ოჯახის შექმნა, სადაც ქალი აღარ იქნებოდა მიჯაჭვული ოჯახურ რუტინაზე. მაგრამ ეს ამოცანა საკვლევ პერიოდში ვერ განხორციელდა საბჭოთა სახელმწიფოს სუსტი მატერიალური შესაძლებლობების გამო.

ქალის სოციალიზაციის მიზნით ამოქმედდა საბჭოთა სახელმწიფოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი საქმიანობა, რამაც გარკვეული შედეგი გამოიღო: გაიზარდა ფაბრიკა-ქარხნებში მუშა-ქალების რიცხვი, მათი ხვედრითი წილი პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, პოლიტიკაში, კულტურულ აღმშენებლობაში. თუმცა XX საუკუნის 20-იან წლებში, ჩვენი ვარაუდით „ნეპის" პოლიტიკის გამო, ვერ მოხერხდა ქალის ტოტალური დამორჩილება სახელმწიფო აპარატის მხრიდან.

ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის დასაწყისი

საბჭოთა ხელისუფლების მთავარ ამოცანას ახალი თაობის აღზრდა წარმოადგენდა. მარქსისტული თეორიის მიხედვით, კაპიტალიზმის ეპოქის ადამიანი იმდენად იყო დაავადებული ბურჟუაზიული თუ წვრილბურჟუაზიული თვისებებით, რომ ისინი ახალი საზოგადოების ერთგულ მშენებლებად არ გამოდგებოდნენ სპეციალური გადამზადების, ანუ საკონცენტრაციო ბანაკებში სპეციალური შრომა-გასწორებითი მუშაობის ჩატარების გარეშე. ამიტომაც სკოლას და ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდის მეთოდიკას, აღზრდის კონკრეტულ პროგრამებს დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდათ.

XX საუკუნის დასაწყისში რუსეთის იმპერიაში წერა-კითხვის ცოდნის მაჩვენებელი ერთ-ერთი დაბალი იყო ევროპაში. გაუნათლებელი, წერა-კითხვის უცოდინარი ადამიანი ვერ დაეუფლებოდა მარქსიზმის საფუძვლებს, რის რეალიზაციას ასე ენერგიულად ცდილობდნენ ბოლშევიკები. საზღვარგარეთულ სოვეტოლოგიაში სამართლიანად არის შემჩნეული, რომ „ახალი ხელისუფლება ისწრაფოდა მიეღწია განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მდგომი საბჭოთა რეგიონების ერთსახოვნებისა და გათანაბრებისათვის. ამ მიზნის განხორციელების მყარი საფუძველი იყო სახალხო განათლების სახელმწიფო ქსელის განვითარება და სრულყოფა, რადგან სწორედ მას უნდა აღეზარდა კომუნიზმის მშენებელი „ახალი ადამიანი".[1]

ეს ამოცანა რთულიც იყო და ამავდროულად ადვილიც: რთული იმიტომ, რომ საბჭოთა ხელისუფლებას ბრძოლა უხდებოდა ეროვნულ საგანმანათლებლო ტრადიციებთან (განსაკუთრებით კულტურულად დაწინაურებულ რეგიონებში, მათ შორის საქართველოში), კულტურული განვითარების სხვადასხვა დონეზე მყოფი ადამიანების, სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე, სხვადასხვა დამწერლობის მქონე ხალხების სულიერ მისწრაფებებთან, რომელთა ტოტალური გარდაქმნა დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. ადვილი იყო იმიტომ, რომ ტოტალიტარული რეჟიმისათვის დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა გაუნათლებელი მოსახლეობისათვის შეეთავაზებინა „საბჭოთა სკოლა", განათლების საკუთარი პროგრამით, რომლის ერთ-ერთი მიზანი საბჭოთა ხელისუფლებისადმი ერთგული პიროვნების ფორმირება იყო.

მარქსიზმის ფუძემდებლები თეორიულად უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ ახალგაზრდა თაობის კომუნისტურ პრინციპებზე აღზრდას. კრიტიკულად განმსჭვალულნი კაპიტალისტური საზოგადოებისადმი, ისინი მას ბრალს იმაში სდებდნენ, რომ „მსხვილი მრეწველობის წყალობით... შვილები უბრალო სავაჭრო საგნებად და სამუშაო იარაღებად იქცევიან“.[2] სწორედ ამიტომ მარქსისტული მოძღვრება ახალგაზრდობას მუდამ პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლების მნიშვნელოვან რეზერვად განიხილავდა. ამ მიზნის მისაღწევად მარქსიზმმა ჩინებულ გამოსავალს მიაგნო – „იმ მომენტიდან დაწყებული, როდესაც ბავშვს შეუძლია დედის მოვლის გარეშე დარჩენა, ყველა ბავშვის აღზრდა სახელმწიფო დანესებულებებში და სახელმწიფოს ხარჯზე“, – სთავაზობდნენ ისინი ახალ, კომუნისტურ საზოგადოებას.[3]

ამრიგად, ოჯახის, როგორც კერძო საკუთრების გამოვლენის და მნიშვნელოვანი საფუძვლის კომუნისტური დანგრევა როგორც თეორიაში, ისე პრაქტიკაში ითვალისწინებდა ბავშვის აღზრდის მთლიანი ციკლის სახელმწიფოს ხელში გადასვლას, რაც უზრუნველყოფდა მისთვის ერთგული თაობის ჩამოყალიბებას.

ვ. ი. ლენინმა განსაზღვრა ახალგაზრდობასთან კომუნისტური პარტიის მუშაობის მთელი სისტემა და მნიშვნელოვანი ამოცანებიც დაუსახა მას: „ახალგაზრდობის ამოცანაა ისე მოაწყოს თავისი პრაქტიკული საქმიანობა, რომ ისწავლოს, დაირაზმოს, შეკავშირდეს, იბრძოლოს და ამ გზით აღზარდოს თავისი თავი და ყველა ის, ვინც მასში წინამძღოლს ხედავს, აღზარდოს კომუნისტები...კომუნისტი მაშინ შეიძლება გახდე, თუ შენ ცოდნას გაამდიდრებ ყველა იმ სიმდიდრის ცოდნით, რაც კაცობრიობას შეუმუშავებია...საჭიროა, რათა თანამედროვე ახალგაზრდობის აღზრდის, განათლების და სწავლების მთელი საქმე წარმოადგენდეს მასში კომუნისტური მორალის აღზრდას“.[4]

სამწუხაროდ, ქართულმა საბჭოთა ისტორიოგრაფიამ ახალგაზრდობის პრობლემის შესწავლის პროცესი დაიყვანა კომკავშირული ორგანიზაციის ფორმირებისა და განვითარების, ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის მოღვაწეობის ისტორიული ეტაპების შესწავლაზე, რაც, რა თქმა უნდა, არ იძლევა სრულ და ობიექტურ სურათს, რადგან ახალგაზრდობის კომუნისტური ორგანიზაცია (1925 წელს მის რიგებში 49 ათასი ახალგაზრდა იყო) არ მოიცავს საქართველოს მთლიან ახალგაზრდო-

ბას და რა პროცესები მიმდინარეობდა კავშირგარეშე ახალგაზრდობის რიგებში, როგორი იყო მისი ეროვნული, სოციალური შემადგენლობა, სხვადასხვა სოციალური ჯგუფის დამოკიდებულება ტოტალიტარული რეჟიმისადმი – სრულიად უცნობი იყო. ამის შესწავლა კი დღეს გადაუდებელია ამოცანაა. ქვემოთ ჩვენ შევეცდებით ამ რთული პრობლემის ზოგიერთი ასპექტი წამოვწიოთ და შეძლებისამებრ გავაანალიზოთ.

იმისათვის, რომ აღეზარდათ საბჭოთა სისტემისადმი ღრმად ერთგული „ახალი ადამიანი", საჭირო იყო სკოლის ტრადიციული ფორმის უკუგდება და ახალ იდეოლოგიურ და პედაგოგიურ პრინციპებზე „ახალი სკოლის" ფორმირება. რუსეთში ეს ექსპერიმენტი 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალებისთანავე დაიწყო და ამ მიმართულებით გარკვეული გამოცდილებაც დაგროვდა. საქართველოს სინამდვილეში განათლების დარგში ეს „რუსული შაბლონი" უაპელაციოდ გადმოინერგა. ამ მიმართულებით მეტად საინტერესოა განათლების სახ.კომისრის მოადგილის და საქართველოში საბჭოთა განათლების სისტემის დამკვიდრების ერთ-ერთი ორგანიზატორის მარიამ ორახელაშვილის თეზისები, რომელშიც განსაზღვრულია საქართველოში ახალგაზრდის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის სრული ამოცანა და ჩამოყალიბებულია ამ აღზრდის ძირითადი პრინციპები. თეზისების გაცნობა იძლევა საფუძველს ვამტკიცოთ, რომ სახეზეა: 1. საოჯახო აღზრდის სრული იგნორირება; 2. ინდივიდუალისტური ტენდენციების ნაცვლად კოლექტივისტური ტენედენციების დანერგვა-განვითარების მოთხოვნა; 3.სოციალური აღზრდის პრინციპების დამკვიდრების კულტივირება.

ამ ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარე, მარიამ ორახელაშვილი აყენებს ამოცანას: „ჩვენი მიზანია ისე მოვამზადოთ ბავშვები, რომ ისინი ჰარმონიულად განვითარდნენ და შეიქმნას ახალი კომუნისტური საზოგადოების მკვიდრი წევრნი, გრძნობდნენ მჭიდრო კავშირს საზოგადოებასთან, შეიგნონ კომუნისტური ფსიქოლოგია და შრომის უნარი, რომელსაც შეუძლია თავისი ნებისყოფა და ინტერესი დაუქვემდებაროს კოლექტივის ინტერესს, რომელსაც ყოველ პირობებში შეუძლია იყოს კარგი ამხანაგი, მუშაობაში შეიტანოს თავისი ინიციატივა" .[5]

მარიამ ორახელაშვილი თავის თეზისებში აყალიბებს ბავშვის აღზრდის იდეალურ საბჭოთა სტრუქტურას, რომელმაც უნდა მოიცვას ბავშვის აღზრდა-განვითარების სრული ციკლი: საბავშვო ბაღი, საბავშვო მოედნები, სკოლა, კლუბი ან საბავშვო სახლი (ინტერნატი), მთლიანი შრომის სკოლა. აღზრდის ყველა

ამ კონკრეტული ფორმის მთავარი ამოცანაა: „ვიწრო ეგოისტური ოჯახის გავლენის მოსპობა“.[6]

ამ დებულებით მარიამ ორახელაშვილი სრულ უნისონშია მარქსმიზმის ძირითად დებულებებთან, რომლებიც მოითხოვენ ბავშვის აღზრდის სისტემის სოციალიზაციას, ოჯახური აღზრდის ლიკვიდაციას, რის საფუძველზეც შესაძლებელი გახდებოდა სწორედ ისეთი მსოფლმხედველობის ადამიანის ფორმირება, რომელიც თავისუფალი იქნებოდა ბურჟუაზიული საზოგადოების მანკიერებისაგან.

მეტად ნიშანდობლივია, რომ პარტიული ფუნქციონირების პარალელურად ახალი, საბჭოთა სკოლის მიზანდასახულობაზე და განათლების ძირითად პრინციპებზე საქართველოში მსჯელობდნენ ქართველი მეცნიერებიც. საბჭოთა ხელისუფლების ხელშეწყობით დაარსებულმა სახელმწიფო სამეცნიერო საბჭომ სპეციალურად განიხილა პროფ. გ. კონიაშვილის მიერ წარმოდგენილი სწავლების ახალი, კომპლექსური მეთოდი. ეს მეთოდი ითვალისწინებდა „ახალი სკოლის“ შემდეგ ფუძემდებლურ პრინციპებს:

1. ბავშვის ბუნებრივ აქტიურობას, მისი თვითმოქმედების განვითარებას;
2. ბუნებას;
3.მუშაობის ინდივიდუალიზაციას;
4. შესასწავლ საგანთა შორის მჭიდრო კავშირს;
5. სწავლების მასალის მიზაშეწონილ შეზღუდვას;
6.სოციალურ გრძნობათა განვითარებას.[7]

ამ პროგრამის ავტორის მტკიცებით, კომპექსური სწავლება ქმნიდა ნაყოფიერ საფუძველს შრომითი სკოლების შესაქმნელად. აღნიშნული მეთოდის მიმართ გარკვეული კრიტიკული დამოკიდებულება გამოხატა ივ. ჯავახიშვილმა. მისი აზრით კომპლექსური მეთოდი ძალიან წააგავდა ძველ, ენციკლოპედიურ მეთოდს, ყველა საგნის აუცილებელი დაკავშირების მოთხოვნა შეიძლება პრაქტიკაში უსიცოცხლო ყოფილიყო, რადგან იქმნებოდა საშიშროება, რომ კონკრეტული საგნის სწავლებას დაეკარგა თავისი სახე და მნიშვნელობა.[8]

დისკუსიების საფუძველზე ჩამოყალიბდა ახალი შრომის სკოლის იდეალური სურათი: "ფართო შენობაში განთავსებული შრომის სკოლა, სწავლება მხოლოდ ფართო ლაბორატორიებში, კაბინეტებში, რომლებიც აღჭურვილი იქნებიან ხელგარჯილობისათვის განკუთვნილი მდიდარი ინვენტარით“.[9]

ეს ოცნებაში...

როგორი იყო რეალური ვითარება საქართველოს სკოლებში?

როგორც დასტურდება, იმჟამად იდეალური ვითარება თვით თბილისის საცდელ-საჩვენებელ სკოლაშიც არ იყო. 1922-1923 წელს საქართველოს განსახკომის დაქვემდებარებაში ჩანს 23 ტექნიკუმი, მოზარდებისათვის საღამოს 2 ტექნიკუმი, პროფესიული სკოლა, სამკერვალო სკოლა, ზურაბიანის სახ. პროფესიული სკოლა, ჯაფარიძის სახ. პროფესიული სკოლა, საღამოს სამშენებლო ტექნიკუმი, ეგ. ნინოშვილის სახელობის საცდელ-საჩვენებელი სკოლა-საკრებულო, 2 საცდელ-საჩვენებელი სკოლა, 5 პროფესიული შრომის სკოლა, საცდელ-საჩვენებელი სახლი (ქართული, რუსული, სომხური), იეზიდების შრომის სკოლა, ბავშვთა კოლექტორი, კოჯრის სკოლა-კომუნა. ამის გარდა, საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში, არ კრძალავდნენ კერძო სასწავლებლების ფუნქციონირებას, თუმცა მათი რაოდენობა საგრძნობლად შეამცირეს. საბჭოთა ხელისუფლება შიშობდა, რომ ვერ მოახერხებდა კერძო სასწავლებლების კონტროლს. მაგალითად, თბილისში მხოლოდ 13 კერძო სასწავლებელი დატოვეს. მათ შორის: ქალთა ამხანაგობის საქველმოქმედო სამკერვალო სკოლა, არლუთინსკი-მხარგრძელის ქალთა კომისია, მანთაშევის სავაჭრო სკოლა, ებრაელთა საზოგადოების გიმნაზია, სლავურ-რუსული რეალური სასწავლებელი, ფრანგული ლიცეუმი და გერმანული რეალური სასწავლებელი. საქართველოს რეგიონებში სულ 9 კერძო სასწავლებელი იყო. მათ შორის: ქუთაისის დონდუას სახ. ქალთა კერძო გიმნაზია, მარტვილის ქალვაჟთა გიმნაზია და ა.შ.[10]

ძალიან დიდი მნიშვნელობა მიენიჭა ტექნიკუმებში სწავლის ორგანიზებას, შრომის რვანლიანი, შერეული სწავლება გულისხმობდა 15-19 წლის ახალგაზრდების განათლებას. ბოლო ორ კლასში ისწავლებოდა სპეციალური საგნები. ერთი დღე თავისუფალი უნდა ყოფილიყო სალიტერატურო და სამუსიკო მეცადინეობისათვის, ექსკურსიების მოსაწყობად და ა.შ.

მაგრამ რეალური ვითარება, განსაკუთრებით პროვინციაში, მეტად მძიმე ჩანს. მაგალითად, ახალციხის მაზრაში სულ 17 სკოლა იყო, თვით ახალციხეში – 5. სკოლებში სწავლობდა ორივე სქესის 1810 მოსწავლე. დასახული მიზნის მიუხედავად, სათანადო ინვენტარის არარსებობის გამო ვერ ხერხდებოდა ბავშვების პროფესიული მომზადება. განსაკუთრებით მძიმე ვითარება იყო მუსლიმურ სკოლებში. ასეთი კი აქ 6 სკოლა იყო. მათ არ ჰყავდათ კვალიფიცირებული კადრები, არ ჰქონდათ წიგნები, კა-

ბინეტ-ლაბორატორიები. ამ ტიპის სკოლებისათვის საქართველოს ხელისუფლებას წიგნები შემოჰქონდა აზერბაიჯანიდან, მაგრამ ბავშვები მათ ვერ იგებდნენ, რადგან ისინი ლაპარაკობდნენ ე.წ. კონსტანტინოპოლურ დიალექტზე.[11]

გორში, ხაშურსა და ბორჯომში სასწავლო-საგანმანათლებლო სისტემის რეგიონალური სტრუქტურა ასე გამოიყურებოდა: არსებობდა ერთი შრომის სკოლა (სრული კომპლექტი) 277 ბავშვით. არასრული კომპლექტის შრომის სკოლა 95 მოწაფით. მაზრაში არსებობდა 11 სასწავლებელი 4 განყოფილებით, 35 სასწავლებელი 3 განყოფილებით, 25 სასწავლებელი ორი განყოფილებით, 24 სასწავლებელი ერთი განყოფილებით.

გორის მაზრის 125 ქართულ, 18 სომხურ და 10 ოსურ სკოლაში გაერთიანებული იყო 7079 მოსწავლე. სწავლის პროცესი გაძნელებული იყო, რადგან სკოლებს არ ჰქონდათ საკუთარი შენობები. ძირითადად დაქირავებულ შენობებში იყვნენ განთავსებულნი, არ იყო გათბობა, ოთახები კი ბნელი და ნესტიანი.[12]

ოზურგეთის მაზრაში 115 სკოლიდან 110 იყო შრომის სკოლა.[13] შედარებით უკეთესი მდგომარეობა იყო ქუთაისის მაზრის სკოლებში.

განათლების სახალხო კომისარიატის მიზანდასახულობების რეალიზაციას სერიოზულად აფერხებდა კადრების მომზადებისა და სახელმძღვანელოების ნაკლებობის პრობლემა. კომუნიზმის მშენებელი ადამიანის აღზრდა თეორიაში გულისხმობდა სკოლის მერხიდან კომუნიზმის ძირითადი პრინციპების, ახალი ტრადიციებისა და რწმენა-წარმოდგენების შეთვისებას. ეს კი მხოლოდ ახალ მეთოდოლოგიურ საფუძველზე დაბეჭდილი სახელმძღვანელოებით იქნებოდა შესაძლებელი. ამტომაც უდიდესი ყურადღება მიექცა ახალი სახელმძღვანელოების შექმნის პროცესს – უკვე 1922 წელს რესპუბლიკაში სულ დაბეჭდილი 166 დასახელების წიგნიდან 66 – სახელმძღვანელო იყო.[14]

სტუდენტი ახალგაზრდობა საბჭოთა ხელისუფლების სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა. განსაკუთრებულ პრობლემებს ახალ ხელისუფლებას უქმნიდნენ ის სტუდენტები, რომლებიც უმაღლეს სასწავლებლებში ჩაირიცხნენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში და ზოგადდემოკრატიული ფასეულობების მატარებლები იყვნენ. ბევრი მათგანი არაპროლეტარული ფენიდან იყო გამოსული და ნეგატიურად შეხვდა კომუნისტურ გადატრიალებას. მათ არა ერთი გაფიცვა და საპროტესტო დემონსტრაცია მოაწყვეს თბილისში. მაგალითად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენ-

ტებმა გაავრცელეს საპროტესტო მოწოდებები, რომლებშიც დაგმობილი იყო რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაცია. ქაშვეთის ეკლესიასთან შეიკრიბნენ უნივერსიტეტის პროფესორები, სტუდენტები, რიგითი მოქალაქეები, რომლებმაც პატივი მიაგეს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში თავდადებულ მამულიშვილებს.[15]

1922 წლის 25 მაისს „სრულიად საქართველოს ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციამ" გამოსცა მიმართვა ქართველი ხალხისადმი, რომელშიც ნათქვამი იყო: „...14 თვეა მას შემდეგ, რაც „სოციალისტურ" ქურქში გახვეულმა მოსკოვის წითელმა-იმპერიალიზმა თავისი ურდოები შემოუსია ჩვენ თავისუფალ ქვეყანას და უსწორო ბრძოლაში ის უხეში ძალით დაიპყრო...ქართველი ერი უფლებააყრილია, საქართველო ერთ დიდ საპყრობილედ არის გადაქცეული".[16]

1922 წლის 26 მაისს ეროვნული დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად თბილისის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს სადღესასწაულო მსვლელობებსა და მიტინგებში. ვარაუდობენ, რომ ამ პერიოდში საპროტესტო მიტინგებსა და მსვლელობებში მონაწილეობა მიიღო დაახლოებით 3 ათასმა სტუდენტმა.[17]

ქართველი სტუდენტობისა და ახალგაზრდა თაობის ასეთი დამოკიდებულება, ახალი ხელისუფლების მიმართ, მათი აშკარა კონფრონტაცია, არ მოსწონდა საბჭოთა ხელისუფლებას. ეს აშკარად აისახა ოფიციოზის, გაზეთ „კომუნისტის" პუბლიკაციებშიც: „ უმაღლეს სკოლას არ შეხებია საბჭოთა ხელისუფლების გარდამქმნელი ხელი", „სტუდენტები ნომინალურად არიან სტუდენტები. მათი საგრძნობი ნაწილი სპეკულაციაში არის ჩაბმული. შეუფერებელი საქმიანობით სახელს იტეხენ. არის სტუდენტების ნაწილი, რომელსაც ცოდნა კი არ აინტერესებს, არამედ პოლიტიკა. სტუდენტების კონტრრევოლუციური ნაწილი უნივერსიტეტის კედლებში აკეთებს იმას, რასაც მის გარეთ, ხალხში ანტისაბჭოთა პარტიები აკეთებენ. უმაღლესი სკოლა გადაიქცა მშრომელთა დიქტატურის საწინააღმდეგო კერად".[18]

სწორედ ამ მიზეზების გამო, 1923 წლის აპრილში, საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ჩატარდა წმენდა. საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარი თავის ერთ-ერთ საგაზეთო წერილში მიუთითებდა: „ახალგაზრდობის აღზრდა-განათლება უნდა დაუკავშირდეს სახელმწიფოს მოთხოვნებს განათლების დარგში... შეუგნებელ ელემენტს – სტუდენტს ადგილი არ უნდა ჰქონდეს უნივერსიტეტში. ასეთი სტუდენტი მხო-

ლოდ ადგილს იჭერს – ის უბრალოდ მოლაყბეა, დეზინტეგრაციის შემტანი".[19]

თბილისის ნამყვან უმაღლეს სასწავლებლებში მკაცრად ჩატარდა წმენდა. ვინც გასაუბრებაზე არ გამოცხადდა – ისინი ავტომატურად გარიცხეს. უნივერსიტეტის 3920 სტუდენტიდან დარჩა მხოლოდ 2758 (გარიცხეს თითქმის მესამედი),სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტიდან 3132 სტუდენტიდან გარიცხეს 933 (გარიცხეს თითქმის მესამედი), და ა.შ.

უნდა აღინიშნოს, რომ ამით „აკადემიური წმენდა" საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში არ შეწყვეტილა. მისი გაგრძელების აუცილებლობა გამოინვია რკპ (ბ) ცკ პოლიტბიუროს 1924 წლის 22 მაისის დადგენილებამ „უმაღლეს სასწავლებლებში აკადემიური წმენდის შესახებ". პოლიტბიურომ სსრკ სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს ა. რიკოვს დაავალა უშუალოდ საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასწავლებლებიდან პოლიტიკურად არასაიმედო პირების განდევნის პროცესზე მეთვალყურეობა გაეწია.[20]

ამ დადგენილების რეალიზაციამ უზრუნველყო პროლეტარული და გლეხობის ოჯახებიდან გამოსული სტუდენტობის სელექცია უმაღლეს სასწავლებლებში, მათთვის დაწესდა შეღავათები, შედარებით უკეთესი პირობებიც შეუქმნეს. ფაქტები ადასტურებენ, რომ სტუდენტთა შორის იყვნენ ძალები, რომლებიც თავიდანვე თანაუგრძნობდნენ საბჭოთა ხელისუფლებას. ნიშანდობლივია, რომ სწორედ საქართველოს სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტთა საერთო კრების გადაწყვეტილებით 1922 წელს ინსტიტუტს მიენიჭა ვ.ი.ლენინის სახელი.

საქართველოში პერიოდულად, სტუდენტებისათვის, ეწყობოდა „დახმარების კვირობები" – ღონისიძიებათა კომპლექსი, რომლის მიზანი იყო პროლეტარულ-გლეხური ფენიდან გამოსული სტუდენტებისათვის სწავლისა და ყოფის შედარებით უკეთესი პირობების შექმნა, გარკვეული თანხების აკუმულირება სპეციალურ ფონდში (ამ მიზნით 10 პროცენტიანი გადასახადით იბეგრებოდა კინო, თეატრი, ცირკი და სხვა გასართობი ორგანიზაციები).[21]

კომუნისტური სახელმწიფო დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სტუდენტების რაოდენობრივ და თვისებრივ ზრდას, მასში კომუნისტური სულისკვეთებით აღჭურვილი ადამიანების ფენის განმტკიცებას. 1927 წელს საქართველოში უკვე აღირიცხა 12982 სტუდენტი, თუ მაგალითად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1919 წელს 982 სტუდენტი იყო, 1927 წელს უკვე 7803 აღი-

რიცხა. თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში იმავე პერიოდში შესაბამისად იყო 824 და 2197 სტუდენტი. საყურადღებოა ისიც, რომ თუ სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტობის კონტინგენტი ძირითადად ქართულია (7532 კაცი), სახელმწიფო პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ჭარბობენ არაქართველები (ქართველი – 324, სომეხი – 832, რუსი – 717). აშკარა ცვლილებაა სტუდენტების სოციალურ სტრუქტურაშიც – უნივერსიტეტის სტუდენტებს შორის მუშაა 2902, გლეხი – 3179, მოსამსახურე – 4095, სხვა დანარჩენი – 2544. უნივერსიტეტის სტუდენტებს შორის საგრძნობლად გაიზარდა კომუნისტთა და კომკავშირელთა რიცხვი (შესაბამისად 1508 და 2103).[22]

აშკარაა, რომ კომუნისტური პარტიის მიერ მიზანდასახული პოლიტიკა სტუდენტთა შორის პროკომუნისტური განწყობილების გაძლიერებისა და მასში კომუნისტური ფენის განმტკიცებისა, წარმატებით ხორციელდება – განსაკუთრებით სახელმწიფო უნივერსიტეტში, ქართული ეროვნული თვითშეგნების ერთ-ერთ ძირითად ცენტრში – კომუნისტურად განწყობილი ახალგაზრდობის რაოდენობა აშკარად იზრდება.

მაგრამ, მიღწეული შედეგები კომუნისტური რეჟიმისათვის მუდამ არასაკმარისი იყო. ტოტალური მოთხოვნა – აღეზარდათ ახალი, კომუნისტური სულისკვეთების ადამიანი, გარკვეულ სიძნელეებს აწყდებოდა. სწორედ იმიტომ, რომ ვერ მოხერხდა მთავარი მიზნის – ტრადიციული ოჯახის დანგრევა და ბავშვის აღზრდის სისტემის სრული სოციალიზაცია. ამ მარცხის მიზეზი – პერმანენტული ფინანსური უსახსრობა იყო: საბჭოთა ქვეყანა 20-იანი წლების დასასრულს სერიოზული ფინანსური და ეკონომიკური პრობლემების წინაშე დადგა, განხორციელებული დიდი ეკონომიკური პროექტები (ინდუსტრიალიზაცია, კოლექტივიზაცია) უზარმაზარ თანხებს საჭიროებდნენ, რის გამოც განათლებასა და აღზრდას მხოლოდ სასურველზე ბევრად ნაკლები სუბსიდიები ხმარდებოდა. მართალია, 20-იანი წლების დასასრულს კვლავ შენდებოდა სკოლები, საბავშვო ბაღები, ბაგები, ინტერნატები, მაგრამ მათი რაოდენობა სასურველს ბევრად ჩამოუვარდებოდა. 1926 წელს საქართველოში მიზნად დაისახეს ათი წლის განმავლობაში 1774 ახალი სკოლის მშენებლობა.[23] მაგრამ 1926 წელს – არცერთი ახალი სკოლა არ აშენებულა, სახსრების უქონლობის გამო. ასევე სასურველისგან შორს იყო საბავშვო ბაღებისა და ბაგების რაოდენობაც. აშკარაა, რომ ვერ მოხერხდა კომუნისტური ოცნების – ბავშვთა აღზრდის სრული სოციალიზაციის განხორციელება – ეს ამოცანა უკეთესი დრო-

ისთვის გადადეს. ასევე აშკარაა, რომ აღარ ცდილობდნენ ოჯახის არსებული ფორმების დანრგევას. ოჯახმა შეინარჩუნა ბავშვის აღზრდისა და ფორმირების განმსაზღვრელი, წამყვანი ფუნქცია.

ვითარების ანალიზი მიუთითებს, რომ 20-იანი წლების მეორე ნახევრიდან საქართველოში (ისევე როგორც მთლიანად კავშირში) განათლება უფრო რეალისტურ და პრაგმატულ პრინციპებს დაეფუძნა. მიზანი კვლავ ძველია – ახალი ტიპის ადამიანის აღზრდა, რომელიც მუდამ იქნება მზად კომუნისტური პარტიის საქმისათვის საბრძოლველად. ამიტომაც გაძლიერდა ყურადღება საბჭოთა სკოლის ფუნქციონალურ შესაძლებლობებზე. სკოლამ უდიდესი ადგილი დაიკავა აღზრდის კომპლექსურ სისტემაში, მას დაუსახეს ბავშვის იდეური ფორმირების უმნიშვნელოვანესი ამოცანები.

პიონერთა ორგანიზაციები გახდნენ სკოლაში ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის მნიშვნელოვანი კერები. 20-იანი წლების დასაწყისში ბავშვთა კომუნისტური ჯგუფების გაერთიანების საფუძველზე ჩამოყალიბდა ვ.ი.ლენინის სახელობის პიონერთა საკავშირო ორგანიზაცია, რომელსაც მეტად განტოტვილი სტრუქტურა ჰქონდა და ძალიან მალე უზარმაზარი სახელმწიფო მოიცვა. კომუნისტურმა პარტიამ ამ ორგანაიზაციებს თავიდანვე სერიოზული ამოცანები დაუსახა, რადგან თვლიდა, რომ „ბავშვთა კომუნისტური მოძრაობა წარმოადგენს კლასიური, რევოლუციური და კომუნისტური აღზრდის ერთ-ერთ ფორმას... ბავშვთა კომუნისტური მოძრაობა წარმოადგენს წყაროს, რომლისგან უნდა გამოვიდეს მებრძოლი პროლეტარიატის შემცვლელი ძალები“.[23]

თითქმის გასამხედროებული, მკაცრად დისციპლინირებული, კომუნისტურ პრინციპებზე დაფუძნებელი ბავშვთა პიონერული ორგანიზაციები თავიდანვე კომუნისტური პარტიისა და მისი ერთგული თანაშემწის – კომკავშირის ზრუნვის ფორვატერში მოექცნენ და თანდათან ძლიერ, ანგარიშგასაწევ ძალად გადაიქცნენ. რა თქმა უნდა, ამ ორგანაიზაციას ზრდასრული, კომუნისტური იდეალების ერთგული ადამიანები ხელმძღვანელობდნენ და ისინი ავტონომიური არასდროს ყოფილან – მუდამ კომუნისტური პარტიის ზედამხედველობის ქვეშ იყვნენ. საქართველოშიც, ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელები, საქ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ლიდერებთან შეთანხმებით, აყალიბებდნენ პიონერული ორგანიზაციის პერსპექტიულ თუ მიმდინარე გეგმებს, სკოლებს სთავაზობდნენ კლასგარეშე და სკოლისგა-

რეშე მუშაობის საკუთარ, კომუნისტურ პროექტებს. ბავშვებს უნერგავდნენ კლასობრივი შეუბრალებლობის გრძნობას, კოლექტივისტურ ტენდენციებს, კომუნისტური პარტიის უცოდველობის დოგმას და ა.შ.

1927 წლიდან საქართველოს სკოლებში, განათლების სახალხო კომისარიატის გადაწყვეტილებით, შეიქმნა პიონერული ფორპოსტი. დებულებით ეს იყო „ამა თუ იმ სკოლის მონაფე პიონერთა და ოქტომბრელთა გაერთიანება, რომელიც მიზნად ისახავს გააფართოვოს პიონერული გავლენა სკოლაზე".[24]

ამ ფორპოსტებს სერიოზული ამოცანების გადაწყვეტა დაავალეს: სკოლაში სწავლა-განათლების საქმის გაუმჯობესება, პიონერთა ზომიერი დატვირთა, ორგანიზაციული დარაზმვა, სკოლის დაკავშირება წარმოებასთან, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობა, მოსწავლეთა თვითმმართველობის მოწესრიგება, სკოლის გეგმების შედგენაში მონაწილეობა, მასწავლებელთა და სკოლის საბჭოებისათვის დახმარების აღმოჩენა, ბრძოლა მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის „ძველყაიდურ" ურთიერთობებთან.

20-იანი წლების დასასრულს უკვე გამოიკვეთა მოთხოვნათა მთელი პაკეტი, რომლის რეალიზაციაც ევალებოდა ბავშვის აღზრდის საბჭოთა სისტემას: „სოციალისტური ტიპის ადამიანის შექმნა, რომელიც თავისუფალი იქნება ძველი საზოგადოების ყოველგვარი სიბინძურისაგან (ინდივიდუალიზმი, ჩინოვნიკური ფსიქოლოგია, მონა-მორჩილება, ნაციონალიზმი, ძველი ყოფაცხოვრება)".[25]

მაგრამ, როგორც ყოველთვის და ყველგან, ამოცანათა სერიოზულობა, მისი განხორციელების სიძნელეები იწვევდა გარკვეულ ფორმალიზმს. ამიტომაც ძალიან მალე დაიწყეს საუბარი მუშაობაში ფორმალიზმზე, ზერელობაზე, საქმისადმი უსულგულო დამოკიდებულებაზე. განსაკუთრებით ძნელ ამოცანას წარმოადგენდა სკოლის დაკავშირება წარმოებასთან. პარტიის მოთხოვნით, სკოლა საბჭოთა კავშირში უნდა ყოფილიყო შრომით-პოლიტექნიკური, მჭიდროდ დაკავშირებული ქალაქში – ფაბრიკა-ქარხანასთან, სოფელში – სახალხო მამულებთან, სოფლის კოოპერაციასთან. ბოლომდე ამ ამოცანის გადაჭრა ვერ ხერხდებოდა უამრავი ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზის გამო.

საინტერესოა საბჭოთა განათლების სისტემის ეფექტიანობის მაჩვენებელი, მისი კონკრეტული შედეგები. მოხერხდა თუ არა 20-იანი წლების დასასრულს საქართველოს მოზარდი თაო-

ბის გუნება-განწყობის შემობრუნება და კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდა?

საერთოდ, საბჭოთა სისტემა იმჟამად არ აღიარებდა სოციალური გამოკითხვის შედეგებს და იშვიათად მიმართავდა მას. საბედნიეროდ, არსებობს 1927 წელს მოსწავლეთა გამოკითხვის მასალები, რაც გარკვეულ წარმოდგენას იძლევა საკვლევ პერიოდში ბავშვთა ფსიქოლოგიის, მისი გუნება-განწყობილების, პროფესიული ორიენტაციის გასაგებად. ჩვენ შორს ვდგევართ იმ აზრისაგან, რომ ეს გამოკითხვა, მისი მეთოდოლოგიური და მეთოდიკური პრინციპების გამო, უნაკლოდ და ნეიტრალურად ჩავთვალოთ, მაგრამ დაფიქსირებული შედეგები მაინც მეტად საინტერესოდ გვეჩვენება.

გამოიკითხა 422 პიონერი. შეკითხვებს შორის იყო: პროფესიული ინტერესი, ვინ უნდათ რომ გამოვიდნენ საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ. გამოკითხულთა 66 პროცენტმა აჩვენა, რომ უნდათ გახდნენ ინჟინერი, ექიმი, პედაგოგი, აგრონომი. 10 პროცენტს სურდა გამხდარიყო მსახიობი, მხატვარი. გამოკითხულთა 66 პროცენტი თავის მიბაძვის ობიექტად თვლიდა ვ.ი. ლენინს. მიუთითებდნენ, რომ ასეთი სურვილი უფრო შეიმჩნეოდა მუშების შვილებში (77%). გამოკითხვის ორგანიზატორების აზრით სხვა სოციალურ კატეგორიაში მსგავსი სურვილი ნაკლებად აქვთ, თუმცა პროცენტი მაინც მაღალია – 61 %.[26]

საინტერესოდ გვესახება პასუხი შეკითხვაზე – „ვის გინდა დაემსგავსო?“ ამ შემთხვევაში დოკუმენტში პროცენტი არ ჩანს. მაგრამ უკვე ვიცით, რომ 20-იანი წლების დასასრულს საქართველოს ბავშვებს სურდათ დამსგავსებოდნენ დუგლას ფერბენკს, მერი პიკფორდს, ნატო ვაჩნაძეს. გამოკითხულთა მნიშვნელოვანმა კატეგორიამ (მოსამსახურეთა და სხვათა შვილებმა) ამ კითხვაზე ასეთი პასუხი გასცა – „სურს თავის თავს ჰგავდეს“. ამ პასუხმა გამოკითხვის ორგანიზატორების ასეთი კომენტარი დაიმსახურა -„როგორც ჩანს, პიონერულმა მოძრაობამ მათზე გავლენა ვერ მოახდინა“.

აი, სწორედ აქ უნდა ვეძებოთ ტოტალიტარიზმის ელემენტები. თავისუფალი აზროვნება, დემოკრატიული ფასეულობები რეალიზდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ადამიანი „თავის თავს ჰგავს“, როცა პიროვნება გრძნობს თავის ინდივიდუალობას და არ იკარგება მასაში, არ ითქვიფება მასში, აქვს თავისი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი, ინდივიდუალური შეხედულებები.

XX საუკუნის 20-იანი წლების მეორე ნახევარში თბილისში ჩატარებული გამოკითხვა აშკარად მიუთითებს, რომ ბავშვებზე ჯერ კიდევ მთლიანად არ უმოქმედია საბჭოთა კომუნისტური განათლების სისტემას და ჯერ კიდევ არსებობს მასში ძლიერი ინდივიდუალური ცნობიერება, რომელსაც არ ეშინია თავისი შეხედულებების გამოხატვის და საკუთარ ინდივიდუალობას წინ აყენებს.

რა თქმა უნდა, კომუნისტური თვალსაზრისით ჩატარებუმა გამოკითხვამ აჩვენა სუსტი ადგილები, ნაკლოვანება აღმზრდელობით მუშაობაში და ამიტომაც ანტიკომუნისტური რეციდივების წინააღმდეგ ბრძოლა კონკრეტულ აღმზრდელობით პრაქტიკაში კიდევ უფრო გააძლიერეს. ეს გამოვლინდა იმაში, რომ 1930 იანი წლებიდან საქართველოში აიკრძალა კერძო განათლება (ე.ი. საშუალება გავრცელებულიყო ბავშვებში არაკომუნისტური მსოფლმხედველობა), აიკრძალა და ფაქტობრივად არალეგალურ მდგომარეობაზე გადავიდა რეპეტიტორობა, მის წინააღმდეგ აამოქმედეს სასამართლო დევნის სისტემა. ყოველმხრივ ხალისდებოდა კოლექტივისტური იდეოლოგიის პოპულარიზაცია, ნაციონალიზმისა და შოვინიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, საბჭოთა ტრადიციებისა და ფასეულობებისადმი ერთგულების, დაფასების, ცხოვრების წესად გადაქცევის ტენდენციები.

ეპოქის კოლორიტის გასაცნობად მკითხველს შევთავაზებთ გაზეთ „კომუნისტის" ერთ პუბლიკაციას, სადაც ქართული საბჭოთა სკოლის პრობლემებზეა საუბარი. პუბლიკაციის ავტორს შეუსწავლია დასავლეთ საქართველოს რამდენიმე სკოლის ყოველდღიური ცხოვრება და თავის საგაზეთო წერილში აყალიბებს იმ ნაკლს, რომლის წინააღმდეგ უნდა იქნეს მიმართული ბრძოლა. როგორც ჩანს, ზესტაფონის რკინიგზის სკოლის მოსწავლეთა კონცერტზე მოწაფე გოგონას დარბაზისათვის რევერანსი გაუკეთებია. აი კომენტარი ამ ფაქტზე: „ვინ დაავალა ასეთი დებიუტით გამოსულიყო მუშურ-გლეხური აუდიტორიის წინაშე?" კიდევ უფრო მკაცრია წერილის ავტორი იმ ახალგაზრდის მიმართ, რომელმაც გაბედა და წაიკითხა ნაწყვეტი „პატარა კახიდან", რაც მისი აზრით „შოვინიზმით მოშხამული ლექსია". წერილის ავტორი აღაშფოთა ხორაგაულელი „შოვინისტი" მასწავლებლის საქმიანობამ, რომელიც მოსწავლეებს კავკასიური ჯიშის ფუტკარის შესახებ ესაუბრებოდა და ეს მასწავლებლის მხრიდან შოვინიზმის გამოვლენად ჩაითვალა (მაგრამ ასეთი ჯიში ხომ მართლაც არსებობს და „შოვინიზმი" აქ არაფერ შუაშია).[27]

იმისათვის, რომ სკოლიდან მთლიანად აღმოეფხვრათ წვრიბურჟუაზიული, შოვინისტური იდეოლოგიის რეციდივები, გააძლიერეს სასკოლო განათლების კომუნისტური შინაარსი. თუ 20-იანი წლების დასაწყისში, როგორც ეს ზემოთ აშკარად დავინახეთ, ჯერ კიდევ ეკითხებოდნენ ცნობილ ქართველ მეცნიერებს სწავლების კონკრეტული შინაარსის შესახებ აზრს, 20-იანი წლების დასასრულს უკვე მოითხოვდნენ სახელმძღვანელოების ავტორებისაგან განეხორციელებინათ პრაქტიკაში პარტიული მოთხოვნა სახელმძღვანელოების – როგორც ცხოვრების კომუნისტური წესის დამკვიდრებისა და კომუნისტური პროპაგანდის მნიშვნელოვანი საშუალების შესახებ. სახელმძღვანელოში უნდა ასახულიყო ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოოპერაციის საბჭოთა გამოცდილება.[28]

რომ უზრუნველეყოთ ახალგაზრდობაზე იდეოლოგიური კონტროლი, 1928 წელს საქართველოს ცაკის დადგენილებით შეიქმნა „ბავშვთა მეგობრობის“ საზოგადოება. ამ ორგანიზაციის მიზანი იყო უპატრონო ბავშვების პრობლემის გადაჭრა, ბავშვთა ორგანიზაციების მიმართ შეფობა, ბავშვებში კოლექტივისტური შრომის ჩვევების განვითარება, პროფესიული მომზადება და ა.შ.[29]

რომ კიდევ უფრო გაძლიერებულიყო ბავშვთა კომუნისტური აღზრდის სისტემა, საკავშირო გამოცდილების საფუძველზე, საქართველოშიც გადაწყდა ბავშვთა კომუნების შექმნა. რუსეთში ასეთი კომუნები უკვე არსებობდა (მაგალითად, ფ. ძერჟინსკის სახელობის ბავშვთა კომუნა). საქართველოში უნდა შექმნილიყო ბავშვთა კომუნის ორი ტიპი – სამრეწველო და სასოფლო სამეურნეო.[30] ბავშვთა კომუნისტური აღზრდის ეს ფორმა საქართველოში ვერ გავრცელდა.

20-იანი წლების დასასრულს განსაკუთრებით ინტენსიურად შეეცადნენ მოზარდ თაობაში ინტერნაციონალისტური სულისკვეთება დაენერგათ, ებრძოდნენ ნაციონალიზმს (სინამდვილეში ჭეშმარიტ პატრიოტიზმს), ყოველმხრივ ნერგავდნენ საბჭოთა, მრავალეროვანი ქვეყნის სიყვარულისა და ერთგულების, მსოფლიო პროლეტარული მოძრაობისადმი ერთგულების გრძნობას. ამიტომაც ყოველნაირად ცდილობდნენ შეეზღუდათ, გაენეიტრალებინათ ის ორგანიზაციები და დაწესებულებები, სადაც კი „ნაციონალიზმის“ რეციდივები შეიძლება გაჩენილიყო. საქართველოში ასეთ ორგანიზაციად მუდამ თვლიდნენ სახელმწიფო უნიტვერსიტეტს და 1930 წელს მისი რეორგანიზაცია გადაწყდა – ქართული ცნობიერების სავანე დაშალეს შემადგენელ

ნაწილებად. განსახკომის 1930 წლის 4 ივლისის დადგენილებით მის ბაზაზე შეიქმნა პედაგოგიური, სამედიცინო, საბჭოთა მშენებლობის, სავაჭრო-კოოპერაციული და სხვა ინსტიტუტები.[28] ასევე დაშალეს სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტი. მიმდინარეობდა ტოტალური ბრძოლა ქართველი ინტელიგენციის წინააღმდეგ, ეროვნული ფასეულობების წინააღმდეგ.

ამრიგად, აშკარაა, რომ კომუნისტური რუსეთის მსგავსად, საქართველოშიც მიზნად დაისახეს ბავშვის აღზრდის სრული სოციალიზაცია, ოჯახური აღზრდის სრული ლიკვიდაცია, ახალგაზრდობის აღზრდის პროცესის მთლიანად ტოტალიტარული სახელმწიფოს მხრიდან გაკონტროლება, ახალი, საბჭოთა ადამიანის ფორმირება. მაგრამ ეს პრორცესი იმჟამად ვერ განხორციელდა აუცილებელი ფინანსური რეზერვების არარსებობის გამო.

ამიტომაც მომავალი თაობის აღზრდის მთელი სიმძიმე სკოლაზე გადაიტანეს – სასწავლო პროგრამები, ახალი მეთოდიკითა და მეთოდოლოგიით გაჟღენთილი სახელმძღვანელოები, საგანმანათლებლო პროცესის მთლიანი შინაარსი მონოდებული იყო აღეზარდა კომუნისტური იდეებისადმი მებრძოლი ახალი ადამიანი. ამ პროცესს მხარში ედგა და მას მნიშვნელოვნად აძლიერებდა სკოლებში კომკავშირული, პიონერული ორგანიზაციების არსებობა, პიონერული ფორპოსტების ინტენსიური საგანმანათლებლო-აღმზრდელობითი მუშაობა.

ქართველი ახალგაზრდობის (სტუდენტობის) მნიშვნელოვანი ნაწილი უარყოფითად შეხვდა საქართველოს ახალ ოკუპაციას და კომუნისტური რეჟიმის დამკვიდრებას. სახელმწიფოს მხრიდან უდიდესი მუშაობა ჩატარდა უმაღლეს სასწავლებლებში ეროვნული ცნობიერებით განმსჭვალული ახალგაზრდობის გამოსახშირად. სასწავლებლების სოციალური სტრუქტური რადიკალურად შეიცვალა. უმაღლეს სასწავლებლებში სულ უფრო იზრდებოდა პროკომუნისტურად განწყობილი ახალგაზრდების რიცხვი.

განათლების სფეროში მთელი აღმზრდელობივთი პროცესი მიმართული იყო იმნდივიდუალიზმის, ნაციონალიზმის წინააღმდეგ, ცდილობდნენ დაენერგათ კოლექტივიზმი, ინტერნაციონალიზმი, კომუნისტური პარტიის უცოდველობის დოგმა. მიუხედავად ამ მუშაობის ინტენსიფიკაციისა, მაინც 20-იანი წლების მეორე ნახევარში ქართველი ახალგაზრდობის გარკვეული ჯგუფი აღიარებდა ინდივიდუალიზმსაც და ეროვნული ცნობიერების პრიმატს.

ახალგაზრდობის აღზრდა – ეს ერთ-ერთი პირველი სფეროა, სადაც კომუნისტურმა სახელმწიფომ ვერ მოახერხა უკვე 20-იანი წლების მეორე ნახევარში განეხორციელებინა თავისი პროგრამული დებულებები და ვერ გააუქმა საოჯახო აღზრდა, ვერ შეცვალა ის აღზრდის პროცესის სრული სოციალიზაციით. ამიტომაც განათლების პროცესი უფრო დაუახლოვდა ობიექტურ რეალობებს, მაგრამ კომუნისტური პროპაგანდის და არსებული საგანმანათლებლო სისტემის წყალობით, თანდათან, ახალგაზრდობის მნიშვნელოვან ნაწილში სულ უფრო და უფრო მტკიცდებოდა კომუნისტური იდეალებისადმი ერთგულების გრძნობა.

ტოტალიტარული სახელმწიფო და საეროვნებათაშორისო ურთიერთობები

ისტორიული ბედუკულმართობის გამო საქართველო გვიან შუასაუკუნეებში უკვე გათიშული იყო ცალკეულ სამეფო-სამთავროებად, ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი მიტაცებული ჰქონდა თურქეთს (აჭარა, ტაო-კლარჯეთი, მესხეთი და ა.შ.), ანტიქართული ძალების მცდელობის გამო მოხდა მოსახლეობის დიდი ნაწილის გამაჰმადიანება (სამხრეთ-დასავლეთ საქართველო), ნაწილის გაკათოლიკება და ნაწილის სომხურ-გრიგორიანულ სარწმუნოებაზე გადასვლა. ქვეყანაში სერიოზულად დასუსტდა ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის როლი და მნიშვნელობა, რომელიც საუკუნეების მანძილზე ასრულებდა ქართველი ერის მნიშვნელოვან შემაკავშირებელ ფუნქციას.

საქართველომ დამოუკიდებლად, საკუთარი შიდაპოლიტიკური ძალებით, ვერ მოახერხა საკუთარი ტერიტორიული ერთიანობის აღდგენა, დაკარგული ტერიტორიების შემოერთება (როგორც ეს გერმანიამ და იტალიამ მოახერხეს XIX საუკუნის მეორე ნახევარში), რამაც მოგვიანებით არა ერთი გადაუჭრელი პრობლემა შექმნა.

ამიტომაც რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში საქართველო შევიდა არა როგორც ერთი ქვეყანა, არამედ როგორც ორი გუბერნია. მართალია, რუსეთმა, მომდევნო წლებში, ფაქტობრივად გააერთიანა საქართველო, მაგრამ მხოლოდ ომებში თურქეთისა და ირანის დამარცხების გზით, სტრატეგიული ტერიტორი-

ების (ბათუმის ოლქი, ახალციხე, აფხაზეთი) საკუთარი იმპერიის (და არა საქართველოს) მიერთების გზით. ამ ფაქტორს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქართველოში ეროვნებათაშორისო ურთიერთობის გაგებისათვის.

რუსეთი, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, საქართველოს ისტორიულ ტერიტორიებზე ასახლებდა თურქეთიდან დევნილ ქრისტიანებს: სომხებს, ბერძნებს, ევროპიდან გადმოხვეწილ გერმანელებს, ლიტველებს, საკუთარ სექტანტებს – რასკოლნიკებს, დუხობორებს, ისე, რომ XIX საუკუნის შუა ხანებში საქართველოს სამხრეთ თავისუფალ ტერიტორიებზე უცხოტომელების დიდი ანკლავები გაჩნდა, რომლებიც აღიარებდნენ რუსეთის იმპერიის უზენაესობას და მისი პოლიტიკის აშკარად ერთგული გამტარებელნი იყვნენ. ამასთან, მშობლიური მიწებიდან თურქეთში ასახლებდნენ და „მოხაჯირებად" აქცევდნენ მაჰმადიან აჭარლებს, აფხაზებს, მესხეთის მოსახლეობას.

სწორედ ამ პერიოდიდან რუსეთი ინტენსიურად ცდილობდა გაევრცელებინა აფხაზეთის არაქართველი მოსახლეობის (აფხაზების) ერთ ნაწილში, სამაჩაბლოს ოსურ მოსახლეობაში, სამეგრელოში, სვანეთში ანტიქართული განწყობილებები. ძირძველ ქართველებს: აჭარლებს, მეგრელებსა და სვანებს უმტკიცებდა მათ არაქართულ წარმომავლობას, ცდილობდა შეექმნა მეგრული ანაბანი, ყოველმხრივ ხელს უშლიდა ქართველი ერის კონსოლიდაციის ბუნებრივ პროცესს.

მიუხედავად სერიოზული მცდელობებისა, რუსეთის სპეცსამსახურებმა მაინც ვერ მოახერხეს ქართველების კონფესიური ჯგუფების ერთმანეთის წინააღმდეგ ამხედრება, მაგრამ გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს აფხაზი მოსახლეობის ნაწილსა და სამაჩაბლოს ოსურ მოსახლეობაში ანტიქართული განწყობილების დანერგვის საქმეში.

1917 წლის თებერვლისა და, განსაკუთრებით კი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, როცა შეიქმნა ისტორიული პირობები საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღსადგენად, რუსეთის სახელმწიფომ, თავისი სტრატეგიული ინტერესებიდან გამომდინარე, ჩინებულად გამოიყენა სამხრეთ კავკასიაში არსებული ეროვნული და საეროვნებათაშორისო ურთიერთობის პრობლემები საკუთარი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. მისი აშკარა თუ ფარული ჩარევით 20-იანი წლების დასაწყისში საქართველოში და ამიერკავკასიაში ეროვნული ურთიერთობა საგრძნობლად გამწვავდა. ამის მიზეზი, როგორც ჩანს, იყო როგორც საზღვარგარეთის სპეცსამსახურების (რუსეთი, თურქე-

თი) მიზანმიმართული საქმიანობა, ისე ტერიტორიული პრეტენზიები, რომლებიც ერთმანეთის მიმართ გაუჩნდათ სამხრეთ კავკასიაში ახლად ჩამოყალიბებულ სახელმწიფოებს (მაგალითად, ქართულ-სომხური დაპირისპირება და ომი ლორეს გამო, ქართულ-აზერბაიჯანული ტერიტორიული პრობლემები და ა.შ.).

რუსეთის კომუნისტური აგენტურა აფხაზეთში, შიდა ქართლში ყოველნაირად ცდილობდა გამოეყენებინა დემოკრატიული საქართველოს წინააღმდეგ ადგილობრივი (ოსი, აფხაზი) მოსახლეობის სოციალური პროტესტი და გაემწვავებინა პოლიტიკური ვითარება, რასაც ზოგჯერ წარმატებით ახერხებდა კიდეც (მაგალითად, ოსებით დასახლებულ რეგიონებში ადგილობრივი, არაქართველი მოსახლეობის პროკომუნისტური გამოსვლები დემოკრატიული საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ და ა.შ.). გარკვეულ სირთულეებს ქმნიდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში თურქეთის ემისრების მოღვაწეობა და მუსულმანური რელიგიის ზეგავლენა, რაც ხელს უწყობდა პროთურქული განწყობილებების გავრცელებას.

საქართველოს გასაბჭოებისთანავე კომუნისტურმა ხელისუფლებამ ეროვნული საკითხის მოწესრიგება კომუნისტური დოგმატიკის საფუძველზე დაიწყო. კომუნისტური პარტიის პროგრამული დებულებები (რკპ (ბ) პროგრამა, პარტიის ყრილობებისა და პლენუმების გადაწყვეტილებები) ეროვნული საკითხის მოწესრიგებას მჭიდროდ უკავშირებდა ეროვნული თვითგამორკვევის უფლების აღიარებას, რაც ერის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ფორმირებასაც ითვალისწინებდა. თუმცა მთელი რიგი პრინციპული მოსაზრებები: პროლეტარიატის ინტერესები, პოლიტიკური მიზანშეწონილობა, პოლიტიკური ვითარება და ა.შ., ამ უფლებას ფიქტიურს ხდიდა. უდიდესი მნიშვნელობა აქვს საკითხის გასარკვევად ი. ბ. სტალინის სიტყვას რკპ (ბ) XII ყრილობის ეროვნებათა საკითხების სექციაზე, რომელშიც მან დაუფარავად გააჟღერა კომუნისტების დამოკიდებულება ეროვნული სუვერენიტეტის, ერთა თვითგამორკვევის, დამოუკიდებელი სახელმწიფოს მიმართ: „ჩვენ ზოგჯერ იძულებულნი ვართ წავიდეთ ეროვნული თვითგამორკვევის, მათი ინტერესების წინააღმდეგაც კი, რათა მუშებმა შეინარჩუნონ თავისი ძალაუფლება...ეს ჩვენი ბრალი კი არა, ჩვენი უბედურებაა.. თვითგამორკვევის პირველი მოთხოვნა – ეს ჯარების გამოყვანაა. ამჟამად ჩვენ ასეთი ფუფუნების უფლებას თავს ვერ მივცემთ. ამაშია უბედურება“ [1].

აშკარაა, რომ მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის შექმნის იდეა უკანა პლანზე სწევდა ყველა ერის ეროვნული სახელმწიფოებრიობის საკითხს და მას მთლიანად პროლეტარიატის საერთაშორისო ინტერესებს უქვემდებარებდა.

ამასთან, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა იმ გარემოებასაც, რომ კომუნისტური პარტიის პროგრამა ფედერალური მოწყობის საკითხს განიხილავდა როგორც დროებით მოვლენას, გარდამავალ საფეხურს „სრული ერთიანობის გზაზე", რაც პროლეტარიატის დიქტატურის მსოფლიო მაშტაბით გამარჯვების შემდეგ იქნებოდა მიღწეული. 20-იანი წლების დასაწყისში მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის იდეა, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ყოვლისმომცველი მისწრაფებები უკიდურესად აკნინებდნენ ეროვნულ ინტერესებს და მთლიანად უმორჩილებდნენ პროლეტარიატის მსოფლიო ბატონობის ილუზორულ იდეებს.

რუსი კომუნისტების საპროგრამო დებულებიდან გამომდინარე, საქართველოს კომუნისტურ პარტიას (რუსეთის კომანისტური პარტიის ორგანულ ნაწილს), ისეთივე პოლიტიკა უნდა განეხორციელებინა, რაც ხორციელდებოდა რუსეთის ფედერაციაში. რუსული შაბლონი მათ დიდი გულმოდგინებით გადმოიტანეს საქართველოს სინამდვილეში. ეს იყო შეცდომა. რატომ?

რუსეთი იყო ყოფილი მეტროპოლია, რომელსაც, თვითონ კომუნისტების აღიარებით, უდიდესი დანაშაული ჰქონდა ჩადენილი კოლონიური ერების მიმართ და ახალ სიტუაციაში (ლენინის დეკლარაციული განცხადებებით) უნდა გამოესყიდა ეს დანაშაული იმით, რომ უფრო მომთმენი, უფრო ყურადღებიანი ყოფილიყო კოლონიური ერების მიმართ. რა თქმა უნდა, რუსეთის კომუნისტური პარტიის ეროვნული პროგრამა ამ თავისებურების გათავლიწინებით დგებოდა. როცა საქართველოს კომუნისტური ხელმძღვანელობა ბრმად იღებდა რუსულ შაბლონს საეროვნებათაშორისო ურთიერთობის დარგში, საქართველოს აყენებდა ფაქტობრივად, „მეტროპოლიის" პოზიციაში, რომელსაც მის ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნოსებისათვის უნდა შეექმნა გამორჩეული პირობები ეროვნული სკოლის, ეროვნული კულტურის გასავითარებლად. საქართველოს ხელისუფლებისათვის ეს აშკარად სიზიფეს შრომას უდრიდა, რადგან საქართველოში 19 ერის წარმომადგენელი კომპაქტურად ცხოვრობდა, ხოლო კიდევ 33 ეროვნების წარმომადგენელი – გაფანტულად.

ასეთმა პოზიციამ საქართველოში ეროვნული კონსოლიდაციის საკითხები უკანა პლანზე გადასწია და 20-იანი წლების

შუა ხანებში სერიოზულად გაართულა საეროვნებათაშორისო ურთიერთობანი, რადგან საქართველოსაგან ავტომატურად მოითხოვდნენ ისეთივე ეროვნული პოლიტიკა განეხორციელებინა, როგორიც რუსეთში იყო: უნდა შეექმნა ავტონომიური რესპუბლიკები და ოლქები, რაც საქართველოს ეროვნულ ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა, უნდა შეეჩერებინა უკვე დაწყებული პროცესი ეროვნული კონსოლიდაციის მიმართულებით, რომ ეს ნაციონალიზმის გამოვლენად არ ჩათვლილიყო, უნდა ეზრუნა ნაციონალურ სკოლებზე იმ პირობებში, როცა ამისათვის არც კადრები, არც შესაძლებლობები არ არსებობდა, ხოლო საქართველოს ეროვნული ინტერესები კი მოითხოვდა სკოლის უნიფიცირების საფუძველზე ნაციონალური კონსოლიდაციის გაძლიერებას. ფაქტობრივად, ნაციონალური სკოლა, რომლის ფირნიშის ქვეშ, იქმნებოდა სკოლები აფხაზი და ოსი ეროვნების ახალგაზრდობისათვის, მესხეთელი თურქებისათვის, სომხებისა და აზერბაიჯანელებისათვის, ფაქტობრივად, რუსულ სკოლებად გადაიქცა, რამაც კი არ დააახლოვა ეს ერები ქართველებს, არამედ დაახლოვა პუშკინის, ლერმონტოვის, ტოლსტოის რუსეთს.

ბოლშევიკური რუსეთის ხელისუფლება თავს იწონებდა იმით, რომ მათ მოახერხეს ეროვნული საკითხის გადაჭრა, რომ რუსეთში განხორციელებული ეროვნებათაშორისო თანაცხოვრების მოდელი „საუკეთესო იყო მსოფლიოში", მოიხსნა ერთა შორის დაპირისპირებები და კონფლიქტები. მაგრამ მხოლოდ კომუნისტური პარტიის დიქტატურის პირობებში, რადგან ყველა ის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი გაერთიანება, რაც შეიქმნა გასაბჭოების შემდეგ იყო აშკარა ფიქცია და ის ყოველგვარ აზრს კარგავდა კომუნისტური პარტიის ცენტრალიზებული, უნიტარული ბატონობის პირობებში, რადგან ეროვნული რესპუბლიკების ცენტრალური კომიტეტები მთლიანად იმართებოდნენ კრემლის გადაწყვეტილებებითა და ცირკულარებით.

საქართველოში კომუნისტური პარტიის ეროვნული პოლიტიკის მთავარი თავისებურება საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში იყო დემოკრატიული საქართველოს ხელმძღვანელთა ეროვნული პოლიტიკის, საეროვნებათაშორისო ურთიერთობის პრაქტიკის მკაცრი კრიტიკა. ს. ორჯონიკიძე ამტკიცებდა: „მენშევიკების პერიოდში საქართველო განუწყვეტელ ეთნიკურ ომებში იყო". [2]

კომუნისტების ეროვნული პოლიტიკის მეორე აპრიორული თეზისი იყო ის, რომ საქართველოსა და სამხრეთ კავკასიაში ეროვნული პრობლემები მოგვარდა კომუნისტების მიერ ძალა-

უფლების ხელში აღებისთანავე. უკვე 1922-1923 წლებში კომუნისტი ლიდერები აცხადებდნენ, რომ საქართველოში ეროვნული საკითხი გადაწყდა, რომ ამიერკავკასიის ერებს შორის დაპირისპირების ობიექტური საფუძველი აღარ არსებობს. ფილიპე მახარაძე 1923 წელს ხაზგასმით აღნიშნავდა: „ჩვენ გადავწყვიტეთ ნაციონალური ურთიერთობა, ჩვენ მივაღნიეთ ყველა ეროვნების მშრომელთა მეგობრობას და ყველა ამ ურთიერთვობაში ჩვენ მივაღწიეთ უდიდეს წარმატებას“.[3]

ეროვნული ჰარმონია, ეროვნული მშვიდობა, რა თქმა უნდა, სამხრეთ კავკასიაში არ დამყარებულა, მთელი რიგი პრობლემა მოუგვარებელი იყო, აშკარა დაპირისპირებები შეიცვალა ფარულით.

პირველ რიგში დაიკარგა, რუსეთ – თურქეთის 1921 წლის 16 მარტის მოსკოვის ხელშეკრულების საფუძველზე, თურქეთისათვის გადაცემული ართვინი, ფოცხოვი, არტაანი, ოლთისი – 12 115 კვ.კილ. 164 000 ათასი მოსახლით.[4]

ამას დაემატა ლორეს ნეიტრალური ზონა, რომელიც სომხეთს გადაეცა. ეს პრობლემა ქართველ კომუნისტებში გარკვეულ აზრთა სხვადასხვაობას იწვევდა. 1921 წლის 16 ივლისს საქ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ განიხილა ნეიტარალური ზონის საკითხი. პოლიტბიურომ მხარი დაუჭირა რკპ(ბ) ცკ კავბიუროს უკვე მიღებულ გადაწყვეტილებას ამ ზონის სომხეთისათვის გადაცემის შესახებ, განსხვავებული აზრი ჰქონდა ბ. მდივანს, რომელიც ამ კუთხეში მოსახლეობის პლებისციტის ჩატარებას ემხრობოდა.[5] საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიეტეტის 1921 წლის 3 აგვისტოს პლენუმის გადაწყვეტილებით ეს ძირძველი ქართული მხარე, რომელიც ისტორიის ბედის უკულმართობით ქართველებისაგან დაიცალა, ინტერნაციონალისტურ ილუზიებს შეეწირა.

ასევე აზერბაიჯანის სასარგებლოდ გადაწყდა ზაქათალის ოლქის ტერიტორიული კუთვნილების საკითხიც. საქართველოს რევკომის 1921 წლის დეკლარაციით ეს მხარეც (ტერიტორია – 3993,89 კვ.კმ. მოსახლეობა – 92 608 კაცი) დაიკარგა საქართველოსთვის.[6]

საქართველოს კომუნისტური ხელისუფლება ვარაუდობდა, რომ ასეთი დათმობები შექმნიდნენ მყარ გარანტიებს სამხრეთ კავკასიაში სამოქალაქო მშვიდობისა და კომუნისტური აღმშენებლობისათვის.

ეროვნული საკითხის კომუნისტური გადაწყვეტის თავისებურებას ავტონომიური ერთეულების შექმნაც წარმოადგენდა.

ავტონომიების შექმნა ეროვნული საკითხის მოსაგვარებალად – ეს რუსეთის კომუნისტური რევოლუციის გამოცდილება იყო, ამიტომ, გასაგებია, რომ ქართველმა კომუნისტებმა საქართველოს ტერიტორიაზე შექმნეს შემდეგი ავტონომიური ერთეულები: აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი.

აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე, რაშიც აქტიური მონაწილეობა რსფსრ-ს სამხედრო შენაერთებმაც მიიღეს, დადგა საკითხი მისი სახელმწიფოებრივი მოწყობის შესახებ. აფხაზეთის რევკომის ხელმძღვანელობას (ნ. ლაკობა, ე. ეშბა და სხვ.) მიაჩნდა, რომ დემოკრატიული საქართველოს „აგრესიული" პოლიტიკის შედეგების შესასუსტებლად, ქართულ-აფხაზური ურთიერთობების დასარეგულირებლად სასურველი იქნებოდა აფხაზეთის დამოუკიდებლობის გამოცხადება. იმავე ხანებში იყო აზრი დამოუკიდებელი აფხაზეთის რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შესვლის შესახებაც.

1921 წლის 28 მაისს აფხაზეთის მშრომელთა პირველმა ყრილობამ განიხილა საკითხი საბჭოთა აღმშენებლობის შესახებ და დაადასტურა აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დამოუკიდებლობა. ეროვნულ საკითხზე მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამი იყო, რომ ყრილობა მიესალმება უმჭიდროეს კავშირსა და ძმურ ურთიერთობას ყველა საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასთან, ხოლო „პირველ რიგში, კულტურით, ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდგომარეობით და ყოფაცხოვრებით ყველაზე ახლო მდგომ საბჭოთა საქართველოს მუშებთან და გლეხებთან".

მართალია, აფხაზეთის კომუნისტი ლიდერები (ნ. ლაკობა, ე. ეშბა) მუდამ ხაზს უსვამდნენ, რომ აფხაზეთის ეს დამოუკიდებლობა იყო ფორმალური, „ფირნიში", რომლის მთავარი მიზანი იყო მენშევიკური საქართველოს პერიოდში ქართულ-აფხაზური შელახული ტრადიციული მეგობრული ურთიერთობების აღდგენა-განვითარება, მაგრამ ფაქტი ერთია – აფხაზეთს, მთელ იმჟამინდელ საბჭოთა სივრცეში მცირერიცხოვანი ეთნოსებიდან ერთადერთს, დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის განსაკუთრებული უფლება მიენიჭა, რაც არ ჰქონდა რსფსრს შემადგენლობაში მყოფ ისეთ მრავალრიცხოვან ხალხებსაც კი, როგორიც იყვნენ: ბაშკირები, ვოლგის თათრები, ყირიმელი თათრები, იაკუტები, მთელი შუა აზია გაერთიანებული იყო თურქესტანის ავტონომიურ რესპუბლიკაში, იქ კი ცხოვრობდ-

ნენ უზბეკები, ტაჯიკები, ყირგიზები – უმდიდრესი კულტურისა და ცივილიზაციის ერები.

16 დეკემბერს საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას და აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას შორის დაიდო სამხედრო, პოლიტიკური და ფინანსურ-ეკონომიკური ხელშეკრულება (კავშირი), რის საფუძველზეც გაერთიანდა ამ ორი რესპუბლიკის ბევრი სახალხო კომისარიატი და უწყება: სამხედრო, საფინანსო, სახალხო მეურნეობის, ფოსტა-ტელეგრაფის, იუსტიციის, საზღვაო ტრანსპორტის, საგანგებო კომისია, მუშათა და გლეხთა ინსპექცია.

აფხაზეთი, ზემოაღნიშნული ხელშეკრულების მიხედვით, ფაქტობრივად, ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსს ფლობდა და არაფრით განსხვავდებოდა სხვა ავტონომიური ერთეულისაგან, მით უფრო, რომ მისი საოლქო პარტიული ორგანიზაცია – როგორც რეგიონალური ორგანიაზაცია, მთლიანად ექვემდებარებოდა საქართველოს კპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტს.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე აჭარის ავტონომიის საკითხი კვლავ დღის წესრიგში დადგა. ამას მოითხოვდა რუსეთ – თურქეთის 1921 წლის 16 მარტს მოსკოვში დადებული ხელშეკრულებაც.[7] ბუნებრივია, აჭარა რუსეთის იარაღით ჩამოცილდა თურქეთს და თურქეთი ამ აქტს მის წინაშე ჩადენილ აგრესიად თვლიდა. აჭარისათვის ავტონომიის მიცემა იმჟამად გამართლებული იყო მხოლოდ და მხოლოდ ამ კუთხის თურქეთის ბატონობის ქვეშ ხანგძლივად ყოფნით, რამაც მოსახლეობის დიდი ნაწილის რელიგიური და საყოფაცხოვრებო თავისებურებები გამოიწვია.

აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა შეიქმნა საქართველოს სსრ რევკომის 1921 წლის 16 ივლისის დეკრეტით, რომელმაც ხელისუფლების უმაღლეს ორგანოდ გამოაცხადა აჭარის მეჯლისი.

შიდა ქართლში სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი შექმნა იყო კომუნისტების ხარკი ოსების იმ ანტისამთავრობო გამოსვლებისათვის, რასაც ისინი ეწეოდნენ დემოკრატიული საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ, თორემ ასეთი ავტონომიური წარმონაქმნის ფორმირებისათვის არც ისტორიული, არც სამართლებლივი და არც დემოგრაფიული საფუძვლები არ არსებობდა. ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნას ქართული საზოგადოებრიობა მეტად უარყოფითად შეხვდა. ოსებს ისტორიული სამშობლო საქართველოს გარეთ ჰქონდათ. მართალია, შიდა ქართლის მაღალმთიან რეგიონში ისინი კომპაქტურად

ცხოვრობდნენ, მაგრამ შიდა ქართლში ძირძველი ქართული მოსახლეობაც კომპაქტურად ცხოვრობდა.

1922 წლის 20 აპრილს, წინააღმდეგობის მიუხედავად, მაინც შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, რომელშიც ოსურ სოფლებთან ერთად გაერთიანდა 40 ქართული სოფელი და 1 ქალაქი (ცხინვალი), რომელშიც 20 ათასი ქართველი იყო და მხოლოდ 1100 ოსი.[8]

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნამ, საქართველოს მთავრობის მრავალმილიონიანმა ინვესტიციებმა რეგიონის ოსი მოსახლეობის გულის მოსაგებად, ვერ განმუხტა დაძაბულობა. ოსი ეროვნების მოთარეშენი სისტემატურად აწიოკებდნენ შიდა-ქართლის ქართველ მოსახლეობას. უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართულ დამსჯელ ექსცესებში ხშირად მონაწილეობდნენ სამხრეთ ოსეთის მილიციის ადგილობრივი განყოფილებები. სამართლიანად მიუთითებენ, რომ „ათწლეულთა განმავლობაში საქართველოს მთელ რიგ რეგიონებში იქმნებოდა სიტუაცია, რომლის დროსაც ქართველი მოსახლეობის დისკრიმინაცია-შევიწროების ხარჯზე ფორმირდებოდა არაქართველი მოსახლეობის აშკარად პრივილეგირებული მდგომარეობა“.[9]

საქართველოში ეროვნულ-ტერიტორიული მოწყობის პროცესი დაემთხვა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების გაერთიანების შექმნის პროცესს. მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის ლენინური თეორია გულისხმობდა მსოფლიო პროლეტარული რესპუბლიკის შექმნას, რომელიც საერთაშორისო იმპერიალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად გააერთიანებდა ყველა კომუნისტურ სახელმწიფოს. მტკიცე ინტერნაციონალური ერთიანობა, ეროვნულ ინტერესებზე უფრო პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესების წინ წამოწევა – კომუნისტური დოგმატიკის კვინტესენცია იყო.

1922 წელს, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კავშირის შექმნამ მხოლოდ გარეგნულად მოხსნა დაპირისპირება ერებსა და ეროვნებებს შორის, რადგან მთელი რიგი პრეტენზია, კანონიერი თუ უკანონო მოთხოვნა, კომუნისტური პარტიის ავტორიტეტის გამო, ან მოიხსნა დღის წესრიგიდან, ან დიდი ხნით გადავადდა და კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა მას, პირადი ინტერესებიდან გამომდინარე, სხვადასხვა დროს იყენებდა. მაგალითად, რუსეთის გარკვეული ძალები მუდამ ფარულად მხარს უჭერდნენ საქართველოს რიგ რეგიონში სეპარატისტული ტენდენციების გაძლიერებას, ამუშავებდნენ საქართვე-

ლოს დანაწევრების გეგმებს. ქართულ ისტორიოგრაფიაში დადასტურებულია, რომ საქართველოს დანაწილების ფარული გეგმები ჰქონდა რუს სამხედრო ატაშეს სიტინს, დიპლომატს იუსტს და სხვ.[10]

რუსი დიპლომატი კ. იუსტი თავის ანგარიშში მრავალმნიშვნელოვნად მიანიშნებდა: „სიტყვები არ მყოფნის დავგმო ის ვითარება, როცა კოლონიზატორობას მიმართავს პატარა ხალხი, რომელიც თვითონ განიცდიდა მრავალი ათეული წლის განმავლობაში ნაციონალურ ჩაგვრას." [11]

ასეთი „მზრუნველებით" წაქეზებულმა აჭარის ლიდერმა, თ.ხიმშიაშვილმა გარს შემოიკრიბა თურქოფილები და აჭარის ცაკის სესიას 1925 ოქტომბერში, ქედაში მიაღებინა უპრეცენდენტო დადგენილება: „მესამე სესია მწუხარებით აღნიშნავს საქართველოს მიერ აჭარისტანის მიმართ თავიდანვე წარმოებულ ნაციონალურ შოვინისტურ და კოლონიალური პოლიტიკის წარმოების განგრძობას..."[12]

საყურადღებოა, რომ კონფლიქტის მოსაწესრიგებლად ბათუმში ჩასული პარტიული და სახელმწიფო დელეგაციის ერთერთმა წევრმა, მ. ორახელაშვილმა საჯარო გამოსვლაში აღნიშნა: „ბათუმი პროლეტარიატის კერაა, პროლეტარიატის ბატონობის საფუძველი კი მისი დიქტატურაა. პროლეტარიატმა უნდა მოიმხროს გლეხობა. თუ ეს ასე არ იქნა, მაშინ დიქტატურა დაიშლება და ბათუმის კუთვნილების საკითხი არა ცეკაში, არამედ სხვა ადგილზე გადაიჭრება".[13] აქ აშკარად იმ ანტიქართულ ძალებზეა მინიშნება, რომლებიც ბათუმს მუდამ რუსულ ქალაქად, ახლო აღმოსავლეთში რუსეთის აგრესიის ავანპოსტად თვლიდნენ.

ასევე აშკარაა, რუსეთის გარკვეული ძალების ხელისშეწყობა სამეგრელოს პარტიული ხელმძღვანელების ერთი ჯგუფისათვის (ი.ჟვანია ჯგუფი), რომელიც ცდილობდა სამეგრელოს ავტონომიზაციის მიღწევას და ამ მიზნით ხშირად იშველიებდა კრემლის ლიდერების მხარდაჭერას.[14]

ამრიგად, XX საუკუნის 20-იან წლებში საქართველოს კომუნისტურ ხელისუფლებას უხდებოდა ორ ფრონტზე ბრძოლა – მას უნდა შეეჩერებინა დეცენტრალიზაციის პროცესები, განემტკიცებინა ძირითადი და წამყვანი – ქართველი ერის ეროვნული კონსოლიდაცია და, ამასთან, უნდა უზრუნველეყო არაქართველი ეთნოსებით დასახლებული ტერიტორიების ორგანული ჩართვა საქართველოს ერთიან პოლიტიკურ და ეკონომიკურ ორგა-

ნიზმში, შეექმნა მათთვის ნორმალური სოციალურ-ეკონომიკური პირობები.

ცხოვრებაში ეს ძალიან რთულად შესასრულებელი ამოცანა იყო, რადგან საქართველო ეთნიკურად მრავაფეროვანი და მრავალკონფესიური იყო. 1926 წლის აღწერით საქართველოში 1778,2 ათასი (მოსახლეობის 67,2%) ქართველი, 307 ათასი (11,6 %) სომეხი, 137,9 ათასი (5,2 %) თურქი (აზერბაიჯანელი), 113,3 ათასი ოსი (4,3%), 56,8 ათასი (2,1) აფხაზი, 96,1 ათასი (3,6%) რუსი, 54,1 ათასი (2,5) ბერძენი და სხვა დანარჩენი ეროვნებათა წარმომადგენლები ცხოვრობდნენ. სულ საქართველოს მოსახლეობა კი შეადგენდა 2 667 ათას კაცს.

განსაკუთრებით შერეული იყო მოსახლეობა მესხეთ ჯავახეთსა და ქვემო ქართლში.1926 წელს ახალციხის მაზრაში ცხოვრობდა სომეხი – 15,5 ათასი, თურქი – 44,5 ათასი, ქურთი იეზიდი – 3 ათასი, თარაქამი – 4,6 ათასი, რუსი – 2,8, დანარჩენი ქართველი. ახალქალაქის მაზრაში ცხოვრობდა სომეხი – 57,8 ათასი, თურქი – 6,9 ათასი, რუსი – 5,1 ათასი, ქურთი იეზიდი – 0,9 ათასი, დანარჩენი ქართველი. ბორჩალოს მაზრაში ცხოვრობდა: სომეხი – 15 ათასი, თურქი – 51 ათასი, რუსი 1,1 ათასი, გერმანელი – 4 ათასი, დანარჩენი იყო ქართველი. [15]

არაქართველი მოსახლეობის ძირითადი ნაწილი სასაზღვრო რეგიონებში ცხოვრობდა: სომხები – სამცხე-ჯავახეთში, ბორჩალოელები, გერმანელები და დუხობორები – ქვემო ქართლში, ოსები – შიდა ქართლში. მათმა უმეტესობამ ქართული ენა არ იცოდა. მეტად დაბალი იყო წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვიც.

1926 წლის აღწერით საქართველოში წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვი მოსახლეობის 36, 7 პროცენტს უდრიდა. ეს ყველაზე მაღალი მაჩვენებელი იყო ამიერკავკასიაში. არაქართველ მოსახლეობაში, განსაკუთრებით მაჰმადიანებში, ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო დაბალი იყო. ცნობილია, რომ საქართველოში მცხოვრები სომხების მხოლოდ 46,3 პროცენტმა იცოდა წერა-კითხვა, ოსების – 14,4 პროცენტმა, აფხაზების 12,7 პროცენტმა, თურქების მხოლოდ 4,3 პროცენტმა და ა.შ.

საქართველოში ავტონომიური ერთეულების შექმნა ჩაითვალა ეროვნული საკითხის საუკეთესო გადაწყვეტად, მაგრამ ადმინისტრაციულმა ღონისძიებებმა ვერ მოახერხეს დაეძლიათ ის პრობლემები, რაც ეთნიკური განსხვავებებით იყო ნაკარნახევი და ეს ძალიან ხშირად იჩენდა ხოლმე თავს. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა კი მუდამ ცდილობდა შეენიღბა ის

წინააღმდეგობები, რაც წარმოიქმნებოდა ცალკეული ეროვნული ჯგუფების წარმომადგენელთა შორის, გამოეყენებინა პარტიული ზემოქმედების, ადმინისტრირების ზომები და გარეგნულად მაინც შეექმნა ჰარმონიულობის შთაბეჭდილება. საჯაროდ, ყრილობებსა და პლენუმებზე, მუდამ საქართველოს მრავალეროვანი მოსახლეობის მტკიცე კავშირზე იყო საუბარი, რომ მენშევიკების დროს გამწვავებული საეროვნებათაშორისო ურთიერთობა უკვე შეიცვალა მტკიცე ინტერნაციონალური მეგობრობით.

მაგრამ ყოველდღიური ვითარება ავლენდა დაძაბულობის სხვადასხვა კერას – ეკონომიკურს, საყოფაცხოვრებოს. განსაკუთრებით ჭირდა მაჰმადიანურ რეგიონებში საბჭოთა პოლიტიკური და სამართლებრივი სტრუქტურების დამკვიდრება. აქ მეტად ძლიერი იყო რელიგიური ცნობიერება, მოლებისა და ხოჯების ზეგავლენა. 20-იან წლებში საქართველოში არსებული 412 მეჩეთიდან მესხეთ-ჯავახეთში117 მეჩეთი იყო. გავრცელებული იყო შარიათის წესები, მედრესები და ა.შ. ცნობილია, რომ 1928 წლამდე საქართველოში არცერთი მეჩეთი არ დაუხურავთ, პირიქით, მიმდინარეობდა მათი მშენებლობა. 1927 წელს ახალციხეში სამი ახალი მეჩეთი გაიხსნა, ერთი შენდებოდა, იგეგმებოდა 2 ახალი მეჩეთის მშენებლობა. აჭარაში 160 მოლა მსახურობდა, ხოლო 147 მედრესში მაჰმადის რჯულს ეუფლებოდა 4000 მოზარდი.

საქართველოს კომუნისტური ხელისუფლება ვარაუდობდა, რომ ყრილობებსა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმებზე ადგილობრივი, არაქართველი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა და კულტურული განვითარების საკითხების ხშირი განხილვები და დადგენილებების მიღება წინ წასწევდა საეროვნებათაშორისო ურთიერთობას, აღმოფხვრიდა დაძაბულობის ყველა შესაძლო შემთხვევას. მაგრამ ეს ასე არ ხდებოდა, რადგან ოპერატიულად ვერ ხერხდებოდა მიღებული დადგენილებების რეალიზება.

დაპირისპირებას საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება სულ სხვადასხვა სფეროში აწყდებოდა. აფხაზეთის ადგილობრივი ხელისუფლება გასაბჭოების პირველივე დღეებიდან ცდილობდა, სადაც კი ეს შესაძლებელი იქნებოდა, თბილისისაგან დამოუკიდებელი ყოფილიყო, იგნორირება გაეწია თბილისის მოთხოვნების, სურვილებისა და რეკომენდაციებისათვის.

1926 წლის აღწერით აფხაზეთში სულ 186 004 კაცი ცხოვრობდა, მათგან აფხაზი იყო 56 849, ქართველი – 73 475. აფხა-

ზეთში კომპაქტურად ცხოვრობდნენ სომხები და ბერძნები. ბევრი მათგანი პირველი მსოფლიო ომის ლტოლვილი იყო და საბჭოთა კავშირის მოქალაქეობაც კი არ ჰქონდათ მიღებული.

საქართველოს კომუნისტურ პარტიაში, მთელი 20-იანი წლების განმავლობაში ეროვნულ საკითხთან დაკავშირებით ორი დაპირისპირებული მიმდინარეობა არსებობდა: „კომპრომისული" და „სამართლიანი". ეროვნულ უმცირესობებთან, განსაკუთრებით აფხაზებთან დამოკიდებულებაში „კომპრომისული" მიმართულება (გ. სტურუა, ა. გეგეჭკორი და სხვ.) ითხოვდა დათმობებს, გარკვეულ პრივილეგიებს მათთვის, რომ მომხდარიყო მორიგება, კომპრომისების საშუალებით ჰარმონიული ურთიერთობის მიღწევა. მაგრამ, როგორც წესი, ეს დათმობები მუდამ ცალმხრივი იყო და ხშირ შემთხვევაში არ პასუხობდა ქართველი ერის ნაციონალურ ინტერესებს.

"სამართლიანი" მიმართულების წარმომადგენლები (ა. ურუშაძე, თ. ჟღენტი, ვ. ბახტაძე და სხვები) კი მოითხოვდნენ სამართლიან დამოკიდებულებას საქართველოში მცხოვრები ყველა ერისა და ეროვნების წარმომადგენლებისადმი, წინააღმდეგი იყვნენ უპრინციპო კომპრომისების, რაც ხშირ შემთხვევაში აგულიანებდა ადგილობრივ სეპარატიზმს, აძლიერებდა დეცენტრალიზაციის ტენდენციებს. საქართველოს პარტიულ ყრილობებზე და ცენტრალური კომიტეტის პლენუმებზე იყო მუდმივი კამათი ამ ორ დაჯგუფებას შორის. საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობა (მ. კახიანი, ს. მამულია, ლ. ღოღობერიძე და სხვ.) ყოველთვის ვერ ახერხებდნენ სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებას და იხრებორდნენ კომპრომისული მიმართულებისაკენ.

აფხაზეთის იმჟამინდელ ხელმძღვანელებს (ნ. ლაკობა, ე. ეშბა) სერიოზულად აღელვებდათ აფხაზეთის მოსახლეობის დემოგრაფიული შემადგენლობა, სადაც ქართველების ხვედრითი წილი უპირატესი იყო, განსაკუთრებით სამურზაყანოში, ქალაქებსა და დაბებში. ისინი ცდილობდნენ ამ თანაფარდობის შეცვლას, რისთვისაც საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის წინაშე 20-იანი წლების მეორე ნახევარში არა ერთხელ დააყენეს საკითხი მაკედონელი აფხაზების სამშობლოში გადმოსახლების შესახებ. ეს საკითხი რამდენჯერმე უშედეგოდ განიხილა საქართველოს პარტიულმა ხელმძღვანელობამ და აფხაზეთის ლიდერების ეს სურვილი სურვილად დარჩა.

სამაგიეროდ, საკავშირო ცაკის გადაწყვეტილებით და საქართველოს მთავრობის ძალისხმევით 1929 წელს, საქართვე-

ლოს – აფხაზეთის სსრ დაუბრუნეს რსფსრ-ს „პილენკოვოს მხარე" (268,15 კვ.მ, 3500 მოსახლეობით).[16]

ზედმეტი დათმობები, პრივილეგიები აფხაზეთის ქართველი მოსახლეობის ერთ ნაწილში არაჯანსაღ ტენდენციას აჩენდა. ისინი ეროვნებას იცვლიდნენ, ეწერებოდნენ აფხაზებად. ამის შესახებ იყო არა ერთი ინფორმაცია, მაგრამ თბილისი ამ ფაქტებს იმჟამად დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდა.

რთული იყო მდგომარეობა სამხრეთ საქართველოში. არა მარტო მრავალეროვანი, არამედ მრავალკონფესიური მხარე სერიოზულ სიძნელეებს წარმოშობდა. რელიგიური მშვიდობის დამყარება, პოლიეთნიკურ საზოგადოებაში საეროვნებათაშორისო ურთიერთობის კომუნისტური პრინციპების დამკვიდრება ხანგძლივი, მიზანმიმართული პოლიტიკის შედეგი შეიძლება ყოფილიყო. ამ შემთხვევაში კომუნისტურმა რეჟიმმა გამოიყენა მებრძოლი ათეიზმის მეთოდები, უღმერთოთა კავშირის ადგილობრივი ორგანიზაციები, ანტირელიგიური აგიტაცია და პროპაგანდა.

გარდა ეროვნულ უმცირესობათა ნაციონალური თავისებურებების გათვალისწინებისა, გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა სახელმწიფო ენის შეთვისებას: იმისათვის, რომ არამკვიდრი ეროვნების წარმომადგენელმა თავი უცხოდ არ იგრძნოს, აქტიურად ჩაებას თავის მეორე სამშობლოს სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროცესებში, მან უნდა იცოდეს სახელმწიფო ენა. საბჭოთა საქართველოს კონსტიტუცია სახელმწიფო ენად ქართულ ენას აღიარებდა, თუმცა არ ზღუდავდა არაქართული ენების გამოყენებას ადგილებზე, ხელს უწყობდა ნაციონალური სკოლების მშენებლობას.

საქართველოს ხელისუფლების ამ მიმართულებით განხორციელებული პირველი მოკრძალებული ნაბიჯი იყო საქ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1925 წლის 28 მარტის დადგენილების რეალიზება, რომლის მიხედვით ახალციხის მაზრაში სახელმწიფო ენად გამოცხადდა ქართული ენა.[17] ეთნოკონფლიქტების თავიდან ასაცილებლად ამ ეტაპზე მიზანშეწონილად ჩაითვალა შიდა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული გამიჯვნა ეროვნული ნიშნის მიხედვით. დადგენილების მიხედვით მაზრის პარტიული ხელმძღვანელი აუცილებლად ქართული ენის მცოდნე უნდა ყოფილიყო. მას უნდა ჰყოლოდა ორი თანაშემწე – სომეხი და თურქი. რაიკომისა და აღმასკომის დადგენილებები აუცილებლად სამ ენაზე უნდა გამოქვეყნებულიყო. განისაზღვრა პარტიული და საბჭოთა სამაზრო ნომენკლატურის ეროვნული შემადგენ-

ლობაც, რაც რეგიონში მცხოვრები ყველა ეთნიკური ჯგუფის ინტერესებს ასახავდა.

დადგენილებას, მისი პრაქტიკული რეალიზაციის შემთხვევაში, დიდი მნიშვნელობა ექნებოდა ერთიან საქართველოსთან ამ კუთხის არაქართველი თუ მაჰმადიანი ქართველი მოსახლეობის ურთიერთდაკავშირების თვალსაზრისით. დადგენილებას აუცილებლად უნდა მოჰყოლოდა ადგილებზე ქართული სკოლების ქსელის განვითარება, ადგილობრივი კადრების მომზადება ქართულ ენაზე, ქართული ლიტერატურისა და კულტურის პროპაგანდა და ა.შ.

ძალიან მალე აშკარა გახდა, რომ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მწირი შესაძლებლობები, მუდმივი შიში – თბილისის მცდელობა მოსკოვის მიერ შოვინისტურ პოლიტიკად არ აღქმულიყო, ადგილობრივი მოსახლეობის ფარული თუ აშკარა საბოტაჟი შესაძლებლობას არ იძლეოდა ბოლომდე წარმატებით განხორციელებულიყო მიღებული დადგენილება. ამიტომაც თბილისმა უკან დახევა ამჯობინა – 1927 წელს ახალციხის მაზრაში სახელმწიფო ენად თურქული ენა გამოცხადდა, გადაისინჯა ადგილობრივი კადრების ეროვნული შემადგენლობაც ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით.

საქართველოს ხელისუფლება დიდ ყურადღებას აქცევდა შიდა ქართლში მიმდინარე პროცესებს. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნის შემდეგ, ამ ხელოვნური სახელმწიფო წარმონაქმნის ფუნქციონირების საკითხი მწვავედ დადგა. ადგილობრივი პარტიული ელიტა ჩაბმული იყო პოლიტიკურ დაპირისპირებაში ერთმანეთთან, იყო ლოთობის, ყოფითი გახრწნის შემთხვევები. ამის გამო საქართველოს კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება, რომელშიც აღნიშნული იყო: „მიზანშეწონილად ჩაითვალოს საოლქო კომიტეტის მდივნად წამოყენებული იქნას ენერგიული მუშაკი ცენტრიდან, სასურველია ქართველი“. ასეთმა გადაწყვეტილებამ დააცხრო ვნებათღელვა ოსი ეროვნების პარტიულ მოღვაწეთა შორის.

1926 წელს საქართველოში სულ 113 289 ოსი ცხოვრობდა, მათგან მხოლოდ 63 ათასი კაცი ბინადროდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში. ბევრი ოსი ცხოვრობდა ქართლისა და კახეთის სხვადასხვა სოფელში, რესპუბლიკის დედაქალაქ თბილისში, გორში და სხვა ქალაქებში.

თბილისი უდიდეს ყურადღებას უთმობდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას. ეს მხარე, განსაკუთრებით ოსი მოსახლეობა, ძირითადად

მესაქონლეობას მისდევდა, გლეხობის დიდი ნაწილი მცირემიწიანი იყო, წერა-კითვის უცოდინარი, ბოგანო.

კომუნისტური რეჟიმის პირველ წლებში გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა აქ მრეწველობის ადგილობრივი დარგების, განსაკუთრებით სამშენებლო და ხე-ტყის დამზადების საწარმოების მშენებლობისათვის. დიდ ლიახვზე 1926 წელს აშენდა ელექტროსადგური. მცირემიწიანი ოსი გლეხობა საბჭოთა მთავრობამ ტირიფონის ბარაქიან ველზე გადმოასახლა და შეუქმნა ცხოვრების ხელსაყრელი პირობები.

დიდი და სერიოზული მუშაობა ჩატარდა საქართველოში მცხოვრები ებრაელების, განსაკუთრებით ქართველი ებრაელების სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. შეიქმნა სპეციალური ორგანიზაცია, რომელიც მიზნად ისახავდა ვაჭრობას მიჩვეული ებრაელი მოსახლეობის მიწაზე დამაგრებას, აგრარულ ურთიერთობებში მათ ჩაბმას, ღარიბ-ღატაკი ებრაელებისაგან იქმნებოდა საბჭოთა მეურნეობები, რისთვისაც სახელმწიფო მათ აძლევდა მიწებს, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარს.

საქართველოს ხელისუფლება ვარაუდობდა, რომ ცალკეული ნაკლოვანებების მიუხედავად მისი ეროვნული პოლიტიკა მთლიანად შეესაბამებოდა საქართველოში მოსახლე ეთნიკური ჯგუფების ინტერესებს. ამიტომაც როგორც თბილისში – პარტიულ ღონისძიებებზე, ისე მოსკოვშიც, იგი მუდამ საეროვნებათაშორისო ურთიერთობის დარგში მიღწევებით ამაყობდა.

1928 წელს ზაფხულში თბილისში ჩამოვიდა სკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პარტიული კომისია პშენიცინის ხელმძღვანელობით. მისი მიზანი იყო საქართველოს კომპარტიის მოღვაწეობის სხვადასხვა ასპექტის შესწავლა. კომისიამ შეისწავლა ეთნიკურად განსხვავებულ რეგიონებში არსებული ვითარებაც, თუმცა ეროვნული საკითხის პრობლემების შესწავლა კომისიის მიზანს არ წარმოადგენდა და კომისიის ხელმძღვანელს მასზე არც გაუმახვილებია ყურადღება თავის ანგარიშში, რომელიც მან გააკეთა 1928 წლის 25 სექტემბერს საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის IV პლენუმზე. მოხსენებაში მხოლოდ ერთი ფრაზით აღნიშნა შემდეგი – „მრეწველობის განვითარება ძირითადად საქართველოს რაიონებში და სუსტად – ავტონომიურ რესპუბლიკებში“.[18]

მაგრამ ცოტა მოგვიანებით, კომისიის რიგითმა წევრმა სეიდ კადიროვმა სკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის სახელზე წარადგინა მოხსენებითი ბარათი, სადაც მკაცრად იყო გაკრიტიკე-

ბული და შეფასებული საქართველოს კომპარტიის ეროვნული პოლიტიკა. როგორც ჩანს, მისთვის საქართველოს ეთნიკურად და ეთნოგრაფიულად განსხვავებულ კუთხეებში ადგილობრივ დაინტერესებულ პირებს გარკვეული ინფორმაცია მიუციათ, რაც დისკრედიტაციას უკეთებდა საქართველოს კპ (ბ) ხელმძღვანელობას მოსკოვის თვალში და მის ეროვნულ პოლიტიკას შოვინისტურად წარმოსახავდა.[19]

ს. კადიროვს დეტალურად აქვს შესწავლილი ვითარება აფხაზეთში, სამხრეთ ოსეთში, აჭარასა და სამეგრელოში.

სამხრეთ ოსეთში სტუმრობის დროს მისთვის გაუმხელიათ, რომ სურთ ჩრდილოეთ ოსეთთან შეერთება, ხოლო სამხრეთ სააქართველოში მცხოვრებ თურქულენოვან მოსახლეობას უთქვამს, რომ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში თვალით არ უნახავთ მაზრის ხელმძღვანელობა.

ს. კადიროვი საკმაოდ დიდ ადგილს უთმობს სამეგრელოს ავტონომიის პრობლემას და ცდილობს დაასაბუთოს მისი კანონიერება.

ს. კადიროვის წერილს უდიდესი რეზონანსი მოჰყვა. პარტიულ ფორუმებზე დაიწყეს „ქართული შოვინიზმის" კრიტიკა, ეროვნული საკითხით დაინტერესებამ არნახული მასშტაბები შეიძინა.

ს. კადიროვის წერილში მოტანილი ფაქტები აშკარად მიუთითებენ, რომ კომუნისტური იდეოლოგიის ძირითადი პრინციპი – თითქოს საბჭოთა კომუნისტური ხელისუფლების დამკვიდრებისთანავე გაქრებოდა საეროვნებათაშორისო ურთიერთობის გართულების ყველა შესაძლო მიზეზი, აღმოჩნდა უტოპია. საეროვნებათაშორისო ურთიერთობას ვერ აწესრიგებდა უამრავი პარტიული დადგენილება და ცირკულარი.

მაგრამ მთავარი ის იყო, რომ ს. კადიროვის წერილში ყველა ეროვნებაზე იყო საუბარი, ქართველების გარდა. საქართველო, რომელსაც კომუნისტურმა დიქტატურამ ძალდატანებით ნაართვა დამოუკიდებლობა და რომელიც თავის ტერიტორიაზე თავის სუვერენულ უფლებებს სრულყოფილად ვერ ახორციელებდა, რომლის მკვიდრი ქართველი მოსახლეობა არაფრით გამორჩეულ მდგომარეობაში არ იყო და ისევე განიცდიდა პროლეტარიატის დიქტატურის მარწუხებს, როგორც საქართველოში მცხოვრები სხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლები, არავის არ ახსოვდა. არ ხორციელდებოდა მისი, თვით კომუნისტური კონსტიტუციის ფუძემდებლური მოთხოვნებიც კი – ვერ მოხერ-

ხდა ქართული ენის სახელმწიფო სტატუსის საყოველთაო დამკვიდრება.

გადაჭარბებულმა ინტერნაციონალიზმა, წარამარა მოსკოვისკენ ყურებამ და მისი დირექტივებისადმი მონურმა მორჩილებამ, მნიშვნელოვნად შეაფერხა საქართველოში ქართული ეროვნული საქმის კეთების ის გაუბედავი მცდელობაც კი, რაც 20-იანი წლების შუა ხანებში შეიმჩნეოდა.

ს. კადიროვის ინცინდენტის მთავარი შედეგი იყო ეროვნებათაშორისო ურთიერთობებით დაინტერესება. ჩატარდა სოციოლოგიური გამოკვლევები, შეიქმნა სტატისტიკა, რომლებშიც აისახა ეროვნული წარმომადგენლობა სახალხო მეურნეობის, მეცნიერების, კულტურის სხვადასხვა დარგში.

საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მითითებით რეგიონებში რეალური ვითარების შესასწავლად გაიგზავნენ პარტიული კომისიები, რომლებსაც ძირითადად ეროვნებათაშორისო ურთიერთობის არსებული ვითარება უნდა შეესწავლათ.

შემოწმებამ ცხადყო, რომ თუ საქართველოს კომუნისტური ხელისუფლების ხელშეწყობით 1925 წელს საქართველოში არაქართული სკოლებიდან იყო: სომხური – 120, თურქული – 79, რუსული – 59, ოსური – 27, ბერძნული – 34, ებრაული – 3, ასირიული – 2, გერმანული – 12. ქურთული 1. უკვე 1928 წლისათვის ეს მაჩვენებლები საგრძნობლად გაიზარდა: სომხური იყო 186, თურქული – 90, რუსული – 91, ოსური – 116, ბერძნული – 106, აფხაზური – 58, ებრაული – 5. გერმანული 1 და ა.შ.[20]

ამ ფორმით საქართველოს ხელისუფლება ცდილობდა დაეკმაყოფილებინა საქართველოში მცხოვრები ყველა ეთნიკური ჯგუფის კულტურული მოთხოვნები, მაგრამ ვლინდებოდა ასეთი მონდომების მეორე მხარეც – პედაგოგიური კადრების ნაკლებობა, სკოლები სრულად ვერ კომპლექტდებოდნენ, არ იყო სახელმძღვანელოები, და საერთოდ, მსგავსი სასკოლო პოლიტიკა არარეალური და მავნე იყო ნებისმიერი პოლიეთნიკური საზოგადოებისათვის და მისი შედეგები საქართველოში შედარებით გვიან გამოვლინდა.

განსაკუთრებით საინტერესო ინფორმაცია ჩამოიტანეს კომისიის წევრებმა მესხეთ-ჯავახეთიდან. 1929 წელს ახალციხის რაიონში 99 ათსი კაცი ცხოვრობდა. 66,7 პროცენტი თურქი იყო (ასეა დოკუმენტში), -ქართველი – 12,8 პროცენტი, სომეხი – 16 პროცენტი. კომისიის ანგარიშში ხაზგასმულია, რომ ახალციხელი თურქების დიდი ნაწილი წარსულში ქართველები იყვნენ, გვარიც კი ქართული აქვთ. მაგრამ რეალური ვითარების გაცნო-

ბის შემდეგ კომისია იმასაც აღნიშნავდა, რომ „თუ დღევანდელი თურქები ისტორიულად ქართველები იყვნენ, დღეს, 300 წლის შემდეგ, ყველაფერი ქართული დაკარგული აქვთ: ენა, რელიგია, ყოფა, ტრადიციები და ა.შ. ეს ყველაფერი მათ უკვე თურქული აქვთ. დღევანდელი თურქები არა მარტო აღარ არიან ქართველები და ქართველებს არ წარმოადგენენ, არამედ არც უნდათ იყვნენ ქართველები".[21]

კომისიამ შეამჩნია გამწვავებული ნაციონალური ურთიერთობა, აგრესიაც კი ადგილობრივ სხვადასხვა კონფესიურ ჯგუფებს შორის: თურქებსა და ქართველ-სომხებს შორის, აღინიშნა კადრების დაწინაურებასა და შერჩევისას ქართველებისა და სომხების უპირატესობა მაჰმადიანების საზიანოდ. დაპირისპირება ეროვნულ-კონფესიურ ნიადაგზე შეიმჩნეოდა არა მარტო სასოფლო რეგიონებში, არამედ სამრეწველო საწარმოებშიც კი.

კომისიამ შეისწავლა საქართველოში მცხოვრები ბერძნების, გერმანელების, ქურთი-იეზიდების და სხვა ეთნიკური ჯგუფების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების საკითხებიც.

მიღებული შედეგებით შეშფოთებული საქართველოს პარტიული ხელმძღვანელობა „ქართულ ნაციონალიზმზე" ალაპარაკდა. საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. კახიანი საქართველოს კპ(ბ) VI ყრილობაზე (1929) აღნიშნავდა: „ქართული დიდმპყრობელობა ჩვენთან, რა თქმა უნდა, არის – ქართულ ინტელიგენციაში, ჩვენი აპარატის თანამშრომლებში. ცენტრალურ აპარატში სხედან ისეთი ადამიანები, რომლებიც უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ ქართველებს და ივიწყებენ იმ 30-40 % არაქართველ მოსახლეობას, რომლებიც ჩვენ გვყავს. ამის წინააღმდეგ უნდა ვიბრძოლოთ გახურებული შანთით".[22]

"ქართული შოვინიზმის" მიმართ კიდევ უფრო აგრესიული იყო ლ. ღოღობერიძე საქ. კპ (ბ) VII ყრილობაზე (1930).

საქართველოს პარტიული ხელმძღვანელობა რომ ცდებოდა, ამაზე შემდეგი სტატისტიკა მიანიშნებს. თბილისში შეისწავლეს სახელმწიფო დაწესებულებებში თანამშრომლების ეროვნული შემადგენლობის სტატისტიკა. დადასტურდა, რომ სახელმწიფო სტრუქტურებში ქართველებს თანამდებობის მხოლოდ 54,3% ეკავათ, რუსებს – 16 5%, სომხებს – 22%, სხვა დანარჩენ ეროვნებას – 7.6%. აშკარაა, რომ თანამდებობების 45,7 % არაქართველების ხელში იყო ეს იმ დროს, როცა ისინი შეადგენდნენ რესპუბლიკის მოსახლეობის მხოლოდ 32 პროცენტს.[23]

კიდევ უფრო რთულად იყო საქმე სახელმწიფო ენის ცოდნასთან დაკავშირებით. გაირკვა, რომ სახელმწიფო დაწესებულების თანამშრომელთა დიდმა ნაწილმა საერთოდ არ იცოდა სახელმწიფო ენა. მაგალითად, თბილისის აღმასკომის სისტემაში დასაქმებული 3885 თანამშრომლიდან ქართული საერთოდ არ იცოდა 1116 კაცმა, თბილისის ჯანდაცვის სისტემაში დასაქმებული 888 კაციდან, ქართული არ იცოდა 367 კაცმა, საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სისტემის თანამშრომელთა შორის სახელმწიფო ენას არ ფლობდა 324 თანამშრომელი და ა.შ. [24] ძნელია ამ სტატისტიკის შემდეგ რეალურად ილაპარაკო ნაციონალური უმცირესობის დისკრიმინაციაზე საქართველოში...

საქართველოს დამფრთხალი პარტიული ხელმძღვანელობა 20-იანი წლების დასასრულს ხაზგასმით ცდილობდა ეჩვენებინა თავისი ტოლერანტობა, ლოიალობა. ეს პოლიტიკა ზოგჯერ აშკარად გადაჭარბებულ ფორმებს იღებდა. ტრადიციული გახდა ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლების პერიოდული შეხვედრები, დისპუტები საეროვნებათაშორისო ურთიერთობის საკითხებზე. ამ შეკრებებს პარტიული ლიდერებიც ესწრებოდნენ. მაგრამ ისიც აშკარა იყო, რომ პრაქტიკულად წარმოებული ეროვნებათაშორისო პოლიტიკა საჭიროებდა კორექტირებას, რაც გარკვეულწილად საქართველოში 30-იან წლებში განხორციელდა.

ამრიგად ნათელია, რომ 20-იანი წლების დასასრულს საქართველოში ეროვნებათაშორისო ურთიერთობა დაძაბულია, დაგროვდა გადასაწყვეტი ბევრი საკითხი, პოლიეთნიკურ რეგიონებში თვალსაჩინოა უკმაყოფილება. საქართველოს კომუნისტური ხელისუფლებამ ადგილობრივი ნაციონალისტების აქტივობას ვერაფერი დაუპირისპირა, ვერც თეორიულად და ვერც პრაქტიკულად. ის აშკარად წავიდა დათმობებზე, რამაც საქართველოში, გარკვეულწილად, დეცენტრალიზაციის პროცესები გააძლიერა. აშკარა იყო, რომ საქართველოს ხელისუფლება ვერ უმკლავდებოდა ნაციონალისტურ სტიქიას. 20-იანი წლების ეროვნული პოლიტიკა, რომელსაც გულმოდგინედ ატარებდა საქართველოს კომუნისტური ხელისუფლება და რომელიც გამოიხატებოდა ლოიალობასა და დათმობებში, აშკარად ჩიხში შევიდა. საჭირო იყო ამ პოლიტიკის რადიკალური შეცვლა.

თავი V. ტოტალიტარიზმის იდეოლოგიისა და პრაქტიკის განმტკიცება საქართველოში

მსოფლიო პროცესები და იდეოლოგიური ექსპანსია

პირველი მსოფლიო ომისა და, განსაკუთრებით კი, რუსეთში ბოლშევიკური რევოლუციის შემდეგ, ევროპაში შექმნილი არასტაბილური სოციალურ-პოლიტიკური პროცესები ხელს უწყობდა ტოტალიტარული იდეოლოგიის პოპულარობას, საზოგადოების რადიკალიზაციას, რევანშისტული მსოფლმხედველობის განმტკიცებას. ვერსალ-ვაშინგტონის საერთაშორისო ხელშეკრულებების სისტემამ, რომელიც მოწოდებული იყო ომისშემდგომი მსოფლიოს, განსაკუთრებით კი ევროპის პოლიტიკური სტაბილიზაცია უზრუნველეყო, ვერ გაამართლა. პირიქით წარმოიშვა გადაულახავი წინააღმდეგობა გამარჯვებულ და დამარცხებულ ქვეყნებს შორის. ტერიტორიადაკარგული, რეპარაციების მარწუხებში ჩავარდნილი გერმანია თავისი ისტორიის ყველაზე შავბნელ პერიოდს გადიოდა – ეკონომიკურად გაჩანაგებული, სოციალურად დაუცველი ქვეყანა გამოსავალს ეძებდა. ისტორიკოსები მიუთითებენ, რომ გერმანიაში რეპარაციებმა ეროვნული ვალიუტის – მარკის კატასტროფული გაუფასურება გამოიწვია – 1923 წლის ივლისში დოლარი უდრიდა 160 ათას მარკას, ხოლო აგვისტოში უკვე 1 მილიონ მარკას. 1923 წელს მარკა 1914 წლის მარკის მსყიდველობით უნარს ჩამოუვარდებოდა 1 000 000 000 000-ჯერ.[1]

ევროპის ქვეყნები მძიმე ეკონომიკური მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, მათ შორის გამარჯვებული სახელმწიფოებიც, რამაც ამ ქვეყნებშიც მემარცხენე იდეოლოგია გააძლიერა. დასავლეთ ევროპის ბევრ ქვეყნებში შეიქმნა კომუნისტური პარტია, რომლიც საკუთარ ქვეყანაში საბჭოთა ტიპის სახელმწიფოს დამყარებას თავის გადაუდებელ ამოცანად სახავდა.[2]

გაუსაძლისმა სოციალურმა პრობლემებმა 1922 წელს გამოიწვიეს ფაშისტური გადატრიალება იტალიაში. 1923 წელს მძიმე სოციალურმა პირობებმა აიძულა გერმანიის მოსახლეობის ნაწილი მხარი დაეჭირა წარუმატებელი ფაშისტური პუტჩისათვის მიუნხენსა და ბავარიაში. სერიოზული ეკონომიკური პრობლემები იყო ინგლისში, რამაც 1926 წელს მეშახტეთა დიდი გაფიცვა გამოიწვია (მათ საბჭოთა პროფკავშირები მატერიალუ-

რად ეხმარებოდნენ, რამაც უკვე მერამდენედ გაართულა ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა). მძიმე ეკონომიკური სიტუაცია იყო საფრანგეთში, ბელგიაში, ჰოლანდიაში, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. სერიოზული სოციალური პრობლემები იყო ახლო და შორეულ აღმოსავლეთში – ჩინეთში, იაპონიაში.

იმ წლებში საბჭოთა კომუნისტური ხელისუფლება და მისი ოფიციალური პრესა უდიდეს ყურადღებას აქცევდა მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს, დღედღეზე მოელოდა პროლეტარული რევოლუციის საზღვრების გაფართოებას – ამ საქმეში მოსკოვს ერთგული დასაყრდენი უკვე ჰქონდა – კომუნისტური და მემარცხენე მუშათა პარტიების კავშირი, III კომუნისტური ინტერნაციონალი (შეიქმნა 1919 წ.), რომლის წევრი პარტიები, რუსეთის მაგალითით აღფრთოვანებულნი, ცდილობდნენ ხელში ჩაეგდოთ ძალაუფლება.

იმჟამად დასავლეთის სახელმწიფოთა მესვეურებმა შეძლეს თავიდან აეცილებინათ კატასტროფა – ბავარიაში პუტჩი დამარცხდა, ევროპაში დაიწყო ვითარების სტაბილიზაცია. ვერ გაამართლა იმედი ჩინეთის რევოლუციამაც – 1927 წელს გომინდანის ახალმა ლიდერმა ჩან-კაი-შიმ სისხლში ჩაახშო კომუნისტების მცდელობა ხელში აეღოთ ხელისუფლება. ჩინელმა კომუნისტებმა მხოლოდ საბჭოთა კავშირის მოსაზღვრე მთიან ზოლში შეინარჩუნეს ძალაუფლება ფარული საბჭოთა სუბსიდიების დახმარებით.

გერმანიისა და ჩინეთის აჯანყებების უშედეგობამ კიდევ უფრო გაამწვავა შიდაპარტიული დაპირისპირება საბჭოთა კავშირში – სტალინისადმი ოპოზიციურად განწყობილი ძალები (ტროცკი, ზინოვიევი, კამენევი და სხვ.) სწორედ მას აბრალებდნენ საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ამ წარუმატებლობას, ისინი მოითხოვდნენ უფრო აქტიურ საგარეო პოლიტიკურ კურსს, ენერგიულ ჩარევას ამ ქვეყნების საშინაო საქმეებში, მსოფლიოს კომუნისტური მოძრაობისადმი კიდევ უფრო ქმედით დახმარებას.

მაგრამ ეს დახმარება მოითხოვდა საშუალებებს, დიდ სუბსიდიებს. 20-იანი წლების შუა ხანებში საბჭოთა კავშირი ეკონომიკური თვალსაზრისით კვლავ სუსტი, ჩამორჩენილი, ძირითადად აგრარული ქვეყანა იყო. მართალია, „ნეპის“ შედეგად შეიმჩნეოდა წინსვლა ეკონომიკის რიგ, უფრო აგრარულ დარგებში, მაგრამ ინდუსტრიალიზაციის ტემპები – მძიმე, განსაკუთრებით სამხედრო მრეწველობის განვითარება, სასურველს სერიოზულად ჩამორჩებოდა.

ეკონომიკის განვითარება სასიცოცხლოდ აუცილებელი იყო – მსოფლიოს და პირველ რიგში საკუთარ ხალხს უნდა დაენახა კომუნისტური ცხოვრების უპირატესობის შედეგი – რიგითი ადამიანი დიდხანს ვერ მოუთმენდა მხოლოდ იმედებზე აპელირებულ ხელისუფლებას, რომელიც არაფერს აკეთებდა სოციალური პრობლემების სასწრაფოდ მოსაწესრიგებლად.

სწორედ საშინაო და საგარეო პრობლემების გადაწყვეტის გზების ძიებამ აიძულა ი. ბ. სტალინი და მისი პოლიტიკური დაჯგუფება ჩამოეყალიბებინა კონცეფცია „ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობის შესახებ"(1925 წ.) – რაც სხვა არაფერი იყო, თუ არა კომუნისტური ეკონომიკური პრინციპების რეალიზაცია ჯერ მხოლოდ საბჭოთა საზღვრებში, საკუთარი მატერიალური თუ ადამიანური რესურსებით და მხოლოდ ამის შემდეგ მისი შეთავაზება დანარჩენი მსოფლიოსათვის. ამ ეტაპზე სტალინი, ბუხარინთან, რიკოვთან და თავის სხვა თანამოაზრეებთან ერთად, ჯერ კიდევ არ იზიარებდა კულაკების მიმართ მკაცრი რეპრესიული ზომების გატარებას, ინარჩუნებდა აგრარულ სფეროში „ნეპის" ძირითად პრინციპებს, მიაჩნდათ, რომ საბჭოთა ქვეყანაში არსებობდა ყველა პირობა სოციალიზმის ეკონომიკური და პოლიტიკური საფუძვლების ასაშენებლად (ამის შესახებ ქვემოთ).

პარტიულმა დაპირისპირებამ წარმოუდგენელ მასშტაბებს მიაღწია. საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობა ჩინებულად იყენებდა პარტიის X ყრილობის დადგენილებას „პარტიის ერთიანობის შესახებ."[3], რაც კრძალავდა ფრაქციებს და სასტიკად სჯიდა ფრაქციონერებს. საერთაშორისო სარბიელზე პროლეტარიატის ბრძოლის აშკარად აგრესიულ ფორმებს ადგილს უთმობდა ბრძოლის უფრო ხანგრძლივი, მაგრამ არა ნაკლებად ეფექტური ფორმა – აგიტაცია-პროპაგანდა.

20-იანი წლების შუა ხანებიდან საბჭოთა კავშირში ხშირად ჩამოდიოდნენ მუშათა მემარცხენე პარტიებისა თუ ორგანიზაციების წარმომადგენლები, ეცნობოდნენ ადგილობრივ ვითარებას, ხვდებოდნენ მუშებს. ამ შეხვედრებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა ხელისუფლებისათვის – ერთი მხრივ, ამით ის ეწეოდა საბჭოთა ცხოვრების წესის პროპაგანდას (იგულისხმება, რომ სტუმრებს აჩვენებდნენ მხოლოდ კარგს, აღმშენებლობას, ცვლილებებს სოციალურ ყოფასა თუ იმჟამინდელ კულტურულ მშენებლობაში), და, მეორე მხრივ, საზღვარგარეთელი სტუმრების პროკომუნისტური გამონათქვამები, დადებითი შეფასებები გარკვეულ მასტიმულირებელ ზეგავლენას ახდენდა

საბჭოთა ადამიანზე – ისინი უჯერებდნენ საბჭოთა პროპაგანდას, მიაჩნდათ სტუმრების გამონათქვამები გულწრფელ აღიარებად (ბევრ შემთხვევაში ეს ხომ ასეც იყო).

20-იანი წლების შუა ხანებში ბევრი დელეგაცია ჩამოვიდა თბილისში. ქართული კომუნისტური პრესა მათ ვიზიტებს გამორჩეულ ყურადღებას უთმობდა . საქართველოს ფაბრიკა-ქარხნებსა თუ კომუნისტურ მშენებლობებზე ყოფნის დროს ისინი დადებითად აფასებდნენ კომუნისტური ხელისუფლების მიღწევებს, დაუფარავი „შურით" ლაპარაკობდნენ იმ პრივილეგიებზე, რომელსაც ფლობდნენ საბჭოთა კავშირის მშრომელები, ხატავდნენ კაპიტალიზმის ყოფიერების საშინელებებს, მოუწოდებდნენ პროლეტარული სოლიდარობისაკენ, ერთობლივი ბრძოლისაკენ პროლეტარიატის საერთაშორისო რიგების განსამტკიცებლად და საერთაშორისო ბურჟუაზიის დასამხობად.

საზღვარგრეთის მუშათა კლასის წარმომადგენლები ძალიან ხშირად სტუმრობდნენ თბილისის ორთქმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანას, 26 კომისრის სახ. ქარხანას, თბილისის თამბაქოს ფაბრიკას და სხვა კოლექტივებს. ისინი აუცილებლად მიჰყავდათ „ზაჰესში" – რომელიც იმჟამად საქართველოში კომუნისტური აღმშენებლობის ნამდვილ ილუსტრაციას წარმოადგენდა. არ შეიძლება გამოვრიცხოთ ის გარემოება, რომ დასავლეთ ევროპის კომუნისტური და მუშათა პარტიების დელეგაციების მნიშვნელოვან ნაწილს, რიგი პროფკავშირული მოძრაობის ლიდერს იმჟამად საბჭოთა ტიპის პროლეტარული სახელმწიფო პროგრესულ მოვლენად მიაჩნდა, ხედავდნენ მხოლოდ წარმატებებს, გაგებით ეკიდებოდნენ საბჭოთა სინამდვილეს, იზიარებდნენ არსებული ნაკლოვანებების შეფასების ოფიციალურ ვერსიებს და, კლასობრივი ბრძოლის თეორიიდან გამომდინარე, არც რეპრესიული მექანიზმის არსებობა და წრეგადასული რეპრესიები უკვირდათ.

საქართველოში 1924 წლის აგვისტოს აჯანყების ჩახშობის შემდეგ საბჭოთა ხელისუფლებამ ნება დართო დასავლეთ ევროპის მემარცხენე მუშათა პარტიების წარმომადგენელებს მეტეხის ციხეში ენახათ პატიმრობაში მყოფი აჯანყების მოთავენი და მონაწილენი.

1925 წელს აგვისტოში საქართველოში ჩამოვიდა გერმანიის მუშათა დიდი დელეგაცია. ეს ვიზიტი მასპინძლების მიერ განსაკუთრებით იყო ორგანიზებული. საბჭოთა საქართველოს პრესა აღფრთოვანებული შეეგება სტუმრებს. გერმანელმა მუშებმა დაათვალიერეს ორთქმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხანა, არსე-

ნალი, ზაჰესი. თბილისში შედგა ინტერნაციონალისტური მიტინგი, სადაც გერმანელმა მუშამ, მელემ განაცხადა: „საქართველოში სრული თანხმობაა მუშათა კლასსა და საბჭოთა ხელისუფლებას შორის. გერმანიის პროლეტარიატისა და საბჭოთა პროლეტარიატის გზა ერთია. ჩვენ გერმანიაში წავიღებთ თქვენგან გადმოღებულ რევოლუციურ სულს".[4]

დელეგაციაში იყვნენ გერმანიის სოციალ-დემოკრატიის პარტიის წევრებიც, რომლებმაც აღნიშნეს: „საქართველოში ყოფნამ ჩვენ დაგვარწმუნა, რომ აქ საბჭოთა ხელისუფლება მტკიცე საფუძველზე დგას და ეროვნული საკითხი თქვენს ქვეყანაში საუცხოოდ არის გადაწყვეტილი".

1925 წლის სექტემბერში თბილისში ჩამოვიდა ინგლისის ლეიბორისტთა პარტიის დელეგაცია. ისინი იყვნენ ზაჰესში. დელეგაციაში იყო ინგლისის პარლამენტის დეპუტატი გრენფელი, რომელმაც განაცხადა: „ყველაფერი , რაც ჩვენ ვნახეთ საბჭოთა კავშირში, აძლიერებს ჩვენს შეხედულებებს თქვენი ქვეყნის უდიდეს შესაძლებლობებზე".[5]

1926 წელს უკვე ბელგიელი მუშების დელეგაცია იყო საქართველოში. რა თქმა უნდა, დაათვალიერეს ზაჰესი, მუშათა კლუბები. დელეგაციის ხელმძღვანელმა ველკოეზიმ გაზეთ „მუშას" რედაქციას წერილი გაუგზავნა, რაც მეორე დღესვე დაიბეჭდა: „მე დავრწმუნდი, რომ საბჭოთა კავშირი ძალას წარმოადგენს ეკონომიკურ ასპარეზზე, რომ მშრომელები თავისუფალნი და ბედნიერნი არიან, ხოლო მსოფლიო კაპიტალიზმს შეუძლია გამოეთხოვოს ოცნებას, რომ ოდესმე დაამხობს კომუნისტურ წყობილებას".[6]

ამავე წელს თბილისში ჩამოვიდა საზღვარგარეთელი მასწავლებლების (საფრანგეთი, გერმანია, ბელგია) საკმაოდ მრავალრიცხოვანი დელეგაცია. მათ აღიარეს, რომ საბჭოთა კავშირში განათლებას დიდი ყურადღება ექცევა.

1928 წელს თბილისს ესტუმრნენ მუშკორები – გერმანიის ქ. ესენის კრუპის ქარხნის ტექნიკოსი, გაზეთ „ფრაიჰაიტის" მუშკორი ფრიდრიხი, საფრანგეთის სამთამადნო მრეწველობის მუშკორი სენტ-ეტიენიდან ლენონილ დე კუ, გაზეთ „ლუმანიტეს" მუშკორი ფილიპი და სხვები. ტრადიციულად, სტუმრები წაიყვანეს თბილისის ორთქმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანაში, გააცნეს მუშათა ყოფა-ცხოვრება. დელეგაციის ხელმძღვანელმა მიტინგზე აღნიშნა: „აქაურ მუშკრებს შეუძლიათ ხმა აიმაღლონ პრესის საშუალებით ყოველგვარი მახინჯი მოვლენისა და ბო-

როტმოქმედების წინააღმდეგ. ჩვენთან კი ასეთი რამ არ შეუძლიათ".[7]

როცა არაკომუნისტური პარტიების წარმომადგენლები ერთხმად უმტკიცებდნენ საქართველოს მოსახლეობას, თუ რა საამურ ქვეყანაში ცხოვრობდნენ ისინი, გაცილებით დიდ ხოტბას ასხამდნენ საბჭოთა წყობილებას საზღვარგარეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელები, რომლებიც, არცთუ იშვიათად, სტუმრობდნენ თბილისს. 20-იანი წლების მეორე ნახევარში კომინტერნში საბოლოოდ გაიმარჯვა ი. ბ. სტალინის პოლიტიკურმა კურსმა და კომუნისტური ინტერნაციონალის თვალსაჩინო წარმომადგენლები მუშებთან შეხვედრების დროს ქებას ასხამდნენ საბჭოთა კავშირის საგარეო თუ საშინაო პოლიტიკას, ი.ბ. სტალინს, მის პოლიტიკურ ხაზს.

1928 წლის აგვისტოში მოსკოვში შეიკრიბა კომინტერნის მე-6 კონგრესი. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსულმა კომუნისტური პარტიის წარმომადგენლებმა ერთხმად მიიღეს მანიფესტი, რომელიც გაზეთ „კომუნისტმაც" გადმობეჭდა: „კომუნისტური ინტერნაციონალი მოუწოდებს ყველა პატიოსან პროლეტარს რკინისებურ კედლად შემოიკრიბონ საბჭოთა კავშირის გარშემო, რომელსაც ემუქრება იმპერიალიზმის ზეაღმართული ხმალი. კომუნისტური ინტერნაციონალი მოუწოდებს სიფხიზლისკენ და პირდაპირი ბრძოლისკენ, პაციფისტური სიყალბისა და სიცრუის წინააღმდეგ".[8]

კონგრესის დამთავრების შემდეგ დელეგატთა ერთი ჯგუფი საქართველოშიც ჩამოვიდა. ისინი შეხვდნენ თბილისელ მუშებს. იტალიის კომპარტიის წარმომადგენელმა ნოტამ მუშებთან შეხვედრის დროს განაცხადა: „იტალიის პროლეტარიატი ომის დროს ხელში აიღებს იარაღს, მაგრამ არა საბჭოთა კაშირის წინააღმდეგ, არამედ მსოფლიო იმპერილიზმის გასანადგურებლად".

20-იანი წლების მეორე ნახევარში საბჭოთა კავშირს ბევრი თანამგრძნობი ჰყავდა დასავლეთის კულტურის მოღვაწეთა შორისაც – ბერნარდ შოუ, ანრი ბარბიუსი და სხვები. კომუნისტური პარტიის წევრები იყვნენ მსოფლიოში აღიარებული მხატვარი დავიდ სიკეიროსი (მექსიკა), პაბლო პიკასო (ესპანეთი), ალბერტო მორავია (იტალია), პაბლო ნერუდა (ჩილე) და სხვები. საბჭოთა პრესაში ხშირად იბეჭდებოდა მათი პროსაბჭოთა გამონათქვამები, რასაც უდიდესი პროპაგანდისტული მნიშვნელობა ჰქონდა.

1927 წელს ანრი ბარბიუსი საქართველოში ჩამოვიდა. მას საქართველოს საზღვართან დახვდნენ პაოლო იაშვილი და სანდრო შანშიაშვილი. ფრანგ მწერალს ძალიან მოეწონა საქართველოს მთის პეიზაჟი. მასთან შესახვედრად ყაზბეგში გაემგზავრნენ პროლეტარი მწერლები – ს. ეული, ა. მაშაშვილი, ბ. ბუაჩიძე. ცნობილმა ფრანგმა მწერალმა მოინახულა მესხეთ-ჯავახეთი, ვარძია. ა. ბარბიუსმა საქართველოში ათი დღე დაჰყო, შეხვდა მუშებს. ქართველმა მწერლებმა შეხვედრა მოუწყვეს მას. მიხ. ჯავახიშვილმა სიტყვით მიმართა ფრანგ მწერალს: „დიდმა რევოლუციამ ჩვენ ხალხს შემოქმედებითი ძალა გაუღვიძა: ვითარდება ეროვნული სკოლა, ლიტერატურა, მეცნიერება, მხატვრობა, მუსიკა და ქანდაკება. ჩვენ ვნანობთ, რომ თქვენ ათიოდე წლის წინათ არ ეწვიეთ ჩვენს სამშობლოს, რომ პირდაპირ დარწმუნებულიყავით ჩვენი კულტურის თვალსაჩინო წარმატებებში“.[9]

თბილისში ა.ბარბიუსი შეხვდა ყოფილ მენშევიკებს, თავადაზნაურობის წარმომადგენლებსაც კი და გამგზავრების წინ განაცხადა: „მე მგონია, რომ საქართველოს, თუნდაც ერთხელ დათვალიერებით, ყოველი გულწრფელი მოქალაქე თამამად იტყვის, რომ საბჭოთა საქართველო იმ საფეხურზე დგას და წინსვლის ისეთ ხანას განიცდის, როგორიც მას არ მოსწრებია მთელი თავისი ისტორიის მანძილზე. ეს წინსვლა ეტყობა ეკონომიკას, კულტურას, პოლიტიკას, სოციალურ და სხვა დარგებს“.[10]

როცა 1929 წელს ანრი ბარბიუსი ხელმეორედ ჩამოვიდა საქართველოში, ის უკვე სიტყვით გამოვიდა თბილისის პარტიულ კონფერენციაზე და აღნიშნა: „კომპარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით იგი (ე.ი. საქართველო – ავტორი) ახლა ჩაბმულია სოციალისტურ აღმშენებლობაში და ჩქარი ნაბიჯით მიემართება ბრწყინვალე მომავლისაკენ... კაპიტალისტური ევროპა იხრწნება და უკან მიექანება. შორს არ არის ის დრო, როდესაც ევროპის მუშათა კლასი აღმართავს რევოლუციური ბრძოლის დროშას პროლეტარიატის დიქტატურისათვის“.[11]

როცა ამდენი ავტორიტეტული ადამიანი შინ და გარეთ უნისონ უმტკიცებდნენ საქართველოს მშრომელებს იმ სოციალურ-პოლიტიკური რეჟიმის უპირატესობას, სოციალისტური ცხოვრების სიამეს, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელთა სიბრძნეს და შორსმჭვრეტელობას, ხოლო ალტერნატიული აზრი არსაიდან ისმოდა, რიგით ადამიანს ისღა დარჩენოდა, რომ ეს შეხედულებები დაეჯერებინა და ბოლომდე გაეზიარებინა.

მაგრამ საბჭოთა ხელმძღვანელობას არ აკმაყოფილებდა მარტო საზღვარგარეთელი კეთილმოსურნეების გულანთებული წერილები, რევოლუციური მოწოდებები. მას სჭირდებოდა აგრეთვე მოსახლეობისათვის იმის დამტკიცება, რომ მსოფლიოში პროლეტარული რევოლუციის ცეცხლი მძვინვარებს, რომ სადაცაა კაპიტალიზმის დასასრული მოვა, რაც იმპერიალიზმს განსაკუთრებულად ულმობელს, კიდევ უფრო მოძალადეს ხდის და თავის აგრესიას ის უპირველეს ყოვლისა – საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ წარმართავს. აუცილებელი იყო მოსახლეობა გაგებით მოჰკიდებოდა იმ ფაქტს, რომ საჭირო იყო თავდაცვითი მრეწველობის განვითარება, უფრო მეტი მოთმინება, სოციალური პრობლემების გვერდზე გადადება... თანდათან ჩამოყალიბდა საბჭოთა კავშირის – როგორც შეთქმულებების, პროვოკაციებისა, მტრული სახელმწიფოების სამხედრო მუქარის ქვეშ მყოფი ქვეყნის მითი. ეს ჩინებულად არის ასახული საკ.კპ (ბ) ისტორიის (მოკლე კურსის) შესაბამის თავშიც: „სსრ კავშირის სოციალისტური მეურნეობის განმტკიცებაში კაპიტალისტური ქვეყნები ხედავდნენ მუქარას კაპიტალისტური სისტემის არსებობისათვის... 1927 წლის მაისში ინგლისის კონსერვატორებმა („შუბლმაგრებმა"), რომლებიც მთავრობაში ისხდნენ, მოაწყვეს პროვოკაციული თავდასხმა „არკოსზე" (ლონდონში „ინგლისთან ვაჭრობის საბჭოთა საზოგადოება"). 1927 წლის 26 მაისს ინგლისის კონსერვატიულმა მთავრობამ გამოაცხადა ინგლისის მიერ დიპლომატიური და სავაჭრო ურთიერთობის გაწყვიტა სსრ კავშირთან.

1927 წლის 7 ივნისს ვარშავაში რუსმა თეთრგვარდიელმა, რომელიც პოლონეთის ქვეშევრდომი იყო, მოკლა სსრ კავშირის ელჩი ამხ. ვოიკოვი.

ამავე დროს სსრ კავშირის ტერიტორიაზე ინგლისელმა ჯაშუშებმა და დივერსანტებმა ყუმბარა ესროლეს ლენინგრადის პარტიულ კლუბს, ამასთან დაჭრილი იქნა დაახლოებით 30 კაცი, მათ შორის რამდენიმე კაცი მძიმედ.

1927 წლის ზაფხულში თითქმის ერთსა და იმავე დროს ხდებოდა თავდასხმები საბჭოთა სრულუფლებიან და სავაჭრო წარმომადგენლობებზე ბერლინში, პეკინში, შანხაიში, ტიანძინში".[12]

აშკარაა, რომ 1938 წელს გამოცემულ წიგნში საბჭოთა ოფიციალური ხელისუფლება (წიგნი ი.ბ. სტალინის ანონიმური რედაქციით გამოვიდა) თავის, თითქმის ათი წლის წინანდელ, ვარაუდებზე მიანიშნებდა.

საბჭოთა ხელისუფლებისა და კომინტერნის მოსაზრებას, რომ 1928-1929 წლებში „ქვეყანა ალყაშემორტყმულ ბანაკს წარმოადგენდა“, დღეს უსაფუძვლოდ მიიჩნევენ როგორც დასავლეთელი, ისე პოსტსაბჭოთა რუსი ისტორიკოსები (ნ. ვერტი, ვ. ბაჟანოვი, ე. გიმპელსონი და სხვ.).[13]

მაგალითად, ე. გიმპელსონი მიუთითებს, რომ „სსრ კავშირის პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელობის შიში „დიდი ომის“ მოახლოებასთან დაკავშირებით იყო ფუჭი – არავინ საბჭოთა კავშირზე თავდასხმას არ გეგმავდა, ამ „შეშფოთების“ მთავარი მიზანი იყო პროპაგანდისტული, დაკავშირებული „მემარჯვენეებთან“, ინდუსტრიალიზაციის ფორსირებულ ტემპებთან, ახალი ეკონომიკური პოლიტიკის დასრულებასთან, შიდაპარტიულ ამოცანებთან“.[14] მსგავსი შეხედულება აქვს ფრანგ ნ. ვერტსაც.[15]

ჰქონდა თუ არა ობიექტური საფუძველი საგარეო საფრთხის გამო საბჭოთა ხელისუფლების შეშფოთებას?

შეშფოთების თეორიული საფუძველი აშკარად იყო. ოქტომბრის გადატრიალებისთანავე ანტანტა კომუნისტური რუსეთის ძირითად და მთავარ საფრთხედ გამოცხადდა. კომუნისტური თეორიით პროლეტარიატის მსოფლიო კომუნისტური რესპუბლიკის შექმნის გზაზე მთავარი დაბრკოლება – ეს კაპიტალისტური სახელმწიფოების ალიანსი იყო, რომელიც კომუნისტური რუსეთის განადგურებას ისახავდა მიზნად. ეს მოსაზრება იყო საბჭოთა ხელმძღვანელების ეჭვმიუტანელი აქსიომა და მტკიცედ ემყარებოდა მათ მეორე თეზისს – კაპიტალისტური სახელმწიფოები უნდა აღიგავონ პირისაგან მიწისა. ამრიგად, რახან თვითონ, საბჭოთა ხელმძღვანელები კაპიტალისტურ სახელმწიფოებს მხოლოდ დამხობას და განადგურებას უწინასწარმეტყველებდნენ, ბუნებრივია, რომ მათგანაც იგივეს მოელოდნენ და ცდილობდნენ ფრთხილად ყოფილიყვნენ, აძლიერებდნენ შეიარაღებას, ინდუსტრიალიზაციას წარმართავდნენ მძიმე მრეწველობის იმ დარგებისაკენ, რაც მილიტარიზაციის გეგმებს ესადაგებოდა.

ამასთანავე, არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ, ის რომ ტროცკისტულ-ზინოვიევური ოპოზიცია იმჟამად კატეგორიულად ამტკიცებდა: „საერთაშორისო მდგომარეობა სულ უფრო დაძაბული ხდება. ომის საფრთხე იზრდება. სკპ-სა და საერთაშორისო პროლეტარიატის ამოცანა ამჟამად არის ის, რომ თავიდან აიცილოს (თუ არა და, რაც შეიძლება დიდი ხნით გააჭიანურო) ომის დაწყება...“[16]

თავის მხრივ, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ დასავლეთ ევროპის ერთიანობაც მტკიცე არ იყო. ერთა ლიგის შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი, აშშ ძალიან მალე ნეიტრალიტეტის პოლიტიკას მიემხრო და ევროპის საქმეებისაგან განზე გადგა. ერთა ლიგის წესდება, როგორც სამართლიანად მიუთითებდნენ უკვე მაშინ საქმეში ჩახედული ექსპერტები, თავიდანვე გამორიცხავდა კოლექტიური უსაფრთხოების ეფექტური ფორმების შექმნას (ეს გარემოება კიდევ უფრო საცნაური გახდა 30-იან წლებში).[17]

ერთა ლიგის წევრებს შორის თავიდანვე გადაულახავი წინააღმდეგობები არსებობდა. ერთა ლიგაში გერმანიის (1926 წ.) შესვლის შემდეგ ვითარება კიდევ უფრო გამწვავდა. ვერ გაამართლა საფრანგეთის მცდელობამ შეექმნა -„პან-ევროპა“ (ფაქტობრივად, ევროკავშირის მსგავსი გაერთიანება). დასჭირდა ნახევარ საუკუნეზე მეტი, რომ დასავლეთ ევროპის ქვეყნები შეგუებოდნენ აზრს, რომ ერთად უფრო წარმატებით წაიწევდნენ წინ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გზაზე, ვიდრე ცალ-ცალკე.

გერმანიის რევანშისტული პოზიციების გაძლიერება, აღმოსავლეთ ევროპის ახლადშექმნილი, დამოუკიდებელი ქვეყნების (პოლონეთის, უნგრეთის, რუმინეთის, იუგოსლავიის) საგარეო პოლიტიკა, ერთმანეთის მიმართ გამართლებული თუ გაუმართლებელი ტერიტორიული პრეტენზიები გარკვეულად წარმოშობდა ფეთქებადსაშიშ ვითარებას, რაც აიძულებდა ევროპის თვალსაჩინო დიპლომატებს მუდამ ფხიზლად ყოფილიყნენ. რა პოლიტიკური ორიენტაციის არ უნდა ყოფილიყო მთავრობა, მას მუდამ ევალებოდა ყოფილიყო ფხიზლად და ქვეყნისათვის თავიდან აეცილებინა შესაძლო ომის საფრთხე.

ისტორია ადასტურებს, რომ ყოველთვის როდი ხერხდება ზუსტად განსაზღვრო მტრის ვარაუდი, თავდასხმის დრო და მასშტაბები. მრავალი წლის გადასახედიდან, რა თქმა უნდა, ეს ადვილი გასაკეთებელია – 1928-1929 წელს საბჭოთა კავშირს არავინ დასხმია თავს. მაგრამ იმჟამად ამის განსაზღვრა – ალბათ ძნელიც იყო, და შედიოდა კი ამ ფაქტორის განსაზღვრა საბჭოთა ხელისუფლების ინტერესებში?

1928-1929 წლები მძიმე ეკონომიკური კრიზისის წლები იყო – წარმოიშვა უმძიმესი კრიზისი მოსახლეობის სურსათით მომარაგების დარგში (ამის შესახებ საუბარი იქნება ქვემოთ). საბჭოთა ხელისუფლება იძულებული გახდა საბარათო სისტემა შემოეღო. საჭირო გახდა რადიკალური, დრაკონული ზომების გატარება. კულაკებისა და საშუალო გლეხებისათვის პურის დი-

დი პარტიების ექსპროპრიაცია. ასეთ ვითარებაში ყურადღების სხვა საკითხებზე გადატანა – საგარეო საფრთხე, მტრული გარემოცვა, შეთქმულება – მოსახლეობის ყურადღების მოდუნება – ეს ჩვეულებრივი პოლიტიკური ხერხია, რასაც უხსოვარი დროიდან მიმართავდა ნებისმიერი ხელისუფლება.

1928-1929 წლები, მართლაც, მძიმე იყო არა მარტო საბჭოთა კავშირისათვის, არამედ დასავლეთ ევროპისათვის, განსაკუთრებით ამერიკისათვის. მსოფლიოში დაიწყო ისტორიაში ყველაზე დამანგრეველი ჭარბწარმოების კრიზისი, რამაც ყველაზე უფრო ამერიკის შეერთებული შტატები დააზარალა. კრიზისის გამო დაიხურა უამრავი საწარმო, უმუშევარი დარჩა მილიონობით ადამიანი (ამტკიცებენ 17 მილიონი უმუშევარის არსებობას), როგორც მიუთითებენ, ამერიკის რიგი სამრეწველო დარგი 1901 წლის დონეზე დავიდა.[18]

კრიზისი შეეხო ამერიკის, გერმანიის, იტალიის ეკონომიკას. მრეწველობის მასშტაბების შემცირებამ, საფინანსო სისტემის მოშლამ ამ ქვეყნებშიც გაამწვავა უმუშევრობა, რაც უპირველეს ყოვლისა მუშათა საგაფიცვო მოძრაობების გააქტიურებაზე აისახა.[19]

საბჭოთა კავშირის, საქართველოს გაზეთები აქვეყნებდნენ ინფორმაციებს დასავლეთის ქვეყნებში შექმნილი გაუსაძლისი მდგომარეობის შესახებ, ერთთავად შავ ფერებში ხატავდნენ დასავლეთ ევროპისა და ამერიკის მუშათა ყოფას, შიმშილს, უუფლებობას, სილატაკეს. საქართველოს კომუნისტური პრესის ფლაგმანები „კომუნისტი“ და "ზარია ვოსტოკა“ აქვეყნებდნენ მოწოდებებს – „ევროპაში დადის აჩრდილი – აჩრდილი კომუნიზმისა“. თუმცა ეს გაზეთები ნაკლებად საუბრობდნენ იმ პრობლემებზე, რაც საქართველოში იყო, რაც აღელვებდა საქართველოს მრავალეროვან მოსახლეობას.

ასეთ რთულ საგარეო პოლიტიკურ ვითარებაში საბჭოთა ხელისუფლებამ მიზნად დაისახა საბჭოთა საზოგადოების მსოფლმხედველობითი ერთსახოვნების მიღწევა, მისი ტოტალური იდეოლოგიური დამუშავება. ეს ამოცანა პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს დაევალათ.

პოლიტიკური და იდეოლოგიური ღვედები

როგორც უკვე აღინიშნა, 20-იანი წლების მეორე ნახევარში, როდესაც მოხდა საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკური სტაბილიზაცია, დადგა საკითხი ქვეყნის სამომავლო განვითარების პერსპექტივების შესახებ. ბოლშევიკური პარტიის ზოგიერთმა ლიდერმა და ჯგუფმა – გ. ზინოვიევმა, ლ. კამენევმა და სხვებმა ჩამოაყალიბეს ე.ნ. „ახალი ოპოზიცია", რომელიც წინააღმდეგი იყო ახალი ეკონომიკური პოლიტიკის გაგრძელების, ასაბუთებდა სოფლის მეურნეობაში კულაკობის ხვედრითი წილის ზრდას, არ გამორიცხავდა საბჭოთა სისტემის გადაგვარების შესაძლებლობას და სოციალისტური სისტემის სამომავლო წარმატებას უკავშირებდა დასავლეთის „გამარჯვებული პროლეტარული რევოლუციის" მხარდაჭერას და ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის მშენებლობის საქმეში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებას.

„ახალი ოპოზიციის" საპირისპიროდ ი. სტალინმა წამოსწია იდეა ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შესახებ. თავის ნაშრომში – „ლენინიზმის საკითხები", მან გაიაზრა ვ. ლენინის თეორიული მემკვიდრეობა და ის ზემოხსენებული იდეის საყრდენად გამოიყენა (ამის შესახებ ქვემოთ).

გარკვეულ ეტაპზე მოხდა „ახალი ოპოზიციის" და ლ. ტროცკის პოზიციების დაახლოება. ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის უმრავლესობის წინააღმდეგ ქართველი ბოლშევიკები – ბ. მდივანი, კ. ცინცაძე, ლ. დუმბაძე, მ. ოკუჯავა და სხვები მიემხრნენ „ახალ ოპოზიციას" და ლ. ტროცკის პოზიციას, რაც ნიშნავდა ანტისტალინური პლატფორმისადმი მხარდაჭერას[1]. ამაში გარკვეული როლი შეასრულა იმ გარემოებამაც, რომ ანტისტალინური ბლოკის მეთაურმა ლ. ტროცკიმ წამოაყენა ამიერკავკასიის ფედერაციის არსებობის მიზანშეწონილობის გადასინჯვის საკითხი.

1926 წლის სექტემბრიდან განსაკუთრებით გამოცოცხლდა ქართველი ოპოზიციონერების საქმიანობა. ქართველ ნაციონალ-უკლონისტთა ნაწილი მიემხრო ოპოზიციურ მიმდინარეობებს. 1926 წ. ქართველი ოპოზიციის თითქმის ყველა ჯგუფი, რომელთა შეკავშირება მოხდა ანტისტალინურ პოზიციაზე, გამოვიდა კომუნისტური პარტიის გენერალური კურსის წინააღმდეგ. ამ დროს დაბრუნდა საფრანგეთიდან კ. ცინცაძე, რომელიც არ იშურებდა ძალებს ს. ორჯონიკიძის და საერთოდ ცენტრალური კომიტეტის სახელის დისკრედიტაციისათვის. ქართველი

ოპოზიციონერების იდეური ხელმძღვანელი იყო მ. ოკუჯავა, რომელიც იზიარებდა ლ. ტროცკის შეხედულებებს და უარყოფდა ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების სტალინურ შეხედულებას. ამ იდეას ისინი მარქსიზმის რევიზიად თვლიდნენ[2].

ქართველი ოპოზიციონერები თანაუგრძნობდნენ მოსკოველი ტროცკისტების პოზიციას სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ტემპების შეფასების საკითხში. ისინი არასაკმარისად თვლიდნენ განხორციელებულ ღონისძიებებს კერძო სექტორის განვითარების შედეგების დასაძლევად და მრეწველობის ეკონომიკური საფუძვლის განსამტკიცებლად.

ოპოზიციის დიდ კრიტიკას იწვევდა ტოტალიტარული სახელმწიფოს აგრარული პოლიტიკა, „ნეპის" პირობებში სოფლად სასაქონლო ურთიერთობის განვითარების მიზნით ერთგვარი „დათმობა", რის შედეგადაც საქართველოს სოფელში მოხდა კერძო ინიციატივის გამოცოცხლება ოპოზიციას მიაჩნდა კლასობრივი დაპირისპირების უგულველყოფად, კულაკობისათვის ხელშეწყობად.

ანტისტალინურ ოპოზიციას ქართველი თანამოაზრენი განსაკუთრებით მაშინ შეუერთდნენ, როდესაც მოხდა ლ. ტროცკის და ზინოვიევ-კამენევის ჯგუფის პოლიტიკური პლატფორმების დაახლოება. ქართველმა ოპოზიციონერებმა თავისი ადგილობრივი ცენტრი ჩამოაყალიბეს, რომელშიც შედიოდნენ კ. ცინცაძე, ლ. დუმბაძე, მ. ოკუჯავა და ნ. კიკნაძე. ცენტრი ქმნიდა რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქებში და მაზრებში თავის არალეგალურ ორგანიზაციებს, აწყობდა ოპოზიცონერთა გამოსვლებს პარტიულ კრებებზე და უპარტიო მასების შეკრებებზე, ავრცელებდა ფრაქციულ ლიტერატურას, ეწეოდა მემარცხენე პოზიციებიდან ცენტრალური კომიტეტის გენერალური ხაზის დისკრედიტაციას[3]. მაგრამ კომუნისტურ პარტიას ხელთ ეპყრა სადამსჯელო ორგანოების – სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს აპარატი, ამიტომ მას ხელეწიფებოდა ოპოზიცონერთა ფარული საქმიანობის აღკვეთა. ტროცკისტულ-ზინოვიევურმა ოპოზიციამ მარცხი განიცადა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის 1926 წლის ივლისის პლენუმზე[4]. პლენუმის დადგენილებას მხარი დაუჭირა საქართველოს კპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა. ოპოზიციის განადგურების საქმეში თვალსაჩინო როლი შეასრულეს ქართველმა პოლიტიკურმა მოღვაწეებმა ს. ორჯონიკიძემ, ვ. და გ. სტურუებმა, მ. ორახელაშვილმა, ფ. მახარაძემ და სხვებმა.

საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის და ცენტრალური საკონტროლო კომისიის 1926 წლის 16 ოქტომბერს გაერთიანებულმა პლენუმმა დაგმო ოპოზიციის ფრაქციული საქმიანობა საქართველოში და მიიღო მოწოდება პარტიული ორგანიზაციებისადმი – ებრძოლათ შინაპარტიული ერთიანობისა და იდეური სიმტკიცისათვის. პლენუმმა ოპოზიცონერთა ერთი ჯგუფი გარიცხა კომუნისტური პარტიის რიგებიდან. სულ მალე 1926 წლის ნოემბერში იმის გამო, რომ ტროცკისტებმა არ მოახდინეს რეაგირება პლენუმის სპეციალურ დადგენილებაზე, ისინი, კერძოდ, კ. ცინცაძე, ლ. დუმბაძე და სხვ. გარიცხეს კომუნისტური პარტიიდან.

პარალელურად ი.ბ.სტალინის პოლიტიკური ხაზის მომხრეები პირველად პარტიულ ორგანიზაციებში აძლიერებდნენ აგიტაცია-პროპაგანდას, უმტკიცებდნენ რიგით კომუნისტებს პარტიის (ი.ბ. სტალინის) გენერალური ხაზის სისწორეს, ოპოზიციის კრიტიკის უსაფუძვლობას, არსებულ ნაკლოვანებებს ხსნიდნენ სოციალიზმის მშენებლობის საქმეში არსებული აშკარა თუ ფარული სიძნელეებით, უხეშად იყენებდნენ ადმინისტრაციულ რესურს.

კომუნისტური პროპაგანდის ინტენსიფიკაცია თანდათან თავის მიზანს აღწევდა – რაოდენობრივი თვალსაზრისით კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის უმრავლესობის მომხრეთა რიცხვი ორგანიზაციებში გაიზარდა.

1927 წ. საერთაშორისო ურთიერთობის გამწვავებასთან დაკავშირებით ოპოზიცია განაგრძობდა ცენტრალური კომიტეტის დისკრედიტაციას, გამოდიოდა სტალინ-ბუხარინის პოლიტიკური ხაზის წინააღმდეგ. მაგრამ მკაცრი ადმინისტრირების პირობებში ოპოზიცია იძულებული იყო უკან დაეხია. 1928 წლის ბოლოსათვის სტალინურმა ფრაქციამ შეძლო ტროცკისტულ-ზინოვიევური მიმდინარეობის იდეური განადგურება. 1929 წ. ლ. ტროცკი გააძევეს საბჭოთა ქვეყნიდან. ამის შემდეგ კომუნისტურმა პარტიამ შეუტია ბუხარინის მემარჯვენე დაჯგუფებას.

20-იანი წლების განმავლობაში სოფლის მეურნეობა ვითარდებოდა „ნეპის“ საფუძველზე. ბუხარინის გეგმებს მხარს უჭერდნენ სტალინი, რიკოვი, ტომსკი, ცენტრალური კომიტეტის უმრავლესობა. ისინი ცდილობდნენ შეეჩერებინათ მემარცხენე ოპოზიციის შეტევა „ნეპის“ წინააღმდეგ და იცავდნენ სოფლის მეურნეობის ევოლუციური განვითარების მიმართულებას. მაგრამ 1928 წ. თავი იჩინა აგრარულმა კრიზისმა საბჭოთა კავშირში, რაც გამოიხატა ქალაქების მოსახლეობის პურით მომარაგე-

ბის სიძნელეებში იმ დროს, როდესაც შეძლებულ გლეხობას ჰქონდა პურის დიდი მარაგი. ხელისუფლება იძულებული გახდა შემოეღო საბარათო სისტემა პურზე (ამის შესახებ ქვემოთ).

20-იანი წლების მეორე ნახევარში შეიმჩნევა საქართველოს კომპარტიის რიგების ზრდა. განსაკუთრებით გაიზარდა იგი რუსეთში ოქტომბრის რევოლუციის მეათე წლისთავთან დაკავშირებით გამოცხადებულ ე. წ. „ოქტომბრის გაწვევის" პერიოდში (1927-1928 წწ. თებერვალი). ამ დროს საქართველოს კომპარტიაში შევიდა 2207 კაცი, რომელთა 60%-ს შეადგენდნენ წარმოების მუშები 5 წლიდან 10 წლამდე საწარმოო სტაჟით[5]. 1929 წლის იანვრისათვის მუშათა ხვედრითი წილი კომპარტიაში შეადგენდა 46,8%-ს, ხოლო 1929 წლის ივნისიდან დეკემბრამდე საქართველოს კომპარტიის შემადგენლობის შემოწმებისა და წმენდის შედეგად აღნიშნული ხვედრითი წილი გაიზარდა 48,3%-მდე[6].

1930 წლის იანვრისათვის მუშები შეადგენდნენ საქართველოს კომპარტიის საერთო შემადგენლობის ნახევარს, აფხაზეთის კომუნისტურ ორგანიზაციაში – 36%, აჭარის ორგანიზაციაში – 59,4%-ს, სამხრეთ-ოსეთის ორგანიზაციაში – 10%-ს, თბილისის ორგანიზაციაში – 69,1%-ს[7]. 1930 წელს საქართველოს კომპარტიაში შესულთა შორის მუშები შეადგენდნენ 76,99%-ს[8]. როგორც უჩვენებს სტატისტიკა საქართველოს კომპარტიის რიგები იზრდებოდა ძირითადად ეროვნული კადრების ხარჯზე.

სახალხო მეურნეობის მშენებლობაში მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა მასში დასაქმებულ ახალგაზრდობას. მისი შრომითი და სოციალური აქტივობა გამოიხატებოდა კომკავშირის რიგების ზრდაში. თუ 1924 წ. საქართველოს კომკავშირული ორგანიზაცია ითვლიდა 18983 კაცს, 1930 წელს იგი გაიზარდა 109021-მდე. კომკავშირის რიგები იზრდებოდა ძირითადად მუშა და გლეხი ახალგაზრდების ხარჯზე. 1925 წ. პროლეტარული ფენის (მუშები, მოჯამაგირენი და დაქირავებული მომუშავენი) ხვედრითი წილი შეადგენდა კომკავშირის შემადგენლობის 47,2%-ს[9]. ყურადღება მიექცა მუშა და გლეხი ქალების ჩაბმას კომკავშირში. 1925 წლისათვის მათი რიცხვი 6514-ს შეადგენდა[10].

ინდუსტრიალიზაციის განხორციელებაზე გადასვლამ ახალი და მნიშვნელოვანი ამოცანები დააყენა საქართველოს კომკავშირის წინაშე, რომლებიც ჩამოყალიბებული იყო საკ. კპ(ბ) XIV ყრილობის მიერ „კომკავშირის მუშაობის შესახებ" მიღებულ რეზოლუციაში. ერთ-ერთი ამოცანა მდგომარეობდა ახალგაზრდებზე იდეური ზეგავლენის, ინდუსტრიალიზაციის მშენებლო-

ბის ფრონტზე შრომითი საქმიანობის გაძლიერებაში. საქართველოს კომკავშირის VIII ყრილობამ (1926 წლის 22-27 თებერვალი) კომკავშირის წინაშე დააყენა შიდაკომკავშირული დემოკრატიის ცხოვრებაში გატარების, კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობაში, საზოგადოებრივ პოლიტიკურ ცხოვრებაში კომკავშირელთა აქტიური ჩაბმის ამოცანები.

პირველადი კომკავშირული ორგანიზაციების პროპაგანდისტული აპარატი, ინტენსიურად ახორციელებდა რკპ (ბ) ცეკას მითითებებს, ცდილობდა ახალგაზრდა თაობის მარქსისტულ-ლენინიური მოძღვრების საფუძველზე აღზრდას. უნდა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ 20-იანი წლების მეორე ნახევარში, როცა ინდუსტრიალიზაციის გამო სოფლიდან ბევრი ახალგაზრდა ქალაქში ფაბრიკა-ქარხნებში სამუშაოდ წამოვიდა, ისინი წერა-კითხვის უცოდინრობის სალიკვიდაციო სკოლებში ანბანთან ერთად მარქსიზმის საფუძვლებსაც ეუფლებოდნენ, იმსჭვალებოდნენ კომუნისტური მსოფლმხედველობით და ამის გამო ისინი სულ უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

კომკავშირი მონაწილეობდა წარმოებაში მომჭირნეობის რეჟიმის და რაციონალიზაციის განხორციელებაში თბილისის ფაბრიკა-ქარხნებში, რკინიგზის მთავარ სახელოსნოებში, დეპოში და ა. შ. იქმნებოდა ტექნიკური წრეები. ახალგაზრდა მუშების კვალიფიკაციის ამაღლებას ემსახურებოდნენ მუშათა ფაკულტეტები, რომლებიც ამზადებდნენ ახალგაზრდა მუშებსა და გლეხებს უმაღლესი განათლების მისაღებად. 1928 წლის დამდეგისათვის თბილისში მუშაობდა 7 საქარხნო-სამრეწველო სკოლა, რომელიც ამზადებდა კვალიფიციურ მუშებს წარმოების სხვადასხვა დარგისათვის. არსებობდა აგრეთვე სხვადასხვა სახის პროფსკოლები და პროფკურსები.

1928 წლიდან საბჭოთა კავშირში, მათ შორის საქართველოშიც კომკავშირმა დაიწყო ე. წ. „მსუბუქი კავალერიის რაზმების" შექმნა ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. ეს რაზმები აწყობდნენ არაოფიციალურ „მფრინავ" კონტროლს სხვადასხვა ორგანიზაციებსა და დაწესებულებებზე და ცალკეულ პირებზე, რაც ძაბავდა მდგომარეობას.

მნიშვნელოვან როლს ასრულებდა კომკავშირი წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეში. 1928 წლის 1 აგვისტოდან საქართველოში მოეწყო წერა-კითხვის უცოდინარობის ერთთვიური. მისი მიზანი იყო საკავშირო კომკავშირის VIII ყრილობის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად საქართვე-

ლოს კომკავშირის მიერ გაწეული მუშაობის შემოწმება. ყრილობის ლოზუნგი იყო „თითოეული წერა-კითხვის მცოდნე კომკავშირელმა უნდა ასწავლოს ერთ წერა-კითხვის უცოდინარს". ამის შესაბამისად საქართველოს კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა მოაწყო კონკურსი კომკავშირის საუკეთესო უჯრედზე წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო მუშაობისათვის.

კომკავშირი მონაწილეობდა სამხედრო-ფიზკულტურულ მუშაობაში. მისი ინიციატივით ეწყობოდა სამხედრო საქმის შემსწავლელი წრეები, სასროლო წრეები და სხვა. კომკავშირელები გაერთიანებული იყვნენ სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში – „ავიაქიმიის", „წერკუმის", „ულმრთოთა კავშირებში" და ა. შ.

საქართველოს ალკკ X ყრილობამ (1930 წლის დეკემბერი) შეაჯამა საბჭოთა აღმშენებლობაში კომკავშირის მონაწილეობის შედეგები. კომკავშირლები აქტიურად მონაწილეობდნენ შრომით შეჯიბრებაში. მასში ჩაბმული იყო კომკავშირელთა საერთო რაოდენობის დაახლოებით 60 %. ყრილობამ მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო კულტურულ მშენებლობასა და საშეფო მუშაობაში კომკავშირელთა როლის ჩვენებას. ამ დროისათვის საქართველოს ე. წ. „მსუბუქი კავალერიის არმია" შედგებოდა 2700 რაზმისაგან, რომელშიც ჩაბმული იყო 4 ათასი კოლმეურნე და 5300 მუშა-კომკავშირელი[11]. მიუხედავად ამისა, X ყრილობამ დაასკვნა კომკავშირში პროლეტარული ბირთვის გაზრდის, ანტირელიგიური პროპაგანდის გაძლიერების, სამხედრო სწავლებაში კომკავშირელთა ფართოდ ჩაბმის და სხვა საკითხები. ამ დროს კოლმეურნეობებში ირიცხებოდა (6 რაიონის გამოკლებით) 20731 კომკავშირელი, რაც შეადგენდა სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ კომკავშირელთა 41912[12]. კომკავშირს ავალდებულებდნენ კულაკობის წინააღმდეგ ბრძოლისთვის მობილიზაციას. აგრეთვე მათ წინაშე საბრძოლო ლოზუნგის „თითო საჩვენებელი დამკვრელი კომკავშირული ბრიგადა თითოეულ კოლმეურნეობაში" განხორციელებას და ბავშვთა – პიონერულ ორგანიზაციების წარმოებასთან და კოლმეურნეობებთან დაკავშირების საკითხის მოგვარებას.

დიდ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ-სამეურნეო მუშაობას ეწეოდნენ პროფკავშირული ორგანიზაციები. 20-იანი წლების მეორე ნახევარში პროფკავშირული მუშაობა გარდაიქმნა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის კურსისა და სოფლის მეურნეობის განვითარების პირველი ხუთწლიანი გეგმის შესაბამისად. რამდენადაც პროფესიული კავშირები წარმოადგენდნენ ყველა-

ზე მასობრივ ორგანიზაციებს, მათ არ შეიძლებოდა არ გამოეხატათ თავის რიგებში მუშა-მოსამსახურეთა სხვადასხვა ჯგუფების მიღებისადმი დიფერენციული მიდგომა.

ინდუსტრიალიზაციის დიდი პროგრამის განსახორციელებლად ბრძოლის დასაწყისში, 1926 წლის 8-14 მარტს ჩატარდა საქართველოს პროფკავშირის V ყრილობა. ამ დროისათვის პროფკავშირები ითვლიდნენ თავის რიგებში 136 ათასამდე წევრს[13]. ყრილობამ განიხილა სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების, საქართველოს მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და შრომის დაცვის საკითხები. ასევე ყურადღება მიექცა კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის გაფართოების სხვა საკითხებსაც. იმავე წლის მარტში ჩატარდა ამიერკავკასიის ფედერაციის პროფკავშირების III ყრილობა, რომელმაც პროფკავშირული ორგანიზაციების წინაშე დააყენა ინდუსტრიალიზაციასთან დაკავშირებით მრეწველობის წამყვანი დარგების – პირველ რიგში, სამთამადნო, მეტალურგიული და ელექტრიფიკაციის გაუმჯობესების საკითხები, ბრძოლის ინტენსიფიკაციას მომჭირნეობის რეჟიმის გატარების საქმეში. ამ მიზნით საწარმოებში შეიქმნა მომჭირნეობის გამტარებელი სპეციალური კომისიები. ამ ღონისძიების გატარების მთავარ საშუალებად ზოგიერთი სამეურნეო მუშაკი მუშების ხელფასის შემცირებას თვლიდა. ამიტომ პროფკავშირებს უნდა ებრძოლათ ამ დამახინჯებათა წინააღმდეგ.

გაიზარდა საწარმოო თათბირების მნიშვნელობა. იმჟამად მართვის ეს ფორმა საბჭოთა დემოკრატიის მნიშვნელოვან მონაპოვრად ითვლებოდა, რადგან წარმოების მართვაში, ოფიციოზის აზრით, აბამდა ათასობით და ათიათასობით მუშას, ინჟინერს, მოსამსახურეს. 1926 წლის ბოლოსათვის 275 საწარმოში არსებულ თათბირში ჩართული იყო 23 ათასი, 1927 – 39 ათასი, 1928 წ. კი 81 ათასი მუშა-მოსამსახურე[14], თათბირების მიერ ჩატარებული მუშაობის შედეგად საწარმოებმა მიიღეს მნიშვნელოვანი ეკონომია, შემცირდა პროდუქციის თვითღირებულება, ასევე გაუმჯობესდა კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადების კამპანია.

პროფკავშირები დიდ მუშაობას ეწეოდნენ მუშა-მოსამსახურეთა სამედიცინო მომსახურების გასაუმჯობესებლად. 1925-1929 წლებში სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში გაიგზავნა 45 ათასამდე კაცი[15].

მნიშვნელოვნად გაფართოვდა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელი. კლუბების რაოდენობა 1928

წელს 1,5-ჯერ აღემატებოდა მათ რიცხვს 1926 წ. კლუბებში ეწყობოდა წარმოდგენები, კონცერტები.

1928 წლის 21-28 ნოემბერს ჩატარდა საქართველოს პროფკავშირების VII ყრილობა, ამ დროისათვის პროფკავშირის წევრთა რაოდენობა აღემატებოდა 180 ათას კაცს. ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილებანი შრომის სახალხო კომისარიატის მუშაობის, პროფკავშირების სატარიფო-ეკონომიკური, კულტურულ-საგანმანათლებლო და მუშათა სოციალური დაზღვევის საკითხებზე. ყრილობამ მიზანშეწონილად მიიჩნია ხელფასის გადიდება, პირველ რიგში, მრეწველობის ძირითადი დარგების მუშებისა და მცირეხელფასიანი მუშა-მოსამსახურეებისათვის, გადაწყდა ინდივიდუალური სანარდო სისტემის ფართოდ დანერგვა და ა. შ.

პროფკავშირებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს 1929 წელს ჩატარებული სახელმწიფო აპარატის წმენდის შემმოწმებელი კომისიების მუშაობაში. პროფკავშირებმა შექმნეს 150-ზე მეტი კაცისაგან შემდგარი რეზერვი სახელმწიფო აპარატის წმენდის შედეგად გამოთავისუფლებული ადგილების დასაკავებლად[16].

ჯერ კიდევ 1927 წლიდან დაიწყო მუშაობა სახელმწიფო და სამეურნეო ორგანიზაციებში მოწინავე მუშათა დასაწინაურებლად. პროფკავშირულ ორგანიზაციებს აღრიცხვაზე აჰყავდათ დასაწინაურებელნი. მათ კანდიდატურებს ამტკიცებდნენ საწარმოო თათბირებზე და მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებებზე. 1927 წ. საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციებში ხელმძღვანელ სამუშაოზე დააწინაურეს 153; 1928 წ. – 47; 1929 წ. – 600-ზე მეტი კაცი. მომზადდა რეზერვი 650-მდე კაცის რაოდენობით. 1930 წლის ოქტომბერში შედგა დაწინაურებულთა რესპუბლიკური შეკრება, რომელმაც შეაჯამა პროფკავშირების მუშაობის შედეგები ამ სფეროში.

ტოტალიტარული რეჟიმის დამკვიდრება-განმტკიცების საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდათ მშრომელთა დეპუტატების საბჭოებს. ისინი კომუნისტური რეჟიმის პოლიტიკური საფუძველი იყო და ფორმალურად უმაღლესი ხელისუფალიც – რადგან ასახიერებდა ხალხის – მუშების. გლეხებისა და წითელარმიელების პოლიტიკურ ბლოკს კაპიტალის წინააღმდეგ. კომუნისტების მიერ ძალაუფლების ხელში აღებისთანავე, როგორც უკვე აღინიშნა, ხმის უფლება ჩამოერთვა საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს: ექსპლოატატორებს, კულტის მსახურებს, ყოფილ პოლიციელებსა და ჟანდარმებს, საქართველოს

დამოუკიდებელი რესპუბლიკის ადმინისტრაციას, დამფუძნებელი კრების წევრებს, სახალხო გვარდიელებსა და ვაჭრებს და ა.შ. 1925 წელს საქართველოში ხმის უფლება ჩამორთმეული ჰქონდა 28981 კაცს (ეს იყო ხმის უფლების მქონე მოქალაქეების 2,7%). სულ საქართველოში ამ წელს 1 062 544 ამომრჩეველი იყო.[17]

არსებობდა საბჭოების განტოტვილი ქსელი – სათემო, სამაზრო, საქალაქო, რესპუბლიკური. დოკუმენტურად დასტურდება, რომ რაც უფრო დაბალი საფეხურის იყო საბჭო, მით უფრო უჭირდა მუშაობა. პასიურობა – ეს საბჭოების დაბალი რგოლის უკურნებელი სენი იყო. ვერ ახერხებდნენ საბჭოების აქტივიზაციას. როგორც ოფიციალური სტრუქტურები აღიარებდნენ – არ ხდებოდა პერიოდული ანგარიშგება, შეკრებები, თემაღმასკომის თავმჯდომარეები ხშირად უფლებებს აჭარბებდნენ, საბჭოების შემადგენლობაში ზოგჯერ შემთხვევითი პირები ხვდებოდნენ. არის ცნობა, რომ ახალციხის მაზრის ურაველის თემის აღმასკომის თავმჯდომარე იყო ყოფილი მოლა და კონტრაბანდისტი.[18] შორაპნის მაზრის ზოდის თემის მცხოვრებლები იმუქრებოდნენ გაფიცვით, თუ არ გადააყენებდნენ თემაღმასკომის თავმჯდომარეს, რომელიც არღვევდა საბჭოთა კანონებს, ხმის მიღების უფლებას უკანონოდ აძლევდა ხმაჩამორთმეულ პირებს, არ აინტერესებდა სოფლის მიმდინარე პრობლემები, არ აშენებდა გზებს და ა.შ.[19] სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ცნობით ტოლაშის რაიონის საბჭოებს ხელმძღვანელობდნენ ბოროტმოქმედები, ყოფილი ბანდიტები და აფერისტები.[20]

საქართველოში საბჭოების მუშაობას აკვირდებოდა პოლიტიკური სამმართველო („ჩეკა"), რომლის ანგარიშებში ხშირად არის მითითებული საბჭოების პასიურობაზე. ამ ორგანიზაციის აგენტურის ცნობით, 1930 წელსაც კი საქართველოს რაიონებსა და სოფლებში არჩევნები არადამაკმაყოფილებლად ჩატარდა. საარჩევნო კრებებს მოსახლეობა ნაკლებად ესწრებოდა (დაახლოებით 50%), ზოგიერთ სოფელში, კრებებს, რომელზედაც ჩატარდა არჩევნები, მხოლოოდ მოსწავლეები დაესწრნენ. სოფ. მეტეხში 300 კომლიდან არჩევნებში მონაწილეობდა მხოლოდ 40 კაცი, სოფ გრაკალში – მხოლოდ 26. ბორჯომის რაიონის სოფ. დვირის საარჩევნო კრებას ამომრჩევლის მხოლოდ 45 % დაესწრო, მაგრამ არჩევნები მაინც ჩატარდა, არავის წაუკითხავს მოხსენება და ანგარიში ამომრჩევლებისათვის არავის ჩაუბარებია.[21]

განსაკუთრებით ჭირდა საბჭოების მუშაობის აქტივიზაცია მთის რეგიონებში, ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რაიონებში, სადაც მოსახლეობის კულტურული და პოლი-

ტიკური ცოდნის დონე საერთოდ დაბალი იყო. ცნობილია, რომ 1925 წელს არჩევნები ოფიციალურად გააუქმეს თიანეთის, ფასანაურის რაიონებში, სადაც არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ხმის უფლების მქონე მოსახლეობის მხოლოდ 35 პროცენტმა. ფასანაურში არჩევნები გააუქმეს ორჯერ და მხოლოდ მესამე არჩევნების ჩატარების შემდეგ მოხერხდა აღმასკომის დაკომპლექტება.

მოსახლეობის ასეთი პასიურობა, გარდა სათანადო კულტურული და პოლიტიკური მოუმზადებლობისა, გამოწვეული იყო საბჭოების მუშაობაში არსებული ფორმალიზმით, საბჭოების უუფლებობით, კომუნისტური პარტიის მიერ ხელისუფლების უზურპაციით, როცა ყველაფერი წყდებოდა პარტიულ კრებებსა და პლენუმებზე, ხოლო საბჭოებს, თავისი მიზერული მატერიალური შესაძლებლობებით, ევალებოდათ ამ გადაწყვეტილებების რეალიზება.

მიუხედავად ამისა, ცენტრალური ხელისუფლება ცდილობდა შექმნილიყო საბჭოების ყოვლისშემძლეობის, აქტიურობის, მათი მუშაობის ეფექტურობის გარეგნული ილუზია. იმ წლებში დაწერილ ანგარიშებში ძალიან ხშირად ფიგურირებს გამოთქმები: „ძველი საბჭოები ჩამკვდარი იყო, ახლა გამოცოცხლდა. პრაქტიკულად ჩავაბით მუშაობაში საბჭოს წევრები. გააააქტიურდა სექციური მუშაობა. მართავენ გლეხთა საერთო კრებებს. იხილავენ ადგილობრივ საკითხებს“.[22]

ცენტრალური ხელისუფლება წარმატებად თვლიდა იმას, რომ საბჭოებში შეიქმნა სექციები, დაიწერა სამოქმედო გეგმები, ხდებოდა გეგმების შესრულების შემოწმება, ეწყობოდა მოქალაქეთა კრებები საჭირბოროტო საკითხებზე. განსაკუთრებულ მიღწევად ჩაითვალა თემსაბჭოებში მასწავლებელთა აქტიური ჩაბმა.[23]

უნდა აღინიშნოს, რომ გარეგნულად, მართლაც, ცდილობდნენ საბჭოების მუშაობის აქტივიზაციას, ყურადღებას აქცევდნენ საბჭოების შემადგენლობის ხარისხობრივ მაჩვენებლებს, მასში ქალების, ინტელიგენციის (მასწავლებლების) ჩაბმას, ეროვნული თანასწორობის პრინციპის დაცვას, საბჭოებში პოლიტიკურად მომზადებული კადრების აღზრდას, კომუნისტებისა და კომკავშირლების რაოდენობის ზრდას და ა.შ.

1927-1929 წლებში საბჭოებში, მართლაც, შეიმჩნევა კომუნისტური ფენის ზრდა. მაგალითად, გორის მაზრაში საბჭოების შემადგენლობაში კომუნისტების რაოდენობა 20,8 პროცენტიდან

გაიზარდა 23,2 პროცენტამდე. ოზურგეთში 39 პროცენტიდან 40 პროცენტამდე, ფოთში 66 პროცენტიდან 71 პროცენტამდე.[24]

სისტემატურად იზრდებოდა საბჭოებში ქალების მონაწილეობაც. თუ 1927 წელს დეპუტატების მხოლოდ 8,7 პროცენტი იყო ქალი, 1929 წელს მათი ხვედრითი წილი უკვე 16 პროცენტი გახდა. თუ 1927 წელს აღმასკომის თავმჯდომარე არ იყო არცერთი ქალი, 1929 წელს მათმა რიცხვმა უკვე დაახლოებით 6 პროცენტი შეადგინა.

დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ საბჭოებში ეროვნულ წარმომადგენლობას, ცდილობდნენ ამ შემთხვევაშიც დაეცვათ ბალანსი. მაგალითად, თუ ქართველები მოსახლეობის 72,9 პროცენტს შეადგენდნენ, საბჭოებში ქართველებს ეკავათ 70 პროცენტი. თათარი მოსახლეობის შემადგენლობაში იყო 6,4%, საბჭოებში კი 5,6%, აფხაზები იყვნენ 2,6%, საბჭოებში კი 4,1%.[25]

ყოფილა შემთხვევა, რომ ზემდგომ ინსტანციას გაუუქმებია ადგილობრივი საბჭოს უფლებამოსილება ეროვნული ბალანსის დარღვევის გამო. მაგალითად, აფხაზეთში, ალახაძეში, სადაც ქართველები მოსახლეობის მხოლოდ 29% იყო, არჩევნების დროს საბჭოს პრეზიდიუმის შემადგენლობაში დაიკავეს 60 %. ამის გამო სოფელში არჩევნები ბათილად ცნეს.[26]

ცდილობდნენ საბჭოებში მიეზიდათ ახალგაზრდობა, განსაკუთრებით პოლიტიკურად აქტიური და, რა თქმა უნდა, რეჟიმის მხარდამჭერი. 1927-1928 წლებში აშკარად შეიმჩნევა საბჭოებში ახალგაზრდობის ფენის ზრდა. მაგალითად, 18-23 წლის ახალგაზრდობა 11,4 პროცენტიდან გაიზარდა 13,6 პროცენტამდე, 24-29 წლის ასაკის დეპუტატების რიცხვი – 21,5 პროცენტიდან 24,3 პროცენტამდე.[27]

საბჭოების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს გარეგნული პომპეზურობით ნიღბავდნენ. განსაკუთრებული ზეიმით ტარდებოდა სამაზრო, საქალაქო და რესპუბლიკური საბჭოების სხდომები. ცდილობდნენ ამ საზეიმო დღეს როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე დასწრებოდნენ სტუმრები მოკავშირე რესპუბლიკებიდან, მოსკოვიდან. მაგალითად, გორის მაზრის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა საბჭოების III ყრილობას დაესწრნენ საკავშირო ცაკის აღმასკომის წევრები,[28] ხოლო ქუთაისის სამაზრო ყრილობას 1925 წელს დაესწრო თვით საკავშირო მამასახლისი – მიხეილ კალინინი, ფილიპე მახარაძესა და ვანო სტურუასთან ერთად.

სწორედ ამ წლებში ჩაეყარა საფუძველი საბჭოთა ტრადიციას, რომ ზომდგომი საბჭოების ყრილობისათვის არჩეულ დე-

პუტატებს შორის, აუცილებლად უნდა დაესახელებინა რამდენიმე პარტიული ლიდერი. მაგალითად, როცა გორის მაზრის საბჭოების მესამე ყრილობამ აირჩია საქართველოს საბჭოების ყრილობის დელეგატები, მათ შორის იყვნენ გეგეჭკორი, ივანოვ-კავკაზსკი, კვანტალიანი – საქართველოს სხვადასხვა სამთავრობო სტრუქტურის ხელმძღვანელები.

პრაქტიკაში ხორციელდებოდა ვ. ი. ლენინისა და რუსი ბოლშევიკების კონცეფცია საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ერთიანობის შესახებ. ხელისუფლების შტოები საბჭოთა სისტემის დროს ერთმანეთისაგან გამიჯნული არ იყო. ამიტომაც ყოველგვარი შეფერხებების გარეშე, ყველა დონის ყრილობის შემადგენლობაში ირჩევდნენ სახალხო კომისრებს, მათ მოადგილეებს, სხვადასხვა დონის ადმინისტრაციის ხელმძღვანელებს. გამოცდილება მიუთითებს, რომ რაც უფრო მაღალი დონის იყო საბჭო, მით უფრო „სტერილული", პროკომუნისტური და ხელისუფლებისათვის საიმედო იყო.

საბჭოების ზედა ეშელონებში უპარტიო მოსახლეობის წარმომადგენლებიც იყვნენ – მუშები, რიგითი გლეხები. ეს საბჭოთა პოლიტიკური სისტემის მთავარ მონაპოვრად იყო მიჩნეული. მაგრამ, სათანადო განათლების, პოლიტიკური ცოდნისა და პრაქტიკის გარეშე ეს ადამიანები მთლიანად პარტიულ ხელმძღვანელებზე იყვნენ დამოკიდებულნი და მათი მანიპულირება ადვილად ხდებოდა. 20-იან წლებში საბჭოების შემადგენლობაში ნაკლებად ირჩევდნენ შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლებს. ამიტომაც საბჭოებში ძალიან ბევრი იყო გაუნათლებელი, სპეციალურ მომზადებას მოკლებული დეპუტატი. ამ მხრივ მეტად საყურადღებოა ქუთაისის საბჭოების III ყრილობის დეპუტატების სტატისტიკა: 1925 წ. 315 დეპუტატიდან უმაღლესი განათლება ჰქონდა მხოლოდ 24 კაცს, საშუალო – 44 კაცს, დაბალი – 228, უცოდინარი იყო -14 დეპუტატი.[29]

საბჭოები მრავალრიცხოვანი სტრუქტურა იყო, მაგრამ არა მუდმივმოქმედი. საბჭოების ყრილობები ირჩევდნენ აღმასრულებელ კომიტეტებს, რომლებიც ახორციელებდნენ მიმდინარე პოლიტიკას. აღმასრულებელი კომიტეტის ხელმძღვანელი ბირთვი, უკვე 20-იანი წლებიდან, მუდამ კომუნისტური იყო. სოციალისტ-ფედერალისტების მცირერიცხოვანი ფრაქცია, რაც საქართველოს საბჭოების ყრილობებზე 20-იანი წლების დასაწყისში ჯერ კიდევ გვხვდება, 1924 წლის აჯანყების შემდეგ საერთოდ გაქრა.

რამდენადაც საბჭოების დეპუტატებს წინასწარი სელექცია უკვე გავლილი ჰქონდათ, საბჭოებში მათ აქტივობას არ ზღუდავდნენ და ისინიც თავის გამოსვლაში ძირითადად სამეურნეო-ორგანიზაციული პრობლემების გაშუქებით იყვნენ დაკავებულნი, ნაკლებად ეხებოდნენ „მაღალი პოლიტიკის“ საკითხებს. მაგალითად, გორის მაზრის საბჭოების III ყრილობაზე მსჯელობის საგანი იყო მაზრაში დამბების მშენებლობის, გრძელვადიანი სესხის მიღების, შეშით უზრუნველყოფის, მიწის განაწილების და სხვა, მოსახლეობისათვის ყოველდღიური მნიშვნელობის საკითხები.

ძალიან დიდი დრო ეთმობოდა საგარეო პოლიტიკურ ურთიერთობებს, დეპუტატებს აღელვებდათ თუ რა ხდებოდა ევროპაში, ჩინეთში, ამერიკაში. მაგალითად, გორის სამაზრო ყრილობაზე დეპუტატებმა დასვეს შეკითხვები: რა მოვალეობა ჰქონდათ ჩვენს წარმომადგენლებს დასავლეთ ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში, როგორი იყო პოლიტიკური მდგომარეობა ჩინეთში, რა ვითარება იყო ამერიკის მხრიდან საბჭოთა კავშირის ცნობის საკითხთან დაკავშირებით და ა.შ. (უნდა აღინიშნოს, რომ ამ ყრილობაზე სიტყვით გამოვიდა და დისკუსიაშიც ჩაება ილია ჭავჭავაძის მკვლელი გიგლა ბერბიჭაშვილი).

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა ორგანოებში ბიუროკრატიზმის აღმოფხვრას, რადგან ბიუროკრატიზმი იჩენდა თავს სახალხო ინტერესებისადმი უსულგულო დამოკიდებულებაში. ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ კომუნისტური პარტია მიმართავდა არა მარტო იდეურ ბრძოლას, არამედ საკანონმდებლო ღონისძიებებსაც. საკავშირო კპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა 1926 წლის 25 ნოემბერს მიიღო დადგენილება „ბიუროკრატიზმთან საბჭოთა ორგანოების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა შესახებ“[30].

საბჭოების არჩევნების ორგანიზებულად ჩატარების მიზნით, ამომრჩეველთა აქტივობის ამაღლებისათვის კომუნისტური პარტია ატარებდა რიგ ღონისძიებებს. პარტია ითვალისწინებდა იმას, რომ მოსალოდნელი იყო კულაკურ და ნეპმანურ ელემენტებს ხელი შეეშალათ არჩევნებში მოჯამაგირეთა მონაწილეობისათვის. ამიტომ მსგავსი შემთხვევების აღსაკვეთად საქართველოს ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა 1927 წლის 17 იანვარს ადგილობრივ საბჭოებს დაუგზავნა ცირკულარი, რომელიც ადგილობრივ საბჭოებს ავალებდა არჩევნებში სოფლის პროლეტარიატისათვის (მუშა-მოჯამაგირეთა და მწყემსების) მონაწილეობისათვის ხელშეწყობას. ცირკულარი

შეიცავდა გაფრთხილებას შრომის კოდექსის დაცვის თაობაზე. კოდექსის მიხედვით დამქირავებელს ნება არ ჰქონდა დაებრკოლებინა მუშა-მოჯამაგირეთა მონაწილეობა მშრომელთა კრებებში, როდესაც იგი სამუშაო დროს საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა არჩევისათვის იყო მოწვეული. ცირკულარი ითვალისწინებდა შრომის კოდექსის ამ მუხლს.

1927 წლის 28 მარტ – 3 აპრილს გაიმართა სრულიად საქართველოს საბჭოების IV ყრილობა, რომელიც შეაჯამა გარდამავალი პერიოდის შედეგები და აღნიშნა, რომ მიღწეულ იქნა ომამდელი დონე მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ზოგიერთ დარგში და მიმდინარეობს სრულიად ახალი სამრეწველო მშენებლობა. ყრილობამ თავის რეზოლუციაში ჩაწერა, რომ იგი „სავსებით ადასტურებს მთავრობის მიერ აღებულ ხაზს ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის და ელექტრიფიკაციის საქმეში“[31].

საბჭოების IV ყრილობამ დაამტკიცა საქართველოს ახალი კონსტიტუცია, რომელიც შედგენილი იყო საბჭოთა კავშირის პირველი კონსტიტუციის შესაბამისად. ყრილობამ აირჩია ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი 191 წევრის და 83 კანდიდატის შემადგენლობით, პრეზიდიუმში თავმჯდომარედ აირჩიეს ფ. მახარაძე, ხოლო სასოფლო კომისართა საბჭოს თავმჯდომარედ შ. ელიავა.

შემდგომ წლებში, კერძოდ, 1929 წელს საბჭოების არჩევნები ჩატარდა პოლიტიკური აქტივობის გაძლიერების ნიშნით. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 70,3%-მა, მაშინ როდესაც წინა არჩევნებში ამომრჩეველთა გამოცხადების მაჩვენებელი 56%-ს არ ასცილებია. მნიშვნელოვნად გაიზარდა საბჭოებში მუშების, გლეხების და ინტელიგენციის მონაწილეობა. 1929 წ. სათემო საბჭოებში აირჩიეს 27 ათასი კაცი, აქედან ქალები შეადგენდნენ 16%-ს, სათემო აღმასკომებში არჩეული 2600 წევრიდან ქალების ხვედრითი წილი უდრიდა 14,4“, სამაზრო ყრილობაზე არჩეულ 3400 დელეგატს შორის 15,2% ქალი იყო, ხოლო სამაზრო აღმასკომების 1300 წევრიდან ქალები შეადგენდნენ 11,7%. ქალთა ხვედრითი წილი წინა წლების საბჭოებში 5-9%-ს არ აღემატებოდა[32]. საქართველოს მშრომელთა დეპუტატების მესამე მოწვევის საბჭოებში 1925 წ. არჩეულთა შორის მუშები შეადგენდნენ 26,8%-ს, ხოლო 1929 წ. მეხუთე მოწვევის საბჭოებში – 35,4-ს. საქალაქო საბჭოებში 1925 წ. არჩეული იყო 591 მუშა ანუ დეპუტატთა 41,3%, 1929 წ. კი 1781 მუშა ანუ დეპუტატთა შემადგენლობის 59,4%.

საქართველოს საბჭოების V ყრილობამ (1929 წლის 8-15 აპრილი) განიხილა მრეწველობის და სოფლის მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმები და არსებითი შესწორებანი შეიტანა ხუთწლიანი გეგმის პირველ მონახაზებში, სადაც სათანადო სისრულით არ იყო აღნუსხული ყველა სამეურნეო შესაძლებლობა.

საბჭოების მუშაობა ქვეყნის ცხოვრების ყველა სფეროში მიმდინარეობდა კომუნისტური პარტიის დირექტივების საფუძველზე. ისინი მხოლოდ ფორმალურად განასახიერებდნენ მუშათა კლასის დიქტატურას. ამიტომ მათ არ შეუძლიათ გადამწყვეტი როლის შესრულება ტოტალიტარულ სახელმწიფოში. ამ როლს ასრულებდა მმართველი კომუნისტური პარტია დიდი წინააღმდეგობების დაძლევის ვითარებაში. ამ პერიოდში დიდი შინაპარტიული ბრძოლა მიმდინარეობდა საქართველოს კომუნისტურ პარტიაში.

აშკარაა, რომ XX საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში, პარტიული შიდადაპირისპირების პარალელურად, საკმაოდ განმტკიცდნენ ტოტალიტარული სისტემის ძირითადი პოლიტიკური და საზოგადოებრივი სტრუქტურები: პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები, რომლებიც რაოდენობრივ ცვლილებებთან ერთად განიცდიდნენ ორგანიზაციულ, იდეურ, ფსიქოლოგიურ ევოლუციას კომუნისტური სისტემის განმტკიცების მიმართულებით. ეს ორგანიზაციები სულ უფრო და უფრო ხდებოდნენ ი. ბ. სტალინის პოლიტიკური ფრაქციის იდეების ძირითადი რეალიზატორები, მათი მხარდაჭერით პარტიული ნომენკლატურა უზრუნველყოფდა უზარმაზარი სახელმწიფოს პოლიტიკური და იდეოლოგიური ღვედებით ოპტიმალურ მართვას.

პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების უამრავ საქვეუწყებო საზოგადოებრივ რგოლებსა და სექციებში გაერთიანებული მრავალათასიანი კონტინგენტი თავისი კომუნისტური სულისკვეთებით, მიზანმიმართული საქმიანობით, ჯერ ერთი, ქმნიდნენ საბჭოთა სისტემის დემოკრატიულობის ილუზიას, და მეორე მხრივ, საოცრად განამტკიცებდნენ ტოტალიტარიზმის რუსულ მოდელს.

საბჭოები, რომლებიც თავიდანვე ხელისუფლების სუროგატს წარმოადგენდნენ და ფაქტობრივად არავითარ რეალურ ძალაუფლებას არ ფლობდნენ, საქართველოში აშკარად უსუსურ, მეორეხარისხოვან პოლიტიკურ ორგანოებს წარმოადგენდნენ, რომლებიც მხოლოდ იმეორებდნენ და ამტკიცებდნენ იმ

გადაწყვეტილებებს, რასაც კომუნისტური ხელმძღვანელობა, რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილებები ავალებდათ მათ.

საქართველოს ძალოვანი სტრუქტურები 20-იანი წლების მეორე ნახევარში

1924 წლის აგვისტოს აჯანყება სერიოზული გამოცდა იყო საქართველოს ძალოვანი სტრუქტურებისათვის, მილიციისათვის, წითელი არმიის ქართული ქვედანაყოფებისათვის, პროკურატურისა და იუსტიციის სახალხო კომისარიატისათვის. ბევრ შემთხვევაში გამოჩნდა საბჭოთა მილიციის უსუსურობა თავი გაერთმია მის წინაშე მდგომი ამოცანებისათვის. იყო საბჭოთა სახელმწიფოსათვის მიცემული ფიცის გატეხვის, აჯანყებულთა მხარეზე რიგითი მილიციელების გადასვლის შემთხვევებიც.

ამან საქართველოს პოლიტიკურ ხელმძღვანელობას გაუჩინა სურვილი დეტალურად შეესწავლა, თუ რა ვითარება იყო საქართველოს ძალოვან სტრუქტურებში, როგორ ახორციელებდნენ ისინი პროლეტარიატის დიქტატურის „ფარისა და მახვილის" ფუნქციას, სად იყო დაშვებული შეცდომები, რა ნაკლოვანებები ჰქონდათ და ა.შ.

შემთხვევით არ გვეჩვენება, რომ სწორედ 1925 წლიდან დაიწყო საქართველოს მილიციის ადგილობრივი ქვედანაყოფების ტოტალური შემოწმება, რამაც მის რიგებში ბევრი უწესრიგობა და გადაცდომა აღმოაჩინა. ტოტალური რეჟიმის მთავარი დასაყრდენი – ძალოვანი სტრუქტურებია, რაც გულისხმობს არა მარტო იმას, რომ ეს სტრუქტურები უნდა იდგნენ საზოგადოებაზე მაღლა თავისი მატერიალური შესაძლებლობებით, დისციპლინით, მორალური და ფსიქიკური ძლიერებით, რეჟიმისადმი გამორჩეული ერთგულებით, არამედ, ამასთან ერთად, მათ უნდა ახასიათებდეთ იდეურობა, გარკვეული ფანატიზმიც კი – ამის გარეშე ისინი ვერ შეასრულებდნენ იმ ამოცანებს, რასაც მათ ტოტალიტარული სახელმწიფო აკისრებდა.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ჩატარებულმა შემოწმებებმა აჩვენეს შემდეგი: მაგალითად, კავთისხევის რაიონის მილიციის სამმართველო 1925 წელს, კომისიის აღწერით, ასე გამოიყურებოდა: „შემოწმებისას მორიგე ადგილზე არ იმყოფებოდა, მან არ იცოდა რამდენი თოფი ჰქონდა მინდობილი, თოფები გაუწმენდავი იყო. სამმართველოში უსუფთაობაა, მაგიდები და

სკამები – ჭუჭყიანი, მაგიდები და უჯრები – გაღებული, საიდუმლო დოკუმენტაცია – მიყრილ-მოყრილი. სატუსაღოში ეყარა ცულები, ჩაქუჩები, რკინა-კავეული, არ ჰქონდათ ლეიბი, ბალიში. მილიციაში არ სწარმოებდა არავითარი კულტურული მომსახურება, ცირკულარები თანამშრომლებს არ ეკითხებოდათ".[1]

შორაპნის მილიციის ქვედანაყოფის შემოწმების დროს კომისიამ დააფიქსირა შემდეგი: უდისციპლინობა და თავაშვებულობა, შეუფერებელი საკომისრო კადრები, საქმიანი ქაღალდების ცუდად წარმოება.[2]

ზუგდიდის მაზრის მილიციის სამმართველოში, როგორც სპეციალურმა კომისიამ აღნიშნა, 1925 წელს პირადი შემადგენლობა არ შეეფერებოდა თავის დანიშნულებას, მოშლილი იყო დისციპლინა, მილიციის უფროსის ბრძანებებს არ ასრულებდნენ, იყო მილიციის უფროსთან შეუთანხმებლად სამსახურებრივი პოსტის თვითნებური მიტოვების ფაქტები. არავითარი საგანმანათლებლო მუშაობა არ სწარმოებდა. პირადი შემადგენლობა თავისი სამხედრო და პოლიტიკური მომზადებით არაფრით გამოირჩეოდა, დიდი იყო დენადობა, რამაც 1925 წელს შეადგინა 65 პროცენტი. ზოგიერთ უბანზე მილიციას არ ჰქონდა შტაბ- ბინა (მაგალითად, დარჩლში).[3]

მსგავსი მდგომარეობა იყო ახალციხის[4], სენაკის[5] და საქართველოს სხვა რაიონების მილიციის ქვეგანყოფილებებში.

დისციპლინის მოშლას აპირობებდა მილიციის ცუდი მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება, პირადი შემადგენლობის ყოფითი პრობლემები, მცირე ხელფასი და მისი ხშირი დაგვიანება, სერიოზული პრობლემები ტანსაცმლით, ფეხსაცმლით და კვების პროდუქტებით მომარაგების საქმეში. მოუგვარებელი საყოფაცხოვრებო პირობები და მძიმე სამუშაო საქართველოს ძალოვანი სტრუქტურების პირად შემადგენლობაში ჯანმრთელობის გაუარესებას იწვევდა. ლ. ბერიას აღიარებით, 1930 წელსაც კი საქართველოს პოლიტიკური სამმართველოს პირადი შემადგენლობის 45 პროცენტი ტუბერკულიოზით, ხოლო 73 პროცენტი – ნერვიული აშლილობით იყო დაავადებული.[6] ავადმყოფი, ნერვიულად გაუწონასწორებელი ადამიანები, აღჭურვილნი ძალაუფლებით, წარმოადგენდნენ არა მარტო პოტენციურ, არამედ მოსახლეობის ფაქტობრივ საფრთხეს.

თუ არ ჩავთვლით მილიციის მაღალ ჩინოსნებს, რიგით მილიციელს მიზერული ხელფასი ჰქონდა: მილიციის უფროსი თანამშრომელი თბილისში იღებდა 75 მანეთს, უმცროსი თანამშრომელი – 42 მანეთს. სათემო მილიციის უფროსი თანამშრომე-

ლი იღებდა 35 მანეთს, უმცროსი თანამშრომელი – 28 მანეთს. არ იყო მაღალი არც სამაზრო მილიციის სამმართველოს უფროსების ხელფასები: თბილისის საქალაქო მილიციის უფროსი იღებდა 210 მანეთს, გორის სამაზრო მილიციის უფროსი 123 მანეთს, თემის მილიციის უფროსი – 72 მანეთს.[7]

20-იანი წლების მეორე ნახევარშიც კი პრობლემა იყო მილიციის პირადი შემადგენლობის ტანსაცმლით, ფეხსაცმლით, ამუნიციით, ღირსეული კვებით უზრუნველყოფის საკითხი. მიუხედავად მცდელობისა, 1927 წელსაც საქართველოს მილიციის შეიარაღების საკითხიც კვლავ მოუგვარებელი ჩანს. ლ. ბერიას აღიარებით, 1927 წელს საქართველოს მილიციის შეიარაღების 80 პროცენტი უვარგისი იყო.[8] დასტურდება შემთხვევები, როდესაც სამაზრო მილიციის პირადი შემადგენლობის იარაღის მხოლოდ 2 პროცენტი იყო სახმარად ვარგისი (მაგალითად, ქუთაისის მეორე რაიონის მილიციის ქვეგანყოფილებაში) .[9]

როცა ხელფასი ცოტაა, იდეური მუშაობა არ სწარმოებს, დისციპლინა მოშლილია, ლოგიკურად წარმოიშობა სხვა დარღვევებიც – მექრთამეობა, თანამდებობის ბოროტად გამოყენება, უპასუხისმგებლობა. უკვე 20-იანი წლების მეორე ნახევარში საქართველოს პოლიტიკური სამმართველო (ყოფილი „ჩეკა“) უთვალთვალებდა მილიციას, მის პირად შემადგენლობას და არსებობს უამრავი შეტყობინება მილიციის თანამშრომელთა მხრიდან სამსახურეობრივი მოვალეობის შეუსრულებლობის, მექრთამეობის, საეჭვო პირებთან მათი ურთიერთობის, განსაკუთრებით კი სექსუალური დანაშაულების შესახებ.

მაგალითად, 1925 წელს ორმოცის თემის ზემო რეხის გლეხები უჩიოდნენ წალკის თემის მილიციის თანამშრომლებს, რომლებიც აჭარბებდნენ თავის უფლებებს, ხშირად თავს ესხმოდნენ სოფელს, აპატიმრებდნენ გლეხებს, დაატუსაღეს სოფლის მღვდელი, ძალის გამოყენებით რეკვიზიციას უკეთებდნენ სურსათსა და ფურაჟს. გლეხები ითხოვდნენ დახმარებას.[10]

პოლიტიკური სამმართველოს შეტყობინებებში ფიქსირებულია ზოგიერთი მილიციის თანამშრომლის სექსუალური დანაშაული,[11] ფინანსური დარღვევები [12], გლეხობისადმი უდიერი და უხეში მოპყრობის ფაქტები [13] და ა.შ.

ასეთ ვითარებას, რა თქმა უნდა, კომუნისტური რეჟიმი ვერ მოითმენდა და შეიძლება კი ვუწოდოთ რეჟიმს ტოტალიტარული – როცა მისი მილიცია ასეთ კრიზისშია? აშკარაა, რომ ტოტალიტარიზმის მხოლოდ ელემენტებია სახეზე და მათი განმტკიცება და განვითარება იყო საჭირო.

გადაუდებელ ამოცანად დაისახა მილიციაში მუშაობის რადიკალური გარდაქმნა, პირადი შემადგენლობის დისციპლინის ამაღლება, მათი საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება, კულტურული დონის ამაღლება, იმუნიციის გაუმჯობესება, საწვრთნელ-მოსამზადებელი სამუშაოების დროული და ეფექტიანი ჩატარება. მხოლოდ ასეთი დამოკიდებულება შექმნიდა რეჟიმის ერთგულ, ნდობით აღჭურვილ ფენას. მაგრამ ამას, გარკვეულ დროსთან ერთად, უდიდესი მატერიალური დანახარჯებიც სჭირდებოდა. 20-იანი წლების მეორე ნახევარში საბჭოთა ქვეყნის ეკონომიკური შესაძლებლობები ჯერ კიდევ ფრიად მოკრძალებული იყო და მას არ შეეძლო მკვეთრად გაედიდებინა ხელფასები, უზრუნველეყო პირადი შემადგენლობა საუკეთესო ამუნიციით, ნორმალური საყოფაცხოვრებო პირობებით. ამიტომაც ეს ყველაფერი შეცვალა ადმინისტრირებამ, ფანატიზმმა, უწყებაში ხელისუფლების ერთგული კადრების – კომუნისტებისა და კომკავშირლების მოზიდვამ, პოლიტიკური სამმართველოს მხრიდან სისტემატურმა კონტროლმა, დასმენებმა. ეს უკანასკნელი მილიციის გარკვეულ ნაწილს აიძულებდა მუდამ ფორმაში ყოფილიყო, რომ არ აღმოჩენილიყო რთულ მორალურ-ფსიქოლოგიურ პირობებში, არ ჩაედინა სერიოზული გადაცდენა (მაგალითად, ჩვენთვის ცნობილია პოლიტსამმართველოს საიდუმლო შეტყობინება თბილისის ერთ-ერთი რაიმილიციის უფროსის თანაშემწეზე, რომელსაც დაბრალდა „ვაჭრებთან კავშირი" მხოლოდ იმიტომ, რომ მან ისესხა ნაცნობი ვაჭრისაგან 5 მანეთი[14]). შემონახულია ზუგდიდის რაიონის სოფ. ხეთის გლეხობის კოლექტიური განცხადება საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისრისადმი, სადაც ისინი ბრალს სდებდნენ ხობის რაიმილიციის უფროსს ყაჩაღთან (არაპოლიტიკურ) მეგობრობას, რის გამოც ყაჩაღი დაუსჯელად დათარეშობდა რაიონში, ჩაგრავდა გლეხებს და არავინ იყო მისი დამჭერი.[15]

ძალოვანი სტრუქტურების განსამტკიცებლად საკანონმდებლო ორგანოები იღებდნენ სპეციალურ კანონებს, რომლებიც შემდეგ შესაძლებლობას აძლევდნენ სახალხო მილიციას უფრო აქტიური ზემოქმედება მოეხდინათ საზოგადოებაზე. 1925 წლის 12 იანვარს სრულიად საქართველოს ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა, სხვა სახალხო კომისარიატებთან ერთად, ახალი დებულება დაუმტკიცა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს. იმავე წლის 15 ივლისს დამტკიცდა საქართველოს მუშურ-გლეხური მილიციის დისციპლინარული წესდება. როგორც წესდება მიუთითებდა: „რევოლუციური სამილიციო დისციპლი-

ნა არის სისწორით ასრულება მუშურ-გლეხური წითელი მილიციისათვის კანონით და წესდებით დამყარებული სამსახურის წესები და მოსამსახურეთა საყოფაქცევო მოვალეობა". [16]

ჩვენი ვარაუდით, ასეთი დოკუმენტების მიღება განაპირობა საქართველოს მილიციაში არსებულმა სნორედ იმ უდისციპლინობამ და რთულმა შიდასაუწყებო ვითარებამ, რის შესახებაც ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი. კომუნისტური ხელისუფლება, კომუნისტური სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში, ვერ მოითმენდა მოდუნებულ, პასიურ, უმოქმედო მილიციას. ახალი დებულებები და წესდებები აპირობებდნენ და ავალებდნენ მილიციის მუშაკებს საქართველოს სსრ ყველა კანონისადმი პატივით მოპყრობას, სოციალისტური სამშობლოს, საბჭოთა მთავრობისათვის მიცემული აღთქმის ერთგულებას, იმის შეგნებას, რომ პირადი ნებისყოფა უნდა ემორჩილებოდეს კანონსა და უფროსის ბრძანებას. ამრიგად, მილიციელი უკვე კანონით გახდა ვალდებული უსიტყვოდ შეესრულებინა კომუნისტური სახელმწიფოს ყველა მოთხოვნა, წინააღმდეგ შემთხვევაში ის გახდებოდა ფიცის გამტეხი და მასზე განახორციელებდნენ მკაცრ ადმინისტრაციულ ზემოქმედებას .

ჩვენ ვთვლით, რომ ასევე მეტად მნიშვნელოვანია 1926 წელს პრაქტიკაში შემოსული ინსტრუქცია „ცნობების მომწოდებლებისა და აგენტურის შესახებ". ეს მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოს მილიცია უკვე აშკარად ცდილობდა საზოგადოების ყველა ფენის გაკონტროლებას, სურდა ყოფილიყო მოვლენათა ცენტრში, მიეღო პრევენციული ზომები, ჰქონოდა ინფორმაცია საზოგადოების ცალკეული წარმომადგენლების შესახებ. ცირკულარი ავალებდა მილიციის თანამშრომლებს დამნაშავეთა ცხოვრების წინასწარ გამომჟღავნებას, დამნაშავეზე და დანაშაულთა შესახებ ცნობების შეკრებასა და დამუშავებას, საეჭვო თავშესაფრების, პროფესიონალ დამნაშავეების, არაკეთილსაიმედო პირთა შესახებ ცნობების შეგროვებას. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ეს წესები ვრცელდებოდა პოლიტიკურად არასაიმედო პირებზეც.

შეიქმნა სპეციალური „საცნობარმიმცემი რწმუნებულის" შტატი, რომელიც ასევე ყველა სამილიციო უბანზე უნდა შექმნილიყო. უდავოა, რომ მსგავსი ღონისძიებებით მილიცია და მისი ძირითადი დამკვეთი – საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, ცდილობდნენ თავისი პოლიტიკური ოპონენტების მიმართ პრევენციული და ასევე ქმედითი ღონისძიებების გასატარებლად წინასწარი სამოქმედო გეგმების შემუშავებას.

ჩვენ არ ვიქნებით მართალნი, თუ ვიტყვით, რომ ეს ღონისძიებები მარტო პოლიტიკური მიზნით იყო გამოყენებული. 20-იანი წლების საქართველოში, როგორც ყველა ქვეყანაში, დანაშაული, მათ შორის ორგანიზაციული დანაშაული, საკმაოდ იყო გავრცელებული (მაგალითად, დაფიქსირებულია, რომ 1927 წელს თბილისში უაღრესად დაიძაბა კრიმინოგენული ვითარება, რასაც ხსნიდნენ იმჟამად საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რეგიონებიდან დამნაშავე სამყაროს წარმომადგენლების თბილისში თავმოყრით) და საბჭოთა მილიციას, ხელისუფლების პოლიტიკურ ოპონენტებთან ერთად, ევალებოდა ჩვეულებრივი ქურდების, აფერისტების, მექრთამეების, შულერების, მეძავების, მკვლელებისა და ნარკომანების ძებნა და გამოვლენა. თუმცა ისიც, აშკარაა, რომ 20-იანი წლების დასასრულს, კომუნისტურ პარტიაში შიდაფრაქციულმა დაპირისპირებამ კულმინაციას მიაღწია და მილიციას დაევალა უზრუნველეყო სწორედ მათი ადმინისტრაციული წესით დეპორტაციაც.

20-იანი წლების შუა ხანებიდან ძლიერდება კონტაქტი მილიციასა და პოლიტიკურ სამმართველოს შორის. სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო, ყოფილი საგანგებო კომისიის („ვჩკ"-ს) სამართალმემკვიდრე და ღვიძლი შვილი იყო. იგი კომუნისტური პარტიის განსაკუთრებული მზრუნველობით და ნდობით სარგებლობდა. 20-იანი წლების ბოლოს მას საქართველოში უკვე კარგად განვითარებული აგენტურული ქსელი ჰქონდა. საქართველოს მილიციასაც ინფორმაციის თავისი წყაროები და თავისი აგენტურა ჰყავდა, მაგრამ პოლიტიკური სამმართველო ამ მხრივ კიდევ უფრო ორგანიზებული და ინფორმირებული იყო და ის ფაქტობრივად კურირებდა მილიციის ადგილობრივ ორგანოებს, უგზავნიდა შეტყობინებებს, ავალებდა ინფორმაციის გადამოწმებას. ეს ეხებოდა საზოგადოების ყველა საეჭვო ელემენტს – იქნებოდა ეს კრიმინალური თუ პოლიტიკური.

ამ შეტყობინებების მეცნიერული ანალიზი ადასტურებს აზრს, რომ სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო იყო ჩინებულად ინფორმირებული საზოგადოების სხვადასხვა სოციალურ ფენაში მიმდინარე პროცესების შესახებ, რომ თვალთვალისაგან დაზღვეული არ იყვნენ თვით ხელმძღვანელი მუშაკებიც კი. ეს მიუთითებს აგუნტურის განტოტვილ ქსელზე, მაგრამ საქმე იმაშია, რომ 20-იანი წლების მეორე ნახევარში საბჭოთა ხელისუფლებას ჯერ კიდევ არ ჰქონდა ის ფინანსური რესურსი, რომელიც უზრუნველყოფდა ქვეყნის შიგნით მძლავრი აგენტურული ქსელის შექმნას. აგენტების დიდი უმრავლესობა იმჟამად

უანგაროდ ემსახურებოდა საბჭოთა ხელისუფლებას. ესენი იყვნენ კომუნისტები, კომკავშირლები, პროფკავშირის „იდეური წევრები“, რომლებიც თავის მოვალეობად თვლიდნენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში შემჩნეული ყველა გადაცდომა შეეტყობინებინათ პოლიტიკური სამმართველოსა და მილიციისათვის. ამ ჩვენს მოსაზრებას ამტკიცებს ერთი ფაქტი აფხაზეთის მილიციის ცხოვრებიდან. ერთ-ერთ საიდუმლო დოკუმენტში მითითებული იყო, რომ 1929 წელს მათ მოახერხეს მხოლოდ 11 ინფორმატორის გადმობირება, რადგან მათ საიდუმლო თანხები არა ჰქონდათ.[17]

ბევრი ინფორმაცია შედიოდა ანონიმური წყაროებიდან, რომლის გადამოწმებას საკმაო დრო ჭირდებოდა. მაგალითად, ვინმე ანონიმი „მნახველი“ ატყობინებდა პოლიტიკურ სამმართველოს, რომ ქუთაისის მილიციის სამმართველოს უფროსი „სისხლს სწოვდა მუშებს“. პოლიტიკურ სამმართველოში ასევე შევიდა შეტყობინება, რომ ასევე ქუთაისის მაზრის ქვიტირის თემის აღმასკომის თავმჯდომარე და მდივანი ეწევიან აღვირახსნილ ცხოვრებას, ლოთობენ, მეგობრობენ მღვდელთან, გლეხებს ყურადღებას არ აქცევენ და ა.შ. ადგილზე გაიგზავნა პასუხისმგებელი პირი, რომელმაც დაადასტურა ინფორმაციის ცილისწამებლური ხასიათი.[18]

საიდუმლო შეტყობინება შევიდა ხიდისთავის თემაღმასკომის თავჯდომარეზე, რომელიც ეწეოდა მოიჯარეობას, გლეხებს აძლევდა საკუთარ მიწებს დასამუშავებლად, ყიდულობდა კერძო მამულებს, გლეხებს გადასახადის გადახდიდან ათავისუფლებდა იმ მოტივით, რომ მისთვის მიწა დაემუშავებინათ და ა.შ. პოლიტიკური სამმართველოს დავალებით ეს ფაქტი შემოწმდა და დადასტურდა. რამდენადაც თემაღმასკომის თავმჯდომარე იყო კომუნისტური პარტიის წევრი და დაუდასტურდა ეს „კულაკური ტენდენციები“, ის გარიცხეს პარტიიდან, მამული, რომელიც უკანონოდ შეიძინა, ჩამოართვეს და გადარიცხეს სახელმწიფო ფონდში.

იმჟამიად კომუნისტებს ძალიან მკაცრად სთხოვდნენ. გადაცდომებს, თუ ეს გახმაურდებოდა, არ პატიობდნენ, აპატიმრებდნენ. ყოფილი კომუნისტებით საქართველოს ციხეები განსაკუთრებით გაივსო შიდაპარტიული დაპირისპირების კულმინაციის პერიოდში – 1929-1930 წლებში, როცა ბევრი ტროცკისტი, ზინოვიევისა და კამენევის მომხრე და მხარდამჭერი, ბუხარინის ერთგული ციხეში აღმოჩნდა.

ციხე საბჭოთა საზოგადოებაში როგორც კრიმინალების, ისე პოლიტიკურად არასაიმედო პირების იზოლირების ადგილი იყო. პოლიტიკური დამნაშავენი (არასაბჭოთა პარტიის ხელმძღვანელები და წევრები, კომუნისტური ოპოზიციის ხელმძღვანელები და წევრები) კრიმინალებთან ერთად ერთ ციხეში თავსდებოდნენ, თუმცა მათთვის ციხეში (მაგალითად, საქართველოში) სპეციალური კორპუსი იყო აშენებული და მათთთან ურთიერთობა კრიმინალებს სპეციალური ნებართვის გარეშე სასტიკად ეკრძალებოდათ.

თუმცა არის ცნობები, რომ ზოგიერთ ციხეში ეს წესი არ სრულდებოდა და კრიმინალები თავისუფლად შედიოდნენ პოლიტიკურთა კორპუსებში, რაც შინაგანაწესის უხეშ დარღვევად ითვლებოდა.[19]

პოლიტიკურ პატიმრებს ეკრძალებოდათ ფანჯარასთან მისვლა და ქუჩაში მზერა, ნათესავების კონტაქტი მათთან შეზღუდული იყო. ციხეებზე მეთვალყურეობის გაძლიერების მიზნით 20-იანი წლების დასასრულს საპატიმროებს შეუცვალეს დაქვემდებარება – ის შინაგან საქმეთა კომისარიატის დაქვემდებარებიდან გადავიდა იუსტიციის სახკომის დაქვემდებარებაში, მაგრამ ეს ვერ ცვლიდა საქართველოს ციხეში არსებულ აუტანელ მდგომარეობას. არსებობს ციხის სამზარეულოს აღწერილობა, რომელიც ძალიან შორს დგას იდეალურისაგან: „მაგიდა, რომელზეც ხორცი იჭრება – ბინძურია, გაქონილია, სისუფთავისათვის არავითარ ზომებს არ იღებენ. საკვებს ბინძურად ამზადებენ თვითონ პატიმრები, თასები ბინძურია...“ [20]

ციხეებში ხშირად შემთხვევითი ხალხი მუშაობდა, ისინი არღვევდნენ შინაგანწესს, რაც ზოგჯერ ტრაგიკული სიტუაციის საფუძველი ხდებოდა. მაგალითად, გორის გამოსასწორებელ სახლში ციხის ზედამხედველებმა ერთად, ერთ საკანში მოათავსეს სამი სიკვდილმისჯილი. პატიმრებმა გააპროტესტეს განაჩენი, ჩაიკეტნენ ოთახში, დაშალეს ღუმელი, აღმართეს ბარიკადები და დაიწყეს წინააღმდეგობა. ზედამხედველები ვერ ახერხებდნენ ოთახში შესვლას, იძულებულნი გახდნენ ჭერი გაეჭრათ და ადგილზევე დაეხვრიტათ ბრალდებულები (არსებობს ამ დახვრეტის ოქმი, რომელსაც ოთხი კაცი აწერს ხელს, მათ შორის ციხის ექიმი).[21]

საერთოდ ძალოვანი სტრუქტურების მხრიდან უფლებების გადამეტება – ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ამის საფუძველთა საფუძველი საბჭოთა სისტემის ძალადობრივ ხასიათშიც იყო, მაგრამ ხშირად სცოდავდნენ თვითონ ადამიანებიც – ნაკლებად

კულტურული, უხეში, გაუნათლებელი პირები ვერ შექმნიდნენ ვერც ციხეში და ვერ გარეთ იდეალურ პირობებს. ამის ჩინებული მაგალითია ერთი ფაქტი. 1927 წლის 2 დეკემბერს თბილისში, „ზემელზე"(დღევანდელი რუსთაველის მოედანი) ქუჩის გადაკვეთის დროს რიგითმა მილიციელმა შელაპარაკების ნიადაგზე დააპატიმრა თბილისში ჩამოსული საბჭოთა დიპლომატი გრინბერგი. როგორც გაირკვა, თბილისის მილიციის №1 სამმართველოში ის „აწვალეს" (ამ ტერმინით გამოხატავდნენ ცნებას „წამება"). იმჟამად ქუჩის უნებართვოდ გადაკვეთაზე პატიმრობა არ იყო გათვალისწინებული, თანაც დიპლომატის „წვალებამ" დიდი რეზონანსი გამოიწვია და ამ ინცინდენტში ჩაბმული მილიციელები დაისაჯნენ.[22]

საერთოდ, შეიმჩნევა, რომ არის მცდელობა 20-იანი წლების მეორე ნახევარში უფრო გააუჯობესონ მილიციის რიგითი შემადგენლობა, აამაღლონ მათი ცოდნისა და პოლიტიკური მომზადების დონე, მილიციის რიგებიდან დაითხოვონ წერა-კითხვის უცოდინარი, შემთხვევითი პირები, განსაკუთრებით მეფის რეჟიმისა და მენშევიკების დროს ძალოვან სტრუქტურებში მომუშავე ადამიანები (თუ კი ასეთები აღმოჩნდებოდნენ). განსაკუთრებით ხელს უწყობდნენ ძალოვან სტრუქტურებში კომუნისტებისა და კომკავშირლების ფენის გაძლიერებას – ამას ორმხრივი დატვირთვა ჰქონდა: ისინი იქნებოდნენ რეჟიმის მტკიცე ერთგულნი, და, ამასთან, მათ უფრო მკაცრად სთხოვდნენ გადაცდომებისათვის, ვიდრე არაკომუნისტს თუ არაკომკავშირელს.

მაგალითად, არის დუშეთის მაზრის მილიციის პირადი შემადგენლობის სტატისტიკა: მაზრის მილიციაში სულ 107 კაცია, მათ შორის კომუნისტური პარტიის წევრი იყო 3, წევრობის კანდიდატი – 12, კომკავშირელი 13, უპარტიო 79. მილიციელები ძირითადად გლეხობის სოციალური ფენის წარმომადგენლები არიან, მათგან 17 უცოდინარია, 83 დაბალი განათლების, საშუალო განათლება მხოლოდ 7 კაცს ჰქონდა.[23]

თელავის მაზრის მილიციის სამმართველოში საერთოდ თანამდებობებიდან გაათავისუფლეს ყველა წერა-კითხვის უცოდინარი. ოზურგეთის რაიმილიციის შემადგენლობა კი ძირითადად კომუნისტებით დაკომპლექტდა.[24]

20-იანი წლების ბოლოს უკვე ხერხდება რაიმილიციის შტატის სრული დაკომპლექტება. ეს შტატი დიდი არ იყო, მაგრამ საკმაოდ განტოტვილი. მაგალითად, ოზურგეთის მაზრაში 8 სარაიონო მილიციის განყოფილება იყო: ცენტრში 17 მილიციელი, ხოლო რაიონებში: თითოეულში 7-9 მილიციელი იყო შტატში.

ალბათ იმიტომ, რომ ვერ მოხერხდა მილიციის პირადი შემადგენლობის სათანადო შერჩევა და საჭირო ორგანიზაციული მუშაობის გარკვეულ კონდიციამდე მიყვანა, 1927 წელს საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით შეიქმნა განსაკუთრებული შეიარაღებული კომუნისტური რაზმები.[25] მათი მიზანი იყო საქართველოში რევოლუციური წესრიგის განმტკიცება.

ამასთან, უკვე 1925 წლიდან შეიქმნა საუწყებო მილიცია, რომლის ძირითადი მოვალეობა იყო სამეურნეო და თანამდებობრივი გადაცდომების თავიდან აცილება, კერძო საკუთრების თანდათან მოსპობის პირობებში თვალთვალი იმაზე, რომ არავის წაეღო საზოგადოებრივი ქონება – ძალიან აქტუალური შეიქმნა. ამიტომაც ჩამოყალიბდა საუწყებო დაცვა დარგების მიხედვით. არსებობდა: სარეწაო, საფაბრიკო-საქარხნო, სავაჭრო-სამრეწველო, საკრედიტო-საფინანსო, საკურორტო სანავსადგურო და ა.შ. [26]

ეს ყველაფერი აშკარად მიუთითებს, რომ 20-იანი წლების დასასრულს საბჭოთა ხელისუფლებამ შექმნა ძალოვანი სტრუქტურების ჩინებული ბადე-ქსელი, რომლებიც პარალელურად არსებობდნენ, ერთმანეთს უთვალთვალებდნენ-ამოწმებდნენ. მათი მთელი ძალისხმევა კი მიმართული იყო კომუნისტური სახელმწიფოს ინტერესების დასაცავად კომუნისტური დიქტატურის განსამტკიცებლად.

რა თქმა უნდა, მილიცია ებრძოდა ქურდებსა და ყაჩაღებს – აშკარა კრიმინალებს. არის სტატისტიკა, რომ 1921-1924 წლებში საქართველოს მილიციის მიერ მოკლულია 393 ყაჩაღი, დაიჭრა – 15, შეპყრობილია – 487, თავისი ნებით ორგანოებს ჩაბარდა – 116 ყაჩაღი.[27]

მაგრამ საბჭოთა მილიციის თავისებურება ის იყო, რომ ის ებრძოდა, მეთვალყურეობდა საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკურ რეალურ თუ პოტენციურ ოპონენტებსაც. მილიციის რაიონულ ქვედანაყოფებებს ევალებოდათ აღერიცხათ მათ რაიონებში ყოფილი თავადები, ოფიცრები, მეფისა და მენშევიკების ძალოვან სტრუქტურებში დასაქმებული ადამიანები. პერიოდულად ხდებოდა ამ სიების გადამოწმება. საერთოდ, ასეთ ადამიანებს სახელმწიფო სტრუქტურებში არ იღებდნენ, მაგრამ როგორც ჩანს, ისინი ამას მაინც ახერხებდნენ. ასეთი სიები ძალიან ბევრია შემონახული. მაგალითად, ერთ-ერთ სიაში 135 კაცია. ასეთი ადამიანები იყვნენ თბილისში, ქუთაისში, ახალციხეში, ტყის მრეწველობის ტრესტში და ა.შ.[28]

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 20-იანი წლების ბოლოს გაკეთდა სტატისტიკა, რომელმაც აჩვენა თავადაზნაურთა წარმომადგენლების მონაწილეობა საქართველოს სახელისუფლო სტრუქტურებში. თვით შინსახკომის თანამშრომელთა 22 %-თავადაზნაურთა შვილები იყვნენ.[29]

20-იანი წლების მეორე ნახევარში ძალოვან სტრუქტურებს უფრო ხშირად, ვიდრე ადრე, ევალებოდათ მოქალაქის ადმინისტრაციული წესით გასახლების გადაწყვეტილების რეალიზება. ამ გადაწყვეტილების დაყენება კი ხელეწიფებოდათ როგორც სასამართლოს, ისე ყველა დონის აღმასრულებელ კომიტეტს, გლეხთა თავყრილობას, სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოსთან არსებულ განსაკუთრებულ თათბირს. საქართველოს ცაკი ამ გადაწყვეტილებას ადასტურებდა ან უარყოფდა (უფრო – ადასტურებდა). განსაკუთრებით ხშირად ასახლებდნენ თავადაზნაურებს. ამის სურვილს კი გლეხები გამოთქვამდნენ. მაგალითად, თავადები ლევან ლუარსაბის ძე და გიორგი მიხეილის ძე ერისთავები გლეხთა ყრილობის გადაწყვეტილებით მილიციამ გაასახლა სოფ. ტყვიავიდან.[30] ახალციხიდან გაასახლეს ყოფილი თავადი თარხანიშვილი (დოკუმენტში ასეა, ალბათ თარხნიშვილი), რომელიც ადრე უკვე იყო გასახლებული გორიდან. [31]

იყო შემთხვევები, როცა გასახლებაზე საჭირო დოკუმენტაცია სრული არ იყო, სასამართლოს უჭირდა გადაწყვეტილების მიღება, მაგრამ რამდენადაც დასტური გასახლებაზე მიცემული ჰქონდა სამაზრო საბჭოების ყრილობას, სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის 181.21 პუქტის „ზ" 24 და 34 მუხლების საფუძველზე ბრალდებულს ასახლებდნენ.

„სოციალურად საშიშ ელემენტებს" საკონცენტრაციო ბანაკებში ასახლებდნენ, განსაკუთრებით ხშირად რუსეთის ფედერაციის ავტონომიაში – მარში. ამ ეტაპზე ხშირად გვხვდება 3 წლიანი გადასახლება. ხდებოდა, როცა სოფლიდან რამდენიმე კაცს ასახლებდნენ. მაგალითად, სოფელ ახალი ვაზიანის თემიდან 9 კაცი გაასახლეს.[32] გასახლება იყო ინდივიდუალური, უფრო მოგვიანებით – კოლექტივიზაციის პროცესის დროს – ასახლებდნენ ოჯახებით (ამის შესახებ საუბარი იქნება ქვემოთ). რა თქმა უნდა, ეს პროცესები დაკავშირებული იყო ძალადობასთან, ადამიანის უფლებების უხეშ დარღვევებთან, მაგრამ მთლიანად შეესაბამებოდა კომუნისტური მართლმსაჯულების კანონებს, რომელიც ითხოვდა კომუნისტური საზოგადოებისათვის მიუღებელი მოქალაქეების იზოლირებას, შრომაგასწორების ბანაკებში

მათ „აღზრდას“ საბჭოთა საზოგადოებისათვის მისაღებ პირებად.

მილიციის გამოყენებით მოხდა ხევსურეთის „დაშოშმინება“. 1927 წელს სერიოზულად დაიძაბა ვითარება ხევსურეთში. დუშეთის სამაზრო კომიტეტის აღიარებით „ხევსურეთი ადვილად შეიძლება იქნეს გამოყენებული საბჭოთა ხელისუფლების მტრების მიერ შეიარაღებული გამოსვლისათვის... აქ ადამიანები იმყოფებიან პირველყოფილი წყობილების ეტაპზე და სადაც არა თუ არ არსებობს კულტურული და სამედიცინო დაწესებულება,... არამედ არ არსებობს თვით საბჭოთა ხელისუფლების ორგანოებიც კი, რომელიც რამენაირად გააუმჯობესებს ამ კუთხის მდგომარეობას. თემაღმასკომები ფორმალურად არსებობენ, რომლებშიც ხევსურები მუშაობენ და წარმოდგენა არა აქვთ საბჭოთა ხელისუფლებაზე“.[33]

სამაზრო აღმასკომი ხელისუფლებას სთავაზობდა სასწრაფოდ განეხორციელებინა ხევსურების ტოტალური განიარაღება, ფაქტიური საბჭოთა ორგანოების შექმნა, ხევსურეთის მიწათმოწყობა, სკოლების ქსელის გაფართოება, სახალხო სასამართლოს მოწყობა, გზის გაყვანა, ხევსურების გაწვევა ჯარში.

20-იანი წლების დასასრულს საქართველოს კომუნისტურ ხელისუფლებას, მართლაც, სერიოზულად აღელვებდა საქართველოს მიუდგომელი ტერიტორიები, სადაც ჯერ კიდევ არ იყო მისული საბჭოთა ხელისუფლება და რომელ ტერიტორიებსაც ის ვერ აკონტროლებდა. მათ შორის, როგორც ჩანს, პირველობა ხევსურეთსა და თუშეთს ეკუთვნოდათ. 1927 წლის აგვისტოში შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელსაც უნდა მოეხდინა „მშვიდობიანი ფორმით“ საქართველოს აღმოსავლეთ მთიანეთის მოსახლეობის განიარაღება. ხევსურები საბჭოთა ხელისუფლებამ 1922 წ. ქ. ჩოლოყაშვილის აჯანყების შემდეგ განაიარაღა (ჩამოართვეს 600 შაშხანა), 1927 წლის ზაფხულში განხორციელებული ეგზეკუციის (მონაწილეობდა 70 ცხენოსანი მილიციელი) შედეგი იყო ასეთი – მოსახლეობას ჩამოართვეს 61 შაშხანა, 8 რევოლვერი, მათ შორის 6 ნაგანი, 1 მაუზერი, 1 ბრაუნინგი. იარაღის 75 პროცენტი საბრძოლო მდგომარეობაში იყო(თუ გავითვალისწინებთ, რომ საბჭოთა მილიციის შეიარაღების 80 პროცენტი ლ. ბერიას აღიარებით საქართველოში იყო უვარგისი, აშკარა ხდება ამ ოპერაციის მნიშვნელობა საბჭოთა ხელისუფლებისათვის.).[34]

ასეთი სერიოზული ოპერაციების დროს იყენებდნენ საჯარისო სტრუქტურებსაც. ჯერ კიდევ 1925 წლის ოქტომბერში

საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭომ მიიღო დადგენილება, რომ წითელი არმიის ადგილობრივ ქვედანაყოფებს უფლება ჰქონდათ განსაკუთრებულ შემთხვევებში (კონტრრევოლუციური შეთქმულება, აჯანყება, ბანდიტიზმის მასობრივი განვითარების დროს. მოსახლეობის უშიშროების დასაცავად) წითელი არმიის საჯარისო შენაერთების გამოყენება. ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ამ დადგენილების მიღებას ხელი შეუწყო საქართველოში 1924 წლის აჯანყების ლიკვიდაციის დროს წითელი არმიის საჯარისო სტრუქტურების აქტიურობამ, როცა დადასტურდა მილიციის ადგილობრივი ორგანოების არაპროფესიონალიზმი, ცუდი დისციპლინა, მერყეობა და ა.შ.

ჩვენ ზემოთ, შესაბამის პარაგრაფში, უკვე აღვნიშნეთ, რომ 1921-1923 წლებში საქართველოსა და ამიერკავკასიაში ერთადერთი ანგარიშგასაწევი სამხედრო შენაერთი – რუსეთის საჯარისო სტრუქტურა – კავკასიის ცალკე არმია იყო. წითელი არმიის ქართული ნაწილების ფაქტობრივი ფორმირება დაიწყო 1923 წლიდან. პირველი ქართული დივიზიის მესამე ლეგიონი 1924 წელს საბანაკოდ გავიდა. აგვისტოში ის მონაწილეობდა დასავლეთ საქართველოში ანტისაბჭოთა გამოსვლების ჩახშობაში. ის დიდი ხნით დარჩა ოზურგეთის მაზრაში და უზრუნველყო გურიის უკმაყოფილო მოსახლეობის დაშოშმინება.

მე-2 ქართული დივიზია 1924 წელს შეიქმნა. მისი შტაბი ქუთაისში განათავსეს, 1925 წელს შტაბი თბილისში გადმოვიდა. ახლადშექმნილ დივიზიას ბევრი პრობლემა ჰქონდა – არ იყო წესდებები, სასწავლო პუნქტები, მატერიალური ნაწილიც მოუწესრიგებელი ჩანს .[35]

პირველ ქართულ დივიზიას მეთაურობდა გ. ქუთეთელაძე, მე-2 დივიზიას – პ. აღნიაშვილი.

მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ ქართული არმიის შემადგენლობაში 84,4 პროცენტი იყო მუშა და გლეხი. თანაც თუ გავითვალისწინებთ, რომ არმიაში არ იწვევდნენ ხმაჩამორთმეულ მოსახლეობას და მათ შვილებს, რაც გულისხმობდა იმას, რომ ქართული შეიარაღებული ფორმირებები ძირითადად ღარიბი და საშუალო გლეხობისა და მუშების შვილებით იყო დაკომპლექტებული, გასაგები გახდება, რომ ისინი კომუნისტური რეჟიმის ძლიერ დასაყრდენს წარმოადგენდნენ.

მით უფრო, რომ ფორმირების შემდგომი პერიოდი ორივე ქართული დივიზიისათვის იყო ინტენსიური სამხედრო მომზადების წლები, რომ დაძლეულიყო სიძნელეები და ქართული ეროვნუ-

ლი ქვედანაყოფების ნაწილებს დაეკავებინათ ღირსეული და წამყვანი ადგილი საერთო საკავშირო საჯარისო სტრუქტურებში.

ამ მიზნით ეწყობოდა „კარვობა“ – ველზე პრაქტიკული მეცადინეობები – მანევრები, კომბინირებული მანევრები ჯარის სხვადასხვა სახეობის ნაწილების ურთიერმოქმედების განსამტკიცებლად, მონაწილეობდნენ როგორც ქვეითი შენაერთები, ისე კავალერია, არტილერიული ნაწილები. უკვე 1928 წელს ჩატარებულმა საბრძოლო ოპერაციებმა აჩვენეს დივიზიის მზარდი შესაძლებლობები.

განსაკუთრებით გამოირჩეოდა მე-2 დივიზიის მომზადების დონე. 1930 წელს დივიზიაში უკვე იყო სამი დამკვრელი ასეული, 40 დამკვრელი ოცეული, 96 დამკვრელი ათეული. სულ დივიზია აერთიანებდა 3968 კაცს.[36]

უნდა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ 20-იანი წლებიდან საბჭოთა ჯარი, თუნდაც ეროვნული ფორმირება, „კომუნიზმის სკოლა“ იყო. სამხედრო სტრუქტურის პროპაგანდისტული აპარატი, კომუნისტური და კომკავშირული ორგანიზაციები არმიაში ხელს უწყობდნენ საბჭოთა იდეოლოგიის გავრცელებას. ქართული ეროვნული საჯარისო ფორმირებები პირდაპირ ექვემდებარებოდნენ ჯერ ამიერკავკასიის, ხოლო შემედეგ მოსკოვის ერთიან სამხედრო ხელმძღვანელობას, რომელიც, რა თქმა უნდა, კრემლის ინტერესებს გამოხატავდა და მოვალეც იყო ახალი სამხედრო კადრი – ოფიცერი იქნებოდა ეს, თუ რიგითი ჯარისკაცი, მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპებზე აღეზარდა. 20-იან წლებში ეს ჯერ კიდევ ისე თვალში საცემი არ იყო. ამას, გარკვეულწილად, აპირობებდა პარტიაში გავრცელებული შიდაპარტიული დაპირისპირება და ფრაქციულობა, რამაც არმიაც ჩაითრია. 1925 წლამდე რევოლუციური სამხედრო საბჭოთა თავმჯდომარე ტროცკი იყო. მისი გადაყენებისა და ტროცკიზმის წინააღმდეგ კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის უმრავლესობის უკომპრომისო იდეოლოგიური ბრძოლის შემდეგ, დაიწყო არმიის ხელახალი შენება – მას თანდათან აცილებდნენ (ზოგჯერ აპატიმრებდნენ) ტროცკის ერთგულ კადრებს, ჯარში მიმდინარეობდა სტალინური ფრაქციის პოლიტიკური იდეების გაძლიერებული პროპაგანდა. ჯარის პირად შემადგენლობაზე, მის სიწმინდეზე „ზრუნავდა“ სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს აგენტურა.

უნდა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ 20-იანი წლების ბოლოსაც ჯარში მნიშვნელოვანი კონტინგენტი – წერა-კითხვის უცოდინარი იყო და, რა თქმა უნდა, პოლიტიკურ პროცესებში ნაკლე-

ბად ერკვეოდა. წერა-კითხვის ტოტალური შესწავლის კამპანია საბჭოთა კავშირში იმასაც ითვალისწინებდა, რომ ანბანთან ერთად, ახალგაზრდა მებრძოლი „კომუნიზმის ანბანსაც“ დაეუფლებოდა. 20-იანი წლები – კომუნისტური იდეოლოგიის აღმავლობის, მისი განმტკიცების წლებია და ახალგაზრდა ჯარისკაცი ადვილად ითვისებდა ამ ახალი იდეოლოგიის ძირითად საფუძვლებს., რადგან, ჯერ ერთი, კომუნისტური პროპაგანადა და აგიტაცია ქვეყანაში სისტემატურად ძლიერდებოდა, და მეორე, ინფორმაციის სხვა წყარო არ არსებობდა. ცნობილია, რომ 1928-1930 წლებში მე-2 ქართულ დივიზიაში წერა-კითხვა შეისწავლა 2300 კაცმა.

ამასთან, უდიდესი ყურადღება ეთმობოდა საჯარისო პრესას – გაზეთი „წითელარმიელი“ ჯარში ვრცელდებოდა „პრავდასა“ და „კომუნისტის“ პარალელურად. პროპაგანდას ემსახურებოდა ჯარში არსებული „წითელი კუთხეების“ ფართო ქსელი, კინოდანადგარები – საბჭოთა იდეოლოგიზირებული ფილმებით და ა.შ.

სწორედ ამიტომაც ჯარი გახდა საბჭოთა სისტემის მნიშვნელოვანი დასაყრდენი ტოტალიტარული სისტემის ფორმირების პროცესში. მაგრამ, როგორც საბჭოთა მილიციის შემთხვევაში, წითელ არმიაშიც 20-იან წლებში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი იყო, რაც ვერ განაპირობებდა მათზე დაკისრებული მოვალეობების ოპტიმალურ შესრულებას. ეს მხოლოდ მოგვიანებით – 30-იან წლებში, საბჭოთა საზოგადოების ეკონომიკურ და სოციალურ განმტკიცებასთან ერთად მოხდა.

საბჭოთა სისტემის განმტკიცებას კი მუდამ ცდილობდნენ საბჭოთა კავშირის კანონდამცველი სტრუქტურები: სასამართლო და პროკურატურა. 20-იან წლებში საქართველოში თანდათან ჩამოყალიბდა სასამართლო ორგანოების ერთიანი სისტემა, რომლის მთავარი ამოცანა, როგორც საბჭოთა სასამართლო სისტემის ერთ-ერთი ფუძემდებელი ნ. კრილენკო მიუთითებდა, იყო: 1. პროლეტარული რევოლუციის მონაპოვართა, მუშურ-გლეხური ხელისუფლების მიერ დამკვიდრებული მართლწესრიგის დაცვა, 2. მშრომელთა ინტერესების და უფლებების დაცვა 3. მშრომელთა საზოგადოებრივ-შრომითი დისციპლინისა და სოლიდარობის განმტკიცება და მათი სამართლებრივი აღზრდა. 4. რევოლუციური კანონიერების განხორციელება კერძო და ქონებრივ ურთიერთობებში და ა.შ. [37]

ბოლშევიკები არ უარყოფდნენ, რომ საბჭოთა სასამართლო კლასობრივი შინაარსისაა და მისი მთავარი ამოცანაა კლა-

სობრივი მტრის განადგურება, რომ ამისათვის ძალისმიერი მეთოდების გამოყენება – ლოგიკური, აუცილებელი და სამართლიანი მოთხოვნაა, რომ ძალმომრეობის გარეშე ვერ დაიძლეოდა კლასობრივი წინააღმდეგობა, რომ კლასობრივი მტერი შიშის გარეშე ვერ შეურიგდებოდა ვერც ხელისუფლების დაკარგვას, ვერც საბჭოთა სისტემას და ვერც კერძო საკუთრების ტოტალურ მოსპობას. ამიტომ კლასობრივი მტერი მუდამ დათრგუნული უნდა ყოფილიყო. არ არის შემთხვევითი, რომ ქართველი კომუნისტების ლიდერი მ. ორახელაშვილი 1924 წელს, კომუნისტიების დიდ თავყრილობაზე აღშფოთებული სვამდა კითხვას -„ეს როდის აქედან გახდა ძალადობა ბოლშევიკებისათვის სამარცხვინო?... ჩვენ არ შეგვიძლია რევოლუცია თეთრ ხელთათმანებში ვაკეთოთ.“ [38]

საბჭოთა ლიდერები და მათი იდეოლოგები მუდამ ამტკიცებდნენ, რომ „საბჭოთა სასამართლო თავისი არსებობის მთელ მანძილზე მუდამ უფრო დემოკრატიული იყო, ვიდრე ყველაზე უფრო დემოკრატიული ბურჟუაზიული სახელმწიფოს სასამართლო სისტემა.“[39] ძნელია ამ მტკიცებას დაეთანხმო იმის შემდეგ, რაც ცნობილია კანონიერების უხეში დარღვევების უამრავი მაგალითი. მაგრამ იმჟამად ისე იყო შელამაზებული საბჭოთა სასამართლო სისტემა, პროპაგანდისტული აპარატის დახმარებით მასზე შეხედულებები ისე იყო დოგმატიზებული (მაგალითად, იყო დოგმა – „საბჭოთა სასამართლო, ყველაზე ჰუმანური სასამართლოა მსოფლიოში“), რომ რიგით ობივატელს ან უნდა დაეჯერებინა ეს დოგმა, ან უნდა ეცადა, რომ მისი ეს „ჰუმანურობა“ თავის თავზე არ გამოეცადა.

მაგრამ მთავარი ის იყო, რომ თვითონ სასამართლო სისტემის საფუძვლები საბჭოთა კავშირში კლასობრივი სეგრეგაციის პრინციპებს ეფუძნებოდა, ის ვერ იქნებოდა მიუკერძოებელი უკვე იმიტომ, რომ დაუშვებელი იყო მას გაეთვალისწინებინა ბურჟუაზიის, თავადაზნაურობის, კულტის მსახურთა ინტერესები. სწორედ ამ აზრს გამოხატავდა საქართველოს იუსტიციის სახალხო კომისრის ვარძიელის ერთი განცხადება, რომ თუ სასამართლო იხილავს მუშის საქმეს, რომელმაც ბურჟუას ცოლი გააუპატიურა, მან უნდა დაიცვას და გაამართლოს მუშა, თუნდაც მას ასი ბურჟუას ცოლი ჰყავდეს გაუპატიურებულიო.[40]

სასამართლოს კლასობრიობა კიდევ ერთ რამეში ვლინდებოდა – მოსამართლეები, მსაჯულები მხოლოდ მშრომელთა წრიდან უნდა არჩეულიყვნენ, ხმაჩამორთმეულ მოქალაქეებს ეკრძალებოდათ სასამართლო სისტემაში სამსახური. ძირეული

რგოლი იყო სახალხო სასამართლო. მოსამართლის როტაცია ყოველწლიურად ხდებოდა. აუცილებელი იყო ორი სახალხო მსაჯული, რომელსაც სახალხო მსაჯულთა დიდი სიიდან შერჩევით ირჩევდნენ. სახალხო მსაჯულს არ ჰქონდა უფლება ერთი წლის განმავლობაში 6-ზე მეტი საქმის განხილვაში მიეღო მონაწილეობა.

მთავარი თავისებურება და ერთ-ერთი ძირითადი განმასხვავებელი დემოკრატიული სახელმწიფოთა სასამართლო სისტემისაგან, სხვა ბევრთან ერთად, იყო ის, რომ საბჭოთა სასამართლოს დაქვემდებარებული სტატუსი ჰქონდა: ის ემორჩილებოდა მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტს, მოსამართლეები მტკიცდებოდნენ მათ მიერ და მათ წინაშე იყვნენ ანგარიშვალდებულნი.

20-იანი წლების საქართველოში საბჭოთა სასამართლო სისტემის დამკვიდრება ხდებოდა ნელა, რადგან უამრავი ხელისშემშლელი ფაქტორები არსებობდა: არ იყო სათანადო კადრები, მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმა არ იცოდა სახელმწიფო ენა, განსაკუთრებით ნაციონალური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში. ვარკვეულ სიძნელეებს ქმნიდა მაჰმადიანებით დასახლებულ რაიონებში ტრადიციული შარიათის სასამართლოების არსებობაც.

1927 წლის 21 ნოემბერს სსრკ ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება შარიათის სასამართლოების გაუქმების შესახებ.[41] ამან ბევრ რეგიონში გამოიწვია უკმაყოფილება, საქართველოში, აჭარაში, ხულოს აჯანყების დროს აჯანყებულთა ერთ-ერთი მოთხოვნა შარიათის სასამართლოს აღდგენაც იყო.[42]

უფრო სერიოზულად იდგა კადრების საკითხი. 20-იან წლებში არ მოითხოვდნენ მოსამართლის თანამდებობის დასაკავებლად სპეციალურ იურიდიულ განათლებას. საკმარისი იყო რევოლუციური წარსული, კომუნისტური პარტიის წევრობა და ზემოდან დაშვებული ცირკულარების უპირობო შესრულება. მეტად საყურადღებოდ გვეჩვენება სტატისტიკა, რომელიც საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრთა ეროვნულ და სოციალურ შეადგენლობას წარმოაჩენს. მართალია, ეს ცნობა შედარებით გვიანდელია (1931 წ.), მაგრამ მაინც ასახავს ძირითად ტენდენციას – ამ წელს საქართველოს უზენაესი სასამართლო 19 კაცს აერთიანებდა, რომელთაგან მხოლოდ ორი იყო არაქართველი (სომეხი და ოსი), მათ შორის 10 იყო გლეხი, 6 აზნაური, 3 სასულიერო წოდებას ეკუთვნოდა. საინტერესოა მათი განათლე-

ბის ცენზი: უმაღლესი განათლება ჰქონდა მხოლოდ ორ კაცს, ოჯახური – 2, დაბალი – 4, საშუალო – 11.[43]

წარმოდგენილი სტატისტიკური მასალა აშკარად მიუთითებს, რომ საქართველოს უმაღლეს სასამართლო სტრუქტურაში ფაქტობრივად გაუნათლებელი ადამიანები იყვნენ თავმოყრილი და, რა თქმა უნდა, მათ გაუჭირდებოდათ რთული სოციალური პრობლემებით გაჯერებული საზოგადოებაში სამართალის დაცვა, ისინი ბრმად შეასრულებდნენ იმ მიზანდასახულობებს, რასაც იმ პერიოდში საკმაოდ უხვად აგზავნიდნენ მოსკოვიდან ცენტრალური სახელისუფლო ორგანიზაციები. თუ რა ვითარება იქნებოდა ამ სასამართლოს დაქვემდებარებულ ადგილობრივ ინსტანციებში – ადვილი წარმოსადგენია.

კადრები სერიოზული პრობლემა იყო საბჭოთა პროკურატურაშიც. ეს სამართალდამცავი სტრუქტურა საბჭოთა კავშირში მხოლოდ 1922 წელს შეიქმნა. დიდი ხნის განმავლობაში თვლიდნენ, რომ საბჭოთა სისტემა არ საჭიროებდა პროკურორის ზედამხედველობას, რომ ამისათვის არსებობდნენ მუშების, გლეხების და წითელარმიელების დეპუტატთა საბჭოები. მემარცხენე კომუნისტებს არ მოსწონდათ თვითონ ტერმინი „პროკურორი“ და მის ნაცვლად ცდილობდნენ დაენერგათ „უკრეპზაკები“ (укрепители законности).[44]

საბჭოთა პროკურატურის მთავარი ამოცანა იყო ზედამხედველობა იმაზე, თუ როგორ ასრულებდნენ საბჭოთა კანონებს საბჭოთა ხელისუფლების ორგანოები, თანამდებობის პირები თუ მოქალაქეები, მას უნდა უზრუნველეყო ხალხის მტრების წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლა მკაცრი და დაუნდობელი საშუალებით და დაეცვა საბჭოთა მოქალაქეების ყველა კანონიერი უფლება და თავისუფლება.[45]

უკვე აპრიორში, საბჭოთა პროკურატურას არ შეეძლო ყოფილიყო პირუთვნელი, მით უფრო პოლიტიკური შინაარსით დატვირთული პროცესების დროს, კლასობრივი შეზღუდულობა, იდეოლოგიური პოსტულატები და კომუნისტური პარტიის გამარჯვებული ფრაქციის ინტერესები ამუხრუჭებდნენ და პროლეტარიატის დიქტატურის ცერბერებად აქცევდნენ სასამართლოსა და პროკურატურაში დასაქმებულ რიგით ადამიანებს.

1922 წელს შეიქმნა საადვოკატო სამსახური, რომელიც როგორც 20-იან წლებში, ისე მომდევნო პერიოდში (განსაკურებით 60-70 იან წლებში), მოსამართლესა და მსჯავრდებულს შორის უკანონო პროცესუალური გარიგებების შუამავლები იყვნენ და მეტი არაფერი. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც შორს

ვდგევართ იმ აზრისაგან, რომ 20-იან წლებში საქართველოში ყველა სასამართლო პროცესი ფალსიფიცირებული და უკანონო იყო. რადგან სასამართლოებს უხდებოდათ უამრავი ყოფითი პრობლემების გადაჭრა, რაშიც ზემდგომი პარტიული ინსტანცია ყოველთვის დაინტერესებული არ იყო და მოსამართლეს შესაძლებლობა ჰქონდა სამართალდაცვითი პროცესი საკუთარი სინდისისა და საბჭოთა კანონების შესაფერისად განეხორციელებინა. გარკვეული ფუნქცია ჰქონდა აპელაციასაც – საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი სისტემატურად იხილავდა მოქალაქეთა თხოვნას შეწყალებაზე – მაგალითად, 1927 წლის 5 იანვარს 19 ასეთი თხოვნა განიხილეს. 6 ბრალდებული სასჯელისაგან სრულიად გაათავისუფლეს, ერთი სიკვდილით დასჯა 10 წლიანი პატიმრობით შეცვალეს, 5 სიკვდილმისჯილი კაცის თხოვნა კი არ დააკმაყოფილეს.[46] ასეთი მაგალითები ერთეული არ არის.

ამრიგად, აშკარაა რომ საქართველოში XX საუკუნის 20-იანი წლების მეორე ნახევარში ძალოვანი სტრუქტურები – არსებული უწესრიგობის, თავაშვებულობის, იდეოლოგიური და მორალურ-ფსიქოლოგიური ერთიანობის გარეშე ჯერ კიდევ ვერ შეძლებდნენ მთლიანად შეესრულებინათ ის ფუნქცია, რასაც მას კომუნისტური რეჟიმი უყენებდა – უზრუნველეყოთ კომუნისტური დიქტატურის განმტკიცება. მაგრამ ქვეყანაში საკანონმდებლო ბაზის განვითარების, კადრების შერჩევის, ძალოვანი ორგანოების პოლიტიზირების, იდეოლოგიური და ფსიქოლოგიური ზემოქმედების შედეგად მოხერხდა ძალოვანი სტრუქტურების განტოტვილი, მობილური ბადე-ქსელის შექმნა, რომელმაც ტოტალურად მოიცვა საქართველოს საბჭოთა საზოგადოება. კონტროლისა და თვალთვალის კარგად აწყობილმა სისტემამ თანდათან დაძლია წინა წლების ნაკლოვანებები და კომუნისტური დიქტატურის მთავარი დასაყრდენი გახდა.

ძირეული შემობრუნების დასაწყისი
(მეცნიერება და ქართული კულტურა)

1924 წლის აგვისტოს აჯანყების მარცხმა ქართველი ინტელიგენციის მნიშვნელოვანი ნაწილის პოლიტიკური შეხედულებებისა და ორიენტაციების შეცვლა გამოიწვია. ქართველი ინტელიგენციის ეს განწყობილება, როგორც ზემოთ აღინიშნა, კარგად იწინასწარმეტყველა რკპ (ბ) ცკ ხელმძღვანელობამაც, რომელმაც 1924 წლის ოქტომბრის პლენუმის დადგენილებაში ცალსახად მიუთითა: „უკანასკნელმა მოვლენებმა აჩვენა ქართველი ინტელიგენციის ევროპაზე ორიენტაციის უპერსპექტივობა, რამაც უამრავი მსხვერპლი გამოიწვია. ამიტომაც შეიმჩნევა გარდატეხა და საბჭოთა ხელისუფლებისაკენ შემობრუნება“.[1]

ხომ არ იყო ასეთი განცხადება ზედმეტად ოპტიმისტური? სასურველის რეალურად წარმოჩენის სურვილი?

საბჭოთა ხელისუფლებას ქართველი ინტელიგენციის მიმართ გარკვეული ოპტიმიზმის საფუძველს აძლევდა არა მარტო ის, რომ მან დროულად დაიწყო კულტურის მოღვაწეთა საკუთარი, ერთგული ფენის შექმნა (ამის შესახებ უკვე გვქონდა საუბარი ზემოთ), არამედ ბევრი ცნობილი და სახელოვანი მოღვაწის ლოიალური ზეპირი თუ წერილობითი განცხადებები, მათ მიერ საბჭოთა მთავრობის ნაწყალობევი სიკეთეების მიღება და ა.შ.

ჯერ კიდევ 1924 წლის 27 მარტს, მემარცხენე მწერალთა კოორპორაციამ სპეციალური წერილით მიმართა საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებას. ისინი პირველ რიგში აცხადებდნენ თავის მიზანს „სისტემატური ბრძოლა აწარმოონ მემარჯვენე ხელოვნების წინააღმდეგ“. არც იმას მალავდნენ, რომ „უკვე რამდენიმე წელიწადია, რაც ჩვენ ვაწარმოებთ პრაქტიკულ-თეორეტიკულ მუშაობას რევოლუციური თანამედროვეობისათვის შესაფერისი ხელოვნების მშენებლობის ხაზით ქართული მწერლობის, კინოს, მხატვრობის და თეატრის დარგში“.[2] წერილის ბოლოს ჩამოთვლილია ხელისუფლების ეს თანამგრძნობი მოღვაწეებიც: სიმონ ჩიქოვანი, აკაკი ბელიაშვილი, დემნა შენგელაია, ნიკოლოზ შენგელაია, აკაკი გაწერელია, ვარლამ ჟურული, ლეო ესაკია, მიხეილ კალატოზიშვილი და სხვები, მათ შორის მართლაც ბევრია ღირსეული მამულიშვილი და მოღვაწე.

რა თქმა უნდა, ახალი ინტელიგენციის მნიშვნელოვანი ნაწილი მხარს უჭერდა ახალ რეჟიმს, თუმცა გარკვეული პრობლემები ინტელიგენციასთან დამოკიდებულებაში საბჭოთა ხელისუფლებას მაინც ჰქონდა და არ შეიძლებოდა არ ჰქონოდა. ამას

იწვევდა კომუნისტური იდეოლოგიის ზღვარგადასული ინტერნაციონალიზმი, რომელიც 20-იანი წლების შუა ხანებში განსაკუთრებული სიძლიერით ვლინდებოდა და ყოველგვარ ეროვნულს, ტრადიციულს დრომოჭმულად, საბჭოთა სისტემისათვის მიუღებლად აცხადებდა. ხელოვნებაში, კულტურაში კი იმდენი იყო ეროვნული, ტრადიციული, რომ ხელოვნებისა და კულტურის მრავალ მოღვაწეს არ ეთმობოდა ის და ამის წინააღმდეგ მიმართულ კამპანიებს მტკივნეულად აღიქვამდა.

ამიტომაც ვთვლით, რომ ქართველი ინტელიგენციის ერთი მნიშვნელოვანი ჯგუფი პრინციპულად ეროვნულ პოზიციაზე დარჩა და რევოლუციური ცვლილებები, რაც ქვეყანაში მიმდინარეობდა, არც მათ პოლიტიკურ შეხედულებებზე და არც მათ შემოქმედებაზე არ აისახა. ასეთი განცხადების საფუძველს იძლევა თვითონ კომუნისტურ პრესაში პერიოდულად გაკეთებული ოფიციალური თუ არაოფიციალური განცხადებები, რომლებიც 20-იან წლების შუა ხანებში ინტელიგენციასთან არსებულ დაძაბულ ურთიერთობას მიანიშნებს. მაგალითად, 1927 წლის 28 აგვისტოს უპარტიო ინტელიგენტი სიღნაღიდან მიხ. ნასიძე „კომუნისტში" გამოქვეყნებულ თავის წერილში აღიარებს, რომ „ჩვენსა და მმართველ პარტიას შორის უნდობლობა იყო. მათ შორის „შავი კატა" დარბოდა, ახლა ეს კატა... „რუხი გახდა".

დაახლოებით ასე აფასებდა საქართველოს ინტელიგენციაში შექმნილ ვითარებას ოფიციოზიც: „ქართველი ინტელიგენციის ნაწილი კიდეც დაადგა მუშათა კლასთან თანამშრომლობის გზას და მას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს მშენებლობაში. მაგრამ ინტელიგენციის მეორე ნაწილი, რომელიც უმთავრესად ისტორიის მიერ დამარცხებული პარტიების იდეოლოგიის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, განუდგა საბჭოთა წყობილებას, მის წინააღმდეგ საბოტაჟს და ხშირად აქტიური მტრების ხაზს ატარებდა".[3]

როგორც წესი, ასეთი ზოგადი განცხადებების დროს ჯერ კიდევ არ ასახელებდნენ კონკრეტულ გვარებს, ამტომაც ძნელია იმის თქმა თუ ვის გულისხმობდა ზემოთმოტანილი ციტატის ავტორი. მაგრამ აქვეა მუქარაც: „ჩვენ ვერ მოვითმენდით საბჭოთა რეჟიმის განმტკიცებისა და აღმშენებლობის მუშაობისათვის ხელის შეშლას, რასაც მიზნად ისახავდა ინტელიგენციის ზოგიერთი ჯგუფი. საბჭოთა ხელისუფლება განმტკიცდა, ამ გარემოებას არ შეეძლო გავლენა არ მოეხდინა იმ ელემენტებზე, რომლებიც შავი ზღვისაკენ იცქირებოდნენ და ქვეყნის სასარგებლო

დადებითი მუშაობის მაგივრად რუსთაველის პროსპექტზე ათასგვარი ჭორებით ირთობდნენ თავს".[4]

უდავოა, რომ საბჭოთა სისტემის გარკვეული სტაბილიზაციისა და ეკონომიკური ფონის გაჯანსაღების პარალელურად, ტოტალიტარული სახელმწიფო ახერხებს ინტელიგენციის გარკვეული ფენების გულის მოგებას. კომუნისტური იდეოლოგია მსოფლიოში იმჟამად აღმავლობის გზაზე იყო, და კომუნისტების ფანატიკური რწმენა ბევრს გადაედო, მათ შორის ხელოვნების მოღაწეებსაც. ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ეკონომიკური სიძნელეების მიუხედავად, მოხერხდა ინტელიგენციის ელიტარული ნაწილის მატერიალური უზრუნველყოფა, ზოგიერთს შეექმნა ცხოვრების გამორჩეული პირობები, მათი თხზულებები იბეჭდებოდა დიდი ტირაჟებით, იღებდნენ ჩინებულ ჰონორარებს. რა თქმა უნდა, ხელისუფლება მათგან „ვალის დაბრუნებას" ელოდა. ეს „ვალი" პირველმა ნიკო ნიკოლაძემ დააბრუნა...

1927 წლის 5 აგვისტოს ხელოვანთა სასახლეში გაიმართა საქართველოს ინტელიგენციის შეკრება. ამ შეხვედრის ინიციატორი სწორედ ნიკო ნიკოლაძე იყო(ასე ჩანს ოფიციალურ პრესაში). ამ დიდ მამულიშვილს, რომელმაც უდიდესი ღვაწლი დასდო XIX-XX საუკუნის ქართულ საზოგადოებრივ განვითარებას, საქართველოს ინტელიგენციაში დიდი წონა და ფასი ჰქონდა. ჩვენ ჯერჯერობით ამ ღონისძიების სტენოგრამას ვერ მივაკვლიეთ, რაც მეცნიერული თვალსაზრისით უაღრესად საინტერესო უნდა იყოს. ვერც ის დავადგინეთ, ვინ იყო ამ შეხვედრის ჭეშმარიტი ინიციატორი – საქართველოს პარტიული ხელმძღვანელობა თუ მართლა უშუალოდ ნიკო ნიკოლაძე. თუმცა საგაზეთო მოკლე ანგარიშიც იძლევა წარმოდგენას საქართველოს ინტელიგენციის გარკვეული ფენების შეხედულებებსა და განწყობებზე.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ „გარდამავალი ხანის შემდეგ ჩვენი ქვეყანა გამოდის მტკიცე აღმშენებლობის გზაზე...საქმის დიდი უმეტესობა, ცხრამეათედი მაინც იმ გზით მიდის, რომელსაც ქართველი ინტელიგენცია მუდამ შენატროდა და შენატრის", გამოითქვა აზრი, რომ „ყველა ქართველი გვერდში ამოუდგება ჩვენს მთავრობას და მასთან ერთად იბრძოლებს იმ ავანტიურისტების წინააღმდეგ, რომლებსაც უნდათ ახალი სისხლისღვრების გამოწვევა საქართველოში" (ი. მაჭავარიანი), „პოლიტიკურმა შეცდომამ გამოაღვიძა ჩვენი ინტელიგენცია. ახლა ინტელიგენციის მთლიანი ფრონტი ხელისუფლების წინააღმდეგ აღარ არსებობს" (ივ. ლორფქიფანიძე). აქვეა გაცხადებული მი-

ზანიც – „ამაჟამად ჩვენს უმთავრეს ამოცანას უნდა შეადგენდეს იმ გზების გამონახვა, რომელიც საშუალებას მისცემს ინტელიგენციას პრაქტიკულად ჩაებას საბჭოთა აღმაშენებლობაში“ (დ. თოფურიძე).[5]

შეკრების რეზოლუციაში 1924 წლის აჯანყებაც არის შეფასებული, გამოთქმულია ტოტალიტარული რეჟიმისათვის სრულიად მისაღები შეხედულებები: 1924 წლის აჯანყება „ეს იყო დამარცხება იმ გეზისა და ბრძოლის იმ მეთოდებისა, რომელნიც საქართველოს ემიგრაციამ თავიდანვე აიღო და რომლის გამო ქართველ ერს თავზე საშინელი უბედურება დაატყდა... აშკარა შეიქმნა, რომ ჩვენი ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესები შეუთავსდეს იმ სისტემას, რომელშიც **საქართველო ისტორიის განაჩენით არის მოქცეული** (ხაზგასმა ჩვენია-ა.დ.). ასეთი შეთავსება საბჭოთა სისტემასთან ჩვენთვის არ ნარმოადგენს სიძნელეს, რადგან ქართველიინტელიგენციას ყოველთვის ახასიათებდა რადიკალიზმი სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებში“.[6]

რეზოლუციის ტექსტში ჩვენ მიერ ხაზგასმული ადგილი გვაიძულებს ვიფიქროთ, რომ ინტელიგენციის საინიციატივო ჯგუფს გარკვეული დამოუკიდებლობა ჰქონდა რეზოლუციის წერის დროს, რადგან თავს უფლება მისცეს რეზოლუციაში შეეტანათ მოსაზრება – „სისტემა, რომელშიც საქართველო ისტორიის განაჩენით არის მოქცეული“, ხოლო ოფიციოზი იმდენად იყო მოხიბლული ინტელიგენციის ამ ჯგუფის „ინიციატივით“ და მისთვის მისაღები ქმედებით, რომ ეს გამონათქვამი „გაეპარა“, ყურადღება აღარ მიაქცია, რადგან ეს ერთი ფრაზა მთლიანად თუ არა გარკვეულწილად მაინც შლის და აბათილებს ყველა ზემოთმოტანილ შეხედულებებსა და საბჭოთა ხელისუფლებისადმი მიძღვნილ დითირამბებს. აშკარაა, რომ ეს რეზოლუციაც ისტორიის განაჩენით ნაკარნახევი ქმედებაა, რომ „ჩათრევას“, „ჩაყოლა“ ამჯობინეს, რომ ჩაითვალა – არის შანსი ერის საკეთილდღეოდ გამოიყენო არსებული მატერიალური შესაძლებლობები მანამდე სანამ ისტორიის განაჩენით არ შეიქმნება ახალი ვითარება, რაც ახალ ამოცანებს დაუსახავს საქართველოს ინტელიგენციას.

ჩვენ ვთვლით, რომ საქართველოს ინტელიგენციის (განსაკუთრებით შემოქმედებითი ინტელიგენციის) დიდ ნაწილს ასეთი შეხედულება ჰქონდა, მაგრამ, რა თქმა უნდა იყვნენ კომუნისტური იდეისათვის თავდადებული ინტელიგენტებიც, როგორც პარტიულ ნომენკლატურაში დასაქმებული, ისე ე.წ. „წითელი

პროფესურა". რა თქმა უნდა, მათ შორისაც იყვნენ თავისი საქმის ჩინებული მცოდნე ადამიანები, რომლებმაც უდიდესი ღვაწლი დასდეს ქართულ მეცნიერებას, კულტურასა და ხელოვნებას.

არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ XX საუკუნის 20-იანი წლების შუა ხანები და დასასრული სასტიკი პარტიული ბრძოლის გამძაფრებით აღინიშნა, როგორც ცენტრში (მოსკოვში), ისე ადგილებზე (რესპუბლიკებში) ხშირად იცვლებორდნენ პარტიული თუ საბჭოთა ხელმძღვანელები. იცვლებოდა მათი დამოკიდებულება ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკურ მოვლენებზე, ინტელიგენციის მიმართ დამოკიდებულებაზე. რა თქმა უნდა, მუდამ არსებობდა თვალთვალისა და დასმენის კარგად აწყობილი სისტემა, უშიშროების კარგად მომქმედი სამსახური, რომლის აგენტურა სისტემატურად აწვდიდა ცნობებს პარტიულ ხელმძღვანელობას ინტელიგენციის წრეებში არსებული განწყობილებებისა თუ პოლიტიკური შეხედულებების შესახებ. ამიტომ მათ ჩინებულად იცოდნენ „ისტორიის განაჩენით" ნაკარნახევი რეზოლუციების ფასი და მუდამ ეჭვის თვალით უყურებდნენ ქართველი ინტელიგენციის საქმიანობას.

ეს დამოკიდებულება განსაკუთრებით რელიეფურად გამოჩნდა XX საუკუნის მეორე ნახევრის პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელების ქმედებებში, მათ სადირექტივო წერილებსა თუ ზოგად თეორიულ მოსაზრებებში, პრაქტიკულ საქმიანობაში.

თუ XX საუკუნის პირველ ნახევარში (1924 წლამდე) თვალსაჩინო ქართველი ინტელიგენტები თითქმის შეუზღუდავად მიმოდიოდნენ საერთაშორისო სიმპოზიუმებსა და შეხვედრებზე, 1928 წლის 30 მაისიდან საქართველოს სსრ განსაკომის კოლეგიის გადაწყვეტილებით საზღვარგარეთ სამეცნიერო მივლინებში იგზავნებოდნენ „მხოლოდ გადაუდებელ შემთხვევაში".

თითქმის მთლიანად აიკრძალა კულტურისა და ხელოვნების გამოჩენილ მუშაკთა გამორჩეული დაფინანსება, რაც ფაქტობრივად 1921 წლიდან არსებობდა. აიკრძალა იუბილეების, ბენეფისების წარსულში ასევე მეტად პოპულარული პრაქტიკა. სამაგიეროდ დაიწყეს საბჭოთა ხელისუფლებისადმი ლოიალურად განწყობილი მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეთა ნეკროლოგების ბეჭდვა და მრავალდღიანი გლოვა ოფიციალურ სამთავრობო გაზეთებში (მაგალითად, ასეთი იყო მწერალი კოტე მაყაშვილი, პროფ. სპირიდონ სიმონის ძე ვირსალაძე, პროფ. ანდრია რაზმაძე, გრიგოლ ვეშაპელი და სხვებისადმი მიძღვნილი ნეკროლოგები).

კომუნისტური პრესა პარალელურად სისტემატურად ბეჭდავდა პანეგერიკებს ლოიალურად განწყობილ ინტელიგენციის მიმართ, ადიდებდნენ და ხოტბას ასხამდნენ კ. მარჯანიშვილსა და ს. ახმეტელს, მ. თოიძესა და სხვებს.

20-იანი წლების მეორე ნახევარში საბჭოთა ხელისუფლებამ შეძლო ორგანიზაციული ზეწოლისა თუ განსაკუთრებული სელექციის შედეგად ინტელიგენციის პროფესიულ კავშირებში საკუთარი ინტერესების გამომხატველი ჯგუფების გაძლიერება, რის გამოც ასეთი ორგანიზაციები თავის შეკრებებზე მუდამ პროკომუნისტურ რეზოლუციებს იღებდნენ. 1925 წლის მაისში შეიკრიბა საქართველოს მედიკოსთა კონგრესი, რომელმაც სრული მხარდაჭერა გამოუცხადა საბჭოთა ხელისუფლებას.[8] თანადგომა გამოუცხადა საბჭოთა ხელისუფლებას საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ყრილობამ [9], საქართველოს მეცნიერ მუშაკთა ყრილობამ [10] და ა.შ.

უკვე ამ პერიოდში გამოიკვეთა კულტურისა და მეცნიერების ის სფეროები, რომლებიც საქართველოს კომუნისტური ხელმძღვანელობის განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში მოექცა: ქართული მწერლობა და ქართული საზოგადოებათმცოდნება (საქართველოს ისტორია).

1925 წლის ივნისში რკპ (ბ) ცკ მიიღო სპეციალური დადგენილება „მხატვრული ლიტერატურის დარგში პარტიის პოლიტიკის შესახებ“, რაც აშკარად მიუთითებს, რომ კრემლში სერიოზულად აღელვებდათ ახალი საბჭოთა ლიტერატურის განვითარების პერსპექტივები, მისი შესაძლებლობები და უკვე გარკვეულ შედეგებსაც კი ელოდნენ. დადგენილებაში ზოგადთეორიულ მსჯელობებთან ერთად, განსაზღვრული იყო კომუნისტური პარტიის პოლიტიკა ლიტერატორთა სხვადასხვა ჯგუფების მიმართ: „მწერლების სხვადასხვა ჯგუფებთან ჩვენი დამოკიდებულება განისაზღვრება ჩვენი საერთო პოლიტიკით. ჰეგემონი და ხელმძღვანელი არის მუშათა კლასი. პროლეტარული მწერლობის ჰეგემონია ჯერ არ არის, პარტია უნდა დაეხმაროს მათ დაიმსახურონ ეს ჰეგემონია“. დადგენილება იმაზეც მიუთითებდა, რომ „როგორიც არის წინააღმდეგობა ეკონომიკაში, ასევე არის ჭიდილი და წინააღმდეგობა ლიტერატურაში, როგორც არ წყდება კლასობრივი ბრძოლა ქვეყანაში, ასევეა ლიტერატურაში“.[11]

საქართველოში, როგორც ზემოთ აღინიშნა, ლიტერატურის სხვადასხვა მიმართულება იყო, მათ შორის პროლეტარული ლიტერატურაც, რომლის წარმომადგენელები ცდილობდნენ ჰეგემონები ყოფილიყვნენ, განესაზღვრათ ლიტერატურული გე-

მოვნება, მიეწოდებინათ მკითხველისათვის ეპოქის სადარი მხატვრული ნაწარმოებები. მაგრამ, როგორც ჩანს, ამას ისინი ჯერ ვერ ახერხებდნენ, რასაც თვითონ ოფიციოზიც კი აღიარებდა: „პროლეტარული მწერლობა ერთფეროვანია, თუ მან ყოველ ნაბიჯზე არ თქვა გაუმარჯოს სამოქალაქო ომს, ძირს მსოფლიო კაპიტალიზმი, გაუმარჯოს კომინტერნს!... ჩვენში მდგომარეობა უნუგეშოა. ჩვენმა პროლეტარულმა მწერლობამ ვერ მოგვცა ვერც სოფლის, ვერც ახალი ყოფა-ცხოვრების პოეზია“.[12]

უფრო მეტიც. როგორც ამტკიცებდნენ „პროლეტარულ მწერლობაში შეიჭრა ელეგია – ლირიკის ყველაზე მავნე და ავადმყოფი ფორმა“. აშკარად მიუთითებდნენ, რომ კ. ლორთქიფანიძე წავიდა ესენინის გზით, რომ მას მიჰყვებიან ამ „მცდარ გზაზე“ კ. კალაძე, ალ. მაშაშვილი. შეფასება საკმაოდ მკაცრია „რევოუციის დეზერტირებმა“ ლიტერატურაში შემოიტანეს „ობივატელური დაღლილობის განწყობილება“.[13]

თუ ჩვენ გავიხსენებთ, თუ როგორ მკაცრად ახასიათებდა ესენინს კომუნისტური პარტიის ჯერ კიდევ დიდი თეორეტიკოსი ნ. ბუხარინი, რომელიც მას დისიდენტური და რუსული სოფლის ყველაზე ჩამორჩენილი განწყობილებების გამომხატველად ესახებოდა, მივხვდებით რა მკაცრი განაჩენი გამოუტანეს მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა პროლეტარ მწერლებს.

საქართველოს კომუნისტური ხელმძღვანელობა ასეთ ვითარებას ვერ მოითმენდა და მან თავისი მოთხოვნები 1928 წლის იანვარში, საქართველოს პროლეტარ მწერალთა ყრილობაზე გააჟღერა. საქ. კპ ცკ მდივნის მ. კახიანის აზრით პროლეტარ მწერლებს მოეთხოვებოდათ: თავის შემოქმედებაში არ დაეშვათ ნაციონალიზმის რეციდივები (როგორც მომხსენებელი ამტკიცებდა-ეს კ. კალაძესა და ალ. მაშაშვილს მოუვიდათ); 2. გაეძლიერებინათ ინტერნაციონალიზმი; 3. შემოქმედებაში აესახათ პროლეტარიატის დიქტატურის პრინციპები; 4. წარმოეჩინათ ქვეყანაში კლასობრივი ბრძოლის გაღრმავება.[14]

რაც დრო გადიოდა, კომუნისტური პარტია თავისი პრინციპების დაცვას არა მარტო პროლეტარულ მწერლობას ავალებდა, არამედ მის დაცვას მოითხოვდა ქართული ლიტერატურის ყველა წარმომადგენლისაგან. მათი აზრით ქართული ლიტერატის წინაშე 20-იანი წლების დასასრულს ორი ამოცანა იდგა: 1.მეტი იდეოლოგიური სიმტკიცე და გარკვეულობა; 2. მეტი სიმარტივე და სისადავე. კომუნისტი იდეოლოგების თვალსაზრისით „საქართველოს მწერლები ჯერ კიდევ შორს არიან ცხოვრებაში ე.ი. თავის შემოქმედებაში გვიჩვენონ ცხოვრების ახალი გა-

გება“, მათი აზრით „არავინ იფიქროს, რომ მწერლობას არ ეხება ის ბრძოლა, რასაც პარტია ეწევა თავის რიგებში და მის გარეთ“; „ნაკლები თანაგრძნობა ძველი ქვეყნიდან დარჩენილი ადათ-ჩვეულებებს და კულტურის სხვა ამგვარ ნაშთებს, ბრძოლა ნაციონალიზმთან, კარ-ჩაკეტილობასთან... ახალი ადამიანის ძებნა და მონახვა“.[15]

უკვე აშკარად მოითხოვენ მწერლობისაგან ახალ ლიტერატურულ გმირს, რომელიც თავისუფალი იქნება ძველი საზოგადოების ყოველგვარი სიბინძურისაგან – რაშიც მოიაზრება ინდივიდუალიზმი, ჩინოვნიკური ფსიქოლოგია, მონა-მორჩილება, ნაციონალიზმი, ძველი ყოფა-ცხოვრება და ა.შ.[16]

უკვე გამოიკვეთა კრიტიკის მთავარი ორიენტირებიც. თუ კი 20-იანი წლების დასაწყისში მათზე მხოლოდ მინიშნებები იყო, ახლა მათ უკვე ასახელებენ და მათ ნაწარმოებს კრიტიკის ცეცხლში ატარებენ.

ქართველ მწერლებს შორის განსაკუთრებით საყურადღებოა მ. ჯავახიშვილის პიროვნება, რომელმაც პოსტსაბჭოთა პერიოდში ისტორიკოსების სერიოზული ყურადღება დაიმსახურა სწორედ საბჭოთა ტოტალიტარულ სისტემასთან მისი დამოკიდებულების საკითხით. გამოქვეყნდა არა ერთი სამეცნიერო წერილი თუ მონოგრაფია.[17]

ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში მონაწილეობისათვის ის არა ერთხელ იყო დაპატიმრებული, არსებობს მდიდარი მასალა, რაც გარკვეულწილად მიანიშნებს მის თანამშრომლობაზე სპეცორგანოების წარმომადგენლებთან. არის ფაქტები, რომლებიც ადასტურებენ, რომ საბჭოთა ხელისუფლებას სურდა მ. ჯავახიშვილის დახმარებით საქართველოს ინტელიგენციაში შეექმნა რუსული „სმენა ვეხისებური“ მიმართულება, ხოლო მიხეილ ჯავახიშვილი, როგორც ჩანს, ამ აზრს გარკვეულწილად იზიარებდა.[18]

როგორც ამტკიცებენ, მიხეილ ჯავახიშვილი ხელისუფლებას სთავაზობდა „ჩოლოყაევშჩინას“ მშვიდობიანი მოგვარების საკუთარ გეგმას, რითაც ხელისუფლებას თანამშრომლობის სურვილს უდასტურებდა.[19]

ჩვენ სწორედ ამ შესაძლო თანამშრომლობით ვხსნით იმ შედარებით კეთიგანწყობილ დამოკიდებულებას, რაც შეიმჩნეოდა ოფიციალურ კომუნისტურ პრესაში. მიხეილ ჯავახიშვილი არა ერთხელ გახდა კომუნისტი ლიტერატურათმცოდნეების კრიტიკის ობიექტი. ეს პატივი მან პირველად „ჯაყოს ხიზნების“ მიზეზით დაიმსახურა, რის გამოც მას „ჩანჩურათა მწერალი“ შე-

არქვეს. როგორც ამტკიცებდნენ ამ კაცს „ან ცხოვრებისათვის კაი თვალით არ შეუხედავს, ან და თვით ცხოვრებას მწერალი კაი ფეხზე ვერ უნახავს“.[20]

კრიტიკა კი დიდმა მწერალმა იმით დაიმსახურა, რომ მან თავისი რომანის ორივე პერსონაჟი (თეიმურაზიც და მარგოც) ჩანჩურებად გადააქცია, რაც ყოვლად დაუშვებელი იყო „ახალი ცხოვრების რიტმით გაჟღენთილ“ საზოგადოებაში. კრიტიკოსის აზრით, რევოლუციის შემდეგ საქართველოში ინტელიგენცია ან ბოლშევიკებს მიემხრო, ან მათ მოწინააღმდეგებს, ამიტომაც თეიმურაზის მსგავსი პერსონაჟისათვის ადგილი აღარ დარჩა. აი დასკვნაც – „რომანი რეალური არ არის, ის ჟიულ ვერნის წიგნებს ჰგავს“. თუმცა კრიტიკოსი იმასაც ამტკიცებს, „მ. ჯავახიშვილი ერთობ ნიჭიერი მწერალია, ენა მისი მკვეთრი და წერის მანერა ფაქიზად ხელოვნური, რომანისტული ნიჭი უტყუარი“.

მიხეილ ჯავახიშვილს კომუნისტმა ლიტერატურათმცოდნეება დაუწუნეს „კვაჭი კვაჭანტირაძე“, „დამპატიჟე“; კ. გამსახურდიას „ჯაბუ“ და „ლალ“, იმასაც კი მიუთითებდნენ, რომ „ამ მწერალს (იგულისხმება კ. გამსახურდია-ა.დ.) არც არაფერი დავიწყებია და არც არაფერი უსწავლიაო“. თუმცა ჯერ კიდევ აღნიშნავდნენ „უთუოდ ნიჭის პატრონია კ. გამსახურდია. მას კარგად აქვს შესწავლილ შეთვისებული მხატვრული ქართული...სიამოვნებით იკითხება, მაგრამ მარტო სიამოვნებისათვის ხომ არ იწერება ნაწარმოები. უნაყოფოდ იკარგება გამსახურდიას ლამაზად თქმა, მდიდარი ენა, ცოცხალი თხრობის უნარი“.[21]

ვთვლით, რომ მ. ჯავახიშვილისა და კ. გამსახურდიას ღირსებების საჯარო აღიარებით კომუნისტური ოფიციოზი აშკარად მიანიშნებს, რომ ქართული ლიტერატურის ეს კორიფეები აუცილებლად უნდა გამხდარიყვნენ „კომუნისტური ცხოვრების მეხოტბენი“ და ამ მიზნის მისაღწევად ის (ე.ი. მთავრობა) მცდელობას არ დააკლებდა და გამოიყენებდა ზემოქმედების ყველა საშუალებას. საბჭოთა ლიდერები ჩინებულად გრძნობდნენ მარტო პროლეტარული მწერლობის ასოციაციაში გაერთიანებული მწერლები მას „ლიტერატურულ ფრონტზე“ გამარჯვებას ვერ მოუტანდნენ, საბჭოთა ხელისუფლებისა და კომუნისტური ინტერნაციონალის მიმართ გამოთქმული ხოტბა დიდება, უნიჭო აპოლოგია ზეგავლენას ვერ მოახდენდა მოსახლეობის ფართო ფენებზე, ამიტომაც ზეწოლა ყველა საშუალებით („მათრახი და თაფლის კვერის“) უნდა განეხორციელებინათ სიტყვაკაზმაული მწერლობის საუკეთესო წარმომადგენლებზე. საქართველოში ეს

ასეც მოხდა, თუმცა არა ერთბაშად და არც თუ გამორჩეული წარმატებით.

XX საუკუნის 20-იანი წლების მეორე ნახევარში ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში უკვე ჩამოყალიბდა ერთი ჯგუფი კრიტიკოსებისა, რომლებმაც მიზნად დაისახეს კომუნისტური პარტიის ამოცანების გატარება და ბევრ შემთხვევაში კიდევ უფრო მკაცრი იყვნენ, ვიდრე თვით კომუნისტი თეორეტიკოსი-ლიდერები. მაგალითად, ბენიტო ბუაჩიძე, შალვა რადიანი, ბესო ჟღენტი, გიორგი ქუჩიშვილი და სხვ.

ბენიტო ბუაჩიძემ 1929 წელს მკაცრად გააკრიტიკა პარტიული ფუნქციონერის ვ. ბახტაძის გაზ. „კომუნისტში" დაბეჭდილი წერილი, რომელშიც კრიტიკასთან ერთად ქართული ლიტერატურის წინაშე მ. ჯავახიშვილის დამსახურების აღიარებაც იყო აღნიშნული. გაღიზიანებული ბ. ბუაჩიძე მიუთითებდა: „რა საჭიროა თავის მოტყუება... როდესაც საერთოდ კლასთა ინტერესი წყვეტს ყველა საკითხს? როდესაც ჯავახიშვილი „დამპატიჟეებს" სწერს და გივი შადურს ალაყბებს და აბოდებს, ეს ფრიად პოლიტიკურ, კლასიურ ამბებს ეხება და ეს ხდება ანტიპროლეტარულ ფენათა კარნახით" .

ლიტერატურათმცოდნეები განსაკუთრებით კრიტიკული გახდნენ 1930 წელს – ეს წელი აღინიშნა საბჭოთა კავშირში ბუხარინის მომხრეთა – „მემარჯვენეთა" წინააღმდეგ ბრძოლის არნახული გააფრთებით, რამაც ხელოვნებასა და კულტურულ ცხოვრებაშიც შეაღწია. კომუნისტი ბ. ბუაჩიძე ენერგიულად დაუპირისპირდა საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციას, რომელმაც, მისი აზრით, „მიისაკუთრა ყოფილი მწერალთა კავშირის ყველა ცუდი მხარე „მიკიბ-მოკიბული ტრადიციები, კარჩაკეტილობა, საზოგადოებრივი ალღოს სიჩლუნგე, მემარჯვენეობა და სხვ.". ის ამტკიცებდა, რომ „ფედერაციაში გაერთიანებულნი არიან ის მწერლები, რომლებიც საბჭოთა არიან და ის მწერლებიც, რომლებიც მტრულად არიან განწყობილი საბჭოებისადმი, სოციალიზმის მშენებლობისადმი და ნეიტრალები". ის უკვე ხმარობს ტერმინს „რეაქციონერი მწერალი" და კრიტიკის ცეცხლში ატარებს „აკადემიურ მწერალთა ასოციაციას" – „ძველი დიდების" აღდგენის მოციქულობაში ნიჭი რომ დაეღალათ... მათ შემოიკრიბეს ყველა ის, ვისაც ყველაფერი წარსულში აქვს... პოლიტიკური ბანკროტობის შემდეგ აზნაურ-ბურჟუაზიული ინტელიგენციის წარმომადგენლებმა მწერლობას შეაფარეს თავი".

ასეთი მკაცრი განცხადება უკვე აშკარად 1937 წლის ოპრელუდიაა, მით უფრო, რომ კრიტიკოსი უკვე გვარებსაც ასახე-

ლებს: აკრიტიკებს ი. გრიშაშვილს, კ. გამსახურდიას „შავი მაგიის დოქტორს“ უწოდებს, რომელმაც განავითარა ყრუ და ბეცი მემარჯვენეობის იდეოლოგიის სისტემა, წამოაყენა რეაქციული შეხედულებები. მან გერონტი ქიქოძეს საშუალო საუკუნეების რეაქციული რომანტიზმის მთელი სისტემის ჩამოყალიბება დააბრალა და ა.შ. და ა.შ. [22]

ბ. ბუაჩიძეს მხარი აუბა შ. რადიანმა გაზ. კომუნისტში“ გამოქვეყნებული წერილით – „ძალთა დაჯგუფება ლიტერატურის ფრონტზე“. მისი მტკიცებით ქართულ ლიტერატურაში „გაძლიერდა ახალი – ბურჟუაზიულ რეაქციული ლიტერატურის აქტიურობა. ამ ფენას უკანასკნელ პერიოდში ახასიათებს ცდა ყველა ძალების შემჭიდროვებისა და ერთი ენით გამოსვლა ჩვენი ქვეყნის სოციალისტური აღმშენებლობის წინააღმდეგ. პარტიის ლოზუნგი: სასტიკი ცეცხლი კულაკების როგორც კლასის მოსასპობად, ძალაშია ლიტერატურის მიმართაც... მწერალს რომელსაც არ ესმის ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის საბოლოო ამოცანები, ჩვენი რევოლუციის ძირითადი მიზნები... დღეს აღარ შეიძლება ჩაითვალოს თანამგზავრად“.[23]

პროლეტარმა მწერალმა გ. ქუჩიშვილმა კი ასეთი ლიტერატურული „თანამგზავრები“ ასე შეაფასა: „ჩვენთან კაკანებს და კვერცხს კი მოწინააღმდეგეთა ბუდეში დებს“.[24]

ამ თავშეუკავებელ ბრძოლაში „ლიტერატურის ფრონტზე“ ჩათრეული აღმოჩნდა გენიალური გალაქტიონ ტაბიძეც. მან ასევე „კომუნისტში“ გამოაქვეყნა – „წერილი საბჭოთა მწერლების ფედერაციისადმი“, რომელშიც ამტკიცებდა, რომ „ჩვენი და მსოფლიო ლიტერატურის ბედი გადაწყდა არა გუშინ, არამედ 1917 წელს“. მან მხარი აუბა ქართულ მწერლობაში „მემარცხენეებს“ და მოწიააღმდეგეს მიმართა: „თქვენი მემარჯვენე ფრთა ჯიუტად იცავს თავს დანგრეული პოზიციებიდან. ამით ხელოვნურად აკავებს პროცესს რევოლუციური ლიტერატორთა ჯგუფის გაერთიანებისას, ცდილობს მისი განვითარების შენელებას... მე მიყვარს მასა, მიყვარს რევოლუცია, მიყვარს ისეთი ადამიანი, რომელიც ებრძვის ძველ ცხოვრებას“.[25]

და აი კულმინაციაც... ბ. ბუაჩიძე „კომუნისტში“ აქვეყნებს წერილს „ვინ-ვის“, რომელშიც გადაჭრით უსვამს საკითხს ქართულ მწერლობას – „ან მოვახდენთ გარდატეხას ჩვენს მუშაობაში, გავუთანასწორდებით რეკონსტრუქციის პერიოდის ტემპებს, შევიგნებთ ახალ გრანდიოზულ ამოცანებს, დავაკმაყოფილებთ ახალი მკითხველის გაზრდილ მოთხოვნილებებს, ან უნუგეშოდ

ჩამოვრჩებით სოციალისტური მშენებლობის დაკვრით ტემპებს".[26]

ბრძოლა ლიტერატურის ფრონტზე ამით არ დასრულებულა. რა თქმა უნდა, მემარცხენე მწერლებს ოფიციალურ პრესაში არავინ გამოხმაურებია (სხვა პრესა კი 1930 წლის საქართველოში აღარ არსებობდა), საბჭოთა კრიტიკოსების პრეტენზიები, რა თქმა უნდა, ოფიციალურ პოზიციებს ასახავდა, რომელიც მოითხოვდა ლიტერატურის ფრონტისაგან საბჭოთა ცხოვრების პანეგერიკს, ახალი, კომუნისტური სულისკვეთებისა და ხელისუფლებისადმი ერთგული პიროვნების აღზრდას. სტალინური ფრაქცია, რომელიც 1930 წლისათვის გამარჯვებული გამოვიდა შიდაპარტიული ბრძრლებიდან, უკვე ვეღარ მოითმენდა ქვეყანაში პლურალიზმს, აზრთა სხვადასხვაობას – ყველაფერი ერთ მიზანს – სტალინურად დანახული სოციალიზმის მშენებლობას უნდა მოხმარებოდა და ამ საქმეში ახალი საბჭოთა ლიტერატურის ამოცანა, მართლაც, მნიშვნელოვანი იყო.

ისიც აშკარაა, რომ გაძლიერდა საბჭოთა ლიტერატურის თეორეტიკოსთა რიგები (შ. რადიანი, ბ. ჟღენტი და სხვ.), რომლებიც დიდი ხნის მანძილზე წამყვან ადგილს დაიკავებენ „ლიტერატურის ფრონტზე" და კიდევ დიდი ხნით განსაზღვრავენ ქართული ლიტერატურის მაგისტრალურ ხაზს. ამ ჯგუფის წარმატებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მოხერხდა ქართული პოეზიის გენიის – გალაქტიონ ტაბიძის აქტიური ჩართვა ამ ბრძოლაში, რაც ჩვენი ვარაუდით, ასევე მისი მეუღლის, რევოლუციურად განწყობილი ოლღა ოკუჯავას დამსახურებაც უნდა იყოს.

უფრო დრამატულად ჩატარდა „მემარჯვენეთა" წინააღმდეგ ბრძოლა ქართულ საზოგადოებათმცოდნეობაში. XX საუკუნის მეორე ნახევარში სერიოზული პრობლემები შეექმნა ივანე ჯავახიშვილს. 20-იანი წლების დასაწყისში მის მიმართ საბჭოთა ხელისუფლების ხაზგასმით „მზრუნველი" დამოკიდებულება შეიცვალა აშკარა კრიტიკულით, რამაც მახინჯი ფორმები მიიღო და აიძულეს ღვაწლმოსილი პროფესორი მის მიერ დაარსებული უნივერსიტეტიდან წასულიყო. მაგრამ ჩვენ ვთვლით, რომ ივანე ჯავახიშვილის წინააღმდეგ ბრძოლა არ იყო ადგილობრივი მნიშვნელობის მოვლენა, მას გარკვეულად სავარაუდო კავშირი უნდა ჰქონდეს მოსკოვში განვითარებულ „ისტორიკოსთა საქმესთან". როგორც დღეს ამტკიცებენ, 20-იანი წლების მეორე ნახევარში ასევე სერიოზული პრობლემები შეექმნათ რუს ისტორიკოსებს: აკად. ს. ფ. პლატონოვს, ე. ვ. ტარლეს, ი. პ. ლიხაჩოვს, პროფესორებს ს.კ. ბოგოიავლინსკის, ი. ვ. გოტიეს, ა. ი. იაკოვლევსა და ძა-

ლიან ბევრ სხვას. მცირე ხნით პატიმრობაში იყვნენ პროფესორები ბ.დ. გრეკოვი, ს.ნ. ჩერნოვი და სხვები. დღეს, თანამედროვე რუსი ისტორიკოსები, ამ დრამატულ მოვლენას – „ისტორიკოსთა საქმეს“ – მთლიანად მ. ნ. პოკროვსკის სახელს უკავშირებენ, რომელიც ჯერ კიდევ მეფის რუსეთში აღიარებული ისტორიკოსი იყო და გამოირჩეოდა რადიკალური პოლიტიკური შეხედულებებით. მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა ლენინთან და ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ბოლშევიკების დიდი ნდობით სარგებლობდა. მ.ი. პოკროვსკის სერიოზულად გაურთულდა ურთიერთობა სხვა ისტორიკოსებთან, რადგან მის მიერ რუსეთის ისტორიის მხოლოდ ისტორიული მატერიალიზმის პრინციპებით გაგება, ეროვნული ისტორიისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულება, მხოლოდ კლასობრივი ბრძოლის თეორიით ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების ახსნა, სოლოვიოვისა და კლუჩევსკის სკოლაგავლილ რუს მეცნიერთა შორის გაღიზიანებას იწვევდა. მ. ნ. პოკროვსკი კი თავისი გავლენით თრგუნავდა რუს ისტორიკოსთა თავისუფალ განვითარებას, ხოლო მისი სუბიექტური შეხედულებები განსაზღვრავდნენ ამ ადამიანების მომავალ ბედს. დღეს აშკარად მიუთითებენ, რომ მ. ნ. პოკროვსკის მთავარი „ცოდვა“ მისი ანტირუსული განწყობილება, საისტორიო მეცნიერებაში ანტირუსული ხასიათის დანერგვა იყო .[27]

მოგვიანებით, 30-იან წლებში მისი შეხედულებები და მოსაზრებები კრიტიკის ობიექტი გახდება, მაგრამ 20-იან წლებში მ.ნ. პოკროვსკი ცალსახად „ბატონობდა“ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში და როგორც აუცილებელი წესი – ადგილებზე, რესპუბლიკებში უნდა ებრძოლათ საზოგადოებათმოცდნეობაში პოკროვსკის პრინციპების დასანერგად – რაც ისტორიული პროცესების მხოლოდ მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიით გაშუქების, ისტორიული მატერიალიზმის პრინციპების დანერგვის და ისტორიიდან „ნაციონალიზმისა და შოვინიზმის“ მავნე ზეგავლენის განდევნას ითვალისწინებდა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრების დროს ქართული საისტორიო სკოლა სულ რამდენიმე კაცს ითვლიდა და ისინიც რუსეთისა და დასავლეთ ევროპის უნივერსიტეტების სკოლაგავლილნი, ისტორიის გაგების არამარქსისტულ მეთოდოლოგიას იყენებდნენ. თანდათან საქართველოშიც განმტკიცდა მარქსისტულ-ლენინური ისტორიოგრაფია. შეიქმნა საქართველოს კპ (ბ)-სთან არსებული „პარტისი“, სამეცნიერო უჯრედი, რომელიც მოწოდებული იყო შეესწავლა საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორია. 1922 წელს თბილისის უნივერ-

სიტეტში გაიხსნა სოციალურ-ეკონომიკური ფაკულტეტი. 1923 წელს დაარსდა ამიერკავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტი. სამართლიანად მიუთითებენ, რომ „1921-1926 წწ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საერთოდ არ წარმოებდა ისტორიკოსთა მომზადება ისტორიულ-პარტიული მეცნიერების პროფილით. უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა შორის ამ პერიოდში არ იყო სპეციალისტი, რომელსაც შეეძლო ახალგაზრდა ისტორიკოსთა მომზადება კომუნისტური პარტიის ისტორიაში სამეცნიერო მუშაობისათვის“.[28]

სწორედ ამითაც შეიძლება აიხსნას ივ. ჯავახიშვილის, მისი შემოქმედების მიმართ შედარებით ლოიალური დამოკიდებულება 1921-1926 წლებში – მისთვის არც არავის ეცალა და არც ამისათვის შემზადებული კადრები ჰყავდათ. თანდათან საქართველოში გაჩნდა ფენა ისტორიკოს-მარქსისტებისა, რომელთაც პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და კლასობრივი ბრძოლის თეორიის პრინციპების გარეშე ისტორიული პროცესის გაგება ვერ წარმოედგინათ: მათ შორის იყო ქართველი კომუნისტების აღიარებული ლიდერი ფ. მახარაძე, ისტორიკოსები გიორგი ხაჭაპურიძე, ნიკო მახარაძე და სხვები.

რუსეთში ისტორიკოსთა წინააღმდეგ გამართულმა ბრძოლამ საქართველოს კომუნისტური ხელმძღვანელობა წააქეზა საქართველოშიც გადმოეტანათ მ. ნ. პოკროვსკის სახელმძღვანელო პრინციპები და რამდენადაც „ისტორიის ფრონტზე“ ძველი თაობიდან ივანე ჯავახიშვილის გარდა ხელჩასაჭიდი არავინ იყო, მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის პრინციპებიდან გამომდინარე სწორედ მას დაუწყეს ულმობელი ბრძოლა. სამართლიანად მიუთითებენ, რომ „სერიოზული სამზადისი მიმდინარეობდა ივანე ჯავახიშვილის მეცნიერული მემკვიდრეობის უარყოფისა და დიდი მეცნიერის მიერ შექმნილი საისტორიო სკოლის გასანადგურებლად. აქ ძალმომრეობა, დაშინება და შანტაჟი საკმარისი არ იქნებოდა. საჭირო იყო ქართული ისტორიოგრაფიის დაპირისპირება ივანე ჯავახიშვილთან. პოლიტიკური მსჯავრი ივანე ჯავახიშვილს ხელისუფლებამ გამოუტანა, „მეცნიერული“ მსჯავრი ქართული ისტორიგრაფიის წარმომადგენლებს უნდა გამოეტანათ. ივანე ჯავახიშვილი თბილისის უნივერსიტეტსა თუ მის გარეთ მოღვაწე ისტორიკოსთა, მისი კოლეგებისა და მოწაფეების, უნივერსიტეტის სტუდენტთა და ასპირანტთა ხელით უნდა დასამარებულიყო. თუ ეს მიზანი მიღწეული იქნებოდა, თბილისის უნივერსიტეტში საქართველოს ისტორიის სწავლება ივანე ჯავახიშვილის მოწინააღმდეგეთა ხელში აღ-

მოჩნდებოდა და პატრიოტული სულისკვეთებაც ნელ-ნელა ჩაკვდებოდა".[29]

XX საუკუნის 20-იანი წლების დასასრულს კრიტიკის ცეცეხლში გაატარეს საქართველოს ტექნიკური ინტელიგენციაც – ამას გარკვეულად ხელი შეუწყო „შახტის საქმემ". ეს იყო საბჭოთა სპეცორგანოების მიერ დომბასის ტექნიკური ინტელიგენციის ერთი ჯგუფის მიმართ საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ ფარული საბოტაჟის ბრალდება. ამას მოჰყვა „კონდრატიევშჩინას" პერიოდი – როცა ყველა მეცნიერს, რომელიც ოდნავ მაინც იყო შემჩნეული დასავლეთევროპული სამეცნიერო თეორიებისადმი პატივისცემაში, ან ცდილობდა გაეზიარებინა ზოგიერთი მოსაზრება და მთლიანად არ იდგა მარქსისტულ-ლენინურ საფუძვლებზე, თვლიდნენ საბჭოთა სისტემისათვის მტრულ ძალად. აი, რას სწერდა კონდრატიეველობის წინააღმდეგ ქართული ოფიციოზი: „კონდრატიევშჩინა თავის დასაყრდენს ხედავდა კულაკობაში და საერთოდ ჩვენი ქვეყნის კაპიტალისტურ ელემენტებში. ისინი ხელს უშლიდნენ პარტიას ძირფესვიანად ამოეთხარა კაპიტალისტური ნაშთები, იბრძოდნენ კოლექტივიზაციის წინააღმდეგ და ცდილობდნენ ხელი შეეწყოთ კულაკური მეურნეობების ზრდისათვის".[30]

ეს იმჟამად სერიოზული ბრალდება იყო. გამოჩნდნენ ქართველი „კონდრატიეველები" – მაგალითად ვინმე ა. ჭუმბურიძე, „საქართველოს ჩაის" მეცნიერ-კონსულტანტი. ის თავის ნაშრომებში თურმე კ. კაუცკის იმოწმებდა. ამტკიცებდა, რომ სოფლად მეურნეობების გამსხვილებას აქვს საზღვარი, რომ აუცილებელია წვრილი სასოფლო-სამეურნეო სექტორის შენარჩუნება. მისთვის მისაღები ყოფილა და სამაგალითო, კაპიტალისტური ქვეყნების აგრარული პოლიტიკაც და ა.შ.[31]

ოფიციოზისაგან სერიოზული კრიტიკა დაიმსახურა იურისტმა გიორგი ნანეიშვილმა ნაშრომისათვის „სამართლის ნამდვილობა და ცდა ნორმატიული ფაქტების დასაბუთებისათვის". კრიტიკოსის მტკიცებით "ავტორი გამოდევნებია ბურჟუაზიულ მშრალ დოგმატიკას. მისთვის შეუმჩნეველი რჩება თანამედროვე სოციალისტური სინამდვილე, სოციალისტური უფლებრივი შეგნება". ეს ავტორი თურმე არ იზიარებდა მარქსისტულ დებულებას, რომლის საფუძველზე ჭეშმარიტება ყალიბდება არა „განყენებული დედუქციების საშუალებით, არამედ გაბატონებული კლასის სამეურნეო მოთხოვნილების ემპირიული შემოწმებისა და მასთან შეგუების მეთოდით".[32]

ინტელიგენციის ერთი ნაწილის მიმართ რეპრესიული ღონისძიებების განხორციელებით ხელისუფლება ცდილობდა და ზოგჯერ წარმატებითაც – ჩაეთრია ინტელიგენციის მეორე, მისდამი უფრო ლოიალურად განწყობილი ნაწილი. ამ ფენაში ძალიან ბევრი იყო ღირსეული ქართველი მამულიშვილი, რომლებიც სხვადასხვა მოსაზრებით (ზოგი თანამდებობის დაკარგვის შიშით, ზოგი რეპრესიების შიშით, ზოგიც კონფორმისტული მოსაზრებებით) გარეგნულად იზიარებდა ხელისუფლების პოზიციებს და მხარს უბამდა მას საკუთარი კოლეგების დევნაში, კრიტიკაში. ძალიან მალე „შახტის" საქმის შემდეგ თბილისში შეიკრიბა ქართველ ინჟინერ-ტექნიკოსთა საქალაქო კრება, რომელმაც მოისმინა მოსკოვიდან ამ მიზნით სპეციალურად ჩამოსული, „სატექნიკო ძალთა საკავშირო ბიუროს" ხელმძღვანელის, ვინმე შეინის მოხსენება. ინჟინერმა კაკაბაძემ მას მხარი აუბა იმით, რომ გაიხსენა თუ როგორ ააშენეს მარელისისა და ბორჯომის ქარხნები უცხოელმა სპეციალისტებმა და ამ საქმეში უგულვებელყვეს ადგილობრივი სპეციალისტების შესაძლებლობები. ამ უცხოელებმა კი არაფერი არ იცოდნენ და სერიოზული დარღვევები ჰქონდათ მუშაობაში. ცნობილმა ქართველმა ინჟინერმა ბ. ჭიჭინაძემ „შახტის საქმე" დაუკავშირა ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის მიერ პასუხისმგებლობის ამაღლების მოწოდებას და დაგმო მათი გარიყვა, მათ მიმართ ტოტალური უნდობლობის გამოცხადება.

საერთოდ, აშკარაა, რომ 20-იანი წლების მეორე ნახევარში მართლაც ხდება გარდატეხა საქართველოს ინტელიგენციის გარკვეულ წრეებში – ისინი ხელისუფლების მიმართ ლოიალურ პოზიციაზე დგებიან (თუმცა არა ყველა). ამაზე მიუთითებს ძალიან ბევრი ფაქტი, მეცნიერ-მუშაკთა სხვადასხვა რანგის შეხვედრებზე მათი აქტიური მონაწილეობა, მათ მიერ წარმოთქმული სიტყვები, მოვლენების პროსაბჭოთა შეფასებები, ზოგჯერ ხელისუფლების აქტიური მხარდაჭერაც კი.

მაგალითად, 1929 წელს საკავშირო მეცნიერებათა აკადემიამ ახალ წევრებად არ აირჩია ხელისუფლების პროტეჟეები: პროფესორები დებორინი, ფრიჩე, ლუკინი. როგორც ამტკიცებდნენ – მათი მარქსისტული შეხედულებების გამო.

თბილისში სასწრაფოდ შეიკრიბა საქართველოს მეცნიერ მუშაკთა კონფერენცია, რომელმაც გააკრიტიკა მეცნიერებათა აკადემია „ღირსეული მეცნიერების პოლიტიკური მოსაზრებით დისკრიმინაციის გამო". ამ შეკრებაზე კ. კეკელიძემ განაცხადა, რომ საბჭოთა საზოგადოების მიერ წარდგენილი კანდიდატების

ჩაგდება აკადემიის ძველი წევრების გამო მოხდა, მათ არ სურთ საბჭოთა საზოგადოების მიერ შეტანილი კანდიდატების გაყვანა. აქ მან ოსტატურად ჩაურთო და გაუხსენა აკადემიის ხელმძღვანელობას, რომ მათ არ უნდოდათ თავის დროზე თბილისში უმაღლესი სასწავლებლის გახსნა. საქართველოს ცენტალური არქივისა და წიგნის პალატის თანამშრომელთა სახელით კონფერენციაზე გამოვიდა ბროსე, სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტის სახელით – პროფ. გულისაშვილი. მიღებულ რეზოლუციაში ჩაიწერა: სსრკ მეცნიერებათა აკადემიის მიერ ღირსეული წევრობის კანდიდატების „გაშავება" არის „კლასობრივი ბრძოლის გამოხატულება და განსაზღვრული პოლიტიკური აქტი".[33]

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 10 წლისთავის საიუბილეო დღეებში საქართველოს სსრ განათლების მინისტრ დ. კანდელაკთან ერთად საჯარო მოხსენებებით, პრესაში წერილებით გამოდიოდნენ ცნობილი მეცნიერები შ. ნუცუბიძე, გ. ახვლედიანი, ვ. ლორთქიფანიძე, კ. კეკელიძე, და ამტკიცებდნენ იმას, თუ რა საუკეთესო პირობებშია ქართული მეცნიერება, რომ თუ 1919 წელს ქართველმა მენშევიკებმა უნივერსიტეტისათვის ძლივს გაიმეტეს 765 ათასი მანეთი, საბჭოთა ქვეყანამ საიუბილეო წელს მისთვის გამოყო 1 მილიონი მანეთი.[34]

ამრიგად, როგორც ვხედავთ, 20-იანი წლების დასასრულს საბჭოთა ტოტალიტარულმა სახელმწიფომ შეძლო ინტელიგენციის დიდი ნაწილის აშკარად თავის მხარეზე გადაყვანა, ხოლო მოწინააღმდეგეთა მიმართ გააძლიერა ზეწოლა და დევნა. განსაკუთრებული დევნის ობიექტი გახდა ეროვნულ ცნობიერებაზე დამყარებული შემოქმედება, რომელზეც სრული კონტროლის დაწესება სახელმწიფომ ჯერ კიდევ ვერ შეძლო.

რელიგიური კონფესიები და ტოტალიტარული სახელმწიფო

1923 წლის ძლიერი ათეისტური ტერორის შედეგად, როგორც დავინახეთ, საქართველოში მრავალი ეკლესია-მონასტერი დაიხურა, განადგურდა, კლუბად ან საწყობად გადაკეთდა. საბჭოთა ხელისუფლების ტოტალურმა ბრძოლამ სხვადასხვა კონფესიის წინააღმდეგ შეუქცევადი ხასიათი მიიღო, რასაც თან ერთვოდა ღვთისმსახურთა ღირსების შეურაცხმყოფელი და

არასამართლებრივი ქმედებები. ყველა უკმაყოფილების, ყველა სახალხო მღელვარების უკან საბჭოთა ხელისუფლება ხედავდა „კლერიკალებს, იეზუიტებს, ხუცებს". ეს ეჭვი მართალ იყო თუ არამართლზომიერი?

რა თქმა უნდა, ბოლშევიკების ძალადობრივმა ქმედებებმა სასულიერო პირთა მხრიდან უდიდესი უკმაყოფილება გამოიწვია. მათი პროტესტი თავისებურად გამოვლინდა კიდეც 1924 წლის აგვისტოს აჯანყების დროს, როდესაც სამღვდელოება აშკარად თანაუგრძნობდა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, პატრირტულ ძალებს. არის ცნობა, რომ 1924 წლის აგვისტოში, როდესაც ქ. ჩოლოყაშვილის რაზმი სოფ. წინარეხში შევიდა, სოფლის მღვდელმა კობერიძემ „დამკომის" წევრებსა და ქ. ჩოლოყაშვილს ჩინებული ვახშამი გაუმართა და დალოცა მათი საქმე.[1]

ასევე ცნობილია, რომ ქ. ჩოლოყაშვილის რაზმი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის წინ, ალგეთის ხეობაში, სამხედრო აღლუმის დროს დალოცა და აკურთხა ადგილობრივმა მღვდელმა.[2]

საბჭოთა მთავრობა თავისი აგენტურის საშუალებით კარგად იყო ინფორმირებული საქართველოს რელიგიურ ორგანიზაციებში არსებული სიტუაციების შესახებ და აჯანყების მხარდაჭერაში შემჩნეული ყველა სამღვდელო პირი სასტიკად დაისაჯა. მათ შორის დრამატიზმით გამოირჩევა სამეგრელოს სოფ. კიცხის წმ. გიორგის ტაძრის მოძღვარ მამა აკაკის (გოშუას) საჩვენებელი დასჯა ადგილობრივი საბჭოთა ფანატიკოსების მიერ. იმისათვის, რომ მოძღვარი ღირსების აყრისა და შეურაცხყოფისაგან, შეიძლება სიკვდილისაგანაც კი გადაერჩინათ, ახლობლებმა ის გააშორეს მშობლიურ სოფელს. მაგრამ „ჩეკას" აგენტებმა მაინც მიაგნეს, ძალით შეიჭრნენ სახლში, ფეხებზე თოკი მიაბეს მოძღვარს და გარეთ გამოათრიეს. ურჯულოებმა მას ჯერ ჭაში ჩაგდება დაუპირეს, შემდეგ გადაწყვიტეს საჯაროდ შეურაცხყოფა მიეყენებინათ და ღირსება ძალით აეყარათ – საჯაროდ „გაეკრიჭათ" სოფლისათვის თავადადებული ღირსეული მოძღვარი. უფრო მეტი დამცირების მიზნით, სიკვდილის მუქარით დაავალეს ეს უღირსი საქმე მამა აკაკის აღზრდილს გაეკეთებინა, წინააღმდეგ შემთხვევაში მოძღვარს ადგილზე მოკლავდნენ. ამ დამამცირებელი აქტის შემდეგ მამა აკაკის ჩამოართვეს სახლი, აუკრძალეს ღვთისმსახურება.[3] ასეთი მაგალითები საქართველოში ერთეული არ იყო.

1924 წლის აჯანყების ჩახშობის შემდეგ ათეისტური პროპაგანდა ოდნავ შენელდა. ზოგიერთი ეკლესია-მონასტერიც გაიხსნა. რკპ (ბ) ცკ 1924 წლის ოქტომბრის დადგენილებამ საქართველოში ელესიის ფუნქციონირებისათვის ადრე დაწესებული ზოგიერთი შეზღუდვა მოხსნა. ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს მითითება მიეცათ საეკლესიო პირებსა და რელიგიურ ორგანიზაციებზე შეემსუბუქებინათ ზეწოლა.[4]

ეს დადგენილება საქართველოში გამოიყენეს მორწმუნეთა საზოგადოების წარმომადგენელებმა, რათა აღედგინათ და უკან დაებრუნებინათ 1923 წელს ხელისუფლების მიერ ჩამორთმეული სამლოცველოები. არსებობს ოზურგეთის მორწმუნეთა საზოგადოების 380 კაცის მიერ ხელმოწერილი თხოვნა საქ. სსრ ცაკის ხელმძღვანელობისადმი, რომელშიც ითხოვენ ქალაქში ორი ჩამორთმეული ეკლესიიდან ერთ-ერთის დაბრუნებას.[5] არსებობს სილნაღის მაზრის სოფ. ყანდაურას მცხოვრებთა პეტიცია სომხურ-გრიგორიანული მრევლისათვის სამლოცველოს დაბრუნების შესახებ და ა.შ.[6]

მიუხედავად კომუნისტური პარტიის ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებებისა, ადგილებზე კომუნისტები და კომკავშირლები აგრძელებდნენ რელიგიასთან სხვადასხვა მეთოდით ბრძოლას. ამ პერიოდში კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა მიენიჭა ეკლესიის ე.წ. „შიგნიდან აფეთქების" უკვე კარგად აპრობირებულ პრაქტიკას. 20-იანი წლების შუა ხანებში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ხელმძღვანელობას სერიოზული პრობლემები შეუქმნა ქუთათელმა მთავარეპისკოპოსმა დავითმა. იგი ქართულ ეკლესიაში „პროგრესული რეფორმების" გატარების მომხრე იყო. მისი „რეფორმები" ძალიან უახლოვდებოდნენ „განახლების მოძრაობის" ინიციატორთა შეხედულებებს. ქართულ ისტორიოგრაფიაში მიუთითებენ: „ეპისკოპოსი დავითი ფაქტიურად საკათალიკოსო საბჭოში კალისტრატე ცინცაძის წინააღმდეგ იბრძოდა".[7]

ქუთათელი მთავარეპისკოპოსი ფაქტობრივად სქიზმას აპირებდა. „რეფორმისტების ჯგუფმა" საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა და საკათოლიკოსო საბჭოს გვერდის ავლით 1926 წლის 26-27 დეკემბერს ქუთაისში მოიწვია საეკლესიო ყრილობა, რომელსაც დაესწრნენ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ამბროსის (ხელაია) მოწინააღმდეგენი, საბჭოთა ხელისუფლებასთან ლოიალური პოლიტიკისა და თანამშრომლობის კურსის მიმდევარი პირები.[8]

როგორც ვხედავთ, საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების მიზანი – მოეხდინა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ორგანიზაციული გათიშვა – რეალურ პოლიტიკად გადაიქცა.

ეკლესიის ზოგიერთ იერარქთან ერთად, საბჭოთა ხელისუფლება ჩინებულად იყენებდა ეკლესიის „უძღებ შვილებს" – სხვადასხვა მიზეზით გაბოროტებულ და განაწყენებულ მღვდელმსახურებს, რომელთაც ფართო ასპარეზს უხსნიდნენ ოფიციალურ პრესაში. ამას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, განსაკუთრებით სოფლის მოსახლეობის ათეისტური შეხედულებების განმტკიცების საქმეში. მაგალითად, გაზეთ „კომუნიტში" გამოქვეყნდა დეკანოზ იასონ აბესაძის წერილი „ღია ბარათი საქართველოს საკათალიკოსო საბჭოს", რომელშიც ხაზგასმულია: „მექრთამეობა... ბოროტმოქმედთა დამალვა-მიფუჩეჩება, უფროსების დიდრაჯობა, ხელქვეითების ჩაგვრა, საზოგადო მნიშვნელობის თანხების გაფლანგვა, ქართველი სასულიერო უწყების ერთი დამახასიათებელი თვისებათაგანი იყო და არის, დაწყებული საეკლესიო მართა-გამგეობის უმაღლესი ორგანოდან და ეპისკოპოსთა უმრავლესობიდან, უკანასკნელ მედავითნემდე დამთავრებული".[9]

აგიტაციისა და ძალის გამოყენებით მოხერხდა ზოგიერთი სასულიერო პირის გადაყვანა საბჭოთა სახელმწიფოს იდეოლოგიურ პლატფორმაზე. ისინი იხდიდნენ ანაფორას და უარს აცხადებდნენ ღვთისმსახურების შესრულებაზე (მაგალითად, მღვდელი ანთაძე, მღვდელი კელენჯერიძე და სხვა.). იქ სადაც „კეთილი სიტყვა" არ გადიოდა, იყენებდნენ შიშველ ძალადობას. საქართველოს შინსახკომის საარქივო მასალებში მივაკვლიეთ მღვდელ დავით ბატიაშვილის განცხადებას, რომელიც 1925 წ. 7 თებერვალს გაუგზავნია სახალხო კომისრისათვის. მღვდელი უჩივის სიღნაღის მაზრის აღმასკომის თავმჯდომარეს იმის გამო, რომ მან ძალით აიძულა საეკლესიო პირები ღვთისმსახურება შეეწყვიტათ.[10]

XX ს. 20-იანი წლების შუა ხანებში შესამჩნევია ინტენსიური შეტევა საქართველოში კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენლობის წინააღმდეგ. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დაიგზავნა სპეციალური ცირკულარები, რომელშიც მოითხოვდნენ ინფორმაციას კათოლიკე ქსენძების, მრევლის რაოდენობის და ეკლესიის ზეგავლენის მასშტაბების შესახებ. იმჟამად კათოლიკური ეკლესიის მრევლი არსებობდა თბილისში, ქუთაისში, გორ-

ში, ახალქალაქში, ახალციხეში. ოფიციალური წყაროები ახალქალაქის კათოლიკე ქსენძებს „ფანატიკოსებად“ მოიხსენიებენ.

სამღვდელოების წინააღმდეგ ძალადობრივ მეთოდებს ხშირად და აქტიურად იყენებდნენ კომკავშირული ორგანიზაციების წევრებიც. არის ცნობა, რომ სოლოლაკში მდებარე კათოლიკურ ეკლესიაში შეიარაღებულმა ახალგაზრდებმა შეურაცხყოფა მიაყენეს მღვდელ მ. გოზალიშვილს, მოაწყვეს დებოში, დაანგრიეს მარმარილოს ქვის ჯვრები და შებილწეს სიწმინდეები.

განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს გორის კათოლიკე ქსენძს დამიან იაკობის ძე სააკაშვილს. მას განათლება რომში ჰქონდა მიღებული, ის მოღვაწეობდა ჯერ გორში, შემდეგ ქუთაისში. საბჭოთა აგენტურული ცნობით ის რომის პაპის ინტერესებს ემსახურებოდა და ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ტოტალური შევიწროვების ფონზე, კათოლიკე მრევლის რაოდენობის გაზრდას ისახავდა მიზნად.[11]

კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში განსაკუთრებით გაძლიერადა 20-იანი წლების დასასრულს. ეს დაკავშირებული იყო რომის პაპის ანტისაბჭოთა განცხადებებთან, რასაც საბჭოთა ხელისუფლებამ კათოლიკე პატრების დევნით უპასუხა. საქართველოში ოფიციალურ პრესაში არაერთხელ დაიბეჭდა ოფიციალური თუ შეკვეთილი წერილები, რომლებშიც მათ აბრალებდნენ საეკლესიო ფულების ფლანგვას, მრუშობასაც კი და სხვ.[12]

სერიოზული პრობლემები შეუქმნეს მაჰმადიანურ რელიგიასაც. მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებდა ის, რომ ისლამი ღრმად იყო გამჯდარი ქართველ მუსლიმანთა ყოფა-ცხოვრებაში. მეტად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ აჭარის საბჭოების II ყრილობაზე დეპუტატმა დაუდ-ეფენდი დიასამიძემ განათლების პრიორიტეტზე მსჯელობა ყურანიდან მოხმობილი ციტატებით დაიწყო. მან ქართველი მენშევიკების განათლების სისტემას „ნაციონალ-შოვინისტური“ უწოდა და მოითხოვა, რომ ახალი სახელმძღვანელოებით ქართველი მუსლიმანების ზნე-ჩვეულებები არ შებღალულიყო. დიასამიძის აზრით, მასწავლებლებად ქართველ მუსლიმანებს უნდა ემუშავათ და ყველა რეგიონში ადგილობრივი ტრადიციებისა თუ რელიგიური ინტერესების შესაბამისი სასწავლებლები უნდა ჩამოყალიბებულიყო.[13]

გარკვეული გარდატეხა ეკლესიასა და საბჭოთა სახელმწიფოს შორის ურთიერთობაში 1927 წელს ხდება. რუსეთის უწმინდესმა სინოდმა გამოაქვეყნა შემდეგი მიმართვა: „ჩვენი ეკლესიის მოღვაწენი საბჭოთა ხელისუფლების მტრები არა ვართ, ინტ-

რიგების ბრმა იარაღი კი არა ვართ, არამედ ჩვენ ხალხთან და ხელისუფლებასთან ვართ... უნდა ვაჩვენოთ, რომ საბჭოთა ხელისუფლების მომხრენი არიან არამარტო რელიგიისადმი გულგრილი ხალხი, არამედ რელიგიის მხურვალე თაყვანისმცემლებიც". წერილში მითითებული იყო, რომ თითქოს, უკვე გარდაცვლილ პატრიარქ ტიხონს, სურდა ეკლესიას მშვიდი და ახლო ურთიერთობა ჰქონოდა საბჭოთა ხელისუფლებასთან.[14]

მიუხედავად ასეთი შემრიგებლური განცხადებისა, საბჭოთა მთავრობა აძლიერებდა ათეისტურ პროპაგანდას. როგორც ოფიციალური წყაროები მიუთითებენ, რელიგიური ტრადიციების აღნიშვნის ფაქტებს თვით კომუნისტებს შორისაც ჰქონდა ადგილი, რაც ყოვლად დაუშვებლად იყო მიჩნეული. ჩაითვალა, რომ „ნეპის" ვითარებაში, ნვრილბურჟუაზიული ელემენტების გაძლიერება-გააქტიურებამ, რასაც ადგილი ჰქონდა 20-იანი წლების მეორე ნახევარში, რელიგიური გრძნობების გააქტიურებაც გამოიწვია. კომუნისტური პრესა შეშფოთებული წერდა: „სამღვდელოება კარგად იყენებს არსებულ რთულ ვითარებას, უპირისპირდება კომუნისტური აღზრდის პრინციპებს და ზრდის გავლენას სოფლის მოსახლეობაზე, განსაკუთრებით ახალგაზრდობაზე".

ამრიგად, აშკარაა, რომ მიუხედავად საბჭოთა კონსტიტუციით ოფიციალურად დეკლარირებული სინდისის თავისუფლებისა, საქართველოში XX საუკუნის 20-იანი წლების დასასრულს დევნის მთავარი ობიექტი კვლავ იყო როგორც ქართული მართლმადიდებლური ეკლესია, ისე სხვა რელიგიური ორგანიზაციები. საჭოთა სახელმწიფო აშკარად თუ ფარულად ხელს უწყობდა ქართულ ეკლესიაში განხეთქილებას, ყველა საშუალებით ებრძოდა რელიგიის მსახურებს, ნერგავდა ტოტალურ ათეიზმს და ა.შ. კომპრომისი საბჭოთა ხელისუფთლებასა და რელიგიურ კონფესიებს შორის შეუძლებელი და გამორიცხული იყო, რადგან კომუნისტური ხელისუფლება არავის მისცემდა უფლებას ახალი, საბჭოთა ადამიანის სულიერი სამყაროს მთავარი არქიტექტორი და მშენებელი ყოფილიყო.

ტოტალიტალიტარული რეჟიმის ფსიქო-სოციალური ასპექტები

საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ქვეყანაში რთული, არა მარტო პოლიტიკური და ეკონომიკური პირობები შეიქმნა, არამედ დამძიმდა ფსიქო-სოციალური ვითარებაც. კომუნისტური იდეოლოგია – თუ არ ჩავთლით საქართველოს კომუნისტური პარტიის მცირერიცხოვან დაჯგუფებას, პრორუსულად განწყობილი საქართველოს მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს, საქართველოში პოპულარულობით არ სარგებლობდა, მითუმეტეს, რომ ქართველმა მემარჯვენე სოციალ-დემოკრატებმა (მენშევიკებმა) თავის მოკლე მმართველობის მიუხედავად, სერიოზულად შეულახეს რეპუტაცია მარქსიზმის ლენინურ ინტერპრეტაციას, ის რევიზიონიზმის ნაირსახეობად და ბლანკიზმად გამოაცხადეს.

ჩვენ ზემოთ, ნაშრომის სხვადასხვა ადგილას, არა ერთხელ განვიხილეთ საქართველოს მოსახლეობის სხვადასხვა ფენის დამოკიდებულება ბოლშევიზმისადმი, რაც აშკარად მიუთითებს, რომ ახალ, ძალით დამყარებულ ხელისუფლებას ოკუპაციის პირველ თვეებში, სერიოზული პრობლემები ჰქონდა მოსახლეობასთან ურთიერთობის საქმეში. ჩვენ ზემოთ ისიც აღვნიშნეთ, რომ „ჩეკას" აგენტურული ქსელი სისტემატურად ატყობინებდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობას საქართველოს მოსახლეობის რთულ ფსიქო-სოციალური მდგომარეობის შესახებ, მათ ფარულ თუ აშკარად ნეგატიურ განწყობილებებზე საბჭოთა ხელისუფლების მიმართ. 1921 წლის ზაფხულში საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილის დამოკიდებულება საბჭოთა ხელისუფლებისადმი, „ჩეკას" აღიარებით, იყო „გულგრილი და განუსაზღვრელი. მსხვილი ბურჟუაზია მენშევიკურად განწყობილ ინტელიგენციასთან ერთად კონტრრევოლუციურად იყო განმსჭვალული."[1] „ტყიბულში არ აუღიათ სამი თვის ხელფასი, ფოთში შიმშილობენ, თბილისის არსენალის მუშაკთა შორის მღელვარებაა."[2] „გლეხობის დამოკიდებულება საბჭოთა ხელისუფლებისადმი არის უნდობლობის."[3] სახაზინო თეატრის დირექტორი დაუფარავად აცხადებდა: „ბოლშევიკები – ეს თავაწყვეტილი მასაა, რომელშიც არ არის წესრიგი. ბოლშევიკები ვერანაირ წესრიგს ვერ შექმნიან – ეს თავაწყვეტილი გლეხუჭებია. დაე თვითონ შექმნან კულტურული მუშაობა, ხოლო ჩვენ მათ არ დავეხმარებით".[4] საქართველოს ინტელიგენციის ნონკონფორმისტული ნაწილის, მისი პოლიტიკური ელიტის

განწყობილება იყო საბრძოლო, ენერგიული, რადგან ისინი რადიკალურად უარყოფითად აფასებდნენ ბოლშევიკურ ოკუპაციას და მიაჩნდათ, რომ „სიცოცხლის ძარღვი გადაუჭრეს მთელს საქართველოს, გულები შედგნენ. სამარის სიჩუმე დამყარდა. ქართველები ლანდად გადაიქცნენ. ხანდახან გაისმოდა თითქოს საიქიოდან მოსული და შორს მგზავრობით დაღლილი ხმა მათი“.[5]

საქართველოს მუშათა კლასიც კი, რომელიც კომუნისტური ხელისუფლების მთავარი დასაყრდენი უნდა გამხდარიყო, ნივთიერი სივიწროვის გამო, პროტესტს აცხადებდა გაუსაძლისი მდგომარეობის გამო. ავჭალის შუშის ქარხანაში მუშები ცხოვრობდნენ გომურებში, ყოფილ საჯინიბოებში, სარდაფებში – 4-6 კაცი ერთ „ოთახში“. მათ ელემენტარული საცხოვრებელი პირობები არ ჰქონდათ – არ ედგათ მაგიდა, სკამები. იკვებებოდნენ მხოლოდ პურით. საქართველოს ქიმიკოსთა კავშირის კომისიამ, რომელმაც შეამოწმა 1922 წელს აღნიშნული საწარმო, შრომის პირობებს „კოშმარული“ უწოდა. ყოფიერება კი ქმნიდა ცნობიერებას... ადელხანოვის ყოფილ საწარმოებში „ჩეკამ“ დააფიქსირა მუშებს შორის საუბრები, რომ მატერიალურად ისინი ადელხანოვის დროს უკეთ იყვნენ უზრუნველყოფილნი.[6]

ყველაფერს ამას აგვირგვინებდა რთული მორალურ-ფსიქოლოგიური ვითარება თვით საქართველოს მმართველ, კომუნისტურ პარტიაში – იგიარ იყო მონოლითური, ერთიანი ორგანიზაცია. როგორც დავინახეთ, პარტიაში შეიმჩნეოდა დაბნეულობა, გარკვეული რყევაც კი. ეს აშკარად გამოვლინდა ქართველი კომუნისტების პირველ ლეგალურ კონფერენციაზე (1921 წ. ივნისი), სადაც საქართველოს რევკომის თავმჯდომარემ ფ. მახარაძემ განაცხადა: „არავისთვის არის საიდუმლო, რომ უკანასკნელ დროს ჩვენს პარტიაში შეიმჩნევა რაღაც რყევა, რაღაც უთანხმოება, გვესმის ცალკე ჩივილი იმაზე, რომ ჩვენი პარტიის ხაზი არ არის გამართული, რომ ყველგან მოჩანს რაღაც გაუბედაობა, გაურკვევლობა...“[7]

ასეთი რთული მორალურ-ფსიქოლოგიური ვითარების გაჯანსაღება, რადიკალურად გარდაქმნა შეიძლება მხოლოდ მნიშვნელოვანი ეკონომიკური წარმატებებით, მატერიალური ცხოვრების დონის მკვეთრი ამაღლებით, იმ დაპირებების რეალიზაციის, რასაც კომუნისტები ასე უხვად არიგებდნენ. ეს ამოცანა აშკარად უტოპიური იყო, ის სწრაფად ვერ განხორციელდა თვითონ რუსეთშიც კი. პირიქით, რუსეთი 1921 წელს თავის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე საშინელ შიმშილობას განიცდიდა და ახლადშემოერთებული ამიერკავკასიისაგან სწორედ ამ რთულ სო-

ციალურ-ეკონომიკური პრობლემის გადაწყვეტაში რეალურ დახმარებას მოელოდა (პროდუქტებით, დამშეული მოსახლეობის ევაკუაციით და ა.შ.)

ამიტომაც უფრო რეალურად ჩაითვალა ნაცადი გზა – „შიშის სინდრომის დამკვიდრება". მოსახლეობის უკმაყოფილო ნაწილის ლოიალობის მიღწევა „შიშის სინდრომის" გამოყენებით რუსეთში უკვე აპრობირებული მეთოდი იყო. ზემოთ არა ერთხელ აღვნიშნეთ, რომ თვითონ ვ. ი. ლენინი იყო „შიშის სინდრომის" დანერგვის ინიციატორი და განმახორციელებელი.სამართლიანად მიუთითებენ, რომ კომუნისტური იდეოლოგია თავისი არსით იყო სეგრეგაციული, თანაც უკომპრომისო იმ კლასებისა და სოციალური ფენების მიმართ, რომელიც მათი იდეოლოგიისათვის მთლიანად მიუღებელი იყო (მაგალითად, ბურჟუაზია, თავადაზნაურობა, სასულიერო წოდება) ცნობილი ბოლშევიკი გ. ზინოვიევი საჯაროდ აცხადებადა: „თქვენ, ბურჟუები, კლავთ ცალკეულ პირებს, ჩვენ ვანადგურებთ მთელ კლასებს".[8]

იმასაც სამართლიანად მიუთითებენ, რომ რამდენადაც კომუნიზმმა მიზნად დაისახა ახალი ტიპის ადამიანის – კომუნიზმის მშენებელი ადამიანის ფორმირება, უკვე ამდენად მან უარი თქვა საზოგადოების იმ ნაწილზე, რომელსაც „ასეთად ფორმირების შესაძლებლობა" არ ჰქონდა თავისი სოციალური წარმოშობისა თუ იდეურ-პოლიტიკური შეხედულებების გამო. ამიტომ თავიდანვე დადგა საკითხი „ვინ – ვის". ეს არ იყო მხოლოდ გარკვეულ ისტორიულ პერიოდში ჩამოყალიბებული კომუნისტური ელიტის დამოკიდებულება არაპროლეტარული სოციალური ფენისადმი (ამ ლოზუნგს, უფრო ხშირად სტალინს მიაწერენ, რაც არ არის სწორი), რადგან ის კომუნიზმის რუსული მოდელის გაჩენისთანავე წარმოიშვა და თავიდანვე აგრესიულობით გამოირჩეოდა – „ვინც ჩვენთან არ არის – ის ჩვენი წინააღმდეგია!" – ეს ძველი ისტორიული შეგონება ყველაზე კარგად გაითავისეს ბოლშევიკებმა.

ამ ისტორიულ ბრძოლაში აუცილებლად უნდა მომხდარიყო საზოგადოების ისეთი სელექცია, რომელიც უზრუნველყოფდა კომუნისტების ხანგრძლივ ბატონობას იმის შემდეგ, რაც მოხდებოდა საზოგადოების „გამოხშირვა" კომუნიზმისათვის მავნე, მიუღებელი, „იდეურად უცხო" ელემენტებისაგან და მოხდებოდა საზოგადოების „კრიტიკული მასის" შეცვლა კომუნისტებისათვის მისაღები „კრიტიკული მასით".

„მათრახისა და კვერის" უძველესი პოლიტიკური მეთოდი კომუნისტებმა შესაშურ სიმაღლეზე აიყვანეს. ეს პოლიტიკა სა-

ქართველოში იცვლებოდა, ვითარდებოდა, იხვეწებოდა იმისდა მიხედვით, თუ როგორ მიმდინარეობდა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება. ჩვენ ზემოთ სპეციალურ პარაგრაფებში დავინახეთ ამ პოლიტიკის ზიგზაგისებური ხაზი ინტელიგენციასთან, ბურჟუაზიასთან, გლეხობასთან დამოკიდებულების საკითხში. ისიც აშკარაა, რომ 1924 წლის აჯანყების პროვოცირების აუცილებლობა საქართველოს „სოვეტიზაციის" რთულმა, წინააღმდეგობრივმა პროცესმა გამოიწვია, რომ სწორედ ამ აჯანყების ბარბაროსული ჩაქრობა გახდა „შიშის სინდრომის" დანერგვის ყველაზე ეფექტიანი საშუალება, რომელმაც, მართლაც, მასში მონაწილე სოციალურ ფენებს ეს არ დაავიწყა რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში.

მაგრამ არა მეცნიერულია აზრი, რომ კომუნისტები მხოლოდ ძალის გამოყენებით ცდილობდნენ თავისი ძალაუფლების შენარჩუნებას. ეს ძალა, როგორც ზემოთ დავინახეთ, 20-იანი წლების საქართველოში, არც თუ მთლად დასრულებულ, ორგანიზაციულ სტრუქტურას წარმოადგენდა და მას მარტო გაუჭირდებოდა იმ დიდი ამოცანის გადაწყვეტა, რასაც კომუნისტური პარტია აკისრებდა.

საჭირო იყო კომუნისტური იდეოლოგიით და ფსიქიკური წყობით გაჯერებული ადამიანების ფორმირება. ეს საქმე კი არ იყო ადვილი: ეს ნიშნავდა ტრადიციული ფასეულობების უარყოფას, ახლის დანერგვას, გათავისებას, რწმენის სიმბოლოდ გადაქცევას, ტრადიციული რელიგიური რწმენა-წარმოდგენების ნაცვლად ახალი, კომუნისტური იდეალების შევთისება-შესისხლხორცებას. ეს უფრო ხანგძლივი პროცესი იყო, მაგრამ ის საქართველოში გასაბჭოებისთანავე დაიწყო. ამ საქმეში თავისი როლი შეასრულა „კომუნისტური პირდაპირობის სინდრომმა", რაც საქართველოს სამრეწველო კოლექტივების პარტიულ ორგანიზაციებში გასაბჭოებისთანავე გავრცელდა.

რა იყო ამ მოძრაობის სტიმული? კომუნისტური იდეოლოგია რადიკალურად უპირსპირდებოდა ყველა თავის წინამორბედს და მიაჩნდა, რომ კომუნისტები ისეთ ახალ პოლიტიკურ სისტემას აყალიბებენ, რომელიც თავისუფალი უნდა იყოს ყველა ადამიანური მანკიერებისა და გადაცდომებისაგან, რომ კომუნისტები ყველაზე უფრო ზნეკეთილი, ადამიანური, გულთბილი, მოწინავე, სამართლიანი არიან თავის კლასობრივ ძმებთან და, ამასთან, შეუბრალებელი, მკაცრი, ულმობელი – კლასობრივ მტრებთან, „ხალხის მტრებთან". საზოგადოების ისტორიას კომუნისტები თავისით იწყებდნენ – მიაჩნდათ ყველაფერი წარსუ-

ლიდან – უვარგისად, მანკიერად (რა თქმა უნდა, ასეთი რადიკალიზმი მოგვიანებით თანდათან შეიცვალა).

„კომუნისტური პირდაპირობის სინდრომი“ გულისხმობდა კომუნისტური მორალისა და წესების დანერგვისათვის ბრძოლას, რომ არსად არ დარღვეულიყო კომუნისტური ზნეობის ნორმები, თანაცხოვრების დაწერილი თუ დაუწერელი კანონები, რომ ყველა ნაკლი და გადაცდომა კომუნისტებს აუცილებლად სააშკარაოზე გამოეტანათ, რომ უნდა განედევნათ საზოგადოებიდან, პარტიიდან, შრომითი კოლექტივებიდან „უცხო, მავნე ელემენტები“, აღეზარდათ, გამოესწორებინათ „გზას გადაცდენილი“ თანამშრომლები, ყოფილი მეგობრებიც კი. კომუნისტები თავის საქმიანობაში „ჩეკას“ უშტატო თანამშრომლები უნდა ყოფილიყვნენ – მათ ევალებოდათ პარტიისა და კომუნისტური სახელმწიფოს შენიღბული თუ შეუნიღბავი მტრების გამოვლენა და მხილება: ეს იყო მათი ერთ-ერთი უპირველესი მოვალეობა.

უამრავი მაგალითი ადასტურებს, რომ საქართველოში, საბჭოთა ხელისუფლების პირველ თვეებშივე, კომუნისტურ ორგანიზაციებში ადამიანები ცდილობენ „ამხილონ“, „გამოაშკარაონ“, „სწორ გზაზე დააყენონ“ კოლეგები, თანამშრომლები. ამ უამრავი ფაქტიდან ჩვენ მოვიტანთ რამდენიმეს, რომ აღვადგინოთ ეპოქის კოლორიტი. 1922 წელს თბილისის რკინიგზის მთავარ სახელოსნოებში, (საწარმო რევოლუციამდეც არსებობდა), პარტიაში იღებდნენ ერთ პიროვნებას, რომელიც ამტკიცებდა, რომ ბოლშევიკურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობდა 1903 წლიდან. პარტიის წევრებმა, თანამშრომლებმა, როგორც ქართველებმა, ისე რუსებმა მას გაუხსენეს მენშევიკების მმართველობის პერიოდში რაღაც წვრილმანი შეღავათები და ეს სასიკვდილო ცოდვად გამოაცხადეს.[9]

სამრეწველო საწარმოთა მუშებს შორის გავრცელდა „მხილების პათოსიც“. ისინი სიამოვნებით ამხელდნენ კოლექტივში დასაქმებულ მენშევიკებს, მეფის პოლიციის მსახურებს, სახალხო გვარდიელებს, მედუქნეებს, შოვინისტური პარტიების წევრებს და ა.შ. რამდენადაც კომუნისტები ცხოვრებას „სუფთა ფურცლიდან“ იწყებდნენ, ჩინებულად ხედავდნენ „ბეწვს სხვის თვალში და საკუთარში მორსაც ვერ ამჩნევდნენ,“ 20-იან წლებში განსაკუთრებით ახალისებდნენ (ამის უამრავი ფაქტი არსებობს), კრიტიკულ დამოკიდებულებას საწარმოს ხელმძღვანელობისადმი, მის მიერ განხორციელებული ადმინისტრაციული თუ კომერციული ღონისძიებებისადმი. ფაბრიკა-ქარხნების რიგითი მუშები „ამხელდნენ“ კორუფციას, სახელმწიფო სახსრების

უყაირათო ხარჯვას, „წითელი დირექტორების“ მხრიდან ბატონ-კაცური დამოკიდებულების ფაქტებს და ა.შ.

ეს კრიტიკული დამოკიდებულება ქვეყანაში გააძლიერა პარტიულმა დაპირისპირებამაც, შიდაპარტიულმა უთანხმოებამ. კომუნისტები ამხელდნენ ტოროცკისტებს, „ახალი ოპოზიციის“ მომხრეებს, მემარჯვენეებს (ნ.ბუხარინის მომხრეებს). ეს დაპირისპირებები, რაც ხშირად ახალი, მაკომპრომიტირებელი მასალის მიწოდებასაც გულისხმობდა, დიდხანს შემორჩა საქართველოს კომუნისტურ ორგანიზაციებს და გარკვეული ტრადიციებიც კი შექმნა. საზოგადოებაში სოციალურ-პოლიტიკური ვითარების სტაბილიზაციისა და კომუნისტური რეჟიმის განმტკიცებასთან ერთად ასეთი ფსიქოლოგიური განწყობილების მქონე ადამიანთა რიცხვი იზრდებოდა.

კომუნისტური მორალი, კომუნისტური ფსიქოლოგია ნელა, მაგრამ საკმაოდ ეფექტურად ვრცელდებოდა საქართველოში. პირველ რიგში ეს იყო ნიჰილისტური დამოკიდებულება მატერიალური სიკეთეებისადმი, სისადავე ყოფაში, უბრალოების კულტი (ეს იყო აშკარა რეაქცია რომანოვების პერიოდის ფეოდალური არისტოკრატიისა და ბურჟუაზიის ხაზგასმულ ფუფუნებაზე), პროლეტარული ყოფის ჰიპერბოლიზება. საბჭოთა ხელისუფლების პირველსავე დეკრეტებში საქართველოში კომუნისტებსა და კომკავშირლებს აეკრძალათ ოქროსა და ვერცხლის ნივთების ტარება, ძვირად ღირებული ტანსაცმლის გამოყენება, ფუფუნების საგნების ხმარება – ეს ყველაფერი ბურჟუაზიული ცხოვრების მანკიერებად გამოცხადდა. პროპაგანდა ეწეოდა კომუნისტი ლიდერების ხაზგასმულ ასკეტიზმს, ცხოვრებაში სისადავეს. მასობრივად გავრცელდა კონსტრუქტივიზმი – მკაცრი უბრალოება, ლოგიკური თანმიმდევრობა ცხოვრებაში, ყოფაში, არქიტექტურაში, არაფერი ზედმეტი, ყველაფერი მკაცრ ლოგიკასა და აუცილებლობას უნდა დამორჩილებოდა. კომუნისტური საზოგადოება მკაცრად ადევნებდა თვალს თავის წევრებს, რომ არ მომხდარიყო „წვრილბურჟუაზიული“ გადაცდომები პირად ცხოვრებაში, ყოფაში, კულტურაში.

თანდათან დაინერგა და შემდეგ გავრცელდა კომუნისტური ეთიკა – ერთმანეთისადმი უცერემონიო, ფამილიარული დამოკიდებულება. კომუნისტების პარტიული მიმართვა „ამხანაგო“ თანდათან მთელ საზოგადოებაზე გავრცელდა (დღეს აშკარაა ამ ტერმინის სოციალური გამძლეობა რუსეთში, სადაც პოსტკომუნისტურ საზოგადოებაშიც კი ამ ტერმინმა თავისი ცხოველმყოფელობა შეინარჩუნა. აქედან დასკვნა: რაოდენ ძლიერი

იყო ის იმპულსები, რამაც კომუნისტურ რუსეთში ამ ტერმინის ტოტალური დამკვიდრება გამოინვია). საყოველთაოდ აიკრძალა ქართული, ტრადიციული მიმართვა – „ბატონო“, რომელიც ადამიანთა შორის ძველ, დრომოჭმულ ურთიერთობას, ადამიანთა შორის არსებული დისკრიმინაციის გამომხატველ ტერმინად ჩაითვალა (არსებობს ამ ტერმინზე ი. ბ. სტალინის უარყოფითი რეაქცია, როცა ის 1946 წლის ოქტომბერში საქართველი ინტელიგენციის ერთი ჯგუფს შეხვდა სოჭში. ქართველებს დასჭირდათ მისთვის შეხსენება რომ „ბატონო“ საქართველოში მოწიწების, პატივისცემის აღმნიშვნელი ტერმინია და არა სოციალური უთანასწორობის გამომხატველი მიმართვის ფორმა).

ასევე ჩამოყალიბდა კომუნისტური ესთეტიკა, გემოვნება – ფაქტობრივად რაღაც საშუალო მარქსისტულ ესთეტიკასა და გლეხურ-პროლეტარულ სულიერ იმპულსებს შორის. თავიდანვე გაირკვა – რა უნდა მოსწონებოდათ და რა არა. წარსულის ესთეტიკური ფასეულობები გამოცხადდა დრომოჭმულად, მიუღებლად. საზოგადოებას შესთავაზეს ახალი ესთეტიკა – გაუღენთილი კლასობრივი სულისკვეთებით, რევოლუციური აღტკიტნებით, ბურჟუაზიული მორალისა და ესთეტიკური ფასეულობებისადმი შეურიგებლობით. პროლეტარიატის გემოვნებით (უფრო ხშირად კი პარტიის ლიდერების პირადი გემოვნებით) ფასდებოდა მხატვრული შემოქმედება, ლიტერატურა, ხელოვნება, თეატრი. შეიცვალა ესთეტიკური კრიტერიუმები, პრინციპები, ახლებურად ესმოდათ სილამაზე, მშვენიერება. საბჭოთა ესთეტიკის თეორიული პრინციპები ჯერ კიდევ სრულად არ იყო ჩამოყალიბებული (ეს შედარებით გვიან, 30-იან წლებში მოხდა), ამიტომაც 20-იან წლებში ბევრი ავანგარდისტული, ულტრამემარცხენე ესთეტიკური ფასეულობა შესთავაზეს საზოგადოებას(ამის შესახებ გვქონდა საუბარი ზემოთ).

განსაკუთრებით ინერგებოდა კომუნისტური იდეალებისადმი პიროვნების ერთგულების, მისთვის თავდადების და მსოფლიო პროლეტარიატის ინტერსებისათვის თავის გაწირვის ფსიქოლოგიური პოსტულატები. უდიდესი ადამიანური სიკეთე და ბედნიერება – პროლეტარიატის საერთაშორისო ინტერესებისათვის, მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებისათვის გაწეული პირადი წვლილი და ამ მიზნით წარმოებული უკომპრომისო ბრძოლა გამოცხადდა (ეს რომ უბრალო ფრაზები არ იყო და საქართველოს მოსახეობის გარკვეულ კატეგორიას საკმაოდ ახასიათებდა, ამას მიუთითებს გალაქტიონ ტაბიძის მეუღლის, ოლღა ოკუჯავას დღიურებიც).

დღეს ხშირად უჭირთ 20-იანი წლების კომუნისტური ეთიკის აღქმა. უფრო წამოწევენ არაადამიანურ სისატიკეს, არაჰუმანურ საწყისებს კომუნისტების მოღვაწეობასა და ფსიქოლოგიაში; აღინიშნება ულმობლობა, შეუბრალებლობა, ნიჰილიზმი როგორც საზოგადოებისადმი, ისე ყოფილი თანამებრძოლებისადმი, რომლებიც სხვადასხვა მოსაზრებით, სხვადასხვა დროს, დაუპირისპირდნენ პარტიის გენერალურ ხაზს.

ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის გარკვეული, თუ საიდან გაჩნდა იმ ადამიანებში, რომლებიც ცარიზმის პერიოდში სწორედ მეფის ხელისუფლების შეუბრალებლობას, არაადამიანურ დამოკიდებულებას ებრძოდნენ და „ახრანკას" კაზიმატებში ბედნიერ, ნათელ, ჰუმანიზმით აღსავსე ცხოვრებაზე ოცნებობდნენ, ამდენი სისასტიკე. არ უნდა იყვნენმართლები ის ფსიქოლოგები, რომლებიც ცდილობენ ზ. ფრეიდის მეთოდების გამოყენებით, ბავშვობაში გადატანილ ოჯახურ კოლიზიებს დააბრალონ გარკვეული პოლიტიკური მოღვაწეების სიმკაცრე და შეუბრალებლობა. ჩვენი აზრით, სიმკაცრე და შეუბრალებლობა კომუნისტების შემთხვევაში იყო არა პიროვნული (თუმცა არ გამოირიცხება სადისტები, რომლებიც საკუთარი ხელით ანამებდნენ ადამიანებს), არამედ კასტური, პარტიული და გამოწვეული იმ ამოცანების რეალიზაციის სიძნელეებით, რასაც დღეს უტოპიური „კომუნიზმის იდეალი" ჰქვია. სწორედ ამ „ზეამოცანის" რეალიზაციის სიძნელეებმა, ამ სიძნელეების გადალახვის შეუძლებლობამ აიძულეს ადამიანები ერთმანეთი ჩაეყენებინათ მეტად არაორდინარულ მდგომარეობაში. დღეს უტოპიურად გამოცხადებული მიზანი, იმჟამად რწმენის მთავარი სიმბოლო იყო და ეს აიძულებდა ათასობით და ათი ათასობით ადამიანს ჯერ საკუთარი თავისთვის, შემდეგ სხვისათვის (ეს უკეთეს შემთხვევაში) მოეთხოვა ფანატიზმი, უდიდესი ძალისხმევა ამ მიზნების განსახორციელებლად და დაეგმო, გაენადგურებინა ყველა ის, ვინს ამ „კეთილშობილ იდეას" წინ აღუდგებოდა და შეაფერხებდა. ასეთი განწყობა იმჟამად საოცრად გადამდები იყო და კომუნისტების შემდეგ ის ძალიან ადვილად სხვებზეც ვრცელდებოდა, ვინც ფსიქოლოგიურად ამისათვის მზად იყო (XX საუკუნის 20-იანი წლები კომუნისტური იდეოლოგიის განმტკიცების წლებია და ძალიან ბევრი, მსოფლიოში გამოჩენილი კულტურისა და ხელოვნების მოღვაწე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გაგებით და მხარდაჭერით ეკიდებოდა ამ იდეოლოგიას).

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ეს ფსიქოლოგიური წყობა თავის თავში აერთიანებდა, ასევე, შუა საუკუნეობრივი გლე-

ხური ბუნტარული ფსიქოლოგიის გარკვეულ ელემიენტებსაც, რაც რუნდიმენტის სახის საქართველოშიც შემორჩა და თავისი დამანგრეველი შესაძლებლობები ანტიკლერიკალურ, ანტითავადაზნაურულ და ანტიკულაკური ექსცესების პერიოდში უხვად გამოავლინა. ასეთი ფსიქოლოგიური ნაერთი მსოფლიოს ყველა ქვეყანაში იძებნება, მით უფრო, როცა ამისათვის საჭირო ობიექტური მიზეზები შემზადებულია. ხოლო პირველი მსოფლიო ომის შემდეგ გაპარტახებული ევროპის ბევრ ქვეყანაში არსებობდა ძლიერი ფსიქოლოგიური მუხტი, რომელიც რევოლუციების გზით დაუყოვნებლივ მოითხოვდა რადიკალურ ცვლილებებს.

მორალურ-ფსიქოლოგიურ სიტუაციას ქვეყანაში, გარკვეულწილად, განსაზღვრავდა მმართველი პოლიტიკური პარტია და მისი პირველადი ორგანიზაციები. 20-იანი წლების დასაწყისიდანვე შეიქმნა საწარმოო დაწესებულებებში, შრომით კოლექტივებში პარტიული ბირთვი – პარტიული კომიტეტი, მუდამ მზარდი წევრებითა და თანამგრძნობებით, რაც გახდა საქართველოს საზოგადოების ფსიქო-სოციალური ტრანსფორმაციის მნიშვნელოვანი საფუძველი, რომლის გარშემო ცემენტდებოდა კომუნისტური იდეოლოგიისათვის დამახასიათებელი პიროვნული ფაქტორები. მათ მხარში ამოუდგნენ კომკავშირლები, პროფკავშირის წევრები. მთელი მწყობრი სისტემა შეიქმნა – თავისი პროპაგანდისტული აპარატით, რომელიც კომუნისტური იდეოლოგიის კულტივირებას ეწეოდა და ამ საქმეში გარკვეულ ნარმატებებსაც მიაღწია.

არ შეიძლება სპეციალურად არ შევჩერდეთ კომუნისტური პარტიის გამორჩეულ როლზე, იმ მორალურ-ფსიქოლოგიურ დამოკიდებულებაზე, რასაც კომუნისტები მიანერდნენ საკუთარ პარტიას და რა დამოკიდებულებაც ჰქონდათ მის მიმართ. კომუნისტური პარტია გამოცხადდა ყოველგვარი ადამიანური სიკეთის მატარებლად („პარტია ეს ჩვენი ეპოქის პატიოსნება, გონება და სინდისია"), ეჭვის შეტანა არ შეიძლებოდა იმაში, რომ პარტიის მთავარი მიზანია – მშრომელთა ბედნიერების მიღწევა,რომ მხოლოდ კომუნისტურ პარტიას ძალუძს, და არა სხვა რომელიმე პოლიტიკურ ორგანიზაციას, იყოს პოლიტიკური ცხოვრების ავანგარდში, ჭეშმარიტების ერთადერთი მატარებელი. ამ დოგმას ყველა დასაშვები და დაუშვებელი ხერხებით ნერგავდნენ. აქედან გამომდინარეობდა მეორე დოგმა – რომ კომუნისტური პარტიის ლიდერი – ეს ყველაზე ადამიანური ადამია-

ნია, რომ ვ.ი.ლენინი – გარდაცვლილიც კი „ყველა ცოცხალზე 350

უფრო ცოცხალია“. ვ.ი.ლენინის კულტი – ქვეყანაში შექმნილი მორალურ-ფსიქოლოგიური ატმოსფეროს მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი გახდა. ისინიც კი ვინც პრინციპულად ებრძოდნენ სტალინს და მის ავტორიტეტს ქვეყანაში, ვერ გრძნობდნენ, რომ სწორედ მათ ჩაუყარეს საფუძველი სტალინის კულტს იმით, რომ დაშვებული თუ დაუშვებელი ფორმებით, რუსეთის რევოლუციური მოძრაობის ისტორიის გაყალბებით, უაპელაციოდ ლენინს მიაწერდნენ უამრავ ფაქტსა და მოვლენას, მალავდნენ მის შეცდომებსა და ნაკლოვანებებს და ამით ხელს უწყობდნენ პარტიაზე და ლენინზე სიცრუის გავრცელებას. ამან კი ლოგიკური გაგრძელება უკვე სტალინს კულტსა და სტალინის ავტორეტეტის გავრცელებაში პოვა ასახვა, რასაც ეს ადამიანები მერე, უკვე ხელისუფლება ჩამოცილებულები, ასე ენერგიულად ებრძოდნენ და ნინ აღუდგნენ.

გამარჯვებული ფრაქცია (სტალინის ჯგუფი) კი ჩინებულად იყენებდა კომუნისტური პარტიის შეუცდომლობის დოგმას და თავისი სატელიტების (კომკავშირის, პროფკავშირის) დახმარებით აძლიერებდა ქვეყანაში მორალურ-ფსიქოლოგიურს ზეწოლას, რომელსაც გამარჯვება მხოლოდ მისთვის უნდა მოეტანა (ეს ცოტა მოგვიანებით, 30-იანი წლების შუა ხანებში მოხდა)

ყველაზე თვალნათლივ მათი ეს მცდელობა გამოჩნდა ტრადიციული ფასეულობების აღმოსაფხვრელ ქმედებებში. ეს კი აუცილებლობას წარმოადგენდა, რადგან კომუნისტურ ირნტერნაციონალისტური პრინციპები ვერ ეგუებოდა ეროვნულს, ტრადიციულს. ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, როგორც ულმობლად მოექცნენ კომუნისტები რელიგიურ კონფესიებს და მორწმუნეებს, რადგან მათ პიროვნების სულიერი სამყაროს დაუფლების გზაზე თავის უპირველეს კონკურენტებად ხედავდნენ. რელიგიური ტრადიციების ნაცვლად ტოტალური პროპაგანდის წყალობით დაინერგა „კომკავშირული ქორწილი“, „კომუნისტური ნათლობა“ და სხვა. საქართველოს ფაბრიკა-ქარხნებში პარტიული ლიდერების მონაწილეობით იმართებოდა „კომუნისტური ნათლობა“. ნათლიების როლში გამოდიოდნენ ფ. მახარაძე, ს. ორჯონიკიძე და სხვა კომუნისტი ლიდერები. ბავშვებს არქმევდნენ გამოგონილ, პროლეტარულ სახელებს: ორჯონიკას, „კიმს“ (ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის აბრევიატურა), „პროფინას“ (პროფინტერის საპატივსაცემოდ), ვლადლენს და ა.შ. ეს ტრადიცია დიდხანს არ შემორჩა, მაგრამ თავისი

არსით აშკარად მიუთითებს, რომ ცდილობდნენ დაენერგათ და შეექმნათ ხელოვნური სამყარო, განსხვავებული იმისაგან, რაც არსებობდა საუკუნეების მანძილზე.

საზოგადოების მორალურ-ფსიქოლოგიური ტრანსფორმაცია უნდა განეხორციელებინა მძლავრ კომუნალურ მოძრაობასაც – საერთო სახლებს, სადაც გაერთიანებული იქნებოდა ყოფითი საქმიანობის ბევრი ელემენტი. ბურჟუაზიისათვის ჩამორთმეულ სახლებში ქმნიდნენ „კომუნებს" – საერთო სამზარეულოთი და სხვა სათავსოებით, რომ პიროვნება კოლექტივისტურ პრინციპებზე აღზრდილიყო, არ აყოლოდა ბურჟუაზიულ ცდუნებებს, არ მოსდომებოდა სხვაზე მეტი და ამასთან მუდამ მეთვალყურეობის ქვეშ ყოფილიყო, რომ „წვრილბურჟუაზიულ გადმონაშთებს" არ შეელახა მისი კომუნისტური სულისკვეთება.

კიდევ უფრო ინტენსიურად ნერგავდნენ ახალ საბჭოთა ტრადიციებს, კომუნისტურ დღესასწაულებს. 7 ნოემბერი, 1 მაისი, 8 მარტი, 23 თებერვალი, ლენინის დაბადებისა და გარდაცვალების თარიღები, 26 კომისრის მკვლელობის ფაქტი, საქართველოს გასაბჭოების დღე – 25 თებერვალი განსაკუთრებული პომპეზურობით აღინიშნებოდა. ამ ზეიმების დროს მშრომელებს (მოწინავე კომუნისტებსა და კომკავშირლებს) ახალისებდნენ საჩუქრებით, საწარმოებში ეწყობოდა კონცერტები, საღამო-შეხვედრები. ამაზე საკმაოდ დიდ თანხებს ხარჯავდნენ. გარკვეულწილად, მოხერხდა ამ ახალი ტრადიციების დანერგვა, ჩვენ ზემოთ დავინახეთ, როგორ მეთოდურად შეძლო კომუნისტურმა ხელმძღვანელობამ რელიგიური ორგანიზაციების ზეგავლენის შესუსტება, თუმცა ხულოს აჯანყებამ ცხადყო, რომ რელიგიური ცნობიერება ასე ადვილად არ თმობდა პოზიციებს.

ფაქტობრივად, კომუნისტური მსოფლმხედველობის და მის საფუძველზე მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის შეცვლის მიზნით წარმოებული მუშაობა დაიწყო, როგორც დავინახეთ, ბავშვის აღზრდისთანავე, რამაც აღზრდის ყველა ეტაპი მოიცვა და აღზრდის ძირითადი ელემენტი გახდა. კომუნისტური იდეოლოგია მოსახლეობას ეუფლებოდა წერა-კითხვის უცოდინრობის სალიკვიდაციო სკოლების საშუალებით – საბჭოთა ადამიანი ანბანთან ერთად კომუნიზმის ანბანსაც ეუფლებოდა.

1924 წლის აჯანყების ჩაქრობის შემდეგ კომუნისტური იდეოლოგია და მის საფუძველზე წარმოშობილი მორალურ-ფსიქოლოგიური განწყობა კიდევ უფრო გაძლიერდა. სახელმწიფოზე კომუნისტების მხრიდან ტოტალური კონტროლი უზრუნველყოფდა მართვის სადავეებთან ერთად პიროვნების ფსიქოლოგი-

ური მართვის ელემენტების გაძლიერებასაც. კერძო საკუთრებამოსპობილ საზოგადოებაში, სახელმწიფოს ყოვლისშემძლეობის სისტემატური გაძლიერების ფონზე, რიგითი ადამიანი დარჩა მარტო და ის რამენაირად უნდა ჩართულიყო საზოგადოებრივ სტრუქტურებში, თუ არა და გაირიყებოდა და თითით საჩვენებელი „იზგოი“ გახდებოდა. ძალიან ბევრი შეეცადა არ ჩამორჩენოდა სხვებს, ფეხი აეწყო არსებული რეალობებისათვის. სწორედ აქედან გამომდინარე, ძალიან დიდი ნაწილი ინტელიგენციისა გახდა ლოიალური რეჟიმის მიმართ.

20-იან წლებში უდიდესი პროპაგანდისტული მუშაობა სწარმოებდა ეროვნული ცნობიერების შესუსტებისა და მისი თანდათან გაქრობის მიმართულებით. ამის საჭიროება გამომდინარეობდა თვით კომუნისტური იდეოლოგიის ინტერნაციონალისტური სულისკვეთებიდან – პროლეტარიატის საერთაშორისო ძმობა გულისხმობდა ერთგულებას საერთაშორისო პროლეტარიატის მიზნებისადმი, რისთვისაც აუცილებელი იყო მსხვერპლზე წასვლა, ეროვნული ფასეულობების იგნორირება, მტკიცება იმისა, რომ კომუნიზმის დროს მოხდებოდა ერების შერწყმა, რომ მსოფლიო რევოლუცია შექმნიდა ზეეროვნულ პროლეტარულ სახელმწიფოს, რომელიც ყველა ადამიანს მიანიჭებდა თანასწორობას და ბედნიერებას. 20-იანი წლების შუა ხანებში ეს არ იყო ფუჭი სიტყვა – 1925 წლამდე იმედი და მოლოდინი დასავლეთის ქვეყნებში დიდი პროლეტარული რევოლუციისა საბჭოთა კავშირში საკმაოდ ძლიერი იყო. მაგრამ ეს იმედი არ გამართლდა.

ინტერნაციონალიზმის სასარგებლოდ გადაწყდა პატრიოტიზმის პრობლემაც – საკმაოდ ძნელ და რთულ ამოცანას წარმოადგენადა ახალი, პროლეტარული სამშობლოს – „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის“ სიყვარულისა და ერთგულების გრძნობის აღზრდა, რუსეთის კოლონიალური, დამპყრობელი ქვეყნის იმიჯის განეიტრალება. ეს პროცესი საქართველოს გასაბჭოებისთანავე დაიწყო. პროპაგანდისა და აგიტაციის ყველა არსებული საშუალებით ხორციელდებოდა ახალი პროლეტარული სახელმწიფოს – სსრკ სიყვარულისა და ერთგულების გრძნობის ფორმირება. პირველ რიგში – საბჭოთა შეიარაღებულ ძალებში სამსახური იყო ნამდვილი სკოლა ინტერნაციონალიზმის, საბჭოთა პატრიოტიზმის განმტკიცების, რაც, როგორც დაადასტურა ისტორიულმა გამოცდილებამ, საკმაოდ ეფექტიანი აღმოჩნდა. დიდი ზეგავლენა ჰქონდა პიროვნების სულიერ სამყაროზე ოფიციალურ კომუნისტურ პრესას, რო-

მელიც ერთადერთი წყარო იყო ინფორმაციის მიღების და ამიტომაც ბევრის შემძლე. არ უნდა გამოვრიცხოთ პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების პროპაგანდისტული აპარატის ზეგავლენა, საზოგადოების თვალსაჩინო და დამსახურებული პირების – ერთგული კომუნისტების და ზემოთაღნიშნული კონფორმისტების ერთობლივი ძალისხმევაც. ამას დავუმატოთ საერთაშორისო მუშათა და დემოკრატიული მოძრაობის ლიდერების გამონათქვამები (კ. ცეტკინის, ბ.შოუს, ა. ბარბიუსის და სხვ.), რაც თანდათან აყალიბებდა ახალ იდეურ პოსტულატებს – მათ შორის იდეას – საბჭოთა კავშირი მსოფლიოს ყველა მშრომელის ერთობლივი სახელმწიფოა. 20-იან წლებში დაწყებულმა ამ ფსიქოლოგიურმა ზეწოლამ თავისი შედეგები აშკარად აჩვენა 30-იან წლებში და გაუძლო ისტორიის გამოცდას მეორე მსოფლიო ომის პერიოდში.

მორალურ-ფსიქოლოგიური ვითარების ტრანსფორმაცია, გარკვეულწილად, მოახდინა კომუნისტური სახელმწიფოს – როგორც მეცნიერებისა და ხელოვნების ძირითადი სპონსორის ფაქტორმაც. ჩვენ ზემოთ დავინახეთ, რომ ტოტალური გასახელმწიფოებრიობის პირობებში თეატრის, განსაკუთრებით კინოს, მუსიკის, ხელოვნების ერთადერთი მფარველი და მხარდამჭერი – კომუნისტური სახელმწიფო გახდა. თუ პიროვნებას სურდა ამ სფეროში მოღვაწეობა და სათანადო სუფსიდიები – მას კომუნისტურ რეჟიმთან საერთო ენა უნდა გამოენახა. ეს სერიოზული სტიმული იყო, რაც რეჟიმისადმი ლოიალობის მასშტაბებს ზრდიდა.

ლოიალობა – ეს განსაკუთრებული, მორალურ-ფსიქოლოგიური კატეგორიაა. ის გულისხმობსდა საკუთარი პოლიტიკური, ზნეობრივი კრიტერიუმების არსებობის პირობებში აშკარად და რადიკალურად არ დაპირისპირებოდა გაბატონებული პარტიის იდეოლოგიას, კომუნისტურ სახელმწიფოს. რეჟიმის მიმართ ლოიალობა საქართველოში განსაკუთრებით გავრცელდა 1924 წლის აჯანყების ჩაქრობის შემდეგ და შეიძლება მის ნიმუშად საქართველოს საპატრიარქოს განცხადება მივიჩნიოთ, რომელსაც ხელს სხვა მღვდელმთავრებთან ერთად კათალიკოს-პატრიარქი ამბროსიც აწერს. ეს დოკუმენტი დღემდე გამოქვეყნებული არ ყოფილა: „ავრცელებენ ქართველ მორწმუნეთა საზოგადოებაში ხმას, ვითომც კათოლიკოზო საბჭოს უკანონო მოქმედებისა და მთავრობასთან ურჩობის გამო, საკათალიკოზო საბჭოსა და საქართველოს სსრ მთავრობას შორის არ არსებობდეს მშვიდობიანი ურთიერთობა...“ ასეთი განცხადების შემდეგ საკათოლიკოსო

საბჭო ამტკიცებდა, რომ „იგი (საბჭო) მუშაობის განახლებისას იხელმძღვანელებს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1924 წლის ნოემბრის 21 თარიღოვან №124 დადგენილებისა და იუსტიციისა და შინგან საქმეთა სახალხო კომისარიატის იმავე წლის დეკემბრის 2 გამოცხადებული ინსტრუქციით და სცნო ხსენებული კანონები საქართველოს ეკლესიისა, როგორც რელიგიური საზოგადოების არსებობის და მოქმედების კმასაყოფელად... საბჭოს არა აქვს საფუძველი თქვას (და არც უთქვამს) ვითომც საქართველოს სს რესპუბლიკის მთავრობა სხვაგვარად ეპყრობოდეს სხვა რომელიმე აღმსარებლობას, ან სარწმუნოების რელიგიურ საზოგადოებას“.[10]

ეს განცხადება, რომელიც საჯაროდ არ გამოქვეყნებულა, აშკარად მიუთითებს, რომ საკათალიკო საბჭოში გაიმარჯვა პრაგმატულმა მოსაზრებამ ხელისუფლებასთან ლოიალობის მიღწევის შესახებ. ამან უზრუნველყო ქართული ეკლესიის გადარჩენა ურთულეს ისტორიულ პერიოდში.

ასევე ლოიალობა დაადასტურა საქართველოს ინტელიგენციის გარკვეულმა ნაწილმაც, რაზეც ასევე გვქონდა საუბარი ზემოთ და აქ კიდევ გავიმეორებთ: 1927 წლის 5 აგვისტოს ხელოვანთა სასახლეში გაიმართა ლოიალური ინტელიგენციის შეკრება, რომელმაც განაცხადა: „ჩვენი ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესები უნდა შეუთავსდეს იმ სისტემას, რომელშიც საქართველოს ისტორიის განაჩენით არის მოქცეული. ასეთი შეთავსება საბჭოთა სისტემასთან ჩვენთვის არ წარმოადგენს სიძნელეს, რადგან ქართველ ინტელიგენციას ყოველთვის ახასიათებდა რადიკალიზმი სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებში“.[11]

ლოიალობა, რა თქმა უნდა, არ გულისხმობდა რეჟიმის აპოლოგეტობას, მხურვალე თანაგრძნობას. ის გულისხმობდა რეჟიმის პირობებში საკუთარი საქმის ღირსეულად შესრულებას, სინდისიერ და პატიოსან ქმედებას, სახელმწიფოს ფუძემდებლური კანონებისადმი პატივისცემას და დაცვას. ასეთ ადამიანებს „ჩეკას“ აგენტები მაინც უთვალთვალებდნენ, ინფორმაციას აგროვებდნენ, მაგრამ არ ზღუდავდნენ.

იმ პერიოდში შექმნილი მორალურფსიქოლოგიური კლიმატისა და ლოიალური პიროვნების ფენომენის გასაგებად ჩინებული მაგალითია ამონარიდი ლ. ბერიას ერთი ოფიციალური წერილიდან. აქ საუბარია ცნობილ იურისტზე ლუარსაბ ანდრონიკოვზე (ანდრონიკაშვილზე). ლ. ანდრონიკაშვილმა მაღალი პროფესიული ავტორიტეტი ჯერ კიდევ ცარიზმის დროს მოიპოვა, ის იყო ბათუმის 1902 წლის 9 მარტის მღელვარების დროს დაპა-

ტიმრებულ მუშათა ადვოკატი და ჩინებულადაც შეასრულა ეს მოვალეობა (უდავოა, რომ ამის გამო ის და მისი ოჯახი სტალინის, ამ დემონსტრაციის ორგანიზატორის, კეთილგანწყობით სარგებლობდა).

საიდუმლო წერილში ლ. ბერია აღნიშნავს, რომ ლ. ანდრონიკოვი ყოფილი თავადია, რომ ის არ ერიდება საბჭოთა ხელისუფლების კრიტიკას და უწინასწარმეტყველებს ახლო მომავალში დაცემას, რომ აქვს კავშირები უცხო მოქალაქეებთან და საკონსულოებთან, რომ მათ ხშირად ემსახურება იურიდიულადაც. მას კავშირი აქვს ისეთ ადამიანებთან, რომლებიც, ჩვენი ცნობით, ინგლისის აგენტები არიან. უცხოელები ხშირად აწუხებენ ანდრონიკოვს და ყოველთვის ეს მარტო იურიდიული სამსახური არ არის. [12]

საქართველოს პრეზიდენტის არქივში ასევე ინახება ლ. ბერიას საიდუმლო წერილი, რომელიც 1928 წელს არის დაწერილი და დახასიათებული არიან სანდრო ახმეტელი, აკაკი ხორავა, აკაკი ვასაძე და რუსთაველის თეატრის სხვა მსახიობები, რომლებიც რეჟიმისადმი ლოიალობის მიუხედავად, დამოუკიდებელი აზროვნებით გამოირჩეოდნენ და მათ საუბრებში ანტისაბჭოთა იდეოლოგიის ელემენტები შეიმჩნეოდა.

ამრიგად, საბჭოთა სისტემა აფასებდა ლოიალურ დამოკიდებულებას, მაგრამ ბოლომდე მაინც არ ენდობოდა მათ წარმომადგენლებს.

მაგრამ საზოგადოებაში იყვნენ კონფორმისტებიც – ადამიანები, რომლებიც საჯაროდ აცხადებდნენ საბჭოთა სისტემისადმი ერთგულებას, სხვებს ტუქსავდნენ, აკრიტიკებდნენ კომუნისტური ცხოვრების წესების გადაცდომებისათვის, იდგნენ კომუნიზმის საგუშაგოზე, მაგრამ არც სწამდათ, არც სჯეროდათ კომუნისტური საზოგადოების არც იდეოლოგია და არც პრაქტიკა. ბევრი მათგანის შესახებ ინფორმაცია გამოჩნდა მხოლოდ საბჭოთა სისტემის დანგრევის შემდეგ. ეს უფრო რთული მორალურ-ფსიქოლოგიური კატეგორიაა და ამასთან ერთად – საშიშიც. განსაკუთრებულად საშიში იყვნენ არაპროლეტარული ფენებიდან გამოსული კონფორმისტები, რომლებიც იმის შიშით, რომ მათთვის არ დაებრალებინათ კლასობრივი თანაგრძნობა, გამორჩეული სისასტიკით იქცეოდნენ, განსაკუთრებით მაშინ, თუ კი ძალაუფლების სადავეები ჰქონდათ ხელში.

ბოლო წლებში ქართულ ისტორიოგრაფიაში აღორძინდა ცნება „წაწოლის პოლიტიკა“, როგორც ინტენლიგენციისა და საბჭოთა მთავრობის ურთიერთდამოკიდებულების ერთ-ერთი

ფორმა. მისი ავტორი გ. ციციშვილი, ზოგიერთი ქართველი ინტელიგენტის ბიოგრაფიაზე დაყრდნობით (შ. ნუცუბიძე, მ. ჯავახიშვილი და სხვ.) ამტკიცებს, რომ „წაწოლის პოლიტიკა“ – ეს იყო ტაქტიკა ტოტალიტარულ რეჟიმთან დამოკიდებულებაში, რომ ეს იყო გონიერი კომპრომისი.[13]

ვერ დავეთანხმებით ავტორს ამ მოსაზრებაში, რადგან როგორც უკვე აღინიშნა ქართულ ისტორიოგრაფიაში, კომპრომისი ორმხრივ დათმობას გულისხმობს. ამ შემთხვევაში კი სახეზე იყო მხოლოდ ერთი მხარის კომპრომისი.[14] გ. ციციშვილი არ ასახელებს თუ რა დათმობაზე წავიდა საბჭოთა ხელისუფლება საზოგადოების იმ ნაწილთან, რომელიც „წაუწვა“ მას (ჩვენ კომპრომისად არ ვთვლით საპბჭოთა ხელისუფლების მხრიდან ამ ადამიანების მიმართ გამოჩენილ მატერიალურ ყურადღებას: მაღალ ჰონორარებს, ხელმისაწვდომ აგარაკებს, ყოფით სიკეთეებს და ა.შ.) ჩვენ მიგვაჩნია, საზოგადოების ის ნაწილი, განსაკუთრებით ინტელიგენციის წარმომადგენელები (და ეს ჩვენ კარგად დავინახეთ წინა პარაგრაფებში), რომელიც ეწეოდნენ კომუნისტური რეჟიმის აპოლოგიას თავიდანვე, იღებდნენ პრივილეგიებსა და საჩუქრებს რეჟიმისაგან, ეკავათ ხელმძღვანელი თანამდებობები, სარგებლობდნენ „კომუნისტური ცხოვრების სიკეთეებით“ და, რაც მთავარია, პროპაგანდას უწევდნენ ყველაფერს საბჭოურს, კომუნისტურს, ზრდიდნენ საზოგადოებას კომუნისტური იდეალებისადმი ერთგულებით, ხოლო სახლში, ვიწრო მეგობრულ წრეში ერთობოდნენ კომუნიზმის წინააღმდეგ ქილიკით, ვერ ჩაითვლებიან „სიმართლისა და თავისუფლებისათვის მებრძოლებად“, მხოლოდ იმიტომ, რომ, როგორც დღეს მათი შთამომავლები ამტკიცებენ, სულის სიღრმეში სძულდათ ტოტალიტარიზმი, საბჭოთა ხელისუფლება. სწორედ ამას ჰქვია ტიპიური კონფორმიზმი, რომელიც თანადათან გავრცელდა საზოგადოებაში, ხოლო 30-იან წლებში საშიში ხასიათი მიიღო.

„წაწოლილი“ ადამიანები საზოგადოების ღირსეული და წამყვანი პირები იყვნენ, მათ აზრს წონა და ფასი ჰქონდა, მათ გამონათქვამებს ყურადღებას აქცევდა საზოგადოება და როდესაც ისინი საჯარო გამოსვლებსა და თავის ოპუსებში ხოტბას ასხამდნენ საბჭოთა რეჟიმს, კომუნისტურ წეს-წყობილებას, საბჭოთა ლიდერების სიბრძნეს, ისინი ამით ხელს უწყობდნენ იმ რეჟიმის საფუძვლების განმტკიცებას, რომელიც მათ არც სწამდათ, არც რამედ უღირდათ და მას ოჯახსა თუ სამეგობროში საქილიკოდაც აქცევდნენ. ასეთი ვითარება დამანგრევლად მოქმედებდა თვითონ ამ პიროვნებაზე, რადგან ის ზნეობრივ კომპრო-

მისზე მიდიოდა. აქედან გამოსავალი სამი იყო: ან თვითმკვლელობა, ან ქვეყნიდან გაქცევა და ან „ჩეკას" კაზიმატები. რადგან საბჭოთა სპეცორგანოები თვალთვალის საკუთარი სისტემის საშუალებით ახერხებდნენ დეტალური ინფორმაციის შეგროვებას და გარკვეული, დასაშვები საზღვრების გადაცდომის შემდეგ, ისინი სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს თანამშრომელთა ხელში ვარდებოდნენ.

ლოიალობის, კონფორმიზმის შემდეგ ფანატიზმი – ეს კომუნისტური ყოფიერების ერთ-ერთი მახასიათებელი იყო. განსაკუთრებით 20-30-იან წლებში. უნდა გვახსოვდეს, რომ 20-იანი წლები – ეს მთელ მსოფლიოში იყო ოპტიმალური სოციალურ-პოლიტიკური სისტემების ძიების ხანა. პირველი ომის შემდეგ სოციალური ძალები ეძებდნენ ახალ სახელმწიფოებრივ ფორმებს, რომლებიც ქვეყნებს ბედნიერი და ნათელი ცხოვრების აშენებაში დაეხმარებოდა. იყო აშკარა ჭიდილი: კომუნიზმსა და ფაშიზმს, მონარქიასა და რესპუბლიკას, ბურჟუაზიულ დემოკრატიასა თუ ტოტიალიტარულ დიქტატურას შორის. მიზანი აპირობებდა სახელმწიფო ფორმის შერჩევას. 20-იან წლებში ჯერ კიდევ ძლიერი იყო უკლასო, სოციალურად თანასწორი, არასაბაზრო ურთიერთობებზე დამყარებული, გეგმიანი სახელმწიფოს აშენების იდეა. ამასთანავე , იყო ფანატიკური რწმენა იმისა, რომ ასეთი, კაცობრიობის ისტორიაში ჯერ არნახული მოდელის შექმნა შესაძლებელია, თუ იქნება კეთილი ნება და საზოგადოების ერთობლივი ძალისხმევა. უამრავი ადამიანი იყო ამ ილუზიის ტყვეობაში, ბევრი მისი ფანატიკოსიც იყო. ფანატიზმი კი ძლიერი ფსიქოლოგიური მდგომარეობაა, რომელიც პიროვნებაში ენერგიის მოზღვავებას იწვევს და ხშირად ყურადღებას არ აქცევს ანგარიშგასაწევ არგუმენტებს. მაგრამ ფანატიზმს ერთი სერიოზული ნაკლიც აქვს – თუ ორიენტირი ზუსტად არ განისაზღვრა, შეიძლება უდიდესი ძალისხმევა ფუჭი აღმოჩნდეს. ამიტომაც ფანატიზმს ენერგიული, გონიერი, რეალისტი, ოპტიმისტი წამმართველი -ბელადი სჭირდება. 20-იანი წლების დასასრულს საბჭოთა კავშირში ასეთი ლიდერიც გამოიკვეთა – ის იყო ქართველი წარმოშობის სოსო ჯუგაშვილი.

ამრიგად, აშკარაა, რომ საქართველოს გასაბჭოებისთანავე კომუნისტური რეჟიმი, თავის ხელში არსებული ყველა საშუალებით, შეეცადა შეეცვალა ქვეყანაში არსებული მორალურ-ფსიქოლოგიური ვითარება, ტრადიციული ზნეობრივი ფასეულობების ნაცვლად დაენერგა საზოგადოებრივი თანაცხოვრების ახალი, კომუნისტური ურთიერთობები. ეს ყველაფერი ხორ-

ციელდებოდა ძალისმიერი მეთოდებით, რამაც აიძულა საზოგადოების გარკვეული ნაწილი (ადრე რეჟიმის მიმართ შეურიგებელი) გამხდარიყო ლოიალური. ამასთან საქართველოში გამოჩნდნენ კონფორმისტებიც – ადამიანთა გარკვეული კატეგორია.

ახალი, კომუნისტური ტრადიციეების დანერგვასთან ერთად ძალისმიერმა მეთოდებმა საზოგადოებაში დანერგა „შიშის სინდრომიც", რამაც დიდი ხნის მანძილზე უზრუნველყო კომუნისტური საზოგადოების გამორჩეული თავისებურება, როცა რწმენასთან ერთად საზოგადოების მაცემენტერებული ფაქტორი გახდა შიში – თავის მრავალმხრივ გამოვლენაში.

რადიკალური შემობრუნება – ნეპის კრახი

ზემოთ ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ XX ს. 20-იანი წლების შუა ხანებში დასავლეთ ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკის სახელმწიფოებში მოხდა პოლიტიკური ცხოვრების სტაბილიზაცია. რევოლუციური გამოსვლები, მუშათა რადიკალური პოლიტიკური მოთხოვნები და კლასობრივი ბრძოლები ან შეწყდა, ან საგრძნობლად შენელდა. საბჭოთა პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემა ახალი გამოცდის წინაშე აღმოჩნდა – მას უნდა გაეგრძელებინა არსებობა ახალ პოლიტიკურ ვითარებაში, როცა ევროპის რევოლუციური ენთუზიაზმის განვითარებისა და სოციალისტური რევოლუციის სწრაფად გამარჯვების იმედი ყველაზე უფრო მხურვალე ბოლშევიკებსაც კი გაუნელდათ.

ასეთმა ვითარებამ საბჭოთა ხელმძღვანელებში გარკვეული აზრთა სხვადასხვაობა წარმოშვა და აქ მთავარი იყო ის, რომ ეს აზრთა სხვადასხვაობა მტკიცედ დაუკავშირდა პოსტლენინურ პოლიტიკურ ცხოვრებაში ჰეგემონობის მიღწევის სურვილს, ბრძოლას ერთპიროვნული ძალაუფლებისათვის. ასეთ დროს პრინციპული იდეოლოგიური დაპირისპირება მხოლოდ შენიღბვა იყო იმ ძლიერი იმპულსებისა და მოქმედებების, რასაც ძალაუფლების ხელში ჩაგდება ჰქვია. თუმცა ჩვენ არ გამოვრიცხავთ პოლიტიკურ ფანატიზმს და საკუთარი იდეოლოგიური კონცეფციების ჭეშმარიტებაში ღრმად დარწმუნების ფაქტორის მოქმედებასაც. მსოფლიოში მიმდინარე რევოლუციური პროცესების შენელების ფონზე საბჭოთა საზოგადოების წინაშე აშკარად დადგა საკითხი – „ახლა რა ვაკეთოთ?" ასეთ ვითარებაში

საბჭოთა სახელმწიფოს ევროპის პოლიტიკურ სივრცეში ან გარედან ძლიერი რევოლუციური აღმძრავის ფუნქცია უნდა შეესრულებინა – რომ გამოეწვია მსოფლიოში შენელებული რევოლუციური პროცესების გალვანიზება, ახალი რევოლუციური აღტკინება და შესაძლო ახალი მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის განვითარება, ან გარკვეულად უნდა შეეცვალა პოლიტიკა და ახალი პერსპექტივები მოეძებნა.

კომუნისტურ პარტიაში, განსაკუთრებით მის ხელმძღვანელ რგოლში, აღორძინდა ადრე ყველასთვის მიუღებელი დოქტრინა – ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობის შესახებ. ამ პოლიტიკური შეხედულების ავტორი და მიმართულების ხელმძღვანელი ი. ბ. სტალინი თავის საჯარო გამოსვლებში უკვე დაუფარავად აცხადებდა: „ჩვენ შეგვიძლია ავაშენოთ სოციალიზმი, ჩვენ მას ავაშენებთ გლეხობასთან ერთად, მუშათა კლასის ხელმძღვანელობით... ვინაიდან „პროლეტარიატის დიქტატურის დროს ჩვენ... გვაქვს ყველა მონაცემი, რაც აუცილებელია იმისათვის, რომ ავაშენოთ სრული სოციალისტური საზოგადოება, დავძლიოთ ყველა და ყოველგვარი სიძნელე, ვინაიდან ჩვენ შეგვიძლია დავძლიოთ და კიდევაც უნდა დავძლიოთ ისინი ჩვენი საკუთარი ძალებით“.[1]

ეს დოქტრინა პარტიაში ბევრისთვის მიუღებელი იყო. განსაკუთრებით კი მათთვის, ვინც სტალინის პოლიტიკური დაჯგუფების წინააღმდეგ უკომპრომისოდ იბრძოდა და ყოველმხრივ ცდილობდა მისთვის, უკვე ხელში ჩაგდებული ხელისუფლება, გამოეგლიჯა. ვ.ი. ლენინის გარდაცვალების შემდეგ ეს პოლიტიკური მოღვაწეები ყოველმხრივ ცდილობდნენ თავის ხელში აეღოთ ძალაუფლება, რომელიც სტალინის ფრაქციის მიზანმიმართული მოქმედებით თანდათან ხელიდან ეცლებოდათ. ლ. ტროცკი, გ. ზინოვიევი, ლ. კამენევი თანდათან განმტკიცდნენ აზრში, რომ „წვრილბურჟუაზიულ „თეორიას სოციალიზმი ერთ ქვეყანაში“ არა აქვს საერთო მარქსიზმთან, ლენინიზმთან. ეს უხეში უკუსვლა მარქსიზმიდან იწვევს იმას, რომ პარტიას უკვე უჭირს შეამჩნიოს მიმდინარე ეკონომიკური პროცესების კლასობრივი შინაარსი. ამასთან, სწორედ პროლეტარიატისათვის არასაიმედო კლასობრივი ძვრები და ფართო მასების უმძიმესი მდგომარეობა იწვევს ჩვენთან მიმდინარე რევოლუციურ პროცესებში უარყოფით მოვლენებს “.[2]

ასეთ შეხედულებებს იზიარებდნენ ლ. ტროცკისა და მემარცხენე ოპოზიციის ქართველი მხარდამჭერებიც (ს. ქავთარაძე, კ. ცინცაძე, მ. ოკუჯავა და სხვ.) ისინი უკვე განადგურებული

ქართული „ნაციონალ-უკლონისტების“ ჯგუფის წევრები იყვნენ და კარგად იყვნენ შემჩნეული ი. ბ. სტალინის წინააღმდეგ პოლიტიკურ აქტივობაში. ისინი თვლიდნენ, რომ სტალინის ამ ახალი კურსს მოჰქონდა საბაზრო ურთიერთობის გამოცოცხლება, კერძომესაკუთრული ტენდენციების გაძლიერება, კულაკობის სოციალური ფენის განმტკიცება, თერმიდორის (ამ ტერმინში, საფრანგეთის დიდი რევოლუციის ანალოგიით, იგულისხმებოდა ხელმძღვანელი პარტიული ბირთვის ბურჟუაზიული გადაგვარება) შესაძლებლობა, საბჭოთა სახელმწიფოში კაპიტალიზმის რესტავრაციის დაშვება და ა.შ..

მაგრამ ი.ბ. სტალინის პოლიტიკურმა დაჯგუფებამ შეძლო ოპოზიციის ყველა შემოტევის მოგერიება და როგორც სამართლიანად მიუთითებს ამერიკელი სოვეტოლოგი რ. ტაკერი: „სტალინმა, ძველი შეზღუდვებისაგან განთავისუფლებულმა, განავითარა სოციალიზმის მშენებლობის საკუთარი ვერსია, რომელიც გადააქცია ჩამოყალიბებულ იდეოლოგიურ დოქტრინათ... ზოგიერთი მოსაზრება, რომელსაც ადრე გამოთქვამდა არაპირდაპირ, შემოვლით, ჩამოაყალიბა ნათლად, იმ გარეგნული დამაჯერებლობით, რაც სტალინმა ასე ჩინებულად აჩვენა ტროცკისთან, ზინოვიევთან და კამენევთან კამათში. აქ სტალინმა, არსებითად, შეაერთა ერთ მთლიანობაში თავისი ძველი, რუსოცენტრული და დიდმპყრობელური დოქტრინა ერთ ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობისა ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის დაჩქარებული განვითარების საპროგრამო მოთხოვნებთან, თუმცა ზოგიერთ საკითხში მაინც ჯერ კიდევ ინარჩუნებდა მოქნილ პოზიციას ან იყენებდა ზომიერ ფორმულირებას, რათა თავიდან აეცილებინა თავისი პროგრამის რეალიზაციის შესაძლო ნეგატიური შედეგები“.[3]

რკპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტში პრინციპული გამარჯვების შემდეგ, ი. ბ. სტალინი შეუდგა იმ ეკონომიკური პროგრამის რეალიზებას, რომელიც მოიწონა და რომელსაც მხარი დაუჭირა პარტიული ხელმძღვანელობის უმრავლესობამ – ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ უკვე გავიდა საკმაო ხანი და დაპირებული „აღთქმული ქვეყნის“ მშენებლობა სერიოზულად გვიანდებოდა, არც „რძის მდინარეები და კისელის ნაპირები“ ჩანდა ჰორიზონტზე. ქვეყანაში კვლავ იყო უმუშევრობა, მუშათა კლასი ცუდად ცხოვრობდა, ამას ემატებოდა „ნეპის“ შედეგად გამოწვეული სოციალური უკმაყოფილება, სოფლის კლასობრივი დიფერენციაცია, კულაკების ეკონომიკური გაძლიერება, რაც პოლიტიკურ-

შიც შეიძლება გადაზრდილიყო, დაჩქარებულად და სტიქიურად მიმდინარეობდა კერძო სექტორის აღორძინება.

რკპ (ბ) XIY ყრილობაზე (1925 წ. დეკემბერი) სტალინის მოხსენების საფუძველზე, საბჭოთა ქვეყანამ კურსი აიღო ინდუსტრიალიზაციაზე, რომელსაც უნდა შეეცვალა ქვეყნის ინფრასტრუქტურა, გაეძლიერებინა ტოტალიტარული რეჟიმის სოციალური ბაზა, მოეტანა გარკვეული სოციალური შედეგები (უმუშევრობის შემცირება და შემდგ კი მთლიანი მოსპობა, ეკონომიკური აღორძინება, სოციალიზმის ძირითადი ამოცანების რეალიზება). ინდუსტრიალიზაციას უნდა განევითარებინა მძიმე მრეწველობა ისე, რომ შესძლებოდათ საგარეო ხიფათების თავიდან აცილება, რევოლუციის ექსპორტისათვის ხელის შეწყობა და ა.შ.

ჯერ ნელა, მაგრამ შემდეგ უფრო ენერგიულად სტალინურმა ფრაქციამ დაიწყო სოციალიზმის ეკონომიკური მოდელის განხორციელება. საქართველოშიც ეს პროცესი 1926 წლიდან დაიწყო – ამას თვითონ საქართველოს ეკონომიკის ხელმძღვანელები აღიარებდნენ, როცა მიუთითებდნენ, რომ სწორედ 1926 წლიდან „იწყება ფართო და გეგმიანი ხანა საქართველოს ახალი და ძლიერი მრავალდარგოვანი ინდუსტრიის შესაქმნელად“.[4]

გეგმიანობა საბჭოთა ეკონომიკის მთავარი მახასიათებელია. ეს ეკონომიკის ხელმძღვანელობის უმაღლესი პრინციპი, და ამასთან, ყველა ეკონომიკური პრობლემისაგან განთავისუფლების პანაცეა იყო. უკვე ჩამოყალიბებული ერთიანი საკავშირო „გოსპლანი“ მართავდა უზარმაზარი ქვეყნის ჯერ კიდევ საკმაოდ სუსტ ეკონომიკას. ხაზგასმით მიუთითებდნენ საბჭოთა ეკონომიკის მესვეურები, რომ „ეკონომიკური მშენებლობის არცერთი საკითხი არ გადაწყდება „გოსპლანის“ შესაბამისი გადაწყვეტილების გარეშე“.[5]

რა თქმა უნდა, გეგმიანობა ნიშნავდა ერთ ხელმძღვანელ ცენტრს, რომელიც გააკონტროლებდა ეკონომიკური განვითარების ყველა მიმართულებას. ასეთი ცენტრი საქართველოშიც შეიქმნა – სახალხო კომისართა საბჭოსთან ამოქმედდა ეკონომიკური საბჭო, რომელსაც ხელმძღვანელობდა სახკომსაბჭოს თავმჯდომარე. მისი მოადგილე იყო სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელი. საბჭოში შედიოდა ყველა დარგის უწყების (კომისარიატის) პირველი პირი და ეს ორგანო საქართველოს ეკონომიკური განვითარების ყველა მიმართულებას აკონტროლებდა. ეკონომიკური საბჭო ხელმძღვანელობდა საქართველოს კპ (ბ) IY ყრილობის (1925 შ. 3. ნოემბ.-5 დეკ.) გა-

დაწყვეტილებებით, რომელმაც მიზნად დაისახა საქართველოში მრეწველობის განვითარების ახალი კერების შექმნა, სატრანსპორტო ინფრასქტუქტურის რეკონსტრუქცია-განვითარება.[6]

ამ პერიოდში ადგილი ჰქონდა აზრთა სხვადასხვაობას მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების ეკონომიკური განვითარების ხასიათის თაობაზე. საკითხი ეხებოდა იმას, თუ როგორი მიმართულებით უნდა წარმართულიყო რესპუბლიკის სამეურნეო განვითარება – ერთგვარად დამოუკიდებლად თუ მთელი კავშირის სამეურნეო განვითარების ინტერესების საფუძველზე და მის შესატყვისად. ამასთან დაკავშირებით ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის მიერ მიღებულ თეზისებში ნათქვამი იყო: "ჩვენ მთავარ მიზნად ვერ დავისახავთ სამეურნეო უნივერსალიზმს, პირიქით, ჩვენ რაც შეიძლება მკაფიოდ უნდა გავავლოთ სპეციალიზაციის ხაზები. საფუძვლად უნდა იქნას აღებული შრომის დანაწილება მთელ კავშირში". ამრიგად, საქართველოს ინდუსტრიალიზაცია ემყარებოდა არა მხოლოდ საკუთარ, არამედ ეკონომიკური ცხოვრების მოწყობის საერთო საკავშირო სახელმწიფო ინტერესებს.

ინდუსტრიალიზაციის სწრაფი ტემპები საქართველოსათვის ზოგიერთ ხელმძღვანელ სამეურნეო მუშაკს დროებით მოვლენად მიაჩნდა. მეტალურგიის, ქვანახშირის და ნავთობის მრეწველობის განვითარების მიზნად დასახვას უაზრობად თვლიდა, ხოლო ამ დარგების განვითარების გარეშე შეუძლებელი იყო ფართო ინდუსტრიული განვითარება. მათი აზრით მძიმე მრეწველობაზე იმედის დამყარება "წაგვიყვანდა განვითარების არა ბუნებრივი გზით და ბოლოსდაბოლოს მეტად მძიმე ეკონომიკურ შედეგს მოგვცემდა". ზოგიერთი სამეურნეო ხელმძღვანელი მხარს უჭერდა მხოლოდ მსუბუქი მრეწველობის, აბრეშუმის, თამბაქოს, კონიაკ-სპირტის, სატყეო დარგების განვითარებას. მაგრამ მძიმე ინდუსტრიის განვითარების აღებული საკავშირო კურსის განხორციელების აუცილებლობა შეუვალი იყო. იგი საქართველოს სამომავლო ეკონომიკური განვითარების პერპექტივებს არ ეწინააღმდეგებოდა, არამედ პირიქით. ინდუსტრიალიზაციის განხორციელებას დიდი მოცულობის კაპიტალდაბანდებანი ესაჭიროებოდა, რაც სახელმწიფო მრეწველობაში მომჭირნეობის უმკაცრესი რეჟიმის და შრომის ნაყოფიერების ზრდის, მოსახლეობის სახსრების, ინდუსტრიალიზაციის სესხებისა და ანაბრების მობილიზაციის გზით უნდა განხორციელებულიყო.[7]

შიდადაგროვების გადიდებისათვის დიდი მნიშვნელობა მიენიჭა მრეწველობის მართვის რეორგანიზაციას, რომელიც 1926 წ. გატარდა. ამის შედეგად ერთმმართველობის საფუძველზე გაფართოვდა საწარმოთა დირექტორების უფლებები, მკვეთრად შემცირდა შუალედური რგოლები საწარმოებსა და ტრესტებს შორის, რითაც შემცირდა არამწარმოებლური ხარჯები, გაფართოვდა მასალებისა და სახსრების დაზოგვა. ამ საკითხების გადაჭრაში მნიშვნელოვან სამუშაოს ასრულებდნენ საწარმოებში რაციონალიზატორები და გამომგონებლები. ქართველმა ახალგაზრდა მანქანათმშენებლებმა 1926 წლიდან დაიწყეს აბრეშუმის რთული ძაფსახვევი მანქანების მასობრივად გამოშვება, რის შედეგადაც შეწყდა ამ მანქანების შემოზიდვა იტალიიდან და დაიზოგა ათეულ ათასი მანეთი ოქროთი. მძიმე ინდუსტრიის განვითარებას ხელს უწყობდა მსუბუქი მრეწველობა, რომლის პროდუქციის ნაწილი, მაგალითად, აბრეშუმის პარკის ადგილზე გადამუშავებისა და საფეიქრო წარმოების მოწყობის შედეგად მიღებული, ძვირადღირებული ნახევარფაბრიკატი იგზავნებოდა მსოფლიო ბაზარზე, რაც, ჭიათურის მანგანუმის ამერიკული კონცესიის გზით მიღებულ სავალუტო შემოსავალთან ერთად, ზრდიდა სავალუტო ფონდს.

უნდა აღინიშნოს, რომ კონცესია "ჰარიმანი და კომპ" საკონცესიო ვალდებულებებს სრულად არ ასრულებდა. ამერიკული კონცესიის ეკონომიკური შედეგი გამოიხატა მანგანუმის მოპოვებისა და რეალიზაციის შეკვეცაში, მსოფლიო ბაზარზე ჭიათურის მანგანუმის ერთ-ერთი წამყვანი პოზიციის დაკნინებაში, უკანონო ოპერაციების გზით სავალუტო შემოსავლების შეგნებულ შემცირებაში და ა.შ. მანგანუმის წარმოების ამერიკული კონცესია გაუქმდა 1928 წლის აგვისტოში კონცესიონერის მოთხოვნით, რომელიც შეზღუდული იყო საბჭოთა კანონმდებლობით. კონცესიის გაუქმების შემდეგ, რაც საბჭოთა მხარისათვის იძულებითი ნაბიჯი იყო, მანგანუმის წარმოება აღორძინების გზას დაადგა. უკვე 1929 წლის 1 თებერვლისათვის 35 მაღაროდან აღდგინეს 17 მაღარო და გამამდიდრებელი ფაბრიკა. ამ დროისათვის მანგანუმის წარმოებაში მუშაობდა 9300 მუშა-მოსამსახურე, გადიდდა მადნის მოპოვება.

ექსპორტის საგანს შეადგენდა ასევე დიატომიტი, ბარიტი, ფლორიდინი (გუმბრინი), ლითოგრაფიული ქვა, მარმარილო, აგრეთვე აბრეშუმი, თამბაქო, ღვინო, ხე-ტყე, კაკალი და სხვ. მაგრამ ექსპორტით მიღებული სავალუტო შემოსავლები შედიოდა არა საქართველოს, არამედ საკავშირო ბიუჯეტში, საიდანაც სა-

ქართველოს რესპუბლიკა თანხებს საკავშირო განაწილების წესის მიხედვით იღებდა. მაგალითად, ზაჰესის მშენებლობაზე დახარჯული 15,7 მლნ მანეთიდან 11 მლნ მან. დაიხარჯა საკავშირო ბიუჯეტიდან. რიონჰესის მშენებლობისათვის გათვალისწინებული 13 მლნ მანეთიდან საკავშირო ბიუჯეტმა გამოყო 9,7 მლნ. მან. ინდუსტრიული მშენებლობისათვის საქართველომ მიიღო 28 მლნ მან. საკავშირო ბიუჯეტიდან, მაგრამ ეს საკმარისი არ იყო. ინდუსტრიალიზაციის დაწყებით პერიოდში საქართველოს ბიუჯეტი დეფიციტური იყო, რაც იფარებოდა ამიერკავკასიის ფედერაციის, განსაკუთრებით კი საკავშირო ბიუჯეტიდან.[8]

შიდადაგროვების ზრდაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს 1926-1929 წლებში გამოშვებულმა ინდუსტრიალიზაციის სესხებმა. მარტო პირველი და მეორე სესხის რეალიზაციის შედეგად მიიღეს 4 მლნ მანეთი. უფრო მეტი სახსრები მიიღეს მესამე სესხის ობლიგაციების გავრცელებით, რაც ხელს უწყობდა კაპიტალდაბანდების ზრდას. მართალია, სესხის გავრცელების დროს ადგილი ჰქონდა ადმინისტრირებას, პარტიის, კომკავშირის და პროფკავშირის წევრებზე ზეწოლას და აშკარა დაძალებას, მაგრამ ობიექტურად ამ პროცესმა ხელი შეუწყო საქართველოს სამრეწველო პოტენციის განვითარებას. ფინანსური რესურსების მობილიზაცია კი, თავის მხრივ, განაპირობა ახალ სამრეწველო სანარმოთა ამუშავება. კერძოდ, 1926 წლის მეორე ნახევარში ამუშავდა ახალი და რეკონსტრუირებული აბრეშუმის ძაფსახვევი და ძაფსაგრეხი ფაბრიკები ოზურგეთში, ხონში და თელავში. გაფართოვდა თბილისის და სამტრედიის ამ პროფილის ფაბრიკების ეკონომიკური შესაძლებლობები. მეაბრეშუმეობამ მიიღო მკვეთრად გამოხატული სამრეწველო ხასიათი. იმავე წლის დამლევს ამუშავდა ქუთაისის რეზინის და შულავერის ბამბის საპენტი ფაბრიკები.

ინდუსტრიალიზაციის წლებში დასრულდა ზაჰესის მშენებლობა, მისი პირველი რიგი საზეიმოდ გაიხსნა 1927 წლის 27 ივნისს, ხოლო მეორე დღეს – 28 ივნისს ქუთაისის მახლობლად სოფ. ჭომას მიდამოებში მდ. რიონზე მომავალი გვირაბის სათავესთან კლდის სამი ნაღმის აფეთქებით საძირკველი ჩაეყარა უფრო მძლავრი – რიონის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას. ამავე პერიოდში შენდებოდა აჭარისწყლის, აბაშის და ალაზნის ენერგოსიმძლავრეები. 1928 წ. ამუშავდა აწჰესი. 1926 წ. საქართველოში უკვე მუშაობდა 7 სასოფლო ელექტროსადგური. ადგილობრივი გლეხობის ძალებით აშენდა სოფ. ველისციხის და ხონის, შოვის, ონის, აბასთუმნის, ახალციხის, აწყურის

ჰიდროელექტროსადგურები. მათ მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია გამოიყენებოდა არა მარტო განათების, არამედ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში (წისქვილი, ხე-ტყის ხერხვა და ა. შ.).[9]

1926-1927 წლებში დამთავრდა თბილისის ლითონკონსტრუქციებისა და ლითოგრაფიული ქვის დამამზადებელი ქარხნების, მარელისის გრეხილ-ავეჯის ფაბრიკის, ბათუმის ხისდამმუშავებელი ქარხნის მშენებლობა. საფუძველი ჩაეყარა თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკის, სადგურ კასპის მახლობლად ცემენტის ქარხნის მშენებლობას, ამუშავდა ფხვიერი ქვანახშირის საბრიკეტო ფაბრიკა, საკავშირო მნიშვნელობის ბორჯომის საკასრე ქარხანა, 1928 წ. გორის საკონსერვო ქარხანა (რომლის პროდუქცია საექსპორტო იყო), სოფ. ქისათიბში დიატომიტის საფქვავი, მცხეთის ხე-ტყის ქარხნები; 1929 წელს ექსპლოატაციაში შევიდა ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი ქარხანა, ქუთაისის აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკა, ნოსირის (სენაკის მაზრა) აგურ-კრამიტის და მოწამეთის კირის ქარხნები. გაფართოვდა ნავთობის საძიებო სამუშაოები კახეთსა და გურიაში. იტალია-ბელგიის საკონცესიო კომპანიამ 1927-1928 წლებში შირაქში გაჭრა 540 მ. სილრმის ჭაბურღილი, მაგრამ ამით ამოიწურა მისი "მოღვაწეობა". 1930 წ. ამუშავდა თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკა, ბაქო-ბათუმის ნავთსადენი.

ლითონდამმუშავებელ ქარხნებს არ შეეძლოთ დაეკმაყოფილებინათ მოთხოვნილება მათ პროდუქციაზე. ამიტომ გადაწყდა დიდუბეში მსხვილი მექანიკური ქარხნის მშენებლობა. მანქანებზე დიდი მოთხოვნილების გამო თურქესტანმა დაუკვეთა საქართველოს აბრეშუმის 800 ძაფ-სახვევი მანქანა, 1927-1928 სამეურნეო წელს თბილისის 26 კომისრის სახ. ქარხანამ მოკავშირე რესპუბლიკებს გაუგზავნა 600 ასეთი მანქანა, აქედან მარტო თურქესტანს – 432. აღსანიშნავია, რომ ასეთი მანქანები მზადდებოდა მხოლოდ თბილისში, რამაც შეასრულა გადამწყვეტი როლი იმაში, რომ შეწყდა საფეიქრო მრეწველობისათვის საჭირო მანქანების იმპორტი.

ინდუსტრიალიზაციის წლებში დაიწყო ჩაის მრეწველობის გაფართოების ინტენსიური სამუშაოები. საქართველოში არსებულ 6 ფაბრიკას არ შეეძლო დიდი რაოდენობის ჩაის ფოთლის გადამუშავება, ამიტომ მანქანათმშენებლობა შეუდგა ჩაის ფაბრიკებისათვის როლერების გამოშვებას. ამ დარგში საქართველომ საბჭოთა კავშირში დაიკავა მონოპოლიური მდგომარეობა.

განსაკუთრებით სწრაფად იზრდებოდა კვების მრეწველობა აფხაზეთში. გუდაუთასა და გალში ამუშავდა სპირტის სახდელი ქარხნები. 1921-1928 წლებში საქართველოში აშენდა 42 ახალი სამრეწველო საწარმო.

ყველა ამ ახალსა და ძველ საწარმოს მართავდა საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო. რომელმაც, რა თქმა უნდა, პარტიული ხელმძღვანელობის დირექტივებით, მთელი ცენზიანი მრეწველობა დარგობრივ ტრესტებში გააერთიანა. მაღალგანვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკისათვის დამახასიათებელი ეკონომიკის უმაღლესი ორგანიზაციული ფორმა „ტრესტი" აშკარად იარლიყი იყო დაბალგანვითარებული საბჭოთა ეკონომიკის შუქ-ჩრდილების შესანიღბად. საქართველოს ეკონიმიკის მაგალითზე ეს მაინც რელიეფურად ჩანდა. 8 დარგობრივ ტრესტში გაერთიანებული იყო მთელი საქართველოს სამრეწველო პოტენციალი. ზოგიერთი მათგანი სულ რამდენიმე წვრილი საწარმოთი შემოიფარგლებოდა, მაგრამ მაინც ტრესტი ერქვა. მაგალითად, საქართველოს „ტყავტრესტი" – სულ 3 საწარმოს აერთიანებდა, აბრეშუმის ტრესტი – 4-ს. [10]

სიძნელეების მიუხედავად, სისტემატურად იზრდებოდა მრეწველობის დაფინანსება. თუ 1924-1925 წელს საქართველოს მრეწველობაზე დაიხარჯა 1 293000 მანეთი, 1926-1927 წლებში – უკვე 5 518 ათასი მანეთი (მატებამ შეადგინა 326,6 %), უკვე 1927-1928 წლებში – დაფინანსებამ შეადგინა 6 473 ათასი მანეთი.[11]

წარმოების გეგმიურ გაფართოებასთან ერთად იზრდებოდა მუშათა კლასის რიგები. თუ 1924-1925 წლებში საქართველოს ცენზიან წარმოებაში ჩაბმული იყო 4952 კაცი, 1926-1927 წლებში – უკვე 6 238. უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს ცნობა, რომ საქართველოს მრეწველობაში (ცენზიანსა და არაცენზიანში) 1925-1926 წლებში ჩაბმული იყო 12 808 მუშა, 1926-1927 წლებში – 14 574, ხოლო 1927-1928 წლებში – 16 028 მუშა. [12]

საგრძნობლად გაიზარდა მათ მიერ წარმოებული პროდუქციის რაოდენობა. თუ 1924-1925 წლებში საქართველოს ცენზიანმა წარმოებამ გამოუშვა 13 124 ათასი მანეთის პროდუქცია, 1926-1927 წლებში უკვე აწარმოა 22 300.7 ათასი მანეთის პროდუქცია.[13]

მართალია, საქართველოს მრეწველობა ფინანსდებოდა საკავშირო ბიუჯეტიდან, მთლიანად კონტროლდებოდა მის მიერ, მაგრამ მაინც 20-იანი წლების შუა ხანებში საქართველოს ეკონომიკურ ორგანიზაციებს გარკვეული ავტონომია მაინც ჰქონდათ და საზღვარგარეთის ბაზრებზე შედარებით თავისუფ-

ლად მოქმედებდნენ. მაგალითად, არის ცნობა, რომ 1927 წელს მილანის აბრეშუმის ბირჟაზე ქართველმა მწარმოებლებმა 100 000 გირვანქა სტერლინგად გაყიდეს 10 000 ფუთი აბრეშუმის მშრალი პარკი. ყიდდნენ მცირე პარტიებად, ნაწილ-ნაწილ, ჰქონდათ სიძნელეები, საერთაშორისო ბაზარზე გამოტანილი პროდუქციის ნაწილი დამპალი იყო.[14]

20-იანი წლების შუა ხანებში საბჭოთა ეკონომიკაში უკვე ბევრი გადაუჭრელი პრობლემა დაგროვდა, რაც სწრაფ გადაწყვეტას მოითხოვდა. 1929 წლის 6 დეკემბერს თბილისში ჩატარდა ეკონომიკური თათბირი, რომელზეც გამოიკვეთა ის ეკონომიკური პრობლემები, რაც საბჭოთა სახელმწიფომ თავისი არსებობის მანძილზე ვერ გადაწყვიტა: შრომისნაყოფიერების ზრდა, თვითღირებულების შემცირება, პროდუქციის ხარისხის ამაღლება.

თათბირზე აღინიშნა სერიოზული პრობლემების შესახებ მრეწველობის კადრებით უზრუნველყოფის საქმეში. მართალია, უმუშევრობის პირობებში ეს საკითხი შედარებით ადვილად მოგვარებადი ჩანდა, მაგრამ საუბარი იყო მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებზე, რაც საქართველოში 20-იანი წლების შუა ხანებში კვლავ პრობლემა იყო. ამ პერიოდში საქართველოში ადგილობრივი თუ ცენტრალური ინვესტიციებით, როგორც დავინახეთ, სხვადასხვა პროფილის რამდენიმე მნიშვნელოვანი საწარმო ამოქმედდა, მაგრამ ისინი დაბალკვალიფიციური სპეციალისტებით დაკომპლექტდნენ. საქართველოში სერიოზულად ფიქრობდნენ დასავლეთ ევროპიდან სპეციალისტების დიდი ჯგუფების მოწვევაზე.[15] დაისახა ქმედითი ღონისძიებები საფაბრიკო-საქარხნო სკოლების ქსელის უფრო ინტენსიურად გასავითარებლად.

საქართველოს დიდი სამრეწველო პოტენცია ჰქონდა. 20-იან წლების შუა ხანებში, ჩვენი აზრით, უფრო რეალურად უყურებდნენ ამ შესაძლებლობებს და მიაჩნდათ, რომ საქართველოს ბუნებრივი პირობები მაქსიმალურად უნდა აეთვისებინათ: საქართველოს ინდუსტრიულ განვითარებაში თვალსაჩინო ადგილი უნდა დაეკავებინა მსუბუქი მრეწველობის, კვების მრეწველობის საწარმოების მშენებლობას. მძიმე მრეწველობიდან გამოიკვეთა – სამთო-საქარხნო წარმოება. განსაკუთრებით კი აღნიშნავდნენ ჰიდრორესურსებს და მისი ათვისების პერსპექტივებს. უნდა აღინიშნოს, რომ კარგად გრძნობდნენ საქართველოში ტექნიკური კულტურების განვითარების დიდ შესაძლებლობებს და ამ მიმართულებით მუშაობის განვითარებას გეგმავდ-

ნენ. იმჟამად დიდი ყურადღება მიექცა ხე-ტყის დამუშავებას. თვლიდნენ, რომ საქართველოში 2 მილიონი დესეტინა ეჭირა ტყის ჩინებულ მასივებს, რაც სამრეწველო ათვისების პირობებში ქვეყანას 18 მილიონი კუბ.მ. სასაქონლო პროდუქციით უზრუნველყოფდა. თუმცა იმას კი არ ითვალისწინებდნენ, რომ საქართველოს ტყის ეს მასივები უნიკალური ენდემური ჯიშებით იყო გაჯერებული და მისი სამრეწველო განვითარება გამოიწვევდა სერიოზულ ეკოლოგიურ დანაკარგებს.

ხიფათის შემცველი იყო ის, რომ 20-იანი წლების შუა ხანებში საქართველოდან გატანილ პროდუქციაში წამყვანი ადგილი სწორედ ხე-ტყის ძვირფას ჯიშებს ეკავა. შემდეგ მოდიოდა აბრეშუმის პარკი. დადასტურებული ცნობით, 1926-1927 წლებში საქართველომ ექსპორტში გაიტანა ძვირფასი ხე-ტყე – 280 ათასი ფუთი (665 ათასი მანეთის საერთო ღირებულების), კოპიტი – 129 ათასი ფუთი (84 000 მანეთის ღირებულების), აბრეშუმის ხმელი პარკი 15 000 ფუთი (1 420 ათასი მანეთის ღირებულებისა).[16]

საქართველოს ეკონომიკა 20-იანი წლების შუა ხანებში კვლავ „ნეპის" ეკონომიკური პრინციპებით ვითარდებოდა. არსებობდა საბაზრო ურთიერთობა, დაშვებული იყო კერძო ინიციატივა, კერძო სექტორი.

საბჭოთა ხელისუფლება, აპრობირებული გეგმით, მიზანიმართულად ავიწროვებდა კერძო სექტორს მაღალი საგადასახადო ტარიფებით, უზომოდ დიდი საბანკო პროცენტებით, საბჭოთა შრომის კანონმდებლობით. მაგრამ, როგორც დასტურდება, შეზღუდვების მიუხედავად 20-იანი წლების შუა ხანებში მრეწველობის რიგ დარგებში კერძო სექტორმა მაინც მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწია. 1924-1925 წლებში საბირჟო ოპერაციებში (ბრუნვაში) კერძო ბიზნესის მონაწილეობა უდრიდა 1 339 ათას მანეთს, რაც ბირჟის საერთო ბრუნვის 18 პროცენტი იყო. ვაჭრობაში კერძო პირების მონაწილეობა აღწევდა 8 პროცენტამდე. ამავე პერიოდში სახელმწიფო სავაჭრო ორგანიზაციები კერძო პირებზე ყიდდნენ დაახლოებით მილიონი მანეთის პროდუქციას (აღირიცხა 24 ძლიერი ორგანიზაცია). 1924-1925 წლებში კერძო პირებმა ბირჟაზე გაყიდეს 650 ათასი მანეთის საქონელი.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, გამოკვლევის შედეგად შეისწავლეს კერძო მსხვილი საწარმოები, რომელშიც საქართველოს სინამდვილეში მოიაზრებოდნენ ფაბრიკა-ქარხანები 20 კაციანი კოლექტივით. არსებობს თბილისში არსებული კერძო საწარმოების დეტალური შესწავლის მასალა, რაც შემდეგ სურათს წარმოაჩენს: 1926 წლის თებერვალში 10-20 კაციანი კერძო სა-

წარმო თბილისში იყო 636, რომელშიც დასაქმებული იყო 1379 კაცი. ამავე წლის ოქტომბერში მათი რაოდენობა გახდა 688, დასაქმებული უკვე იყო 1453 კაცი. აქედან გამორჩეულად მსხვილი კატეგორიის იყო 22 საწარმო 261 კაცით. კერძო საწარმოების რაოდენობა ამ პერიოდში გაიზარდა 8%, მსხვილი საწარმოების – 70 %-ით. მუშების რაოდენობა სულ გაიზარდა 5,5 პროცენტით, მსხვილ საწარმოებში – 40 პროცენტით. დარგების მიხედვით ეს ზრდა უფრო თვალშისაცემია – მაგალითად, გემო-კვების საწარმოებში ზრდის მაჩვენებელი 13,8 პროცენტია. თებერვალში იყო 177 ობიექტი, ოქტომბერში გახდა 201. ხე-ტყის დამუშავების სფეროში იყო 35 საწარმო, გახდა 44 (ზრდაა 26 %). ყველაზე დიდი ზრდა შეინიშნებოდა ლითონდამუშავებაში – თუ იყო 55 საწარმო, გახდა 110 (ზრდაა 100%).[17]

უფრო სუსტად ვითარდებოდა კერძო ბიზნესი არასამრეწველო სფეროში – ზრდა აქ 2 პროცენტია. მუშათა ზრდის მაჩვენებელიც დაბალია – 1%.

მეტად საყურადღებოა შემდეგი ფაქტიც – შემოწმების დროს გაირკვა, რომ ყველა კერძო საწარმოში ხელფასი საშუალოდ 15 პროცენტით მეტი იყო შესაბამის სახელმწიფო საწარმოსთან შედარებით. ზოგიერთ საწარმოში ეს განსხვავება დაახლოებით 30 პროცენტი ჩანს. კონტროლიორებმა ისიც დააფიქსირეს, რომ იყო ხშირი შემთხვევები, როცა სახელმწიფო საწარმოებიდან მუშები გადადიოდნენ კერძო სექტორში. მოტანილია მაგალითი, რომ მექანიკური სახელოსნოს „ლითონის“ ყველა მუშა გადავიდა კერძო საწარმოში, რადგან მათი ხელფასი სახელმწიფო საწარმოში იყო 50 მანეთი, კერძო სტრუქტურაში გადასვლის შემდეგ გახდა 84 მანეთი.

მიუხედავად იმისა, რომ რეალობა ასეთი იყო, საბჭოთა პროპაგანდა ყველანაირად ცდილობდა საკუთარი მოსახლეობისათვის ეჩვენებინა, რომ წარმატებული სოციალისტური სექტორის განვითარების გამო კერძო სექტორი სულ უფრო და უფრო სუსტდება, კნინდება, მალე საერთოდ აღარ იარსებებდა. საქართველოს კომუნისტური პრესის ლიდერი „კომუნისტი“ აქვეყნებდა „სამეცნიერო პუბლიკაციებს“, რომლებიც მიუთითებდნენ საქართველოს ეკონომიკაში კერძო ბიზნესის ხვედრითი წილის მკვეთრი შემცირების შესახებ.[18]

„სამეცნიერო გამოკვლევებს“ ამყარებდნენ სტატისტიკური მასალების პუბლიკაციით, რასაც უნდა შეექმნა თვალსაზრისი, რომ საქართველოს მრეწველობაში კერძო სექტორის ხვედრითი წილი მცირდება. მაგალითად, გაზ. „კომუნისტის“ ინფორ-

მაციით, 1925-1926 წლებში კერძო სექტორი აწარმოებდა 7 600 ათასი მანეთის სამრეწველო პროდუქციას, 1928-1929 წლებში წარმოებული პროდუქციის რაოდენობა შემცირდა 700 ათას მანეთამდე. შესაბამისად გაიზარდა სოციალისტური სექტორის წილი – თუ მან შესაბამისი პერიოდის დასაწყისში 46 600 ათასი მანეთის პროდუქცია აწარმოვა, პერიოდის დასასრულს სოციალისტური სექტორი უკვე აწარმოებდა 85 მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქციას.[19]

მაგრამ სინამდვილე აშკარად სხვაგვარი იყო და საბჭოთა ხელისუფლებას აშკარად ჰქონდა შეშთოფების მიზეზები: ურთულეს პირობებშიც კი კერძო სექტორი, ფენიქსივით, ახერხებდა მდგომარეობიდან გამოსვლას. მაგრამ საბჭოთა ხელისუფლებას უფრო აღელვებდა ის, რომ კერძო სექტორის კომერციული აქტივობა პოლიტიკურ აქტივობაში არ გადაზრდილიყო და არ შეექმნა ხიფათი კომუნისტური პარტიის ტოტალიტარული ერთმმართველობისათვის. ამიტომაც სისტემატურად მკაცრდებოდა კერძო ბიზნესთან ხელისუფლების დამოკიდებულება.

უკვე 1926 წელს თამბაქოს კერძო საწარმოების მფლობელებს წაუყენეს კატეგორიული მოთხოვნა ყოველწლიურად სავალდებულო 20 ათასი კილოგრამი თამბაქო ეწარმოებინათ, წინააღმდეგ შემთხვევაში ფაბრიკის დახურვით იმუქრებოდნენ. ეს აშკარად მიუთითებს, რომ საბჭოთა სახელმწიფო აქტიურად ერეოდა კერძო ბიზნესის კომერციულ საქმიანობაში.[20]

ადმინისტრირებას თან ემატებოდა ფინანსური ბერკეტები, რასაც სახელმწიფო აქტიურად იყენებდა კერძო სექტორის წინააღმდეგ მაღალპროცენტიანი სესხებით, დაბეგვრის დრაკონული სისტემის, ნედლეულის და მასალების შესყიდვის დროს ხელოვნური სიძნელეების შექმით და ა.შ., ისე რომ კერძო სექტორს სურვილი ეკარგებოდა „ნეპის“ პირპობებშიც კი გაეგრძელებინა საქმიანობა.

ამიტომაც იყო, რომ თვითონ ოფიციოზის აღიარებით კანონიერი კერძო ეკონომიკური გაერთიანებები – საწარმოო კოოპერატივები ხშირ შემთხვევებში ფიქცია, ქაღალდზე არსებული ორგანიზაციები აღმოჩნდნენ.

20-იანი წლების ბოლოს შეისწავლეს საქართველოში საწარმოო კოოპერატივების მდგომარეობა. შედეგები არასახარბიელო აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ქალაქებში შექმნილი იყო სხვადასხვა მიმართულების საწარმოო კოოპერატივი: მაგალითად, თბილისში არსებობდა 16 არტელი, პროვინციაში კიდევ 21, მათი საქმიანობა არ გამოირჩეოდა

ეფექტიანობით და ბევრი მათგანი მალეც დაიხურა. მათი მუშაობის ანალიზი მიუთითებს ეკონომიკურ გაუბედაობას, მომავლისადმი უიმედობას. ოფიციოზი აღნიშნავდა, რომ საქართველოში „ძალიან ბევრი სამრეწველო არტელი იქმნებოდა, მაგრამ ასევე ბევრი უკვალოდ ქრებოდა". არტელები თავის მუშაობის შესახებ ინფორმაციას არ იძლეოდნენ. არსებობდნენ არტელები: „ერთსულოვნება", „ბლოკი", „საქშენი". განსაკუთრებით მრავალრიცხოვანი იყო თბილისელი მტვირთავების კოოპერატივი, რომელიც 673 კაცს აერთიანებადა. იყო სტუდენტური არტელი „ენერგია" (ეს იყო ბინების ელექტრიფიკაციასთან დაკავშირებული საქმიანობა) და სხვ. [21]

მაგრამ კერძო სექტორი მხოლოდ მცირე ნიშას იკავებდა სახელმწიფო კაპიტალიზმის არსებობის პირობებში: უკვე 1923-1924 წლებში საბჭოთა კავშირის ცენზიანი მრეწველობის 95,6 პროცენტი სახელმწიფოს ხელში იყო. 1926-1927 წლისათვის ამ მაჩვენებელმა შეადგინა 98,2 პროცენტი. 1930 წელს – ცენზიანი სახელმწიფო სექტორი მთლიანად აკონტროლებდა მრეწველობას.[22] ეს იყო კომუნისტური პარტიის მიზანიც.

ასეთი ეტატისტური პოლიტიკა ეკონომიკაში, თავისუფალი კომერციული კავშირების შეზღუდვა, სახელმწიფო სექტორის გაძლიერება საბჭოთა ეკონომისტებს ცალსახად დადებით მოვლენად მიაჩნდათ. ისინი ხაზგასმით აღნიშნავდნენ: „1926-1929 წწ. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხმა გაშალა ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, გადაწყვიტა ამ საქმისათვის საჭირო სახსრების დაგროვების პრობლემა... განმტკიცდა გეგმური ხელმძღვანელობის საწყისები და გაძლიერდა ხელმძღვანელობა".[23]

ჩვენ დავამატებდით – თანდათან შენდებოდა ეკონომიკის მართვის ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემა – ტოტალიტარული რეჟიმის ეკონომიკური ფუნდამენტი.

მაგრამ საბჭოთა ეკონომისტები დუმილით უვლიდნენ გვერდს იმას, რომ 20-იანი წლების მეორე ნახევარში საქართველოს საბჭოთა ეკონომიკაში სერიოზული კრიზისის ნიშნები შეიმჩნეოდა. იმჟამინდელი ექსპერტები საიდუმლო თათბირებზე ამ მდგომარეობას „კრიზისულ ვითარებას" უწოდებდნენ. მაგალითად, უკვე 1925 წლიდან საქართველოს ლითონტრესტი, საბრუნავი თანხის პერმანენტული ნაკლებობის გამო, სერიოზულ კრიზისს განიცდიდა, უჭირდა წარმოებისათვის საჭირო ნედეულეულის დროული მიღება, ტრესტის შემადგენლობაში შემავალ საწარმოებში: ჩათახის ქარხანაში, საწოლისა და ჭურჭლის

საწარმოში, სპილენძსატკეც ქარხანასა და სხვა შრომით კოლექტივებში სერიოზული ფინანსური პრობლემები იყო.[24]

ვითარება არ გამოსწორდა შემდგომ წლებში. მარტო 1926 წლის პირველ კვარტალში ტრესტის შემოსავალმა შეადგინა 839 ათასი მანეთი, როცა გახარჯა 1 685 ათასი მანეთი.[25]

1927 წელს კრიზისული ვითარება შეიქმნა ტყავ-ტრესტის სისტემაშიც, განსაკუთრებულ პრობლემას საბრუნავი თანხების დეფიციტი ქმნიდა. როგორც ექსპერტები აღნიშნავდნენ დარგს დაუდგა „მკვდარი ხანა". მოულოდნელად ტყავსა და მატყლზე ფასმა 25 პროცენტით აიწია. შეიცვალა ბაზრის კონიუნქტურაც.[26]

1928 წელს სერიოზული ფინანსური პრობლემები შეექმნა საქართველოს ალკოჰოლიანი სასმელების წარმოებას. საქართველოში გაძვირდა ღვინო. ამის მიზეზი იყო ის, რომ წვრილი მეღვინეებისაგან ღვინის შესყიდვა დაიწყეს უფრო მსხვილმა მეღვინეებმა (ღვინით სპეკულაცია) და ღვინის დიდმა მარაგმა თავი მოიყარა შეძლებული გლეხების – კულაკების ხელში.[27]

კრიზისულმა მოვლენებმა, ფინანსურმა პრობლემებმა გამოიწვიეს ის, რომ საქართველოს მრეწველობამ 1926-1927 წლებში გეგმები ვერ შეასრულა. საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს დაქვემდებარებულმა ტრესტებმა საშუალოდ 84,9 პროცენტით შეასრულეს ეკონომიკური მაჩვენებლები. იყო დარგები, რომელთა ეკონომიკური შედეგები კიდევ უფრო დაბალი იყო. მაგალითად, სამთო მრეწველობის ტრესტმა დავალებები მხოლოდ 70,4 პროცენტით შეასრულა, ხე-ტყის ტრესტმა – 73,9 პროცენტით. თუმცა იმჟამადაც იყვნენ რეკორდსმენები, მოწინავენი – საფეიქრო, ზეთისა და საპნის ტრესტმა სახელმწიფო დავალებები 116,9 პროცენტით გაანაღდა და ა.შ.[28]

ასეთი კრიზისის მიზეზად სპეციალისტები თვლიდნენ: საბჭოთა ბაზრის დეპრესიულ მდგომარეობას, დამზადებულ საქონელზე მოთხოვნილების მკვეთრად შემცირებას, გადასახადებისა და ტარიფების ზრდას, საკავშირო ბიუჯეტის „შევიწროვებულ მდგომარეობას", ბანკების ცუდ საინვესტიციო პოლიტიკას, კრედიტების მიწოდების გაჭიანურებას, რაც „ფინანსურ შიმშილს" იწვევდა და ა.შ.

სერიოზულ სიძნელეებს განიცდიდა საქართველოს შემადგენლობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკების ეკონომიკაც. მაგალითად, სუსტი იყო აფხაზეთის სამრეწველო პოტენციალი: 1921 წელს აფხაზეთში, სმუსის დაქვემდებარებაში მყოფ საწარმოებში სულ რაღაც 68 მუშა მუშაობდა. 1925 წელს

მათი რაოდენობა გაიზარდა 500 კაცამდე. არსებობდა სულ 30 სამრეწველო წამოწყება. რომელთაგან 1924 წელს სრული ციკლით მუშაობდა მხოლოდ 3, შვიდი საწარმო იჯარით იყო გაცემული, დანარჩენი – გაჩერებული. საბჭოთა ხელისუფლების წლებში გაიხსნა რამდენიმე ახალი საწარმო – თამბაქოს ფაბრიკა სოხუმში, არყის ქარხანა – გუდაუთაში, გრეხილი ავეჯის ქარხანა, მუყაოს ქარხანა. აამუშავეს და შეკეთდა ხე-ტყის სახერხი დიდი ქარხანა გაგრაში.[29] მაგრამ, რა თქმა უნდა, აფხაზეთის სამრეწველო პოტენციალი სრულად არ იყო გამოყენებული და ეს საქართველოს ხელისუფლებას სერიოზულ ნაკლად ჩაუთვალა მოსკოვიდან ჩამოსულმა პარტიულმა კომისიამ.[30]

უნდა აღინიშნოს, რომ უკვე იმჟამად რუსეთის ტრესტები და საწარმოო გაერთიანებები ცდილობდნენ ხელში ჩაეგდოთ აფხაზეთის ეკონომიკური პოტენციალი, მათ განსაკუთრებით კუთხის სამთო-დამმუშავებელი მრეწველობის შესაძლებლობები აინტერესებდათ. მაგალითად, არის ცნობა, რომ საკავშირო „გორპრომცვეტმეტი" აპირებდა აფხაზეთის მთა ძიშრის ტყვიაველცხლის საბადოს ექსპლოატაციის უფლების მიღებას და ამ მიზნით მოლაპარაკებას აწარმოებდა საქართველოს ცენტრალურ, დაინტერესებულ ორგანიზაციებთან. რა თქმა უნდა, სასურველი თანხმობა რუსებმა მიიღეს, მაგრამ რა ბედი ენია ამ ეკონომიკურ წამოწყებას – ჩვენთვის უცნობია.[31]

ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური განვითარება უშუალოდ არის დაკავშირებული ეკონომიკის ეფექტურობაზე, შრომისნაყოფიერების გადიდებაზე, მუშათა პროფესიულ დაოსტატებაზე, პროდუქციის ხარისხის ამაღლებაზე, შრომის დისციპლინაზე, წარმოების რაციონალიზაციაზე, პროგრესულ ტექნოლოგიებზე და უამრავ სხვა გარემოებაზე. 20-იანი წლების შუა ხანებისათვის საბჭოთა ეკონომიკამ დაძლია პირველი წლების კომუნისტური ილუზიების ერთი ნაწილი – კერძოდ მრეწველობის გასამხედროების, „შრომის არმიების" შექმნის, გათანაბრების და სხვა – ნორმალური ეკონომიკის დამანგრეველი მოსაზრებები, თუმცა ეკონომიკის ბევრ სფეროში მაშინაც და მერეც დიდხანს შემორჩა ეკონომიკის მართვის ვოლუნტარისტული მეთოდები. ეს არც არის გასაკვირი, რადგან საბჭოთა სისტემას ეკონომიკის მხოლოდ ერთი, ეფექტური მეთოდი ჰქონდა – მბრძანებლურ-ადმინისტრაციული.

მაგრამ შრომისნაყოფიერების ზრდა ყველა შემთხვევაში აუცილებელი ეკონომიკური კატეგორია იყო. იმჟამადაც ამ ეკონომიკურ მაჩვენებელს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ამ

პერიოდის საქართველოს ეკონომიკაში შრომისნაყოფიერების ზრდის ტენდენცია ახასიათებდა სახალხო მეურნეობის შემდეგ დარგებს: თამბაქოს მრეწველობას. ამ დარგში 1926-1927 წლების დღიური გამომუშავება იყო 14, 39 მანეთი, 1927-1928 წლებში ეს მაჩვენებელი გაიზარდა და გახდა 16,98 მანეთი. ტყავის წარმოებაში აღნიშნულ წლებში შრომისნაყოფიერება 19,64 მანეთიდან გაიზარდა 23,35 მანეთამდე, ფეხსაცმლის წარმოებაში – 14,60 მანეთიდან – 17,83 მანეთამდე და ა.შ. [32]

მეტად მნიშვნელოვანია, რომ ასეთი გამომუშავების დროს მუშის დღიური ხელფასი შეადგენდა: თამბაქოს წარმოებაში – 2,71 მანეთს (1926-1927 წწ), რომელიც გაიზარდა 3,13 მანეთამდე (1927-1928 წწ.); ტყავის წარმოებაში 3,25 მანეთიდან (1926-1927 წწ) გაიზარდა 3,64 მანეთამდე (1927-1928 წწ.); ფეხსაცმლის წარმოებაში იმავე პერიოდში – 3,32 მანეთიდან 3,98 მანეთამდე და ა.შ.

დასახელებულ დარგებში მუშათა თვიური ხელფასი ასეთი იყო: თამბაქოს წარმოებაში 60,8 მანეთი (1926-1927 წწ.) და 72,3 მანეთი (1927-1928 წწ.); ტყავის წარმოებაში შესაბამის პერიოდში თვიური ხელფასი გაიზარდა 74,8 მანეთიდან 84,3 მანეთამდე; ფეხსაცმლის წარმოებაში – 77,8 მანეთიდან 92,5 მანეთამდე და ა.შ. [33]

მაგრამ თუ ღრმად ჩავუკვირდებით ამ „მზარდ" ხელფასს, აშკარაა რომ რიგითი მუშა გაცილებით მეტს გამოიმუშავებდა, ვიდრე ხელზე იღებდა. მაგალითად, ტყავის მრეწველობაში მუშა საშუალოდ თვიურად გამოიმუშავებდა 1075,7 მანეთს. ხელფასი კი ჰქონდა 84,3 მანეთი, ანუ გამომუშავებული თანხის დაახლოეთბი 8%. ასევე იყო სხვა დარგებში. რა თქმა უნდა, გამომუშავებულ თანხაში (საბოლოო პროდუქტში შედიოდა ზედნადები ხარჯები (ნედლეული, ელექტროენერგია და ა.შ. და ა.შ.), მაგრამ მაინც აშკარაა, რომ საბჭოთა სახელმწიფო რიგით მუშას მიზერულ ხელფასს აძლევდა მის გამომუშავებასთან შედარებით. ძირითადი და მთავარი ნაწილი – მიდიოდა სახელმწიფოს ჯიბეში. რა თქმა უნდა, საბჭოთა სისტემაში არსებობდნენ საზოგადოებრივი ფონდები: განათლების, ჯანდაცვის, კულტურული მომსახურების. ყველა უფასო სიკეთე, რასაც საბჭოთა ხელისუფლება აძლევდა თავის მოქალაქეს, ფინანსდებოდა ამ საზოგადოებრივი ფონდებიდან. მაგრამ ამ ფონდებს კიდევ ის თავისებურება ჰქონდათ, რომ ისინი საზოგადოების მხრიდან არ კონტროლდებოდნენ. ეს აკუმლირებული უზარმაზარი თანხები შეიძლება წასულიყო სახალხო განათლებაზე, ჯანმრთელობის სისტემის გაუმჯობესებაზე (20-იან წლებში ამ სიკეთეებით მხოლოდ მშრო-

მელები, ანუ მოსახლეობის გარკვეული ნაწილი სარგებლობა. „არამშრომელები“ ამ სიკეთეებით არ სარგებლობდნენ), ამასთან, შეიძლება ეს სუბსიდიები წასულიყო ევროპის კომუნისტური მოძრაობის გასაძლიერებლად, არმიის არასაბიუჯეტო დაფინანსებისათვის და ა.შ.

შრომის ინტენსიფიკაციის ასამაღლებლად, საბჭოთა კავშირში 1929 წლიდან დაინერგა სოციალისტური შეჯიბრების პრაქტიკა – მოგვიანებით ეს ეკონომიკის მართვის ერთ-ერთ ძირითად საშუალებად გადაიქცა. მონოგრაფიის დასაწყისში ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ სოციალისტური შეჯიბრების მსგავსი ფორმების არსებობა შეიმჩნევა პირველი უტოპისტ-სოციალისტების (მაგალითად, თომას მორის) თეორიულ ნააზრევშიც, ხოლო კომუნისტებმა სოციალისტური შეჯიბრება საბჭოთა ეკონომიკის აღმავალი განვითარების მთავარ საშუალებად გადააქციეს. ვარაუდობდნენ, რომ კაპიტალისტური ექსპლოატაციისაგან თავისუფალი შრომა ჯერ არნახულ შემოქმედებით იმპულსებს გამოიწვევდა, შექმნიდა დოვლათის არნახულ მარაგს, რის საფუძველზეც მოხდებოდა ჯერ სამართლიანი, ხოლო მეორე ეტაპზე –უკვე თანაბარი გადანაწილება საზოგადოების თითოეულ წევრზე.

მაგრამ საბჭოთა რუსეთისა და საბჭოთა კავშირის არსებობის პირველი წლები მიუთითებენ, რომ „ექსპლოატაციისაგან თავისუფალი შრომა“ თავისი საბოლოო შედეგით ვერ სჯობდა საბაზრო ურთიერთობებში არსებულ, კონკურენტულ პირობებში მიმდინარე შრომით პაექრობას. რამდენადაც 20-იანი წლების დასასრულს უკვე დადგა საკითხი – „ვინ-ვის!“, როცა გაჩნდა აუცილებლობა, რომ თავისუფალ კონკურენციას დაპირისპირებოდა საბჭოთა სინამდვილისათვის მისაღები ინტენსიური შრომითი ურთიერთობების აღმძრავი ეკონომიკური ბერკეტი, სასწრაფოდ გაიხსენეს „სოციალისტური შეჯიბრება“ – შრომის კატეგორია, რომელიც ქმნის „შესაძლებლობას ნამდვილად გამოყვანილ იქნას მშრომელთა უმრავლესობა ისეთი მუშაობის ასპარეზზე, სადაც მათ შეუძლიათ გამოიჩინონ თავი, გაშალონ თავიანთი უნარი, გამოაშკარაონ ნიჭი“.[34]

1929 წლის 20 იანვარს გაზეთმა „პრავდამ“ გამოაქვეყნა ვ. ი.ლენინის მიერ ჯერ კიდევ 1917 წელს დაწერილი სტატია: „როგორ მოვაწყოთ შეჯიბრება“, რომელიც კომუნისტური პარტიის, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების ინტენსიური პროპაგანდა-აგიტაციის წყალობით ძალიან მალე საბჭოთა ეკონომიკაზე ზემოქმედების ძირითად და მთავარ საშუალებად

გადაიქცა. მისი მთავარი მიზანი შრომის ინტენსიფიკაცია იყო. როგორც აღინიშნა, უკვე იმ დროს აშკარად გამოიკვეთა საბჭოთა ეკონომიკის სუსტი ადგილები: პროდუქციის დაბალი ხარისხი, მაღალი თვითღირებულება, ცუდი საშემსრულებლო და შრომითი დისციპლინა, უყაირათობა და ა.შ. და ა.შ. ყველა ამ პრობლემის გადაწყვეტა მუშათა ენთუზიაზმის გაღვივებით და პატრიოტული თაოსნობების გავრცელებით სცადეს, რომელსაც უნდა გამოესწორებინა ეკონომიკის სოციალისტური მართვის მეთოდის ყველა არსებული შეცდომა და გადაცდომა.

პროპაგანდას უწევდნენ იმ მდგომარეობას, რომ კაპიტალისტური კონკურენციისაგან განსხვავებით, სოციალისტური შეჯიბრება არ ანადგურებს შეჯიბრებაში ჩაბმულ ერთ-ერთ მხარეს, არამედ გულისხმობდა ურთიერდახმარებას, გამოცდილების გაზიარებას, ერთობლივ ეკონომიკურ წარმატებებს და ა.შ.

განსაკუთრებული ინტენსივობით საქართველოს სამრეწველო საწარმოებში სოციალისტური შეჯიბრება უკვე 1929 წლის მეორე ნახევარში გავრცელდა. სხვადასხვა პატრიოტული თაოსნობის მიზანი იყო შრომის ეფექტიანობის მიღწევა, საშემსრულებლო დისციპლინის დაცვა, მომჭირნეობა, მოკავშირე რესპუბლიკების მონათესავე საწარმოებთან ინტენსიური შემოქმედებითი კონტაქტების დამყარება და სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებების გაფორმება [35].

20-იანი წლების მეორე ნახევარში კიდევ უფრო მოსაგვარებელი პრობლემები ჰქონდა საბჭოთა ხელისუფლებას სოფლად. თავიდანვე აგრარული ურთიერთობა, გლეხობის საკითხი სოციალ-დემოკრატიის ორი მიმდინარეობის: ბოლშევიზმისა და მენშევიზმის იდეური დაპირისპირების ერთ-ერთი ქვაკუთხედი იყო. ბოლშევიკების გადამეტებული რწმენა გლეხობის რევოლუციური შესაძლებლობებისადმი კოლიზიაში მოდიოდა მენშევიკების ფრთხილ, სკეპტიკურ შეხედულებებთან. ბოლშევიკები დარწმუნებელნი იყვნენ გლეხობაში – როგორც პროლეტარიატის ერთგულ მოკავშირეში ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციასა და სოციალისტური აღმშენებლების პერიოდში. მენშევიკები კი ასეთ ენთუზიაზმს ნაკლებად იზიარებდნენ.

მეტად ნიშანდობლივია რუსეთში მარქსიზმის ფუძემდებლის, გ. პლეხანოვის პეტროგრადის პროლეტარიატისადმი გაგზავნილ 1917 წლის 28 ოქტომბრის ღია წერილში გლეხობის შესახებ გამოთქმული მოსაზრება, რამაც, გარკვეულწილად, სოციალისტურ აღმშენებლობაში რუსეთის გლეხობის პოლიტიკური და ეკონომიკური შეხედულებების ობიექტური პროგნოზირე-

ბა მოახდინა. „მართალია,- წერდა ძველი მარქსისტი, – მუშათა კლასს შეიძლება იმედი ჰქონდეს გლეხობისა, რომლისგანაც შედგება რუსეთის მოსახლეობის დიდი უმეტესობა. მაგრამ გლეხობას ჭირდება მიწა, კაპიტალისტური წყობილების სოციალისტურით შეცვლა მას არ ჭირდება. უფრო მეტიც, გლეხობის სამეურნეო საქმიანობა, რომლის ხელშიც გადავა მემამულეთა მიწები, წარიმართება არა სოციალიზმისაკენ, არამედ კაპიტალიზმისაკენ".[36]

ამ შეხედულების საპირისპიროდ, ვ. ი. ლენინმა ჩამოაყალიბა თეორია გლეხობის სოციალისტურ აღმშენებლობაში ჩაბმის შესახებ, რომლის მიხედვით, რუსეთში სოციალიზმის მშენებლობის დაწყების შემდეგ მტკიცე კავშირი უნდა დაემყარებინათ სოფლის პროლეტარიატთან, გარკვეულ ეტაპზე უნდა მოეხდინათ კულაკების პარალიზება, გარკვეულ ეტაპზე უნდა დაემყარებინათ მტკიცე კავშირი საშუალო გლეხობასთან, მოცემული იყო პროგნოზები, თუ როგორ უნდა ჩაერთოთ გლეხობის უზარმაზარი მასა სოციალისტურ მშენებლობაში და სწორედ მისი დახმარებით აეშენებინათ ახალი, სოციალისტური საზოგადოება.[37]

მაგრამ, სამოქალაქო ომისა და ინტერვენციის, განსაკუთრებით კი „სამხედრო კომუნიზმის" პირობებში გლეხობამ ისეთი კოშმარული ექსპლოატაცია განიცადა საბჭოთა ხელისუფლებისაგან, რომ შექმნა მუშათა და გლეხთა შორის ბოლშევიკებისათვის ასეთი მნიშვნელოვანი კავშირის გაწყვეტის საშიშროება. ხოლო რუსეთის რიგ რეგიონში გლეხობის ანტისაბჭოთა გამოსვლებმა (მაგალითად, ტამბოვში) ლენინი აიძულა სასწრაფოდ განეხორციელებინა ახალი ეკონომიკური პოლიტიკა, რამაც გაამართლა და ქვეყანა და, პირველ რიგში აგრარული სექტორი, ძალიან მალე გამოიყვანა ეკონომიკური სტაგნაციის მდგომარეობიდან, ხელი შეუწყო სოფლად ეკონომიკური ცხოვრების გაჯანსაღებას.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ საქართველოში უკვე 1924 წლისათვის საბჭოთა აგრარული პოლიტიკის გამო, რიგითი გლეხების ეკონომიკური ინტერესების უგულვებელყოფამ, გარკვეულწილად, სახალხო გამოსვლები გამოიწვია, რაც ორგანულად შეერწყა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას და აიძულა კომუნისტური ხელისუფლება ეზრუნა სოფლად კომუნიზმის სოციალური ბაზის განსამტკიცებლად.

ამიტომაც, სოფლად კომუნისტური პარტიის აგრარული პოლიტიკა დაეფუძნა მტკიცე კავშირს უღარიბეს გლეხობასთან (ბოგანო, სოფლის პროლეტარიატი), საშუალო გლეხობის ნეიტ-

რალიზაციის პირობებში უნდა განხორციელებულიყო კულაკობის ყოველმხრივი შეზღუდვა და ეკონომიკური ურთიერთობებიდან ტოტალური გამოდევნა. ხოლო ბოლოს – უნდა მომხდარიყო მისი, როგორც სოციალური ფენის სრული ლიკვიდაცია.

რა თქმა უნდა, საბჭოთა ხელისუფლების საბოლოო ამოცანა სოფლად კომუნისტური აგრარული ურთიერთობების დამკვიდრება, დიდი სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებების შექმნა, მიწის განსაზოგადოება, ერთობლივი შრომა, სასოფლო-სამეურნეო პროოდუქციის თავმოყრა კომუნისტური სახელმწიფოს ხელში და წარმოებული პროდუქციის განაწილება იყო.

ამ შეხედულების ყველაზე უკეთ განხორციელება სასოფლო-სამეურნეო გაერთიანების – კომუნის საფუძველზე შეიძლებოდა. კომუნები საქართველოში უკვე 1924 წლიდან გაჩნდნენ. აქ ერთიანდებოდა ყველაფერი: წარმოება, მოხმარება, ყოფა. ერთერთი პირველი სამთავისის კომუნა იყო. მასში გაერთიანდა 21 კომლი, 87 კაცი, 21 მამაკაცი, 25 ქალი, 41 ბავშვი. კომუნის ძირითადი შემადგენლობა ღარიბი იყო. მხოლოდ 7-8 კაცს ჰქონდა შეძლებული მეურნეობა. დასამუშავებლად ჰქონდათ 100 დესეტინა ბაღ-ბოსტანი და სათესი მიწა. ჰყავდათ 10 ცხენი, 8 უღელი ხარ-კამეჩი, 13 ძროხა, 10 მოზარდი წვრილფეხა საქონელი, 100 ქათამი, 20 დედაღორი. 87 კაცი 4-5 ოთახში იყო განთავსებული. ჰქონდათ არანორმირებული სამუშაო გრაფიკი, ამასთან უდიდესი ენთუზიაზმი. როგორც პრესა ამტკიცებდა – „რაინდული შრომა, თავდადებული შეგნება“. კომუნაში გაბატონებული იყო მართვის კომუნისტური მეთოდები: 7 კაციანი კომიტეტი, ამხანაგური სასამართლო, საერთო სასადილო, საერთო საცხოვრებელი, საერთო სუფრა – მეტად ღარიბული.

ოთხი წლის შემდეგ, როცა გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტმა კვლავ მოინახულა სამთავისის კომუნა, კომუნარებს უკვე გარკვეული შედეგი ჰქონდათ: ეს იყო ჩინებული სანერგე, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სიუხვე, ტრაქტორი, სათესი და სალეწი მანქანები, მსხმოიარე ხეხილის ბაღები. უკვე ჰქონდათ სკოლა, საბავშვო ბაღი, კლუბი, საერთო საცხოვრებელი.[38]

საქართველოში დიდი პოპულარობა მოიპოვა ზემო-ქედის კომუნამ, რომელიც სოფლის მეურნეობის დიდმა ენთუზიასტმა კობა ჩოხელმა შექმნა და მუდამ გამოირჩეოდა თავისი ეკონომიკური მიღწევებით.[39]

მაგრამ, მაინც ისე მოხდა, რომ საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობამ იმჟამად კომუნა არ ჩათვალა სოფლის სოციალისტური გარდაქმნის ძირითად ორგანიზაციულ ფორმად. გაიმარ-

ჯვა აზრმა, რომ უმჯობესი იქნებოდა პარტიის აგრარული პოლიტიკა დაფუძნებოდა სასოფლო-სამეურნეო არტელს, რომელშიც „განსაზოგადებულია წარმოების ძირითადი საშუალებები უმთავრესად მარცვლეული მეურნეობის ხაზით: შრომა, მიწათსარგებლობა, მანქანები და დანარჩენი ინვენტარი, მუშა-პირუტყვი. სამეურნეო შენობები. იქ განსაზოგადებული არ არის: საკარმიდამო მიწები (პატარა ბოსტნები, პატარა ბაღები), საცხოვრებელი შენობები, მეწველი პირუტყვის განსაზღვრული ნაწილი, წვრილფეხა პირუტყვი, შინაური ფრინველი და სხვ.[40]

სტალინმა და მისმა პოლიტიკურმა დაჯგუფებამ ჩათვალა, რომ „სასოფლო კომუნებისათვის, როგორც მთავარი ფორმისათვის, სადაც განსაზოგადებულია არა მარტო წარმოება, არამედ განაწილება, ჯერჯერობით პირობები არ მომწიფებულა“.[41]

მაგრამ ეს არ ნიშნავდა, რომ ბოლშევიკები კომუნების წინააღმდეგი იყვნენ. 20-იანი წლების დასასრულამდე საქართველოში პროპაგანდა ეწეოდა კომუნების შექმნას, თუმცა არც სასოფლო-სამეურნეო არტელების ორგანიზებაზე ამბობდნენ უარს. აშკარად ჩანდა, რომ ცდილობდნენ მოენახათ სოფლის სოციალისტურად გარდაქმნისათვის ოპტიმალური ორგანიზაციული ფორმა. 1926-1927 წლებში ნებაყოფლობით, გლეხთა გარკვეული კატეგორიის სურვილით, შეიქმნა რამდენიმე ათეული სასოფლო-სამეურნეო არტელი. ისიც აშკარად ჩანდა, რომ საბჭოთა ხელისუფლება, მემარცხენეთა გააფთრებული შემოტევის მიუხედავად, არ აპირებდა სოფლად შეეცვალა „ნეპის“ პოლიტიკა ახალი მიდგომებით. ის მხოლოდ ფისკალური ბერკეტებით ცდილობდა კულაკის გაკონტროლებას და ამ პოლიტიკით გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწია 1925-1927 წლებში.

მაგრამ ამ პოლიტიკას სერიოზული მოწინააღმდეგენი ჰყავდა კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროში, ცენტრალურ კომიტეტში, ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებში. ლ. ტროცკი, გ. ზინოვიევი, ლ. კამენევი და სხვები ბრალს სდებდნენ სტალინის ფრაქციას ვოლუნტარისტული აგრარული პოლიტიკის წარმოებაში, რისი შედეგი იყო კერძო მესაკუთრული სტიქიის აღორძინება, კულაკების ეკონომიკური გაძლიერება, რაც, მათი მტკიცებით, ძალიან მალე პოლიტიკური პრეტენზიების წამოყენებაში გადაიზრდებოდა და ქვეყანაში კაპიტალიზმის რესტავრაციისათვის საუკეთესო პირობებს შექმნიდა. მემარცხენეები მკაცრად აკრიტიკებდნენ ნ. ბუხარინის თეზისს კულაკის სოციალიზმში შერწყმის შესახებ. მათ არ მოეწონათ მის მიერ ერთ-ერთ შეკრებაზე წამოსროლილი დევიზი – „გამდიდრდით!“ – რაც

საბჭოთა სახელმწიფოში კაპიტალისტური ურთიერთობის აღორძინების მოწოდებად აღიქვეს.

იდეური ბრძოლის პირობებში საკ. კპ (ბ) XV ყრილობამ (1927 წლის დეკემბერი) დაამტკიცა დირექტივები საბჭოთა ქვეყნის სრული კოლექტივიზაციის შესახებ, რაც თანდათან, ეტაპობრივად, მხოლოდ პროპაგანდა-აგიტაციის გამოყენებით და ნებაყოფლობით უნდა განხორციელებულიყო.

მაგრამ 1928 წელს მოულოდნელად საბჭოთა ეკონომიკაში, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობაში, შეიქმნა „სასაქონლო შიმშილი" – სასაქონლო პურის მკვეთრი ნაკლებობა ბაზარზე. ეს მოვლენა გამოიწვია, ერთი მხრივ, წინა წლებთან შედარებით დაბალმა მოსავლიანობამ, რამაც სახელმწიფოს ხელში მოსალოდნელზე ძლიერ ნაკლები ხორბლის თავმოყრა გამოიწვია. ხორბალი კი მაშინ სტრატეგიული პროდუქტი იყო, სახელმწიფო ამარაგებდა ქალაქებს, ინახავდა არმიას და ამითი ქმნიდა სავალუტო რეზერვებს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის. დეფიციტმა კი მას სერიოზული საშიშროება შეუქმნა. იძულებული გახდა საბარათო სისტემა შემოეღო, და მეორე, სოფლის შეძლებულ ფენას, განსაკუთრებით კი კულაკებს, ჰქონდათ ხორბალი, როგორც მიმდინარე, ისე წინა წლებიდან მორჩენილი, მაგრამ რამდენადაც საბაზრო ურთიერთობა ჯერ კიდევ ძალაში იყო, ის ფასების აწევას ელოდებოდა, ბაზარზე ხორბალი არ გამოჰქონდა და ზემოგების მიღების იმედით ხელოვნურად ზევით სწევდა ფასებს.

ექსპერტები სამართლიანად მიუთითებენ, რომ ეს „სასაქონლო შიმშილი" შედეგი იყო, სხვა მიზეზებთან ერთად, იმ საფინანსო პოლიტიკისა, რომელსაც საბჭოთა ხელმძღვანელობა ახორციელებდა ნ. ბუხარინის (ის სტალინური ფრაქციის ეკონომიკური პოლიტიკის თეორეტიკოსი იყო) ე.წ. „დაბალი ფასების" ეკონომიური თეორიის საფუძველზე.[42]

ვითარება იმდენად გამწვავდა, რომ პოლიტბიუროს წევრები, მათ შორის სტალინიც, იძულებულნი გახდნენ ადგილებზე გამგზავრებულიყვნენ და შეისწავლეს შექმნილი მძიმე ვითარება. მდგომარეობა საგანგაშო იყო. აშკარად გამოჩნდა, რომ საბაზრო ურთიერთობის დროს საბჭოთა ხელისუფლება მაშინ შეძლებდა კონტროლი დაეწესებინა ფასებზე, თუ კი მას ხელში ექნებოდა საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში დამზადებული ხორბლის ისეთი დიდი მასა, რომელიც ზეგავლენას მოახდენდა ბაზარზე და დაბლა დასწევდა ფასებს.

მაგრამ აგრარული სექტორის სამეურნეო ორგანიზაციის ეს ორივე ფორმა: საბჭოთა მეურნეობები (უდიდესი სახელმწი-

ფო დოტაციების მიუხედავად) და არსებული კოლმეურნეობები ჯერ კიდევ ვერ ქმნიდნენ ამინდს პურის სასაქონლო ბაზარზე. აქ მთავარი „მოთამაშე“ კვლავ კულაკი და შეძლებული გლეხი რჩებოდა.

ამ პრობლემათა კალეიდოსკოპში გარკვეულ ინტერესს იწვევს ის გამოკვლევა, რაც იმჟამინდელმა ხელისუფლებამ ჩაატარა აღმოსავლეთ საქართველოში ნებაყოფლობით შექმნილი კოლექტიური მეურნეობების ეკონომიკური შესაძლებლობების გამოსარკვევად. შეისწავლეს 16 კოლექტიური მეურნეობა. მათ შორის: ნუკრიანის არტელი „წითელი ვარსკვლავი“, ულიანოვკის კოლმეურნეობა „კრასნი პახარი“, წითელწყაროს არტელი „წითელი მიწათმოქმედი“, გურჯაანის კომუნა „მუშური შრომა“ და ა.შ.

გამოკვლევის შედეგი მეტად დამაფიქრებელია – სიღნაღის მაზრის არტელი „წითელი მიწათმოქმედი“ 1926 წელს ჩამოყალიბდა და აერთიანებდა 9 კაცს. როგორც დასკვნაშია აღნიშნული – „ჯერ არაფერი გაუკეთებიათ“. არც მიწები, არც ინვენტარი გაერთიანებული არ იყო. მიწებს კვლავ ცალკ-ცალკე ამუშავებდნენ. აგროვებდნენ თანხას ტრაქტორის შესაძენად. წითელიწყაროს მაზრის ს. ჯაფარიძის სახ. არტელში 10 კაცი იყო გაერთიანებული. ძირითადად ღარიბი და საშუალო გლეხობა. 10 წევრს სულ 20 დესეტინა მიწა ჰქონდა. ეს მიწებიც გაერთიანებული არ იყო.

მეტად საყურადღებოა ველისციხის კოლმეურნეობა „შრომის სამეფოს“ ისტორია. კოლმეურნეობა დაარსდა 1922 წელს. მასში გაერთიანებული იყო ძირითადად უღარიბესი გლეხობა. მიუხედავად ამისა, ვერ ხერხდებოდა ამ უღარიბესი გლეხობის არტელში დამაგრება – განვლილი პერიოდის მანძილზე კოლმეურნეობა დატოვა 32 კაცმა. ისინი ვერ შეეგუვნენ კოლექტიური შრომის პრინციპებს. მართალია, ყველაფერი გაერთიანებული ჰქონდათ, მაგრამ არაფერი გაუკეთებიათ.[43]

სავალალო იყო მდგომარეობა მუკუზანის გლეხთა არტელში „გლეხთა გაერთიანება“, რომელიც 8 წევრს აერთიანებდა. არტელს ჰქონდა 4,5 დესეტინა მიწა, 2 დესეტინა პურის ფართობი და მათი საუკეთესო შედეგი – 1200 ფუთი ღვინო იყო.

მიგვაჩნია მეტად საყურადღებოდ კომისიის შემდეგი დასკვნა: „საქართველოში კოლექტიური მეურნეობების მშენებლობა იწყება 1922 წლიდან. პირველი კომუნები და არტელები მოეწყო თელავისა და სიღნაღის მაზრებში. შემდეგ მოედო ტფილისისა და გორის მაზრებს. დასავლეთ საქართველოში უფრო სუსტად. ბევრი კოლექტივი დაიშალა – არ იყო სათანადო ხელმძღვანე-

ლობა. წევრები შეუჩვეველნი იყვნენ და სხვადასხვა ზრახვებით გატაცებულ პირებს წარმოადგენდნენ". იმჟამად საქართველოში 31 კოლექტიური მეურნეობა იყო.

კომისიის წევრებმა კარგად შეამჩნიეს კოლმეურნეობაში გაერთიანებული გლეხების ინტერესის პირველწყარო: „1.გლეხებს უნდათ საფონდო მამულების (სახელმწიფოს ხელში არსებული მიწის ფონდი – ა.დ.) ხელში ჩაგდება და არტელის კი არა, კომუნის შექმნა. მაგრამ ეს იყო კომუნა სიტყვით – გლეხებს უნდათ ამ ფირნიშის ქვეშ თავისუფალი მიწების ექსპლოატაცია; 2. არტელის წევრებს შორის გლეხთა სხვადასხვა კატეგორიაა, მათი ეკონომიკური მდგომარეობა სხვადასხვა იყო, ხშირად ჰქონდა ადგილი უკმაყოფილებას, შეუთანხმებლობას, 3. წევრები არ იყვნენ განათლებულნი, მათ შორის არ იყო იდეური ერთობა, სიმტკიცე, მიზანდასახულობა, შეურყევლობა. შრომისა და შრომის ნაყოფის განაწილების წესები უვარგისი იყო და ამის გამო შრომისნაყოფიერების დაცვა ვერ ხერხდებოდა; 4.კოლექტივს არ ეწეოდა სწორი ხელმძღვანელობა. ზოგჯერ ბოროტმოქმედნი აღმოჩნდნენ; 5.ზოგჯერ კოლექტივი იქმნებოდა მხოლოდ ღარიბი გლეხების ბაზაზე, არაფერი ჰქონდათ, არც საქონელი, არც ფინანსები; 6. არ იყო არავითარი ხელმძღვანელობა ადგილობრივი პარტიული თუ საბჭოთა ორგანოების მხრიდან".[44]

გამოკვლევის ჩატარების მომენტში საქართველოში იყო 22 კომუნა, 1 არტელი, მიწის საზოგადოებრივი დამუშავების 31 ამხანაგობა, 398 გაერთიანებული მეურნეობა 1619 მეურნით. საშუალოდ არტელზე მოდიოდა 85 დესეტინა მიწა, თითო არტელზე – საშუალოდ 11. არსებული კოლმეურნეობების ქონება ასე გამოიყურებოდა: ჰყავდათ – 657 ფრინველი, 107 ცხენი, 11 კვიცი, 73 ხარი, 2 მოზარდი, 39 კამეჩი, 85 ძროხა, 2 დეკეული, 1 ბუღა, 138 ცხვარი, 51 ღორი. არტელებს ჰქონდა სულ 7 ტრაქტორი.

რა თქმა უნდა, ასეთი ქონებით და შრომის ზემოაღწერილი ორგანიზაციით 1928 წელს კომუნები და არტელები საქართველოში, ისევე როგორც საბჭოთა კავშირში (ვივარაუდოთ რომ უკეთესად მდგომარეობა არც სხვაგან იქნებოდა), აგრარულ სექტორში ამინდს ვერ შექმნიდნენ.

მართალია, საბჭოთა კავშირში არსებობდნენ საბჭოთა მეურნეობები, ჯერ კიდევ ცარიზმის პერიოდში არსებული მომგებიანი სასოფლო-სამეურნეო წარმოების ბაზაზე შექმნილი ორგანიზაციები (ასეთი საქართველოში იყო მუხრან-ბატონის, დ. ჭავჭავავაძის, ბარონ კუჩენბახის, ანანოვის მამულების საფუძველზე შექმნილი საბჭოთა მეურნეობები), მაგრამ ისინი არ იყო

ბევრი, მით უფრო საქართველოში და ვერ ახერხებდნენ აგრარული ბაზრის გაჯერებას სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით.

საბჭოთა ხელისუფლებას კი სოფლის მეურნეობაში უკვე ისეთი პოლიტიკის განხორციელება ჭირდებოდა, რომელიც უზრუნველყოფდა მის ხელში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დიდი მასის თავმოყრას, რაც: 1.შესაძლებლობას მისცემდა შეენარჩუნებინა ხორბალზე იაფი ფასები; 2. შეექმნა სავალუტო რეზერვების დასაგროვებლად სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ფონდი; 3. გამოკვებავდა არმიას, მილიციას. მუშებს და მოსახლეობის მშრომელ ნაწილს; 4. საბოლოოდ განამტკიცებდა ტოტალიტარიზმის ეკონომიკურ საფუძვლებს და თუ საჭირო გახდებოდა მთლიანად შეცვლიდა საბაზრო ურთიერთობებს. 5. შექმნიდა მატერიალურ საფუძველს ინდუსტრიალიზაციის, განსაკუთრებით კი მძიმე ინდუსტრიის დაჩქარებული განვითარებისათვის.

ამიტომაც ი. ბ. სტალინის პოლიტიკურ გარემოცვაში აგრარული პოლიტიკის რადიკალური შეცვლის აზრი განმტკიცდა. სამართლიანად მიუთითებენ, რომ „სტალინის ბრძოლა პურის დამზადებაში უკომპრომისო ზომების გამოსაყენებლად, უნდა განხილულ იქნეს როგორც შემოტრიალება რუსეთის ცხოვრებაში“.[45]

1928-1929 წლებში საბჭოთა სოფელი კვლავ ინდივიდუალური გლეხური მეურნეობის ამარა იყო. ჩვენ საქართველოს მაგალითზე დავინახეთ, რომ კოლექტიური მეურნეობები, რომლებიც ნებაყოფლობით შეიქმნენ და მაგალითი უნდა მიეცათ გლეხობის ძირითადი მასისათვის გადასულიყვნენ შრომის ორგანიზაციის ახალ ფორმებზე, იყო სუსტი, არაორგანიზებული, უპერსპექტივო, უშედეგო. ამ ეტაპზე მათ არც არავინ ეხმარებოდათ – პროცესები თვითდინებაზე იყო მიშვებული. სერიოზულ დაფიქრებას საჭიროებდა ის გარემოება, რომ ღარიბი, უქონელი გლეხიც კი კოლექტიურ მეურნეობაში ვერ მაგრდებოდა კერძომესაკუთრული ფსიქოლოგიის, კერძო საკუთრებისადმი ქვეცნობიური ერთგულების გამო.

სოფლის ბატონ-პატრონი – მდიდარი გლეხი იყო: მშრომელი, კარგი მეურნე, ორგანიზატორი, მომჭირნე. საბჭოთა ხელისუფლების, ნეპის წლებში მდიდარი გლეხი კიდევ უფრო გამდიდრდა. რა თქმა უნდა, საკუთარი და დაქირავებული შრომის ექსპლოატაციით. სიმდიდრემ მას აშკარად გაუჩინა (თუ არა და გაუჩენდა) პრეტენზიები პოლიტიკური ხელისუფლებისაკენ (მცდელობები კულაკების საბჭოებში „გაძვრომის“ საქართველოშიც

დაფიქსირდა). ამიტომაც, 20-იანი წლების ბოლოს უკვე „ურწმუნო თომებიც“ ალაპარაკდნენ კულაკურ საფრთხეზე, კულაკების – როგორც კლასის ლიკვიდაციაზე, კულაკების წინააღმდეგ დრაკონული კანონების ამოქმედებაზე, მათი ქონების კოლმეურნეობებისათვის გადაცემაზე. ამ საქმეში თანამონაწილე რომ ჰყოლოდა, საბჭოთა ხელისუფლებამ ღარიბ გლეხობას კულაკების წართმეულ ქონებაში წილი შესთავაზა (ისევე როგორც თავადაზნაურთა ქონების პროსკრიპციების დროს).

უკვე 1928 წელს, ოქტომბერში, ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პლენუმზე ალაპარაკდნენ კულაკობის როგორც კლასის ლიკვიდაციაზე, მოუწოდებდნენ ღარიბ გლეხებს მოეთხოვათ მათი განკულაკება, ღარიბი გლეხების სახელით პრეტენზიებს უყენებდნენ კულაკებს, აგულიანებდნენ ღარიბ გლეხებს კულაკები ემხილათ საგადასახადო ინსპექტორებთან და ა.შ. [46]

ხელისუფლების მიერ პროვოცირებული ღარიბი გლეხები, კულაკების ქონების წილის მიღების სურვილით შეპყრობილნი, სოფლებში „ბართლომეს ღამეებს“ აწყობდნენ. გლეხთა კრებები ადგენდნენ განსაკულაკებელი თანასოფლელების სიებს, გამოჰყოფდნენ კომისიებს, რომლის წევრები პოლიტიკური სამმართველოს თანამშრომლებთან ერთად ახორციელებდნენ კულაკების ექსპროპრიაციას.

საქართველოს სოფელში მიმდინარე დრამატული მოვლენების შესახებ ოფიციოზი „კომუნისტი“ წერდა: „იმ ბრძოლებში, რომელიც ამჟამად სწარმოებს სოფლად, ამ ბრძოლის დღევანდელ გამწვავებულ ეტაპში გამოხატულებას პოულობს კულაკის კონტრიერიში სოციალისტური შეტევის საპასუხოდ და იმის წინააღმდეგ, რომელსაც უწევენ კლასობრივად მტრული ელემენტები რეკონსტრუქციის პროცესს სოფლის მეურნეობაში და პარტიის ხაზს“ [47]

მაინც რამდენი იყო კულაკი საქართველოს სოფელში?

საქართველოს რეგიონებში სოფლის მოსახლეობის დიფერენციაციის პროცესი ღრმად შეისწავლა რ. კოჭლამაზაშვილმა. მან კომპლექსური მეთოდის გამოყენებით განსაზღვრა საქართველოს სოფელში გლეხთა სოციალურ-ეკონომიკური დაჯგუფება, რაც 20- იანი წლების დასასრულს ქმნიდა შემდეგ კატეგორიებს: სოფლის პროლეტარიატი – 7,7%, ნახევრად პროლეტარები – 22,9%, უბრალო მეწარმენი – 66,7, მათ შორის შეძლებულნი – 5,1 %, ხოლო წვრილი კაპიტალისტური მეურნეობა იყო – 2, 8 %.[48]

ქართულ ისტორიოგრაფიაში აზრთა სხვადასხვაობა არსებობდა კულაკების მახასიათებლების განსაზღვრის დროს. ასეთ ნიშნებად მიაჩნდათ: სამუშაო ძალის დაქირავება განსაზღვრული ნორმის ზემოთ, მიწის და სასოფლო-სამეურნეო მანქანების იჯარა განსაზღვრული ნორმის ზევით, იმ ოდენობის შემოსავლის მიღება, რაც იძლეოდა სხვათა შრომის ექსპლოატაციის შესაძლებლობას, მეურნეობაში სავაჭრო და სარეწაო საშუალებების არსებობა, არაშრომითი შემოსავლის სხვადასხვა წყარო (ვაჭრობა და სხვ.).

კულაკების ხვედრითი წილის განსაზღვრისას უფრო სანდო მონაცემად თვლიან კულაკური მეურნეობის ინდივიდუალური დაბეგვრის მაჩვენებელს. დაბეგვრაში აისახებოდა არა მარტო კულაკური მეურნეობის შემოსავალი, არამედ ასევე ამ მეურნეობის ექსპლოატატორული ნიშნები. 1928-1929 წლებში, როდესაც შემოიღეს ინდივიდუალური დაბეგვრა საქართველოში, ამ ფორმით დაიბეგრა 6651 მეურნეობა – გლეხური მეურნეობის1,5 %. რ. კოჭლამაზაშვილის აზრით 20-იანი წლების დასასრულს კულაკობის ხვედრითი წილი საქართველოს სოფლის მეურნეობაში შეადგენდა 2,8 პროცენტს.[49] ფ. ლომაშვილის აზრით საქართველოში კულაკების რაოდენობა 4-5 პროცენტი იყო.

როგორც აღინიშნა, 1928 წლიდან უკვე მკვეთრად გამწვავდა დამოკიდებულება კულაკებთან. ეს პარტიის აგრარული პოლიტიკის რადიკალური შემობრუნების შედეგი იყო. რა თქმა უნდა, სახელმწიფოს შემოტევას კულაკებმაც პასუხი გასცეს – ავრცელებდნენ ხმებს, თითქოს კოლექტივიზაცია გულისხმობდა ყველაფრის გაერთიანებას, მათ შორის – ცოლების, ოჯახების. ამის გამო ქალები კოლმეურნეობაში შესვლაზე თავს იკავებდნენ. კულაკები იყენებდნენ ბრძოლის ისეთ ფორმებს, როგორიცაა საკოლმეურნეო ქონების მოსპობა, აქტივისტი კოლმეურნეების ქონების განადგურება, ადგილი ჰქონდა ტერორსაც. 1929 წლის ბოლოს მძლავრ ანტისაკოლმეურნეო გამოსვლას ადგილი ჰქონდა კახეთში. მსგავს გამოსვლებს ზუგდიდის მაზრაში მოჰყვა მსხვერპლი.

ამისდა მიუხედავად, კომუნისტური პარტია აგრძელებდა კულაკობის როგორც კლასის ლიკვიდაციას, თავიდანვე განსაზღვრა განკულაკების ფორმები და მეთოდები. გასახლება – განკულაკების ერთ-ერთი ფორმა იყო. მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში გაასახლეს 750 კულაკური ოჯახი. აქედან კახეთის რეგიონიდან – 400.

განკულაკების პროცესი დაემთხვა დასავლეთ საქართველოში დიდ მოუსავლიანობას რამაც კიდევ უფრო დაძაბა სოციალური ფონი და გაამწვავა მდგომარეობა. ეს ვითარება დროში დაემთხვა რუსეთში შექმნილ „სასაქონლო კრიზისს“ და სერიოზული პრობლემები შეუქმნა საქართველოს მოსახლეობის სურსათით მომარაგების საქმეს. კახეთის პურით მდიდარი რეგიონები გვალვამ დააზიანა, ხოლო ზუგდიდის, სენაკისა და ოზურგეთის მაზრებში, სიმინდის ძირითად მომწოდებელ რეგიონებში, მოსავალი ძალიან ცუდი მიიღეს. საქართველოში ნავარაუდევზე 20 პროცენტით ნაკლები მარცვლეული შეგროვდა. ამან კი რესპუბლიკაში გააძვირა ხორბალი და სიმინდი: ხორბალი ღირდა: ფუთი 8 მანეთი, სიმინდი – 6 მანეთი.

საქართველოს ყოველწლიურად ჭირდებოდა 7 მილიონი ფუთი ხორბალი და 2 მილიონი ფუთი ქერი. საკუთარი წარმოების პური საქართველოს არ ყოფნიდა და ჩრ. კავკასიიდან შემოჰქონდა. მიიღეს ზომები რესპუბლიკაში ადგილობრივი სასურსათო რეზერვების გამოსავლენად. ეს საქმე დაავალეს ორგანიზაციებს „სოფლის კავშირსა“ და „ცეკავშირს“. 1928 წლის ივლისაგვისტოში საქართველოს დაევალა შეეგროვებინა 40 ათასი ფუთი ხორბალი და 40 ათასი ფუთი ქერი. მიიღეს ზომები მკაცრი მომჭირნეობის განსახორციელებლად, მოსახლეობაში გაავრცელეს სასურსათო ტალონები. სასწრაფოდ განისაზღვრა ხორცზე სულადობრივი მოთხოვნილების მინიმუმი: ძროხის ხორცზე დაწესდა – წლიურად 68.43 ფუნტი, ცხვრის ხორცზე – 19,01 ფუნტი, ღორის ხორცზე – 7,60 ფუნტი. სულ საქართველოს მოსახლეობის გამოსაკვებად საჭირო იყო 640 ათასი ფუთი სამივე სახეობის ხორცი.[50] ხორციც ძირითადად ჩრ. კავკასიიდან შემოდიოდა (351 ათასი ფუთი), შემოჰქონდათ სპარსეთიდან (87 ათასი ფუთი), ყარსიდან. მხოლოდ მოხმარებული ხორცის 47 პროცენტი მზადდებოდა საქართველოში.

1929 წელს ვითარება სასურსათო ბაზარზე კიდევ უფრო დაიძაბა. ამიტომაც საქართველოს კიდევ უფრო მეტი მარცვლეულის დამზადების გეგმა დაუმტკიცეს: მარტო 4 თვეში (ივლისი-ოქტომბერი) საქართველოში უნდა დამზადებულიყო 200 ათასი ფუთი მარცვლეული. რომ გლეხობა რაღაცით წაეხალისებინათ, გამოიყო დეფიციტური მანუფაქტურის დიდი პარტიები შემდეგი გაცვლითი კურსით: 2,5 მეტრ მანუფაქტურაში გლეხებისაგან ითხოვდნენ 1 ფუთ ხორბალს, 1.5 მეტრ მანუფაქტურაში – 1 ფუთ ქერს.[51]

ეკონომიკურ ბერკეტებთან ერთად, იყენებდნენ პროპაგანდას, აშკარა ძალდატანებას, განსაკუთრებით კულაკებზე. 1929 წლის 28 ივნისს საქართველოს მთავრობამ მიიღო ცირკულარი, რომლის საფუძველზე საბჭოთა სასამართლოებს შეეძლოთ გაეძლიერებინათ პასუხისმგებლობა იმ გლეხების მიმართ, რომლებმაც დაარღვიეს კონტრაქტაციის ვადები და არ შეასრულეს ნაკისრი ვალდებულებები.[52]

ამან ვერ განმუხტა მდგომარეობა. 1929 წლის 21 ივლისს საქართველოში პურის ტალონები შემოიღეს, მაგრამ დისკრიმინაციული: მოსახლეობა დაჰყვეს კატეგორიებად – „ა“ ჯგუფში გააერთიანეს ფიზიკურად მომუშავენი, საფაბრიკო-საქარხნო პერსონალი, რკინიგზის თანამშრომლები, წითელარმიელები, მილიციის მუშაკები. „ბ“ ჯგუფში შეიყვანეს „ა“ ჯგუფის გაერთიანებული პირების ოჯახის წევრები. „გ“ ჯგუფი აერთიანებდა „არამშრომელ“ მოსახლეობას. ამ კატეგორიის პირებს ტალონებს არ აძლევდნენ, მათ სპეციალურ მაღაზიებში განსაკუთრებით მაღალ ფასებში შეეძლოთ პურის შეძენა.[53]

საქართველოში პურის დამზადების დროს გამოყენებულმა რეპრესიულმა ზომებმა კიდევ უფრო დაძაბა სოციალური ფონი სოფლად.

ამრიგად, 20-იანი წლების შუა ხანებში საბჭოთა ქვეყანაში, მის აგრარულ სექტორში შეიქმნა საგანგაშო ვითავრება: 1. მოუსავლიანობის გამო შემცირდა სახელმწიფოს ხელში არსებული პურის მარაგის ოდენობა, რაც გამოიყენებოდა როგორც პურის ბაზარზე ფასების დასარეგულირებლად, ისე სავალუტო რეზევების შესავსებად, რომ აღებული ფულით უზრუნველეყოთ დაჩქარებული ინდუსტრიალიზაციის მზარდი ტემპები, საზღვარგარეთ შეეძინათ მაღალტექნოლოგიური დანადგარები და მოწყობილობები; 2. აშკარა გახდა, რომ მარტო პროპაგანდითა და აგიტაციით (თანაც როგორც დავინახეთ საპროპაგანდოც არაფერი იყო) სოფლად საკოლმეურნეო „სიკეთის“ დანერგვა თითქმის შეუძლებელი ჩანდა და საერთოდ, როგორც ყველგან და ყველაფერში, ძალის გამოყენების გარეშე, გლეხი (თუნდაც ღარიბი, თუნდაც ბოგანო) კერძო მესაკუთრულ ფსიქოლოგიას ვერ დაძლევდა და მის მიერ საკოლმეურნეო ცხოვრების უპირატესობის აღიარება გამორიცხული ჩანდა. 3. ისიც აშკარად გამოიკვეთა, რომ მარტო საგადასახადო პოლიტიკა (გადასახადების უზომო ზრდა, კრედიტების მიცემაზე უარის თქმა და ა.შ.) და დრაკონული, ანტიკულაკური კანონმდებლობა ვერ „გააქრობდა“, ვერ „გარდაქმნიდა“ კულაკს, რომელიც ტოტალიტარულ სახელმწი-

ფოში ჯერ კიდევ წარმოადგენდა თავისუფალი მატერიალური სახსრების მქონე ძალას – ამრიგად თავისუფალი მოქმედების პირს, და ამიტომ ველარ თავსდებოდა ტოტალიტარიზმის სისტემაში და მისი ნეიტრალიზება, კომუნისტური სისტემის კანონებიდან გამომდინარე, აუცილებელი იყო. ამიტომაც სრულიად ბუნებრივია, რომ გადაწყდა მისი რიგორც სოციალური ფენის ლიკვიდაცია.

საერთოდ, მასალების ნაკლებობა, ზოგ შემთხვევაში არ არსებობა, აძნელებს პასუხის გაცემას ერთ შეკითხვაზე, რომელიც რატომღაც არ ებადებოდათ საბჭოთა ისტორიკოსებს – რატომ არ წავიდა დათმობაზე კულაკობა? არ იყო ინფორმირებული კომუნისტური პარტიის შიგნით მიმდინარე იდეოლოგიური ორთაბრძოლის შესახებ? არ იცოდა, რომ იყვნენ ძალები, რომლებიც, ტროცკისტების მსგავსად, მწვავედ არ აყენებდნენ კულაკობის საკითხს? არ მოითხოვდნენ სასწრაფოდ ნეპის შეწყვეტას? პარტიის აგრარული პოლიტიკის რადიკალურად შეცვლას? რატომ არ დაუჭირეს მხარი საქმით სტალინ-ბუხარინის ფრაქციას, რატომ არ გაიღეს სასაქონლო პური? რატომ შექმნეს აზრი, რომ ყოველი გართულების დროს, ისინი საფრთხეს შეუქმნიდნენ საბჭოთა სახელმწიფოს? რატომ მისცეს ტროცკისტულ-ზინოვიევურ ფრაქციას კულაკური თემის გაზვიადების საბაბი, რატომ გახადეს ქვეყანაში ანტიკულაკური ფსიქოზის დამკვიდრება შესაძლებელი? იქნებ მოხერხდებოდა მცირედის განირვით, უფრო დიდის გადარჩენა?

ჰიპოთეზის სახით შეიძლება გამოითქვას ვარაუდი, რომ კულაკობა საბჭოთა სისტემის პირობებში არ იყო პოლიტიკურად დარაზმული, არ ჰყავდა ერთიანი ხელმძღვანელობა (ესერების პარტია უკვე აღარ მოქმედებდა, სხვა არ არსებობდა). სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგნოზირება ქვეყნის მასშტაბით კულაკობას არ შეეძლო. ისინი საბაზრო სტიქიას იყვნენ აყოლილნი და საბაზრო ურთიერთობის აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენდნენ, მთლიანად არსებობდნენ საბაზრო ურთიერთობების კანონებით. კულაკის თვალსაწიერი ერთი სოფლის, ერთი მაზრის ფარგლებს არ სცილდებოდა. მისი აქტივობა შეზღუდული იყო. მას უთვალთვალებდა სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო. მათ არ შეეძლოთ შეკრებები, ეკრძალებოდათ კავშირების შექმნა და ა.შ. ამიტომაც ისინი მოუმზადებელნი შეხვდნენ საბჭოთა სახელმწიფოს „ჯვაროსნულ ლაშქრობას“ კულაკების წინააღმდეგ. სხვა შემთხვევაში, ჩვენი აზრით, მათ უნდა შეექმნათ ისეთი პირობები, რომ არ დაშლილიყო სტალინ-

ბუხარინის ბლოკი, მათ არ უნდა მიეცათ ტროცკისტებისათვის საბაბი ბუხარინის წინააღმდეგ ტოტალური შეტევის განსახორციელებლად, ხოლო მათმა კონკრეტულმა მოქმედებამ მოუსავლიანობის პირობებში ცენტრისტი – სტალინიც დაარწმუნა, რომ სახელმწიფოსთვის ექსტრემალურ ვითარებაში კულაკი მართლაც შეუქმნიდა სერიოზულ ხიფათებს ტოტალიტარულ სახელმწიფოს და ამიტომაც მან ცხოვრებაში განახორციელა ის, რასაც ტროცკისტები ვარაუდობდნენ განეხორციელებინათ უფრო ადრე -1925 წელს.

ასევე ჰიპოთეზის სახით შეიძლება ისიც აღინიშნოს, რომ ფაქტობრივად კულაკობამ ნებით თუ უნებურად მოახდინა საბჭოთა ხელისუფლების პროვოცირება – მათ ხელისუფლებას თავისი მოქმედებით განუცხადეს, რომ კარგი ანაზღაურების გარეშე არავითარ შემთხვევაში არ გაიღებდნენ თავის საკუთრებას საბჭოთა ქვეყნის ინტერესების დასაცავად. საბჭოთა ხელისუფლებას კი სოფლად ისეთი აგრარული პარტნიორი ჭირდებოდა, რომელიც დისკომფორტს არასოდეს შეუქმნიდა. ნებისმიერ დროს უშურვებლად გაიღებდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას იმ ფასად, რასაც მას სახელმწიფო შეთავაზებდა.

ასეთი ერთგული პარტნიორი მხოლოდ საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობები შეიძლება ყოფილიყო, და არა საბაზრო კანონებით მომქმედი (როგორც ეს ხდებოდა გლეხთა გაერთიანებების დროს კაპიტალისტურ ქვეყნებში), არამედ სნორედ სოციალისტური სისტემის კანონებით მოქმედი სასოფლო-სამეურნეო არტელი, რომელიც უზრუნველყოფდა სახელმწიფოს ხელში სასაქონლო სტრატეგიული პროდუქციის ძირითადი მასის თავმოყრას.

ეს ჭეშმარიტება 1928 წელს სტალინისთვისაც აშკარა გახდა და ამიტომაც მკვეთრად შეიცვალა მისი დამოკიდებულება ტრადიციული აგრარული პოლიტიკისადმი, ამიტომაც საოცრად მკვეთრი და მტკივნეული იყო ის რადიკალური შემობრუნება, რაც 1928-1929 წლებში განხორციელდა სოფლად პარტიის ახალი კურსის რეალიზაციის დროს.

ამასთან, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ რუსეთისათვის კოლმეურნეობა – ეს კარგად დავიწყებული ძველი იყო. ტრადიციული რუსული თემი (რუსი ნაროდნიკებისათვის სოციალიზმის ძირითადი საფუძველი რუსეთში), რომელიც ვერ მოსპო სტოლიპინის ეკონომიკურმა რეფორმამ, 20-იანი წლების დასასრულს ახალი ფორმით აღორძინდა და საბჭოთა სოფლის ძირითადი მახასიათებელი გახდა. მიუხედავად ძალმომრეობისა, საკოლმეურ-

ნეო მოძრაობა რიგ შემთხვევაში რუსული თემის კოლექტივისტური ბუნების აღორძინებას ითვალისწინებდა, ამიტომაც შედარებით ადვილად მოერგო რუსულ გლეხურ ფსიქოლოგიას და გარკვეული შედეგებიც მოიტანა.

ამრიგად, საბჭოთა ხელისუფლებისათვის მეტად აუცილებელი და მნიშვნელოვანი საკოლმეურნეო მოძრაობა -1928-1929 წლებში დაიწყო.

საქართველოში ეს პროცესი პირველ რიგში პროპაგანდა-აგიტაციის არანახული გაძლიერებით სცადეს. გლეხობას უმტკიცებდნენ, რომ სასოფლო-სამეურნეო არტელი ეს არის: 1.დიდი სამეურნეო ორგანიზაცია; 2.ტექნიკურად უზრუნველყოფილი; 3. როცა ხდება მაღალხარისხოვანი სათესლე მასალით მუდმივი მომარაგება; 4.არის უამრავი კანონი და ხელშეკრულება, რომლებიც დაიცავენ კოლმეურნეობას გვალვისა და სტიქიის შემოტევისაგან; 5. იქნება გეგმური წარმოება; 6. მიყენებული ყველანაირი ზარალი ანაზღაურდება; 7. აქტიურად გამოიყენებენ ქალის შრომას, 8. ექნებათ კულტურული, ნათელი ცხოვრება; 9 მისაწვდომი იქნება აგრონომიულ ცოდნა; 10. გამოიყენებენ კონტრაქტაციას; 11. შეიძენენ მანაქანა-ტრაქტორებს;12. გაავრცელებენ სოციალისტურ შეჯიბრებას; 13. მიიღებენ უფასო სამედიცინო მომსახურებას და ა.შ.[54]

ის რომ საკოლმეურნეო სიკეთეები კომუნისტური რეჟიმის ოფიციოზმა ასე დაწვრილებით ჩამოუყალიბა ქართველ გლეხობას 1930 წელს, იმაზე მიუთითებს, რომ საკოლმეურნეო მოძრაობაში სერიოზული სიძნელეები შეიქმნა და საჭირო გახდა ახალი, დამატებითი აღმძრავი სტიმულები.

როგორი იყო საწყისი მდგომარეობა საქართველოში? გაზეთ „კომუნისტის“ ცნობით 1928 წელს საქართველოს სოფელში სოციალისტური სექტორი ასე გამოიყურებოდა: არსებობდა 11 კომუნა, 135 არტელი, მიწის საზოგადოებრივი დამუშავების 98 ამხანაგობა. 1929 წელს უკვე იყო – 20 კომუნა, 528 არტელი, მიწის საზოგადოებრივი დამუშავების 200 ამხანაგობა. გაერთიანებული ჰქონდათ მიწის ფართობი 11492 ჰა., სოციალისტურ სექტორში უკვე ჩაბმული იყო 11690 კაცი.[55]

აშკარაა, რომ ერთი წლის განმავლობაში ზრდა საგრძნობია: კომუნების რაოდენობა 82 პროცენტით გაიზარდა, არტელების – 291%, მიწის დამმუშავებელი ამახანაგობების – 104%.

მაგრამ ისიც აშკარაა, რომ ეს ტემპები არ აკმაყოფილებდა ხელისუფლებას და ცდილობდნენ ტემპები კიდევ უფრო გაეზარდათ.

არნახულად გაძლიერდა პროპაგანდა.1929 წლის 11 იანვარს გაზეთი „კომუნისტი“ აქვეყნებს მოწოდებას „1930 წლის პირველი იანვრისათვის მივაღწიოთ კოლექტივიზაციის 85% და საქართველოს რესპუბლიკა გამოცხადდეს მასობრივი კოლექტივიზაციის რაიონად“.

ეს პროცესი ლოგიკურად ეჯაჭვება კულაკობის ლიკვიდაციის შეუქცევად პროცესს – გაზეთები ბეჭდავენ მოწოდებებს „კულაკობის ლიკვიდაცია – დღის წესრიგში“. იბეჭდება სტალინის გამონათქვამებიც: „გადამწყვეტი იერიში კულაკობაზე. ბოლო მოუღონ მის წინააღმდეგობას, მოსპონ იგი როგორც კლასი და მისი წარმოება შეცვალონ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოებით“ .[56]

ხდება ძალადობის ესკალაცია. კულაკობა ძალადობაზე ძალადობით პასუხობს. ოჯახისგანადგურებას, ქონების ჩამორთმევას, სოფლიდან გასახლებას, რა თქმა უნდა, ექსცესები ახლავს თან. კომუნისტების ენაზე ამას კლასობრივი ბრძოლის გაძლიერება და გაღრმავება ჰქვია. ამ პროცესს ახორციელებენ სოფლის უღარიბეს და ღარიბი გლეხების საშუალებით. უაპელაციოდ, სოფლის ღარიბი გლეხების თავყრილობების გადაწყვეტილებით, კულაკებს ართმევდნენ სახლ-კარს და იქ კოლმეურნეობების გამგეობას ასახლებდნენ. ასეთ შენობებს ბევრ შემთხვევაში კულაკები წვავდნენ, კლავდნენ პირუტყვს, სოფლის საკოლმეურნეო მშენებლობის აქტივისტებს.

მთელ საქართველოში გავრცელდა აფხაზეთში, წებელდაში კულაკების მიერ განხორციელებული მავნებლობის ამბავი. რასაც დიდი რეზონანსი მოჰყვა. „კულაკებმა“ დაწვეს თამბაქოს ფარდულები, რომ დაემალათ თავისი ბოროტმოქმედება. ამ საქმეზე იყო 44 ბრალდებული. აქედან 10 დახვრიტეს, 13 კაცს ათი წლის ციხე მიუსაჯეს.

უკვე ამ პერიოდიდან კულაკების წინააღმდეგ ბრძოლის ინიციატივა სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ორგანიზაციებმა აიღეს თავის ხელში.[57]

აშკარაა, რომ საკოლმეურნეო მოძრაობა საბჭოთა რეჟიმმა აგრარულ სექტორში შექმნილი სიძნელეებიდან გამოსვლის მთავარ პანაცეად დასახა. მართალია, სიტყვით სულ მოუწოდებდნენ გამოეყენებინათ ნებაყოფლობითობის პრინციპი, მაგრამ ფაქტობრივად მეტად ფართოდ იყენებდნენ ადმინისტრირებას, პროცესებს ხელოვნურადაც აჩქარებდნენ. განსაკუთრებით საქართველოში, სადაც, როგორც ზემოთ აღინიშნა, კოლმეურნეობებისაკენ მიდრეკილებას თვით ღარიბი გლეხებიც კი არ იჩენდ-

ნენ. მაგრამ საქართველოს კომუნისტური პარტიის იმჟამინდელი ხელმძღვანელები: ლ. ღოლობერიძე, მ. კახიანი, ს. მამულია და სხვები ერთხმად აღნიშნავდნენ: „კოლმეურნეობისაკენ პირი იბრუნა საშუალო გლეხობამაც". საქართველოს კპ (ბ) ცკ1930 წლის იანვრის პლენუმზე მიღებულ რეზოლუციაში აღნიშნული იყო: „(ნასობრივი ლტოლვა კოლმეურნეობებისაკენ ავალებს პრეზიდიუმს გადასინჯოს გეგმით გათვალისწინებული კოლექტივიზაციის ტემპები იმ მხრივ, რომ გაზაფხულზე მივაღწიოთ გლეხური მეურნეობის 1/3 კოლექტივიზაციას, 1931 წლის დამლევს, ან 1932 წლის გაზაფხულისათვის მოხდეს მთელი საქართველოს კოლექტივიზაცია".[58]

ტემპების აჩქარებისაკენ ქართველ კომუნისტებს კრემლის ლიდერები აგულიანებდნენ. გაზეთ „პრავდაში" სისტემატურად იბეჭდებოდა მოწოდებები, სტატიები, რომლებიც მოითხოვდნენ არა მარტო განკულაკებას, არამედ საშუალო და ღარიბი გლეხების კოლმეურნეობებში გაერთიანებას. აღნიშნავდნენ: „ახალ ამოცანად ვსახავთ კულაკებისაგან ჩამორთმეული საწარმოო იარაღებისა და საშუალებების განზოგადებას და არა განაწილებას...კოლექტივიზაცია არ შევცვალოთ მხოლოდ განკულაკებით... ბევრი აღმოჩდება ისეთი, რომელიც განკულაკებას (ქონების ჩამორთმევას და სხვებისათვის გადაცემას) უფრო ადვილად გააკეთებს, ვიდრე ღარიბ და საშუალო გლეხობას კოლექტივში გააერთიანებს".[59]

ასეთი შეგულიანებისა და მოწოდებების შემდეგ, სულ რაღაც ერთ თვეში გაზეთი „პრავდა" აქვეყნებს ი. ბ. სტალინის წერილს „თავბრუდახვევა წარმატებებისაგან", რომელშიც საკოლმეურნეო მოძრაობის შუქ-ჩრდილებზე, კოლექტივიზაციის პროცესში დაშვებულ შეცდომებზე, უხეშ დარღვევებსა და გადაცდომებზეა საუბარი. როგორც სამართლიანად შენიშნავენ, სტალინის ეს წერილი გმობს „ზედმეტ „თავგამოდებას" განკულაკების პროცესში, რომლის მსხვერპლი ბევრგან საშუალო გლეხიც აღმოჩნდა... მაგრამ სტატიაში აბსოლუტურად არაფერი იყო თვითკრიტიკული და მთელი პასუხისმგებლობა დაშვებულ შეცდომებზე გადატანილი იყო ადგილობრივ ხელმძღვანელობაზე."[60]

რა თქმა უნდა, სტალინი ამ წერილში არ იყო ბოლომდე გულწრფელი და არც შეეძლო ყოფილიყო, რადგანა თვითონაც კარგად იცოდა, რომ მის წერილში გამოთქმული მოსაზრება „ჩვენი საკოლმეურნეო პოლიტიკის წარმატებანი სხვათაშორის იმით აიხსნება, რომ ეს პოლიტიკა ეყრდნობა საკოლმეურნეო

მოძრაობის ნებაყოფლობას და სსრ კავშირის სხვადასხვა რაიონებში პირობების სხვადასხვაობის გათვალისწინებას“ – სინამდვილეს არ შეესაბამებოდა.

მაგრამ მაინც, ამ წერილის მთავარი ღირსება ის არის, რომ სტალინმა საბოლოოდ მიუთითა „მოძრაობის ძირითადი რგოლი“. ეს იყო სასოფლო-სამეურნეო არტელი – სამეურნეო ორგანიზაციის ძირითადი და მთავარი რგოლი საბჭოთა სოფელში. არა კომუნა, არა საერთო ძალით დამამუშავებელი ამხანაგობა, არამედ სწორედ სასოფლო-სამეურნეო არტელი, სადაც განზოგადებულია წარმოების ძირითადი საშუალებები, შრომა, მიწათსარგებლობა, მანქანები და დანარჩენი ინვენტარი, მუშა პირუტყვი, სამეურნეო შენობები. აქ განსაზოგადებას არ ექვემდებარება – საკარმიდამო მიწები (პატარა ბოსტანი, პატარა ბაღები), საცხოვრებელი შენობები, მეწველი პირუტყვის განსაზღვრული ნაწილი, წვრილფეხა პირუტყვი, შინაური ფრინველი და სხვ.

აგრარული სექტორის ასეთი დუალიზმი – ახალი იყო მარქსიზმ-ლენინიზმში. ფაქტობრივად ეს შექმნილი მდგომარეობიდან გამოსვლის ყველაზე კომპრომისული ვარიანტია, მისაღები კომუნისტური პარტიისათვის და უშუალოდ მწარმოებლისათვისაც. თეორიაში აქ უნდა შეხამებულიყო როგორც კოლექტივისტური ფსიქოლოგია, ისე კერძო მესაკუთრული ტენდენციები. საკარმიდამო ნაკვეთი (ასე დაერქვა შემდეგ პატარა ბაღებს, პატარა ბოსტნებს) სოფელში გლეხობის ძირითადი მასისათვის დოვლათის დაგროვების მთავარი საშუალება გახდა, მაშინ როცა კოლმეურნეობებს ძირითადი ორიენტაცია სოციალისტური ეკონომიკის განვითარებაზე ჰქონდათ – მათ უნდა დაემზადებინათ იაფი პური, იაფი სურსათი და ყველაფერი ეს სახელმწიფოს მიერ დადგენილ მტკიცე ფასებში სახელმწიფოსათვის ჩაებარებინათ.

მაგრამ ამ დუალიზმა, ამ მუდმივმა დაპირისპირებამ კერძო და საზოგადო საწყისებს შორის მოგვიანებით, განსაკუთრებით სტალინის მმართველობის შემდეგ, შიგნიდან ააფეთქა საბჭოთა სოფლის მეურნეობა და პერმანენტული კრიზისის საფუძველი გახდა.

შეიძლება ითქვას, რომ ი. ბ. სტალინის ამ წერილით საბჭოთა აგრარულ პოლიტიკაში შეიქმნა რადიკალურად განსხვავებული მდგომარეობა – ვ. ი. ლენინის მიერ 1921 წელს სოფლის მეურნეობის ასაღორძინებლად დაშვებული ახალი ეკონომიკური პოლიტიკა შეიცვალა უკვე განსხვავებული, რადიკალური ეკო-

ნომიკური პოლიტიკით – რომელიც მთლიანად გამორიცხავდა წარმოების საშუალებაზე კერძო საკუთრებას და საბაზრო ურთიერთობას. 1930 წლიდან საბჭოთა კავშირში ყველაფერი ერთიან სახალხო-სამეურნეო გეგმას დაექვემდებარა – შეიკრა წრე, დასრულდა ტოტალიტარიზმის ეკონომიკური ფუნდამენტის ფორმირება. ახლა უკვე მომავალი აჩვენებდა – შეძლებდა თუ არა ეს ეკონომიკური სისტემა გაემართლებინა ის მიზნები, რასაც კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა, ი. ბ. სტალინის პოლიტიკური დაჯგუფება მას უყენებდა.

„ნეპი" დასრულდა...

საბჭოთა სისტემის არსებობის ბოლო წლებში (XX ს. 80-იანი წლების დასასრულს) ბევრი პოლიტეკონომისტი, პოლიტოლოგი (მაგალითად, ო. ლაცისი და სხვ.) ცდილობდა „ნეპის" შენყვეტის მთელი პასუხისმგებლობა ი. ბ. სტალინისათვის დაეკისრებინა და ამტკიცებდა, რომ იმ წლებში არსებობდა „ბუხარინის ალტერნატივა" – ეკონომიკური განვითარების ბუხარინისეული მოდელი, რომელიც სოციალური კატაკლიზმების გარეშე გამოიყვანდა ქვეყანას შექმნილი კრიზისული ვითარებიდან.

მაგრამ ეს აშკარად კონიუნქტურული განცხადება იყო, რადგან გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან რუსეთში მიმდინარე ინტენსიურმა კვლევა „ნეპის" სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მეცნიერული შესწავლის მიმართულებით, გარკვეული წარმატებებით დაგვირგვინდა, გაირკვა ბევრი უცნობი ფაქტი, მოვლენა და მკვლევარები მივიდნენ იმ აზრამდე, რომ „ნეპმა" თავისი შესაძლებლობა უკვე 1925 წელს ამოწურა, რადგან შეუძლებელი იყო საბჭოთა ერთპარტიული, ტოტალიტარული პოლიტიკური სისტემა მორგებოდა თავისუფალ საბაზრო ურთიერთობას. უკვე გამოჩნდა მოსაზრებები, რომ „ნეპმა იმედები მთლიანად ვერ გაამართლა. ბუნებაში არ არსებობდა „ნეპი". ის არ იყო გამოკვეთილი, სისტემატური, მთლიანი და სრულყოფილი... „ნეპის" დასრულების შემდეგ უნდა მიგვეღო სუფთა სოციალისტური საზოგადოება. ეს იყო „ნეპის" შემაფერხებელი. იგი თავიდანვე კასტრირებული იყო."[61]

დასავლეთ ევროპელი პოლიტეკონომისტები იმაზეც ამახვილებენ ყურადღებას, რომ „ნეპის" პერიოდში დასავლეთის ეკონომიკური სისტემის ელემენტებს უხამებდნენ საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის პოლიტიკურ სისტემას, რასაც არ შეიძლება დადებითი შედეგი მოეტანა.[62] ნეპის შენყვეტას ასევე ობიექტურ ფაქტორებს უკავშირებს ფრანგი ნ. ვერტიც.

თანამედროვე რუსი ავტორები იმასაც მიუთითებენ, რომ „ნეპის“ პერიოდში განხორციელებული რეფორმებმა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას ხელი ვერ შეუწყო“.[63]

ხოლო, რაც შეეხება „ბუხარინის ალტერნატივას“, მოვიტანთ „ნეპის“ პრობლემების საუკეთესო მცოდნის ე. გ. გიმპელსონის საყურადღებო მოსაზრებას: „დასაშვებია, რომ სტალინს, ბუხარინის ჯგუფისაგან განსხვავებით, უფრო კარგად ესმოდა, თუ საითკენ შეიძლება წასულიყო „ნეპი“... თავიდანვე ის განწირული იყო, არავითარი შანსი მას არ ჰქონდა (იგულისხმება „ნეპი“ – ა.დ.), არა იმიტომ, რომ 20-იანი წლების დასასრულს მმართველი პარტიის (და შესაბამისად, ქვეყნის) ხელმძღვანელობაში პოლიტიკურ ძალთა თანაფარდობა მთლიანად სტალინური უმრავლესობის ხელში იყო, „ბუხარინის ალტერნატივა“ განწირული იყო იმიტომაც, რომ მისი საფუძველი იყო უტოპიური იდეა თითქოს სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარების, თავისუფალი ბაზრის გაფართოების, მეწარმეობის, შერეული ეკონომიკის პირობებში ქვეყანა შეძლებდა სოციალიზმში მისვლას“.[64] მართალია ავტორი, რომ ამ „ბუხარინის ალტერნატივის“ ჭეშმარიტი ხასიათი აჩვენა ჩინეთში განხორციელებულმა აგრარულმა რეფორმამ, საბაზრო ურთიერთობების განვითარებამ, კერძო მეწარმეობის აღორძინებამ, რამაც კაპიტალიზმისაკენ გაუხსნა გზა ამ უზარმაზარ ქვეყანას.

ამრიგად, საქართველოს სახალხო მეურნეობა XX საუკუნის 20-იან წლებში ერთიანი, საერთო საკავშირო სამეურნეო გეგმით იმართებოდა, შემოსავალი საკავშირო ბიუჯეტში შედიოდა და ქვეყნის ძირითად სამეურნეო პოტენციალს საკავშირო სახელმწიფო განკარგავდა.

საბჭოთა საქართველოს მრეწველობა, აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, სწრაფად გადავიდა ინდუსტრიულ რელსებზე და ამ პროცესის გარკვეული მიზანი ისიც იყო, რომ ურღვევი ეკონომიკური ღვედებით ერთ მთლიანობაში შეეკრა საბჭოთა რესპუბლიკები, რომ პოლიტიკური კავშირების განყვეტა თითქმის შეუძლებელი გამხდარიყო. საქართველოს მრეწველობა თანდათან ორგანულად ჩაერთო საბჭოთა ეკონომიკური ურთიერთობების სისტემაში და მისი შემადგენელი ნაწილი გახდა. თუმცა 20-იან წლებში გარკვეულ ავტონომიურ დამოუკიდებლობას ინარჩუნებდა ცენტრის – მოსკოვის „მზრუნველი“ მეთვალყურეობით.

მაგრამ ისიც აშკარაა, რომ 20-იანი წლების მეორე ნახევარში, საქართველოში, ოფიციალური მტკიცების მიუხედავად,

საგრძნობლად გაძლიერდა კერძო ბიზნესი, რომელმაც ბევრი პარამეტრით აშკარად აჯობა სახელმწიფო სექტორს და ძლიერი სიცოცხლისუნარიანობა გამოავლინა.

გეგმური ეკონომიკის მიუხედავად, 20-იანი წლების მეორე ნახევარში (1927-1928) საქართველოს მრეწველობაში აშკარად შეიმჩნევა კრიზისის ნიშნები, რამაც სერიოზულად ჩააფიქრა ტოტალიტარული სახელმწიფოს ხელმძღვანელები.

პარალელურად, 1928 წლის მოუსავლიანობამ რუსეთში და აქედან გამომდინარე პურის „სასაქონლო შიმშილმა", მემარცხენე ოპოზიციის ლიდერების მტკიცებამ „კულაკური საფრთხის" შესახებ, ამ კრიზისულ ვითარებაში კულაკებისა და შეძლებული გლეხობის ქცევამ, სერიოზულმა სიძნელეებმა მშრომელების სურსათით მომარაგების საქმეში, აიძულა საბჭოთა ხელისუფლება შეეწყვიტა „ნეპი" და გაეტარებინა ისეთი აგრარული პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფდა სახელმწიფოს ხელში იაფი სასურსათო პროდუქციის დიდი მარაგის თავმოყრას, რაც გახდებოდა სავალუტო რეზერვების შევსების, მუშების, ჯარისკაცების, მილიციისა და ბიუროკრატიის უწყვეტი მომარაგების გარანტი, საფუძველს გამოაცლიდა საბჭოთა სისტემაში ჯერ კიდევ შემორჩენილ კერძო ინიციატივას, რომელიც სულ უფრო ძალებს იკრეფდა და მალე შეიძლება პოტენციურ პოლიტიკურ კონკურენტად გადაქცეულიყო და სერიოზული ხიფათები შეექმნა ერთპარტიული დიქტატურისათვის.

აქედან გამომდინარე „ნეპის" გაუქმება, კულაკობის როგორც სოციალური კლასის ლიკვიდაცია მთლიანად გამომდინარეობდა კომუნისტური სახელმწიფოს შინაგანი განვითარების კანონზომიერებიდან და მისი რეალიზაცია 1929 წლიდან დაიწყო.

რომ სახელმწიფოს ხელში სასურსათო რეზერვების უმნიშვნელოვანესი მარაგი დაგროვებულიყო, გადაწყდა სოფლად შექმნილიყო ისეთი სამეურნეო-ორგანიზაციული ერთეული, რომელიც კონკურენტი კი არა, კომუნისტური სახელმწიფოს მეტად საჭირო და სასარგებლო პარტნიორი გახდებოდა იმ გრანდიოზული გეგმების რეალიზაციაში, რაც დაკავშირებული იყო მსოფლიოში კომუნისტური მოძრაობის განმტკიცება-გაძლიერებასთან. ასეთი უნივერსალური ფორმა გახდა სასოფლო-სამეურნეო არტელი (კოლექტიური მეურნეობა).

საქართველოში არტელის ორგანიზაციული სისტემის დამკვიდრება ერთობ მტკივნეულად, ძალდატანებით ჩატარდა, რადგან, როგორც დავინახეთ, ქართველი გლეხი, თვით ბოგანოც

კი, ვერ ეგუებოდა კოლექტივისტურ სულისკვეთებას და აღიარებდა კერძო, ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობას.

საკოლმეურნეო მშენებლობის პროცესების ფორსირებამ, კულაკობის ლიკვიდაციამ საქართველოში, ისევე როგორც მთლიანად საბჭოთა კავშირში, შექმნა მატერიალური (ეკონომიკური) საფუძველი ტოტალიტარული სისტემის განსამტკიცებლად: ტოტალიტარული რეჟიმის ყველა ძირითადი კომპონენტი შეიკრა ერთ წრედში: ბიუროკრატიულ-ადმინტისტრაციული სისტემა ჩამოყალიბდა, ეკონომიკის მართვის მბრძანებლურ-ადმინისტრაციული მეთოდი ერთადერთი ეკონომიკური მეთოდი გახდა და ის უკვე მოიცავდა სახალხო მეურნეობის ყველა დარგს.

ახლა საკითხი უკვე ასე დადგა – ეს ახალი, ადრე არარსებული, განსხვავებული ეკონომიკის მართვის სისტემა, რომელმაც საბოლოო დასრულებული სახე 1928-1929 წლებში მიიღო, იქნებოდა თუ არა სიცოცხლისუნარიანი, შეძლებდა თუ არა ეკონომიკური კრიზისის დაძლევას, გამოკვებავდა თუ არა ქვეყანას, გაუმკლავდებოდა და მოიგერიებდა საშინაო თუ საგარეო საფრთხეებს, შექმნიდა და განავითარებდა კულტურას, ხელოვნებას, მეცნიერებას? შეუქნიდა თუ არა საბჭოთა ადამიანს ნორმალურ საცხოვრებელ პირობებს?

ამ შეკითხვაზე პასუხი კი უკვე მომავალი კვლევის საქმეა, რადგან ის, რაც ჩამოყალიბდა პოლიტიკასა და ეკონომიკაში XX საუკუნის 20-იანი წლების დასასრულს, თავის სიცოცხლისუნარიანობას დაადასტურებს მხოლოდ მოგვიანებით – XX საუკუნის 30-იან წლებში.

დასკვნა

ტოტალიტარული რეჟიმი კაცობრიობის ისტორიული განვითარების ლოგიკური შედეგია, ის XX საუკუნის განმავლობაში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში განხორციელდა და, მიუხედავად სპეციფიკური განსხვავებისა, ყველა მათგანს საერთო მახასიათებლები გააჩნია. ყველაზე პირველად შეიქმნა ტოტალიტარიზმის რუსული, კომუნისტური მოდელი, რომელმაც ორგანულად შეიერთა რუსეთის ნიჰილისტური მოძრაობის ისტორიული განვითარებისათვის დამახასიათებელი ბევრი თავისებურება და ყველაზე უფრო გამძლე პოლიტიკური სისტემა აღმოჩნდა. მესი-

ანისტური, მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიით შეიარაღებული ეს რეჟიმი მიზნად ისახავდა მსოფლიო კომუნისტური რესპუბლიკის შექმნას და ყველგან პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებას

1921 წელს, კომუნისტურმა რუსეთმა, თავისი მსოფლიო გეოსტრატეგიული ინტერესებიდან გამომდინარე და კომუნიზმის მსოფლიო მესიანისტური იდეის რეალიზაციის მიზნით, თავის ქართველ თანამოაზრეებთან ერთად, დაამხო დემოკრატიული საქართველოს მთავრობა და ქვეყანაში დაამყარა კომუნისტური რეჟიმი. ახალი კომუნისტური ხელისუფლების სოციალური დასაყრდენი იყო მხოლოდ კომუნისტური პარტიის მცირერიცხოვანი შემადგენლობა, ქალაქისა და სოფლის უღარიბესი და არაქართველი მოსახლეობა.

რუსეთის სამხედრო ქვედანაყოფების ქვეყანაში ყოფნის მიუხედავად, საქართველოს კომუნისტურმა ხელისუფლებამ ვერ შეძლო თავიდანვე პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება, რადგან მოსახლეობის უდიდეს ნაწილში მას არ ჰქონდა მხარდაჭერა. ეს იყო რუსეთის მიერ ოკუპირებული სახელმწიფო. ჯერ კიდევ საკმაოდ ძლიერი იყო დამხობილი პოლიტიკური ძალის – საქართველოს მემარჯვენე სოციალ-დემოკრატიის, ზეგავლენა. ამ პარტიის წარმომადგენლებს ეკავათ ხელმძღვანელი თანამდებობები სახალხო მეურნეობის თითქმის ბევრ, წამყვან დარგში. პირველ ხანებში საქართველოში ვერ მოხერხდა ვერც ეკონომიკური ცხოვრების გაჯანსაღება, ვერც პოლიტიკური სტაბილიზაცია, საქართველოში ძალებს იკრებდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა.

რეჟიმის სოციალური ბაზის გასაფართოვებლად კომუნისტურმა ხელისუფლებამ განახორციელა რადიკალური ეკონომიკური რეფორმები, მიწის დეკრეტით მიწა გადაეცათ გლეხებს, გამოცხადდა მრეწველობის წამყვანი დარგების ნაციონალიზაცია, სახელმწიფომ თავის ხელში აიღო ძირითადი ეკონომიკური ბერკეტები. ეკონომიკური კოლაფსიდან გამოსასვლელად, რუსეთის მსგავსად, საქართველოშიც გატარდა ახალი ეკონომიკური პოლიტიკა, რომელმაც სასაქონლო-ფულადი ურთიერთობა გამოაცოცხლა და შესაძლებლობა მისცა კერძო სექტორს განვითარებულიყო. საქართველოს ეროვნულ სიმდიდრეებს განკარგავდა არა ქართველი ხალხი, არამედ რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო.

ბარბაროსული მეთოდებით გატარდა საეკლესიო ქონების სეკულარიზაცია, დახურეს ეკლესია-მონასტრები, საეკლესიო

ქონების მნიშვნელოვანი ნაწილი ეკონომიკის განვითარების ფონდში გადაირიცხა, ნაწილიც საერთო საკავშირო ინტერესებისათვის გამოიყენეს. ძალადობრივმა მეთოდებმა ეკლესიის მსახურთა საპროტესტო მოძრაობა გამოიწვია. კომუნისტურმა რეჟიმმა გადაწყვიტა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის შიგნიდან აფეთქება, ყველანაირად ხელი ეწყობოდა ე.წ. „განახლების მოძრაობას", რომელიც მონოდებული იყო რადიკალური რეფორმების გზით მოეხერხებინა ლოიალური ურთიერთობის დამყარება საბჭოთა ხელისუფლებასთან. დოკუმენტურად დასტურდება, რომ იყო საქართველოს ეკლესიის გავლენიანი პირების გადმობირების ფაქტები.

ქართველი ერის ინტერესების გაუთვალისწინებლად, საქართველო შეიყვანეს ჯერ ამიერკავკასიის ფედერაციაში, შემდეგ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირში, რითაც შეილახა საქართველოს ეროვნული სუვერენიტეტი. კომუნისტური ინტერესებიდან გამომდინარე, დაიკარგა ისტორიული ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი, საქართველოში შეიქმნა ავტონომიური რესპუბლიკები და ოლქი. რუსეთის გარკვეული პოლიტიკური ძალები ცდილობდნენ საქართველოში სეპარატისტული ტენდენციების გაძლიერებას. საქართველოს კომუნისტური ხელისუფლება უძლური იყო გაეტარებინა ისეთი პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფდა ქართველი ერის კონსოლიდაციას, საქართველოში მცხოვრები ყველა ეთნოსის პოლიტიკურ ერთიანობას. ვერ ხერხდებოდა ქართული ენის – კომუნისტური კონსტიტუციით აღიარებული სახელმწიფო ენის, სტატუსის დაცვა. საქართველოს კომუნისტურ ხელისუფლებას, მიუხედავად მისი ინტერნაციონალისტური პოლიტიკისა, არაერთხელ დააბრალეს შოვინიზმი და ნაციონალიზმი.

საქართველოს ეროვნულ-პატრიოტულ ძალებს იმედი არ დაუკარგავთ აღედგინათ დაკარგული თავისუფლება და საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში არა ერთი ანტისაბჭოთა გამოსვლა მოაწყვეს. მომზადდა დიდი სახალხო აჯანყება. კომუნისტური რეჟიმი, რომელიც მონოდებული იყო ერთხელ და საბოლოოდ ამოეშანთა საქართველოში ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ყველა მცდელობა, აშკარად წავიდა აჯანყების პროვოცირებაზე და უზრუნველყო 1924 წლის აჯანყების ისეთი განვითარება, რომელმაც: ა) გამოავლინა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ყველა ცენტრი; ბ) გამოიწვია ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ყველა ლიდერის ლიკვიდაცია; გ) რამდენიმე ათეული წლით შეაფერხა ეროვნულ-

გამათავისუფლებელი მოძრაობა; დ) შექმნა საზოგადოების მთელ რიგ კლასებსა და სოციალურ ფენებში ძლიერი „შიშის სინდრომი"; ე) რადიკალურად შეუცვალა საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილს პოლიტიკური ორიენტაცია და ხელი შეუწყო საქართველოში ტოტალიტარიზმის საფუძვლების განმტკიცებას. ჩვენ ვვარაუდობთ, რომ თავისი მნიშვნელობით 1924 წლის აგვისტოს მოვლენები ფაქტობრივად საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან გაჩაღებული სამოქალაქო ომი იყო, რომელმაც კომუნისტურ ხელისუფლებას ყველა შესაძლო ვარაუდი გაუმართლა. მხოლოდ 1924 წლის შემდეგ შეიძლება საუბარი საქართველოში პროლეტარიატის დიქტატურის, ანუ კომუნისტური პარტიის უკონტროლო დიქტატურის დამყარებაზე. ეს საქართველოში ტოტალიტარიზმის დამკვიდრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თავისებურებაა.

ძალმომრეობა, „შიშის სინდრომი" თანდათან ვრცელდებოდა საქართველოში კომუნისტურ პროპაგანდასთან ერთად. კომუნისტური სახელმწიფო სტრუქტურები, განსაკუთრებით ძალოვანი სტრუქტურები საქართველოში არ გამოირჩეოდნენ ძლიერებით. მით უფრო, როგორც დასტურდება, კრემლის ლიდერების შეგნებული უყურადღებობის გამო, დიდხანს ვერ ჩამოყალიბდა საქართველოს ეროვნული საჯარისო ფორმირებები. მხოლოდ რუსეთის სამხედრო ყოფნა განსაზღვრავდა საქართველოში კომუნისტური რეჟიმის სტაბილიზაციას. კრემლის ლიდერები (მაგალითად, სტალინი) ჩინებულად ხვდებოდნენ, რომ საქართველოს, ქართველი ერის სუვერენიტეტი ილახებოდა, რომ საქართველოს „დამოუკიდებლობა" ფიქცია იყო, მაგრამ ამას ამართლებდნენ პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების დაპყრობის ამოცანებით და მსოფლიო პროლეტარული რესპუბლიკის კარდინალური მიზნებით (1925 წლამდე ეს იდეა მსოფლიოს ყველა კომუნისტისთვის რეალური ამოცანა იყო).

თანდათან გაიზარდა და განმტკიცდა კომუნისტური პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციების განტოტვილი ქსელი, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ კომუნისტური იდეოლოგიის პროპაგანდას და საბჭოთა ხელისუფლების ძირითად დასაყრდენს წარმოადგენდნენ. სწორედ მათი რიგებიდან ყალიბდებოდა კომუნისტური ხელისუფლების ერთგული დამკვრელი რაზმები, ანტისაბჭოთა პარტიების წინააღმდეგ მებრძოლი ძალები მილიციასა და „ჩეკაში", მათგან ირჩევდნენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხე-

ლისუფლების ადგილობრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელებს – ასე თანდათან იქმნებოდა საბჭოთა ბიუროკრატია.

კომუნისტურმა ხელისუფლებამ მოახერხა საქართველოს მნიშვნელოვანი სოციალური ძალის – ინტელიგენციის ერთი ნაწილის გადმობირება, ამასთან დაიწყო ინტიელიგენციაში თავისი სოციალური დასაყრდენის, პროკომუნისტური ინტელიგენციის აღზრდა, მისთვის ყოველმხრივი პირობების შექმნა. კომუნისტური სახელმწიფო – როგორც ხელოვნებისა და კულტურის ძირითადი სპონსორი, თანდათან აძლიერებდა კულტურაზე თავის ზეგავლენას. მაგრამ საკვლევი პერიოდის განმავლობაში, მაინც ვერ მოახერხა ქართული კულტურის მოღვაწეების ტოტალური დამორჩილება. ქართულ კულტურას არ განუცდია ისეთი მოვლენა, რაც მოხდა რუსეთში, როცა ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილი გავიდა ქვეყნიდან (ამ მოვლენას რუსი ისტორიკოსები აღნიშნავენ ტერმინით „исход“), ქართული კულტურის საუკეთესო წარმომადგენლები დარჩნენ ქვეყანაში და ქართველ ხალხთან ერთად გადაიტანეს კომუნისტური დიქტატურის ყველა საშინელება – ეს ამ სოციალური ფენის მთავარი დამსახურებაა ქართველი ერის წინაშე და გამორჩეული თავისებურებაც.

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში კომუნისტური ძალადობის მთავარი მსხვერპლი აღმოჩნდა ქართველი თავადაზნაურობა. სეგრეგაციული კომუნისტური იდეოლოგიის პირობებში ამ სოციალური ფენის წარმომადგენლებისათვის უკვე აღარ უნდა ყოფილიყო ადგილი ახალ სახელმწიფოში. 1924 წელს, განადგურებული აჯანყებულების დიდი ნაწილი, სწორედ თავადაზნაურთა წრიდან იყო. მაგრამ შემდგომ, ქართველ თავადაზნაურთა ერთმა ნაწილმა მოახდინა გარკვეული ადაპტაცია, საკმაოდ ინტენსიურად მონაწილეობდა საბჭოთა სახელმწიფო თუ ძალოვან სტრუქტურებშიც კი, თუმცა მისი მოღვაწეობის მთავარი სფერო მეცნიერება და კულტურა დარჩა. მიუხედავად ამისა, საბჭოთა ხელისუფლება მათ ბოლომდე მაინც არ ენდობოდა.

დიდი და მასშტაბური დარტყმა მიაყენეს საქართველოს ბურჟუაზიას, თუმცა, როგორც კვლევამ დაადასტურა, იყო მცდელობა მათი უნარი და შესაძლებლობები გამოეყენებინათ კომუნისტური რევოლუციის ექსპორტისათვის ახლო აღმოსავლეთში. კვლევის შედეგები ადასტურებენ, რომ მიუხედავად კერძო მეწარმეობის მიმართ გატარებული დრაკონული კანონმდებლობისა, 20-იანი წლების შუა ხანებში, საქართველოში მაინც სერიოზულად წინ წავიდა კერძო ბიზნესი, განმტკიცდა ბურჟუა-

ზია, შეიმჩნევა კერძო ინიციატივის გაძლიერება მრეწველობის, ვაჭრობის რიგ დარგში, რამაც სერიოზულად შეაშფოთა პროლეტარიატის დიქტატურის მესვეურები.

საქართველოს მუშათა კლასი კომუნისტური რეჟიმის მთავარი დასაყრდენი იყო. ამიტომაც უდიდესი ყურადღება ექცეოდა მის კომუნისტურ აღზრდას, მემარჯვენე-სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგიისაგან მის გათავისუფლებას. საბჭოთა ხელისუფლებამ შეაჩერა საქართველოს მუშათა კლასის დეკლასირება, მოახდინა მისი კონსოლიდაცია და მისი შემოქმედებითი ინიციატივის წარმართვა სოციალისტური მშენებლობის მიმართულებით. მუშების სოციალური ფენა ასაზრდოებდა საქართველოს კომუნისტურ ხელისუფლებას კადრებით, ძალოვან სტრუქტურებს – ერთგული თანამშრომლებით. კომუნისტურმა პარტიამ მოახერხა საქართველოს მრავალეროვანი პროლეტარიატით მანიპულირება, თუმცა, როგორც კვლევის შედეგები მიუთითებენ, საქართველოს მუშათა კლასი, შრომისნაყოფიერების სისტემატური ზრდის პირობებში, იღებდა მიზერულ ხელფასს, რაც მისი გამომუშავების მხოლოდ 8 პროცენტი იყო. სწორედ ამაში მდგომარეობდა სახელმწიფო კაპიტალიზმის თავისებურება.

საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ შეძლო გლეხობის უღარიბესი ნაწილის გადმობირება და აქტიურად გამოიყენა მისი სტიქიური ანტითავადური, ანტიკლერიკალური, ანტიკულაკური იმპულსები და აშკარად თანამონილე გაიხადა ამ სოციალური ფენების ფიზიკური განადგურებისა (მაგალითად, რუისის ტრაგიკული მოვლენები) და მათი ქონების გადანაწილების საქმეში. მაგრამ საბჭოთა ხელისუფლებას სერიოზული პრობლემები შეექმნა სოფლად სოციალისტური მეურნეობრიობის საბჭოთა სისტემის დანერგვის საქმეში. როგორც კვლევის შედეგები ადასტურებენ, საქართველოში, თვით უღარიბეს გლეხობაშიც კი ვერ მოხერხდა კომუნისტური აგრარული ურთიერთობების კულტივირება, საქართველოს სოფელში მასობრივად ვერ გავრცელდა კომუნები. მაგრამ გატარებული აგრარული რევოლუციის შედეგად, საქართველოს სოფელში შეიცვალა სოციალური ინფრასტრუქტურა: ძირითადი სოციალური ძალა უკვე საშუალო გლეხი გახდა.

საბჭოთა ტოტალიტარულმა სისტემამ უზრუნველყო ქალის აქტიური ჩაბმა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, თუმცა ეს მოხდა ძირითადად ქალაქებში. 20-იან წლებში ვერ მოხერხდა ქალის სრული პოლიტიკური აქტივიზაცია, მისი საბჭოთა ცხოვრებაში ინტეგრირება. ძალადობით ამ პროცესის დაჩქარებამ რიგ

რეგიონში გამოიწვია ანტისაბჭოთა გამოსვლები (მაგალითად, აჭარაში).

კომუნისტური რეჟიმის მთავარი ინტერესი ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდა, ოჯახის ტრადიციული ფორმების დანგრევა იყო. როგორც კვლევის შედეგები ადასტურებს, ეს ამოცანა ვერ შესრულდა საჭირო სახსრების, სახელმწიფოს მოუმზადებლობის, კადრების პერმანენტული ნაკლებობის გამო. საქართველოში კვლავ დარჩა ბავშვის საოჯახო აღზრდის ტრადიციული სისტემა. სტუდენტი ახალგაზრდობის დიდი ნაწილის ოპოზიციური დამოკიდებულება საბჭოთა ხელისუფლებამ გატეხა უმაღლესი სასწავლებლების „აკადემიური წმნედით" და მისი სოციალური ინფრასტრუქტურის რადიკალური შეცვლით – პროლეტარიზაციით. სკოლა გახდა ახალი, კომუნისტური აღზრდის მთავარი საშუალება: ინტენსიურად ავრცელებდნენ კომუნისტურ იდეოლოგიას, კოლექტივიზმის პრინციპებს, ინტერნაციონალიზმს, ქმნიდნენ პიონერულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს, მიუხედავად ამისა, როგორც კვლევის შედეგები ადასტურებენ, საქართველოს ახალგაზრდობაში 20-იანი წლების ბოლოსაც შემორჩა ინდივიდუალიზმი, ეროვნული პატრიოტიზმი, კრიტიკული დამოკიდებულება კომუნისტური იდეოლოგიისადმი.

1924 წლის შემდეგ საქართველოში განმტკიცდა კომუნისტური დიქტატურა, კომუნისტური პარტიის რაოდენობრივი და თვისებრივი ზრდის პირობებში დაიწყო ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის რთული პროცესი, რამაც, ერთი მხრივ, მოსახლეობის ერთი ნაწილის სოციალური აქტივიზაცია გამოიწვია იმით, რომ ახალ ფაბრიკა-ქარხნებში ჩაება ათასობით ახალი მუშა (გუშინდელი გლეხი), ხელი შეუწყო სოციალისტური სექტორის განვითარებასა და განმტკიცებას, ხოლო მეორე მხრივ „ნეპის" განვითარების თავისებურებები უზრუნველყოფდნენ კერძო ბიზნესის განვითარებას, სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების განმტკიცებას, რაც თავის არსში აფერხებდა ტოტალიტარული დიქტატურის სრულად დამყარების შესაძლებლობას, რადგან სახელმწიფო კონტროლისაგან თავისუფალი მატერიალური-ფინანსური შესაძლებლობები კომუნისტური რეჟიმისათვის უკვე ხიფათის შემცველი გახდა. ეს იყო სწორედ დაპირისპირება-ერთიანობის კანონის საბჭოთა გამოცდილება, რაც დიდხანს ვერ გაძლებდა და ის აუცილებლად რადიკალური, რევოლუციური ფორმით უნდა შეცვლილიყო. კომუნისტური პარტიის

ხელმძღვანელობას ამისკენ მოუწოდებდა მემარცხენე, ტროცკისტული ოპოზიციაც.

20-იანი წლების მეორე ნახევარში მსოფლიოში მიმდინარე პროცესები ხელს უწყობდა საბჭოთა სახელმწიფოში ტოტალიტარული რეჟიმის განმტკიცებას: პირველი მსოფლიო ომის შემდგომ ეკონომიკურად განადგურებულ ევროპაში მემარცხენე და ულტრა-მემარჯვენე იდეოლოგია განსაკუთრებული ინტენსივობით განვითარდა, ადგილი ჰქონდა დემოკრატიული ფასეულობებისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულების გაძლიერებას, კომუნისტური და ფაშისტური პარტიები თანდათან სულ უფრო ძლიერდებოდნენ. საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობა (III ინტერნაციონალი) თავისი პროპაგანდისტული აპარატით, უზრუნველყოფდა მასებზე პოლიტიკური ზეგავლენის განმტკიცებას. მასმედიის მონოპოლიზაციის პირობებში მოსახლეობა მოკლებული იყო თავისუფალ აზრს და ის მთლიანად კომუნისტური იდეოლოგიის ზეგავლენის ქვეშ იმყოფებოდა.

საკავშირო კომუნისტურ პარტიაში პოლიტიკური დაპირისპირებების დასრულებამ უზრუნველყო მმართველი ძალის განსაკუთრებული ძლიერება. სტალინის ფრაქციამ არა მარტო დაასამარა თავისი პოლიტიკური ოპონენტები, არამედ გარკვეული გავლენაც მოიპოვა მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილზე და შეაგულიანა ის ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობის იდეით, რითაც მილიონობით ადამიანების შემოქმედებითი ენერგია აღმშენებლობით საქმიანობას დაუკავშირა. კომუნისტურ პარტიასთან ერთად განმტკიცდნენ მისი პოლიტიკური სატელიტები: საბჭოები, პროფკავშირი, კომკავშირი. თუმცა საქართველოში საბჭოების მუშაობის ანალიზი მიუთითებს, რომ ეს იყო ძალაუფლების არმქონე პოლიტიკური სტრუქტურა, რომელიც კომუნისტური პარტიის გადაწყვეტილებების ბრმა გამტარებელი იყო, არ ფლობდა რეალურ ძალაუფლებას, მოსახლეობაში არ ჰქონდა რეალური ავტორიტეტი და ამიტომაც მუდამ რეანიმაცია სჭირდებოდა.

პოლიტიკური სისტემის განმტკიცების მიუხედავად, როგორც კვლევა ადასტურებს, საქართველოში ვერ მოხერხდა ადგილობრივი ძალოვანი სტრუქტურების სათანადო ორგანიზება. კომუნისტური რეჟიმი საქართველოში 20-იანი წლების დასასრულსაც კი რუსულ ხიშტს ეყრდნობოდა. არაორგანიზებულობა, უდისციპლინობა, კადრების დაბალი პროფესიონალიზმი და ნაკლებობა სერიოზულად ხელს უშლიდა საბჭოთა საქართველოს

ძალოვან სტრუქტურებს დაეკავებინათ ის ადგილი, რასაც მისგან ტოტალიტარული სახელმწიფო მოითხოვდა.

20-იანი წლების დასასრულს აშკარაა საქართველოს ინტელექტუალური ძალების დიდი ნაწილის შემობრუნება საბჭოთა ხელისუფლებისაკენ – იმ რეჟიმისაკენ, „რომელშიც საქართველო აღმოჩნდა ისტორიული განაჩენით". ამას კი აშკარად აპირობებდა საბჭოთა სახელმწიფოს, როგორც ხელოვნებისა და მეცნიერების მთავარი და ძირითადი მეცენატის ფუნქცია. მაგრამ, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ხელოვნებისა და კულტურის გარკვეულ წრეებში კვლავ შემორჩა ეროვნული პატრიოტიზმი და ნიჰილისტური დამოკიდებულება კომუნისტური იდეოლოგიისადმი. საქართველოში იმჟამად ვერ მოხერხდა, რუსეთის მსგავსად, „სმენა-ვეხური" იდეოლოგიის დამკვიდრება. ესეც საქართველოს ისტორიული თავისებურებაა.

მოხდა საქართველოს მოსახლეობის ფსიქო-სოციალური ევოლუცია. თანდათან გავრცელდა და დამკვიდრდა კომუნისტური ეთიკა და ესთეტიკა, საბჭოთა ფასეულობები, ტრადიციები. საზოგადოების გარკვეული ნაწილი გახდა ლოიალური, ნაწილში გავრცელდა კონფორმიზმი.

1928 წლის სასურსათო კრიზისმა, რამაც საქართველოშიც იჩინა თავი (მაგალითად, „ღვინის კრიზისი"), გადააწყვეტინა საბჭოთა ხელისუფლებას წერტილი დაესვა ახალი ეკონომიკური პოლიტიკისათვის, მთლიანად თავის ხელში აეღო ეკონომიკური ბერკეტები, შეეკრა წრედი – დაესრულებინა ტოტალიტარული სახელმწიფოს მშენებლობა. ეს ურთულესი პროცესი განხორციელდა სოფლის მოსახლეობის ერთი ნაწილის – კულაკების სასტიკი ექსპროპრიაციის, მათი – როგორც კლასის ლიკვიდაციის, კოლექტიური მეურნეობების ძალით დანერგვის საფუძველზე, რამაც შექმნა ფეთქებადსაშიში ვითარება სოფლად. მაგრამ უღარიბეს გლეხობაზე დაყრდნობით, ძალდატებით, გარკვეული პოლიტიკური უკანსვლებით (მაგალითად, სტალინის წერილი „თავბრუდახვევა წარმატებებისაგან"), მოხერხდა ფეთქებადსაშიში ვითარების განმუხტვა და საბჭოთა სოფელში დაამკვიდრეს კომუნისტური რეჟიმისათვის ყველაზე მისაღები ფორმა – სასოფლო-სამეურნეო არტელი (კოლექტიური მეურნეობა), რომელიც უნდა გამხდარიყო სოფლად ტოტალიტარული სახელმწიფოს მთავარი აგრარული პარტნიორი, უნდა უზრუნველეყო სახელმწიფოს ხელში იაფი სასურსათო პროდუქციის უზარმაზარი მარაგი, რაც უზრუნველყოფდა საბჭოთა ეკონომიკური პოლიტიკის ოპტიმალურ განვითარებას. ამით ქვეყანაში საბოლოოდ

დაიწყო ეკონომიკის მართვის ბიუროკრატიულ-ადმინისტრაციული სისტემის განმტკიცება, რაც მხოლოდ 30-იანი წლების მეორე ნახევარში დასრულდა.

XX საუკუნის 20-იანი წლების დასასრულს საქართველოში, ისევე როგოც მთლიანად საბჭოთა კავშირში, ძირითადად აშენდა ტოტალიტარული სახელმწიფო, მაგრამ მისი მარტო ქონგურები მოჩანდა, მისი მთელი რიგი სტრუქტურები და ორგანიზაციები განვითარების სტადიაში იმყოფებოდა, განხორციელებული სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნები მხოლოდ პოტენციაში არსებობდნენ, მისი რეალური შედეგი მხოლოდ მოგვიანებით, 30-იან წლებში გახდა შესამჩნევი.

M. Natmeladze, A. Daushvili,
M. Djaparidze, K. Tsenguashvili

Peculiarities of Establishing and Strengthening of Totalitarian Regime in the 20-ies of the XXth Century in Georgia (Brief Conclusions)

The totalitarian regime is the logical result of the human development. It took place in the different countries during the XXth century and despite the specific differences all of them had one common characteristic feature. The first was the Russian totalitarian communist model. It organically absorbed a lot of peculiarities characteristic for the historical development of the Russian nihilism. It appeared to be the most enduring political system. The regime equipped with the Marxist - Leninist, messianic ideology aimed creation the world communistic republic and establishment of the dictate of the proletariat everywhere.

In 1921 the communist Russia arising out of its geostrategical interests and the aim of the realization of the messianic idea of the world communism together with its Georgian co- thinkers, overthrew the government of the Democratic Georgia and established the communistic regime in the country. The social support of the new communistic authorities comprised a few representatives of the communistic party, the poorest population of the town and villages and non-Georgian population.

Despite the Russian military subdivisions being located in country, the communistic party of Georgia was not able to establish the proletariat dictatorship from the very start, as it had no support in the greatest part of the population. It was the country occupied by the Russians. The overthrown political power – the right wing social-democrats of Georgia still had a great influence. The representatives of that party occupied the leading positions in most of the agricultural trends. From the very beginning it failed to make the economic life of Georgia healthier and political stabilization was not also reached. The national-liberating movement was coming in power in Georgia.

For widening the social base of the regime, the communistic authorities carried out the radical economic reforms. The land was given to the peasants by the decree and the nationalization of the leading production trends was announced. The State took in its hands the main economic gears. In order to come out from the economic collapse, in Georgia, like Russia, the new economic policy was also carried out, which vivified the trade and financial relations, enabling the private sector to develop. The national riches of

Georgia were managed not by the Georgian people, but RCPB politburo of the central committee.

The barbaric methods were used for secularization of the church property. The churches and

monasteries were suspended. One part of the church property was transferred into the fund of the economic development and another part was used for the common Soviet interests. The violent methods caused the protest of the clergy. The communist regime decided to explode the Georgian church from inside. The so-called – "renewal movement "was supported, as it was to establish the loyal relations with the Soviet authorities through the radical reforms. There are documents proving the facts of making attempts of winning over to the soviet side the influential persons of the Georgian church.

Without maintaining the interests of the Georgian nation, Georgia was included into the federation of the Trance Caucasus and then into the Union of the Soviet socialist republics. This was a violation of the national sovereignty of Georgia. Arising out of the communistic interests, the main part of the historical territories was lost. In Georgia were created the autonomous republic and region. The certain political power of Russia tried to strengthen the separatist tendencies in Georgia. The Communist party of Georgia was powerless to carry out the policy to support the consolidation of the Georgian nation and the political integrity of all the nations living in Georgia. It was not possible to defend the status of the Georgian language – the language recognized by the communist constitution. The Communist party of Georgia despite its international policy was blamed many times in Chauvinism and nationalism.

The national-patriotic power of Georgia hoped to restore the lost freedom and held anti-Soviet meetings in the first period of the Soviet regime. The communist regime being called to stamp out all the attempts of the national-liberating movement of Georgia openly began to provoke and ensure the development of the rebellion of 1924. The rebellion revealed a) all the centers of the national-liberating movement b) resulted in liquidation of all the leaders of the national-liberating movement c) delayed for several decades the national-liberating movement d) created the syndrome of "fear" in a number of classes of the society and social layers. e) radically changed the political orientation of a great part of the population of Georgia and supported the reinforcement of the totalitarian regime. We suppose, the event of august of 1924 with its significance was practically the civil war launched by the Soviet authorities. This war proved all the suppositions of the communist government. Only, after 1924 we can speak about the dictate of proletariat or the establishment of the uncontrolled proletariat dictatorship in Georgia. It is

one of the main peculiarities of the establishment of the totalitarian regime in Georgia.

The violence and the "Syndrome of fear" were gradually spreading in Georgia together with the communistic propaganda. The communist state structures, especially the structures of forces in Georgia were not distinguished with their strength. Because of the negligent attitude of the Kremlin leaders, the military formations in Georgia were not developed for a ling time. Only the Russian military power determined the stabilization of the communist regime of Georgia. Kremlin leaders (F.E. Stalin) were aware that the sovereignty of Georgia and the Georgian language were discriminated and the independence of Georgia was a fiction, but all this was approved by the tasks of power set by the proletariat and the cardinal aims of the world proletariat republic (till 1925 this idea was real for all the communists of the world).

Gradually the branching net of the communist party of the local organizations increased and became powerful. They provided propaganda with the communist ideology and were the main stronghold of the Soviet government. From them were formed the shock groups, loyal to the communist authorities and forces fighting with the anti - soviet parties in militia and "Cheka". The leaders of the communist party and local organizations of the Soviet authorities were chosen out of them. So, gradually and little by little was formed the Soviet bureaucracy.

The soviet authorities managed to side with them the part of the significant social power-intelligentsia. It also started to rear up among the intelligentsia its own social support, procommunist intelligentsia and created all the conditions for it. The communist State as the sponsor of arts and culture gradually increased its influence on the culture. But during the period of study it was not possible to manage to subdue the cultural workers of Georgia totally. The Georgian culture did not experience the phenomenon of the Russia, when the best part of the intelligentsia left the country (This phenomenon is called the "Exodus" by the Russian historians). The best representatives of the Georgian culture stayed in the country and endured all the horrors of the communist dictating together with the Georgian people. It is the main merit of that social layer before the nation and its significant peculiarity.

In the first period of the soviet power the first victim of the soviet violence was the Georgian nobility. In the conditions of the segregational communist ideology, for the representatives of this layer a place in the new state was not found. In 1924, the main part of the destroyed rebels was the nobility. But afterwards, one part of the Georgian nobility managed to adjust

and participated quite intensively in the Soviet state and force structures, though the main sphere of its activities was culture and science. In spite of this the Soviet power did not trust them.

The grate and large scale blow was given to the Georgian bourgeoisie, though as it was proved by the investigation, they tried to use their abilities and skills for the export of the communist revolution in the near east. The results of the investigation prove that in spite of the draconic legislation used against the manufacturers in the middle period of the 20-ies the private business significantly developed and advanced in Georgia, the bourgeoisie strengthened and the private initiative was strengthened in some trends of trade and production and this disturbed the fathers of the proletariat dictatorship seriously.

In Georgia the workers' class was the main stronghold of the communist regime. That's why, its communist rearing up and liberating from the right wing social democratic ideology was very important. The soviet power stopped the declassing process of the workers of Georgia, consolidated and directed its creative potential to the process of socialistic building. The social layer of the workers was the source of the staff for the communist government of Georgia and provided force structures with the loyal employees. The communist party managed to manipulate with the various proletariat of Georgia, though as the results of the investigation show, the workers of Georgia in conditions of the systematic increase of the labor production had the poor wages, which comprised only the 8 % of what they had earned. It was the peculiarity of the State capitalism.

The communist party of Georgia managed to win over to their side the poorest part and actively used its spontaneous anti - nobility, anticlerical, anti-kulak impulses and became the co-participant of the physical destruction of those social layers (F.E. the tragic events of Ruisi) and the division of its property. But the Soviet regime encountered the serious problems in implementing the soviet system of the socialist farms in villages. As the results of the investigation show us, in Georgia, even among the poorest peasantry, cultivating of the communist agrarian relations was not managed and the communal movement failed to spread in the Georgian villages. But after the agrarian revolution in the villages of Georgia the social infrastructure was changed: The main social power was then the middle peasantry.

The Soviet totalitarian system involved women into the active social life, though it happened mainly in towns and cities. In 20-ies the process of final political activation of a woman and her integration in the soviet life failed. The violent speeding of this process caused the anti - soviet meetings in some regions. (F.E. in Adjara).

The main interest of the communist regime was the rearing up of the youth with the communist ideals and destroying of the traditional forms of the family. As the results of the investigation show this task was not fulfilled, because of the lack of the financing, unready state and permanent lack of the personnel. In Georgia the traditional family rearing system of the child remained. The oppositional attitude of the most part of the students was destroyed by the soviet power by "academic clearing "of the high institutions and radical change of its social infrastructure or proletarization. The school became the main means of a new communist rearing style. The communist ideology was intensely spread, the same was with the principles of collectivism, internationalism; the pioneer and Komsomol organizations were formed, but in spite of this in the Georgian youth the individualism, national patriotism and critical attitude for the communist ideology was maintained for the end of the 20-ies.

In 1924 in Georgia the communist dictatorship was strengthened and in the conditions of quality and quantity increase, the complicated processes of industrialization and collectivization started. It caused the social activation of one part of the population, as in the new mills and factories thousands of new workers were employed (the former peasants), and supported the development and reinforcement of the new socialistic sector , and on the second hand the peculiarities of the " NEP" provided the development of the private business and strengthening of the trade and financial relations, which in its turn hampered the complete establishment of the totalitarian dictatorship, as the State material-financial sources not controlled from the State side were dangerous for the communist regime. It was the opposition - the soviet experience of the unity rule and it was not to last long and it had to be changed with the radical, revolutionary form. The left-wing Trotskist opposition calls for it the communist leadership.

In the second part of the 20-ies the processes having place in the world, supported the spreading of the totalitarian regime: after the First World War in the Europe the economically destroyed left-wing and ultra-right wing ideology was especially intensely developed and the nihilistic attitude towards the democratic values were strengthened and the communist and fascist parties gradually were becoming more and more powerful. The International communist movement (III international) with its propagandist apparatus guaranteed the strengthening of the political influence on the masses. In the conditions of monopolization of mass-media the population was deprived of the free thought and was completely under the influence of the communist ideology.

In the Soviet Union communist party at the end of the political opposition resulted in especial strengthening of the ruling power. The fraction of Stalin not only buried his political opponents, but obtained a certain influence on the significant part of the population and encouraged it with the idea of building the socialism in one country. Through this it connected the creative energy of millions of people to the building process. Together with the communist party its political satellites – "the counsels, trade union, Komsomol" also became stronger. Though, in Georgia the analyses of the working process of the councils point to the fact, that it was the political structure having no power. It was the blind conductor of the communist party and had no real power among people, no real authority in population and thus, permanently needed the reanimation.

In spite of the strengthening of the political system, according to the results of the investigation in Georgia, formation and organization of the appropriate, local force structure was not managed. The communist regime in Georgia at the end of the 20-ies relied on the Russian bayonets. Bad organization, poor disciple and poor professionalism of the stuff, and lack of the personnel was a serious obstacle for the force structures of the Soviet Union to occupy the place the totalitarian state was demanding from him.

At the end of the 20-ies the great part of the intellectual sources of Georgia turned to the Soviet power - the regime "established in Georgia due to the historical verdict." This was conditioned by the main, Maecenas function of the Soviet State towards the culture and science. But we must emphasize that in certain circles of the science and arts the national patriotism was still alive, as well as the nihilistic attitude to the communist ideology. In Georgia it was not managed to establish the "smena – vechian" ideology like it was in Russia. This also comprises the peculiarity of Georgia.

The psycho-social evolution of the population was having place in Georgia. The communist ethics, Soviet values, and traditions increased and implanted gradually. A certain part of the society became loyal, another one became conformist.

The food crisis of 1928, which occurred in Georgia as well (F.E. the "Wine Crisis"), forced the Soviet Union to put a point to the new economic policy and to take into its hands the economical gears completely, and lock the circlet - finish the building of the totalitarian State. This difficult part was fulfilled by the severe expropriation of the Kulaks, their liquidation as a class, on the bases of forceful implementation of the collective farms. This process created the explosive situation in villages, but relying on the poorest peasantry, using force and certain political resorts (F.E. Stalin's letter " Dizziness from the Success), they managed to discharge the explosive

situation and established the most acceptable form for the communist regime in the Soviet villages - agricultural artel (Collective farming), which had to become the main agrarian partner of the totalitarian State in the country and it had to provide the State with the huge reserve of the cheap food and this in its turn would guarantee the optimal development of the Soviet economics. This was the final stage of the establishment of the bureaucratic-administrative system in the State, which was fulfilled and finalized in the second part of the 30-ies.

In the 20-ies of the XXth century in Georgia, as well as all over the Soviet Union, the totalitarian State was built, but only the outlines of it was possible to see, as a number of structures and organizations were in the stage of development. The fulfilled social changes existed only in the potential and its real outcome became noticeable only later, in 30-ies.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

შესავალი

1. ი. კაჭარავა. საბჭოთა საქართველო სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში, თბ.,1958.
2. В.И. Мерквиладзе. Создание и укрепление советской государственности в Грузии, Тб., 1960.
3. П.Н. Ломашвили.Великий переворот. Тб.,1972.
4. У.И. Сидамонидзе. Образование ЗСФСР и ее роль в деле восстоновления народного хозяйства Закавказья. (Автореферат). Тб., 1956.
5. ვ. ესაიაშვილი. ვ.ი.ლენინი და საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები, თბ., 1959.
6. გ. ჟვანია. ეგრეთ წოდებული ნაციონალ-უკლონიზმის შესახებ, თბ.,1990.
7. რ. კოჭლამაზაშვილი. საქართველოს გლეხური მეურნეობის სოციალურ-ეკონომიკური ხასიათი, თბ., 1975.
8. ა. კოჭლავაშვილი.საქართველოს სოფლის მუშათა ბრძოლა სოციალიზმისათვის.თბ., 1977.
9. ნ. კირთაძე. 1924 წლის აჯანყება საქართველოში, ქუთაისი, 1996.
10. ნ. კირთაძე. „რა მოხდა?!“, თბ., 1998.
11. რ. გრძელიძე.1924 წლის სახალხო აჯანყება საქართველოში, თბ., 1992.
12. ვ. ბენიძე. 1924 წლის აჯანყება საქართველოში, თბ.,1991.
13. გ. ციციშვილი. სიმართლე ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობისა და 1924 წ. აჯანყების შესახებ. თბ., 2004.
14. დ. შველიძე, ნ. ჯავახიშვილი, ბ. კუპატაძე. 1924 წელი – დღევანდელი გადასახედიდან, „24 საათი“, 2004, 31 აგვისტო.
15. ლ. თოიძე. საქართველოს პოლიტიკური ისტორია (1921-1923), თბ., 1999.
16. შ. ვადაჭკორია. ეროვნული სახელმწიფოებრიობის საკითხი ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში (1921-1923 წლებში) თბ.,1998.
17. ე. კუპატაძე. ქართული ეროვნული საჯარისო ფორმირებების ისტორია, სადოქტორო დისერტაციის ხელნაწერი, თბ., 1993.

18.ნ. ჯორჯიკია. საქართველოს სოციალისტური პარტიები, საკანდიდატო დისერტაციის ხელნაწერი, თბ., 1993.
19.ო. ჯანელიძე. ნარკვევები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან. თბ., 2002.
20.გ. გასვიანი. აფხაზეთი XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნეში. თბ., 2004.
21. ა. სონღულაშვილი. გერმანელები საქართველოში, თბ., 2004; მისივე, ბერძნები საქართველოში, თბ., 2004; მისივე, კაზაკები საქართველოში, თბ., 2003 და სხვ.
22.ს. ვარდოსანიძე. ქართული მართლმადიდებლური სამოციქულო ეკლესია 1917-1952, თბ., 2001.
23.ქ. პავლიაშვილი. საბჭოური იდეოლოგიის ფორმირება და საეკლესიო მოძრაობა XX საუკუნისის 20-იან წლებში. „კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები". თბ., 2001.
24.ი. არაბიძე. „განახლების მოძრაობა" საქართველოს ეკლესიაში XX საუკუნის 20-30-იან წლებში. საკანდიდატო დისერტაციის ხელნაწერი. თბ., 2005.
25. საქართველოს განუყოფლობისათვის ბრძოლის ისტორიიდან, ნაკვეთი I, მემედ აბაშიძე (1917-1923); დოკუმენტებისა და მასალების კრებული, შედგენილი აპ. სილაგაძისა და ვახ. გურულის მიერ. თბ., 1998; ივ. ჯავახიშვილი ტირანიის სამსჯავროს წინაშე. დოკუმენტები და მასალები (XX საუკუნის 20-30-იანი წლები). გამოსაცემად მოამზადეს, შესავალი წერილი და კომენტარი დაურთეს პროფ. მერაბ ვაჩნაძემ და პროფ. ვახტანგ გურულმა. თბ., 2004.

თავი I. ტოტალიტარიზმი მსოფლიო ისტორიულ განვითარებაში

ისტორიული გამოცდილება-ექსკურსი

1. ძველი აღმოსავლეთის ისტორია, თბ.,1988, გვ.456-457.
2. Краткай очерк истории философии. М., 1975, с. 69.
3. И. Шаферович.Социализм как явление мировой истории, М., 2003, с.117-118.
4. კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. 1, თბ.,1975, გვ.143

5. იქვე, გვ. 147.
6. იქვე, გვ. 150.
7.К. Маркс, Ф.Энгельс, соч., т.1.с. 414-415.
8. М.Н. Магид. Тоталитаризм: темное прошлое или «Светлое будущее?» , http://zhurnal. lib. ru. /m/ magid. p.1.
9. Тоталитаризм : Википедия.http://. ru. wikipedia, p.4.
10. იქვე, გვ. 10.
11. Джордж Оруел. Заметки о национализме, http://www. orwell. ru// liberi / p.
12. Джордж Оруел. Почему социалисты не верят в счастьею http:// www. orwell. ru// liberi / p.1.
13. Шарль Морасс. Будущее интелигенции, М., 2003, с. 46.
14. იქვე, გვ. 140.
15 ადოლფ ჰიტლერი, ჩემი ბრძოლა, თბ., 1992, გვ.14.
16. Тоталитаризм : Википедия.http://. ru. wikipedia, p.8.

ტოტალიტარიზმის რუსული მოდელი

1. Н.А. Бердяев. Истоки и смысл русского коммунизма, см.: Б.Г. Пашков, История России. М.,2000. с.27.
2. А. Герцен. Русский народ и социализм, см.: «Утопический социализм», Хрестоматия. М.,1982, с. 402.
3. В. Белинский. Из писем В. П. Боткину см.: «Утопический социализм» , Хрестоматия.М.,1982, с. 352.
4. А. Герцен. Письма из Франции и Италии см.: «Утопический социализм» , Хрестоматия. М.,1982, с. 393
5. თ. დოსტოევსკი, ეშმაკნი, თბ.,1967, გვ.422-423.
6. Герцен. Старый мир и Россия, см.: «Утопический социализм», Хрестоматия. М.,1982, с.405.
7. З.Земан, У. Шарлау. Кредит на революцию. М., 1907,с. 25-26.
8. С. Билолкин. Механизм большевитского насилия, Киев, 2000., с. 21.
9. ვ.ი. ლენინი, სახელმწიფო და რევოლუცია, თბ., 1937, გვ. 56,
10. იქვე.
11. სკკპ... რეზოლუციებში, თბ., 1954, გვ. 596-597.
12. იქვე, გვ. 807.
13. ვ.ი.ლენინი, თხზ. ტ.24, გვ. 70.

თავი II. საქართველოს ოკუპაცია რუსეთის მიერ და ტოტალიტარული რეჟიმის დამკვიდრება

საქართველო ტოტალიტარული რეჟიმის წინ

1. ალ. ბენდიანიშვილი, საქართველოს პირველი რესპუბლიკა, თბ., 2001, გვ. 59.
2. იქვე, გვ. 92.
3. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული 1918-1921, თბ., 1990, გვ. 3-4.
4. ალ. ბენდიანიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 105.
5. მ. ნათმელაძე. დემოგრაფიული პროცესები საქართველოში XX ს. 40-იან წლებში, თბ., 2002, გვ. 78.
6. გაზ. „საქართველო", 1918 წლის 21 ივნისი.
7. Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, стр. 404.
8. იქვე, გვ. 408.
9. საქართველოს ცია; ფ.1921,აღ.1, ს.204, ფურც.1-5.
10. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.,VI, თბ., 1973, გვ.607.
11. გ. ღამბაშიძე, საქართველოში უცხოელთა ინტერვენციის ისტორიიდან, თბ., 1961, გვ.8.
12. არ. ჩაჩხიანი. დაშნაკთა ნაციონალისტურ-ექსპანსიონისტური იდეოლოგია და სომხეთ-საქართველოს ომი, თბ., 2007, გვ. 483.
13. ივ. ჯავახიშვილი. დემოგრაფიული პროცესები და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში (XIX-XX სს.) თბ., 1998, გვ. 16.
14. არ. ჩაჩხიანი. დასახ. ნაშრომი, გვ. 452.
15. გრ. ლორთქიფანიძე. ფიქრები საქართველოზე, თბ., 1985, გვ. 150.
16. ვ. ნოზაძე, საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო, თბ., 1989, გვ.66-67.
17. იქვე, გვ.112.
18. გრ. ლორთქიფანიძე; დასახ. ნაშრომი, გვ. 156.

საბჭოთა სახელმწიფო სტრუქტურების მნიშვნელობა ტოტალიტარული რეჟიმის დამკვიდრების საქმეში

1. ი. კაჭარავა, ქართული ისტორიოგრაფიის საკითხები, თბ., 1962, გვ. 416.
2. უ. ბახტაძე, რევკომები საქართველოში, ჟ. „მნათობი“, 1960, №12, გვ. 74.
3. კ. წენგუაშვილი, საქართველოს 1921-1925 წლების ისტორიის ისტორიოგრაფია, თბ., 2005, გვ. 34-35.
4. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფ. 285, აღ. 1, ს. 8, ფურც. 26-27.
5. იქვე, ს. 251, ფურც. 21.
6. იქვე, ს. 163, ფურც. 57.
7. იქვე, ს. 37, ფურც. 80.
8. იქვე, ფურც. 64.
9. იქვე, ს. 163, ფურც. 152.
10. იქვე, ფურც. 170.
11. იქვე, ფურც. 100.
12. ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 45, გვ. 83.
13. საქართველოს უიცსა, ფ. 600, ს. 7, ფურც. 108.
14. საქართველოს უიცსა, ფ. 285, ს. 163, ფურც. 213.
15. იქვე. ფურც. 154.
16. იქვე, ფ. 600, ს. 360, ფურც. 235.
17. იქვე, ს. 67, ფურც. 12.
18. გ. გასვიანი, აფხაზეთი XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნეში, თბ., 2004, გვ. 309.
19. საქართველოს უიცსა, ფ. 600, ს. 67, ფურც. 13.
20. საქართველოს უიცსა, ფ. 600, ს. 7, ფურც. 20
21. ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 23, გვ. 431.
22. ე. კუპატაძე, ქართული ეროვნული საჯარისო ფორმირებების ისტორია 1921-1956 წლებში, სადოქტორო დისერტაციის ხელნაწერი, თბ., 1993, გვ. 20-21.
23. იქვე.
24. ფ. მახარაძე, წერილი ვ.ი. ლენინს, იხ. ა. და პ. სურგულაძეები, საქართველოს ისტორია, თბ., 1991, გვ. 412.
25. ГАСПИ РФ, ф. 5, оп. 2, д. 32, л. 16-19.
26. იქვე, ფ. 50, აღ. 1, ს. 48, ფურც. 59.

27. იქვე, ფურც. 67.
28. იქვე.
29. იქვე, ფურც. 67.
30. გაზ. „კომუნისტი", 1921, 15 მარტი.
31. საქართველოს უიცსა, ფ. 307, აღ. 1, ს. 2, ფურც. 72-73.
32. საქართველოს უიცსა, ფ. 307, აღ. 1, ს. 2, ფურც. 75.
33. საქართველოს უიცსა, ფ. 307, აღ. 1, ს. 1, ფურც. 26.
34. საქართველოს უიცსა, ფ. 284, აღ. 2, ს. 1, ფურც. 68-69.
35. С. Билокин, Механизм большевитского насилия, Киев, 2000, с. 60.
36. გ. ციციშვილი, სიმართლე 1921-1923 წლების ეროვნული მოძრაობისა და მიხეილ ჯავახიშვილის პოლიტიკური ცხოვრების შესახებ, თბ., 2003, გვ. 150.
37. საქართველოს უიცსა, ფ. 307. აღ. 1, ს. 2, ფურც. 11.
38. იქვე, ფურც. 42.
39. იქვე, ფურც. 65.
40. იქვე, ფურც. 89.
41. იქვე, ფურც. 38.
42. საქართველოს უიცსა, ფ. 307, აღ. 1, ს. 15, ფურც. 2.
43. თ. ენდელაძე, საქართველოს ძალოვანი სტრუქტურები ქართული ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში (1921-1925), საკანდიდატო დისერტაციის ხელნაწერი, თბ., 2003, გვ. 51.
44. ე. ნარიმანიძე, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა აღმოსავლეთ საქართველოში 1921-1924 წლებში, საკანდიდატო დისერტაციის ხელანაწერი თბ., 2000, გვ. 119.
45. ა. დაუშვილი, თბილისი – 1937, თბ., 1997, გვ. 164.
46. საქართველოს უიცსა, ფ. 307, აღ. 1, ს. 3, ფურც. 192.
47. საქართველოს უიცსა, ფ. 307, აღ. 1, ს. 19, ფურც. 79.
48. საქართველოს უიცსა, ფ. 307, აღ. 1, ს. 2, ფურც. 101.
49. იქვე, ს. 26, ფურც. 47.
50. საქართველოს უიცსა, ფ. 307, აღ. 1, ს. 8, ფურც. 55.
51. იქვე, ს. 6, ფურც. 9.
52. საქართველოს უიცსა, ფ. 284, აღ. 2, ს. 1, ფურც. 69.
53. ГАСПИ РФ, ф. 17, оп. 3, д. 399. л. 7.
54. საქართველოს უიცსა, ფ. 285, ს. 251, ფურც. 24.
55. იქვე, ს. 551, ფურც. 19.
56. იქვე, ს. 841, ფურც. 32
57. იქვე, ს. 521, ფურც. 20.

58. იქვე, ს. 841, ფურც. 31.
59. იქვე, ს. 811, ფურც. 2.
60. გ. ციციშვილი, რისთვის დახვრიტეს ვაჟა ფშაველას პირმშო ლევან რაზიკაშვილი, თბ., 2001.
61. საქართველოს უიცსა, ფ. 285, ს. 534, ფურც. 18.
62. საქართველოს უიცსა, ფ. 285, ს. 551, ფურც. 59.
63. იქვე, ს. 646, ფურც. 41.
64.იქვე, ს. 612, ფურც. 34.
65. თ. ენდელაძე, საბჭოთა ძალოვანი სტრუქტურები ქართული ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში (1921-1925), საკანდიდატო დისერტაციის ხელნაწერი, თბ., 2003, გვ. 11.
66. იქვე, გვ. 45.
67. ГАСПИ РФ, ф. 64, оп. 1, д. 60, л. 37.
68. საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 13, აღ. 1, ს. 195, ფურც. 83.

საქართველოში შექმნილი პოლიტიკური ვითარება 20-იანი წლების დასაწყისში

1. საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 1, ს. 37, ფურც. 124.
2. იქვე.
3. იქვე, გვ. 138.
4. იქვე.
5. გაზ. „კომუნისტი", 1921, 14 ივნისი.
6. იქვე.
7. საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 17, აღ. 1, ს. 1, ფურც. 8-9.
8. იქვე. ფურც. 10.
9. იქვე.
10. იქვე.
11. იქვე.
12. ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 5, გვ. 469.
13. С.В. Ханмандарян, Ленин и становление Закавказской федерации, Ереван, 1969, с. 108.
14. „Правда Грузии ". 1921, 10 июля.
15. იქვე.
16. სკკპ... რეზოლუციებში, ტ. I, თბ., 1954, გვ. 565.

17. ი.ბ. სტალინი, თხზ, ტ. 5, გვ. 109.
18. ა. დაუშვილი, სოსო ჯუგაშვილის ამბავი, წიგნი III, თბ., 2007, გვ. 75-107.
19 ე. ნარიმანიძე, ი.ბ. სტალინის შეხვედრა თბილისელ მუშებთან (1921 წლის 5 ივლისი). ალმანახი „კლიო", №19, 2000, გვ. 134.
20. იქვე.
21. საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 1, ს. 5, ფურც. 35-36.
22. იქვე.
23. იქვე, ფურც. 36.
24. ი. ბ. სტალინი, თხზ, ტ. 5, გვ. 107.

ტოტალიტარიზმის პოლიტიკური სისტემის ფორმირების დასაწყისი

1. ი. კაჭარავა, საბჭოთა საქართველო სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში (1921-1925), თბ., 1958, გვ. 37.
2. Очерки истории коммунистической партии Грузии, часть вторая, Тб., 1968, გვ. 20-23
3. ლ. თოიძე, საქართველოს პოლიტიკური ისტორია (1921-1923), თბ., 1999, გვ. 394.
4. Натмеладзе М., История рабочего класса Грузии, т. 2, Тб., 1981, გვ. 266.
5. ი. კაჭარავა, დასახ. ნაშრ., გვ. 368.
6. Сборник статистических материалов по разработке Всеросииской переписи членов КП (б) Грузии 1922. Тб.1922, с. 31.
7. Коммунистическая партия Грузии в цифрах 1921-1970. Сб. стат. материалов Тб.,1971, с.11.
8. პრეზიდენტის არქივი, ფ. 94, ს. 36, ფურც. 112-113.
9. გ. ჟვანია, საქართველოს კომკავშირის ისტორიის ნარკვევები, თბ., 1964, გვ. 96.
10.იქვე, გვ. 113.
11.ამის შესახებ დეტალურად იხ.: შ. ვადაჭკორია, ახალგაზრდობის ანტიპროლეტარული ორგანიზაციების კრახი საქართველოში, თბ.,. 1987.
12.პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, ს. 17, ფურც. 139, ფურც. 84.
13.იქვე, ს. 661, ფურც. 130.
14.სუიცსა, ფ. 819, ს. 10, ფურც. 15-16.

15.იქვე, ს. 54, ფურც. 65.
16.Обзор деятельности профсоюзов Грузии за 1922 год, Тиф., 1923, გვ. 99.
17.იქვე, გვ. 52, 54.
18.Третий всегрузинский съезд профсоюзов Грузии, Тиф., 1923, გვ. 39.
19.საქართველოს სსრ პროფკავშირების მუშაობა 1924-1925 წლებში, გვ. 85-88.
20.იქვე, გვ. 43.
21.იქვე.
22.ლ. თოიძე, საქართველოს პოლიტიკური ისტორია (1921-1923), თბ., 1999, გვ. 117.
23.იქვე, გვ. 116.
24.ი. კაჭარავა, დასახ. ნაშრ., გვ. 104.
25.იქვე, გვ. 115.
26.ლ. თოიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 120. ამ საკითხებზე განსხვავებული აზრი აქვს ა. დაუშვილს, იხ, სოსო ჯუგაშვილის ამბავი, წიგნი III, თბ., 2007.
27.XII съезд РКП (б), стенографическии отчет. М.,1968, с.516.
28.გაზ. „სოციალისტ-ფედერალისტი“, 1921 წლის 1 აპრილი.
29.ლ. თოიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 379.
30.იქვე, გვ. 380.

ტოტალიტარული რეჟიმის ეკონომიკური ფუნდამენტის მომზადება

1. Томас Моор, Утопия, хрестоматия «Утопический социализм», М., 1982. с. 57.
2. კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, თბ., 1980, გვ. 143.
3. იქვე, გვ. 101.
4. А. Герцен, Русский народ и социализм, хрестоматия «Утопический соцйиализм», М., 1982. с. 402.
5. ა. დაუშვილი, სოსო ჯუგაშვილის ამბავი, წიგნი II, თბ., 2004, გვ. 37.
6. სკკპ... რეზოლუციებში, ტ. I, თბ., 1954, გვ. 536.
7. Р. Пайпс, Россия при большевиках, М., 1997, с. 443.
8. История Коммунистической Партии Советского Союза, т. IV, кн. 1, М., 1970, с. 56.
9. Р. Пайпс, Россия при большевиках, М., 1997, с. 443.

10.ი. კაჭარავა, საბჭოთა საქართველო სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში, თბ., 1958 და ა.შ.
11.ი. კაჭარავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 199.
12.საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, ს. 148, ფურც. 40.
13.საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი (სუიცსა), ფ. 303, ს. 111, ფურც. 32.
14.იქვე, ს. 232, ფურც. 31.
15.სუიცსა, ფ. 303, ს. 260, ფურც. 3-8.
16.იქვე, ფურც. 10.
17.სუიცსა, ფ. 303, ს. 26, ფურც. 90-91.
18.იქვე, ფ. 831, ს. 18, ფურც. 1.
19.იქვე, ფ. 303, ს. 75, ფურც. 13-14.
20.იქვე.
21.სუიცსა, ფ. 303, ს. 142, ფურც. 90.
22.გაზ. „კომუნისტი", 1922, 14 ოქტომბერი.
23.სუიცსა, ფ. 836, ს. 1, ფურც. 45.
24.იქვე, ს. 5, ფურც. 22.
25.ვ.ი. ლენინი, თხზ., ტ. 32, გვ. 399.
26.Революционные комитети Грузии, сб. док., Тб., 1963, с. 197.
27.იქვე, გვ. 224-226.
28.სუიცსა, ფ. 285, აღ. 2, ს. 8, ფურც. 26-27.
29.იქვე, ფ. 600, აღ. 1, ს. 25, ფურც. 2.
30.იქვე, ფურც. 12.
31.სუიცსა, ფ. 285, ს. 294, ფურც. 2.
32.საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, ს. 36, ფურც. 3.
33.სუიცსა, ფ. 600, აღ. 1, ს. 69, ფურც. 23.
34.ГАСПИ РФ, ф. 5, оп. 2, д. 32, л. 20.
35.იქვე.
36.ი. კაჭარავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 166.
37.ა. კოჭლავაშვილი, საქართველოს სოფლის მუშათა ბრძოლა სოციალიზმისათვის, თბ., 1977, გვ. 57.
38.სუიცსა, ფ. 1147, აღ. 1, ს. 159, ფურც. 10.
39. იქვე.
40.ლ. ნანიკაშვილი, ა. დაუშვილი, მ. ხარბედია, ზაპესის ისტორია, თბ., 1977, გვ. 19.
41.სუიცსა, ფ. 303, აღ. 1, ს. 1197, ფურც. 13.
42.საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14. აღ. 1, ს. 591, ფურც. 129.
43.სუიცსა, ფ. 303, აღ. 1, ს. 401. ფურც. 302.
44.იქვე, ფურც. 236.

45.იქვე, ფურც. 302.
46.სუიცსა, ფ. 303, აღ. 1, ს. 401, ფურც. 302.
47.იქვე, ფურც. 302.
48.სუიცსა, ფ. 303, აღ. 1, 401, ფურც. 303.
49.იქვე.
50.სუიცსა, ფ. 303. აღ. 1, ს. 183, ფურც. 45.
51.სუიცსა, ფ. 303, აღ. 1, ს. 401, ფურც. 6.
52.საქართველოს პრეზიდენტის არქივი; ფ. 14. აღ. 1, ს. 24, ფურც. 8.
53.სუიცსა, ფ. 303, ს. 224, ფურც.14.
54.იქვე, ს. 124. ფურც. 14.
55.ГАСПИ РФ, ф. 17, оп. 3, д. 470, с. 3-4; Тамже, д. 481, с. 5; тамже, д. 474, с. 4.
56.ГАСПИ РФ, ф. 85, оп. 18, д. 111, л. 24.
57.ნ. შარაშიძე, წარმოების მართვაში მუშათა კლასის მონაწილეობის ფორმები სოციალიზმის დამყარების პერიოდში 1921-1932 წ.წ. თბ., 1979, გვ. 14.
58.ა. დაუშვილი, სოციალური ბრძოლის ფორმები XX საუკუნის 20-იან წლებში საქართველოში (მუშათა გაფიცვები), ალმანახი „კლიო", №8, თბ., 2000, გვ. 195-196.
59.იქვე.
60.გაზ. „კომუნისტი", 1922, 14 ოქტომბერი.
61.ГАСПИ РФ, ф. 85, оп. 18, д. 111, л. 24.

ტოტალიტარული სახელმწიფოს ათეისტური პოლიტიკისა და პრაქტიკის პირველი ეტაპი

1. Н. Бердяев, Истоки и смысл русского коммунизма, см.: Б.Г. Пашков, История России, М., 2000, стр. 27.
2. К.Маркс, Ф. Энгелсь, соч., Т. 1, стр. 414-415.
3. В.И. Ленин, соч., т. 12, стр. 142-143.
4. სკკპ... რეზოლუციებში, თბ., 1954, გვ. 44-45.
5. ს. ვარდოსანიძე, საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია 1917-1952. თბ., 2001, გვ. 66.
6. Революционные комитеты Грузии в борьбе за установление и упрочнение советской власти, сб. док. и материалов, Сухуми, 1963, стр. 386-387.
7. ს. ვარდოსანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 59.
8. საქართველოს უიცსა, ფ. 285, ს. 163, ფურც. 170.

9. სუიცსა, ფ. 300, აღ. 1, ს. 276, ფურც. 2.
10.ს. ვარდოსანიძე, დასახ ნაშრომი, გვ. 68.
11.კ. ნენგუაშვილი, საქართველოს 1921-1925 წლების ისტორიის ისტორიოგრაფია, თბ., 2005, გვ.155.
12.Архив кремля, политбюро и церковь 1922-1925 гг., М., 1997, стр. 20.
13.საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 13, აღ. 1, ს. 26, ფურც. 7, ფურც. 95.
14.საქართველოს უიცსა, ფ. 300, აღ. 3, ს. 23, ფურც. 2.
15.საქართველოს უიცსა, ფ. 284, აღ. 1, ს. 48, ფურც. 5.
16.საქართველოს უიცსა, ფ. 284, აღ. 1, ს. 48, ფურც. 114.
17.საქართველოს უიცსა, ფ. 284, აღ. 1, ს. 49, ფურც. 3.
18.გაზ. „კომუნისტი", 1923 წ. 1 აპრილი.
19.გაზ. „კომუნისტი", 1923 წ. 11 აპრილი.
20.იქვე.
21.საქართველოს უიცსა, ფ. 284, აღ. 1, საქ. 215, ფურც. 119.
22.იქვე, ფურც. 124.
23.იქვე. ფურც. 137.
24.სუიცსა, ფ. 284, ს. 205. ფურც. 60.
25.იქვე, ფურც. 16.
26.მ. გუგუტიშვილი, ახალი საბჭოთა ტრადიციები საქართველოში, თბ., 1972, გვ. 48-49.
27.ГАСПИ РФ, ф. 17, оп. 112, д. 411, л. 3.
28.საქართველოს უიცსა, ფ. 300, ს. 36, ფურც. 10.
29.ირ. არაბიძე, „განახლების მოძრაობა" საქართველოში XX საუკუნის 20-30-იან წლებში, თბ., 2005, გვ. 23.
30.იქვე, გვ. 77-78.
31.გაზ. „კომუნისტი", 1924 წ. 15 მარტი.
32.გაზ. „კომუნისტი", 1924 წ. 16 მარტი.
33.ГАСПИ РФ, ф. 17, оп. 3, д. 426, л. 78.

თავი III. 1924 წლის აჯანყება

1924 წლის აჯანყების წინაპირობები

1. ნესტან (ელისაბედ) კირთაძე, 1924 წლის აჯანყება საქართველოში, ქუთაისი, 1996, გვ. 36.
2. გაზ. „თავისუფალი საქართველო", 1922, №20, ციტ. ნ. კირთაძის დასახ. ნაშრომის, გვ. 36-ის მიხედვით.
3. ნესტან (ელისაბედ) კირთაძე, დასხ, ნაშრომი, გვ. 42.

4. იქვე, გვ. 46.
5. იქვე, გვ. 82-83.
6. ნ. კირთაძე, „კაენ, სად არის ძმა შენი?!“, თბ., 1998, გვ. 187.
7. იქვე, გვ. 283-284.
8. იქვე, გვ. 284.
9. იქვე, გვ. 294.
10. იქვე, გვ. 286.
11. ნ. კირთაძე, „რა მოხდა?!“, თბ., 1994, გვ. 28.
12. მ. ნათმელაძე, ალ. დაუშვილი, საქართველოს უახლესი ისტორია, თბ., 2004, გვ. 52.
13. ნ. კირთაძე, 1924 წლის აჯანყება. საქართველოში, გვ. 124-125.
14. ს. ზალდასტანიშვილი. საქართველოს 1924 წლის ამბოხება, გვ. 17;
15. «Рабочая Правда», 1923 г. 31 августа.
16. ს. ზალდასტანიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 17.
17. ნ. კირთაძე, „კაენ სად არის ძმა შენი?!“, გვ. 184.
18. იქვე.
19. ს. ზალდასტანიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 19.
20. იქვე.
21. ნ. კირთაძე, „კაენ, სად არის ძმა შენი?!“, გვ. 306.
22. მ. ნათმელაძე, ალ. დაუშვილი, საქართველოს უახლესი ისტორია, გვ. 54.
23. ნ. კირთაძე, 1924 წლის აჯანყება საქართველოში, გვ. 165.
24. იქვე.

აჯანყების მსვლელობა

1. ნ. კირთაძე, 1924 წლის აჯანყება საქართველოში, გვ. 161.
2. იქვე, გვ. 164-165.
3. ნ. კირთაძე, „კაენ სად არის ძმა შენი?!“, გვ. 246-247.
4. ს. ზალდასტანიშვილი, საქართველოს 1924 წლის ამბოხება, გვ. 31;
5. იქვე, გვ. 33.
6. ნ. კირთაძე, 1924 წლის აჯანყება საქართველოში, გვ. 172.
7. იქვე, გვ. 173.
8. ნ. კირთაძე, „კაენ სად არის ძმა შენი?!“, გვ. 247.
9. იქვე, გვ. 151.
10. ნ. კირთაძე, რა მოხდა?!, გვ. 51-52.

11.ნ. კირთაძე, 1924 წლის აჯანყება საქართველოში, გვ.188-190.

1924 წლის აჯანყება და კრემლის პოზიცია

1. Государственый архив социально-политической истории РФ (ГАСПИ РФ), ф. 17, оп. 3, д. 462, л.17.
2. Там же.
3. ГАСПИ РФ, ф. 17, оп.2, д. 151 л. 3.
4. ГАСПИ РФ, ф. 17, оп.3, д. 482. л. 1.
5. ГАСПИ РФ, ф. 17, оп.3, д. 464. л. 5.
6. სტალინი, თხზ., ტ. 6, გვ. 351.
7. კ. წინგუაშვილი, ტროცკი „ქართველი მენშევიკების შესახებ". „ანალები". 2004, №2, გვ. 93-97; მისივე, საქართველოს 1921-1925 წლების ისტორიის ისტორიოგრაფია, თბ., 2005, გვ.98; გ. ციციშვილი, სიმართლე ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობისა და 1924 წლის აჯანყების შესახებ, თბ., 2004, გვ.35; სოციალისტური პარტიების წინააღმდეგ მიმართული ტერორი რუსეთსა და საქართველოში (პუბლიკაცია მოამზადა გ. გელაშვილმა). „ანალები", 2003 №2, 2004 №1.
8. ი.ბ. სტალინი, თხზ., ტ. 6, გვ. 351.
9. იქვე, გვ. 361.
10. ГАСПИ РФ, ф. 17, оп. 2, д. 151 л. 9 3.
11. Там же, л. 75.
12. Крестьянское восстание в Тамбовской губернии в 1919-1921, сб. док. Тамбов, 1994, с.8-9.
13. ГАСПИ РФ, ф. 17, оп. 3, д. 461, л. 95. ი. სტალინის სიტყვა მოყვანილია პლენუმის სტენოგრამიდან, გვიანდელი რედაქტორის ჩასწორების გარეშე.
14. ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 6, გვ. 352.
15. ГАСПИ РФ, ф. 17, оп. 3, д. 461, л. 8.
16. ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 6. გვ.351.
17. ГАСПИ РФ, ф. 17, оп. 2, д. 151, л. 504-505.
18. იქვე, ფურც. 504-505.
19. იქვე, ფურც. 508.
20. იქვე.
21. ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 6, გვ. 361.
22. ГАСПИ РФ, ф. 17, оп. 3, д. 472, л. 21.

23.ГАСПИ РФ, ф. 17, оп. 3, д. 461, л. 32.
24.С. Билокин, Механизм большевитского насилия, Киев, 2000, с. 21.
25.ГАСПИ РФ, ф. 17, оп. 3, д. 461, л. 32.
26.ГАСПИ РФ, ф. 17, оп. 2, д. 151, л. 501.
27.ГАСПИ РФ, ф. 85, оп. 25, д. 55, л. 1-2.

აჯანყების პროვოცირების საკითხისათვის

1. კ. წენგუაშვილი. ლ. ტროცკი ქართველი მენშევიკების შესახებ, "ანალები", 2004 № 2, გვ.93-97.
2. გ. ციციშვილი, სიმართლე ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობისა და 1924 წლის აჯანყების შესახებ, თბ., 2004, გვ. 35.
3. ნ. კირთაძე, „რა მოხდა?„, თბ.,;1997, გვ.25.
4. С.Билокин, Механизм большевитского насилия, Киев, 2000, стр. 3.
5. იქვე, გვ. 5.
6. იქვე. გვ.6.
7. იქვე. გვ.16.
8. იქვე, გვ.21.
9. იქვე, გვ.12.
10.იქვე, გვ.9.
11.საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ.14, აღ.1, საქ. 1, ფურც. 9.
12.იქვე, ფ.14, აღ.1, ს.37, ფურც.125.
13.იქვე, ფურც.138.
14.იქვე, ფურც.152.
15.ГАСПИ РФ, ф.17, оп. 2, д. 151, л. 502
16.იქვე, ფურც. 502-511.
17.იქვე, ფურც. 506-508.
18.იქვე, ფურც. 508.
19.საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ.14, აღ.1, ს.37, ფურც.170-171.
20.ა. დაუშვილი, კ. წენგუაშვილი, „იქ სიკვდილი განა ბედნიერება არ არის, თამარ?", თბ., 2005, გვ. 22.
21.იქვე.
22.გ. ციციშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 30.
23.იქვე, გვ. 31.

24.სოციალისტური პარტიების წინააღმდეგ მიმართული ტერორი რუსეთსა და საქართველოში, პუბლიკაცია მოამზადა გ. გელაშვილმა, „ანალები", 2003, №2, გვ. 79-80.
25.სოციალისტური პარტიების წინააღმდეგ მიმართული ტერორი რუსეთსა და საქართველოში, პუბლიკაცია მოამზადა გ. გელაშვილმა, „ანალები", 2004, №1, გვ.82.
26.ГАСПИ РФ, ф.17, оп. 2, д. 151, л. 503.
27.ი. კაჭარავა, საბჭოთა საქართველო სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში, თბ., 1958, გვ. 302.
28.ა. კარგარეთელი, ეროვნული გმირის ქაიხოსრო-ქაქუცა ჩოლოყაშვილის მოსაგონებლად. ქაქუცა ჩოლოყაშვილი, კრებულის შემდგენელი გ. შარაძე და გ. გვერდწითელი, თბ., გვ. 22.
29.გ. ციციშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 32.
30.ნ. კირთაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 25.
31.ნ. ჯორჯიკია, საქართველოს სოციალისტური პარტიები... საკანდიდატო დისერტაციის ხელნაწერი, თბ.1993. გვ.14.
32.ნ. კირთაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 25.
33.საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ.14, აღ.1.2, ს. 28, ფურც. 53.
34.ნ. კირთაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 31.
35.ს. ზალდასტანიშვილი, ეროვნული გმირის ქაიხოსრო-ქაქუცა ჩოლოყაშვილის მოსაგონებლად იხ. „ქაქუცა ჩოლოყაშვილი", კრებულის შემდგენელი გ. შარაძე და გ. გვერდწითელი, თბ.,1989, გვ. 52.
36.გ. გელაშვილის, დასახ. პუბლიკაცია, გვ. 81.
37.ლ. თოიძე, საქართველოს პოლიტიკური ისტორია, თბ.,1999, გვ. 395.

თავი IV. ცვლილებები საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაში

საქართველოს ინტელიგენცია

1. ი. კაჭარავა, მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება ინტელიგენციის შესახებ. იხ. კრ. „სოციალისტური კულტურისა და ინტელიგენციის ისტორიის ნარკვევები" ტ.I, თბ., 1976. გვ. 15-16.
2. ვ.ი.ლენინი, თხზ. ტ.7, გვ. 343.
3. А. Фидюкин, Партия и интелигенция, М., 1983, с.441.

4. მ. გაფრინდაშვილი, ინტელიგენცია სოციალისტურ საზოგადოებაში, თბ., 1979, გვ.29-30.
5. Д. Троцкий, Литература и революцйя, М.,1991 с.119.
6. И. В. Купцова . Художественная интелигенция России (размежевание и исход), С.Пб.1996. с. 5
7. მ. გაფრინდაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 29
8. ბ. კალანდია, მეცნიერულ-ტექნიკური ინტელიგენცია თანამედროვე ბურჟუაზიულ საზოგადოებაში, თბ.,,თბ., 1988, გვ.9.
9. შ. კაკურია, ქ. თბილისის მოსახლეობა 1803-1970 წლებში, თბ., 1905 , გვ.90.
10. Первая Всероссийская перепись населения, (Тбилисская губерния), С.Пб.1915, с.2.
11. იქვე, გვ. 48-49.
12. Первая Всероссийская перепись населения, (Кутаисская губерния), С.Пб.1915, с.2.
13. იქვე.
14. ს. ორჯონიკიძე, სიტყვა რკპ (ბ) ცკ 1924 წლის ოქტომბრის პლენუმზე. იხ. ГАСПИ РФ, ф.17, оп. 2, д. 151, ფურც. 511.
15. ლ. ბესელია, საქართველოს ინტელიგენციის ისტორიისათვის (XX საუკუნის 20-იანი წლები), „კლიო", №30, 2006, გვ. 139.
16. იქვე, გვ. 140.
17. იქვე, გვ. 141.
18. იქვე, გვ.143.
19. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური საისტორიო არქივი (შემდგომში: სუიცსა), ფ. 300, ს. 23, ფურც. 71-73.
20. იქვე, ფ. 300. ს. 20, ფურც. 1.
21. იქვე.
22. იქვე, ფ. 5.
23. იქვე, ს. 23, ფურც. 49
24. იქვე, ფ. 300, ს. 68, ფურც. 23-24.
25. იქვე, ს. 1, ფურც. 109.
26. იქვე, ფურც.37.
27. სუიცსა, ფ.600, აღ.1, ს.25, ფურც.34.
28. სუიცსა, ს.29, ფურც. 8.
29. იქვე, ფურც. 68.
30. იქვე. ფ. 300, ს. 29, ფურც.33.

31.სუიცსა, ფ. 281, აღ.2, ს.20, ფურც.9-10.
32.„კომუნისტი“ 1921.5 მარტი.
33.გაზ. „კომუნისტი,“. 1921. 6 მარტი.
34.იქვე.
35.სუიცსა, ფ. 300, ს.1, ფურც.14.
36.იქვე, ფურც. 181.
37.სუიცსა, ფ. 600, ს.60. ფურც.68
38.გაზ. „სოციალისტ-ფედერალისტი“, 1921 წ. მაისი.
39.სუიცსა, ფ. 300, ს.72, ფურც. 3.
40.იქვე, ფ. 300, ს.1, ფურც.40.
41.იქვე, ს.9. ფურც. 2.
42.სუიცსა, ფ. 284, ს.1, ფურც.16.
43.იქვე, ს.2, ფურც. 6.
44.იქვე, ფ.300, ს. 35, ფურც. 12.
45.იქვე, ფ.300, ს.43, ფურც.115.
46.იქვე, ფურც.86.
47.ვაჟა ფშაველას ცოლისა და ძმის- ბაჩანას სიიდან ამოშლა დაკავშირებული უნდა იყოს ვაჟა ფშაველას ვაჟის – ლევანის ქმედებასთან – საბჭოთა მილიციის თანამშრომელმა, ლევანმა დახმარება გაუწია ქაქუცა ჩოლოყაშვილს 1922 წლის ხევსურეთის აჯანყების დროს.
48.სუიცსა, ფ. 300, ს.99, ფურც. 9-10.
49.გაზ.„კომუნისტი“, 1921, 14 აპრილი.
50.ГАСПИ РФ , ф.558, оп.11, д. 32, л. 45.
51.ს. ჯორბენაძე, ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა, თბ., 1984 გვ. 276.
52.საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ.1. ს. 5, ფურც.37.
53.ГАСПИ РФ , ф.64, оп. 1. д.61, л.1.
54.სუიცსა, ფ. 300, ს. 68, ფურც. 48.
55.იქვე, ფ. 300, აღ.3, ს.21, ფურც.1.
56.გაზ. „კომუნისტი“;, 1921. 30 მარტი
57.გაზ. „კომუნისტი“. 1921 , 16 აგვისტო.
58.საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ.14, აღ.1, ს. 1, ფურც.9.
59.სუიცსა, ფ. 281, აღ. 2, ს. 17, ფურც.5.
60.საქართველოს პრეზიდენტის არქივი; ფ.14, ს.60, ფურც. 16.
61.გაზ. „კომუნისტი“, 1923, 29-30 ნოემბერი,
62.გაზ. „კომუნისტი“, 1921,10 მარტი.

63.გაზ. მუშა" ,1927, 14 იანვარი.
64.გალაქტიონ ტაბიძე, თხზ. ტ. 1, თბ., 1937, გვ. XYIII.
65.იქვე.
66.სუიცსა, ფ.600, ს. 49, ფურც.10
67.სუიცსა, ფ.300, ს.92, ფურც. 1,5,7,11,18 და ა.შ.
68.სუიცსა, ფ. 300, ს.92,ფურც.49
69.გაზ. „კომუნისტი", 1922 წ. 21 ივნისი.
70.გაზ.„კომუნისტი", 1922 წ. 16 ოქტომბერი.
71.გაზ. „კომუნისტი",1922 წ. 28 ნოემბერი.
72.შ. მაჭავარიანი, ქართული საბჭოთა დრამატული თეატრის განვითარების გზები 1921-1926 წ.წ. საკანდიდატო დისერტაციის ხელნაწერი, თბ., 1961 , გვ.19.
73.გაზ. „სოციალისტ-ფედერალისტი", 1921 წ. 5 ივლისი.
74.იქვე, 6 ივლისი.
75.იქვე.
76.გაზ. „სოციალისტ-ფედერალისტი", 1921 წ. №105.
77.გაზ. „სოციალისტ-ფედერალისტი", 1921 წ. №107.

ქართველი თავადაზნაურობა და ტოტალიტარული რეჟიმი

1. სამოქალაქო ომის ისტორია სსრ კავშირში, თბ., 1938, გვ. 71.
2. Первая Всероссийская перепись населения.Тбилисская губерния. С-Пб.1915. с.2.
3. იქვე, გვ. 2
4. ა.ბენდიანიშვილი, საქართველოს პირველი რესპუბლიკა, თბ.,2001, გვ.74-750
5. С. Билокин, Механизм большевитского насилия, Киев, 2002.,с. 60
6. იქვე. გვ.7
7. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი (სუიცსა),ფ. 285, ს. 163, ფურც.213.
8. იქვე, ფურც.233.
9. იქვე, ფურც. 116.
10.იქვე. ფურც.152.
11.ГАСПИ РФ, ф. 17, оп. 2, д. 151, с. 501.
12.საქართველოს უიცსა, ფ. 307. აღ.1, ს. 2 , ფურც. 15.
13.საქართველოს უიცსა, ფ. 284. აღ.2, ს. 1, ფურც. 69.

14.ი. კაჭარავა, დასახ. ნაშრომი, გვ.45.
15.გ. ციციშვილი. სიმართლე 1921-1923 წლების ეროვნული მოძრაობისა და მიხეილ ჯავახიშვილის პოლიტიკური ცხოვრების შესახებ, თბ., 2003, გვ. 150.
16.საქართველოს უიცსა, ფ. 307. აღ.1, ს. 2 , ფურც. 11.
17.იქვე, ფურც. 42.
18.იქვე, ფურც. 65.
19.იქვე, ფურც. 84.
20.იქვე. ფურც. 50.
21.იქვე, ფურც. 89.
22.იქვე, ფურც. 38.
23.საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ.14,ქ აღ.4, ს. 5, ფურც.60.
24.ი. მანველიძე, ანტისაბჭოთა გამოსვლები აჭარაში 1921-1930 წლებში, საკანდიდატო დისერტაციის ხლნანერი, ბათუმი,2001, გვ. 50.
25.სუიცსა, ფ. 600, ს.54, ფურც. 26.
26.ო. ჯანელიძე, სვანეთის 1921-1922 წლის ანტისაბჭოთა აჯანყება, „კავკასიის მაცნე", 2000, №2, გვ. 151.
27.სუიცსა, ფ. 600, ს.54, ფურც. 60.
28.ლ. ბესელია, საქართველოს ინტელიგენციის ისტორიისათვის (XX საუკუნის 20-იანი წლები), ალმანახი „კლიო",თბ., 2006, გვ.142.
29.ГАСПИ РФ, ф. 64, оп. 1, д. 60, с. 37.
30.სუიცსა, ფ. 285, ს.55, ფურც.19.
31.С. Билокин, Механизм большевитского насилия, Киев, 2002.,с. 21.
32.გაზ. „კომუნისტი",1924 წ. 4 სექტემბერი.
33.ГАСПИ РФ, ф. 17, оп. 2, д. 151, с. 513.
34.ა. დაუშვილი, კ. წენგუაშვილი, „იქ სიკვდილი განა ბედიერება არ არის, თამარ!", თბ., 2005, გვ.21.
35.გაზ. „კომუნისტი",1924 წ. 13 სექტემებერი.
36.გაზ. „კომუნისტი",1924 წ. 9 სექტემებერი.
37.სუიცსა, ფ. 285, ს.776, ფურც. 7.
38.იქვე.
39.იქვე.
40.სუიცსა,ფ.285, ს.1069, ფურც.18.
41.გაზ. „კომუნისტი", 1924, 13 სექტემბერი.
42.გაზ. „კომუნისტი", 1924, 30 ოქტომბერი.

43.С. Билокин, Механизм большевитского насилия, Киев, 2002.,с. 61
44.სუიცსა, ფ.600, ს.2023, ფურც.4.
45.გაზ. „კომუნისტი“, 1924 , 3 სექტემბერი.
46.ი. მანველიძე, დასახ. ნაშრომი. გვ.50.
47.გაზ. „კომუნისტი“, 1927 ,8 ოქტომბერი.
48.იქვე
49.სუიცსა, ფ.600, ს.373, ფურც.1-2.

საქართველოს მუშათა კლასი

1. ალ. დაუშვილი, საეროვნებათშორისო ურთიერთობა საქართველოში 1921-1941 წწ. სამრეწველო საწარმოთა მასალების მიხედვით, თბ., 2000, გვ. 18.
2. შრომის კანონთა კოდექსი, 1922 წლის, თბ., 1923.
3. მ. ნათმელაძე, საბჭოთა საქართველოს მუშათა კლასის ისტორია (1921-1932), ტ. I, თბ., 1970, გვ. 91.
4. იქვე.
5. А. Гуния, Воспроизводство рабочей силы в промышленности Грузинской ССР, Тб.,1961., Обзор деятелности Совета Народных комиссаров ЗСФСР, (1927.V- 1929), с. 98.
6. მ. ნათმელაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 97.
7. ჟურნ. „შრომის მოამბე“, 1921, №1, გვ. 22.
8. გაზ. „მუშა“, 1922 წლის 27 დეკემბერი.
9. Борьба за упрочение Советов власти в Грузии (1921-1925)Б, Сб. док. и мат. Тб., 1959, с.336., Отчет Закбюро ВЦСПС 2 - ому Закавказсвкому съезду професиональных союзов (1922 март – 1924 г.) с.131., жур. «Экономический вестник Закавказья», 1927, № 1.
10.საქართველოს სახალხო მეურნეობა 1924-1925 წწ., გვ. 41.
11.Жур. «Экономический вестник Закавказья», 1925, №№15, გვ. 27.
12.Труд ЗСФСР, стат. сб. за 1921-1925 гг., с. 203.
13.სრულიად საქართველოს პროფკავშირთა მეხუთე ყრილობის ანგარიში და რეზოლუციები, თბ., 1926, გვ. 45.
14.ჟურნ. „უწყებები საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის“, 1924, №5, გვ. 43.
15.Материалы к отчету КП (б) Грузии IV съезду, Тб., 1925, с.261.

16.საქართველოს პრეზეიდენტის არქივი, ფ.13, აღ. 1, ს.1213, ფურც. 47-48.
17.ჟურნ. „საქართველოს ეკონომისტი“, 1926, №1, გვ. 6.
18.იქვე, 1928, №1, გვ. 4.
19.ჟურნ. „მოამბე“, 1928, №1, გვ. 2-3.
20.ალ. დაუშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 41.
21.იქვე, გვ. 42.
22.საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღწ. 4, ს. 51, ფურც. 14.
23.ალ. დაუშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 70.

საქართველოს გლეხობა და აგრარული ურთიერთობანი

1. Закавказье, стат.сб., Тб.,1925, с. 160.
2. ჟურნ. „მაცნე“, 1964, №11, გვ. 26.
3. ი. კაჭარავა, საბჭოთა საქართველო სახალხო მეურნეობის აღდგენით პერიოდში (1921-1925), თბ., 1958, გვ. 165.
4. ჟურნ. „მოამბე“, 1924, №5, გვ. 6-9.
5. ი. კაჭარავა, დასახ. ნაშრ., გვ. 165.
6. ა. ნუცუბიძე, საქართველოს სოფლის მეურნეობა 1921-1925 წწ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. IX, 1956, გვ. 187-188.
7. ი. კაჭარავა, დასახ. ნაშრ., გვ. 170.
8. П.Ломашвили, დასახ. ნაშრ., გვ. 100.
9. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფ. 1275, ს. 113, ფურც. 62-64; ჟურნ. «Экономический вестник Закавказья», 1928, № 4, с. 14.
10.საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფ. 631, ს. 83, ფურც. 19.
11.იქვე, ფ. 819, ს. 1792, ფურც. 4-5.
12. Народная хозяйство Закавказья в цифрах, Тб. Т., 1927, с. 313.
13.საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, ს. 1419, ფურც. 21.
14.მ. ნათმელაძე, საქართველოს მუშათა კლასის ისტორია, ტ. I. თბ., 1970, გვ. 284.
15.საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, ნაწ. II, ს. 2418, ფურც. 14.
16.სკკპ რეზოლუციები, ნაწ. II, გვ. 538.

ბურჟუაზია, „ნეპმანები“ და ტოტალიტარული სახელმწიფო

1. კ. მარქსი, ფ. ენგელსი, კომუნისტური პარტიის მანიფესტი, იხ. კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. I, თბ., 1975, გვ. 135.
2. იქვე. გვ. 141
3. იქვე, გვ. 104-105
4. სკკპ... რეზოლუციებში, თბ., 1954, გვ. 536.
5. Революционные комитеты Грузии в борьбе за установление и упрочнение советской власти, сб. док. и материалов, Сухуми, 1963, стр. 224-227.
6. იქვე, გვ. 217
7. საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 1, ს. 143, ფურც. 51.
8. კომუნისტი, 1921 წ. 6 მარტი.
9. სკკპ ... რეზოლუციებში, თბ., 1954, გვ. 539.
10. ГАСПИ РФ, ф. 64, оп. 1, д. 1, с. 82.
11. იქვე.
12. ГАСПИ РФ, ф. 17, оп. 3, д. 338, с. 3.
13. მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერა, თბ., 1930, გვ. 36-37.
14. ა. დაუშვილი, თბილისი – 1937, თბ., 1997, გვ. 19.
15. ა. დაუშვილი საეროვნებათაშორისო ურთიერთობა საქართველოში 1921-1941 წწ. თბ., 2000, გვ. 17
16. გაზ. „კომუნისტი“, 1922, 12 აგვისტო.
17. გაზ. „კომუნისტი“, 1922, 30 სექტემბერი.
18. გაზ. „კომუნისტი“, 1922, 22 აგვისტო.
19. საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14. აღ. 1, ს. 212, ფურც. 108.
20. იქვე, ს. 37, ფურც. 124.
21. ტროცკის არქივი, ტ. 3, მოსკოვი 1990, გვ. 71.
22. საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 3, ს. 110, ფურც. 44.
23. საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 3, ს. 165, ფურც. 3.
24. საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 3, ს. 165, ფურც. 9.

კომუნისტური რეჟიმი და ქალთა ემანსიპაცია

1. კ. მარქსი, ფ. ენგელსი, კომუნისტური პარტიის მანიფესტი, იხ. კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული. ტ. I, თბ., 1975,გვ.148.
2. М. Олесин. Первая в мире, М.,1990. с.110.
3. გაზ."კომუნისტი", 1922 წლის 26 აგვისტო.
4. ა. ხაჩიძე, საქართველოს მოსახლეობის ზრდისა და სტრუქტურის მაჩვენებლები და 1970 წლის აღწერის მონაცემები, თბ., 1969. გვ. 20.
5. მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერა, თბ., 1930, გვ.36-37.
6. გაზ."კომუნისტი", 1922 წლის 13 მაისი.
7. გაზ."კომუნისტი", 1922 წლის 20 მაისი.
8. იქვე.
9.გაზ. „კომუნისტი", 1922 წლის 26 აგვისტო.
10.გახ. „კომუნისტი", 1926 წ. 7 მარტი.
11. ოლია ოკუჯავას დღიურები და მიმოწერა გალაქტიონთან, თბ.,1987, გვ.73
12.იქვე, გვ.106
13.გაზ. „კომუნისტი", 1926 წ. 8 მარტი.
14.საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი (უიცსა), ფ. 284, აღ.1, ს. 350, ფურც. 27.
15.სუიცსა, ფ.284, აღ.1, ს. 644, ფურც. 51.
16.გაზ. „კომუნისტი", 1926 წლის 26 ოქტომბერი.
17.ა. დაუშვილი, ხულოს აჯანყება, „კლიო",თბ.,2002, №14, გვ.192.
18.საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ.14, აღ.4, ს.425, ფურც.206.
19. იქვე, ფ.14, აღ. 4, ს.24, ფურც.64.
20. გაზ. „კომუნისტი". 1929 წ. 10 თებევალი.
21. გაზ. „კომუნისტი", 1928 წ. 28 ოქტომბერი.

ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის დასაწყისი

1. Н. Верт. История Советского Государства. М.,2000, с. 173.
2. კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, თბ., 1975, გვ. 143.
3. იქვე, გვ.105.

4. ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 34, გვ.348.
5. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფ.300, ს. 81, ფურც.14-16.
6. იქვე. გვ.17.
7. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი,ფ.300, აღ.3, ს. 64, გვ.47.
8. იქვე.
9. სუიცსა, ფ. 300, ს.52, ფურც.21
10.სუიცსა, ფ.300, ს. 7, ფურც.21.
11.იქვე, ფ.300. ს.20, ფურც. 16.
12.იქვე, გვ. 19.
13. იქვე, ფ. 300, ს. 20, ფურც.22.
14.სუიცსა, ფ. 600, ს. 60. ფურც. 41.
15.სუიცსა ,ფ.300, ს.35, ფურც. 6-7.
16.ე. ნარიმანიძე, 1922 წლის 26 მაისის დღესასწაული თბილისში, საისტორიო ალმანახი „კლიო". № 19. 2003, გვ. 150.
17.იქვე, გვ. 148.
18.გაზ. „კომუნისტი", 1922 წლის 6 დეკემბერი.
19.გაზ. „კომუნისტი", 1923 წლის 24 აპრილი.
20.ГАСПИ РФ.Ф.17, оп.3, д.439, с.1.
21.საქართველოს უიცსა, ფ. 284, ს.664, ფურც. 81.
22.გაზ. „კომუნისტი", 1928. 13 მაისი.
23.გაზ. "კომუნისტი", 1925 წ. 19 აპრილი.
24.გაზ. „კომუნისტი", 1925 წ. 14 მაისი.
25.სუიცსა, ფ. 300, ს. 123, ფურც.28.
26.გაზ. „კომუნისტი", 1929 წ.25 იანვარი.
27.გაზ.„კომუნისტი", 1927 წ. 23 აპრილი.
28.გაზ. „კომუნისტი". 1928 წ.1 ივლისი.
29.გაზ. „კომუნისტი", 1930 წ.30 ივლისი.
30.სუიცსა, ფ.284, ფ.284, ს. 664, ფურც.167.

ტოტალიტარული სახელმწიფო და საეროვნებათაშორისო ურთიერთობები

1. ГАСПИ РФ. ф.50, оп.1, д.48, с.59.
2. საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ.13. აღ.1, ს.2, ფურც.56.
3. საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ.14, ს. 486, ფურც.114.

4. ლ. თოიძე, საქართველოს პოლიტიკური ისტორია (1921-1923), თბ., 1999, გვ.114.
5. საქართველოს პრეზიდენტის არქივი;ფ.14, აღ.1, ს.7, ფურც.1.
6. ლ. თოიძე, დასახ. ნაშრომი, გვ.114.
7. Документы внешней политики СССР, т. 3. М.,1960, с.601.
8. ლ. თოიძე, დასახ. ნაშრომი. გვ.94.
9. ა. სონღულაშვილი, ეთნოკონფლიქტები საქართველოში XX საუკუნის 20-იან წლებში, საისტორიო ალმანახი „კლიო", 1999 წ.№6, გვ.121.
10. ამის შესახებ. იხ. : გ. გასვიანი, აფხაზეთი XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნეში, თბ., 2004, გვ. 309; აჭარა რუსი დიპლომატის თვალით, კ. იუსტის მოსხსენება, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს და შესავალი წერილი დაურთეს მ. ვაჩნაძემ და ვ. გურულმა, თბ., 1998.
11. აჭარა რუსი დიპლომატის თვალით, კ. იუსტის მოსხსენება, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს და შესავალი წერილი დაურთეს მ. ვაჩნაძემ და ვ. გურულმა, თბ., 1998. გვ.15.
12. აჭარის არ მთავრობის ქვესაუწყებო დაწესებულება: საარქივო სამმართველო, ფ. რ-4, აღ.1, ს.249, ფურც.13.
13. გაზ. „კომუნისტი". 1925 წ. 25 ოქტომბერი.
14. ა. დაუშვილი, დეცენტრალიზაციის პროცესები საქართველოში XX ს-ის 20-30-იან წლებში. საისტორიო ალმანახი „კლიო". 2000 წ. №9, გვ.147,
15. გ. სურგულაძე, ეროვნული პოლიტიკის ზოგიერთი ასპექტის შესახებ მესხეთ-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში XX საუკუნის 20-იან წლებში. საისტორიო ალმანახი „კლიო". 2001 წ. №11, გვ.157.
16. ლ. თოიძე, დასახ. ნაშრომი. გვ. 114.
17. საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ.14. აღ.2, ს.363, ფურც.61.
18. საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ.14. აღ.4, ს. 5, ფურც. 6.
19. საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ.14. აღ.4, ს.425, ფურც.4-35.
20. საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14. აღ.4, ს. 1. ფურც.21.
21. საქართველოს პრეზიდენტის არქივი,ფ.14, აღ.4. ს.3, ფურც. 13.

22.საქართველოს პრეზიდენტის არქივი,ფ.14, აღ.4. ს.150, ფურც. 98.
23.საქართველოს უახელესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფ. 600, აღ.1, ს.2442, ფურც. 81-89.
24.იქვე. ფურც.85-87.

თავი V. ტოტალიტარიზმის იდეოლოგიისა და პრაქტიკის განმტკიცება საქართველოში
მსოფლიო პროცესები და იდეოლოგიური ექსპანსია

1. А. Булок.Гитлер и Сталин. т. 1. М.,1994. с.111.
2. История Италии , т.3. М.,1971. с.40.
3. სკკპ... რეზოლუციებში, ტ.1, თბ., 1954, გვ678-679.
4. გაზ. „მუშა“, 1926 წ.8 აგვისტო
5. газ.«Заря Востока» ,1925 г.30.
6. გაზ. „მუშა“, 1926 წ.8 აგვისტო.
7. გაზ. „მუშა“, 1928 წ.30 დეკემბერი.
8. გაზ. „კომუნისტი“. 1928 წ. 4 სექტემბერი.
9. გაზ. „მუშა“, 1927 წ.9 ოქტომბერი.
10.გაზ. „მუშა“, 1927 წ. 20 ოქტომბერი
11.გაზ. „მუშა“, 1929 წ. 19 თებერვალი.
12.საკ. კპ (ბ) ისტორია(მოკლე კურსი) , თბ., 1952, გვ.343.
13.Н.Верт, История Советского Государства, М.,2002; В.А. Бажанов, Восхождение к абсолютной власти: большевики и советское государство в 20-е годы, М., 2004; Е.Г. Гимпельсон. Новая Экономическая Политика Ленина-Сталина: проблемы и уроки (20-е годы XX века), М., 2004.
14.Е.Г. Гимпельсон. Новая Экономическая Политика Ленина-Сталина: Проблемы и уроки (20-е годы XX века), м., 2004, с. 279.
15.Н.Верт, История Советского Государства, М.,2002. с.277.
16.Архив Троцкого.т.3, М.,1990,с.66.
17.Ж. Табуи, 20 лет дипломатической борьбы, М., 1960, с. 63.
18.Н.В. Сивачев, Е.Ф.Язьков, Новейшая история США, М.,1972. с.68-69.
19.История Франции, т.3, М.,1973, с.133-134.

პოლიტიკური და იდეოლოგიური ღვედები

1. მ. ნათმელაძე, ალ. დაუშვილი, საქართველოს უახლესი ისტორია, თბ., 2004 წ., გვ. 89.
2. ლ. თოიძე, საქართველოს კომპარტია ლენინიზმისათვის ბრძოლაში, თბ., 1974 წ., გვ. 127-128.
3. მ. ნათმელაძე, ალ. დაუშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 90-91.
4. ლ. თოიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 134.
5. М. Натмеладзе, История рабочего класса Грузии, т. 2, Тб., 1980, с. 266-267.
6. Материалы к истории чистка и проверки рядов КП(б) Грузии, 1930, с. 43.
7. 10 лет советской Грузии, Стат. сб., 1931. с. 7.
8. Коммунистическая партия Грузии в цифрах, 1972, с. 61.
9. საქართველოს კომკავშირი ციფრებში, თბ., 1925, გვ. 49-50.
10. საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 95, ს. 117, ფურც. 44.
11. გრ. ჟვანია, საქართველოს კომკავშირის ისტორიის ნარკვევები, 1964, გვ. 205.
12. იქვე, გვ. 207.
13. М. Натмеладзе, История рабочего класса Грузии, т. 2, с. 268.
14. სრულიად საქართველოს პროფკავშირთა მერვე ყრილობის ანგარიში და რეზოლუციები, თბ., 1926, გვ. 4.
15. გაზ. „მუშა“, 1928 წლის 23 ნოემბერი.
16. საქართველოს კპ (ბ) VII ყრილობა, რეზოლუციები, თბ., 1927 წ. გვ.5-6.
17. სუიცსა, ფ.284, ს.171. ფურც.7.
18. სუიცსა, ფ.285. ს.1539, ფურც.21.
19. იქვე, ს. 1438, ფურც.22.
20. სუიცსა, ფ.600, ს.2528, ფურც.30.
21. სუიცსა, ფ.600, ს.2528, ფურც.2-3.
22. სუიცსა, ფ. 284, ს.582. ფურც.1.
23. იქვე. ფურც.9.
24. იქვე, ფ. 284, ს.171, ფურც. 3.
25. იქვე, ფ.284, ს.171. ფურც.23.
26. იქვე, ს.557, ფურც.7.
27. იქვე, ს.171, ფურც.27.
28. სუიცსა, ფ.285, ს.1361, ფურც.5.

29.სუიცსა, ფ.285, ს.1366, ფურც.12.
30.საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.VII, თბ., 1976, გვ.232.
31.საქართველოს ისტორია, ტ. III, თბ. 1961 გვ. 69.
32.საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.VII, თბ., 1976, გვ.612.

საქართველოს ძალოვანი სტრუქტურები 20-იანი წლების მეორე ნახევარში

1. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ.285, ს.1336, ფურც. 47.
2. სუიცსა, ფ.285, ს. 1438, ფურც. 28.
3. იქვე, ს. 1546. ფურც.42.
4. იქვე, ს.1546. ფურც.44,
5. იქვე, ფურც. 68.
6. საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ.,14, აღ.6. ს.40, ფურც.35.
7. სუიცსა, ფ.285. ს. 1305, ფურც. 27.
8. იქვე, ს. 1814, ფურც.65.
9. იქვე, ს.1904. ფურც.104.
10.სუიცსა, ფ.285. ს.1336. ფურც. 9.
11.იქვე, ს.1690; ფუოც. 220.
12.იქვე, ფურც. 267.
13.იქვე, ფურც. 272.
14.იქვე, ფურც. 236.
15.იქვე, ს.1432, ფურც.21-22.
16.პრ. ხვიჩია, საქართველოს საბჭოთა მილიციის ისტორიის ნარკვევები, თბ., 1971., გვ. 39.
17.სუიცსა, ფ. 285. ს.2001, ფურც.15.
18.სუიცსა, ფ.285, ს.1904, ფურც.32.
19.იქვე, ს. 1567, ფურც.151.
20.იქვე, ფურც. 153.
21.სუიცსა, ფ. 285, ს. 1832. ფურც. 56.108, 123.
22.იქვე, ს. 1690, ფურც.24.
23.სუიცსა, ფ.285. ს. 1569, ფურც. 17.
24.იქვე; ს. 1076, ფურც.5.
25.პრ. ხვიჩია, დასახ. ნაშრომი.გვ.143.
26.იქვე, გვ. 129.
27.სუიცსა, ფ.285, ს. 904, ფურც. 6.

28.სუიცსა, ფ.285.. ს.1594, ფურც. 3.
29.საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ.14, აღ.4. ს.5. ფურც.60.
30.სუიცსა, ფ. 285, ს.1596, ფურც.71.
31.სუიცსა ფ. 285, ს. 1539, ფურც. 7.
32.იქვე, ფურც.66.
33.სუიცსა, ფ. 285, ს. 1814. ფურც.71-74.
34.იქვე, ს. 1567, ფურც. 133.
35.ე. კუპატაძე, ქართული ეროვნული საჯარისო შენაერთების ისტორია 1921-1956 წლებში, თბ., 1993. სადოქტორო დისერტაციის ხელნაწერი, გვ.42.
36.იქვე, გვ. 49.
37.Р.В. Криленко. Основы судоустроиства СССР и союзных республик.. М.1927 с.6.
38.საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ.14. აღ.2, ს.9, ფურც. 215
39.ბ.ფურცხვანიძე, სასამართლო ორგანიზაცია და მართლმსაჯულება განხორციელება სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე, თბ. 1946, გვ.13.
40.საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ.13,აღ.1,ს.195, ფურც.83.
41.სუიცსა, ფ.284, ს.410, ფურც.1.
42.ა. დაუშვილი, ხულოს ამბოხება, საისტორიო ალმანახი „კლიო",№14, 2002, გვ.194.
43.საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ.14, აღ.6, საქ.247, ფურც.16.
44.ბ. ბუცხრიკიძე, პროკურატურა, მისი ორგანიზაცია და ფუნქციები. თბ., 1946, გვ. 42.
45.История советской прокуратуры. М.,1952, сб. док. М.,1952. с.13
46.სუიცსა, ფ.284. აღ.1, ს. 325. ფურც.2-3.

ძირეული შემობრუნების დასაწყისი (მეცნიერება და ქართული კულტურა)

1. ГАСПИ РФ, ф.17,оп.2. д. 85. л. 32.
2. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 300, ს. 155, ფურც. 2-3.
3. გაზ. კომუნისტი", 1927 წ. 27 აგვისტო.

4. გაზ. კომუნისტი", 1927 წლის 7 აგვისტო.
5. იქვე.
6. იქვე.
7. სუიცსა, ფ. 300, ს. 134, ფურც. 26.
8. გაზ. "კომუნისტი" 1925 წ. 26 მაისი.
9. გაზ. „კომუნისტი", 1928 წ. 22 იანვარი.
10. გაზ. „კომუნისტი", 1928 წ. 31 იანვარი.
11. газ.«Заря Востока», 1925 г.1 июня.
12. გაზ. კომუნისტი, 1926 წ. 4 ივნისი.
13. გაზ. „კომუნისტი",1928 წ. 17 იანვარი.
14. გაზ. „კომუნისტი", 1928 წ. 22 იანვარი.
15. გაზ.„კომუნისტი", 1929 წ. 1 იანვარი.
16. გაზ. კომუნისტი, 1929 წ. 25 იანვარი.
17. ამის შესახებ: ქ. ჯავახიშვილი, მიხეილ ჯავახიშვილი, თბ., 1989, მ. ხომერიკი, პასუხად მიხეილ ჯავახიშვილის ბიოგრაფებს, თბ., 1996; გ. ციციშვილი, სიმართლე 1921-1923 წლების ეროვნული მოძრაობისა და მიხეილ ჯავახიშვილის პოლიტიკური ცხოვრების შესახებ; მ. ხომერიკი, სიმართლის გამრუდება ისტორიკოს გიორგი ციციშვილის მიერ, თბ.,2003 და ა.შ.
18. მ. ხომერიკი, პასუხად მიხეილ ჯავახიშვილის ბიოგრაფებს, თბ., 1996, გვ.11.
19. იქვე, გვ..20-22.
20. გაზ. „კომუნისტი", 1925 წ. 20 მაისი
21. გაზ. „კომუნისტი", 1929 წ. 5 იანვარი.
22. გაზ. „კომუნისტი", 1930 წ. 27 მარტი.
23. იქვე.
24. გაზ.„ კომუნისტი". 1930 წ.25 აპრილი.
25. გაზ.„ კომუნისტი". 1930 წ.9 ივლისი.
26. გაზ.„კომუნისტი", 1930 წ.9 ივლისი.
27. В.С. Брачев. «Дело историков». М.,19977, с.49.
28. ვ. გურული, საქართველოს კომპარტიის მოღვაწეობა ისტორიულ-პარტიული მეცნიერების ჩამოყალიბებისა და განვითარებისათვის 1921-1941 წწ. თბ., 1988, გვ.4.
29. ივანე ჯავახიშვილი ტირანიის სამსჯავროს წინაშე. დოკუმენტები და მასალები (XX საუკუნის 20-30-იანი წლები), გამოსაცემად მოამაზადეს, შესავალი წერილი და კომენტარი დაურთეს პროფ. მერაბ ვაჩნაძემ და პროფ. ვახტანგ გურულმა., თბ., 2004, გვ.6.
30. გაზ.„ კომუნისტი". 1930 წ.29 ოქტომბერი.

31.გაზ.„ კომუნისტი". 1930 წ. 30 ოქტომბერი.
32.გაზ.„ კომუნისტი". 1929 წ. 8 ოქტომბერი.
33.გაზ.„ კომუნისტი". 1929 წ. 15 თებერვალი.
34.გაზ.„ კომუნისტი". 1928 წ. 28 თებერვალი.

რელიგიური კონფესიები და ტოტალიტარული სახელმწიფო

1. ა. დაუშვილი, კ. წენგუაშვილი, „იქ სიკვდილი განა ბედნიერება არ არის , თამარ!", თბ., 2005, გვ. 33.
2. ქაქუცა ჩოლოყაშვილი , რედაქტორ-შემდგენელი გ. შარაძე, თბ.,1989, გვ.22.
3. ინფორმაცია მოგვაწოდა ისტ. მეცნ. კანდიდატმა ირ. გელენავამ, რისთვისაც მას მადლობას ვწირავთ.
4. ГАСПИ РФ, ф.17, оп. 2, д.85, с.33.
5. სუიცსა, ფ. 284, ს.1, ფურც.9,
6. იქვე, ფურც. 17-18.
7. ს. ვარდოსანიძე, საქართველოს მართმადიდებელი ეკლესია 1917-1952 წწ., თბ., 2001, გვ.125.
8. იქვე, გვ.127-128.
9. გაზ. „კომუნისტი". 1926 წ. 7 სექტემბერი.
10.სუიცსა, ფ. 284, ს.811, ფურც.64.
11.იქვე, ფურც.6.
12.გაზ. „კომუნისტი", 1930 წ. 22 თებერვალი.
13.აჭარის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. რ-4, აღ.1, ს.16, ფურც.22.
14. газ. «Заря Востока»,1927 г.20 августа.

ტოტალიტალიტარული რეჟიმის ფსიქო-სოციალური ასპექტები

1. საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. ფ. 14, აღ. 1. ს. 37, ფურც.125.
2. იქვე, ფურც.152.
3. იქვე, ფურც.124.
4. სუიცსა, ფ. 281, აღ.2, ს. 17, ფურც.5.
5. ო. ჯანელიძე, სპირიდონ კედია, თბ., 2002. გვ. 143.
6. სუიცსა, ფ.303, აღ.1, ს.75, ფურც.13-14.
7. გაზ. „კომუნისტი", 1921, 14 ივნისი.

8. С. Билокин, Механизм большевитского насилия. Киев. 2000, с.12.
9. ა. დაუშვილი, თბილისი, 1937, თბ., 1997, გვ. 69.
10.საქართველოს უიცსა, ფ.284, ს.181. ფურც. 12.
11.გაზ. „კომუნისტი", 1927. 7 აგვისტო
12.სუიცსა, ფ.600. ს.2817, ფურც. 3.
13.კ. წენგუაშვილი, საქართველოს 1921-1925 წლების ისტორიის ისტორიოგრაფია,. თბ., 2005, გვ.119.
14.გ. ციციშვილი, სიმართლე ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობისა და 1924 წლის აჯანყების შესახებ. თბ., 2004, გვ.11.

რადიკალური შემობრუნება – ნეპის კრახი

1. ი.ბ. სტალინი. ლენინიზმის საკითხები, თბ., 1952, გვ.169.
2. Архив Троцкого. т.3. М.,1990.с,63.
3. Р.Такер, Сталин – путь к власти, М.,1991.с.371.
4. სუიცსა, ფ. 303, აღ.1, ს.1502, ფურც.2.
5. სუიცსა, ფ. 303, ს. 931, ფურც. 122.
6. მ. ნათმელაძე, ა. დაუშვილი, საქართველოს უახლესი ისტორია, თბ., 2004. გვ.61.
7. იქვე.
8. იქვე.
9. იქვე.
10.სუიცსა, ფ. 303, აღ.1. ს.1059, ფურც.33-34.
11.სუიცსა, ფ.303, ს.1015, ფურც.19.
12.სრულიად საქართველოს საბჭოების მეხუთე ყრილობა. სტენოგრაფიული ანგარიში, თბ., 1929, გვ.19.
13.სუიცსა, ფ.303, ს.1015, ფურც.20.
14.იქვე, ფურც.56-56.
15.სუიცსა, ფ.303, ს.807. ფურც.21.
16.იქვე, ს. 807. ფურც.156-157.
17.საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ.14, აღ.3, ს. 165, ფურც. 3.
18.გაზ.„ კომუნისტი", 1927 წ. 16 აპრილი.
19.გაზ. „კომუნისტი", 1929 წ. 24 თებერვალი.
20.სუიცსა, ფ.303, ს.586. ფურც.4.
21.იქვე, ს.1369. ფურც.5-6

22.История Коммунистической Партии Советского Союза, т.4, М.,1970. с. 375.
23.საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა (აკად.პ. გუგუშვილის რედ.) თბ., 1961, გვ.165.
24.სუიცსა, ფ.303. ს. 807, ფურც.1-2.
25.იქვე, ს.1078, ფურც.53.
26.იქვე, 1037. ფურც.41.
27.ამის შესახებ. მ. ჯაფარიძე, სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები საქართველოს მრეწველობაში 1921-1931 წ.წ. (საკანდიდატო დისერტაციის ხელნაწერი, თბ., 2006, გვ.99-100.
28.სუიცსა, ფ.303, ს.1290, ფურც.12.
29.იქვე, ს, 807, ფურც. 2.
30.საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ.14, აღ.4, ს.5, ფურც.6.
31.სუიცსა, ფ.303, ს.807, ფურც.25.
32.იქვე, ს. 1487. ფურც.27.
33.იქვე, ფურც. 28.
34.ვ.ი.ლენინი. თხზ. ტ.26, გვ. 471-472.
35.ს. ჩხარტიშვილი, სოციალისტური შეჯიბრების ისტორია საქართველოს მრეწველობაში, თბ., 1974, გვ.81.
36.Г. В. Плеханов. Открытое письмо петроградским рабочим, см.: Г.Пашков, История Росии. XX в. М., 2000, с.117.
37.ი.ბ. სტალინი. ლენინიზმის საკითხები, თბ., 1952, გვ.43-54.
38.გაზ. „კომუნისტი", 1928 წ. 22 ნოემბერი.
39.39. ე. ქვათაძე, ვ. საბახტარაშვილი, ზემო ქედის ი.ბ. სტალინის სახ.კოლმეურნეობის ისტორია,თბ., 1981.
40.ი.ბ. სტალინი, დასახ ნაშრომი, გვ.291.
41.იქვე.
42.Р.Такер, Сталин – путь к власти, М.,1991.с.368.
43.სუიცსა, ფ. 600, ს.2442. ფურც.31.
44.იქვე, ფურც.65-66.
45.Р.Такер, დასახ. ნაშრომი, გვ. 368.
46.გაზ. „კომუნისტი", 1928 წ. 23 ოქტომბერი.
47.გაზ. „კომუნისტი", 1929.11 იანვარი.
48.რ. კოჭლამაზაშვილი, ეკონომიკური წყობები საქართველოს სოფლის მეურნეობაში (1921-1929) ჟურნ. „საქართველოს სახალხო მეურნეობა", 1968 წ.№1.
49.Ломашвили. «Великий переворот». Тб.,1972.с.87-88.

50.სუიცსა, ფ.600, ს.1754, ფურც.5.
51.იქვე, ს.1504, ფურც.2.
52.ს.1504, ფურც.104.
53.იქვე, ს.2442, ფურც.181.
54.გაზ. „კომუნისტი". 1930 17 იანვარი.
55.გაზ.„კომუნისტი". 1929.14 ნოემბერი.
56.გაზ. „კომუნისტი",1929 ,17 იანვარი.
57.პ. ხვიჩია, საქართველოს საბჭოთა მილიციის ისტორიის ნარკვევები, ტ.1, თბ., 1971 . გვ.59.
58.გაზ. „კომუნისტი", 1930,17 იანვარი.
59.გაზ. „კომუნისტი", 1930, 2 თებერვალი.
60.Н.Верт, История советского государства. М.,2002. с. 211
61.В.И.Димитренко, Четире измерение НЭПа. сб.ст.:НЭП: приобретение и потеры, М.,1994.с.30-31.
62.Р.У.Девис. Историографические этапы НЭП-а, сб.ст.:НЭП: приобретение и потеры, М.,1994.с.19.
63.Г.П.Дегтяров. НЭП – идеологический тупик хозяйственой реформы. сб.ст.:НЭП: приобретение и потеры, М.,1994.с.127.
64.Е.Г. Гимпельсон, Новая экономическая политика Ленина – Сталина (прааоблемы и урокы). М.,2004, с.288.

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი----------3

თავი I. ტოტალიტარიზმი მსოფლიო ისტორიულ განვითარებაში----------11

ისტორიული გამოცდილება-ექსკურსი----------11

ტოტალიტარიზმის რუსული მოდელი---------- 23

თავი II. საქართველოს ოკუპაცია რუსეთის მიერ და ტოტალიტარული რეჟიმის დამკვიდრება---------- 34

საქართველო ტოტალიტარული რეჟიმის წინ----------34

საბჭოთა სახელმწიფო სტრუქტურების მნიშვნელობა ტოტალიტარული რეჟიმის დამკვიდრების საქმეში----------50

საქართველოში შექმნილი პოლიტიკური ვითარება 20-იანი წლების დასაწყისში----------72

ტოტალიტარიზმის პოლიტიკური სისტემის ფორმირების დასაწყისი----------81

ტოტალიტარული რეჟიმის ეკონომიკური ფუნდამენტის მომზადება----------100

ტოტალიტარული სახელმწიფოს ათეისტური პოლიტიკისა და პრაქტიკის პირველი ეტაპი----------119

თავი III. 1924 წლის აჯანყება----------133

1924 წლის აჯანყების წინაპირობები----------133

აჯანყების მსვლელობა----------147

1924 წლის აჯანყება და კრემლის პოზიცია---------- 155

აჯანყების პროვოცირების საკითხისათვის----------165

თავი IV. ცვლილებები საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაში---------- 178

საქართველოს ინტელიგენცია----------178

ქართველი თავადაზნაურობა და ტოტალიტარული რეჟიმი--214

საქართველოს მუშათა კლასი---------- 236

საქართველოს გლეხობა და აგრარული ურთიერთობანი-----250

ბურჟუაზია, „ნეპმანები" და ტოტალიტარული
სახელმწიფო----------263

კომუნისტური რეჟიმი და ქალთა ემანსიპაცია---------- 278

ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის დასაწყისი--------289

ტოტალიტარული სახელმწიფო და საეროვნებათაშორისო
ურთიერთობები---------- 304

**თავი V. ტოტალიტარიზმის იდეოლოგიისა და
პრაქტიკის განმტკიცება საქართველოში-- 324**

მსოფლიო პროცესები და იდეოლოგიური ექსპანსია----------324

პოლიტიკური და იდეოლოგიური ღვედები----------335

საქართველოს ძალოვანი სტრუქტურები 20-იანი წლების
მეორე ნახევარში----------350

ძირეული შემობრუნების დასაწყისი
(მეცნიერება და ქართული კულტურა)---------- 369

რელიგიური კონფესიები და ტოტალიტარული
სახელმწიფო----------385

ტოტალიტალიტარული რეჟიმის ფსიქო-სოციალური
ასპექტები----------391

რადიკალური შემობრუნება – ნეპის კრახი---------- 408

დასკვნა---------- 447

M. Natmeladze, A. Daushvili, M. Djaparidze, K. Tsenguashvili
Peculiarities of Establishing and Strengthening of Totalitarian Regime in the 20-ies of the XXth Century in Georgia
(Brief Conclusions)---------- 457

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა----------464